

1946

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



XXVIII, XXIX, XXIX

# შ რ ო მ ე ბ ი

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА  
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ  
STALINE  
à TBILISSI (Tiflis)

XXVIII

25

1921

წელი

1946

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

თ ბ ი ლ ი ს ი

1946

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



# შრომები


Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА  
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ  
STALINE  
à TBILISSI (Tiflis)

XXVIII



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

თ ბ ი ლ ი ს ი

1946

დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

პასუხისმგებელი რედაქტორი პროფ. ნ. კეცხოველი  
საქ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი

---

გადაეცა წარმოებას 10/IV 46 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IV 46 წ. ტირაჟი 500.  
სასტამბო თბაზი 17<sup>1</sup>/<sub>2</sub>. საალ.-საგამ. თბაზი 19,8 ანაწყოების ზომა 7×11. უე 01631  
გამომცემლობის შეკვეთა № 14. სტამბის შეკვეთა № 78.

---

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტ. გამომც. სტამბა, მარის ქ., 1

## შინაარსი

88•

1. ნ. კეცხოველი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1921.—1946 წლებში . . . . . V—XXXI
2. ალ. ვაჩიშვილი, ვახტანგ VI კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი . . . . . 1—62
3. ნ. დგებუაძე, საწარმოს ეკონომიკის ანალიზის ერთი მეთოდის შესახებ . . . . . 63—73
4. ნ. ქოიავა, საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში 75—98
5. ვ. ბახტაძე, სამოციანი წლები: ნიკო ნიკოლაძე — რაზნოჩინული ინტელიგენციის წარმომადგენელი . . . . . 99—117
6. ივ. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად . . . . . 119—162
7. ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში . . . 163—178
8. მ. ერისთავი, ქუთაისის მიდამოების ცარცის შუა ნაწილის სტრატეგრაფია . . . . . 179—219
9. ბიბლიოგრაფია . . . . . 221—248

## СОДЕРЖАНИЕ

	стр.
1. Н. Кеџховели, Тбилисский Государственный университет имени Сталина за 1921—1946 г.г. . . . .	V
2. Ал. Вачейшвили, Некоторые вопросы законодательства Вахтанга VI . . . . .	1
3. Н. Дгебуадзе, Об одном методе анализа экономики предприятия . . . . .	63
4. Н. Койава, Денежное обращение в Грузии в XVIII веке . . . . .	75
5. В. Бахтадзе, Шестидесятые годы: Н. Николадзе — представитель разночинной интеллигенции . . . . .	99
6. И. Имнайшвили, Адишский четвероглав в редакционном отношении . . . . .	119
7. Л. Кикнадзе, Коренные и отыменные глаголы в грузинском . . . . .	163
8. М. Эристави, Стратиграфия средней части меловых отложений окрестностей Кутаиси . . . . .	179
9. Библиография статей, помещенных в „Известиях“ и „Трудах“ Тбилисского Государственного Университета имени Сталина в 1921—1946 г.г. . . . .	221

## SOMMAIRE

1. N. Kétskhovéli, L' université Staline à Tbilissi dans les années 1921—1946 . . . . .	V
2. Al. Vatchéichvili, Quelques problèmes de la législation de Vakhtang VI . . . . .	1
3. N. Dguébuadzé, Sur une méthode d' analyse économique de l' entreprise . . . . .	63
4. N. Khoïava, Circulation monétaire en Géorgie au XVIII siècle . . . . .	75
5. V. Bakhtadzé, N. Nikoladzé — représentant des intellectuels dits «roturiers» . . . . .	99
6. Iv. Imnaïchvilī, Les quatre Evangiles de Hadiche sous le rapport de leur rédaction . . . . .	119
7. L. Kiknadzé, Verbes radicaux et dénominatifs dans la langue géorgienne . . . . .	163
8. M. Éristhavi, Stratigraphie de la partie moyenne des terrains créacés des environs de Kouthaïssi . . . . .	179
9. Bibliographie . . . . .	221

## სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს სსრ XXV წლისთავზე


### I

„დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში საშუალო სკოლები თითებზე ჩამოსათვლელი იყო, ხოლო უმაღლესი სასწავლებელი სულაც არა ყოფილა. ახლა კი ყოველ 4 ათას სულ მოსახლეობაზე მოდის ერთი საშუალო სკოლა და ყოველ 170 ათას სულზე ერთი უმაღლესი სასწავლებელი. საქართველოს ოც უმაღლეს სასწავლებელში, რომლებიც ამხადებენ კადრებს მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგისათვის, გამოირჩევა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი—ერთ-ერთი უდიდესი და მოწინავე უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირში“ (საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს საიუბილეო IX სესიის მიმართვიდან ამხანაგი სტალინისადმი).

საქართველოში ყოველ 1000 მცხოვრებზე 25 საშუალო სკოლის, 8—10 კლასის, მოწაფე მოდის, ორჯერ მეტი ვიდრე ინგლისში, ყოველ 100 კაცზე—1,3 უმაღლეს სწავლა-დამთავრებული; ყოველ 300 კაცზე—ერთი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი-დამთავრებული, ყოველ 800 კაცზე—ერთი ექიმი; ყოველ 5 მოსახლეზე—ერთი მოწაფე.

აი, სულ რამდენიმე ციფრი, მაგრამ, თუ მათ შინაარსს დაეუკვირდებით, ნათელი გახდება, რომ საქართველოს დაუწყია სრულიად ახალი ცხოვრება, გადუმღია ისტორიის ახალი ფურცელი, სადაც თავისი განვლილი 25 წლის ცხოვრება ოქროს წარუშლელი და უხუნელბელი ასოებით ჩაუწერია. არც შემთხვევითია, 25 წლის ვაჟკაცი ჩვენში უკვე დამჯდარ დადარბაისლებულ კაცად ითვლება და ეს 25 წლის ვაჟკაცი დღევანდელი დღისათვის ყოველმხრივ შემკული მოვიდა; არც გასაკვირველია, რადგან მისი დავაჟკაცება ხდებოდა სტალინის ხელში და სტალინის მზრუნველობით, იმ აღამიანის მითითებით, რომელმაც შეჰქმნა ხალხთა თავისუფლების ქარტია—სტალინური კონსტიტუცია.

გასაკვირველი არაა, იმიტომ რომ ამ საქართველოს თავს დასტრიალებდა, უვლიდა, ზრდიდა დიდი ბელადის თანამებრძოლი ჩვენი საყვარელი ლავრენტი ბერია, რომელმაც ბრძოლებში გამობრძმედა საქართველოს ბოლშევიკები, მისი ცენტრალური კომიტეტი და სახელმწიფო მოღვაწენი, რომელნიც ამჟამად ჩვენში ახორციელებენ დიდი ბელადის მითითებას ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობის შესახებ.



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამ განახლებული, დაგეგმული საბჭოთა საქართველოს სსრ-ის სული პირველი, რომელიც მასთან ერთად იზრდებოდა და ამავე დროს თავის დედა-სამშობლოს ჰშველოდა ზრდასა და განვითარებაში; ეს შველა და დახმარება მარტო იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ამ უნივერსიტეტმა სახელმწიფოს 12.000 სპეციალისტი მისცა, არამედ იმაში, რომ მან თავისი არსებობით და მოღვაწეობით ხელი შეუწყო თითქმის ყველა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას და ჩამოყალიბებას: საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტი, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი და მრავალი სხვა უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების ბაზაზე არიან წარმოშობილი და განვითარებული.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი განვითარებითა და მოღვაწეობით ხელი შეუწყო იმას, რომ 1941 წელს, სწორედ ხუთი წლის წინათ, საქართველოში დაარსდა ჩვენი მეცნიერების მთავარი შტაბი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. შემთხვევითი როდი იყო ის, რომ პირველ 16 აკადემიკოსთა შორის 13 — უნივერსიტეტის ძირითადი კათედრის გამგე პროფესორი იყო, მათ შორის 3 — ამ უნივერსიტეტში კურს-დამთავრებული; არც ის იყო შემთხვევითი, რომ აკადემიის პირველ ინსტიტუტთა შორის სწორედ აკადემიის ტიპის შესაფერი 5 ინსტიტუტი უნივერსიტეტის მიერ გადაცემული ინსტიტუტი იყო.

უნივერსიტეტმა თავისი არსებობითა და ზრდით ხელი შეუწყო ქართველი ხალხის სულიერი საუნჯის გამოვლინებასა და გამდიდრებას, მან ხელი შეუწყო ეროვნული ღირსების შეგნებასა და განმტკიცებას, იგი ახორციელებდა დიდი სტალინის მითითებას განვითარებინა და ჩამოეყალიბებინა მეცნიერება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური.

და დღეს, ბედნიერი საბჭოთა საქართველოს 25 წლის თავზე, მთელი ქართველი ხალხი, როდესაც აჯამებს განვლილი შრომისა და შემოქმედების შედეგებს, მადლობით იხსენიებს იმ ადამიანებს, რომელთა დაუღალავი და თავდადებული შრომით შეიქმნა ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტი, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილსა და მის თანამებრძოლთ, ჩვენ სახელოვან მეცნიერთ, უნივერსიტეტის დამაარსებელთ. მაგრამ რა იქნებოდა მათი ღვაწლი და შრომა, საბჭოთა ხელისუფლებას რომ არ მოესწრო და თავის ფრთებქვეშ არ შეეფარებინა, როგორც მთელი ჩვენი მხარე ისე მისი საყვარელი უნივერსიტეტი. სწორედ ამიტომ არის, რომ უნივერსიტეტის ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა 1921 წლიდან დაიწყო და ამ 25 წლის მანძილზე იგი გარდიქმნა მეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად და კადრების სამჭედლოდ.

1921 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთი ფაკულტეტი არსებობდა, დღეს კი 10 ფაკულტეტი არსებობს 33 სპეციალობით, სახელობრ: ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი 5 სპეციალობით, ქიმიის ფაკულტეტი 4 სპეციალობით, გეოლოგია-გეოგრაფიისა — 4 სპეციალობით, ბიოლოგიისა — 2 სპეციალობით, ისტორიისა — 4 სპეციალობით, ფილოსოფიისა — 2 სპეციალო-



ბით, ფილოლოგიისა — 4 სპეციალობით, აღმოსავლეთმცოდნეობისა 4 სპეციალობით, ეკონომიკისა — 5 სპეციალობით და იურისპრუდენციისა 1 სპეციალობით.

უნივერსიტეტში ამჟამად სწავლობს 4150 ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდა; ვარდა ამისა უნივერსიტეტთან არსებობს დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტი 3.000-ზე მეტი სტუდენტით, ხოლო 2.500-ზე მეტი ექსტერნის წესით აბარებს საგნებს.

უნივერსიტეტის ამ ზრდასთან ერთად იზრდება მისი მატერიალური ბაზა, თუ უნივერსიტეტმა თავიდანვე ერთერთი საუკეთესო შენობა მიიღო, რომლის ბადალი საბჭოთა კავშირის არც ერთ უნივერსიტეტს არა აქვს, სამაგიეროდ შემდეგ წლებში აშენდა შესანიშნავი II კორპუსი, რომელსაც ფიზიკურ-ქიმიურ კორპუსს ვუწოდებთ, აგრეთვე III კორპუსი, IV, და ვარდა ამისა მიიღო კიდევ 2 კორპუსი ქალაქის სხვა და სხვა ადგილას და 6 კორპუსი საერთო საცხოვრებლისათვის, რომელშიც 1.400 საწოლი თავსდება.

ამ შენობებში მოთავსებულია 41 ლაბორატორია და 40 კაბინეტი, რომელნიც ყოველდღიურად მდიდრდებიან ახალ-ახალი ხელსაწყოებით და აპარატურით და ზოგი მათგანი უკვე ამ მხრივ სახელმძღვანელონი არიან საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ჩვენი სტუდენტობის აღზრდას ხელმძღვანელობს 67 კარგად მოწყობილი და სავსებით დაკომპლექტებული კათედრა, რომელთაგან ზოგიერთი უფრო ინსტიტუტები არიან, ვიდრე კათედრები, რადგან აერთიანებენ 10 — 12 საგანს და 20 — 25 თანამშრომელს, რომელთა შორის მრავალი მეცნიერების დოქტორი და პროფესორია. ასეთ კომპლექსურ კათედრათა ჯგუფს ეკუთვნის გეოლოგიის, მინერალოგიის, ბოტანიკის, საქართველოს ისტორიის, მრეწველობის ეკონომიკისა და სხვა კათედრები. ალბათ, უახლოეს ხანში დაისმება საკითხი ამ კათედრათა გაყოფის და მათ ბაზაზე ახალი კათედრების ჩამოყალიბების შესახებ.

უნივერსიტეტის დაარსების ჟამს უნივერსიტეტს ორი პროფესორი ჰყავდა, მსცოვანი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი და ივ. ჯავახიშვილი. 1921 წელს სულ 33 პროფესორ-მასწავლებელი იყო, აქედან 16 პროფესორი და 17 უფროსი მასწავლებელი და ასისტენტი. 25 წლის შემდეგ კი უნივერსიტეტის კათედრებს ემსახურება 535 პროფესორ-მასწავლებელი, აქედან 495 შტატის პროფესორ-მასწავლებელია, 40 — საათობრივი ანაზღაურების წესით არის მოწვეული, ვარდა ამისა 114 უფროსი ლაბორანტი და ლაბორანტია, 21 პრეპარატორი. კათედრებს განაგებს 51 აკადემიკოსი და პროფესორი, 16 დოცენტი, მეცნიერებათა კანდიდატი, რომელთა უმრავლესობა უახლოეს ხანში დაიცავს დისერტაციას დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. საერთოდ, უნივერსიტეტის მასწავლებელთა შემადგენლობაშია:

- 78 — პროფესორი
- 178 — დოცენტი
- 132 — უფროსი მასწავლებელი
- 70 — ასისტენტი
- 37 — მასწავლებელი





- 56 — უფროსი ლაბორანტი
- 58 — ლაბორანტი
- 21 — პრეპარატორი

ამ შემადგენლობიდან:

- 58 — მეცნიერებათა დოქტორია
- 174 — მეცნიერებათა კანდიდატი

უნივერსიტეტის პროფესორთაგან 17 საბჭოთა კავშირის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია, 10 — წევრი-კორესპონდენტი, 38 — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 60-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით, 450 კაცზე მეტმა კი მიიღო მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ და „სახელოვანი შრომისათვის 1941 — 45 წ. სამამულო ომის პერიოდში“.

უკვე ეს ციფრები ნათლად ლაპარაკობენ იმ გიგანტურ შრომაზე, რომელიც უნივერსიტეტში ჩატარდა ამ 25 წლის მანძილზე. თუ 1921 წელს 7 დოქტორი გვყავდა, დღეს უნივერსიტეტში 58 მეცნიერებათა დოქტორია, 174 მეცნიერებათა კანდიდატი. ამ მხრივ დიდი ღვაწლი და შრომა დასჭირდათ ჩვენს უფროს თაობას, პირველ თაობას და მეორე თაობას: აკად. ჯავახიშვილს, პროფ. პ. მელიქიშვილს, პროფ. ა. რაზმაძეს, აკად. კორ. კეკელიძეს, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილს, აკად. აკად. შანიძეს, აკად. დ. უზნაძეს, აკად. გ. ახვლედიანს, აკად. გ. ჩუბინაშვილს, პროფ. გ. გეხტმანს აკად. შ. ნუცუბიძეს, აკად. ალ. ჯავახიშვილს, აკად. ი. ბერიტაშვილს, აკად. ნ. მუსხელიშვილს, აკად. ალ. ჯანელიძეს და სხვებს, რომელთა დაუღალავი შრომით ჩვენი უნივერსიტეტი დამუშვენდა ისეთი მეცნიერული კადრებით, რომელნიც სახელს უხვევენ ჩვენს უნივერსიტეტსაც და ჩვენს სამშობლოსაც. ესენი არიან: პროფ. სვ. ყაუხჩიშვილი, პროფ. ნ. ქოიავა, აკად. ს. ჯანაშია, აკად. ნ. კეცხოველი, აკად. არნ. ჩიქობავა, აკად. ვ. თოფურია, აკად. ნ. ბერძენიშვილი, მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტები: პროფ. ი. ვეკუა, პროფ. პ. ქომეთიანი, პროფ. ივ. კაჭარავა, პროფ. გ. წერეთელი, პროფ. მიხ. საბაშვილი, პროფ. შ. ამირანაშვილი, პროფ. გ. ჩიტაია, პროფესორები ვ. კუპრაძე, ალ. ბარამიძე, კ. ბაქრაძე, ლ. გოკიელი, შ. მიქელაძე, ვ. მამასახლისოვი, ვ. კოკოჩაშვილი, დ. დოლიძე, რ. ნათაძე, გ. გოზალიშვილი, ალ. ბრეგაძე, ლ. ყანჩაველი, დ. გედევანიშვილი, შ. რადიანი, ილ. აბულაძე და მთელი პლეადა ღირსშესანიშნავი ახალგაზრდა მეცნიერებისა, რომელთა შემდეგ მოდიან კიდევ მრავალი ჩვენი იმედი და სიხარული და რომელთაც არასდროს არ უნდა დაივიწყონ, რომ საქართველოს მეცნიერების უყი მიწა ამ პირველმა თაობებმა გასტენეს და გაუჟაფეს მათ გზა, რისთვისაც ამ თაობებს გაცილებით მეტი მოეთხოვება ვიდრე პირველთ, რომელთაც უნივერსიტეტი დღევანდლამდე ასე წმინდად და ლამაზად მოიტანეს. ეს „მეტი“ კი პირველ რიგში არის თავდადებული და დაუღალავი შრომა ჩვენი, მშობლიური, მეცნიერების აყვავებისათვის და განვითარებისათვის.

კადრების ზრდა, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო მარტო ლექციებით და პრაქტიკუმებით, საჭირო იყო შექმნილიყო სახელმძღვანელოები მშობლიურ ქართულ, ენაზე. ჩვენ, ქართველებს, მეცნიერული მუშაობა გუშინ და გუშინწინ




არ დაგვიწყია. ცნობილია, რომ მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში საქართველოში აკადემიები არსებობდნენ, იწერებოდა მეცნიერული წიგნები, იმართებოდა „სხდნი“ დისპუტები და პაექრობანი, მაგრამ საქართველოს ბედის უკუღმა ტრიალმა ბევრი რამ შეაჩერა ჩვენში. შემდეგშიც, XIX საუკუნეშიც, გვყავდნენ სახელმწიფო-სხევილინი მეცნიერნი, მაგრამ ისინი, საქართველოს მიწაწყალს მოწყვეტილნი, სხვათა ენაზე, სხვათა საქმეს აკეთებდნენ და სამშობლოს მეცნიერების აყვავებაზე ოცნებობდნენ მარტოოდენ. ისე ჩავიდა საფლავში დიდი მეცნიერი ვასილ პეტრიაშვილი, რომ არამცთუ უმაღლესი სასწავლებელი, არამედ საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლაც ვერ იხილა თავის მხარეში. უნივერსიტეტის პირველ მოღვაწეთა წინაშე კინალამ „უამთასიავის“ ნამოქმედარი — თანამედროვეობისათვის კინალამ გარდაუვალი არ გახდა, რადგან პირდაპირ გამოსაყენებელი შემკვიდრეობა არ გავაჩნდა — პირველ რიგში აქ ვგულისხმობ მეცნიერულ ტერმინოლოგიას და მეცნიერულ ნომენკლატურას, დამუშავებულ მეცნიერებათა სისტემას: ეს სამუშაო თავიდან იყო გასაკეთებელი; მართალია, იყო ძველი შემკვიდრეობა, მაგრამ თანამედროვე მეცნიერების დონესთან შედარებით ის ხომ წვეთი იყო ზღავაში. და დაიწყო დიდი მუშაობა, დიდი შრომა მეცნიერების დადგინებისათვის და, აი, დღეს მარტო უნივერსიტეტში იკითხება 350 საგანზე მეტი და უკვე აღარაინ არ გრძნობს იმ სიძნელეს, რომელსაც განიცდიდნენ პირველი ჩვენი პროფესორები. ტერმინების დადგენისა და ჩამოყალიბების დარგში დიდი მუშაობა გასწიეს უნივერსიტეტის პროფესორებმა: აკ. შანიძემ, ა. რაზმაძემ, გ. ნიკოლაძემ, ზ. ყანჩაველმა, ალ. ნათიშვილმა, ნ. კეცხოველმა, არ. ჩიქობავამ, ალ. ჯავახიშვილმა და სხვა მრავალმა თავათვის დარგში აკად. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. ვ. ბერიძის ხელმძღვანელობით. ამის შედეგია აგრეთვე ისიც, რომ დღესდღეობით 120 სახელწოდების საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოა გამოცემული; ამ მხრივ განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობა დაიწყო 1934 წლიდან, როდესაც უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა საკუთარი გამოცემლობა შესანიშნავი სტამბა-ლითოგრაფიით და როდესაც ტერმინოლოგიის მხრივაც უკვე ძალიან ბევრი იყო ვაკეთებულნი.

დიდმა სამამულო ომმა წიგნების გამომცემლობას ფრიად შეუშალა ხელი, აღარ იყო საკმაო რაოდენობით ქალაქი, სტამბის მუშათა უმრავლესობაც ბრძოლის ველად წავიდა, მაგრამ უნივერსიტეტის კოლექტივმა ეს პერიოდი მაინც ნაყოფიერად გამოიყენა, გამოსაცემად დაამზადა 40 სახელმძღვანელოზე მეტი და დღეს ჩვენს გამომცემლობას შეუძლია დაუბრკოლებლივ იმუშაოს, რადგან მას აქვს საკმაო რაოდენობით ქალაქიც, ჰყავს ასოთამწყობნიც, აქვს შხა სახელმძღვანელოებიც. გარდა ამისა ჩვენი საუკეთესო მეცნიერნი მუშაობენ ახალ-ახალ სახელმძღვანელოთა შექმნაზე თუ თარგმნაზე.

თავის მასწავლებელთა ამ გიგანტურ შრომასთან ერთად ჩვენი სტუდენტობაც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. მათი შრომის შედეგად გვყავს ათასობით მასწავლებელი, ეკონომისტი, ბიოლოგი, გეოლოგი, გეოგრაფი, ფილოლოგი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი, მათემატიკოსი, იურისტი და სხვადასხვა დარგის მეცნიერი.

დღეს უნივერსიტეტის სტუდენტთა რიცხვი არის 4.150:



აქედან:

ფიზიკა-მათემატიკის ფაკ.	325	სტუდენტი
ქიმიის	183	"
გეოგრაფია-გეოლოგიის	391	"
ბიოლოგიურ	262	"
ისტორიის	369	"
ფილოსოფიის	184	"
ფილოლოგიის	1176	"
აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ.	72	"
ეკონომიურ	810	"
იურიდიულ	378	"


რასაკვირველია, სტუდენტთა ეს რიცხვი ამ ორ წელიწადში კიდევ გაიზრდება და 6000-ს მიაღწევს, რადგან უფროს კურსებზე სტუდენტთა რიცხვი ნაკლებია, რაც სამამულო ომის დღეების შედეგია:

1 კ.	1542	სტ.
2 კ.	1200	"
3 კ.	850	"
4 კ.	452	"
5 კ.	106	"

ნაციონალური შემადგენლობით ჩვენი უნივერსიტეტი საკმაოდ მრავალფეროვანია, მრავალი ახალგაზრდა მოდის ჩვენს უნივერსიტეტში სწავლის მისაღებად მომე რესპუბლიკებიდან.

ქართველი	3618
რუსი	178
სომეხი	217
უკრაინელი	9
ბელორუსი	1
ოსი	30
აზერბაიჯანელი	1
ებრაელი	43
ბერძენი	38
თურქი	1
ჩეხი	2
ლექი	3
ჩინელი	1
აფხაზი	7 და სხვანი.

უნივერსიტეტის 3500 სტუდენტზე და მასწავლებელზე მეტი იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტზე და თავისი თავდადებული ბრძოლით ამრავლებდნენ თავის წინაპართა საგმირო საქმეებს. მრავალი მათგანი დაჯილდოვებულია საბრძოლო ორდენებით და მედლებით, ოთხს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ომის დამთავრების შემდეგ კი ომის ქარცეცხლს გადარჩენილებმა მოაშურეს თავის საყვარელ უნივერსიტეტს. პირველ კურსზე ჩაირიცხა 200 კაცზე მეტი ომიდან დაბრუნებული, აღდგენილია უფროს კურსზე 160-ზე მეტი, და მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ისევე კარგად ამართ-




ლებენ საბჭოთა სტუდენტის სახელს, როგორც კარგი და მამაცი მებრძოლის სახელს.

ამჟამად უნივერსიტეტს ჰყავს 295 ფრიადოსანი, მათ შორის 21 სტუდენტი განსაკუთრებული წარჩინებით სწავლისათვის სტალინის სახელობის სტიპენდიას იღებს, 35—სახელობით სტიპენდიას; სტუდენტთა 65% სტიპენდიას ღებულობს, რაც პირველ რიგში იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სტუდენტობა კარგად მუშაობს. ამ სტუდენტთა შორის არის საქართველოს ყველა ტომისა და კუთხის წარმომადგენელი: თუში, ფშავი, ხევსური, მთიული, გუდამაყრელი, მოხვეე, ოსი, რაჭველი, ლეჩხუმელი, სვანი, აფხაზი, მეგრელი, გურული, აჭარელი, იმერელი, მესხი, ჯავანი, ქართლელი, კახელი, ქიზიყელი, ინგილო და სხვა. ამიტომ ვასაკვირველი არ არის, რომ დღეს აღარ არის საქართველოში სოფელი, სადაც უნივერსიტეტ-დამთავრებული არ იყოს, როგორც ამ სოფლის კულტურული ცხოვრების მესვეური.

უნივერსიტეტმა, როგორც ზეერთაც აღვნიშნე, თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია საკუთარი ნაციონალური კადრების აღზრდას. დაარსების პირველ დღეებშივე მიღებულ იქმნენ პირველი ასპირანტები, იმ ახალგაზრდათა ჯგუფიდან, რომელთაც უმაღლესი სწავლა საქართველოს გარეთ მიიღეს. ესენი არიან: ნ. ქოიავა, ალ. ჯანელიძე, ს. ყაუხჩიშვილი და სხვანი. დღეს ბევრი მათგანი ჩვენი სახელმძღვანელო მუშაობაშია; 1922 წ. კი უნივერსიტეტის კურს-დამთავრებულებიდან დატოვებულ იქმნენ: ს. ჯანაშია, არ. ჩიქობავა, ვ. თოფურია (ამჟამად აკადემიკოსები), შ. ამირანაშვილი (პროფესორი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი), კ. ბაქრაძე (პროფესორი).

1930 წლამდე უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 20 მეცნიერმა მუშაკმა, 1937-45 წლებში 29 მეცნიერმა მუშაკმა; საკანდიდატო დისერტაციები 1937-45 წლებში დაიცვა 343 კაცმა, რომელთაგანაც 206 უნივერსიტეტის მუშაკია, 137 კი სხვა დაწესებულებათა და მეზობელ რესპუბლიკების (აზერბეიჯანის, სომხეთის, დაღესტნის და სხვა) მუშაკებია. რასაკვირველია, ეს ზრდა სტიქიური მოვლენა კი არ არის, არამედ უნივერსიტეტის გეგმიანი მუშაობის შედეგია. თავიდანვე უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა ასპირანტურის ინსტიტუტი.

1918 წ.	2	ასპირანტი
1919 წ.	11	„
1921 წ.	15	„
1926 წ.	32	„
1933/4 წ.	81	„
1938/9 წ.	180	„
1939/40 წ.	225	„
1940/41 წ.	256	„
1941/42 წ.	114	„
1942/43 წ.	58	„
1943/44 წ.	60	„
1944/45 წ.	68	„
1945/46 წ.	90	„



თუ ასპირანტთა რიცხვი უკანასკნელ წლებში შემცირდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდობა ფრონტზე იბრძოდა და დაღუპულნი შობლოს დასაცავად, ომის დამთავრების შემდეგ ასპირანტურის ინსტიტუტი კვლავ ძლიერდება იმ ახალგაზრდობით, რომელიც მეცნიერულ მოღვაწეობისათვის ემზადება. საასპირანტო ინსტიტუტი გაიზრდება რიცხვობრივადაც და ხარისხობრივადაც. ამის მტკიცე ბაზა და შესაძლებლობა ჩვენს უნივერსიტეტს აქვს, რადგან ჩვენი უნივერსიტეტი არა მარტო პედაგოგიური დაწესებულებაა, არამედ ამავე დროს ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრიც არის, სადაც შეიქმნა და ჩამოყალიბდა ჩვენი მეცნიერული, ქართული სკოლები. ეს სკოლებია: მათემატიკური, ფიზიოლოგიური, გეოლოგიური, ბოტანიკური, ფილოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა.

## II

საქართველოში მათემატიკური მეცნიერება ჩაისახა და განვითარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ უკანასკნელის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა მრავალმა ასეულმა ქართველმა ახალგაზრდამ, რომელთა შორის დღეს ბევრია გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორები, მეცნიერებათა დოქტორები.

ამ 25 წლის მანძილზე ჩამოყალიბდა ქართული მათემატიკური სკოლა, რომელსაც მეთაურობს სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი. ამ სკოლას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის მოწინავე სკოლათა შორის.

ქართველი მათემატიკოსების შრომებით გამდიდრებულია მათემატიკის მრავალი დარგი.

საყოველთაოდ ცნობილია ა. რაზმაძის გამოკვლევები ვარიაციათა აღრიცხვაში (გარდაიცვალა 1929 წ.): მან შეისწავლა ვარიაციათა აღრიცხვის ძირითადი ამოცანები და მიიღო ამ დარგში ფუნდამენტალური ხასიათის შედეგები, რომელნიც მალალ შეფასებას პოულობენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარ გარეთ.

ალგებრულ წირთა თეორიაში მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეკუთვნის გ. ნიკოლაძეს, რომელიც აგრეთვე აღრე გამოესალმა სიცოცხლეს (გარდაიცვალა 1931 წ.).

დიდი ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს დრეკადობის თეორიაში აკად. ნ. მუსხელიშვილმა და მისმა მოწაფეებმა. აკად. ნ. მუსხელიშვილის მეთოდებით დღეს ბოლომდეა შესწავლილი ბრტყელი ამოცანა და დამუშავებულია აგრეთვე შედგენილი ძალების ლუნვის და გრეხის თეორია. აკად. ნ. მუსხელიშვილის შედეგები არაერთგზის ყოფილა გამოყენებული ჩვენი ქვეყნის ინჟინრების და კონსტრუქტორების მიერ მრავალი მნიშვნელოვანი პრაქტიკული და თეორიული საკითხების გადასაწყვეტად. მისი წიგნი „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ძირითადი ამოცანები“, რომლის საფუძველზე მას მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემია, უდიდესი პოპულარობით სარგებლობს სპეციალისტებს შორის.



ძელების ღუნვის და გრების წრფივი და არაწრფივი თეორიის საკითხი დაამუშავეს ა. რუხაძემ და ა. გორგიძემ.

დრეკადობის თეორიის დინამიური ამოცანების მრავალი საკითხი შეისწავლეს პროფ. ვ. კუპრაძემ და პროფ. ი. ვეკუამ. ვ. კუპრაძის შრომები კლასიკური მათემატიკური ფიზიკის საკითხებს ეხებიან უმთავრესად და კერძოდ, ე. წ. რხევის განტოლების თეორიას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. კუპრაძის გამოკვლევები ელექტრომაგნიტური ტალღების დიფრაქციის შესახებ (სადოქტორო დისერტაცია 1935 წ.). ამ შრომაში ტალღების დიფრაქციის ე. წ. ბრტყელი ამოცანა ამომწურავი სისრულით არის გადაწყვეტილი. ამ შედეგების მნიშვნელობა და დასრულებულობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ისინი თითქმის მთლიანად შეტანილია მათემატიკური ანალიზის უახლეს და ერთ-ერთ საუკეთესო საუნივერსიტეტო კურსში, ვ. ი. სმირნოვის წიგნში (В. И. Смирнов т. IV, 1941 г.).

ვ. კუპრაძის უკანასკნელი დროის გამოკვლევები ეხებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიას, რომლიდანაც მას ეკუთვნის თეორიისათვის ფუნდამენტალური ე. წ. ნეტერის თეორემის დამტკიცება.

სპეციალური პოლინომების თეორემების შესასწავლად დიდი მუშაობა ჩაატარა პროფ. ა. ხარაძემ. მან მოგვცა მრავალი განზოგადება კლასიკური პოლინომებისა და შეისწავლა მათი ფესვების განლაგების რიგი მნიშვნელოვანი თვისება. აღსანიშნავია მისი შედეგები, დაკავშირებული ე. წ. ფაბერის მწკრივების კრებადობის საკითხებთან და აგრეთვე ალგებრული გაგებით ფესვების ზოგიერთ კლასიკურ ფორმულებთან.

კომპლექსურ ფუნქციათა თეორიაში მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები დოც. დ. კვესელავას მიერ.

ორი ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა მრავალი საინტერესო თეორემა შესწავლილია დოც. ვლ. ჭელიძის გამოკვლევებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი მათემატიკოსების მიღწევები სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში, რომლებიც მიღებულია ამ უკანასკნელი 7—8 წლის განმავლობაში აკად. ნ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით. ამ განტოლებათა მრავალი საინტერესო თვისება გამოკვლეულია აკად. მუსხელიშვილის, პროფ. ვ. კუპრაძის, პროფ. ი. ვეკუას, დოც. დ. კვესელავასა და დოც. ნ. ვეკუას შრომებში. ჩვენი მათემატიკოსების მიერ მიღწეული შედეგები ამ დარგში შესულია აკად. ნ. მუსხელიშვილის დიდ მონოგრაფიაში, რომელიც წელს მოსკოვში გამოვიდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს პროფ. ი. ვეკუას შედეგები ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში; ი. ვეკუამ მოგვცა ასეთი სახის განტოლებათა ამოხსნების ზოგადი წარმოდგენები კომპლექსური ცვლადის ანალიზური ფუნქციების საშუალებით და შეისწავლა ამ წარმოდგენების შემწეობით ამოხსნების სხვადასხვა თვისებანი. ამ შედეგების გამოყენებით მრავალი საკითხი დაამუშავეს: ბ. ხვედელიძემ, ა. ბიწაძემ, დ. ხარაზოვმა, ვ. ჟღენტმა და სხვ.



ნაყოფიერად მუშაობენ პროფ. შ. მიქელაძე და თ. ცხადაია ბით ანალიზში.

ჰიდროდინამიკის მრავალი აქტუალური საკითხი შეისწავლა პროფ. დ. დოლიძემ, რომელმაც დაამუშავა ბლანტ სითხეთა ჰიდროდინამიკის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის საინტერესო მეთოდები.

დიდი მუშაობა ჩაატარა პროფ. ლ. გოკიელმა მათემატიკის დაფუძნების დარგში. მისი შრომები შეეხებიან მათემატიკის ფილოსოფიის მრავალ აქტუალურ საკითხს.

წარმატებით მუშაობს ტოპოლოგიაში ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი გ. კოლოშვილი და გეომეტრიაში დოც. ა. ჩახტაური.

ნაყოფიერად მუშაობდნენ ჩვენი მათემატიკოსები დიდი სამამულო ომის წლებში. ამ პერიოდში მათ გამოაქვეყნეს 60-მდე სამეცნიერო ნაშრომი და დაიცვეს მათემატიკის სხვადასხვა დარგებში 3 სადოქტორო და 6 საკანდიდატო დისერტაცია.

1921 წელს საქართველოში მათემატიკის 2 პროფესორი და 2 დოცენტი მუშაობდა, ამჟამად კი მუშაობენ: 1 აკადემიკოსი, 8 ფიზიკა-მათემატიკის პროფესორი და დოქტორი და 26 მეცნიერების კანდიდატი. მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ძირითადი მუშაკები უნივერსიტეტის პირმშონი არიან.

ფიზიკური მეცნიერებანი ჩვენს უნივერსიტეტში ახალგაზრდა მეცნიერული ძალებით არიან წარმოდგენილი. ეს ახალგაზრდა ძალები სათანადოდ უძღვებიან სამუშაოს; არც მათი მეცნიერული პროდუქცია, არც კადრების აღზრდის საქმეში მოღვაწეობა არ ჩამორჩება მეცნიერების ამ დარგის თანამედროვე დონეს. პროფესორი, მეცნიერების დოქტორი ვ. მამასახლისოვი მუშაობს თეორიულ ფიზიკაში, კერძოდ ატომ-გულის საკითხებზე, ამ საკითხებს უძღვნა მან მრავალი შესანიშნავი შრომა, რომელნიც კავშირის ფიზიკოსთა შორის ფართოდ არიან ცნობილი. იგი იშვიათი გულმოდგინებით ხელმძღვანელობს ახალგაზრდა კადრების აღზრდას; მრავალმა მათგანმა ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. დოც. მ. მირიანაშვილმა დასწერა და გამოსცა ფიზიკის სახელმძღვანელო ორ დიდ ტომად და ამით დიდად შეუწყობა ხელი კადრების ზრდას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი სისრულისა და თეორიული სიღრმის სახელმძღვანელო ბევრი არ მოიპოვება ჩვენში. დოც. მ. მირიანაშვილი ერთ-ერთ ორგანიზატორთაგანია ფიზიკის დარგში კვლევა-ძიების საქმისა საქართველოში. ილ. ქვარცხავა მუშაობს ექსპერიმენტულ ფიზიკის დარგში, სადაც მან თავისი მუშაობა საკმაოდ ფართოდ გაშალა. მას საინტერესო შედეგები აქვს მიღებული მეორად ელექტრონთა ემისიის დარგში. უკანასკნელ წლებში ილია ქვარცხავა წარმატებით მუშაობდა კოსმოსური სხივების ფიზიკაში.

ქართველმა ფიზიკოსებმა სამამულო ომის პერიოდში მთელი მუშაობა დაუკავშირეს სამხედრო ორგანიზაციებს და ეს კავშირი ფრიად ნაყოფიერი გამოდგა.



დღეს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებობს ფიზიკის ინსტიტუტი, რომლის შტატი დაკომპლექტებულია უნივერსიტეტში გაზრდილი კადრებით. წარმატებით მუშაობენ: დოც. კირვალაძე, მ. მირიანაშვილი, ნ. კალაბუხოვი და სხვანი.

ქიმიკში მუშაობა უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე დაიწყო. უნივერსიტეტის პირველი რექტორი, პროფესორი, საკავშირო მეცნიერების აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, განსვენებული პ. გ. მელიქიშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო ქიმიკოსი იყო, უკვე სახელმწიფოეტილი და მსცოვანი მეცნიერი. მან მოიწვია თანამშრომლებად პროფ. ი. მოსეშვილი, პროფ. მ. შალამბერიძე აგრეთვე რუსუდან ნიკოლაძე, ნ. ციციშვილი, ა. მოსეშვილი და სხვანი, და გაიშალა ფართო მუშაობა კადრების მოსამზადებლად, სახელმძღვანელოების შესაქმნელად ქართულ ენაზე, ტერმინოლოგიის დასადგენად.

ამ ჯგუფს მოუხდა გივანტური მუშაობის ჩატარება ლაბორატორიების მოსაწყობად, კაბინეტების შესაქმნელად, კადრების მოსამზადებლად, და, დღეს თუ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ყველა კათედრა დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით და საქ. მეცნ. აკადემიაში ქიმიის ინსტიტუტი ერთ-ერთი დიდი და ძლიერი ინსტიტუტია, პირველ რიგში ეს ამ ჯგუფის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია. ნაყოფიერად მომუშავე ქიმიკოსები, მეცნიერების დოქტორები ბ. კანდელაკი, ვ. კოკოჩაშვილი, დ. ერისთავი, მ. შიშინაშვილი და სხვანი უნივერსიტეტში დაეწაფნენ სწავლას და მეცნიერებას.

დღეს უნივერსიტეტის ქიმიკოსები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან როგორც მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ისე უმთავრესად კადრების აღზრდის საქმეში. ამ დიდ მუშაობას სათავეში უდგანან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწენი პროფესორები ი. მოსეშვილი და ნინო ციციშვილი, პროფ. მ. ბეჭაია, პროფ. ვ. კოკოჩაშვილი (მეცნიერების დოქტორი), დოცენტები მეცნიერების კანდიდატები ვ. ხუხია, ა. მოსეშვილი, ფრონტიდან დაბრუნებული ორდენოსანი ახალგაზრდა მეცნიერნი, მეცნიერების კანდიდატები: ი. გვერდწითელი, შ. შარაშენიძე, ა. სამსონია და სხვა მრავალი.

უნივერსიტეტში ქიმიური სპეციალობის ასპირანტურა დაამთავრა 25 ახალგაზრდაზე მეტმა.

სამამულო ომის პერიოდში ქიმიის კათედრები, ისე როგორც სხვა კათედრები, მთლიანად გადავიდნენ სათავდაცვო თემატიკაზე და ოთხი წლის განმავლობაში დაამუშავეს 30-ზე მეტი სპეციალური დავალების თემა, შექმნეს ახალი ქიმიური ნაერთები, რომლებიც ეფექტურად იყო გამოყენებული სამამულო ომის ფრონტებზე, მრავალი ასეული საბრძოლო საშუალება თვით ქიმიის ფაქულტეტის ლაბორატორიებში დამზადდა და გადაეცა სათანადო სამხედრო ორგანიზაციებს.

არაორგანული ქიმიის კათედრამ პროფ. ი. მოსეშვილის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი გამოკვლევა ჩატარა ბუნებრივ ნედლეულში ზოგიერთი იშვიათი ელემენტების გავრცელების შესასწავლად.





ორგანული ქიმიის კათედრამ პროფ. ნ. ციციშვილის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩაატარა ვიტამინ „C“ შესწავლის საკითხში. ამ კათედრის დოცენტებმა: ა. კახნიაშვილმა, ა. ნოღაიდელმა მიიღეს ახალი ორგანული ნივთიერებები სინთეზური გზით.


ანალიზური ქიმიის კათედრის ხელმძღვანელმა პროფ. მ. ბეჟიამ თანამშრომლებთან ერთად შეისწავლა ზოგიერთი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ქიმიური ბუნება; ნაყოფიერი მუშაობა არის ჩატარებული დოც. ვ. ხუხის შიერ საქართველოს მინერალური წყლების შესწავლის საკითხში. მასვე ეკუთვნის სერიოზული გამოკვლევები ანალიზური ქიმიიდან.

ფიზიკური ქიმიის კათედრამ პროფ. კოკოჩაშვილის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩაატარა დისპერსიული სისტემის მდგომარეობის შესწავლაში. გარდა ამისა მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები წვის თეორიიდან. ამ კათედრის დოცენტმა შ. შარაშენიძემ რამდენიმე თემა დაამუშავა კატალიზის დარგიდან. დოცენტებმა გ. ციციშვილმა, ა. ვარდუჯაძემ ღირსშესანიშნავი მუშაობა შეასრულეს დისსორბციის დარგში.

ჩვენი ფიზიოლოგიური სკოლის შემქნელია მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი. ეს სკოლა წარმატებით მუშაობს ნერვულ-კუნთოვან და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ი. ბერიტაშვილის წიგნს „ნერვულ-კუნთოვანი ფიზიოლოგია“ მიეკუთვნა **სტალინური პრემია**. სამამულო ომის პერიოდში ჩვენი ფიზიოლოგებმა თავისი მუშაობა ომის ინტერესებს დაუკავშირეს და თავისი მუშაობით ელექტრო-ენცეფალოლოგიაში მედიცინას დიდი სამსახური გაუწიეს. აკად. ბერიტაშვილის სკოლის ნიჭიერი წარმომადგენლები არიან: პროფესორები პ. ქომეთიანი, დიმ. გედევანიშვილი, ალ. ბრეგაძე და აგრეთვე ნ. ძიძიშვილი, ს. ნარიაშვილი, ბაკურაძე და სხვები.

ჩვენი ბოტანიკოსების ყურადღება მიიპყრო საქართველოს მცენარეული საფარის დინამიკამ და მისმა დეტალურმა კვლევამ შესაძლებლობა მისცა მათ გამოეტანათ დასკვნა, რომ ჩვენი მცენარეული საფარის ძირითადი ტიპები დეგრადაციას განიცდიან და ველის ფორმაციები წინ მოიწვევენ ტყის ხარჯზე.

ამან კი შესაძლებლობა მოგვცა დაგვესახა ღონისძიებანი ამ პროცესის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც ჩვენი ბოტანიკოსების მუშაობის ძირითად ლეიტმოტივს წარმოადგენს. ბოტანიკის შემადგენლობაში გარდა კათედრის გამგისა (აკად. ნ. კეცხოველი) მუშაობენ პროფ. დოქტორი ვ. გულისაშვილი, პროფ. დოქტ. ლ. ყანჩაველი და დოცენტები და მასწავლებლები ალ. მყაშვილი, ან. ხარაძე, მიხ. სახოკია, ვიქტ. მირზაშვილი, ქ. სანაძე, ქ. გაჩეჩილაძე და სხვ. თუ 1941 წ. ბოტანიკაში არც ერთი დოქტორი არ გვყავდა, ამჟამად გვყავს 5 დოქტორი და 30 მეცნიერების კანდიდატი. ბოტანიკის მეცნიერების პირველი ქართველი მოღვაწე იყო პროფ. ზაქ. ყანჩაველი, რომელმაც შექმნა კლასიკური სახელმძღვანელო უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში და სხვა დამხმარე ლიტერატურა. მისი უდროო სიკვდილი (1931 წ.)



დიდი დანაკლისი იყო ჩვენში ახალგაზრდა მეცნიერული დისციპლინისათვის, მაგრამ მისი საქმე განაგრძეს მისმა მოწაფეებმა.

ზოოლოგია ჩვენს უნივერსიტეტში წარმოდგენილია ორი კათედრით: უხერხემლოთა ზოოლოგიის კათედრით, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი, მეცნ. დოქტორი ლ. კალანდაძე, და ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრით (ხელმძღვანელი პროფესორი, მეცნიერების დოქტორი ვ. ნ. ნიკიტინი). მათი მუშაობა ძირითადად წარმართულია საქართველოს ფაუნის შესწავლისაკენ; ამ მხრივ აღსანიშნავია მუშაობა პროფ. ნიკიტინისა—უმთავრესად ჰიდროლოგიისა და იხთიოლოგიის დარგში, პროფ. დ. კალანდაძისა—ენტომოლოგიაში, დოც. ი. ჩხიკვიშვილისა (საქართველოს ფრინველები), დოც. არჩ. ჯანაშვილისა (საქართველოს ძუძუმწოვრები), დოც. მიხ. ჭავჭავაძისა და მთელი რიგი ახალგაზრდა მეცნიერთა, რომელნიც ამავე კათედრებზე მომზადდნენ (ლ. კუტუბიძე, თ. მხეიძე, სამსონია, ჯაველიძე, ჭიაბერაშვილი და სხვანი).

საქართველოს გეოლოგიურ შესწავლას ერთი საუკუნის ისტორია აქვს, მაგრამ საქართველოში გეოლოგიურ მეცნიერებათა განვითარება და ქართული გეოლოგიური სკოლის ჩასახვა და ზრდა მთლიანად უკანასკნელი ოცი წლის მიღწევა არის: როგორც ერთი, ისე მეორე მკიდროდ არის დაკავშირებული თბილისის უნივერსიტეტთან და გეოლოგიურ ინსტიტუტთან. ქართული სკოლის ფუძემდებლის ა. ჯანელიძის და მისი მოწაფეების მუშაობამ საგრძნობი შედეგები მოგვცა საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლის საქმეში.

შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები და გამოქვეყნებულია მთელი რიგი მონოგრაფიებისა მეზოზოური და კაინოზოური ნამარხი ფაუნების შესახებ (ა. ჯანელიძე, ი. კახაძე, ი. რუხაძე, ი. კაპარავა და სხვ.). კერძოდ, იურული და ცარცული თავფეხიანი მოლუსკების შესწავლის მხრივ თბილისის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ძირითად ცენტრს წარმოადგენს.

ამგვარი მუშაობისა და ზუსტი საველე დაკვირვების შედეგად შედგენილია იურული, ცარცული და მესამეული სისტემების სტრატეგრაფიული სქემები.

რეგიონული გეოლოგიის დარგში სხვადასხვა მნიშვნელოვან მიღწევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: გამოყოფილია ახალი ორგონეტური და ვულკანური ფაზისები და გამორკვეულია შუა იურული ორგონეტური ფაზისის გადამწყვეტი როლი ჩვენი ქვეყნის გეოლოგიური აღნაგობის ჩამოყალიბებაში (ი. კახაძე), დადგენილია ახალი ტრანსგრესიების მთელი რიგი (ა. ჯანელიძე) და ნაჩვენებია რეგრესიების კავშირი ორფაზისებთან. ცალკეული რაიონების კონკრეტული ტექნიკის გვერდით შემუშავებულია შეხედულება საქართველოს გეოტექტონიკური აგებულობის შესახებ (ა. ჯანელიძე) და დამუშავებულია ზოგი თეორიული გეოტექტონიკისათვის მნიშვნელოვანი საკითხი.

ამ რიცხვს ეკუთვნის „კიდური დანაოქების“ თეორია, ორგონეტური ფაზისების ნამდვილი ხასიათის გამორკვევა (ა. ჯანელიძე) და სხვა.

ამის გვერდით ჩატარებულია მრავალი სამუშაო სოციალისტური მრეწველობის დაკვეთებით (სასარგებლო ძებნა-ძიება. მიწისქვეშა წყლების კვლევა

წყლის მომარაგებისა და მელიორაციის საჭიროებისათვის. ჰიდროელსადგურების გეოლოგიური პირობების შესწავლა, მინერალური წყლების ძიება და ა. შ.

სამამულო ომის განმავლობაში ჩვენი გეოლოგების მიერ შესრულებული მრავალი მნიშვნელოვანი სათავდაცვო ხასიათის სამუშაო-

პეტროგრაფიისა და მინერალოგიის დარგში აკად. ა. თვალჭრელიძის, პროფ. ვ. სმირონოვისა და მათი მოწაფეების მუშაობის შედეგად ჩვენ უკვე გვაქვს რიგი მონოგრაფიებისა საქართველოს მაგპური (გ. ზარიძე, ნ. სხირტლაძე) და ვულკანოგენური (გ. ძოწენიძე) წარმონაქმნების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს მინერალოგებისა და პეტროგრაფების როლი ჩვენი ქვეყნის მინერალური რესურსების კვლევის საქმეში. კერძოდ, ა. თვალჭრელიძის ენერგულ მუშაობას შედეგად მოჰყვა აღმოჩენა ჩვენი „გუმბრინისა“, რომელმაც მთლიანად შესცვალა ჩვენი ნავთის მრეწველობაში ასე საჭირო ამერიკული „ფლორიდინი“.

გეოგრაფიული მეცნიერებანი წარმოდგენილია უნივერსიტეტში აკად. ალ. ჯავახიშვილის (გეომორფოლოგია), პროფ. ვეხტმანის (ეკონომ. გეოგრაფია), პროფ. მიხ. საბაშვილის (ნიადაგმცოდნეობა), პროფ. ტ. ათაბეგოვის, ი. შაქარიშვილის (ჰიდროლოგია), და დოცენტების: თ. ნუცუბიძის, ს. ცხაკაიას, ჯიბლაძის და სხვათა სახით.

ამ კათედრის გაზრდილი მუშაკები წარმატებით ხელმძღვანელობენ გეოგრაფიის დისციპლინებს საქართველოს 10 პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებელში. თუ უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში მხოლოდ ერთი პროფესორი გვყავდა, დღეს უკვე 4 პროფესორი და 15 დოცენტი ხელმძღვანელობს ამ მუშაობას. უღროოდ დაღუპული, პროფესორი, მეცნიერების დოქტორი ბ. ყავრიშვილი, უეჭველად, დიდი დანაკლისია ამ ფრონტისათვის, რადგან მან ფრთოდ ფართოდ გაშალა მუშაობა საქართველოს ჰიდროლოგიაში, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა მთელი მისი ნიჭი ფართოდ გაშლილიყო; ამჟამად მის მიერ დაწყებულ მუშაობას წარმატებით განაგრძობენ მისი მოწაფეები (ი. შაქარიშვილი, თ. ნუცუბიძე და სხვ.).

უნივერსიტეტის გეოგრაფიული კათედრები, რომელთა რიცხვი ამჟამად უკვე ხუთია, განვითარდნენ ჩვენსავე უნივერსიტეტში; აქვე ჩამოყალიბდა და განვითარდა გეოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც შემდგომი მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადავიდა, და კარტოგრაფიული სექტორი.

პროფ. ალ. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის არსებობის პირველ ხანებშივე დასწერა სახელმძღვანელო და რამდენიმე დამხმარე წიგნი, გარშემო შემოიკრიბა რამდენიმე ახალგაზრდა, რომელიც მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობისათვის მოამზადა, და დღეს უკვე გვაქვს გეომორფოლოგიის, ჰიდროლოგიის, ქვეყანათმცოდნეობის, რეგიონალური გეოგრაფიისა და ეკონომიური გეოგრაფიის კათედრები. დიდი მუშაობა ჩაატარა პროფ., დოქტორმა გ. ვეხტმანმა, რომელმაც მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი მოამზადა.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მომენტში საისტორიო მეცნიერება მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. თანავე აღსანიშნავია, რომ, თუ საქართველოს ისტორიაში მინც საკმაოდ ბევრი იყო გაკეთებული (განსვენებულ აკად. ივ. ჯავახიშვილის, პროფ. ექვთ. თაყაიშვილის, პროფ. მოსე ჯანაშვილის, სერგი გორგაძისა და მათ წინამორბედ მოღვაწეთა მიერ) — კლასიკური სამყაროს, დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ისტორიის დარგებში სრულიად არაფერი არ მოგვეპოვებოდა და უნივერსიტეტს ამ საქმის ახლად და თავიდან დაწყება მოუხდა.

ამ ვითარებაში სრულიად ბუნებრივია, რომ პირველ ხანს საისტორიო დარგი სათანადოდ ვერ იყო პედაგოგიური პერსონალით დაკომპლექტებული და პროფესორ-ლექტორებს ხშირად უხდებოდათ მთელი რიგი დისციპლინების კითხვა და კვლევა. აკად. ივ. ჯავახიშვილი კითხულობდა და იკვლევდა საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიურ ისტორიას, სამართლის ისტორიას და მთელ რიგ დამხმარე დისციპლინებს, როგორც არის: პალეოგრაფია, ნუმისმატიკა-მეტროლოგია, დიპლომატიკა და სხვ. იგივე უძღვებოდა სტუდენტთა და ასპირანტთა სემინარულ მუშაობასაც.

უნივერსიტეტში თანდათან თავი მოიყარეს სხვადასხვა ქალაქებში მყოფმა მეცნიერებმა (გ. ჩუბინაშვილმა, ალ. ნამორაძემ, გ. ნიორაძემ, გ. ხაჭაპურიძემ, გ. ნათაძემ) ამავე დროს ისტორიაში მუშაობას იწყებს უნივერსიტეტ-დამთავრებული ახალგაზრდობაც (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილა, შ. ამირანაშვილი და სხვები). ზემოაღნიშნულნი მალე მოემზადნენ იმისათვის, რომ გაეზიარებინათ პედაგოგიური და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ტვირთი. ეს იყო ახალგაზრდა ისტორიკოსთა კადრების პირველი წყება. ამით არსებულნი ხარვეზი მნიშვნელოვნად შეივსო, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი, და ამ მიმართულებით მუშაობა უნივერსიტეტს არ შეწყვეტია და დღესაც ინტენსიურად განაგრძობს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადებას. აქ გამოიზარდნენ და დახელოვდნენ: აბელ კიკვიძე, კოტე გრიგოლია, ვალერიან გაბაშვილი, დავით გვრიტიშვილი, შოთა მესხია, იასე ცინცაძე, იასონ ხუციშვილი, მ. ბერიშვილი, მათე ალექსიშვილი და სხვა მრავალნი, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში მოღვაწეობენ.

ამჟამად უნივერსიტეტში ყველა საისტორიო დისციპლინა უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებით; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მხრივ საქართველოს ისტორიისა და სსრ. კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრების წარმატება.

ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა შეინარჩუნა ზოგიერთი ისეთი დისციპლინა, რომელიც საბჭოთა კავშირის სხვა უნივერსიტეტებში უგულვებულყოფილი იყო და რომლის აღდგენის პრობლემა ამჟამად მტკივნეულ საკითხად ითვლება სხვადასხვა უნივერსიტეტისათვის — ასეთია მაგ. ბიზანტიოლოგია, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში ყოველთვის იყო წარმოდგენილი ბიზანტიის ისტორიის (ისტორიის ფაკულტეტზე) და ბიზანტიის ლიტერატურატურის ისტორიის (ფილოლოგიურ ფაკულტეტზე) სახით; თვით ბიზანტიოლოგიის კვლევის დარგში ცოტა რამ არ არის გაკეთებული.



ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით უდიდესი გაქანება ჰპოვა საქართველოს წარსულის მეცნიერულმა შესწავლამ. ამ მხრივ ჯავახიშვილის უზომო დაწინაურება იყო მისი მუშაობა ყველასათვის ცნობილია. მან საფუძველი ჩაუყარა ქართული ისტორიული მეცნიერებას და ყოველ მის დარგს, იგი მან მტკიცე და სწორ გზაზე დააყენა. მისი ღვაწლი განუსაზღვრელი და დიდია; ქართულ მეცნიერებას იგი მარად ეხსოვება.

ჯავახიშვილის სკოლიდან გამოვიდნენ და წარმატებით განაგრძობენ მის მიერ დაწყებულ საქმეს აკადემიკოსები ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი.

პირველი მათგანის კვლევის ობიექტია ქართველი ერის უძველესი ისტორია, რასაც მან არა ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა უძღვნა; ამ გამოკვლევებით მან ქართველოლოგიის მრავალი ძირითადი პრობლემა ჯეროვან სამეცნიერო სიმაღლეზე აიყვანა. ნიკო ბერძენიშვილი სწავლობს ქართულ ფეოდალიზმს და აგრეთვე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემებს. ამ საქმეში მას საგრძნობი მიღწევები აქვს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლისადმი აგრეთვე მიძღვნილია განსვენებულ პროფ. მ. პოლივექტოვის და დოც. ი. ცინცაძის მთელი რიგი შრომები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ამ ურთიერთობის საარქივო მასალების პუბლიკაცია.

ამავე პრობლემას ნაწილობრივ ეხმაურება აკად. გ. ხაქაპურიძის ნაშრომები, თუმცა იგი ძირითადად XIX საუკუნეში საქართველოში მუშათა და გლეხთა მოძრაობის საკითხებს სწავლობს, რასაც მრავალი ნაშრომი უძღვნა.

ძველი ისტორიის კათედრაზე მუშავდება კლასიკური სამყაროს ისტორიის პრობლემები, აგრეთვე პრობლემები, ერთის მხრივ, რომ-საბერძნეთსა და ბიზანტიის, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს ურთიერთობისა. აღსანიშნავია ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობისადმი მიძღვნილი გამოკვლევები და საისტორიო მასალების პუბლიკაცია (ს. ყაუხჩიშვილისა და გ. გოზალიშვილის ნაშრომები).

შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ხაზით ინტენსიური მუშაობა წარმოებს დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის გენეზისის საკითხების გასარკვევად, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის პროფ. გ. ნათაძეს; პროფ. ა. ნამორაძემ არა ერთი შრომა უძღვნა ევროპის ახალი ისტორიის პრობლემებს.

არქეოლოგიის კათედრის ხაზით განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოში პალეოლითის შესწავლა, რასაც დიდი ღვაწლი დასდო პროფ. გ. ნიორაძემ.

ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება საქართველოს ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში, რომელსაც პროფ. გ. ჩიტაია მეთაურობს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მიღწევები ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევის საქმეში, რომლებიც აკად. გ. ჩუბინაშვილს აქვს თავის ნაშრომებში; გ. ჩუბინაშვილმა თავისი ღრმა გამოკვლევებით მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელოვნების ისტორიას და ამ მხრივ ქართველი ხალხის როლი ნათლად დაგვანახვა ახლო აღმოსავლეთის ხელოვნების განვითარებაში. მრავალი შრომა აქვს გამოქვეყნებული მის მოწაფეს პროფ. შ. ამირანაშვილს.



თუ 25 წლის წინ საქართველოში ფსიქოლოგიური მუშაობა მხოლოდ დაიწყო, (უნივერსიტეტთან არსებობდა ფსიქოლოგიის კათედრა ერთი მეცნიერის — პროფ. დ. უზნაძის შემადგენლობით), დღეს ამ მუშაობას აწარმოებს, უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის გარდა, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტი და სხვა უმაღლეს პედაგოგიურ ინსტიტუტთა ფსიქოლოგიის კათედრები. ამ დაწესებულებებში მუშაობს რამდენიმე ათეული კვალიფიციური სპეციალისტი: აკადემიკოს დ. უზნაძის გარდა ორი პროფესორი-მეცნიერების დოქტორი (ა. ბოჭორიშვილი, რ. ნათაძე), თხუთმეტი — მეცნიერებათა კანდიდატის ზარისხის მქონე პირი, ამათგან 8 დოცენტი და დანარჩენი საკვლევო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკები, რამდენიმე ასისტენტი, ლაბორანტი და რიგი უმცროს მეცნიერ-მუშაკებისა: საზოგადოდ, დღეს საქართველოში მოიპოვება ასზე მეტი უმაღლესი ფსიქოლოგიური განათლებით აღჭურვილი პირი. მთელი ეს კადრი თბილისის უნივერსიტეტმა მოამზადა. ამ ოციოდე წლის მანძილზე ქართველ ფსიქოლოგებს გამოქვეყნებული აქვთ შრომები, რომლებმაც რეზონანსი ჰპოვა როგორც სსრკ-ის, ისე დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში. ეს შრომები ფართოდ გამოყენებულია მრავალ სპეციალურ გამოკვლევებში და სახელმძღვანელოებშიც კი (Рубинштейн, Выготский, Лурья, Кауфман, Köhler, Blumenfeld, Willwol, Stern, Fröbes, A. Dumas და სხვ.), თბილისის ფსიქოლოგიური სკოლა საბჭოთა კავშირში ერთერთ მოწინავე მეცნიერულ სკოლად ითვლება.

1941 წლამდის მთელს ძირითადს ფსიქოლოგიურ მუშაობას საქართველოში უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ლაბორატორია აწარმოებდა. ხოლო 1941 წლიდან, საქართველოს მეცნიერების აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ლაბორატორიის ბაზაზე ჩამოყალიბდა მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორი, რომელიც შემდეგში ფსიქოლოგიის ინსტიტუტად გარდაიქმნა. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური კათედრა დღესაც აწარმოებს ნაყოფიერ საკვლევო მუშაობას. კათედრის შემადგენლობაში ამჟამად გამგის საქ. მეცნ. აკადემიის ნ/წ-ის დ. უზნაძის გარდა შედის ერთი პროფესორი მეცნ. დოქტორი, 4 დოცენტი — მეცნ. კანდიდატი, 1 ასისტენტი და 1 ლაბორანტი. საქართველოში წარმოებულ ფსიქოლოგიურ მუშაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი მიმართულებანი:

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის კვლევითი მუშაობა მიმართულია უმთავრესად განწყობის ცნების დამუშავებისაკენ. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში საქმაო ანარეკლი სწორედ ამ პრობლემატიკისადმი მიძღვნილმა გამოკვლევებმა ჰპოვეს. ამ ცნების ავტორის დ. უზნაძის გამოკვლევათა გარდა, აღსანიშნავია გრ. ხმალაძის (აწ განსვენებული), ბ. ხაჭაპურიძის, ზ. ხოჯაეას, ნ. ადამაშვილის, ალ. მოსიავას, აკ. ავალაშვილის, ნ. ცაავას, რ. ნათაძის და სხვა ფსიქოლოგების გამოკვლევები.

ბავშვის ფსიქოლოგიაში გამოქვეყნებულია რიგი გამოკვლევები ბავშვის ინტერესების განვითარების შესახებ (დ. უზნაძე, ფ. ხუნდაძე, ნ. ადამაშვილი და სხ.), რიგი გამოკვლევათა აზროვნების ონტოგენეზის შესახებ: დ. უზნაძის, ფ. ხუნდაძის, რ. ნათაძის (მისი სადოქტორო დისერტაცია ამ საკითხებს ეხება, 1939 წ.), გამოკვლევები ბავშვის ესთეტიკური განვითარების შესახებ (ქ. მდივანი, ფ. ხუნდაძე, დ. რამიშვილი).



გარდა ამისა წარმოებს მუშაობა: ენის ფსიქოლოგიის საკითხებში, ზნეობის ფსიქოლოგიაში, სასცენო შემოქმედების ფსიქოლოგიის საკითხებში, პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხებში, შრომის ფსიქოლოგიის საკითხებში, შედარებით ფსიქოლოგიაში. სამხედრო ფსიქოლოგიაში განსაკუთრებით ფართო, როგორც თეორიულ-კვლევითი ისე პრაქტიკული (ჰოსპიტლებში), მუშაობა გაიშალა სამამულო ომის პერიოდში.

გარდა თარგმნითი სასწავლო ლიტერატურისა და სათანადო კრებულებისა ქართულ ენაზე გამოქვეყნდა 3 ორიგინალური სახელმძღვანელო: დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ორი ორიგინალური დიდი კურსი — ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები (1925 წ.) და ზოგადი ფსიქოლოგია (1940 წ.); 1945 წ. გამოქვეყნდა რ. ნათაძის „ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო“, რომელიც ფსიქოლოგიის პროპედევტიკულ კურსს წარმოადგენს.

ფილოსოფიურს დარგში მუშაობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა უნივერსიტეტის არსებობის მეორე ნახევარში, როდესაც უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო აკად. პ. შარიამ, და მისი და მისი მოწაფეების „ენერგიული მოღვაწეობით შეიქმნა ჩვენში ფილოსოფიური ლიტერატურა, ითარგმნა მარქსიზმის კლასიკოსები, ლენინისა და სტალინის ძირითადი ფილოსოფიური შრომები. ამ დარგში აგრეთვე წარმატებით მუშაობენ აკად. პეტრე შარიას მოწაფეები ა. ქუთელია, ლ. გორგილაძე და სხ.

კლასიკური ფილოსოფიის დარგში წარმატებით მუშაობენ პროფ. ს. დანელია (მეცნ. დოქტორი), პროფ. კ. ბაქრაძე და მათი მოწაფენი.

საქართველოს ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიაზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პროფ. შ. ნუცუბიძე.

უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრა (გამგე გ. ი. კიკნაძე) ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიის შესწავლაზე. ამ მხრივ თვალსაჩინო მიღწევები აქვთ პროფ. გ. თავზიშვილს, დოც. დ. ყიფშიძეს, დ. ლორთქიფანიძეს და სხ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა, უწინარეს ყოვლისა, როგორც სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტის წიაღში უნივერსიტეტის დამაარსებლის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ფილოლოგიის მეცნიერებათა ყველა დარგში. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მუშაკთა პირველმა კოლექტივმა (ივ. ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი), რომელიც იმავე დროს წარმოადგენდა უნივერსიტეტის დამაარსებელთა კოლექტივს, იმთავითვე აიღო სამეცნიერო მუშაობის გარკვეული გეზი — ქართული სულიერი კულტურის პირველი წყაროების ღრმა შესწავლის ნიადაგზე დიდი სამეცნიერო მასშტაბის კვლევა-ძიება ქართველთმეტყველების ძირითადი პრობლემებისა. ამასთან ქართველოლოგიური კვლევა-ძიება უშუალოდ დაუკავშირდა მახლობელი აღმოსავლეთისა და ანტიკური დასავლეთის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების საერთო ასპექტში შესწავლის პირობებს.



ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა ქართული მწერლობის უძველესი ძეგლები, ე. წ. ხანმეტური ტექსტები. ამ აღმოჩენას ეპოქალური მნიშვნელობა აქვს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების ისტორიაში. ივანე ჯავახიშვილი აქვეყნებს საენათმეცნიერო, კერძოდ ქართველურ-კავკასიოლოგიური ხასიათის ფუნდამენტალურ გამოკვლევას „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (თბ. 1937 წ.).

იოსებ ყიფშიძე, ა. შანიძე და გ. ახვლედიანი საერთო ძალღონით საფუძველს უყრიან პირველ საენათმეცნიერო სკოლას საქართველოში. კ. კეკელიძე კისრულობს ლიტერატურათმცოდნეობის დისციპლინების ხელმძღვანელობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა მძლავრი საენათმეცნიერო კერა. იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ (1919 წ.) ქართველური ენების მთავარი სიმძიმე დააწვა ა. შანიძეს. მას უხდება უნივერსიტეტში ერთდროულად ლექციების კითხვა ქართულ და ქართველურ ენებში (ახალსა და ძველ ქართულში, სვანურში), ძველ სომხურში, არაბულში. ის სწავლობს კავკასიურ ენებს (აფხაზურს, წოვა-თუშურს), ეწევა დიდს სამეცნიერო შემოქმედებითს მუშაობას. ა. შანიძის მრავალრიცხოვანი შრომებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920), უმლაუტი სვანურში (1925), მორფოლოგია (1930, 1942 — 43), სინტაქსი (დამზადებულია დასაბეჭდად).

გ. ახვლედიანმა გამოაქვეყნა შრომები ზოგადი ენათმეცნიერებისა და ექსპერიმენტული ფონეტიკის სფეროდან (ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 1938). ზოგადი საენათმეცნიერო პრობლემების გარკვევისას გ. ახვლედიანი უხვად იყენებს ქართულ-ქართველური ენების მასალებს. გ. ახვლედიანი ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ინდურ-ირანული ფილოლოგიის დარგშიც (სანსკრიტი, ძველი სპარსული, ავესტა). ის საგანგებოდ სწავლობს ოსურ ენას და აქვეყნებს ამ მხრივ მთელ რიგ მნიშვნელოვან გამოკვლევას.

ა. შანიძე და გ. ახვლედიანი სულ მალე ფართო სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში აბამენ თავიანთ საუცხოოდ მომზადებულ ნიჭიერ მოწაფეებს. არნ. ჩიქობავა და ვარ. თოფურია დიდი წარმატებით იკვლევენ ქართული და ქართველური ენების საკითხებს. საკმარისია, თუ დავასახელებთ მათ სადოქტორო დისერტაციებს: არნ. ჩიქობავასი — „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (თბ. 1918), ვ. თოფურიასი — „სვანური ენა. ზმნა“ (1931). არნ. ჩიქობავა ადრმავეებს მუშაობას ჭანურში (ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936) და, საზოგადოდ, ქართველურ ენებში (სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942; ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, 1938). ვ. თოფურია საგანგებოდ იკვლევს ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებას. ორივე — არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია, საფუძვლიანად სწავლობენ კავკასიურ ენებს და აქვეყნებენ კავკასიოლოგიურ ნაშრომებს (პირველი, უმთავრესად, ზუნძური ენის შესახებ, მეორე — ლაკურის შესახებ). არნ. ჩიქობავა ბოლო წლების განმავლობაში თავისი მეცნიერული მუშაობის ცენტრში აქცევს მთის კავკასიის ენებს. მასვე ეკუთვნის





მაგრამ კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დიდ მიღწევად ჩაითვლება ხუთტომიანი „Papyri russischer und georgischer Sammlungen“, „რუსეთისა და საქართველოს კოლექციების პაპირუსები“, რომელშიაც გამოქვეყნებულია სრულიად ახალი, XX საუკუნეში ეგვიპტის პაპირუსებში აღმოჩენილი ბერძნული ტექსტები, ლიტერატურული, ისტორიული და საყოფაცხოვრებო ხასიათისა. აღნიშნულ გამოცემას რუსულსა და ევროპულს სამეცნიერო პრესაში მიეძღვნა რამდენიმე ათეული რეცენზია. ამ გამოცემის წყალობით მსოფლიო კოლექციათა ნომენკლატურაში ამიერიდან შეტანილია Pap. russ.-georg., ე. ი. „რუსეთ-საქართველოს პაპირუსები“.

რუსული ენის კათედრამ (კათედრის გამგე პროფ. დ. მგელაძე) მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ახალი სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. საყურადღებო კვლევითი მუშაობა გაწაღეს დ. მგელაძემ, ს. ვაჩნაძემ, თ. მრევლიშვილმა და სხვ. რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრამ მოამზადა XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო (ს. დანელია) და წამოიწყო სასარგებლო მუშაობა რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის დარგში (ანა ჩხეიძე, ვ. შადურის, ანა ნიკოლაძე და სხვ.).

აღმოსავლეთმცოდნეობის დანერგვა და განვითარება საქართველოში უშუალოდ არის დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებასთან. პირველ ხანებში აღმოსავლეთმცოდნეობის დარგს ხელმძღვანეობდნენ: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, იუსტინე აბულაძე, ლ. მელიქსეთბეგი. მალე წამოიზარდა ენერგიულ და ნიჭიერ მკვლევართა ახალი თაობა. ამ 25 წლის მანძილზე ჩვენი უნივერსიტეტის ზრდის უტყუარ სურათს კარგად გამოხატავს სწორედ აღმოსავლეთმცოდნეობის დარგი. თუ უნივერსიტეტის დაარსების პერიოდში ქართული ენის სპეციალისტს ა. შანიძეს უხდებოდა არაბულისა და ძველი სომხურის კითხვა (ცალკე მასწავლებელი იყო მხოლოდ სპარსულში), ახლა უნივერსიტეტში არის აღმოსავლეთმცოდნეობის მთელი ფაკულტეტი სხვადასხვა სპეციალობის პროფილითა და განხრით.

სემიტოლოგიის კათედრის გამგე პროფ. გ. წერეთელი ავტორია მთელი რიგი შრომებისა, რომლებმაც სერიოზული ყურადღება მიიქციეს ჩვენი ქვეყნის გარეთაც. კერძოდ, გ. წერეთლის სახელთანაა დაკავშირებული შუა აზიის არაბული დიალექტების შესწავლა, რომელიც გარდატეხას ახდენს არაბულ დიალექტოლოგიაში. ცალკე აღსანიშნავია გ. წერეთლის შრომა „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“, „არმაზის ბილინგვა“. გ. წერეთელმა შეადგინა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო არაბულ ენაში, რომელიც სხვაგანაც (მაგალითად, კიევი) იხმარება.

ქართველი ირანისტები თავიანთ კვლევითს მუშაობას უფარდებენ ქართული კულტურის ისტორიის საკვანძო საკითხების შესწავლას. სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემებს ნაყოფიერად აშუქებენ იუსტ. აბულაძე, ალ. ბარამიძე და დ. კობიძე, ვლ. ფუტურაძე მუშაობს უმთავრესად სპარ-

სულ საისტორიო ძეგლებზე, მ. ხუბუა იკვლევს სპარსულის ენობრივ მოცუ-  
ლებებს.

ქართულ-სომხური და სომხურ-ქართული კულტურული ურთიერთობის სა-  
კითხებზე ბევრი საყურადღებო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ლ. მელიქსეთ-  
ბეგს. კერძოდ, აღსანიშნავია მისი სადისერტაციო გამოკვლევა „ჩრდილო მხა-  
რეთა სომეხთა მოძღვარნი“, „საიათნოვა“ და სხვა. საგანგებოდ უნდა აღინიშ-  
ნოს, რომ ლ. მელიქსეთბეგმა ქართულ ენაზე შეადგინა ძველი სომხური ლიტე-  
რატურის ისტორიის სახელმძღვანელო. წიგნი დიდი შენაძენია ქართული ფი-  
ლოლოგიური მეცნიერებისათვის ილია აბულაძის გამოკვლევები ქართულ-სომ-  
ხური ლიტერატურული ურთიერთობის სფეროდან. ამ მხრით პირველ რიგში  
უნდა იქნას დასახელებული ილია აბულაძის ვრცელი გამოკვლევა „ქართულ-  
სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX და X საუკუნეებში“ (1944),  
რომლის საფუძველზე ავტორმა დამსახურებულად მოიპოვა ფილოლოგიის მეც-  
ნიერებათა დოქტორის ხარისხი.

თურქოლოგიის კათედრის გამგის ს. ჯიქიას შრომებიდან აღსანიშნავია  
დიდი მეცნიერული კეთილსინდისიერებით შესრულებული „გურჯისტანის ვილაი-  
ეთის დიდი დაფთარი“ (1941), გამოკვლევა ანატოლიურ-თურქული ენის ახალ-  
ციხური დიალექტის მორფოლოგიური თავისებურებების შესახებ და სხვა.

სხვა მეცნიერების მხარდამხარ ვითარდება ეკონომიური მეცნიერებანიც.  
პირველ ხანებში თუ მარტო პროფ. ფ. გოგიჩაიშვილს უხდებოდა თითქ-  
მის ყველა საგნების კითხვა, დღეს, სამაგიეროდ, მთელი პლეადა მეცნიერებისა  
უძღვება უნივერსიტეტში ერთ-ერთ უდიდეს ფაკულტეტს, სადაც 5 სპეციალო-  
ბის კადრებს ზრდიან. ფ. გოგიჩაიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ახალ-  
გაზრდობას განსაკუთრებით მით, რომ მან სთარგმნა მარქსის ძირითადი შრო-  
მები („კაპიტალი“, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ და სხვ.).

პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის და თეორიული ეკონომიკის დარგში  
მუშაობენ პროფ. ნ. ქოიავა, პროფ. ს. ბერაძე, დოცენტები: ვ. ჩანტლაძე,  
ი. ბაჯაძე; ქოიავამ დასწერა „მსოფლიო ფული“, ვრცელი მონოგრაფია, რომე-  
ლიც წარმატებით დაიცვა, როგორც სადოქტორო დისერტაცია.

პროფ. პ. გუგუშვილმა გამოაქვეყნა მრავალი შრომა XIX საუკუნის სა-  
ქართველოს ეკონომიური ისტორიის შესახებ („კაპიტალიზმის წარმოშობა და  
განვითარება საქართველოსა და ა/კ.“). ნ. ქოიავამ დაამუშავა „XVIII საუკუნის  
ფინანსების ისტორია“, გ. გამყრელიძემ კი — „ხელოსნობის ისტორია საქარ-  
თველოში“.

დიდი ყურადღება ექცევა დარგობლივი ეკონომიკის დარგში მონოგრაფი-  
ების დამუშავებას. ამ მხრივ წარმატებით მუშაობენ პროფ. ნ. ქოიავა, პროფ.  
გ. გეტმანი, დოც. დოც. ი. მიქელაძე, ა. გოკიელი, ვ. ჩანტლაძე, ი. ბაჯაძე,  
ვ. ბახტაძე, ნ. იაშვილი, ლ. კარბელაშვილი, ნ. დგებუაძე, შ. გოგებაშვილი,  
ა. კაკაბაძე, კ. ნიკოლაიშვილი და სხვანი.

სახელმძღვანელოები დაამუშავეს პროფ. კ. მეგრელიძემ, გ. გამყრელიძემ,



ირ. მიქელაძემ, ა. ინჭკირველმა, ლ. ასათიანმა, ნ. დგებუაძემ, შ. გოგებუაძემ და სხვ.

იურიდიულ მენციერებათა განვითარება დაკავშირებულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან.

მანამდე გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ერთეული გამოკვლევები ქართული სამართლის ისტორიიდან (აღსანიშნავია ი. ჯავახიშვილის და ნ. ურბნელის ნაშრომები).

1922 წ. უნივერსიტეტის სოც.-ეკონ. ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა იურიდიული განყოფილება და ამ დროიდან დაწყებული საფუძველი ჩაეყარა როგორც სამეცნიერო კვლევით მუშაობას, ისე ახალგაზრდა კადრების — საბჭოთა იურისტების მომზადებას.

იურიდიული ფაკულტეტის ჩამოყალიბება და შემდეგ ამ ფაკულტეტზე სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გაშლა ძირითადად დაკავშირებულია პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის, პროფ. ი. სურგულაძის და პროფ. ალ. ვაჩიშვილის მოღვაწეობასთან.

იურიდიული ფაკულტეტის მეცნ.-მუშაკთა მიერ გამოქვეყნებულია მთელი რიგი შრომებისა, რომელთაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ (აღსანიშნავია პროფ. ი. ტალახაძის, პროფ. ირ. სურგულაძის, პროფ. ალ. ვაჩიშვილის შრომები).

ამჟამად იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას წარმატებით ეწევიან თბილისში ჩვენს უნივერსიტეტში კურს-დასრულებული ამხანაგები, რომელთაგან თითქმის ყველამ დაიცვა დისერტაციები იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე. ფაკულტეტის სამი მეცნიერ-მუშაკი ამჟამად მივლინებულია მოსკოვსა და ლენინგრადში სადოქტორო დისერტაციებზე სამუშაოდ.

არის ყველა პირობა იმისათვის, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა იურიდიულ ფაკულტეტზე მოკლე ხანში კიდევ მეტად ამაღლდეს.

ფიზკულტურის კათედრა ყოველთვის დიდსა და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა (კათედრის გამგე შ. დიასამიძე). ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებდნენ სამხედრო თავდაცვითი კადრების მომზადების გეგმას. კათედრის მიერ კარგად არის გაშლილი საწრეო მუშაობა. ჩამოყალიბებულია ტანვარჯიშობის რამდენიმე წრე; მიძღინარე წელს უნივერსიტეტის გუნდმა აიღო პირველობა ლენინგრადში უნივერსიტეტებს შორის ჩატარებულ შეჯიბრებაში და ჩამოიტანა თასი. პირველობა ამ ჯგუფებს პირველად არ აუღიათ, კათედრას მიღებული აქვს მრავალი რესპუბლიკანური და საკავშირო ჯილდო.

კათედრის შემადგენლობაში მუშაობს 15 მასწავლებელი. მათ შორის სპორტის ოსტატები: კ. ზაალიშვილი, ო. მიქელაძე, ვ. კოსმაჩევსკი, კ. შეყრილაძე და სხვები.



უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედებს 14 სამეცნიერო ნრე, ესენია:

- ლიტერატურისა და ფოლკლორისა,
- რუსული ენისა,
- დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა,
- ბიოლოგიისა,
- მათემატიკური,
- ქიმიისა,
- საქართველოს ისტორიისა,
- სსრკ ხალხთა ისტორიისა,
- ფილოსოფიისა,
- იურიდიული,
- პოლიტიკური ეკონომიისა,
- დარგობლივი ეკონომიისა,
- გეოგრაფია-გეოლოგიისა,
- ენათმეცნიერებისა.

თითოეული წრე აერთიანებს ორმოცამდე წევრს.

უნივერსიტეტში ყოველ წელს ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელზედაც მოხსენებები სამეცნიერო წრეებიდან გამოდის.

1945 წელს ჩატარდა მეშვიდე სამეცნიერო კონფერენცია.

თითოეული კონფერენცია ისმენს დაახლოებით 40—50 მოხსენებას.

1945 წელს მოსმენილი იქნა 41 მოხსენება.


სამეცნიერო კონფერენციაზე ხელმძღვანელებად მუშაობენ უნივერსიტეტის მაღალკვალიფიციური მუშაკები (აკად. წ/კ. პროფ. პ. ქომეთიანა, პროფ. ვ. კოკოჩაშვილი, დოც. ვ. ხუხია, აკად. არნ. ჩიქობავა, აკად. წ/კ. გ. წერეთელი, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, აკად. ვ. თოფურია, პროფ. ალ. ბარამიძე, პროფ. დ. მგელაძე, პროფ. ალ. ვაჩიშვილი და სხვ.).

უნივერსიტეტში დაბეჭდილია რამდენიმე კრებული სტუდენტთა სამეცნიერო შრომებისა, პირველი კრებულები გამოვიდნენ 1926—1927 წ.წ., შემდეგში კრებულების გამოცემა განახლდა 1941 წ.: პირველი კრებული დაიბეჭდა 1941 წელს, მეორე—1944 წელს; მათი რედაქტორები არიან: არნ. ჩიქობავა და პროფ. გ. ჩიტაია. კრებულებში დაიბეჭდა ნაშრომები ბუნებისმეტყველებიდან, ენათმეცნიერებიდან, ლიტერატურის ისტორიიდან, ფოლკლორიდან, ქიმიიდან, მათემატიკიდან და სხვ. პირველ კრებულში 19 წერილია მოთავსებული, მეორეში—8.

ბევრი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულებში, გადაიქცა საკანდიდატო ნაშრომად (მაგ.: ენათმეცნიერებიდან შრომა ილ. ცერცვაძისა).

### III

ეს ყველაფერი, რაც ჩამოვთვალე, მხოლოდ მკრთალი ასახვაა იმ დიდი მუშაობისა, რომელსაც საერთოდ ეწევა ჩვენი უნივერსიტეტი. რასაკვირველია, სრული არ იქნება ჩემი მოკლე მოხსენება, რომ არ აღვნიშნო ჩვენი დიდი კოლექტივის მუშაობა სამამულო ომის პერიოდში. მაშინ როდესაც მტერი გვი-




ქაღდა განადგურებას, მრავალი მეცნიერი მუშაკი ფრონტზე გაემგზავრა, მრავალმა მათგანმა სიცოცხლე შესწირა თავის სამშობლოს კეთილდღეობის და გმირულად დაიღუპა მტერთან ბრძოლაში. ამჟამად მრავალი კვლავ უბრუნდება თავის საყვარელ საქმეს.

აქ დარჩენილებმა კი მთელი თავისი მუშაობა გარდაქმნეს სამამულო ომის ინტერესების შესაბამისად. ამ მხრივ პირველ რიგებში უნდა აღინიშნოს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (დეკანი პროფ. ვ. მამასახლისოვი), ქიმიის ფაკულტეტი (დეკანი დოც. ვ. ხუხია), ბიოლოგიის ფაკულტეტი (დეკანი პროფ. პ. ქომეთიანი და შემდეგ პროფ. ალ. ბრეგვაძე), გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი (დეკანი პროფ. მიხ. საბაშვილი), რომელნიც მთლიანად ომის ინტერესებისათვის მუშაობდნენ. მათი მუშაობის გამოყენება უშუალოდ ხდებოდა ან სამამულო ომის ფრონტზე ან ჩვენი მრეწველობის მიერ; ბევრი გააკეთა ქიმიის ფაკულტეტმა, არანაკლები ჩვენმა ფიზიკოსებმა. რასაკვირველია, გულხელდაკრეფილნი არ იყვნენ სოციალურ-ეკონომიური და ფილოლოგიური ფაკულტეტები, რომელთაც ჯარის ნაწილებში, საწარმოებში თუ სხვაგან წაიკითხეს 3.500 მეტი მოხსენება სხვადასხვა საკითხებზე, ამ მხრივ გამოირჩეოდა ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტები. დაიწერა მრავალი ბროშურა და წიგნი, რომლებშიც გაშუქებული იყო ქართველი ხალხის გმირული წარსული სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლებში და სხვა.

ყველაფერი ეს აწ უკვე განვლილი ეტაპია, თუ გნებავთ ისტორიაა, დღეს ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავკმაყოფილდებით იმით, რაც გაკეთდა. ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ახალი ეტაპი ახალ ვალდებულ ეზებას აყენებს ჩვენს წინაშე. თუ ეს ვალდებულებანი არ შევასრულებთ, ჩვენ ცხოვრებას ჩამოვრჩებით და მთელი განვლილი მუშაობაც სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს.

დიდმა ბელადმა ამხანაგმა ი. სტალინმა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს საბჭოთა ხალხის წინაშე უდიდესი ამოცანები დააყენა—უახლოეს 15 წლის მანძილზე ჩვენმა მრეწველობამ ყოველმხრივ უნდა გაუსწროს ბურჟუაზიული ქვეყნების მრეწველობას.

„ახლა რამდენიმე სიტყვა კომუნისტური პარტიის მუშაობის გეგმების შესახებ უახლოეს მომავლისათვის. როგორც ცნობილია, ეს გეგმები ჩამოყალიბებულია ახალ ხუთწლიან გეგმაში, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნას უახლოეს დროში. ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ აღდგენილ იქნას ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღდგენილ იქნას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით. თუ აღარას ვიტყვით იმის შესახებ, რომ უახლოეს დროში გაუქმებული იქნება საბარათო სისტემა (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში), განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას ყველა საქონლის ფასების თანმიმდევრობით შემცირების გზით (მქუხარე ხანგრძლივი ტაში) და ყოველგვარი სა-



მეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ფართო მშენებლობას (ტაში), რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ მეცნიერებას გაშალოს თავისი ძალები (მჭუნაძე ტაში).

„ეჭვი არ მეპარება, რომ თუ ჯეროვან დახმარებას გაუწევთ ჩვენს მეცნიერებას, ისინი შესძლებენ არა მარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს დროში გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის გარეთ (ხანგრძლივი ტაში)“ — სტალინი.

ბელადის სიტყვები, ბევრს და ძალიან ბევრს გვავალებს საბჭოთა მეცნიერებს და კერძოდ, ჩვენი უნივერსიტეტის დიდ კოლექტივს. ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისათვის, ჩვენ ყველაფერი მოგვეცემა იმისათვის, რომ გავამართლოთ დიდი ბელადის მშობლიური სტალინის იმედები.

ანალოგიური დავალება მოგვცა აგრეთვე ამხანაგ სტალინის თანამებრძოლმა, საქართველოს საუკეთესო შვილმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წ. 5 თებერვალს.

„ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს — და ეს ეხება არა მარტო საბჭოთა საქართველოს მეცნიერებს — რომ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები ჯერ კიდევ ელოდებიან გადაჭრას“ (ლ. ბერია).

ამ მუშაობაში ჩვენ პირველ რიგში გვევალება მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, მეცნიერებით კარგად შეიარაღებული ინტელიგენციის გამოზრდა, რისთვისაც დაგვირდება ერხელ კიდევ გადავხედოთ განვილილ წელთა პრაქტიკას მისი გაუმჯობესების მიზნით — შევქმნათ ახალი, მეცნიერების სასათნადო სიმალღეზე მდგომი სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები და საერთოდ მაღალხარისხოვანი ლიტერატურა, შევქმნათ ახალი ლაბორატორიები და კაბინეტები, მოვამზადოთ კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, გარდავქმნათ ჩვენი მეცნიერული მუშაობა ისე, რომ როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ხასიათის თემატიკა ემსახურებოდეს ჩვენს ცხოვრებას და განვითარების ახალ ეტაპს.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ ამოცანას გადასწყვეტს, რადგან მას უნათებს დიდი სტალინის გენია და მისი მზრუნველობა.

ნ. კაცხოველი

აღ. ვაჩიშვილი

## ვახტანგ VI-ის კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი

### IV

როდესაც უცხოელი მეცნიერნი იკვლევენ ჩვენს ეროვნულ იურიდიულ ძეგლებს და იძლევიან მათ საერთო დახასიათებას, ისინი ჩვეულებრივ ქართული სამართლის განვითარების დაბალ დონეს აღნიშნავენ. სამართლის ისტორიკოსი დარესტი ვახტანგ VI კოდექსის შეფასებისას ყურადღებას აქცევს ამ კოდექსის იმ მხარეს, რომლითაც იგი პრიმიტიულ კანონმდებლობებს უახლოვდება, და მიუთითებს, რომ ეს კოდექსი, თუმცა XVIII საუკუნეშია შედგენილი, მაგრამ გვიადვილებს იმის გაგებას, თუ რას წარმოადგენდნენ ბერძნები ჰომეროსის დროს, რომაელები წინაისტორიულ ხანაში, გალლები იულიოს კეისრის წინ, გერმანელები შემოსევების პერიოდში, რუსები იაროსლავის მთავრობის დროს და სკანდინავიელები XIII საუკუნეში<sup>1</sup>.


მეორე მეცნიერი ჰოლდაკი იმავე იურიდიული ძეგლის შესწავლის საფუძველზე დაასკვნის, რომ ვახტანგ VI მხოლოდ მეტად იშვიათ შემთხვევებში კისრულობს საერთოდ სახელმწიფო ხასიათის სასჯელთა დადგენას, უმთავრესად კმაყოფილდება მაღალი ქონებრივი საზღაურის დაწესებით და ამ გზით ცდილობს გადაიღიროს სასჯელის ელემენტი კომპოზიციებში; ქართული სამართალი თავისი ძირითადი პრინციპის გვერდით, რაც უფართოესი მოცულობის და დაწვრილებით დამუშავებული კომპოზიციების სისტემაში გამოიხატება, იცნობს მხოლოდ მეტად მცირე, თანაც ნაწილობრივ ბუნდოვან დადგენილებებს, რომლებშიც საჯარო სისხლის სამართლის სიცოცხლე ამკარავდებოდა<sup>2</sup>.

უკანასკნელ დროს გამოვიდა კარსტის ცნობილი ნაშრომი ვახტანგ VI კანონების შესახებ; ავტორს გულმოდგინედ და საფუძვლიანად შეუსწავლია სათანადო ქართული წყაროები, უთარგმნია ფრანგულად ვახტანგის კრებულში შემავალი ქართული ძეგლები და თავისი გამოკვლევების თანდართვით გამოუცია ისინი<sup>3</sup>, ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი შეხედულება ქარ-

<sup>1</sup> Dareste, Etudes d'histoire du droit, თავი VI.

<sup>2</sup> Holdack, Zwei Grundsteine... 163, 247.

<sup>3</sup> Karst, Corpus juris Ibero-Caucasici. I section: Droit nat. géorg. codifié. კარსტი სარგებლობდა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერით (Manuscrit de la Bibliothèque Nationale de Paris, fonds géorgien № 24).



თული სამართლის ხელმძღვანელ იდეებისა და საფუძვლების შესახებ, ის შეესაბამება, რომელსაც იგი აძლევს ჩვენი ეროვნული იურიდიული ცხოვრების ინსტიტუტებს.

ქართულ სამართალში, კარსტის აზრითაც, ბატონობს იდეა დაზარალებული პირის ქონებრივი ანაზღაურების და დაკმაყოფილებისა; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მისთვის თავიდანვე უცხო იყო ყოველგვარი საჯარო ხასიათის ჯარიმა, რომელიც დამნაშავეს, კერძო საზღაურის გარდა<sup>1</sup> უნდა გადაეხადა საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ (სახელმწიფო, მეფე, მოსამართლე ან ტრიბუნალი), როგორც გამოსყიდვა მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და მშვიდობიანობის აღდგენის საშუალება. არც გიორგი V კოდექსი, არც ბექა-აღბუღას კანონები სრულიად არ ასახელებენ კომპოზიციის აღნიშნულ ელემენტს. მხოლოდ ვახტანგ VI სამართლის წიგნი ითვალისწინებს სისხლის სამართლის ჯარიმას, რომელიც შეიძლება შევადაროთ ძველი გერმანული სამართლის „ფრედუმ“-ს (Wedde, Wette), ისიც არა ზოგადი სახით, არამედ მხოლოდ ერთი კერძო შემთხვევისათვის, რაც კანონით სპეციალურად არის განსაზღვრული<sup>2</sup>.

კარსტი იძლევა ქართული სამართლის განვითარების საერთო დახასიათებას და ამტკიცებს, რომ მას ჰქონდა სისხლის სამართლის სისტემის შექმნის მისწრაფება და სათანადო შემოქმედებითი ელემენტებიც<sup>3</sup>, მაგრამ მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ განვითარებულა აღმავალი და განუწყვეტელი გზით, არამედ დარჩა „ემბრიონულ“ მდგომარეობაში. კარსტის სიტყვით, ქართულ სამართალში ძველთაგან მოცემული იყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჩანასახი (germes), სერიოზული დასაწყისი, რომელიც შემდეგში არ ყოფილა დამუშავებული და განვითარებული, ქვეყნის მონგოლთა მიერ დაპყრობის გამო ეს ჯანსაღი, მაგარი ჩანასახი დასუსტდა და დაღუპვის გზაზე დადგა.

როგორც ვხედავთ, სამივე ავტორი აღნიშნავს ქონებრივ საზღაურთა ანუ კომპოზიციების ბატონობას ქართულ სამართალში; ეს სისტემა კი დამახასიათებელია ყველა იმ კანონმდებლობისათვის, რომელიც ჯერ კიდევ თავისი განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფება; კანონმდებლობა აქ ჯერ სოციალურ-პოლიტიკური მშენებლობის და შემოქმედების ახალ გზებს კი არ ეძებს, არამედ ხალხის ცხოვრებაში განმტკიცებულ უძველეს ზნე-ჩვეულებებს, ადათებს გამოსახავს და საკანონმდებლო ფორმაში აყალიბებს მათ.

<sup>1</sup> „toute espèce de peine ou amende publique... outre le wergeld, ... lui était... dès l'origine étrangère.

<sup>2</sup> Karst, T. I<sup>2</sup> pp. 191, 192. ავტორი აქ გულისხმობს ვახტანგის სამ. წიგნის 155 მუხლს. კარსტის აზრი, რომ ქართული სამართლისათვის fredum თითქოს თავიდანვე უცხო ინსტიტუტია (lui était dès l'origine étrangère). სინამდვილეს არ შეეფერება. წინათ საკმაოდ იყო გამორკვეული, რომ ქართული სამართალი ამ ინსტიტუტს იცნობს (იხ. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივ. შრომები, XXV<sup>1b</sup>, 1944).

<sup>3</sup> éléments formatifs.





ქარსტი, თავის მხრივ, გამოთქვამს აზრს, რომ ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების აყვავების ხანაში — დავით აღმაშენებლის, გიორგი III, თამარ მეფის დროს — სისხლის სამართლის სისტემა „ჩანასახის“ მდგომარეობაში იყო. მასხადაღმე, სისხლის სამართლის საჯარო საფუძვლები, ამ ავტორის აზრით, თვით ამ აღმავლობის ხანაშიც ჯერ კიდევ განვითარებული არ ყოფილა, იყო მხოლოდ ერთგვარი მიდრეკილება, მისწრაფება ამ ხაზით, მომდევნო პერიოდში კი საქართველოს ბედი ისეთი გზებით წარიმართა, რომ ამ დაწყებითი ელემენტების „ჩანასახის“ განვითარებაზე და აღმავლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ყველა ზემოთ მოყვანილი შეხედულების ისტორიული სისწორის შემოწმებისა და შეფასებისათვის საჭიროა გავეცნოთ იმ მასალებს, რომლებსაც ქართული სამართლის ისტორია გვაწვდის. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია გავერკვეთ დასმულ საკითხში და ვიქონიოთ საფუძველი სწორი და ისტორიულ ფაქტებთან შეთანხმებული მსჯელობისათვის. ჩვენი გამოკვლევის საგანია სასჯელის მიზნები და სახეები ვახტანგ VI კანონების მიხედვით, მაგრამ რამდენადაც ჩვენ ქართული სისხლის სამართლის განვითარების სხვადასხვა საფეხურების თანმიმდევრობა და კავშირი გვინტერესებს, საჭიროა ძალიან მოკლედ მაინც შევჩერდეთ იმ პერიოდის დახასიათებაზე, რომელიც წინ უსწრებს ვახტანგის კანონებს; ამ პერიოდის შესწავლისას ჩვენ ვსარგებლობთ უმთავრესად აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ „ქართული სამართლის ისტორიაში“ შეკრებილი მასალებით.

რამდენად სწორია ის აზრი, რომ ქართველი ერის ისტორია სახელმწიფო აყვავების პერიოდში სისხლის სამართლის საჯარო საწყისებს მხოლოდ „ჩანასახის“ ფორმით იცნობდა? რამდენად შეესაბამება ისტორიულ ფაქტებს შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ ვახტანგის კრებულში შემავალი ეროვნული ძეგლები თითქოს სასჯელის საჯარო საწყისს იცნობენ ძალიან მცირე მოცულობით, რომ ეს ძეგლები აწესებენ მხოლოდ მკრთალ და იმავე დროს ბუნდოვან დადგენილებებს, რომლებშიც ასახულია საჯარო ხასიათის სისხლის სამართალი? რა მიზნები ჰქონდა დასახული სასჯელს და რა სახეები აქვს მას აღნიშნული კოდექსის მიხედვით?

ამ ძირითადი საკითხების გამოკვლევა მოგვცემს იმის გაგებას, თუ როგორი იყო სასჯელის საფუძვლები და ბუნება ქართული სახელმწიფო და სამართლის განვითარების სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე.

X—XII საუკუნეების საკანონმდებლო ძეგლები ჩვენს დრომდე არ შემონახულა, მაგრამ სხვადასხვა ისტორიული საბუთების მიხედვით შეიძლება მაინც ცოტად თუ ბევრად აღდგენილ იქნას ამ პერიოდის ისტორიული ცხოვრების საერთო სურათი. როგორც ჩანს ისტორიული მასალებიდან, იურიდიული მოღვაწეობა ძველ საქართველოში ორი გზით მიმდინარეობდა; მის საგანს შეადგენდა არა მარტო პრაქტიკული, საკანონმდებლო და სასამართლო დარგის საქმიანობა, არამედ წმინდა განყენებული, სამართლის ფილოსოფიის პრობლემების დამუშავებაც; ეს სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იმდროინდელი ქართული აზროვნება საერთო ფილოსოფიურ სწავლა-განათლებას ეტა-



ნებრდა და სამართლის ფილოსოფია ზოგად ფილოსოფიურ საკითხებთან შეკიდ-  
როდ იყო დაკავშირებული. ქართული იურიდიული აზრი დაინტერესებული  
ყოფილა როგორც იმ პრაქტიკული ხასიათის საკითხებით, რაც სახელმწიფო-  
ორგანოთა, მათ შორის კი პირველ რიგში სასამართლოთა მოღვაწეობის პრო-  
ცესში წამოიჭრებოდა, ისე, შეიძლება ითქვას, მეტაფიზიკური ბუნების საკით-  
ხებითაც, როგორიცაა, მაგალითად, მოძღვრება ბუნებითი სამართლის შესახებ.  
როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ძველ ქართულ სამართალზე, ყველაფერი ეს უნდა  
გვექონდეს გათვალისწინებული. ის, რასაც ახლა ქართულ სამართალზე ვამბობთ,  
სრულიადაც არაა რაიმე ჰიპოთეზი, დაუმტკიცებელი და საფუძველ-მოკლებული,  
ისტორიული ფაქტების გარეშე აგებული შეხედულება, პირიქით, იგი სწორედ  
ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება. რა თქმა უნდა, ამგვარი აზრი მოულოდ-  
ნელ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ როგორც საფუძვლიანად შენიშნავს აკად.  
ივ. ჯავახიშვილი, „ჩვენთვის ამჟამად ბევრი რამ გაუგებარი და მოულოდ-  
ნელი სწორედ იმიტომაც არის, რომ ძეგლების დაღუპვისა და ნაწილობრივ  
შეუსწავლელობის გამო იმ მუშაობის შესახებ, რომელიც სამართლის მეცნიერე-  
ბის სფეროში სწარმოებდა, ჯერ ძალიან ცოტა ვიცით“<sup>1</sup>. რასაკვირველია, ეს  
სიტყვები ჩვენს სპეციალურ დარგსაც — სისხლის სამართლის დარგსაც ეხება.

ქართულ სისხლის სამართალსაც აღნიშნულ პერიოდში განვითარების შედა-  
რებით მაღალ დონემდე მიუღწევია გამოჩენილ სამართლის მეცნიერთა ინტენსი-  
ური მუშაობის წყალობით<sup>2</sup>.

ზემოთ მითითებული იყო, რომ მუშაობა სამართლის მეცნიერებისა და  
მართლმსაჯულების დარგში ორი სხვადასხვა მიმართულებით წარმოებდა: პრაქ-  
ტიკულისა და თეორიული გზით.

პრაქტიკული საქმიანობის, მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწეობის  
თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ერთ-ერთი ინსტიტუტი,  
რომელსაც უკვე XI საუკუნის შუა წლებში ვხვდებით; ესაა „მეცნიერნი საბ-  
ჭოთა საქმეთანი“, რომლებიც აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, ამ  
ხანაში უკვე „პროფესიული იურისტები ჩანან“ და თავისი ცოდნით და გამოც-  
დილებით დახმარებას უწევენ ხელისუფლებას<sup>3</sup>.

რთული იურიდიული საკითხების გადასაწყვეტად მეფე სახელმწიფო დარ-  
ბაზის საგანგებო სხდომას იწვევდა; ამის მაგალითს გვაძლევს ბაგრატ IV დროს  
მოწვეული სხდომა, რომლის მიზანს შეადგენდა ოპიზელთა და მიჯნაძორელთა  
შორის არსებული დავის გადაწყვეტა; იურიდიული საკითხის გადაწყვეტაში  
მონაწილეობას იღებდნენ, ისტორიული საბუთის მიხედვით, „მეცნიერნი საბ-

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2, გვ. 537.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ჭოროხის ხეობაში მდებარე ოპიზის და მიჯნაძორის მონასტრები ერთმანეთს ვედავე-  
ბოდნენ ადგილის შესახებ; ამგვარად საქმე სამოქალაქო სამართლის დარგს ეკუთვნოდა, სა-  
ბუთოში აღნიშნულია: „...შეგვიკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მდღელთ-მოძღუარნი, ერის-  
თავთ ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ხევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი  
საბჭოთა საქმეთანი და დავსხენით წინაშე ჩუენსა და წავიკითხნით მათნიცა და მათნიცა და-  
წერილნი...“ საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909.

ჭოთა საქმეთანი“. ეს პირები, რასაკვირველია, მალაო წოდებას ეკუთვნოდნენ და იმდროინდელი თვალსაზრისით სამართლის დარგში მცოდნე და დახელოვნებული უნდა ყოფილიყვნენ; სასამართლო ორგანიზაცია წოდებრივ საფუძველზე იყო მოწყობილი, და აკად. ივ. ჯავახიშვილი გამოსთქვამს აზრს, რომ „ახნაურნი მეცნიერნი“ მალალი წოდებისათვის განკუთვნილ მოსამართლეთა წრის წარმომადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ<sup>1</sup>. ამ „მეცნიერთა“ განხილვის და შესჯელობის საგანს კონკრეტული იურიდიული საკითხები შეადგენდნენ, ისინი მათ წინაშე დაყენებულ საკითხებს სჭრიდნენ თავისი გამოცდილების საფუძველზე და ხელმძღვანელობდნენ, ალბათ, როგორც დაწერილი სამართლის დადგენილებებით, ისე ადათობრივი სამართლის წესებით.

ანალოგიურ მოვლენას ვხვდებით შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ისტორიაში. IX საუკუნის ერთ-ერთი ქრონიკა მოგვითხრობს იმ დავის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ორ მონასტერს შორის (სენ-დენის და სენ-ბენუას სააბატოებს შორის); სხდომას ესწრებოდნენ მეფის მიერ მივლინებული პირები — missi (ეპისკოპოზი და გრაფი), მხარეებს წარმოადგენდნენ magistri legum და iudices; სახელწოდება magister ჩვეულებრივ იხმარებოდა ფეოდალურ ხანაში ისეთი პირის აღსანიშნავად, რომელსაც წარჩინებული ადგილი ეკავა რაიმე პროფესიის ან თანამდებობის მიხედვით<sup>2</sup>. Magister legum იყო იურიდიულ საკითხებში გამოცდილი პიროვნება, რომელიც დახმარებას უწევდა მოდავე მხარეებს ამა თუ იმ კონკრეტული დავის გადაჭრაში და ეს წოდება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ მის მატარებელს თითქოს მეცნიერული ხარისხი ჰქონდა მინიჭებული.

საქართველოს ისტორიაში „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ პრაქტიკული დარგის მოღვაწეებს წარმოადგენდნენ. საინტერესო საკითხია, თუ სად ღებულობდნენ ისინი სათანადო მომზადებას. როგორც იყო აღნიშნული, ისინი მოსამართლეთა წრეს ეკუთვნოდნენ და ადვილი გასაგებია, რომ სათანადო ცოდნას და გამოცდილებას ისინი, ალბათ, სახელმწიფო მოვალეობის ხანგრძლივი შეს-

<sup>1</sup> ქართ. სამ. ისტორია, II, 2, გვ. 485; იმავე საკითხებზე — გვ. 475, 537 სიტყვა „საბჭო“ ბაგრატ IV ოპიზის 1060—1065 სიგელში სასამართლოს მნიშვნელობით არის ნახმარი (იქვე, 475).

<sup>2</sup> Flach, L'histoire du droit romain au moyen âge 1890, 109. კარლო დიდმა რახიმბურგების მაგიერ შემოიღო სკაბინების ინსტიტუტი, სკაბინები (scabini) მუღმივი და პროფესიული მოსამართლენი იყვნენ; სკაბინებისათვის (échevins, გერმანულად — schoeffen) სამართლის ცოდნა სავალდებულო იყო.

862 წელს გამოიცა კაპიტულარი, რომელიც მოსამართლეს ავალებს საქმე განიხილოს კანონის და არა თავისუფალი მოსაზრების საფუძველზე: Ut iudices secundum scriptam legem iuste iudicent, non secundum arbitrium. 875 წელს გამოცემული კაპიტულარი ამბობს: Sed tantum secundum scripturam iudicent... ამისათვის კი, რასაკვირველია, კანონების შესწავლა და იურიდიული ცოდნა იყო საჭირო.

XI საუკ. დასაწყისში გრაფი უ და ლ რ ი ხ ი ფ ო ნ ე ბ ე რ ს ბ ე რ გ ი ამბობს: „Sigebertus Theodoricus ac deinde Carolus iura dictabant, quae si quis potens ac nobilis legere ignoraret, ignominiosus videbatur, sicut in me coaevisque meis apparet, qui iura didicimus“. Siegel, Deutsche Rechtsgeschichte, 1886, S. 37.

რულების გზით ლებულობდნენ; მაგრამ მაინც შეიძლება დავაყენოთ საკითხი ლებულობდნენ თუ არა ისინი წინასწარ რაიმე იურიდიულ განათლებას?

ფეოდალური ევროპა იცნობდა შვიდ „თავისუფალ ხელოვნებას“<sup>1</sup> და ამის შესაბამისად სასკოლო სწავლება გაყოფილი იყო ორ საფეხურად: „ტრივიუმ“<sup>2</sup>, სადაც სამ ზოგად დარგს — გრამატიკას, დიალექტიკას და რიტორიკას — ასწავლიდნენ, და „კვადრივიუმ“<sup>3</sup>, სადაც ასწავლიდნენ ოთხ განსაკუთრებულ დარგს — არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიასა და მუსიკას; სკოლები მეტწილად საეკლესიო მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული; მოწაფე იურიდიულ ცოდნას გრამატიკასთან და რიტორიკასთან დაკავშირებით ლებულობდა<sup>4</sup>; ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არსებობდა სპეციალური სკოლები, სადაც რომაულ, კანონიკურ და ლანგობარდულ სამართალს ასწავლიდნენ; შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ რომაული სამართალი აღრინდელი ფეოდალიზმის დროსაც სწავლების საგანს შეადგენდაო, ეყრდნობა მე-XII საუკ. იურისტის ოდოფრედის მოწმობას<sup>5</sup>.

ამგვარად, რომის სამართლის სწავლება და მეცნიერული დამუშავება თითქოს განუწყვეტლივ წარმოებდა VI საუკუნიდან XII საუკუნემდე სპეციალურ სკოლებში. მაგრამ ეს აზრი სადაოდ არის მიჩნეული; ყოველ შემთხვევაში, ექვს გარეშეა, რომ ელემენტარული სწავლა იურიდიული წყაროებისა, თუნდაც ნაწყვეტების სახით, მაინც არსებობდა სკოლებში და უკავშირდებოდა, როგორც ვთქვით, ორ დარგს — გრამატიკასა და რიტორიკას<sup>6</sup>. მე-XII საუკუნიდან კი ბოლონიაში იწყება გაღრმავებული შესწავლა რომაული სამართლისა, ეს უკვე იურიდიული რენესანსის ხანაა.

<sup>1</sup> Artes liberales.

<sup>2</sup> Trivium.

<sup>3</sup> Quadrivium.

<sup>4</sup> Flach, op. cit. pp. 105, 106.

<sup>5</sup> ოდოფრედის თანახმად „... Studium fuit primo Romae, postea, propter bella, quae fuerunt in Marchia, destructum est studium. Tunc in Italia secundum locum obtinebat Pentapolis, quae dicta postea Ravenna est... Postmodum fuit translatum studium (Bononiam).“

<sup>6</sup> ფიტინგის სიტყვით, ბავშვები სწავლას იწყებდნენ 7 წლის ასაკიდან, სამ წელს ანდომებდნენ ელემენტურ სწავლას, რის შემდეგ, საერთო წესით, 8 წელიწადს გადიოდნენ artes liberales. მეტი დრო დათმობილი ჰქონდა ტრივიუმის საგნებს. რიტორიკასა და საბართალს 15 ან 16 წლის ყმაწვილები ეცნობოდნენ. Fitting, Die Anfänge der Rechtsschule zu Bologna, 1888, S. 29, 30.

სკოლების და სწავლა-განათლების შესახებ ძველს საქართველოში იხ. აკად. კ. კეკელიძე. მისი სიტყვით, პირველდაწყებითი ელემენტალური სკოლები საქართველოში უკვე უძველეს ხანაში (V—VII სს.) ყოფილა. ასეთ სკოლებში, „როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, ისწავლებოდა „დავითი კმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოთა... და მწიგნობრობაჲ მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი“. მათი დანიშნულება წმინდა პრაქტიკული იყო. მე-XI საუკუნეში „... ბერძნულ სკოლათა ყაიდაჲჲ თვით ქართველებიც აწყობენ თავიანთსაკუთარ სკოლას როგორც საზღვარგარეთ ბიზანტიაში, ისე საქართველოში“. 1083 წელს გრიგოლ ბაკურიანის მიერ დაარსებული იყო პეტრიწონის მონასტერში სემინარია. „პეტრიწონის სკოლის ტრადიციების შემწყნარებლად და განამარტყმლებლად გამოდის საქართველოში გელათის მონასტერი“, რომლის შესახებ მემატინე ამბობს: „აწ წინამდებარე არს ყოველისა აღმო-



ფეოდალურ საქართველოში კულტურის კერას მონასტერი წარმოადგენდა. მონასტერი იყო ის ცენტრი, სადაც წარმოებდა გაცხოველებული იდეოლოგიური მუშაობა და საიდანაც სწავლა-განათლება სახელმწიფოს შორეულ კუთხეებშიც ვრცელდებოდა; რასაკვირველია, ფეოდალიზმის შესაბამისად ამ სწავლა-განათლებას გარკვეული სარწმუნოებრივი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ეს ითქმის არა მარტო საქართველოზე, არამედ მთელ იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროზე.

საქართველოს მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, ბიზანტიიდან მიიღო მან სარწმუნოება და ბიზანტია ახდენდა მასზე არა მარტო რელიგიურ, არამედ ღრმა პოლიტიკურსა და საერთოდ კულტურულ გავლენას. საქართველოს საუკეთესო წარმომადგენელი ხარბად ეწაფებოდნენ საბერძნეთის შემოქმედების ნაწარმოებებს — ცნობილია თუ რა დიდი რაოდენობით თარგმნიდნენ ისინი ბერძნულ ენაზე არსებულ ნაშრომებს, ზოგჯერ კი ქართულიდანაც ბერძნულად უთარგმნიათ. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო ადგილი მათ შორის უჭირავს ექვთიმე მთაწმიდელს, რომლის მოღვაწეობას სამართლის დარგისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; მას უთარგმნია ორი ცნობილი ძეგლი საეკლესიო სამართლისა: 1. VI მსოფლიო კრების სჯულის კანონი და 2. ნომოკანონი იოანე მმარხველისა<sup>1</sup>; ორივე ძეგლი მოქმედი საეკლესიო სამართლის ნორმებს შეიცავდა და, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფართო იურისდიქციას, რომლითაც მაშინ საეკლესიო სასამართლოები სარგებლობდნენ, ჩვენთვის გასაგები გახდება ის მნიშვნელობა, რომელიც ამ ორ იურიდიულ კრებულს ჰქონდა მინიჭებული: ორივე მოქმედებდა როგორც ბიზანტიის, ისე საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში. საეკლესიო სამართალი ამით არ ამოიწურებოდა: მას ჰქონდა კიდევ სხვა მრავალი ნორმები, რომლებიც აწესრიგებდნენ ეკლესიის შინაგან ურთიერთობებს და აგრეთვე მის დამოკიდებულებას საერო პირებთან და საერო ხელისუფლებასთან<sup>2</sup>.

სავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისა, მოძღურად სწავლულები-სად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“. აკად. კ. კეკელიძის სიტყვით „სახლგარგარეთული ლიტერატურული ტალღა პირველად ყოვლისა აქ ჰპოულობდა გამოძახილს და აქ ითარგმნებოდა შესანიშნავი ფილოსოფურ-თეოლოგიური ნაწარმოებნი ბიზანტიის აზროვნებისა. აქვე, ექვს ვარეშეა, მოწყობილი იყო სისტემატური საეციალური სასწავლებელი, სადაც იგივე სული და ტრადიციები ტრიალებდა, რაც თანამედროვე ბიზანტიის უმაღლეს შკოლებში“. ქართული ლიტერატ. ისტორია, ტ. I, 1923, § 4, 81—116.

იქვე მოყვანილია საინტერესო მასალა სწავლა-განათლების შესახებ ძველ საქართველოში.

<sup>1</sup> 1. კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ კონსტანტინოპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა მმარხველ ეწოდა. 2. მცირე რჩულის კანონი მეექუსისა კრებისაჲ.

<sup>2</sup> „საქართველოს ეკლესია თავის მართვა-გამგეობაში ხელმძღვანელობდა აგრეთვე საკუთარი, ადგილობრივი კანონმდებლობით, რომლის ორგანოდ და წყაროდ ითვლებოდა: ა) კერძო პირთა განმარტებანი, ბ) კათოლიკოზ-პატრიარქთა ეპისტოლენი, გ) სამოქალაქო ხასიათის იურიდიული კოდექსები და დ) ქართულ ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი“. აკად. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 612.



ამ იურიდიული მასალის ცოდნას, მის შესწავლას და გამოყენებას მკაცრად დიკას, ე. ი. პრაქტიკაში შეფარდების წესების ათვისებას, ეჭვს გარეშეა, მონასტრებში მოწყობილი სკოლები იძლეოდნენ; მაგრამ ყველაფერი ეს ეხება კანონიკურ სამართალს; როგორი იყო მდგომარეობა საერო სამართლის დარგში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ, რამდენადაც საქმე ეხებოდა დაწერილ სამართალს, ე. ი. ხელისუფლების მიერ გამოცემულ საკანონმდებლო აქტებს, ალბათ, სკოლებში ამ საკანონმდებლო აქტების ტექსტის განხილვა და შესწავლა წარმოებდა, მეტწილად ეკლესიის მსახურთა მეშვეობით<sup>1</sup>; ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ მოსაზრებით, რომ სწავლა-განათლების მიღება საერთოდ ეკლესიის ხელთ იყო და მისი დახმარებით ხდებოდა. მოსწავლე ამ ტექსტის განხილვის გზით იძენდა ენის, გრამატიკული ფორმების ცოდნას და იმავე დროს ეცნობოდა იურიდიულ მასალას. ამგვარად, ჩვენ მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზში არაფერია ისეთი, რაც დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული როგორც ისტორიული, ისე პედაგოგიური თვალსაზრისით; იგი სავსებით შეესაბამება მაშინდელი პედაგოგიკის წესებს.

სხვა მდგომარეობას ექნებოდა ადგილი, როდესაც ცხოვრების ამა თუ იმ პირობების გამო წამოიჭრებოდა საკითხი ადათობრივი სამართლის რომელიმე ნორმის, ე. ი. დაუწერელი სამართლის არსებობის და გამოყენების შესახებ; აქ უკვე საქმე ეხებოდა სამართლის ისეთ დარგს, რომელიც უშუალოდ საზოგადოების ცნობიერებასთან იყო დაკავშირებული; დამწერლობას უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა და სადაო საკითხი უნდა გადაეწყვიტათ იმ პირებს, რომელთაც ტრადიციის, გადმოცემის საფუძველზე ჰქონდათ ცოდნა იმ სამართლებრივი ნორმებისა, რომელთაც ჩვეულებრივად მოცემულ კონკრეტულ შემთხვევებს უფარდებდნენ; ადათობრივი სამართლის დარგში სარგებლობდნენ მცოდნე პირების დახმარებით, რომლებიც იძლეოდნენ თავის დასკვნას იმის შესახებ, არსებობს თუ არა სათანადო ნორმა. ამგვარად, როცა იჭრებოდა საკითხი დაწერილი ნორმის შესახებ, ამ საკითხს სჭრიდა საკანონმდებლო დოკუმენტი, ხოლო, როდესაც საკითხი ეხებოდა ადათობრივ ნორმას, უკანასკნელს სწყევტდა მცოდნე პირთა გამოცდილება.

ზემოთ გადმოცემული შეხედულება არ უნდა გავიგოთ იმ მნიშვნელობით, რომ ძველი საქართველოს ეკლესიასთან თითქოს განსაკუთრებული სკოლები არსებობდა, რომლებიც სპეციალურ იურიდიულ ცოდნას იძლეოდნენ. ჩვენ მხოლოდ ვფიქრობთ, რომ მონასტრებთან, როგორც კულტურის სწავლა-განათლების ცენტრებთან, მოწყობილი უნდა ყოფილიყო სასწავლებლები, სადაც ყმაწვილები სასულიერო ლიტერატურის ათვისებასთან ერთად კანონიკური სამართლის და, შესაძლოა, საერო კანონმდებლობის თუნდაც ელემენტარული მასალის ცოდნას ღებულობდნენ. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებიდან ვიცით, რომ მან საქართველოდან ათონზე დაბრუნებისას თან წაიყვანა 80 უღედამამო და უპატრონო ბავშვი „აღსაზრდელად და მონასტერში ქართველ ბერთა და მოღვა-

<sup>1</sup> საექლესიო მწერლობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეგრეთწოდებულ ვახუშტიკას, ე. ი. საღმრთო წერილის ტექსტების ახსნა-განმარტებას ეკავა. ეკლესიის მსახურნი ტექსტების ახსნა-განმარტების წესების მცოდნე პირები იყვნენ და ეს გარემოება გაუადვილებდა მათ საკანონმდებლო მასალის კომენტარების, ინტერპრეტაციის საქმეს.



შუთა რიცხვის გასაძლიერებლად<sup>1</sup>. ბავშვთა ამ მრავალრიცხოვანი ჯგუფისათვის ათონის მონასტერში უსათუოდ სათანადო სკოლა უნდა ყოფილიყო მოწყობილი და თვით საქართველოშიც, ცხადია, იგივე წესი იქნებოდა მიღებული. საქართველოში უმაღლესი სასწავლებლები, აკადემიები, არსებობდა, სადაც სხვადასხვა მეცნიერებათა შორის იურისპუდენციას, სამართლის მეცნიერებასაც სათანადო ადგილი ექნებოდა დათმობილი<sup>2</sup>. ზემოთ დასახელებული „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“, აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, პროფესიული იურისტები არიან და მათი მოწვევა რთული იურიდიული საკითხების გადასაჭრელად ბაგრატ IV (XI საუკ. შუა წლები) საქიროდ უცვნიან; ეს ფაქტი თავისთავად მოწმობს, რომ სამართლის დარგი საქმაოდ განვითარებული ყოფილა „X—XI სს. გამოჩენილ სამართლის მეცნიერთა ინტენსიური მუშაობის წყალობით“<sup>3</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილი, ჩერდება რა ამ საკითხზე, მიუთითებს ზემოთ მოყვანილი შეხედულების მოულოდნელობაზე; მისი სიტყვით, ჩვენთვის ამჟამად ბევრი რამ გაუგებარი და მოულოდნელია იმიტომ, რომ ძველების დაღუპვის და შეუსწავლელობის გამო ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება იმ მუშაობის შესახებ, რომელიც სამართლის მეცნიერების სფეროში წარმოიბოძა, თანამედროვე თვალსაზრისით სწორედ რომ მოულოდნელია აზრი, რომელიც ამტკიცებს, რომ ქართველები ჯერ კიდევ X საუკუნეში სამართლის მეცნიერების სფეროში ინტენსიურ მუშაობას ეწეოდნენო.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს ექვთიმე მთაწმიდელის ღვაწლს ქართული სამართლის ისტორიის წინაშე: „... თვით ისეთი შესანიშნავი პირის ღვაწლის შესახებ, როგორც ეფთვიმე მთაწმიდელს, როგორც ახლა გამოირკვა, ქართული სამართლის ისტორიის წინაშე ჰქონია, აქამდის არა ვიცოდით რა და ბოლოს დრომდის ის თითქმის მხოლოდ ვითარცა ბერძნულის დახელოვნებული მთარგმნელი იყო“<sup>4</sup>. საფიქრებელია, რომ იურიდიული მწერლობა ექვთიმე მთაწმიდელზე ბევრად უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, იგი ვერ ჩაითვლება ამ დარგის საფუძვლის ჩამყრელად საქართველოში, ვინაიდან ქართული მეცნიერული აზროვნება ბიზანტიის მწერლობას დიდი ხნით ადრე ეტანებოდა და ცნობილია, რომ სამართლის დარგს ბიზანტიაში საქმაოდ თვალსაჩინო ადგილი ეკავა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაინც უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ ფაქტს, რომ ქართულ ეკლესიას თვით თავისი საკუთარი მოთხოვნებისა-

<sup>1</sup> აკად. ვ. კეკელიძე, ქართული ლიტერატ. ისტორია, ტ. I, 1923, გვ. 217.

<sup>2</sup> К истории грузинской педагогики, проф. Г. Тавшишвили, Советская педагогика, 1941, № 9, стр. 60—67.

ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ XI—XII სს. ქართული აკადემიების როლი საქართველოს კულტურის ისტორიაში ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ჩვენ ამჟამად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საქმაო მონაცემთა უქონლობის გამო. სამეცნიერო ძალების გარდა საპირთონი იყვნენ პრაქტიკული მოღვაწეებიც: პედაგოგები, ექიმები, მოსამართლენი ეკლესიის მსახურნი და სხვ. ავტორი აყენებს საკითხს: სად ამზადდებდნენ ამ მოღვაწეებს და უპასუხებს: პირველ ყოვლისა და უმთავრესად ქართულ აკადემიებშიო (ხნ). მომავალი ბევრ საინტერესო მასალას მოგვცემს ამ დარგში.

<sup>3</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, 2, 1929, გვ. 537.

<sup>4</sup> იქვე.

თვის, წმინდა პრაქტიკული მიზნებისათვის სჯირდებოდა სამართლის საკითხების ცოდნა და დამუშავება და ამ ცოდნის მისაღებად ის, რასაკვირველია, მიმართავდა იმ ქვეყანას, საიდანაც მან მიიღო სარწმუნოებრივი დოგმატები და საეკლესიო ორგანიზაციის წესები და სადაც სამართლის დარგი, თუმცა აღარ იღვანისტიანიანეს ეპოქის დონეზე, მაგრამ მაინც, როგორც რომის მემკვიდრე, მეზობელ ქვეყნებისათვის ყოველთვის მიმზიდველი ძალა იყო და მისაბამ მაგალითს წარმოადგენდა<sup>1</sup>. თუ საქართველოს უკვე XI საუკუნის შუა წლებში ჰყავდა პროფესიული იურისტები, ე. ი. სპეციალური იურიდიული ცოდნის მქონე პირები, რომელნიც მეფის მოწვევით მონაწილეობას იღებდნენ სამართლის რთული საკითხების გადაწყვეტაში, უნდა მივიღოთ ის დასკვნა, რომ საქართველოში უკვე იმ ხანაში ადგილი ჰქონია პროფესიულ იურიდიულ განათლებას. უნდა დავუშვათ ისიც, რომ სამწერლობო მუშაობა იურიდიულ სფეროში ექვთიმე მთაწმიდელზე უფრო ადრე დაწყებულა<sup>2</sup>. ამგვარ დასკვნას ამაგრებს თუნდაც ექვთიმე მთაწმიდელის იურიდიული ენა, რომელიც თავისი დამუშავებით და დახვეწილობით, გამართულობით ხასიათდება, მის იურიდიულ თარგმანებში მოცემულია ზუსტი და შესანიშნავი ტერმინოლოგია, რომელიც ნაწილობრივად ამჟამადაც შეიძლება იქნას გამოყენებული; ჩვენ კი ვიცით, რომ ამგვარი დახვეწილი სპეციალური ენა ერთბაშად არ იქმნება, იგი ხანგრძლივი შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

<sup>1</sup> იგივე ითქმის კულტურის სხვა მხარეებზეც. კონსტანტინობოლოში დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან განათლების მისაღებად მოდიოდა ახალგაზრდობა. ჩვენ ვიცით, თუ როგორი განცვიფრებით შეეცქეროდნენ ბიზანტიის კულტურას ამაყი ჯვაროსნები, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში ცხოვრების ტლანქ და უხეშ პირობებს იყვნენ შეჩვეულნი.

ბიზანტიაში იუსტინიანეს დროს არსებობდა იურიდიული აკადემიები. იურიდიულ სკოლებში სასწავლო კურსი 5-წლიანი იყო. იუსტინიანეს „Corpus“ შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან შეგუების მიზნით გადამუშავებული იყო; 740 წ. ლეონ ისავრიელის შეფობაში გამოცემულ იქნა ეკლოგა. უფრო ვრცლად იქნა გადამუშავებული იუსტინიანეს კანონმდებლობა ბასილი მაკედონელისა და ლეონ ბრძენის მეფობაში (IX, X სს.), რომლებმაც გამოსცეს პროხირონი და ბაზილიკები. ამ უკანასკნელი კანონმდებლობის საფუძველზე აწარმოებდა თავის მუშაობას იურიდიული მწერლობა როგორც ბაზილიკების კომენტარიების, ისე სხვადასხვა შემოკლებული გადმოცემის და სახელმძღვანელოების (*επιτομαι, εκλογαι, προχειρα* და სხვ.) შედგენის სახით. ერთერთი მათგანი გალექსილი სახითაც კი იყო შედგენილი 1072 წ. Psellos-ის მიერ იმპერატორ მიხეილ დუკასათვის.

ამის შემდეგ იწყება საბოლოო დაქვეითება ბიზანტიური სამართლის, რომლის ყველაზე უფრო გვიანდელ ძეგლად თვლიან თესალონიკის მისამართლის არქივოპულოს მიერ 1345 წელს შედგენილ კომპილაციას ექვს წიგნად (იხ. Покровский, История римского права, 1918, 186).

<sup>2</sup> პროფ. ს. ყაუხჩიშვილს მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში) მეოთხე საუკუნეში არსებობდა რიტორიკის სკოლა, სადაც სათანადო განათლების მისაღებად ახალგაზრდობა ბიზანტიიდანაც ჩამოდიოდა. როგორც ჩანს, კოლხეთში იმ შორეულ ხანაში კულტურა მაღალ დონეზე მდგარა, რასაკვირველია, საბერძნეთის უშუალო ზეგავლენით, საგულსინძოა, რომ რიტორიკა რომსა და საბერძნეთში, აგრეთვე ფეოდალურ ევროპაშიც სამართლის დარგთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და, ალბათ, კოლხეთშიც იმავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი. იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, რიტორიკური განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B, 1940 წ.



ყველა ამ მოსაზრების გამო გადაჭარბებულად არ უნდა ჩაითვალოს ზემოთ გამოთქმული აზრი იურიდიული განათლების შესახებ ძველ საქართველოში; სპეციალური იურიდიული სკოლები, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ ფეოდალურ ევროპაში, რასაკვირველია, მოწყობილი არ იქნებოდა, მაგრამ იურიდიული წყაროებისა და საბუთების, განსაკუთრებით კი საეკლესიო სამართლის წყაროების შესწავლას, მათ ანალიზს და დამუშავებას უსათუოდ ექნებოდა ადგილი.

ქართული იურიდიული მწერლობის ინტერესი პრაქტიკული და საკანონმდებლო საკითხებით არ განისაზღვრებოდა. როგორც ჩანს, მას სამართლის ფილოსოფიის ცნებებიც ჰქონდა შეთვისებული. ოქროს ანუ კლასიკური ხანის მწერლობა იცნობს იმ მოძღვრებას, რომელიც პირველად ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფიაში ჩაისახა და ჩამოყალიბდა; ეს არის ბუნებითი სამართლის მოძღვრება, რომლის თანახმად დადებითი, ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი სამართლის გარდა არსებობს კიდევ მარადიული სამართალი, უკანასკნელის ნორმები ადამიანის უცვლელი ბუნებიდან გამომდინარეობენ; რომელიმე ისტორიულად მოცემულ სახელმწიფოში მოქმედი სამართალი გარდამავალია, იგი განსაზღვრულია ამ სახელმწიფოს მოთხოვნილებებითა და მიზნებით, ბუნებითი სამართალი კი დამყარებულია მუდმივ საფუძველზე, იგი ეკუთვნის არა ცალკეულ სახელმწიფოს, არამედ საერთოა ყველა ერისათვის, მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა. ამგვარად, ეს მოძღვრება ერთმანეთს უპირისპირებს სამართლის ორ სახეს: ბუნებითსა და დაწერილს, მარადიულს და ცვალებად სამართალს. ბუნებითი სამართლის თეორია ხშირად გვხვდება საბერძნეთის ფილოსოფიაში, საიდანაც ზღვი გადატანილ იქნა რომის მწერლობაში და იქ დიდი გავლენით სარგებლობდა; იმავე თეორიის გავლენას ვხვდებით საშუალო საუკუნეებშიც; სქოლასტიკის უდიდესი წარმომადგენელი თომა აკვინელი იცნობს ბუნებით სამართალს და უყურებს მას, როგორც მარადიული კანონის (*lex aeterna*) გამოხატულებას.

ანტიკურ საბერძნეთში ბუნებითი ანუ დაუწერელი სამართლის ცნებას აქვს წმინდა ფილოსოფიური ხასიათი, მასში არ არის ისეთი ელემენტი, რომელიც რელიგიურ მსოფლმხედველობას მოგვაგონებდეს. რომშიც ეს ცნება თავისუფალია სარწმუნოების ზეგავლენისაგან და ეს სრულიად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რომაელებმა შედარებით ადრე დაიწყეს განსხვავების გატარება სარწმუნოებასა და საერო სამართალს შორის; *jus* ადრე გამოიყო *fas*-ისაგან<sup>1</sup>.

ქართულმა მწერლობამაც ისეხა ეს გავრცელებული მოძღვრება ბუნებითი, მარადიული, თანდაყოლილი სამართლის შესახებ, მაგრამ უკანასკნელმა, თანახმად მთელი იმდროინდელი მსოფლმხედველობისა, მიიღო აშკარად რელიგიური ხასიათი. ფეოდალური მეცნიერება საერთოდ ქრისტიანული თეოლოგიის საფუძველზე იყო აგებული და გასაგებია, რომ ბუნებითი სამართლის მოძღვრებაც

<sup>1</sup> ამ განსხვავებას რომაელები შემდეგი სიტყვებით გამოსთქვამენ: „*fas ad religionem, jura pertinent ad homines*“. იხ. იერინგი, *Geist des röm. Rechts...*, Erster Theil, 1878, 265 შშ. *Gegensatz des religiösen und weltlichen Recht (fas und jus)*. Girard, Manuel élém. du droit romain, 1911, p. 1.



იმავე სულით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული. „მაშინდელი მოძღვრების მიხედვით, ამბობს აკად. ივ. ჯავახიშვილი, შემოქმედმა პირველ ადამიანსა და საერთოდ მთელ ადამიანთა მოღვმას მათი ყოფაცხოვრებისა და მოქმედების „სჯული“ დაუწესა. ეს სჯული თვით ადამიანთა ბუნებასაც ჰქონდა თანდაყოლილი და მცნებითაც შთაგონებულ იქმნა. ამიტომ ეს „ბუნებითი სჯული“ იყო. არქიპიერატრიკონში ასეთი ვედრებაა ჩართული: „უფალო, რომელმან სჯული დასდევ საზღვარსა ყოველთასა და ნებით წესი განუჩინე ყოველთა შენ მიერ დაბადებულთა“-ო<sup>1</sup>. ეს სჯულის საზღვარი და წესი დადგენილია თვით ღვთაების მიერ. ბუნებითი სჯულის გვერდით არსებობს „დაწერილი სჯული“ ანუ „სჯული წიგნისაჲ“, ე. ი. კანონები, გამოცემული ხელისუფლების მიერ, რომელთა მიზანს შეადგენს „კეთილწესიერების“ დაცვა და უზრუნველყოფა“<sup>2</sup>.


ასეთი იყო ქართული იურიდიული მწერლობის მდგომარეობა სამართლის თეორიის სფეროში. მეორე მხრივ, თუ ავიღებთ იმ სპეციალურ დარგს, რომელიც ჩვენ განსაკუთრებით გვინტერესებს, ე. ი. სისხლის სამართლის დარგს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული აზროვნება აქაც, ამ სპეციალური დარგის საკითხებისადმიც იჩინდა დიდ ინტერესს და ამუშავებდა მათ. ამის დასამტკიცებლად საკმარისია გადავხედოთ იმ მასალას, რომელიც შეკრებილი აქვს თავის ქართული სამართლის ისტორიაში აკად. ჯავახიშვილს; ამ შესანიშნავ ნაშრომში თავმოყრილია მდიდარი მასალა სამართლის სხვადასხვა დარგიდან: სახელმწიფო, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და აგრეთვე საპროცესო სამართლის დარგიდან; მკვლევარი შეიძლება არ დაეთანხმოს ავტორის ზოგიერთ დასკვნას, მაგრამ მაინც უდავოა, რომ მის მიერ კეთილსინდისიერად და ზუსტად მოყვანილი მასალა, კრიტიკულად დადგენილი ისტორიული ტექსტები გვაძლევს მტკიცე დასაყრდენს ამა თუ იმ იურიდიული ინსტიტუტის ბუნების და ისტორიული წარმოშობის ვაგებისათვის.

როდესაც აკად. ივ. ჯავახიშვილი ახასიათებს ექვთიმე მთაწმიდელის მოღვაწეობას სამართლის სფეროში, იგი აღნიშნავს, როც ექვთიმე მთაწმიდელს უბრალოდ კი არ უთარგმნია ბერძნული ორიგინალები, არამედ გადაუმუშავებია ისინი და შეუტანია თარგმანში თავისი საკუთარი განმარტებანი; მას წამოუყენებია ზოგადი მოძღვრება მკვლევლობისა და საერთოდ დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ. „საგულისხმოა, ამბობს ივ. ჯავახიშვილი, რომ, რაც მათ (ბერძენ ავტორებს — ა. ვ.) აკლია, — მოვლენათა ზოგადი შინაარსის შესახები მსჯელობა და დანაშაულებათა ზოგად თვისებათა გამოჩვენების ცდა, — სწორედ ის ეფთვიმე მთაწმიდელს მოეპოვება“. უკანასკნელს „სამართლის სფეროში ზოგადი თეორიული მსჯელობის ნიჭი მცირე სჯულის კანონისა და შეცოდებულთა კანონების თარგმან-განმარტებაში აღუბეჭდია“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტორია, II, 2, გვ. 251; აგრეთვე ტ. I, 132, 133.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 252.

<sup>3</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, II, 2, 263. „პროფ. ვლ. ბენეშევიჩს აღნიშნული აქვს, რომ ეფთვიმეს რედაქციის მსგავსი რედაქცია ბერძნულში ვერ აღმოაჩინა, ისიც ფიქრობს, რომ ეფთვიმეს თარგმნის დროს რამდენიმე რედაქცია უნდა ჰქონოდა და



იოანე მმარხველის ნომოკანონში, რომელიც ეფთვიმე მთაწმიდელმა გადა-  
მუშავებული სახით თარგმნა, მოცემულია შეხედულება სასჯელის სახეების ისტო-  
რიულ განვითარებაზე; ეს შეხედულება, რასაკვირველია, აგებულია საღრმითო  
წერილის ნიადაგზე: სასჯელის ფორმების, მისი მიზნების, დანიშნულების ისტო-  
რიული ცვალებადობა შეფარდებულია ქრისტიანული ეკლესიის მსოფლმხედვე-  
ლობასთან და ღვთაებრივი ნებისყოფით არის ახსნილი.

ღვთაებას ჰსურს არა სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მისი მოქცევა, მონა-  
ნიება და გამოსწორება; ამიტომაც პირველ ადამიანებს, რომლებმაც დაარღვიეს  
მისი მცნება, ექსორია უყო სამოთხიდან, რათა გამოსწორებულიყვნენ, მაგრამ,  
ვინაიდან ადამიანმა დაკარგა შიში ღვთისა, უკანასკნელმა მოავლინა წარღვნა,  
ხოლო, როდესაც უკეთურება გამრავლდა, ცეცხლით დაწვა რამდენიმე ქალაქი,  
იხილა რა, რომ არც ამ ზომამ იქონია თავის შედეგად ადამიანთა გასწორება,  
სინანული და „ცოდვითაგან დაცხრობაჲ“, მისცა კაცობრიობას ძველი სჯული,  
მოსეს მიერ აღწერილი და „ბრძანა ხორციელთა ტანჯვითა წურთად მოქ-  
მედთა ცოდვისათა, რაჲმცა შიშითა მით ტანჯვისაჲთა დასცხრეს უკეთურებაჲ  
კაცთაჲ და ცოდვისა მიმართ წარმდებობაჲ“ — დააწესა ხორციელი სასჯელი,  
იმ მიზნით რომ, აღკვეთილ იქნას სიბოროტე და ცოდვისადმი მიდრეკილება.  
ხოლო, როცა ამოწურული იყო ყველა გამასწორებელი საშუალება ადამიანთა  
სიბოროტისაგან სიკეთისადმი მოქცევისა, „ღმერთმან მოდრიკნა ცანი და გარდა-  
მოვიდა ქუეყანად“ და „აიხუნა ცოდვანი ჩუენნი“<sup>1</sup>.

ეს დებულებები საუკეთესოდ გამოხატავენ რელიგიურ კონცეფციას სის-  
ხლის სამართლის სფეროში: დანაშაული განხილულია როგორც ღვთაებრივი  
ნებისყოფის, მის მიერ გამოცემულ მცნებათა გადალახვა, ხოლო სასჯელი რო-  
გორც ღვთაებრივი განგებით დადგენილი „ხორციელი ტანჯვა“; სასჯელის მიზ-  
ნად მიჩნეულია დანაშაულის დაშინება და გამოსწორება.

კლასიკური პერიოდის მეორე გამოჩენილი მოღვაწის ეფრემ მცირის  
შეხედულება სასჯელის ისტორიულ განვითარებაზე კანონიკურ ლიტერატურაში  
მიღებულს არ ეთანხმება და, შეიძლება ითქვას, რამდენადმე უახლოვდება იმას,  
რომელიც სასჯელის ნამდვილ, ფაქტიურ განვითარებას გამოხატავს. ეფრემ მცი-  
რის აზრით, პირველ საფეხურზე სასჯელი დანაშაულისათვის შურისძიება, სამა-  
გიეროს მიზლგაა ან, როგორც იგი ამბობს „აღდულებითა სისხლისათა ქმნილი  
განძვინებაჲ მრისხანებისაჲ“. მაგრამ განვითარებულ სახელმწიფოში სასჯელი  
უკვე ამგვარ მიზანს ვერ დაისახავს, სასჯელი მართლმსაჯულების და სამართლი-  
ანობის განხორციელების საქმეს უნდა ემსახურებოდეს<sup>2</sup>.

დედანიც მისგან თავისებურად უნდა იყოს გადაკეთებული“ (აკ. ივ. ჯავახიშვილი, I, 36). იგივე  
შემოქმედება გამოუჩენია ეფთვემს მეორე ძველის თარგმნის დროს: „...ცხადი ხდება, ამბობს  
აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომ „წესი და განგება და სჯულისკანონი მეექუსისა კრებისა“ უბ-  
რალო და უშუალო თარგმანი კი არ უნდა იყოს, არამედ ეფთვემ მთაწმიდელის მიერ გადაკე-  
თებული და განმარტებებით შემუშავებული რედაქცია“ (იქვე, 33).

<sup>1</sup> Номоканов Иоанна Постника, изд. Заозерский и Хаханов, 1902, 6—8.

<sup>2</sup> მისი დანიშნულებაა «მართლმსაჯულებითი იგი მიკვდა პატიჟსაჲ». აკად. ივ. ჯავა-  
ხიშვილი, დასახ. ნაშრ. II, 2, 535.



აღნიშნული პერიოდის იურიდიულ მწერლობაში და მოქმედ სამართალ-შიაც ცნობილი იყო ის თეორიები, რომელთაც თანამედროვე მეცნიერება პრევენციის თეორიებს უწოდებს. პრევენციის თეორიები ხასიათდება მით, რომ სასჯელის მიზანს ისინი ხედავენ დანაშაულის ჩადენის წინასწარ აცილებაში, მათთვის მნიშვნელობა აქვს არა შელახული გრძობის დაკმაყოფილებას, არა სამაგიეროს მიზლვას ჩადენილი ქმედობისათვის, არამედ სარგებლიანობის მოტივს, საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ინტერესების დაცვას, მათ უზრუნველყოფას. მოძღვრებები პრევენციის შესახებ უკვე ძველი დროის მწერლობაში გვხვდება; მათ ჩვენ ვნახულობთ ძველი საბერძნეთის ფილოსოფიურ სისტემებში; პრევენციის დამუშავებულ ცნებას გვაძლევს პლატონის ფილოსოფია; თავის დიალოგებში პლატონი არაერთხელ ეხება სასჯელის საფუძვლების, შინაარსის და მიზნების პრობლემას და ამტკიცებს, რომ სახელმწიფო დანაშაულებრივი ქმედობა, არამედ იმ მიზნით, რომ არც ამ პირმა და არც სხვებმა მომავალში არ ჩადინონ დანაშაული; დასჯითი პოლიტიკა უნდა ემსახუროდეს შემდეგ მიზნებს: დანაშაულის გამოსწორებას, სხვა პირთა დაშინებას, გაუსწორებელ ბოროტ-მოქმედთა უვნებლყოფას. პლატონის მიხედვით, უაზრობაა დასჯა ადამიანისა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ჩადინა რაიმე დანაშაული — ჩადენილს ხომ ვერაინ ვაზდის ჩაუდენლად, — რაც მოხდა, ის სამუდამოდ წარუშლელია<sup>1</sup>. გონიერმა კანონმდებელმა იმგვარად უნდა მოაწყოს დასჯითი პოლიტიკა, რომ ამ უკანასკნელს საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის სარგებლობა უნდა მოჰქონდეს, ეს პოლიტიკა პრაქტიკულ, უტილიტარულ მიზნებს უნდა ემსახუროდეს.

მოყვანილი აზრი პლატონის სისტემისათვის შემთხვევითი როდია: იგი მას ხშირად იმეორებს და დაწვრილებით ავითარებს და ასაბუთებს; ამ შეხედულებას პლატონი გამოთქვამს „გორგიაში“ (§ 81), „პროტაგორაში“ (§ 13), მასვე ეხვდებათ „კანონების“ სხვადასხვა წიგნებში, განსაკუთრებით კი მეცხრე წიგნში<sup>2</sup>. საერთოდ უნდა ითქვას, რომ პლატონი საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევს სისხლის სამართლის საკითხებს და მის დიალოგებში ენახულობთ მთლიან მოძღვრებას როგორც დანაშაულის, ისე სასჯელის შესახებ.

ძველი საბერძნეთის მეორე დიდი ფილოსოფოსი არისტოტელე აგრეთვე ჩერდება სასჯელის პრობლემაზე და უკავშირებს მას ეთიკის საკითხებს. „ნიკომაქეს ეთიკაში“ არისტოტელეც ასახელებს სასჯელის პრევენციულ მნიშვნელობას; იგიც იმ აზრისაა, რომ სასჯელის მეშვეობით სახელმწიფო უნდა აღწევდეს პრაქტიკული ამოცანების განხორციელებას და ასეთ ამოცანებად არისტოტელე თვლის დანაშაულის გამოსწორებას და სხვა მოქალაქეთა დაშინებას; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არისტოტელეს მოძღვრებაში პრევენციის იდეას არ მიუღია ისეთი მკვეთრი და უკიდურესი ხასიათი, როგორითაც პლატონის შეხედულება ხასიათდება.

<sup>1</sup> პლატონი, *Νομοι*, XI წიგნი.

<sup>2</sup> *Νομοι*, IX წიგნი. იხ. Gomperz, *Griechische Denker*, 1903, B. II, 516, 517.

პლატონის კონტეფციამ თავისი გამოძახილი ჰპოვა რომაულ მწერლობაში; რომის ლიტერატურაში პლატონის მომხრედ ითვლება სენეკა<sup>1</sup>.

აზრი სასჯელის პრევენციული ფუნქციების შესახებ საკმაოდ გავრცელებული იყო ძველს მწერლობაში, და ექვს გარეშეა, რომ ეს შეხედულება აქედან საეკლესიო მწერლობამაც შეითვისა; ეკლესიამ მისცა მას თეოლოგიური საფუძველი, სასჯელი გამოაცხადა რელიგიურ ინსტიტუტად, რომლის საშუალებითაც ღვთაება კაცობრიობის ისტორიაში თავის მარადიულ მიზნებს ახორციელებდა; მაგრამ იმისათვის, რომ ვიქონიოთ სწორი და სრული წარმოდგენა ეკლესიის მოძღვრებაზე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ მოძღვრების თვალსაზრისით სასჯელის მიზნები პრევენციით არ ამოიწურება: სასჯელის შინაარსს, მის შინაგან ბუნებას შეადგენს სამაგიეროს მიზლვა, ე. ი. ტკივილის, ტანჯვის მიყენება იმიტომ, რომ ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც ღვთაების წინაშე ცოდვას, ე. ი. ღვთაებრივი ნორმის დარღვევას წარმოადგენს და აუცილებლად გამოსყიდვას მოითხოვს<sup>2</sup>. ეკლესიის ძირითადი შეხედულება სასჯელზე მხატვრული სახეებით გამოთქვა და ატემა „ღვთაებრივ კომედიაში“: მისი პოემა ამ მთავარ აზრზეა აგებული.


თუ გადავხედავთ საერო კანონმდებლობის განვითარებას, ენახავთ, რომ აქაც უძველესი დროიდან დაწყებული, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებელი თავის დადგენილებებში იხსენიებს სასჯელის მიზანს და როგორც ასეთს ასახელებს დანაშაულის წინასწარ აღკვეთას. მონათმფლობელური სახელმწიფოს ძველი — მანუს კანონები ამბობენ: სხეულის რომელი ნიწილითაც ქურდი რაიმე გზით ჩაიდენს დანაშაულს ადამიანთა წინააღმდეგ, სწორედ ის ნაწილი მეფემ უნდა აღუკვეთოს მას, რათა წინასწარ აიცილოს დანაშაულის განმეორება<sup>3</sup>.

აქ ტალიონის პრინციპი დაკავშირებულია პრევენციასთან; ამავე დროს ტალიონის აქვს თავისებური, როგორც ჩვეულებრივად ამბობენ, სიმბოლური ხასიათი.

<sup>1</sup> სენეკამ, პლატონის მიბაძვით, პრევენციის მოძღვრება გამოთქვა შემდეგ ფორმულაში: „Nemo prudens punit quia peccatum est, sed ne peccetur. Revocari enim praeterita non possunt, futura prohibentur“.

<sup>2</sup> ეკლესიის წარმოდგენა სასჯელზე კერძო შურისძიების საწინააღმდეგა; ეკლესიისათვის სასჯელი დაზარალებულის კერძო ინტერესის დაკმაყოფილება კი არაა, არამედ ზებუნებრივი წყობის აღდგენაა გამოსყიდვის საშუალებით (la retablissement par l'expiation de l'ordre surnaturel); იგი აღიარებს ორგვარ სასჯელს: 1. სასჯელი როგორც სიაცე, რომელსაც საზოგადოება ღვთაების სახელით მიაყენებს ღვთაებრივი კანონის დამრღვევს (poena vindicativa); 2. სასჯელი როგორც დამნაშავის გასწორების საშუალება (censura, poena medicinalis). (Brissaud, Cours du droit français, ტ. I, 148). პირველი სამაგიეროს მიზლვაა, ხალხმეორე პრაქტიკულ მიზანს ისახავს.

<sup>3</sup> With whatever limb a thief in any way commits (an offence) against men, even of that (the king) shall deprive him in order to prevent (a repetition of the crime). Manu, VIII, 334. არც ერთ კოდექსში სასჯელის მიზნები არაა ისეთი სიძლიერით და თანაც მხატვრული ფორმით დახასიათებული, როგორც მანუს კანონებში. სასჯელი მიჩნეულია მეფედ, იგი მართავს და იცავს ყველა არსებას, სასჯელით არის გამაგრებული წესრიგი, სასჯელის შიშით ყველა ეწევა მისთვის განკუთვნილ საქმიანობას და სხვ. (VII, 17—22).



რომაულ კანონმდებლობაში ხშირად არის აღნიშნული სასჯელის საერთო-პრევენციული, ისე სპეციალურ-პრევენციული მნიშვნელობა<sup>1</sup>.

ფეოდალური პერიოდის იურიდიული ძეგლებიც გარკვეულად და მკვეთრად განსაზღვრავენ რეპრესიული პოლიტიკის პრევენციულ ამოცანებს; ასე, მაგალითად, კარლო V მეფობაში შედგენილი კოდექსი, რომელსაც კაროლინა ეწოდება, ხაზს უსვამს იმას, რომ სასჯელი დაშინების მიზანს უნდა ემსახურებოდეს; ამ კოდექსის მიხედვით, დამნაშავეს სასჯელი უნდა შეეფარდოს პრევენციის მიზნით<sup>2</sup>.

ჩვენ მიერ დაყენებული საკითხის თვალსაზრისით, საინტერესო სურათს იძლევა ფეოდალური რუსეთის ცნობილი ძეგლი „Уложение царя Алексея Михайловича“, რომელიც შედგენილია იმ დროს, როცა მოსკოვის სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლება უკვე საკმაოდ ძლიერი იყო. ამ სახელმწიფოში მოქმედი დასჯითი პოლიტიკის, მისი საფუძვლებისა და მიზნების შესახებ საინტერესო მასალებს იძლევა პროფ. სერგეევსკი. სერგეევსკის აზრით, სამაგიეროს მიზლის საწყისი, როგორც სიმბოროტით გადახდა სიმბოროტისათვის, სუსტად იყო განვითარებული XVII საუკუნის რუსულ სამართალში და თითქმის არ ახდენდა გავლენას დასჯის ღონისძიებათა მოწყობაზე. იმ ეპოქის ადამიანები არ ისახავდნენ სახელმწიფო წყობილების და მმართველობის განყენებულ იდეალებს; სამართლიანობის იდეა მეტად განყენებული იყო და არ შეესაბამებოდა XVII საუკუნის მთელი სახელმწიფო მოღვაწეობის პრაქტიკულ მიმართულებას. სამაგიეროს მიზლის უმარტივეს ფორმას რუსულ სამართალში წარმოადგენს ეგრეთწოდებული მატერიალური ტალიონი, ე. ი. დამნაშავისათვის იმავე ზიანის მიყენება, რაც მისი ქმედობითაა მიყენებული, თანახმად პრინციპისა: თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ. „Уложение“ ცეცხლის წაკიდებისათვის აწესებს დაწვას, ხოლო სხეულის მიძიმე დაზიანებისათვის — დამასახიჩრებელ სასჯელს. ძალიან ახლო დგას მატერიალურ ტალიონთან ტყუილად დამსმენის დასჯადობა, უკანასკნელს უფარდებენ იმ სასჯელს, რომელიც მათ მიერ უსაფუძვლოდ დასმენილ პირებს მოელოდა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> პრევენციის აზრი გამოთქმულია იუსტინიანეს „Corpus“-ის სხვადასხვა ადგილას.

<sup>2</sup> „zu merer forcht andern“ (art. 130) Gobler-ის ლათინური თარგმანით: in maiorem aliorum terrorem), „umb mer forcht willen“ (art. 131), „umb grösser forcht willen“ (art. 137). აქვე უნდა აღვნიშნოთ შუა საუკუნეების იტალიის სტატუტები, სადაც, კოლერის სიტყვით, „die Abschreckungstheorie feiert bereits ihre Triumphe“. სხვადასხვა ქალაქების სტატუტები სასჯელის მიზნად დაშინებას ასახელებენ; მაგალითად, მონტეფელტროს სტატუტი (1384) ამბობს: S'aggiunge la pena alle colpe accio castigo d'uno dia terrore a molti. ბადუას სტატუტი (1259): propter exemplum ut pena unius sit metus multorum; მონტერუბიანოს სტატუტი (1574): ქურდი ისჯება „ad aliorum terrorem“. ამ საკითხის შესახებ კოლერს მოყვანილი აქვს მდიდარი საკანონმდებლო მასალა (Studien aus dem Strafrecht, II, 1895, გვ. 16 და შემდ.) იხ. Pertile, Storia del diritto italiano, V, 1892, § 169: Quale scopo si prefiggesse alla pena.

<sup>3</sup> „Простейшей формой его (სამაგიეროს მიზლის საწყისის — начала возмездия), которую мы находим в русском праве, представляется так называемый материальный тальон...“

Весьма близкой к материальному тальону представляется в русском праве наказуемость ледоносчиков и „ябедников“. По общему правилу, многократно выражае-



სამაგიეროს მიზღვა გამოიხატება კიდევ იმ ორგანოს მოსპობაში, რომლითაც ჩადენილია დანაშაული, რის მავალითაც წარმოადგენს ენის მოჭრა „შმაგი სიტყვებისათვის“ (неистовые речи). პროფ. სერგევსკი აღნიშნავს სამაგიეროს მიზღვის გამოვლინების კიდევ ერთ საინტერესო სახეს XVII საუკ. რუსულ სამართალში; ეს იყო პიროვნებაზე და ქონებაზე მიმართვა იმ ზარალის ანაზღაურებისა, რომელიც მან სახელმწიფოს მიაყენა ან შეეძლო მიეყენებინა; მაგალითად, გაქცეული რეკრუტების დაფარვისათვის თვითონ დამნაშავენი იგზავნებოდნენ ჯარში; ვინც მოთხოვდა სახელმწიფოს სასახლის მიწების გადაცემას იმ ცრუ საბაბით, რომ ის თითქმის თავისუფალია, ისჯებოდა მამულის კონფისკაციით; ის პირი, ვისაც მისი დაუდევრობის გამო პატიმრები გაექცოდნენ, თვითონ იგზავნებოდა გადასახლებაში.

XVII საუკ. რუსულ სამართალში სასჯელთა ორგანიზაციის საქმეში ბატონობდა მიზანშეწონილობის საწყისი, ე. ი. სახელმწიფო ცდილობდა მოეწყო სასჯელთა სისტემა ისეთნაირად, რომ მას მოეტანა განსაზღვრული პრაქტიკული სარგებლობა. ამ მხრივ პირველი ადგილი ეკავა დამნაშავესაგან საზოგადოების უზრუნველყოფას, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უვნებლყოფას მავნე პირებისა, რასაც ძეგლები გამოხატავენ სიტყვებით: „чтобы лихих людей вывести“ და რასაც სახელმწიფო ახორციელებდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯით, მუდმივი გადასახლებით და დამასახიჩრებელ სასჯელთა შეფარდების გზით. ამ ჰირველი მიზნის გვერდით იდგა მეორე მიზანი — თვით დამნაშავეს და სხვა მოქალაქეთა შეკავება დანაშაულის ჩადენისაგან დაშინების საშუალებით; ბუნებრივია, რომ ამ მიზნის განხორციელებას თან სდევდა სასჯელთა მომეტებული სიმკაცრე<sup>1</sup>.

მესამე მიზანი, რომელსაც ემსახურებოდა რეპრესია მოსკოვის სახელმწიფოში, ეს იყო განსაზღვრული მატერიალური სარგებლობის მიღება როგორც სასჯელისაგან, ისე თვით დამნაშავეს პიროვნებისაგან: კანონმდებელი აწესებდა სხვადასხვა სახის ქონებრივ სასჯელებს — კონფისკაციას და ფულად გადასახლელს, და ვარდა ამისა იყენებდა დამნაშავეთა თავისუფალ შრომას გადასახლების ადგილებში; გადასახლების გზით ტარდებოდა ცხოვრებაში მოსკოვის სახელმწიფოს კოლონიზაციური პოლიტიკა; საპატიმრო ადგილებში იძულებითი შრომაც არსებობდა; მაგრამ მას არ ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც თავისუფალს, რომელსაც მაშინდელი რუსეთი მეტ ყურადღებას აქცევდა, ვინა-

тому в памятниках, виновные в преступных деяниях этого рода должны были подвергаться тем же самым наказаниям, которым подвергались бы лица, неправильно ими обвиняемые. „Буде кто на кого учнет извещать, затеяв напрасно — говорит законодатель — и сыщется про то допряма, и тем людям быть самим в таком же наказании и в смертной казни, чего те люди довелись“. С е р г е е в с к и й, Наказание в русском праве XVII века, 4—6. „В литературе нашей, амбоძს სერგევსკი, нередко высказывается мысль, что форма материального тальона была не только развита, но и господствовала в древнем русском праве. Мы, с своей стороны, никаких признаков этого не усматриваем“ (იქვე, 5).

<sup>1</sup> იმდროინდელი ძეგლები ჩვეულებრივ გამოთქვამდნენ ამ მიზანს სიტყვებით: „чтобы на то смотря, другим не повадно было так делать“.



იდან იგი სარგებლობის დიდ წყაროს წარმოადგენდა. როგორც სერგეევსკი მიზანს, რომელიც გავლენას ახდენდა რეპრესიულ ღონისძიებათა წარმოშობაზე მოსკოვის რუსეთში, სერგეევსკი ასახელებს დაზარალებულის დაკმაყოფილებას, მისი დამშვიდების მისწრაფებას; ეს მისწრაფება თავის შედეგად იწვევდა, ჯერ ერთი, დამნაშავის მიერ დაზარალებულის წინაშე პატიების გამოთხოვნას და, მეორე, ფულად ჯარიმებს უკანასკნელის სასარგებლოდ, რასაც XVII საუკ. სამართალში თვალსაჩინო ადგილი ეკავა<sup>1</sup>.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ XVII საუკ. რუსული სამართლის ძეგლი იმ მოსახრებით, რომ იგი წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს იმისას, თუ როგორ იყო მოგვარებული რეპრესიული სისტემა სახელმწიფოში, რომელიც სისხლის სამართლის დარგში თავის წინაშე უმთავრესად მიზანშეწონილების და პრაქტიკული სარგებლობის მიზნებს ისახავდა. რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი თითქოს სამაგიეროს მიზნებს იფიქვებდა, პირიქით, როგორც ვნახეთ, ამ უკანასკნელსაც ჰქონდა დათმობილი ადგილი სისხლის სამართლის სფეროში:

აკად. ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ აღნიშნავს რომ, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის წიგნები, ერთ პატარა ნაწყვეტს გარდა, XIII საუკუნემდე დაცული არაა, ამ პერიოდის ისტორიული საბუთები „ორ ათეულსაც არ შეადგენს...“ „ასეთ მდგომარეობაში, განაგრძობს იგი, მკვლევარს საეკლესიო სამართლის ძეგლებში და საისტორიო თხზულებებში გაფანტული და ჩვენამდე მოღწეულ საბუთებში დაცული ცნობების ამოკრებისა, შესწავლისა და სურათის აღდგენის ცდის გარდა სხვა გზა და საშუალება არ დარჩენია. თუმცა ეს გზა ძნელი და დამალავია, მაგრამ მაინც ერთადერთი გზაა, რომელიც ცოტად მაინც მიზნის მიღწევის იმედის მომცემი შეიძლება იყოს“<sup>2</sup>. მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, აკად. ივ. ჯავახიშვილმა მაინც შესძლო მოეცა ჩვენთვის თავისი ნაშრომის მეორე წიგნში საერთო სურათი სისხლის სამართლის ინსტიტუტებისა IX—XIII საუკ. პერიოდში.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ საეკლესიო სამართალი იცნობდა პრევენციის სხვადასხვა სახეებს; საინტერესოა, თუ როგორი იყო ამ მხრივ საერო სამართლის შეხედულება. საეკლესიო სამართლის თანახმად სასჯელის ერო-ერთ მიზანს დამნაშავის ზნეობრივი გამოსწორება, მისი მოქცევა შეადგენდა, სასჯელი განხილული იყო როგორც „წურთნა“, ამავე შეხედულებას იცნობს საერო სისხლის სამართალი; აკად. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები, რომლითაც უკანასკნელი ახასიათებს ამ მეფის ღმობიერ დამოკიდებულებას ლიბარტიზადმი: მეფემ „ინება გაწურთუა“ ლიბარტიზისა, „...ამისთვისცა ბყრობილყო იგი ჟამსა რაოდენსამე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისისამე“<sup>3</sup>. დამახასიათებელია, რომ ისტორიკოსი ხმარობს სიტყვებს — „გაწურთუა“ და „განსასწავლელად“, ორივე გარკვეულად გამოხატავს მეფის სურვილს, რომ ურჩი ფეოდალი გამოსწორების გზაზე დამდ-

<sup>1</sup> Сергеевский, Наказание в русском праве XVII века, 1887, стр. 3—21.

<sup>2</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტორია, II, 2, გვ. 249.

<sup>3</sup> დასას. ნაშრომი, 532.



გარიყო. მაგრამ, როდესაც დავით აღმაშენებელი დარწმუნდა, რომ ლიბარტიის გამოსწორება შეუძლებელი იყო, ვინაიდან მოღალატურ მოქმედებას არ იშლიდა, „ორ წელ პურობილ-ყო და საბერძნეთს გაგზავნა“ ექსორიად; მაგნე პირი შეფემ ქვეყანას მოაშორა; აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, გაუსწორებელი დამნაშავეებისათვის განკუთვნილ სასჯელად ექსორია ყოფილა, მაგრამ საფიქრებელია, რომ თუ სახელმწიფო ხელისუფლება ამგვარ შემთხვევაში თავდაცვისა და უვნებელადობის მოტივით ხელმძღვანელობდა, იგი მხოლოდ ექსორიას არ მიმართავდა, არამედ სიკვდილით დასჯას ან მძიმე დამასახიზრებელ სასჯელს, მაგ., მბნელობლობას, შეუფარდებდა.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ პერიოდის სისხლის სამართლის პოლიტიკაში მიღებული უნდა ყოფილიყო ის შეხედულება, რომელსაც სასჯელთა სისტემის მიზნად საერთოდ საზოგადოების წევრთა და კერძოდ დამნაშავის შეშინება მიიჩნია<sup>1</sup>. მონასტრებში გავრცელებული ყოფილა დამნაშავე ბერების „ღვედითა მიმთხვევა“, საერო სისხლის სამართალიც ითვალისწინებდა სხეულის სასჯელს, რომელიც ფიზიკურ ტანჯვასთან იყო დაკავშირებული; „სასჯელთა ასეთი სისტემა ფართოდ იყო მიღებული ტაჯგანაგის დაკვრისა და განპატიჟების სახით. სასჯელთა ამ სისტემას დამნაშავეთა შეშინება ჰქონდა მიზნად“<sup>2</sup>. არაა საჭირო იმის მტკიცება, რომ სხეულის სასჯელს, რომელსაც ჰქონდა გვემითი ხასიათი, განსაკუთრებით კი ისეთ სასჯელს, როგორც „განპატიჟება“ ანუ „ასოთა-მიღება“ (ასოთა-მოკვეთა) იყო, დამაშინებელი გავლენა ექნებოდა; ამას უნდა დავუმატოთ, რომ სახელმწიფოს, იმავე გავლენის მოსახდენად საერთოდ მოსახლეობაზე, უფრო ძლიერი საშუალებაც ჰქონდა; ამგვარ საშუალებას სიკვდილით დასჯა წარმოადგენდა.

როგორც ირკვევა, საერო სისხლის სამართალსაც ძველს საქართველოში შეგნებული და შეთვისებული ჰქონია პრაქტიკული ამოცანები, რომლის შესახებაც ზემოთ იყო ლაპარაკი. შესაძლოა, რომ ამ მხრივ საერო სამართალი საეკლესიო მოძღვრების ზეგავლენას განიცდიდა, მაგრამ ეს მხოლოდ ჰაპოთეზია, ვინაიდან ისიც დასაშვებია, რომ სახელმწიფო თავისი დამოუკიდებელი გზებით მიდიოდა და მართლმსაჯულების დარგში ხელმძღვანელობდა შეხედულებებით, რომლებიც მან თავისი საუკუნეებრივი გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა.

ჩვენ ვიცით, რომ სასჯელს ისტორიულად, პრევენციის გარდა, სხვა მიზნებსაც უსახავდნენ; ასეთად სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებაში სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში მიჩნეული იყო. სამაგიეროს მიზლვა. სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარების პირველ საფეხურებზე სამაგიეროს მიზლვის საწყისი დებულობს ტალიონის სახეს. ამიტომ ჩვენ აქ შეგვიძლია დავაყენოთ შემდეგი საკითხი: იმდროინდელ ქართულ სისხლის სამართალში ჰქონდა ადგილი თუ არა სამაგიეროს მიზლვის საწყისს? ამ საკითხის გადაჭრის დროს ვისარგებლებთ იმ მასალით, რომელიც მოყვანილი აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს.

<sup>1</sup> ვგრეთწოდებული Abschreckungstheorie.

<sup>2</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 533.



ქართული  
საზოგადოებრივი

ძველ ქართულ სისხლის სამართალს დანაშაულის იურიდიული შეფასება აღსანიშნავად ჰქონია რამდენიმე ტერმინი: „სასჯელი“, „სისხლი“ და „მისაგებელი“. როგორც ჩანს ისტორიული ძეგლებიდან, „სისხლი“ ნამდვილად „სისხლის ფასს“ ნიშნავდა და წარმოადგენდა ქონებრივ საზღაურს, რომელსაც დამნაშავე დაზარალებულის ან მისი ოჯახის სასარგებლოდ იხდიდა; ცხადია, რომ ტერმინი „სისხლი“ იმ საზოგადოებრივი წყობის ნაშთია, როდესაც გაბატონებული იყო სისხლის აღება შურისძიების ნიადაგზე; მაგრამ იმ პერიოდში, რომელზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, ქართული სახელმწიფო უკვე განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იმყოფება, მას სისხლის აღება დანაშაულად აქვს მიჩნეული და იგი სასტიკად სჯის მას.

სასჯელის მნიშვნელობით ხმარობდა ძველი ქართული სამართალი სიტყვას „მისაგებელი“; საბუთებში ნათქვამია: გიორგი მე-III დემნას აჯანყების მონაწილეთ „შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“, რაჟის ერისთავს კახაბერს ღალატისათვის „მიეგო მისაგებელი ბოროტი“. იყო თუ არა მიღებული საქართველოს ისტორიის აღნიშნულ პერიოდში ის დებულება, რომელსაც განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებაში ვნახულობთ და რომელსაც „იუს ტალიონის“<sup>1</sup> ეწოდება? აკად. ივ. ჯავახიშვილი უარყოფს ამას; „მისაგებელს“, ამბობს იგი, ასეთი მნიშვნელობა თავდაპირველად უნდა ჰქონოდა, იმ ხანაში კი, რომელიც ამჟამად ჩვენი კვლევადიების საგანს შეადგენს, „მისაგები“ მხოლოდ სასჯელის ზოგადი ცნების აღმნიშვნელი იყო, იმ სასჯელის, რომლისაც ის ღირსი იყო“<sup>2</sup>; ეს ტერმინი კანონით დაწესებულ „ყოველგვარ სასჯელს გულისხმობდა“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ტერმინს, დასახელებული მნიშვნელობის გარდა, სხვა აზრიც უნდა ჰქონდეს; ამ სიტყვით გამოთქმული იყო შეხედულება, რომ დამნაშავისათვის შესაფარდებელი ღონისძიება არის სასჯელი, რომელსაც მას უფარდებენ იმიტომ, რომ მან დანაშაული ჩადინა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ტერმინი „მისაგებელი“ გამოხატავს სამაგიეროს მიზლის პრინციპს. თვითონ აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „როგორც ამ სიტყვის აგებულებითგან ჩანს, „მისაგებელი“ ის უნდა ყოფილიყო, რასაც დამნაშავეს ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის სამაგიეროდ მიუტებდნენ“<sup>3</sup>. მაგრამ სწორედ ტერმინი „მისაგებელის“ აგებულება მოწმობს, რომ აქ ნაგულისხმებია არა მარტო ის ღონისძიება, რომელსაც დამნაშავეს უფარდებდნენ, არამედ ის მიზანიც, რომლის გამოც ესა თუ ის სასჯელი გამოიყენებოდა; აქ საკითხი ისმის უკვე არა სასჯელთა კონკრეტული სახეების, არამედ სასჯელთა საერთო მიზნებისა და შინაარსის, მათი დანიშნულების, მათი საფუძვლის შესახებ; ამ ორი სხვადასხვა საკითხის ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია.

შეხედულება სასჯელზე, როგორც სამაგიეროს მიზლვაზე, აშკარად არის გამოსახული ძველ ქართულ საბუთებში, რომლებიც გარკვეულად ამბობენ:

<sup>1</sup> jus talionis.

<sup>2</sup> დასახელ. ნაშრომი, 505.

<sup>3</sup> იქვე.

„შემსგავსებულად საქმეთა“, „შემსგავსებულად უმჯულოებათა“, „ღირსსა სჯულმისა“, „ღირსი სიკუდილისა“; როგორც ვხედავთ, ძველი ტექსტები გამოთქვამენ იმ აზრს, რომ სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, მის ხასიათს, უნდა იყოს დანაშაულის თანაბარი, თანაზომიერი, ე. ი. აღნიშნავენ სასჯელისა და დანაშაულის პროპორციულობის პრინციპს; სწორედ ამ თანაზომიერებას მოითხოვდა და მოითხოვს სამაგიეროს მიზღვის ცნება ყველგან, სადაც კი მას ვხვდებით; ხოლო მას ჩვენ ვხვდებით კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე პრიმიტიული პოლიტიკური ორგანიზაციებით დაწყებული უაღრესად განვითარებულ, რთულ სახელმწიფოებით გათავებული; სამაგიეროს მიზღვის ცნება ღებულობს სხვადასხვა სახეს იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ საზოგადოების ზნე-ჩვეულება, მისი ზნეობრივი და სოციალური იდეალი, სარწმუნოება და კულტურის საერთო დონე: დაბალ საფეხურზე იგი ტლანქი მატერიალური ტალიონის ფორმით გამოიხატება, განვითარებულ სახელმწიფოებში კი განყენებულ, მეტაფიზიკურ იდეათა — ზნეობრივი კანონის, მარადიული სამართლიანობის და სხვ. — საბურველში იმოსება.

გარდა ზოგადი ცნებებისა სასჯელის მიზნების შესახებ, ქართული სამართალი იცნობდა გარკვეულ საჯარო ხასიათის სასჯელთა სისტემას, ამ სისტემაში შედიოდა:

1. სიკვდილით დასჯა, რომელსაც ჰქონდა ორი სახე: თავის მოკვეთა და „ძელსა ზედა ჩამორჩობა“<sup>1</sup>; სიკვდილით დასჯა იშვიათი სასჯელი ყოფილა საქართველოში და გათვალისწინებული იყო სახელმწიფო დანაშაულისა (ლალატი) და მეკობრეობისათვის.
2. ასოთა-მიღობა ანუ ე-ნაპრაქება მღვდმარკოიდა სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთაში (ასოთა მოკვეთა) და, მაშასადამე, დასახიჩრებელი ხასიათის სასჯელი იყო<sup>2</sup>.
3. ექსორია და გაძევება; ექსორია დაწყებულ ყო ზოგიერთი პოლიტიკური დანაშაულისათვის; გაძევება ყოფილა როგორც დროებითი, ისე მთელი სიცოცხლის განმავლობაში და მამულის ჩამორთმევასთან იყო დაკავშირებული.
4. თავისუფლების აღკვეთა; იმდროინდელი სამართალი ასხევეებს დამნაშავის მოთავსებას ციხეში და საპყრობილეში.
5. გვემითი სასჯელი ანუ სხეულისათვის ფიზიკური ტკივილის მიმყენებელი სასჯელი („კვერთხით ცემა“, „ტაჯგანაგის ვერა“, „ლუედითა მიმთხუევა“).
6. „მამულის დაქირვა“, ე. ი. ქონების კონფისკაცია.

<sup>1</sup> თუმცა მონღოლთა პერიოდში ვხვდებით წყალში დახრჩობას და კლდიდან გადაგდებას, იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1941, გვ. 63, 64: თორღუა ბანკელის და ჯიქურის დასჯა.

<sup>2</sup> დავით-ნარინის მეფობაში რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერძენე სახელმწიფო დანაშაულისათვის (ლალატისათვის) „სისხლის სამართლის ძველი კანონის თანახმად იქმნა დასჯილი: მას თვალთ დაწვა, ერთი ხელისა და ფეხის მოკვეთა მიუსაჯეს, მისი შვილი კი საქართველოთგან გააძევეს და კონსტანტინეპოლში ექსორია ყვეს“. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1941, გვ. 93.



7. მოქალაქეობრივი უფლებების დროებით თუ სამუდამოდ ჩამორთმევა ივ. ჯავახიშვილი ასახელებს უფლებათა ჩამორთმევის ერთ მეტად საყურადღებო სახეს: „ლაშქართა შიგან არ შეშვება“, რაც ფეთდალური პერიოდის შეხედულებით, ალბათ, სერიოზულ სასჯელ წარმოადგენდა; ეს იყო „სამხედრო და რაინდობის უფლების ჩამორთმევა“<sup>1</sup>.

ზოგიერთი დანაშაულისათვის, ალბათ, დაწესებული იყო ქონებრივი საზღაური, რომელიც დამნაშავეს უნდა გადაეხადა დაზარალებულის და მისი ნათესავების, აგრეთვე სასამართლო ხელისუფლების სასარგებლოდ.

ასეთი იყო აღნიშნულ პერიოდში ქართულ საერო სისხლის სამართალში მიღებული სასჯელთა სისტემა.

დასასრულ, უნდა დავასახელოთ კიდევ ერთი თავისებური ხასიათის დასჯითი ღონისძიება, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი ეკავა საეკლესიო სამართალში და რომელიც წარმოშობილი იყო სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის ზეგავლენით: ეს იყო ეგრეთწოდებული „დაკრულვა“; „დაკრულვას“ მეტად მძიმე შედეგები ჰქონდა; თავისი ბუნებით და შედეგებით იგი რომაული სამართლის „საცერესტო“-ს<sup>2</sup> მოგვაგონებს; ეკლესია ჩვეულებრივ მას მიმართავდა იმ შემთხვევებში, როდესაც ჩადენილი იყო სქესობრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაული, მკვრეხელობა, მკვლელობა. XIII საუკუნის ერთერთ ძეგლში აღნიშნულია, რომ „ვინცაგინ დაკრულვილა რაჟცა მიზეზითა და საქმითა“, მას „მამული დასჭირვია და ლაშქართა შინა არ შეშუებულა“; ამგვარად საეკლესიო ზომას ჰქონია ორი მძიმე შედეგი: ქონების ჩამორთმევა და სამხედრო უფლების აყრა; აკად. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ თუ ეს სასჯელი, „საბოლოო იქნებოდა, დამნაშავეს სრულ ქონებრივ ვალატაკებასა და ზნეობრივ სიკვდილს უქაღდა“<sup>3</sup>. საეკლესიო ხასიათის სანქციას — დაკრულვას — შედეგად საერო ხელისუფლების „შერისხვაც“ მოჰყვებოდა.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ზემოთ მოცემულ ქართული სისხლის სამართლის მოკლე დახასიათებიდან?

ვფიქრობთ, რომ დასკვნა შეიძლება იყოს მხოლოდ შემდეგი. განხილული პერიოდი წარმოადგენს საქართველოს გაერთიანების და ძლიერი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნის და ჩამოყალიბების ხანას; ეროვნული ცხოვრების ყველა ცოცხალი ძალა იღებს მონაწილეობას ამ სახელმწიფოებრივი აღმავლობის პროცესში და, რასაკვირველია, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ის დარგი, რომელიც ყველაზე უფრო ახლო დგას სახელმწიფოსთან, ე. ი. სამართალი, ამ საერთო მოძრაობის გარეშე ვერ დარჩებოდა: სამართალიც მისი აღმავლობის გზით, იგი ასახავს ხელისუფლების ზრდას და განმტკიცებას, მის მიზნებს და ამოცანებს, გაბატონებული იდეოლოგიის გავლენას საკანონმდებლო მოღვაწეობაზე, ვინაიდან კანონმდებელი თავის შემოქმედების მუშაობაში ყოველთვის

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტორია, II, 2, 524.

<sup>2</sup> sacer esto — „კრულ იყოს“.

<sup>3</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, II, 2, 525.

ითვისებს და იყენებს იმ მოძღვრებებს და იდეებს, რომლებიც მიღებულია ამა თუ იმ საზოგადოებაში მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. მოქმედი სამართალი იმ სახელმწიფოს საზოგადოებრივ ვითარებას გამოხატავს, რომელშიაც იგი წარმოიშვა და განვითარდა; იგი ამ საზოგადოებაში მოქმედი ზნე-ჩვეულებების და ინსტიტუტების სურათია, ისტორიულად იგი სახელმწიფოს საერთო ბედს იზიარებს: იზრდება სახელმწიფოს ზრდასთან ერთად და სახელმწიფოს დაკნინებასთან ერთად სუსტდება და დაქვეითებას განიცდის. ზემოთ დახასიათებული სისხლის სამართალი აშკარად გამოსახავს სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერეს; ეს არის სისხლის სამართალი, რომლის სასჯელის სისტემა საჯარო პრინციპზეა აშენებული; სახელმწიფოს მიერ დაწესებულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა საბოლოო მიზანს შეადგენს მტკიცე მართლწესრიგის უზრუნველყოფა; ხელისუფლებას სავსებით შეგნებული აქვს, რომ სამართალი საჯარო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს; დანაშაული არაა მიჩნეული მხოლოდ კერძო პირთა ინტერესების დარღვევად, — სამართლის განვითარების ეს პირველი საფეხური უკვე განვლილია, — არამედ სახელმწიფო, საზოგადოებრივ ინტერესებისათვის საზიანო, მავნე მოქმედებად; ეს კი ნიშნავს, რომ სასჯელს სახელმწიფო უყურებს როგორც საჯარო ხასიათის ინსტიტუტს, სასჯელის შეფარდება დამოუკიდებელია კერძო პირთა ნება-სურვილისაგან და შეადგენს ხელისუფლების მოვალეობას; XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში ქართული სამართალი იმყოფება აღმავლობის იმ საფეხურზე, როდესაც დასჯითი პოლიტიკის დარგში მტკიცედ გატარებულია ოფიციალური ანუ საჯარო საწყისი. თავის-თავად ცხადია, რომ ეს მოწმობს სახელმწიფოს და სამართლის მაღალ განვითარებას.

V

მონღოლთა შემოსევის და გაბატონების შედეგად მდგომარეობა იცვლება; ამ დროიდან იწყება ქართული კულტურის დაქვეითება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეები დაცემის გზაზეა დამდგარი; სახელმწიფო, რომელიც ხანგრძლივი დაუღალავი პოლიტიკური მუშაობის შედეგად ერთ მთლიან სხეულს შეადგენდა, ახლა უცხო ძალის გაბატონების, ქვეყნის დაპყრობის გამო, რამდენიმე ნაწილად დაიშალა; რასაკვირველია, სამართლის დარგიც ამ საერთო კულტურული დაქვეითების პროცესში იქნებოდა ჩათრეული, ისიც განვითარების დამაბრკოლებელ ძალთა გავლენას განიცდიდა.

დაქვეითება სისხლის სამართლის დარგში იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო, საჯარო საწყისი სუსტდება და შეიძლება ითქვას, პირველს, გაბატონებულ ადვილს იკავებს ქონებრივ საზღაურთა სისტემა; ეს ფაქტი კი თავის-თავად იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფო ცხოვრებაში ცენტრალურ ხელისუფლებას უკვე არა აქვს წინანდელი სიძლიერე და მნიშვნელობა; ფეოდალური ძალები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში შეკავებული და ალაგმული იყვნენ სამეფო ხელისუფლების მიერ, ამ ახალ, ქართული ერისათვის საბედისწერო პირობებში, ჰპოულობენ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას;



დაქუცმაცებული საქართველო ფეოდალთა კერძო ინტერესების დაკმაყოფილებისათვის მეტად ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენდა. სწორედ ეს მდგომარეობა აქვს მხედველობაში გერმანელ მკვლევარ ჰოლდაკს, როდესაც იგი ლაპარაკობს „კრიმინალური ელემენტის“ უკან დახევაზე, მის შვეიწროვებაზე ქართულ სამართალში და ხსნის ამას „სახელმწიფო ხელისუფლების უეცარი დაცემით თამარ მეფის სიკვდილის შედეგ და თვითნებობის გამოცოცხლებით“.

მიუხედავად ყველა ამ გარემოებისა სახელმწიფოებრიობის იდეა ქართული ხალხის ცხოვრებაში მაინც არ მომკვდარა; იგი მუდამ ღვივოდა, თუმცა დასუსტებული სახით, მაგრამ მაინც იჩენდა სიცოცხლის უნარს, ეძებდა ხელსაყრელ პირობებს თავის განხორციელებისა და განმტკიცებისათვის და დროგამოშვებით კიდევ ახერხებდა ამას.

ამიტომაც კომპოზიციების ანუ ქონებრივ საზღაურთა სისტემის გვერდით, რაც უეჭველად კერძო საწყისის გამოვლინებას წარმოადგენს, ქართული სამართლის ისტორიაში ყოველთვის ვნახულობთ საჯარო ხასიათის სასჯელებსაც. ამ დებულების დასამტკიცებლად გავეცნოთ სამართლის ძეგლებს, რომლებიც მომდევნო საუკუნეებს, ე. ი. XIV—XVIII სს. ეკუთვნიან; ვინაიდან აღნიშნული ძეგლები შედიან, როგორც შემადგენლობითი ელემენტები, ვახტანგ VI კანონმდებლობაში, ჩვენი კვლევა-ძიების საგანს ფაქტიურად ეს უკანასკნელი წარმოადგენს. მაშასადამე, ჩვენ შევისწავლით სასჯელთა სისტემას ვახტანგ VI კრებულში შემავალი ქართული ეროვნული ძეგლების მიხედვით. თუ ძველი პერიოდის ქართული სამართლის კვლევა-ძიება გაძნელებული იყო იურიდიული ძეგლების უქონლობის გამო, აქ ჩვენ უკვე საქმე გვაქვს გარკვეულ ძეგლებთან, დაწერილი სამართლის ნორმებთან და, მაშასადამე, მსჯელობის საგანს თავის დროისათვის მოქმედი იურიდიული მასალა წარმოადგენს, რაც, ცხადია, გვიადვილებს მის გაცნობას და შესწავლას.

მაგრამ სანამ განვიხილავდეთ სასჯელთა სისტემის საკითხს, უნდა გავეცნოთ ამ ძეგლში გამოთქმულ შეხედულებას სასჯელის დანიშნულების, მისი მიზნების შესახებ. როგორ უყურებს ვახტანგის მიერ შედგენილი კრებული სასჯელის მიზანს? არის თუ არა მასში ასახული პრევენციის მოძღვრება. სცნობს თუ არა ეს კრებული ტალიონის პრინციპს და თუ სცნობს, კონკრეტულად რა სახით არის იგი მოცემული? ასეთია ის საერთო ხასიათის საკითხები, რომლებიც ყოველთვის წინ უნდა მიუძღოდნენ სასჯელთა ცალკეული სახეების დახასიათებას; მათი განხილვა ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩინა, ვინაიდან უამისოდ ვერ ვიქონიებთ სრულ წარმოდგენას ქართულ სისხლის სამართალზე მისი არსებობის უკანასკნელ პერიოდში.

ვახტანგ VI სამართლის წიგნში არის ადგილები, სადაც სასჯელის მიზნად გარკვეულად დაშინებაა აღიარებული; ასეთია ვახტანგის სამართლის წიგნის 13 და 258 მმ.; 13. მუხლი ლაპარაკობს მოწმის ჩვენების ღირებულების შესახებ და მიუთითებს, რომ თუ მოსამართლემ „ტყუილი მოწმობა და მთხრობლობა შეამჩნია ვისმე დიდი ნასალი უნდა უყოს, რომე სხვამ აღარავინ მოინდომოს“. აქ, როგორც ვხედავთ, გამოთქმულია ძველი შეხედულება სასჯელის დანიშნულებაზე, რომელსაც სხვადასხვა ხალხთა კანონმდებლობაში ვნახულობთ;

კანონის სიტყვით, მოსამართლის მოვალეობაა სასტიკად დასაჯოს ტყუილის მთხრობელი მოწმე, როლის ჩვენებაც საქმის გამორკვევას, ქეშმარიტების დადგენას აბრკოლებს. 258. მუხლი ამავე აზრს გამოხატავს: ეს მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ყმა „ღმერთის შერისხვით“ თავის ბატონს მოკლავს ან დაჭრის; ამგვარ შემთხვევაში, კანონის სიტყვით, ქონებრივ ანაზღაურებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ყმის მთელი ქონება ბატონს ეკუთვნის. ხელმწიფემ და მოსამართლემ უნდა მისცენ ბატონს ისეთი საბუთი ყმის მიმართ „რომე ნასყიდისაგან უფრო ვერ-სად დაიკარგოს“; აქაც კანონი ასახელებს ამ ღონისძიების მიზანს: „რომ ეს სამართალი ვეღა-რას ყმას ავს ვერ გააბედვიენებსო“ — კანონს მხედველობაში აქვს საერთო პრევენცია, მომავალში დანაშაულის განმეორების წინასწარ აცილება.

დაშინების გვერდით ვახტანგის სამართლის წიგნი არაერთხელ იხსენიებს სამაგიეროს მიზღვას; სამაგიეროს მიზღვის საწყისი გამოთქმულია 221, 222, 227, 242, 253, 259 მუხლებში; 221. მუხლი ლაპარაკობს ღალატზე: „ცინიღამ და სიმაგრღამ, კაცი ან ბატონს, ან ამხანაგს წაუვიდეს და გასცეს, ლაშქარი დაასხას, იმისი სისხლი არ გაიჩენება, ამისთვის რომე ბევრი სულის მესისხლე არის, რაც გადახდება სამართლით იქნება“. მოლაღატე თავის დანაშაულს საზღაურით ვერ გამოისყიდის, რადგან მან თავისი მოქმედებით მრავალადამიანთა სიკვდილი გამოიწვია; რა სასტიკიც უნდა იყოს სასჯელი, რომელსაც მოლაღატეს შეუფარდებენ, იგი მისი ბრალის შესაბამისი და სამართლიანია. 222. მუხლიც იმავე პრინციპს გამოხატავს: „ვინც კაცმა ქვეყანას და რჯულს უორგულოს, კიდევ ხედვიდეს იმითი რჯული წახდებოდეს, იმას მიჰყვეს ღუთისა და ბატონისა ორისავე მესისხლე იქნების და ყველა ავი იმაზე მართებული არის“. აქაც გამოთქმულია იგივე სამართლიანობის მოტივი, რომლის ძალითაც ქვეყნისა და რჯულის მოლაღატე ღირსია ყოველივე სასჯელისა; სახელმწიფო და სარწმუნოებრივი დანაშაული იწვევს მძიმე სასჯელს, კომპოზიციებს აქ უკვე ადგილი არა აქვთ.

ვახტანგის კოდექსი იცნობს ტალიონის თავისებურ სახეებს, რომელთაც ჩვენ სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშიც ვხვდებით; ამის მაგალითს წარმოადგენს შემთხვევა, როცა ბრალმდებელს უფარდებენ იმ სასჯელს, რაც ბრალდებულისათვის იყო გათვალისწინებული. დასავლეთ ევროპის ფეოდალური პერიოდის სამართალმაც იცის პასუხისმგებლობის ამგვარი სისტემა. ვახტანგის კოდექსის 227. მუხლი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც ვინმე დაბეზღებს მეორე პირს მოსამართლესთან და წაუყენებს მას ბრალდებას რაიმე დანაშაულის ჩადენაში, თუ დამტკიცდა ბრალდების სისწორე, დამბეზღებელი „უბრალო იყოს, და თუ გამტყუნდეს მთქმელი, რაც იმ კაცისათვის გარდასახდელი მართებს, ამ მთქმელს უნდა გარდახდეს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> კარსტის ვარიანტის მიხედვით: უკეთუ ბრალმდებელს დაუმტკიცდა, რომ მის მიერ წაყენებული ბრალდება ტყუილია (est...convaincu de fausseté), მან უნდა გადაუხადოს ბრალდებულს რასაც მისგან მოითხოვდა („en ce cas, ce qu'il a réclamé de cet homme — là comme



ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ 253. მუხლი, რომელიც თანადად წინაარსით ზემოთ დასახელებულს ენათესაება; 253. მუხლი ამბობს: „ტყვილად დაბეზლებელს ორი დანაშაული აქვს, არც ხელმწიფის დოვლათისათვის სჯობს, ვისაც დააბეზლებს ის მკვდარი არის იმ მობეზლისგან, რაც მობეზლის პირით ამოსულ იყოს და ტყვილი იყოს იმ მობეზლარს უნდა გარდახდეს“. კანონი მშვენივრად ასხავებს ტყუილი დასმენის სახელმწიფო და კერძო ინტერესებისათვის საზიანო შედეგებს და ტყუილი დაბეზლებისათვის აწესებს იმავე სასჯელს, რაც დაბეზლებულ პირს მოელოდა; ვფიქრობთ, ამნაირად უნდა იქნას გაგებული სიტყვები: „რაც მობეზლის პირით ამოსულ იყოს და ტყვილი იყოს ის მობეზლარს უნდა გარდახდეს“<sup>1</sup>.

სისხლის სამართლის ისტორიამ იცის ტალიონის რამდენიმე სახე: ეგრეთ-წოდებული მატერიალური ტალიონი, ყველაზე უფრო მკვეთრად გამოთქმული ებრაელთა სამართალში — „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“; მასვე ვხვდებით ჰამურაბის კანონებში — „უკეთუ ვინმე დაუზიანებს თვალს თავისუფალს, მას უნდა დაუზიანონ თვალი“ (196 მ.), „უკეთუ ვინმე გაუტეხავს ძვალს თავისუფალს, მას უნდა გაუტეხონ ძვალი“ (197 მ.), „თუ ვინმე ჩაუმტვრევს თანასწორი მდგომარეობის პირს კბილს, მასაც უნდა ჩაუმტვრევს კბილი“ (200 მ.)<sup>2</sup>.

indemnité à lui attribuer, l'inculpant lui-même devra, équitablement, l'effectuer en compensation à l'accusé“. T. I<sup>1</sup>, p. 276. რუსული თარგმანი: „... изветчик должен быть подвергнут тому самому наказанию, которому бы подвергся оговоренный, если бы извет оказался справедливым“ (Френкель),

<sup>1</sup> კარსტი თარგმნის ამ მუხლს იმგვარად, რომ მისი ნამდვილი აზრი გაუგებარი რჩება. Code du roi Vakhtang. T. I<sup>1</sup>, 1934, 305: „Pour toute imputation sortie de la bouche de l'accusateur et qui aura été fausse ou menteuse, l'accusateur est obligé à donner satisfaction et compensation“.

ამ თარგმანში არ ჩანს ტალიონის ელემენტი, რომელიც უცილობლად გამოთქმულია ორიგინალში.

რუსული თარგმანი ამბობს: „... он (ტყვილად დამსმენი) должен сам подвергнуться наказанию, определенному за то, в чем он на другого доносил напрасно“. Френкель, 75. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ კანონის აზრი უკეთ არის გადმოცემული.

<sup>2</sup> Cook-ის სიტყვით, ჰამურაბის კოდექსში „the old crude system of the talio prevails almost everywhere. In cases of damage to property it is ship for ship (§ 235), goods for goods (§ 232), ox for ox (§§ 245, 263), sheep for sheep (§ 263), and similarly, as regards persons, it is man for man (§ 229), woman for woman (§ 210), son for son (§§ 116, 230), slave for slave (§§ 219, 231), limb for limb (§ 197), tooth for tooth (§ 200), eye for eye (§ 196), and whatever punishment a man tried to bring upon another it is to be inflicted upon him (§ 3 sq.). The talio holds good in old Hebrew law, in the Koran, and is as characteristic of early Semitic legislation as of other ancient legal codes“. Laws of Moses and the Code of Hammurabi, 1903, p. 249.

იოპ. იერემიას თავის ნაშრომში Moses und Hammurabi, 1903, 5. 21—33, აღნიშნული აქვს, რომ ჰამურაბის კოდექსში ბატონობს ტალიონის იდეა (მმ. 116, 230, 127, 136, 196, 197, 200, 210, 219, 231, 3, 229, 235, 245, 263) და რომ მასში ვხვდებით სიმბოლურ სასჯელებს (192, 193, 194, 282, 205, 218, 226, 21, 25). ბევრ შემთხვევაში შესაძლო იყო ტალიონის შეცვლა ჯარიმით (Busse); ჯარიმა გათვალისწინებულია:

ა) სხეულის დაზიანებისას (203, 198, 199, 201, 209, 211, 212, 213, 214, 220);



იგივე წესია აღბეჭდილი XII ტაბულის კანონებში („si membrum rumpit, ni cum eo pacit, talio esto“). დიოდორე სიცილიელის გადმოცემით, ქა-რონდას (VI ს. ჩვენს ერამდის) კანონებიც ტალიონის პრინციპს აღიარებდნენ — თვალის ამოთხრისათვის დაწესებული იყო თვალის ამოთხრა (7 მ.).

მატერიალური ტალიონი მოითხოვს დამნაშავეისათვის იმავე სახის ზიანის მიყენებას, რაც მან დაზარალებულს მიყენა; მატერიალური ტალიონის გვერ-დით და, რა თქმა უნდა, იმავე იდეის ზეგავლენით აღმოცენებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ის სახე, რომელიც დაეკისრებოდა ტყუილად დამსმენელ პირებს: მათ უფარდებდნენ იმ სასჯელს, რაც დასმენილი პირისა-თვის იყო გათვალისწინებული; როგორც პირველ შემთხვევაში, ისე ამ უკანას-კნელშიც კანონმდებლის აზრი ხელმძღვანელობს მეტად მარტივი მოსაზრებით: იგი ცდილობს სასჯელის გადაწყვეტის დროს გაატაროს სამართლიანობა-ტლანქი არითმეტიკული პროპორციით და წმიდა მექანიკური, გარეგანი თანა-ზომიერების საფუძველზე. მაგრამ ძველი კანონები გვაძლევენ კიდევ თავისებური სახის დადგენილებებს, სადაც გათვალისწინებულია სხვაგვარი შემთხვევებიც; ასეთია ის შემთხვევა, როცა სპობენ სხეულის იმ ორგანოს, რომლითაც ჩადე-ნილია დანაშაულებრივი ქმედობა; მაგალითად, ჰამურაპის კოდექსი ადგენს: „თუ შეილი შემოკრავს თავის მამას, მას უნდა მოეჭრას ხელები“ (195 მ.); ჰამურაპის კოდექსში ენახულობთ კიდევ სხვა ამავე ხასიათის დადგენილებებს, მაგალითად, გამოუტყდელ ექიმს უნდა მოეჭრას ხელები (218 მ.); ნაშილევის კანონიერი სიტყვისათვის მოეკეთება ენა (192 მ.); ამით ენათესავება შემდეგი

ბ<sup>1</sup> ნივთის დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში (55, 235—237);

გ) დაზიანება მრჩოლელი პირუტყვის მიერ (251, 252);

დ) პირუტყვის დაზიანება (225, 245, 246, 247, 248, 263);

ე) მცირემნიშვნელოვანი ქურდობის შემთხვევაში (59, 259, 260).

აგტორი, ადარებს რა ერთმანეთს ჰამურაბის და მოსეს კანონებს, დასკვნის, რომ ორი-ვეს აქვს საერთო წყარო, რომელიც არაბეთში უნდა ვეძიოთო (იქვე, 47). იხ. აგრეთვე F e h r, Hammurabi und das Salische Recht, 1910, 129.

ებრაელთა სამართალი, როგორც ცნობილია, დიდ ყურადღებას აქცევს ტალიონის პრინციპს; ტალიონი აქ გვხვდება: გამოსვლათა XXI, 23—25; მეორე სჯული XIX, 21; ლევი-ტელთა XXIV, 17—21.

შედარების სახით მოვიყვანთ ყურანს, რომელიც ტალიონს ითვალისწინებს: II სურა, 173: „O croyants! la peine du talion vous est prescrite pour le meurtre. Un homme libre pour un homme libre, un esclave pour un esclave, et une femme pour une femme.“

II სურა, 175: „Dans la loi du talion est votre vie...“ აგრეთვე V სურა, 49: „Dans ce code nous avons prescrit aux juifs: âme pour âme, oeil pour oeil, nez pour nez, oreille pour oreille, dent pour dent. Les blessures seront punies par la loi du talion...“ (trad. Kasimirski). გერმანულ თარგმანში ტალიონის მაგიერ ნახმარია „Wiedervergeltung“, რაც სწორი არაა: (M. Henning-ის თარგმანი). ქართულად ეს სიტყვა ნათარგმნია — „სახალაური“ (თარგმანი პ. მირიანაშვილისა, 1906); არც ესაა სწორი. სიმბოლური ტალიონი ქურდობისა-თვის იხ. V სურა, 42.

მუსლიმანური სამართლის შესახებ იხ. Hartmann, Der Islam, 1909, S. 117. Seignette, Code musulman, par Khalil, rite Malékite. 1911, Titre XXVII. De la peine du talion, p. 519. Du talion pour blessures, p. 529, კომპოზიციის შესახებ იქვე 541, 544—554; ტომის პასუხისმგებლობა (la responsabilité de la tribu) იქვე, 555.



დადგენილებანი: მონას, რომელიც შემოკრავს თავისუფალს, უნდა მოიპოვოს ყური (205 მ.); იგივე სასჯელი მოელის ურჩ მონას (282 მ.)<sup>1</sup>. ამკარაა, რომ ყველა ამგვარ შემთხვევაში უკვე ნამდვილ ტალიონთან საქმე არა გვაქვს. მართალია, ისინი გარეგნულად თითქოს ტალიონს ჰგვანან, მაგრამ თავისი შინაარსით მისგან მაინც არსებითად განსხვავდებიან. მეცნიერებაში მათ ჩვეულებრივ „ანალოგიურ“ ანუ „სიმბოლურ ტალიონს“ უწოდებენ. ბრუნერმა ამგვარ სასჯელთა აღსანიშნავად შემოიღო თავისებური ტერმინი: „ამსახველი“ „ანარეკლის მომცემი სასჯელები“<sup>2</sup>. „სიკვდილით დასჯის და სხეულის სასჯელთა შეფარდებისას, ამბობს ბრუნერი, სამართლის ჩვეულება და მართლწესრიგი იჩენენ ტენდენციას სასჯელის სახის და მისი შესრულების საშუალებით გრძობად, გარეგნულად გამოსაცნობ ფორმაში გამოთქვან ის ბოროტმოქმედება, რომლისთვისაც დადებულია ეს სასჯელი; თვით სასჯელი უნდა ლაპარაკობდეს, თუ რატომ არის დანიშნული; ასეთ სასჯელებს შეიძლება ვუწოდოთ „spiegelnde Strafen“, ვინაიდან ისინი დანაშაულის ანარეკლს იძლევიანო“<sup>3</sup>. ამ სასჯელთა საშუალებით სახელმწიფო ახორციელებს სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებს; ისინი საზოგადოების გაფრთხილების მიზანს აღწევენ: „... videntibus signum castigationis ostendat“. იმავე მოსაზრებით ფრანკები ყალბი ფულის დამზადებელს შუბლზე დალაგდნენ: „falsator monetae“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> D. H. Müller, Die Gesetze Hammurabis, 1903. მიუღწერი ადარებს ერთმანეთს ჰამურაბის და მოსეს კანონებს და მიდის შემდეგ დასკვნამდე: ორივე მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან, მაგრამ მოსეს კანონმდებლობა ბაბილონის კანონებიდან ნასესხებია არაა, ვინაიდან იგი თავისი შინაარსით უფრო ძველია, მაშასადამე, ორივე მომდინარეობს ერთ პირვანდელ კანონიდან (Urgesetz); ეს პირვანდელი კანონი მოსეს კანონმდებლობაში შესულა არა ჰამურაბის კოდექსის მეშვეობით, არამედ სხვა გზით; მოსემ მიიღო ძველის ძველი მარტივი, ბაბილონის კულტურისაგან შეურყვინელი კანონი და გამოთქვა იგი დეკალოგის სახით. ეს პირვანდელი კანონი თითქოს ბაბილონიდან ან ქანაანიდან გადავიდა საბერძნეთში, სადაც მოახდინა გავლენა ელინურ კანონმდებლობაზე და შემდეგ მიაღწია რომს, რომლის XII ტაბულის კანონებს ემჩნევა მისი გავლენის კვალი. პირვანდელი კანონის ძირითად საწყისს წარმოადგენს ტალიონი, ე. ი. სამართლიანი სამაგეროს მიზღვა ნაცვლად პირველყოფილი მრისხანე შურისძიებისა; მიუღწერის აზრით, ესაა ტალიონი არა მხოლოდ ბოროტი ქმედობისათვის, არამედ ბოროტი განზრახვისათვის (dolus), დანაშავე ისჯება არა მარტო იმიტომ, რომ მან ჩაიდინა ავი მოქმედება, არამედ იმიტომ, რომ მას ჰქონდა ბოროტი განზრახვა (გვ. 240—244). როგორც ვხედავთ. მიუღწერი ცდილობს დამტკიცოს, რომ უძველესი სემიტური სისხლის სამართალი თითქოს დიდ ყურადღებას აქცევდა და პირველ ადგილზე აყენებდა დანაშაულის სუბიექტურ მხარეს; მაგრამ სამართლის ისტორია პირიქით იძლევა მრავალ მაგალითებს იმისას, რომ სემიტური სამართალი იცნობს ობიექტურ შერაცხვას; გარდა ამისა, ტალიონი თავისი ბუნებით მეტად მცირე ყურადღებას აქცევს დანაშაულის შინაგან მხარეს, მისთვის შთავარი გარეგანი შედეგია; გარეგანი მატერიალური შედეგი შეადგენს დანაშაულისა და სასჯელის თანხომიერების საფუძველს. იხ. აგრეთვე Cook, Laws of Moses and the Code of Hammurabi, 1903; Волков, Законы вавилонского царя Хаммураби, 1914; Тураев, История древнего Востока, 1936, 104—118; Струве, История древнего Востока, 1941, 93—103.

<sup>2</sup> Spiegelnde Strafen.

<sup>3</sup> Brunner, Deutsche Rechtsgeschichte, 1892, ტ. II, 588, 589. ტალიონის ფორმების შესახებ იხ. Kohler, Einführung in die Rechtswissenschaft, 1902, § 83.

<sup>4</sup> Brunner, იქვე. ბერძნული კანონების 68. მუხლი შეიცავს მატერიალურ ტალიონს,

ვახტანგის კოდექსში ვნახულობთ სამ მუხლს, რომლებიც თავისებურად სიმბოლოურ ტალიონს გამოხატავენ; ესაა 220, 242 და 259 მუხლები. 220. მუხლი ლაპარაკობს ღალატზე: „თუ ხელმწიფეს ლაშქრიდამ კაცი წაუვიდეს და მტერს მიუვიდეს და იმავე ხელმწიფეს დარჩეს, თავად ხელმწიფის მოწყალე-ბაზედ ჰკიდია, თუ არა და ფეხის მოკვეთა ჯერ არს. გაღარიბება და გახეიბრება ორივე არ არის“. უმძიმესი სახელმწიფო დანაშაულის — მეფის ლაშქრიდან მტრის მხარეზე გადასვლის — ჩადენის შემთხვევაში, დამნაშავეს დასჯა დამოკიდებულია მეფის განკარგულებაზე; თუ მეფემ არ შეიწყალა იგი, მას უნდა მოეკვეთოს ფეხი; სიმბოლოური ხასიათი ამ სასჯელისა აშკარაა: მტრის მხარეზე გადამრბენი კარგავს ფეხს; მაგრამ საყურადღებოა ის, რომ კანონი კრძალავს ერთდროულად ორი სასჯელის — გაღარიბების და გახეიბრების — შეფარდებას. კარსტის „გაღარიბება“ ესმის როგორც სამშობლოდან გაქცევა<sup>1</sup>, და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მეცნიერის მიერ მოცემული განმარტება 220. მუხლში აღნიშნული იურიდიული ტერმინისა სწორია. 242. მუხლი ითვალისწინებს „სამნის“, ე. ი. მიჯნის მოგლეჯას და ამბობს: „სამნის მოგლეჯისათვის, როგორის საქმითაც მკდარ იყოს, დიდი იყოს, თუ მცირე თავის ხელის სისხლის ფასი ჯურუმში გარდაიხადოს, ამისთვის რომე სამნის მოგლეჯელი ხელ-მოსაჭრელი არის“. საზღვრის გაფუჭებისათვის დამნაშავეს ეკისრება კომპოზიციის გადახდა. მიუხედავად მიწის სადაო ნაკვეთის სივრცისა, საზღაურის ოდენობა უდრის ხელის სისხლის ფასს, ვინაიდან დამნაშავე ღირსია ხელის მოჭრისა. მაშასადამე, ამგვარი დანაშაულისათვის თავდაპირველად დაწესებული იქნებოდა ხელის მოჭრა, რაც „სიმბოლოური ტალიონის“ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს; ხოლო შემდეგში ეს დამასახიჩრებელი სასჯელი საზღაურის გადახდით შეცვლილა<sup>2</sup>. ვის სასარგებლოდ იხილდნენ ჯარიმას? ვახტანგის კოდექსის საერთო ხასიათის მიხედვით საფიქრებელია, რომ საზღაურს იღებდა დაზარალებული პირი, ვინაიდან კანონი „სისხლის ფასზე“ ლაპარაკობს, კოდექსის თანახმად კი „სისხლის ფასი“ დაზარალებული პირის სასარგებლოდ იყო დაწესებული<sup>3</sup>. ეს

რომელიც საერთო პრევენციასთან (დაშინებასთან) არის დაკავშირებული: ერთი თვალის მოთხრისათვის დამნაშავეს უნდა მოეთხაროს ერთი თვალი, ორი თვალის მოთხრისათვის მან უნდა დაკარგოს ორივე თვალი, „ამისთვის რომე კარგი ნიშანია და ნულარავინ მოსთხრის თვალსა“. Френкель, 173. საგულისხმო დებულებაა: აქ სამაგიეროს მიზნად ტალიონის სახით პრევენციის პრაქტიკულ მიზნსაც ემსახურება. ბერძნულ კანონებში ვნახულობთ სიმბოლოური ტალიონის მაგალითებს: ცრუ მოწმეს უნდა მოეკვეთოს ენა (152 მუხლი); ქურდს, რომელიც ცრუ ფიცს იძლევა, უნდა მოეკვეთოს ენა (245 მ.), ყალბი ფულის დამმზადებელს უნდა მოეკვეთოს ორივე ხელი, ხოლო შეგნებულად გამსაღებელს ერთი ხელი (379 მ.).

<sup>1</sup> proscription, exil. კარსტის განმარტებით, სიტყვა „გაღარიბება“ გულისხმობს ერთდამივე დროს „l'idée d'expropriation, de la confiscation de la fortune et celle de l'expulsion, de l'exil“ (tome I, 1, p. 269). მაშასადამე, ამ სასჯელს ჰქონია როგორც პირადი, ისე ქონებრივი ხასიათი.

<sup>2</sup> იხ. კოლერი, Studien aus dem Strafrecht, II, 83, 94, 99. ავტორს იტალიის ქალაქების სტატუტებიდან მოჰყავს იმის მაგალითები, რომ სტატუტების თანახმად შესაძლო იყო ხელის, ფეხის მოკვეთის მაგიერ საზღაურის გადახდა.

<sup>3</sup> ძველ რომაულ სამართალში სიკვდილით დასჯა (poena capitalis) იყო დაწესებული საზღვრის ნიშნების დარღვევისათვის (termini motio); როგორც რომაული გადმოცემა ამბობს,



კანონი მოგვაგონებს კაროლინგების დროს კაპიტულარს (817 წ.),<sup>1</sup> რომელიც მის-  
ტრუ მოწმეს ანიჭებდა უფლებას საზღაურით გამოესყიდა ხელი, რომელიც მის-  
თვის იმდროინდელი კანონის ძალით უნდა მოეკვეთათ<sup>2</sup> (სიმბოლური ტალიონი),  
მაგრამ კაპიტულარის თანახმად, დაზარალებულს, ე. ი. იმ პირს, ვის წინაღ-  
მდეგაც იყო მიცემული მოწმის ჩვენება, მხოლოდ კომპოზიციის ორი ნაწილი  
ეკუთვნოდა, ერთი მესამედი კი ხელისუფლების წარმომადგენლის სასარგებლოდ  
მიდიოდა<sup>3</sup>. ქართული სამართალი, როგორც ვხედავთ, საზღაურის ასეთ განა-  
წილებას არ იცნობს.

სიმბოლური ტალიონის სხვა მაგალითებს ქართულ სისხლის სამართალში  
გვაძლევს ვახტანგის კოდექსის 259. მუხლი, რომლის მიხედვით, „თუ ყმამ ბა-  
ტონს გაჯავრებით, ან ჯოხით ჰკრას, ან ხელით სცემოს, ხელი მოკვეთოს, ან  
იმ კაცს ხელის ფასი წაერთოს: თუ ან გაჯავრებით პირისპირ შეაგინოს, ენა  
მოჰკრას, ან ენის ფასი წაერთოს...“ კანონი ითვალისწინებს ფიზიკური ძალა-  
დობის (ცემის) შემთხვევაში ხელის მოკვეთას, პირისპირ შეურაცხყოფის შემთ-  
ხვევაში — ენის მოკვეთას, მაგრამ ორივე დამასახიჩრებელი სასჯელი დაწესებუ-  
ლია ალტერნატიულად ქონებრივ საზღაურთან: სხეულის ნაწილის მოკვეთა ან  
საზღაურის გადახდა, ხელის მოკვეთის მაგიერ დამნაშავემ უნდა გადაიხადოს  
ხელის ფასი, ხოლო ენის მოჭრის ნაცვლად ენის ფასი.

ჩვენი ეროვნული სამართლის განვითარების, მისი ისტორიული ფორმების  
გასაგებად მეტად საინტერესოა იმის გამორკვევა, თუ როგორია ტალიონის  
ზემოთ აღნიშნული სახეების წყარო. ვახტანგის კოდექსი მატერიალურ ტალი-  
ონს ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ე. ი. ტალიონის იმ ფორმას, რომელიც  
ყველაზე მკვეთრი სახით მოცემულია ებრაელთა სამართალში (მოსეს კანონები)  
არ იცნობს; ვახტანგის კოდექსში ასახულია მხოლოდ მასთან დაახლოებული,  
მონათესავე მოვლენები (227, 253 მუხლები) და „სიმბოლური ტალიონის“ შემთ-  
ხვევები (220, 242, 259 მუხლები); ვახტანგის კრებულში შემავალ უცხო კანო-  
ნებზე არაფერს ვამბობთ, იმიტომ რომ ჩვენ ამჟამად გვინტერესებს ეროვნული  
იურიდიული ძეგლები: თუ უცხოურ კანონებს მოვიყვანთ, მათ შორის შეგვიძ-  
ლია დავასახელოთ ბერძნული კანონები, რომლებიც პირდაპირ გამოთქამენ  
ტალიონს მისი უძველესი, ბიბლიური ფორმით (68 მუხლი), რაც, ყოველ ეჭვს  
გარეშე, ებრაელთა სამართლის გავლენით უნდა აიხსნას<sup>3</sup>.

ნუმამ დააწესა, რომ ამგვარ შემთხვევაში დამნაშავეც და ზარებიც ღმერთებისაგან დასასჯე-  
ლად იყო განწირული, ე. ი. მათ მოელოდათ ყველა ის შედეგი, რაც „sacer esto“-სთან იყო  
დაკავშირებული („eum, qui terminum exarasset, et ipsum et boves sacros esse“). იხ. S.  
Mayer, Die Rechte der Israeliten, Athener und Römer, 1862, B. I, 332—336.

ავტორი ადარებს ერთმანეთს ებრაელთა სამართლის „კრულვას“ დროშული სამართ-  
ლის „homo sacer“-ს. იხ. აგრეთვე Ihering, Geist des röm. Rechts, 1878, I Theil, 279,  
Sacertät. მოყვანილი აქვს Festus-ის მასალები.

<sup>1</sup> „Manus suas redimant...“

<sup>2</sup> „cujus compositionis duae partes ei contra quem testati sunt dentur, tertia pro  
fredo solvatur“.

<sup>3</sup> ტალიონის შესახებ სხვადასხვა ხალხთა ისტორიაში იხ. კოლერის „Allgemeine  
Rechtsgeschichte“, 1914. ტალიონი იტალიის ქალაქების სტატუტარულ სამართალში იხ.  
იგივე ავტორი „Studien aus dem Strafrecht“, II, 136—141.

სომხური კანონების 213. მუხლი უარყოფს ტალიონის პრინციპს. წინათ, ამბობს ეს მუხლი, დადგენილი იყო თვალი თვალის წილ, ხელი ხელის წილ და სხვ., მაგრამ ახლა ეს კანონი სახარების მოძღვრებით გაუქმებულია და ადამიანის სისხლისათვის მიიღება ფულადი დაკმაყოფილებაო, მაგრამ ამ კანონებს მაინც ემჩნევა უტყუარი კვალი ტალიონის იდეის გავლენისა, რაც მტკიცდება, მაგალითად, 234. მუხლით, რომლის თანახმად, ვინც განზრახ დაწვაეს სხვის სახლს, იგი უნდა დაიწვას ცეცხლში, როგორც სიკვდილის ღირსი, ხოლო უკეთუ შებრალების გამო ამ სასჯელს არ შეუფარდებენ, მას უნდა მოკვეთონ ის ხელი, რომლითაც მან ცეცხლი წაუკიდა.

დედაკაცმა თუ ნაყოფი მშუკლისა წაიხდინოს ან „მიცემის დროს დაარჩოს, მის მაგიერად ის უნდა მოკუდეს“ (201 მუხ.). ტყუილად დამბეზღებელს მოსამართლემ უნდა შეუფარდოს ის სასჯელი, რომელიც ბრალდებულს მოელოდა (115 მუხლი). სიმბოლური ტალიონის მაგალითები სომხური სამართლის წიგნის სხვა მუხლებშიც მოიპოვება, მაგალითად, 209. მუხლი დედ-მამის ცემისათვის აწესებს ხელის მოჭრას, 281. მუხლი იმავე სასჯელს ითვალსწინებს იმ შემთხვევისათვის, უკეთუ ვინმემ ჩხუბის დროს გამზავებელ დედაკაცს დაშავება მიაყენა, მაგრამ თუ უკანასკნელი ერთ-ერთ მხარეს ეხმარებოდა, კანონის თანახმად, თვითონ მას უნდა მოეკვეთოს ხელი (ალტერნატიულად დაწესებულია ჯარიმა ხელის ფასის ოდენობით). განსაკუთრებული სახე სიმბოლური სასჯელისა დადგენილია სომხური სამართლის 178. მუხლით (სქესობრივი დანაშაულისათვის).

აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის მიხედვით ძველი ქართული სისხლის სამართალი *jus talionis*-ის პრინციპს არ იცნობდა; მისი აზრით, მისაგებელს, ე. ი. სასჯელს, „შურისძიების სამართლის“ მნიშვნელობა თავდაპირველად უნდა ჰქონოდა, IX—XIII საუკუნეებში კი „მისაგები“ მხოლოდ სასჯელის ზოგადი ცნების აღმნიშვნელი ტერმინი იყო“, მაშასადამე, ის პირვანდელი საფეხური, როცა სისხლის სამართლის დარგში წილებული იყო „იუს ტალიონის“, აქ უკვე განვლილია. შესაძლოა, რომ ეს ინსტიტუტი იმდროინდელი სამართლისათვის ნამდვილად უცნობი რამ იყო, მაგრამ მოსალოდნელია ისიც, რომ ძველი ქართული სამართლის მკვლევარი მას არ შეხვედრია ან იმიტომ, რომ სათანადო იურიდიული საბუთები დაკარგულია, ანდა იმიტომ, რომ სათანადო მასალები ჯერჯერობით შესწავლილი არაა. საკითხი აღნიშნული ინსტიტუტის ძველ ქართულ სამართალში არსებობის თუ არარსებობის შესახებ ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხია: იგი უუქს ფენს ამ საფეხურის სისხლის სამართალს და გვაძლევს გარკვეულ საფუძველს ვიმსჯელოთ მის ბუნებაზე. სხვადასხვა ქვეყნების ძველ სისხლის სამართალს საერთოდ ახასიათებს ორი ძირითადი ინსტიტუტი: კომპოზიციების სისტემა და ტალიონი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ბ რ უ ნ ე რ ი ამტკიცებს, რომ ტალიონი „dem germanischen Strafrechte von Hause aus fremd ist“, *op. cit.* 589.

იმ ფაქტს, რომ ტალიონის პრინციპს იცნობს *Lex Wisigothorum*, ბ რ უ ნ ე რ ი ხსნის ძველი გერმანული სამართლის ზეგავლენით (589, 677). (*Lex Wisigoth.*: Ille vero qui accusa-



ქართული სისხლის სამართლის განვითარების ყველა საფეხურზე ვხვდებით პოზიციების სისტემას, უკანასკნელი მეტად სიცოცხლის უნარიანი აღმოჩნდა ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში: მისი მოქმედების სფერო ხან ფართოვდება და ხან ვრწოვდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია სახელმწიფო ხელისუფლება; საქართველოს აყვავების, მისი პოლიტიკური ძლიერების ხანაში კომპოზიციების გამოყენების სფერო ბუნებრივად შეიზღუდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ იგი ფართო ასპარეზს მოიპოვებდა, როდესაც სამეფო ხელისუფლება დასუსტდა და მას წინანდელი ძალა და ბრძოლის უნარი უკვე აღარ ჰქონდა. მიუხედავად ასეთი ისტორიული ცვალებადობისა, ქონებრივ საზღაურთა სისტემა განაგრძობდა თავის არსებობას XIX საუკუნემდე, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანამდე.

vit, et penam et dampnum suscipiat, quod debuit percipi, accusatus, si de crimine fuisset convictus“ VII, 1, 5, edidit K. Zeumer. იხ. იქვე, VI, 4, 3, De reddendo talionem).

ფეოდალური პერიოდის გერმანული სამართალი ბლომად გვაძლევს ტალიონის მაგალითებს; მათ ჩვენ სხვადასხვა საუკუნის ძეგლებში ვნახულობთ; ინტერესს არ იქნება მოკლებული მოვიყვანოთ აქ რამდენიმე მათგანი.

აუგსბურგის ქალაქის სამართალი (Augsburger Stadtrecht 1276 წ.) ამბობს: „auge wider auge, ore wider ore, nase wider nase, zunge wider zunge, zan wider zan, hant wider hant, vinger wider vinger fuz wider fuz“. დორტმუნდის ქალაქის სამართალი (14 საუკ.): collum pro collo, manum pro manu.

„Schwabenspiegel-ი აშკარად აღიარებს ტალიონს: „sol rihten: ouge umbe ouge, zan für zan, hant umbe hant, fuz umbe fuz. Brennet jeman den andern an dem libe, den brenne man hin wider“.

გლოსა და ექსტრავაგანტები საშუალო საუკ. მეორე ცნობილი ძეგლის Sachsenspiegel-ის აგრეთვე ტალიონს ცნობენ; ექსტრავაგანტი ამბობს: „Bricht ein man deme andern sine ougen uz ane redit, der syn gelden mit sinen ougen, ab he en mit rechte underwindt“.

Sachsenspiegel-მა ზოგჯერ იცის ვერეთწოდებული „Indiefusstapfentreten“: მოსამართლის პასუხისმგებლობა, თუ ის უარს იტყვის საქმის გარჩევაზე — „Welch Ridter Ugericht nicht riditet, der ist desselben Gerichts selbst schuldning, das über diesen solt gehen“ (II, 13) და უკანონო განთავისუფლება პატიმრისა — „Welcher Mann einen beklagten um Ungericht gewaltiglichen dem Gerichte entführet, wird er gefangen mit Geruffit, er sol gleiche Pein jenem leiden“ (III, 9). იმავე ძეგლში ვხვდებით სიმბოლურ ტალიონს: „Wer den anderen lemet oder wundet, wird er des überwunden, man schlägt ihm die Hand ab“ (II, 16); სიმბოლური ტალიონის მაგალითებს იძლევა Schwabenspiegel-იც. XVI საუკ. ცნობილი ძეგლი კაროლინა შეიცავს სიმბოლურ ტალიონს (ბრუნერის ტერმინით, spiegelnde Strafen) და სასჯელის ამორჩევისას ხელმძღვანელობს სხვადასხვა საფუძვლით: დანაშაულის ჩადენის ხერხით, თუ სხეულის რა ნაწილითაა ჩადენილი დანაშაული (თითის მოკვეთა ცრუ ფიცის მიცემისას) და სხვ.

გერმანულ ფეოდალურ სამართალში ტალიონის არსებობის შესახებ მდიდარი მასალა მოყავს სამართლის ისტორიკოსს ოზენბრიუგენს. ამ ავტორის სიტყვით, ძველ გერმანულ სამართალში სამაგიეროს მიზნად ჩვეულებრივ ფულადი ჯარიმების გზით (durch Geldbussen) ხორციელდებოდა, მკვლელობის შემთხვევაში — „Wergeld“-ის გადახდის გზით. სამაგიეროს მიზნად ტალიონის სახით მისთვის უცხო რამ იყო. ხოლო როცა დამნაშავე საზღაურს არ იხდიდა, იწყებოდა შურისძიება. სისხლის აღებასთან შედარებით ტალიონი, რომელსაც სასამართლო უფარდებდა, რა თქმა უნდა, წინსვლას წარმოადგენს. მაშასადამე, ტალიონს ჰქონდა

გადაუწყვეტელი რჩება საკითხი ტალიონის შესახებ; ამ საკითხის გადაჭრა თქმა უნდა, დიდ სიძნელეებს ხედება, რადგან ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს სათანადო მასალები, რომელთა საფუძველზე შეიძლებოდა ცოტად თუ ბევრად დასაბუთებული, დამაჯერებელი დასკვნის გაკეთება. ვახტანგის კოდექსი, როგორც ზემოთ იყო გამოკვეთილი, შეიცავს დებულებებს, რომლებიც ტალიონთან დაკავშირებულ ზოგიერთ ისტორიულ ნაშთს წარმოადგენენ. შეადგენს თუ არა ეს ნაშთი ძველის-ძველი ეროვნული ადათების, ზნე-ჩვეულებების ანარეკლს საკანონმდებლო დარგში? ეს ინსტიტუტი კანონმდებელმა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უძველესი დროიდან გადმოცემულ და ფესვგადგმულ ჩვეულებებიდან უშუალოდ შეითვისა, ისე როგორც კომპოზიციების სისტემა, თუ ისეხა უცხოური სამართლიდან, — ამ საკითხზე გადაჭრით პასუხის გაცემა შეუძლებელია; მაგრამ მაინც უფრო დასაშვებია შეხედულება, რომლის თვალსაზრისით ტალიონის აღნიშნული სახეები ეროვნული წარსულის უძველეს ხანას ვკუთვნიან, ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განვი-

ადგილი მაშინ, როცა დამნაშავე არ იხიდა კომპოზიციას (Osenbrüggen, Studien zur deutschen und schweizerischen Rechtsgeschichte, 1868, S. 156, 157).

მუხუნდავად ავტორის აზრისა, რომ ტალიონი გერმანული სამართლისათვის უცხო იყო, მის მიერ მოყვანილი მაგალითები საქმად ამტკიცებენ, რომ ტალიონი ფეოდალურ გერმანულ სამართალში ძალიან გავრცელებული ყოფილა. რასაკვირველია, ეს ნაწილობრივად ებრაელთა სამართლის გავლენით აიხსნება, რასაც მოწმობენ ისტორიული ძეგლები, მაგალითად, ფლანდრიის სამართალი (Keure von St. Omer, 1127 წ.): „Secundum quantitatem scilicet oculum pro oculo, dentem pro dente, caput pro capite“ (იქვე, 156).

სასჯელს ზშირად აქვს სიმბოლური ხასიათი, რაც სხეულის რომელიმე ნაწილის დაზიანებაში ან მოკვებაში გამოიხატებოდა.

სიმბოლური სასჯელის ერთ-ერთ ფორმას ფეხისა და ხელის მოკვეთა წარმოადგენს. რომაელები გაქცეულ მონას ფეხს მოკვეთდნენ ხოლმე ან მუხლქვეშა კუნთს გადაუჭრიდნენ; მუხლქვეშა კუნთის (le jarret) გადაჭრა მიღებული იყო საფრანგეთის კოლონიებში ლუი XIV<sup>რდონანასის</sup> (Code Noir) ძალით მონა ზანგის შიმართ მისი განმეორებით გაქცევის შემთხვევაში. ლომბარდული სამართლის თანახმად — „Manus furibus praeciduntur“. ჩრდილო ევროპის ხალხთა სამართლის ძალით, შეზღავრს, რომელიც შემოკრავდა უფროსს ან იარაღს იმარდა მის წინააღმდეგ, ხელით მიაკრავდნენ გემის ანძას დანის საშუალებით. გ რ ი მ მ ა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ იურიდიულ ძეგლებში აღნიშნულია მარჯვენა ხელის და მარცხენა ფეხის მოკვეთა (den linken Fuss und die rechte Hand; le pied gauche, le bras droit). ხალხურ პოეზიაშიც იმავე მოვლენას გვხვდებით.

გ რ ი მ ის აზრით, საკვირველია, რომ ძველი კანონები მომეტებულ სახალურს არ აწესებენ მარჯვენა ხელისა და მარცხენა ფეხის დაზიანებისათვის; მხოლოდ ფრიხების მოკვიანო სამართალი შეიცავს ამგვარ დადგენილებას (Deutsche Rechtsalterthümer, 705, 706; აგრეთვე იმავე ავტორის „Poesie im Recht“. იხ. Chassan, Essai sur la symbolique du droit, 1847, chap. XII). გიორგი V ძეგლის დადება სპეციალურად აღნიშნავს მარჯვენა ხელის მოკვეთას ან დაზიანებას და აწესებს ამ დანაშაულისათვის სისხლის მესამედს: „ასოთ საქმე ასე გავაჩინეთ. მარჯვენა ხელი ვისაც მოეკუეთოს ანუ დაუშავდეს დაკოდილობითა, სისხლის მესამედით დაიურვოს“. (33 მ.).

„კაცი თუ ლაყოჩა იყოს და მარცხენას ხელს მარჯვენად იზმარებდეს, მარჯუენის ხელის სისხლი დაეურვოს“ (34 მ.).



თარების პირვანდელ საფეხურებს გამოხატავენ; შესაძლოა, რომ ეს ინსტიტუტი უძველეს სემიტურ ხალხთა — ასურეთისა და ბაბილონის — სამართლებრივი გავლენის შედეგს წარმოადგენს; კარსტი, როდესაც იგი ეხება ქართული სამართლის შორეულ ისტორიულ წყაროებს, ბერძნული სამართლის და ირანულ-სომხური გავლენის გვერდით სემიტურ გავლენასაც აღნიშნავს; კიდევ რომ დავტოვოთ უყურადღებოდ, ამბობს იგი, ასურეთ-ბაბილონის ოფიციალური სამართლის შემოტანის შესაძლებლობა იბერიაში, რომელიც თავდაპირველად, ისე როგორც სომხეთი, ამ სახელმწიფოს მხოლოდ ერთ-ერთ პროვინციას შეადგენდა, უდავოა, რომ ქრისტიანობის მიღებასთან ერთად მოსეს კანონი, მოცემული ხუთ წიგნში, აღიარებული იყო საქართველოში ეკლესიის ნომოკანონების საფუძვლად; გასაკვირიც იქნებოდაო, განაგრძობს კარსტი, რომ საქართველოში, რომელიც ნაბუქოდონოსორის დროიდან დასახლებული იყო ებრაელთა მნიშვნელოვანი ახალშენებით, ებრაულ სამართალს არ დაეჩნია თავისი სერიოზული კვალი იბერ-ქართველთა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პრაქტიკაში<sup>1</sup>.

ალბათ, იმავე შორეულ ისტორიულ დამოკიდებულებასა და კავშირს გულისხმობდა ოლივერ უორდროპი, როდესაც გიორგი V „ძველის დადების“ თარგმანის წინასიტყვაობაში მიუთითებდა, რომ ვახტანგ VI კანონმდებლობა უდიდეს ინტერესს წარმოადგენს შედარებითი სამართლის ისტორიის მკვლევარისათვის; მისი სიტყვით, ამ კანონთა ფართო ნაწილი, რომელიც ვახტანგს ეკუთვნის, თუმცა გამოცემული იყო ამ მეფის მიერ XVIII საუკ., მაგრამ სინამდვილეში დამყარებულია ქართული ტომის უძველეს ადათებზე და მას შეუძლია წარმატებით გამოიწვიოს ასირიოლოგების ყურადღება<sup>2</sup>. ყველაფერი ეს შესაძლოა, ამგვარი გზებით შემოსვლა სემიტური სამართლის დებულებებისა ქართული ხალხის ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, დასაშვებია, მაგრამ ასეთი აზრი ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზების სფეროს ეკუთვნის.

როდესაც ვახასიათებთ ქართულ სისხლის სამართალს, ჩვენ ვერ დავტოვებთ უყურადღებოდ ერთ მის თვისებას, რომელიც შეიძლება ითქვას, მის ძირითად თვისებას წარმოადგენს. ქართულმა სისხლის სამართალმა არ იცის სასჯელის სასტიკი, შემზარავი სახეები, სასჯელის ის კვალიფიციური ფორმები, რომლებსაც უხვად იცნობენ მონათმფლობელური და ფეოდალური პერიოდის სახელმწიფოები. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ძველმა ქართულმა სამართალმა იცოდა სიკვდილით დასჯის ორი მარტივი სახე: თავის მოკვეთა და ჩამოხრჩობა. გიორგი III მეფობაში გახშირებულა მეკობრობა და პარვა, რის გამოც საკანონმდებლო კრებას 1170 წელს „მშვიდობიანობის დამყარება მკაცრი სასჯელის შემოღებით უცდია და ამ დადგენილებას მართლაც სრული მკუდროება

<sup>1</sup> Code du roi Vakhtang VI, 1934, T II, p. 6.

<sup>2</sup> „... and the large section which bears the name of Vakhtang, though edited by that prince in the eighteenth century, is based upon the most ancient customs of the Georgian race and might profitably engage the attention of Assyriologists“. O. I. Wardrop, Laws of king George V of Georgia surnamed „The Brilliant (from the Journal of the Royal Asiatic Society. 1914. July, 608).



და უშიშროება დაუმყარებია საქართველოში“<sup>1</sup>. მაგრამ თამარს, გამეფებასთან ერთად „არამც თუ სიკვდილად დასჯა მოუსპია, არამედ ყოველგვარი დამასახიჩრებელი და ადამიანის ბუნებისა და ღირსების დამამცირებელი სასჯელებიც ამოუკვეთია“<sup>2</sup>. თამარის დროს სიკვდილით დასჯას და დამასახიჩრებელ სასჯელს მხოლოდ ავაზაკებს უფარდებდნენ; მოჰყ ვს რა ეს ცნობები, აკად. ივ. ჯავახიშვილი დასძენს, რომ იმ დროს, ისტორიკოსის სიტყვით, სასჯელები კანონით და სამართლის წიგნის ძალით კი არ ყოფილა მოსპობილი, არამედ თამარი იყენებდა შეწყალების, პატიების უფლებას და ამ გზით აუქმებდა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს. აკად. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ თამარ მეფის ისტორიკოსებს ასეთი ღმობიერება სასჯელთა პოლიტიკის დარგში დიდ საქებურ საქმედ მიაჩნდათ და გამოთქვამა მოსაზრებას, რომ ეს ფაქტი „საქართველოს მაშინდელი იურიდიული შეგნებისათვის ფრიად დამახასიათებელია“-ო. ეს მოსაზრება სრულიად სწორია; იგი მშვენივრად ახასიათებს ამ პერიოდის კულტურული და ზნეობრივი განვითარების მაღალ დონეს; ამ ფაქტის მნიშვნელობა ცხადი გახდება ჩვენთვის განსაკუთრებით მაშინ, თუ მოვიგონებთ, რომ XVII და XVIII საუკუნეებშიც კი საფრანგეთის გამოჩენილ მოღვაწეებსაც უსასტიკესი სასჯელები და ინკვიზიციურ პროცესში მიღებული წამება ბრალდებულისა სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდათ.

როგორც ჩანს, არც მომდევნო საუკუნეების ქართულ სამართალს სცილდნია ის განაკუთრებული სისასტიკე, რომლითაც ხასიათდება, მაგალითად, კაროლინა ან რუსული სამართლის ძეგლი „Уложение 1649 г.“ ვახტანგ VI სამართლის წიგნი შეიცავს სულ რამდენიმე მუხლს, რომლებიც სიკვდილით დასჯას გულისხმობენ; ჩვენ ვამბობთ — გულისხმობენ იმ მოსაზრებით, რომ კანონმდებელი ვარკვევით არ აღნიშნავს სასჯელის ამ კონკრეტულ სახეს, მაგრამ დანაშაულის სიმძიმის და საერთო გამოთქმის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მუხლებით დადგენილი უმაღლესი სასჯელი; მაგალითად 33. მუხლი, აღნიშნავს რა დაურეგბის გამოანგარიშების არითმეტიკულ საფუძველს, ამბობს: „მეფისა, კათალიკოზისა და უფლის-წულისა არა დაგვიწერიარო“; მაშასადამე, კანონმდებელს დაუდგენია სისხლის ფასი სახელმწიფოში არსებულ ყველა წოდებისათვის, ხოლო უზენაესი ხელისუფლების მეთაურისა, ეკლესიის მეთაურისა და უფლის-წულისათვის სისხლის ფასი დაწესებული არ ყოფილა, ისინი ამ მხრივ დგანან საერთო სისტემის გარეშე; ამ პირთა მკვლელობის შემთხვევაში დანიშნული იქნებოდა სიკვდილით დასჯა. გარდა ამისა 221. მუხლი ითვალისწინებს ციხიდან და სიმაგრეიდან გაქცევას, მტრის მხარეზე გადასვლას, მტრის ლაშქრის

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტორია, II, 2, 538. შემდგომშიც, XIII საუკუნეში, დავით-ულუს მეფობაში მესტუმრე ჯიქურს მკაცრი საშუალებების გამოყენებით წესიერება და უშიშროება დაუმყარებია; ჟამთააღმწერელის სიტყვით მის დროს „სრულად სამეფოსა შინა მპარავი და ავაზაკი არ იპოვებოდა“, ხოლო, „თუ სადა გაჩნდის, ძელსა ჩამოჭრიდინო“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 3, 1941, გვ. 61, 62).

<sup>2</sup> ქართ. სამ. ისტ. II, 2, 538.



მოყვანას და თავდასხმას და დასძენს, რომ ასეთ შემთხვევაში „სისხლმწიკის“ ჩინება“, ვინაიდან დამნაშავე „ბევრი სულის მესისხლე არისო“, ამიტომ „რაც გარდახდება სამართლით იქნებაო“. აქ თვითონ კანონმდებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოლაღატეს რა გინდ მძიმე სასჯელი შეეფარდოს, სწორი და სამართლიანი იქნებაო; ბუნებრივია, რომ აქაც სიკვდილით დასჯა უნდა იყოს გათვალისწინებული. 222. მუხლიც ლაპარაკობს უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულზე — ღალატზე — და დამნაშავისათვის „ყველა ავი“ მართებულად მიაჩნია. დავსახელოთ კიდევ ვახტანგის სამართლის წიგნის 65. მუხლიც, რომელიც ითვალისწინებს ცოლის მიერ ქმრის მოწამვლას ან სხვა რაიმე საშუალებით მკვლელობას და ავლებს მოსამართლეს იმის გამოკვლევას, თუ რისთვის მოუკლავს: „თუ ასეთი რამ უქნია რომ ემართლებოდეს თქვენ იცით და თუ უბრალო მოჰკლავს იგი თქვენ იცით, ღმერთმან ნუ ჰქნას და თუ ჩვენს ქამს მოხდა ჩვენ ვიცით“. ვინც ამ დადგენილებას ჩაუკვირდება, ძნელი არაა იმის მიხედვით, რომ კანონი აქ გულისხმობს სხვადასხვა სასამართლოთა კომპენტენციას, მაგრამ გაურკვეველია, თუ სახელდობრ რომელ სასამართლოებზეა ლაპარაკი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაზე უფრო მისაღებია ის ვარიანტი, რომელსაც იძლევა კარსტი; კარსტის აზრით, პირველ ორ შემთხვევაში („თქვენ იცით“) ნაგულისხმევია პატრიარქისა და მეფის სასამართლო, რომელთაც ექვემდებარება ზემოთ აღნიშნული დანაშაული ნათესავებს შორის, ხოლო უკანასკნელი შემთხვევა („ჩვენ ვიცით“) გულისხმობს ჩვეულებრივ (ორდინარულ) საერო სასამართლოებს; თავის შეხედულებას კარსტი ასაბუთებს იმ მოსაზრებით, რომ 81. მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ძმის მიერ ძმის მკვლელობას, ამბობს: „თუ ძმამან ძმა მოკლას არც მისი სისხლისა ვიცით, ჩვენ თან დიად მძიმე არის და თქვენ იცით...“; როგორც ვხედავთ, ეს კვალიფიციური სახე მკვლელობისა არ ეკუთვნის ჩვეულებრივ სასამართლოთა ქვემდებარეობას, კანონმდებელი კი ლაპარაკობს ამ უკანასკნელ სასამართლოთა სახელით („ჩვენ“); ძმის მიერ ძმის მკვლელობა იმდენად მძიმე დანაშაულია, რომ იგი უბრალო სასამართლოს კომპენტენციას აღემატება და უნდა იქნას განხილული უმაღლესი სამეფო ან საკათალიკოზო ტრიბუნალის მიერ („თქვენ იცით“). კარსტის ინტერპრეტაციის სისწორე განსაკუთრებული სიცხადით მტკიცდება, როდესაც მას დაეუკავშირებთ 82. მუხლის შინაარსს; 82. მუხლი ამბობს: „თუ ძმამან და მოკლას ან დამან ძმა მოკლას, ჩვენ იმისი სამართალი არ ვიცით, მისიც მეფემ და კათალიკოზმან იციან“. 82. მუხლის რედაქცია ისეთი ხასიათისაა, რომ არავითარ ეჭვს არ სტოვებს კარსტის მიერ გამოთქმული აზრის სისწორეში. ეს განმარტება საპროცესო საკითხს ეხება; ჩვენთვის კი ამჟამად უფრო საინტერესოა სხვა საკითხები, სახელდობრ, თუ რა სასჯელს იწვევდნენ ზემოთ დასახელებულ მუხლებში აღნიშნული დანაშაულები; რადგან ეს მუხლები მკვლელობის კვალიფიციურ სახეებს ითვალისწინებენ და ქვემდებარეობის მხრივ უმაღლეს სამეფო ან საკათალიკოზო სასამართლოს ეკუთვნოდნენ, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ შედეგად მათ განსაკუთრებით მძიმე სასჯელის შეფარდება უნდა მოჰყოლოდა. საეკლესიო სასამართლო საკმაოდ სასტიკ სასჯელს იცნობდა, რის მაგალითსაც კათალიკოზის კანონები ლევიან; კათალიკოზის კანონები ძმისა და მამის მკვლელობისათვის ხელის

მოკვეთას და სამშობლოდან გაძევებას ითვალისწინებენ (5. მუხლი). შენაძლოა ისიც, რომ უმაღლესი სამეფო და საკათალიკოზო სასამართლოები ასეთი კვალიფიციური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სიკვდილით დასჯასაც უფარდებდნენ.

აქვე უნდა დავასახელოთ 155. მუხლი ვახტანგის სამართლის წიგნისა, რომელიც უცილობელად საჯარო ხასიათის სასჯელს გულისხმობს; ეს მუხლი ამბობს: „საყდრის გატეხისა, ჯვარისა და ხატისა დამტურევისა, ხელმწიფის სალაროს გატეხისა ჩვენ არა გვითქვამს რა, როგორც ხელმწიფესა და კათალიკოზს ეპრიანებოდესთ ისრე გარდაახდევინონ“. თავის-თავად ცხადია, რომ ამგვარი დანაშაულნი უმაღლეს სამეფო და საკათალიკოზო სასამართლოებს ექვემდებარებოდნენ და უმძიმეს სასჯელს იწვევდნენ.

მონათმფლობელური და ფეოდალური პერიოდის კანონმდებლობა საერთოდ განსაკუთრებული სიმკაცრით ხასიათდება, დაწყებული ჰამურაპის კოდექსით, რომელიც ხშირად ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას (არა ნაკლებ 35 შემთხვევისა) და ამასთან ერთად იცნობს სიკვდილით დასჯის რამდენიმე კვალიფიციურ სახეს (დაწვა, სარზე ჩამოგება და სხ.)<sup>1</sup>. იმავე სიმკაცრით ხასიათდება რომის იმპერიის სასჯელთა სისტემა, რომელიც აგრეთვე იცნობს სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ ფორმებს, როგორცაა poena culei, ჯვარცმა, დაწვა და სხვ.<sup>2</sup> ფეოდალური ევროპის კანონმდებლობა არა ნაკლები სიმკაცრით არის გამსჭვალული, რასაც ცხადად ამტკიცებენ შუა საუკუნეების იურიდიული ძეგლები და მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილი კოდექსი კაროლინა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> D. H. Müller, Die Gesetze Hammurabis. 1903.

<sup>2</sup> Mommsen, Römisches Strafrecht. 1899.

<sup>3</sup> Кистяковский, Исследования о смертной казни, 1896.

სიკვდილით დასჯის და მისი კვალიფიციური სახეების შესახებ ფეოდალურ ევროპაში საინტერესო მასალები მოჰყავს ო ზენბრიუგენს, Studien zur deutschen und schweizer. Rechtsgeschichte, 273—302 (Schweizer. Hochgerichtsordnungen); 346—355 (Ertränken und das Schwemmen); 356—360 (Das Lebendigbegraben). იქვე — der letzte Hexenprozess, რომელსაც 18 საუკ. დამლევს შვეიცარიაში ჰქონდა ადგილი (გვ. 413—433).

ო ზენბრიუგენი ფეოდალურ სასამართლოს პრაქტიკაში მიღებულ სიკვდილით დასჯის უსასტიკეს ფორმებში ხედავს „ein nicht unbedeutender Theil der Symbolik und Plastik des altdeutschen Rechts“ (იქვე 289).

კოლერსაც შუა საუკუნეების იტალიის ქალაქთა სტატუტებიდან (12—16 სს.) მოჰყავს მდიდარი მასალა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელ სასჯელზე და და კერძოდ სიკვდილით დასჯაზე და მის კვალიფიციურ სახეებზე (Kohler, Studien aus dem Strafrecht, II, 1895, 115—136).

მეტად საყურადღებოა აგრეთვე ამ მხრივ პეტრელეს ნაშრომში მოცემული მასალა, რომელიც პირველ წყაროებიდან არის ამოღებული (Pertile, Storia del diritto italiano, 1892, V, § 182, pp. 260—277).

გრიმიც ასახელებს შუა საუკუნეებში მიღებულ სიკვდილით დასჯის სხვადასხვა სახეებს, მათ შორის ბევრს კვალიფიციური ხასიათი აქვს — „rädern, ausdärmen, pfählen, viertheilen, zertreten von Pferden, lebendigbegraben, ertränken, verbrennen და სხვ. (Jacob Grimm, Deutsche Rechtsalterthümer, Andere Hälfte, 1828, 682—701). იხ. იქვე Leibesstrafen, 701—711.



ქართული  
საქმიანობა

იმავე სურათს ვხვდებით რუსეთის სამართლის ისტორიაში. XVII საუკუნის სამართლის ძეგლი „Уложение 1649 г.“ დაახლოებით 60 მუხლში ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, მაგრამ სერგეევსკის სიტყვით, აღნიშნული საუკუნის ცალკეული საკანონმდებლო დადგენილებანი კიდევ უფრო აფართოებენ ამ სასჯელის გამოყენებას; „Уложение“ აწესებს სიკვდილით დასჯის სამ კვალიფიციურ სახეს: დაწვას, გამდნარი ლითონის პირში ჩასხმას და მიწაში ცოცხლად ჩამარხვას, მაგრამ იმდროინდელ პრაქტიკაში სხვა კვალიფიციური ფორმებიც არსებობდა, მაგალითად, დაბორძლვა, შაყას კვრა და სხვ. სერგეევსკის სიტყვით, აღნიშნულ პერიოდში მოსკოვის სახელმწიფოს პრაქტიკული ინტერესები ყველაფერს ჩრდილავდნენ, იდეალური მიზნები, სამართლიანობის და ზნეობის განყენებული საწყისები ამ ინტერესების წინაშე სდუმდნენ; მაღალი იდეებისათვის არავის ეცალა: საჭირო იყო სახელმწიფოს აშენება და გაამაგრება, ყველაფერი დანარჩენი ზედმეტად იყო მიჩნეული. ამ დიდი მიზნისათვის დაღვრილი იყო სისხლის ნაკადები, რომლითაც მოარწყულია მთელი XVII საუკუნე. სიკვდილით დასჯა, ამბობს სერგეევსკი, შეიძლება ითქვას, საერთო ნორმალურ მოვლენას შეადგენდა, იგი იყო poena ordinaria, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; სხვა ყველაფერი თითქოს მისი შერბილება იყო. სერგეევსკის აზრით, მმართველთა სისხლის მწყურვალეობა როდი იყო ამ სისასტიკის მიზეზი, იგი გამოწვეული იყო პრაქტიკული მიზანშეწონილობისა და აუცილებელი საჭიროების უბრალო შეგნებით. სიკვდილით დასჯის უღმობელობა მოწმობს, რომ ცალკეული ადამიანის პიროვნებამ დაკარგა ყოველი ფასი და მნიშვნელობა შედარებით იმ საწყისებთან, რომელთა დასაცავად მართლმსაჯულებას აღმართული ჰქონდა თავისი მახვილი, ე. ი. სახელმწიფოებრივობის და საზოგადოებრივი წესრიგის საწყისებთან<sup>1</sup>.

კვალიფიციური, განსაკუთრებულ ტანჯვასთან დაკავშირებული სიკვდილით დასჯა რუსეთში, იმავე ავტორის შეხედულებით, არ განირჩეოდა ისეთი სირთულით და დახვეწილობით, როგორც ეს იყო დასავლეთ ევროპაში იმავე ეპოქაში, მაგრამ სისასტიკით იგი უკანასკნელს არ ჩამოუვარდებოდა. თავისი პრიმიტიული უხეშობით იგი განცვიფრებას იწვევს<sup>2</sup>.

სასჯელთა ამგვარი შემზარავი სისასტიკე ვახტანგის კრებულში მოთავსებულმა ეროვნულმა ძეგლებმა, რასაკვირველია, არ იციან<sup>3</sup>, და, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მასალებს, რომლებიც აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის ნაშრომში შეუკრებია, ქართულ სამართალს მისი არსებობის წინანდელ საფეხურებზედაც არ სცოდნია იგი. უცხოური ძეგლებიდან სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ სახეებს ვნახულობთ ბერძნულ კანონებში, რომლებიც ითვალისწინებენ ნათესავის მკვლელის დაწვას (391 მ.) და ყაჩაღების სარზე ჩამოცმას.

<sup>1</sup> Сергеевский, Наказание в русском праве XVII в., 69—71.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 193, 104.

<sup>3</sup> ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს კათალიკოზთა სამართლის 23 მ., რომელიც „დაკირვას“ ითვალისწინებს. იხ. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნა, ქართ. სამ. ისტ., I, 55.

(323 მ.)<sup>1</sup>. რაც შეეხება ეროვნული ხასიათის სამართალს, იგი, ვიმეორებ, სრულიად არ იხსენიებს სასჯელთა ამგვარ ფორმებს.

გიორგი V ძველის დადება ლაპარაკობს სიკვდილით დასჯაზე მე-15 მუხლში: თუ ვინმემ ჩაიდინა დედ-მამის მკვლელობა, მას მოელის „პირიანი გაპატიება, გაძევება შეუნდობლად, შემოუშვებლობა, აღმოფხვრა და აღმოწყვეტა“.

კათალიკოზთა სამართლის წიგნის შინაარსი, როგორც აღნიშნულია მის შესავალში, ამოღებულია „რჯულის კანონიდან“ და რამდენიმე მუხლში ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას; ასეთია, მაგალითად, 2. მუხლი, რომელიც ადამიანის გაყიდვისათვის აწესებს ჩამოხრჩობას, 3. მუხლი აწესებს იმავე სასჯელს მკრეხელობისათვის, 6. მუხლი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას უდანაშაულო ადამიანის მოკვლისათვის; 17. მუხლი სიკვდილით სჯის ხელმწიფის მოღალატეს და ბოლოს იგივე სასჯელი, მაგრამ თავისებური სახით, — „დაკირვით“ — დადგენილია იმ შემთხვევისათვის, უკეთუ ვინმემ შეირთო თავისი რძალი (23 მ.).

საერთოდ, ეკლესია თავის პრაქტიკაში იყენებდა სიკვდილით დასჯასაც და ასოთმიმღებ სასჯელებსაც; მაგალითად, კათალიკოზთა კანონების 5. მუხლი ამბობს: ვინც მოკლავს ძმას ან მამას, მას უნდა მოეკეთოს ხელი და იგი უნდა განიძეგოს სამშობლოდან.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის ცნობები, რომლებსაც იძლევიან საეკლესიო სამართალზე რუსეთის მწერლები. ვლადიმირსკი-ბუდანოვის სიტყვით, რუსეთის ისტორიაში სიკვდილით დასჯას ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ვნახულობთ; მას უფარდებდნენ სახელმწიფო, რელიგიური დანაშაულისათვის, ყჩალობისათვის და სხვ., მაგრამ შემდგომი მისი არაჩვეულებრივი განვითარება შეიძლება მხოლოდ გარეგანი გავლენებით აიხსნას, პირველ ყოვლისა და ყველაზე მეტად ბიზანტიური სამართლის, შემდეგ კი თათართა ჩვეულებების გავლენით; საეკლესიო სასამართლოებმა აღრე დაიწყეს დამასახირობებელ სასჯელთა და, ალბათ, სიკვდილით დასჯის, გამოყენება<sup>2</sup>. ტავანცევი, თავის მხრივ, აღნიშნავს რა სხვადასხვა მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ სიკვდილის დასჯის განვითარებას ძველ რუსეთში, ხაზს უსვამს ბიზანტიური სამართლის გავლენას<sup>3</sup>. ეკლესიის გავლენით რუსეთში შემოდის სასჯელთა ბიზანტიური სისტემა<sup>4</sup>.

ვახტანგის კრებული მთელ რიგ მუხლებში ითვალისწინებს სხეულის სასჯელს. სხეულის სასჯელები საერთოდ იყოფა ორ ჯგუფად: ა) დამასახირობებელი

<sup>1</sup> სიკვდილით დასჯას უბრალო სახით ბერძნული კანონები ითვალისწინებენ 30—34 მუხლებში; მოსეს კანონები იცნობენ სიკვდილით დასჯას ჩაქოლვის სახით (3, 8, 29, 31 მ. მ.).

<sup>2</sup> „церковные суды рано начали применять членовредительные наказания... и, вероятно, смертную казнь“. Владимирский-Буданов, История русского права, 319, 320.

<sup>3</sup> „к этому же, амбозს იგი, приводило и влияние византийского права, допускавшего смертную казнь в широких размерах, а это влияние, благодаря переводу Номоканона почти вслед за принятием христианства, было весьма значительно в нашем древнем праве“. Русское угол. право, II, 1902, 967.

<sup>4</sup> იხ. აგრეთვე Сергеевич, Лекции и исследования 1903, 395, 396, 397—Влияние Византии на образование жестокой системы московских наказаний не может подлежать сомнению“.



ანუ, როგორც ჩვენი ძეგლები ამბობენ, ასოთა-მიმღები სასჯელი და ბ) მტკიცე ნეული სასჯელი, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს. ორივე ჯგუფის სასჯელი აღნიშნულია ვახტანგის კრებულში. განვიხილოთ ცალკ-ცალკე ის მუხლები, რომლებიც ამ საკითხს ეხებიან.

სასჯელთა ამ დარგის დასახასიათებლად მეტად საყურადღებოა ვახტანგის სამ. წიგნის 13. მუხლი, რომელიც ამბობს: „... მოსამართლემ თუ ტყუილი მოწმობა და ნიხრობლობა შეაჩნია ვისმე დიდი ნასალი უნდა უყოს, რომე სხვამ აღარაეინ მოინდომოს“. ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ კანონმდებელს აქ გამოთქმული აქვს საერთო პრევენციის აზრი; იგი ელაპარაკება მოსამართლეს: უკეთუ შენ შეაჩნიე, რომ მოწმე ტყუილ ჩვენებას იძლევა და აფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების საქმეს, სასტიკად უნდა დასაჯო იგი, რათა სხვებმა არ მოინდომონ ამგვარი დანაშაულის ჩადენაო. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვინტერესებს საკითხის მეორე მხარე: რა სასჯელია აქ ნაგულისხმევი? რას ნიშნავს კანონმდებლობის სიტყვები: „დიდი ნასალი უნდა უყოს“? რუსულ თარგმანში ნათქვამია: „Но если судья заметит кого в лжесвидетельстве, то должен подвергнуть его строгой казни, дабы и другие не покушались на то“. ამგვარად, რუსული თარგმანის ავტორს სიტყვა „ნასალი“ ესმოდა როგორც „казнь“, „наказание“. დ. ბაქრაძე, Френкель-ის გამოცემის რედაქტორი, 97. მუხლის (ვახტ. სამ. წიგნი) შენიშვნაში ამბობს: „В груз. т.: დიდი გამოკიდება და ნასალი უნდა — „следует строгий разбор“, так по варианту 1751 г. Такой же смысл имеет по сему варианту конец ст. 13...“ აქ უკვე „ნასალი“ თარგმნილია როგორც „строгий разбор“ — სასტიკი გარჩევა.

კარსტი 13. მუხლის უკანასკნელ წინადადებას თარგმნის შემდგენაირად: „Si toutefois le juge arrive à démontrer à quelqu'un un faux témoignage ou un faux rapport (déposition menteuse) il devra procéder contre celui-là par une sévère („haute“) sanction pénale, afin qu'aucun autre n'ose plus céder à la même tentation“.

შენიშვნაში კარსტი მიუთითებს, რომ ქართული სიტყვა „ნასალი“ რამდენამდე ბუნდოვანი და გაურკვეველია; ჩუბინაშვილი თარგმნის მას ხან როგორც „პროცესი, დისპუტი, დავა“ (არაბ. სპარს. თურქ. nizac), ხან-კი როგორც „spoliation, ravage“; თუ მივიღებთ უკანასკნელ განმარტებას, მაშინ „ნასალი“ უნდა ნიშნავდეს ქონების ჩამორთმევასო (séquestration ou saisie des biens). 97. მუხლის განმარტების დროს კარსტი აცხადებს, რომ „nasari“ ნიშნავს „ravage, devastation, pillage“ და ამტკიცებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული იწვევდა მეფის განკარგულებით დანაშაულის მამულის დარბევას, განადგურებას და ქონების კონფისკაციას მეფის სასარგებლოდ<sup>1</sup>.

კარსტის მიერ მოცემული განმარტება სიტყვა „ნასალისა“ სწორად ვერ ჩაითვლება; ეს სიტყვა ნიშნავს არა ქონებრივი ხასიათის სასჯელს, არამედ ისეთ ღონისძიებას, რაც პიროვნების წინააღმდეგ არის მიმართული, უფრო ზუსტად, იგი ნიშნავს დამასახიჩრებელ სასჯელს (la peine de la mutilation, verstüm-

<sup>1</sup> კარსტი, დასახ. ნაშრ. ტ. I, 1, გვ. 136.

meinde Strafe). სწორედ ამ მნიშვნელობით არის იგი ნახმარი სამართლის ნორმების კრებულში, რომელსაც ეწოდება „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰსჯულნი“; ამ კრებულის 71. მუხლი ამბობს: „მებატონე თავად-აზნაური ოდესაც შეცოდებისათვის თავიანთ ყმათ გაუწყრებოდნენ გარდაახდევინებდნენ ჯარიმით და ჯოხის ცემითაც, თვინიერ ნასაღისა, ავისათვის მეფე არც უსაყვედურებდა ამგვარის საქმისათვის, რადგან მებატონეთ ყმათა ზედა სრული უფლება აქვს და ვერც საღმე უჩივლებდა ყმა ბატონსა თვისსა“<sup>1</sup>.

რუსულ თარგმანში ეს მუხლი გადმოცემულია შემდეგნაირად: „Помещики, князья и дворяне за преступление или вину могли крестьян своих штрафовать и наказывать палочными побоями, не имея однако же права на лишение членов; кроме чего за все другое царь не делал им никакого выговора, поелику помещики над своими крестьянами имеют полную власть и крестьяне на них не могли нигде жаловаться“. ამ თარგმნიდან გარკვეულად ჩანს „ნასაღის“ მნიშვნელობა: „ნასაღი“ თარგმნილია როგორც „лишение членов“. მაშასადამე, ეს სიტყვა ქართულ სისხლის სამართალში წარმოადგენდა ნამდვილ იურიდიულ ტერმინს და ნიშნავდა იმას, რასაც ძველი ქართული სამართალი „ასოთა-მიღებას“ უწოდებდა<sup>2</sup>.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ იგივე ტერმინი გვხვდება 97. მუხლში, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის გაყიდვას და ასხვავებს პასუხისმგებლობას იმისდა მიხედვით, თუ ვის მიყიდეს ტყვე — ქრისტიანს თუ ურჯულს; პირველ შემთხვევაში დამნაშავე იხდის მთელ სისხლს, ხოლო მეორეში — ორ სისხლის ფასს „ერთი ხორცისა და ერთი სულისა“, ამიტომ საქმე კათალიკოსსაც ექვემდებარება; იგივე პასუხისმგებლობა დადგენილი ძმის გაყიდვისათვის; მაგრამ, ამბობს კანონი, „მეფისაგან ტყვის გასყიდვაზე დიდი გამოკიდება და ნასაღი უნდა“<sup>3</sup>.

დამასახიჩრებელ სასჯელს ითვალისწინებენ ვახტანგის სამართლის წიგნის 220, 242, 251, 259 მუხლები. 220. მუხლი, როგორც უკვე აღნიშნული იყო,

<sup>1</sup> პროფ. პ. გუგუშვილი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1938 წ. ნაკვეთი მესამე, გვ. 90.

<sup>2</sup> აკად. აკ. შანიძემ ქართული ენის კათედრის ღია სხდომაზე სპეციალური მოხსენება გააკეთა სიტყვა „ნასაღის“ შესახებ. ფილოლოგიური გამოკვლევის და ისტორიული მასალების შესწავლის საფუძველზე აკად. შანიძე დაასკვნის რომ „ნასაღი“ უნდა იქნას გაგებული დამასახიჩრებელი სასჯელის მნიშვნელობით (იხ. მნათობი, 11—12, 1942, გვ. 218). სეხნია ჩხეიძის ქრონიკაში მოყვანილია საინტერესო ცნობა ისპაანში მომხდარი აჯანყების ქაიხოსროს მიერ ჩაქრობის შესახებ; ისპაანში „რა სცენეს, ამბობს ჩხეიძე, მისულა ქაიხოსროსი წინათ ამისად კიდევ ბევრი ნასაღი ექნა და დაეცათ შიში დიდი“... „შეჯდა მეორესა დღესა ცხენსა და ქნა ნასაღი უცხო და საკვირველი: ზოგი დახივა მუცელზედა, ზოგი ყურით მიაბა დარაბასა, ზოგი დასჭედა ნალ-ლურსმნითა...“ ქართლის ცხოვრება, ნაწ. მეორე, გამოც. ჩუბინოვის მიერ, 1851, გვ. 322, 323. „ნასაღს“ ენათესავება „ყათამი“, რომლის ისტორიული მგალითი მოყვანილი აქვს იმავე ს. ჩხეიძეს (აკ. შანიძე, მნათობი, 1942 წ. 11—12, 221).

<sup>3</sup> ამ ადგილს კარსტი თარგმნის: „Pourtant de la part du roi, lui aussi, il est requis d'exercer poursuite sévère et spoliation (de biens) pour ce crime de la vente d'un captif“. ზემოთ განმარტებული იყო, თუ რატომ ვერ მივიღებთ კარსტის თარგმანს: ნასაღი ქონებრივი სასჯელი არაა.



ლაპარაკობს ღალატზე და ამ დანაშაულისათვის ადგენს ფეხის მოკვეთას, უმეფე მეფემ მოწყალება არ გამოიჩინა და ამ სასჯელისაგან არ განათავისუფლა დანაშავე. 242. მუხლი საზღვრის მოშლისათვის (მოგლეჯისათვის) ალტერნატიულად აწესებს ჯარიმას ან ხელის მოჭრას. 251. მუხლი ნაკარნახევი ცრუმორწმუნეობის გრძობით და ითვალისწინებს „მისანთა და კუდიანთა“ პასუხისმგებლობას; მისანთ და კუდიანთ, ამ კანონის ძალით, ეფარდება დამასახიჩრებელი სასჯელი; „...მისინსა და კუდიანისაგან დაჩხუბილნი კაცნი თუ სამართალში მოვიდნენ, მისანნი და კუდიანნი გასახეიბრებელი არის...“ და, ბოლოს, უნდა მოვიყვანოთ 259. მუხლი, რომელიც სიმბოლური ტალიონის საფუძველზე აწესებს ყმის დასჯადობას ბატონის ცემისა ან შეურაცხყოფისათვის; აქაც გათვალისწინებულია ხელის ან ენის მოკვეთა, მაგრამ ეს სასჯელი დადგენილია ალტერნატიულად ქონებრივი საზღაურის გვერდით.

ბეჟა-აღბულას კანონების დანართიც იცნობს დამასახიჩრებელ სასჯელებს; ამ კანონთა 152. მუხლი ამბობს: „ესეცა იცოდით, უმეფოსა და უდიდებულესის კაცისაგან თვალთა დაწვას არავინა ღირსა, ისიცა ასრე რამე ან დიდი სალარო ან ეკლესია ან ჯოგი ან ღალატი ქნას“. 167. მუხლი იმავე კანონებისა ქურდობისათვის ადგენს ორივე თვალის დაწვას ან ხელ-ფეხის მოჭრას — „რომელმანც კაცმან რავინდარა მოიპაროს და გამოჩნდეს ორნივე თვალნი დაეწვენ და ანუ ხელ-ფეხი დაეჭრას...“ (ჩუბინიშვილის ქრესტომ.)<sup>1</sup>.

ვახტანგის სამართლის წიგნში, თუმცა ძალიან მკრთალად, მაგრამ მაინც ვხვდებით ტკივილის მიმყენებელ სასჯელთა კვალს; ასეთია, მაგალითად, 236. მუხლის სანქცია, რომელიც ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც ვინმე მეორე პირს დააბრალებს ქურდობას; „თუ მიხრობელი, ამბობს კანონი, გა-

<sup>1</sup> ვახუშტის გადმოცემით, ქართულმა სამართალმა იცოდა სხეულის სასჯელის შემდეგი სახეები: „...ხოლო ქურდსა, ავახაკსა და მძარცველსა ერთისა წილ შვიდი მიაცემინიან და უკეთუ ვინ მესამედ ჰყო, აღმოხდინან თვალთა და მცირედისათვის მოკვეთიან ფერგნი. კვალად, უკეთუ ვინ იხადის მახვილი ბჭესა მეფისასა ანუ ერისთავსა ზედა და წარჩინებულთა, მოკვეთიან კელნი, და სხვანიცა მრავალნი იყუნენ“. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 15, 16.

კარტის სიტყვით, ანალოგიური სისტემა სასჯელებისა მიღებული იყო ძველ სპარსეთში (დასახ. ნაშრ. ტ. 1, 2, გვ. 19ხ).

არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს აღწერაში ამბობს: „ქურდებს ჩვეულებრივ მოსჭრიან ან ხელს, ან ფეხს და ან ყურს; მკვლელებს ხელსა სჭრიან, მაგრამ თუ მკვლელი მეტად გაბოროტებულია და მრავალკაცის მკვლელობა და ავახაკობა ჩაუდენია, იმ შემთხვევაში იმას თვალებს დასწავავენ; ესევე სასჯელია მუამბოხეთათვის, რომელთაც გარდა ამისა სჭრიან ცალ ხელს და ცალ ფეხს; თუ ვინცობა ვინმემ ცოდვა ჩაიდინა სასახლის რომელსამე ქალთან, მათ ორთავე ცხვირს მოსჭრიან და აიძულებენ შვირთონ ერთმანეთი“, 73, 74.

საფიქრებელია, რომ იგივე წესები უნდა ყოფილიყო მიღებული დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილებშიც.

ფრენკელის გამოცემაში მოყვანილია 1549 წ. აქტი, საიდანაც ჩანს, რომ მკითხავენ და კუდიანებს უფარდებდნენ დამასახიჩრებელ სასჯელს — ცხვირის მოკვეთას („ცხვირით განეიბრდეს“); მკითხავენისა და კუდიანების დადაღვისათვის დამდაღველი იხდიდა ეკლესიის სასარგებლოდ ოთხ ძროხას, თვითონ დასახიჩრებული კი ერთს, იქვე აღნიშნულია, რომ მიღებული ყოფილა ჩაქოლვა (нобитие камнями) — სქესობრივი კავშირისათვის ბუნებრივ ან სულიერ ნათესაებს შორის. Френкель, 141.



მართლდა და ქურდი გატეხა სამხრობლო მიეცემის. თუ ქურდი ვერ გატეხა, და თვითონ გამტყუენდა, სცენ, ჯარიმა წაართვან, და ისრე გაავდონ“. მეორე შემთხვევა აღნიშნულია 66. მუხლში, რომელიც ლაპარაკობს ცოლის მიერ ქმრის ცემის ან დაჭრის შესახებ; კანონის სიტყვით, დამნაშავეს „დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათალიკოზმან“; როგორც ჩანს, ამგვარი საქმეები ეკუთვნოდა კათალიკოზის იურისდიქციას, რომელიც დამნაშავეს ფიზიკური ზემოქმედების ღონისძიებასაც უფარდებდა<sup>1</sup>. ბექას კანონებიც 13. მუხლში იხსენიებენ სხეულის სასჯელს<sup>2</sup>.

რუსეთის სამართალი სხეულის სასჯელებს ფართო მოცულობით იცნობდა და იყენებდა. სერგეევსკის სიტყვით, მსგავსად სიკვდილით დასჯის სახეებისა, რომლებიც თუმცა დასავლეთ ევროპას არ ჩამოუვარდებოდნენ თავისი სისასტიკით, მაგრამ უფრო მარტივი და ნაკლებად რთული იყვნენ, სხეულის სასჯელებიც შეიძლება დასავლეთ ევროპაში მიღებულზე უფრო მკაცრიც იყო, მაგრამ სრულიადაც არ განირჩეოდა იმ ხერხიანი დახვეწილობით, რითაც ხასიათდებოდა დასავლეთში ყველა სასჯელი ამ ეპოქაში.

სხეულის სასჯელები XVII საუკუნის რუსული სისხლის სამართლის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: დამასახიჩრებელი (изувечивающие, членовредительные) და მტკივნეული (болезненные). დამასახიჩრებელი სასჯელები სხვადასხვა მიზნებს ემსახურებოდნენ; ისინი ან გამოხატავდნენ სამაგიეროს მიზღვას მატერიალური ტალიონის საფუძველზე, ანდა მიმართული იყვნენ იქითკენ, რომ მომავალში დამნაშავე საზოგადოებისა და პიროვნებისათვის უვნებელი გამხდარიყო; ანდა მათ მიზანს შეადგენდა ბოროტი ადამიანის სამუდამოდ აღნიშვნა, მასზე ნიშნის დადება, რათა ხელისუფლების ყოველ ორგანოს და ყველა მოქალაქეს სცოდნოდათ, თუ ვისთან აქვთ საქმე. პირველის მაგალითს იძლევა „Уложение“-ს XXII თავის 10 მუხლი, სადაც მითითებულია, რომ, თუ ვინმე მეორე პირს მიაყენებს სხეულის რაიმე სახის დაზიანებას, მასაც უნდა მიაყენონ იგივე ზიანი<sup>3</sup>; მეორის მაგალითს წარმოადგენს რომელიმე ასოს (ფეხის, ხელის, თითების) მოკვეთა, რაც ადამიანს უსპობდა შესაძლებლობას ჩაედინა ესა თუ ის დანაშაული — ყაჩაღობა, ქურდობა, სიყალბე, ანდა ენის მოჭრა, რის შედეგად დამნაშავე კარგავდა უნარს ექადაგნა მანვე მოძღვრება ან წარმოეთქვა „შმაგი“ სიტყვები. მესამე მიზანი ხორციელდებოდა მით, რომ დამნაშავეს ადებდნენ დაღს, ამოგლეჯდნენ ნესტოებს და სხვა<sup>4</sup>. როგორც ვხედავთ, მოსკოვის სახელმწიფო სისხლის სამართლის პოლიტიკის დარგში უმთავრესად პრაქტიკული მიზნებით, სახელმწიფო და საზოგადოების დაცვის მოსაზრებით ხელმძღვანელობდა.

<sup>1</sup> კარსტი ამ ადგილს თარგმნის; „...alors le catholico lui effectuera haute justice criminelle et torture“ და შენიშვნაში განმარტავს; „peinliche Strafe, hochnotpeinliche Gericht“, „peine, corporelle“. დასახ. ნაშრომი; გვ. 111.

<sup>2</sup> „და თუ კაცი არა მოკვდეს ზედა-დასხმასა და დედა-წულთა აფარვისათვის, დედა-წულთა შერცხვენისათვის, საპატიოს კაცის სისხლის ნახევარი დაუღურვოს... თუ ამაზედა დასხმელთა არ გამოართმიდენ და ესე არჩიოს ნიფხვითა ოდენ გაშიშულმებულად ზოლოთა შვიდთა ბიჯთა ჩაათრიონ და მის კაცსა მებრემან სამი შოლტი ამოჭრას, ნამეტნავსა რომელსაცა რომელი დასხმოდეს ზედა საწბილოდ ჩათრევედ უბანსა ზედა და საჩინოდ ერისა უნდა...“

<sup>3</sup> „и за такое его наругательство самому ему тоже учинити“.

<sup>4</sup> Сергеевский, დასახელ. ნაშრომი, 131, 132.



მტკივნეული სასჯელები მოსკოვის პერიოდში, სერგეევსკის სიტყვით, ერთი უმარტივესი იდეის ზეგავლენით არიან დაწესებული — ესაა ფიზიკური ტკივილის მიყენება. ამ პერიოდში (XVII საუკ.) სრულიად არა ჩანს სხეულის სასჯელი, რომელიც ყურადღებას აქცევდეს საქმის მორალურ მხარეს, ე. ი. ისეთი, რომელიც შეიცავდეს გამაწბილებელ მომენტს. ძველ რუსეთში ამგვარი სხეულის სასჯელი უცნობი რამ იყო. ადამიანის სულიერი ცხოვრება, მისი ზნეობრივი მხარე, მცირეოდენი გამონაკლისით, სისხლის სამართლის სფეროს გარეშე იდგა. ამიტომ ყველა სხეულის სასჯელი მძიმე ტკივილთან, მნიშვნელოვან ფიზიკურ ტანჯვასთან იყო დაკავშირებული, რაც მათ სინამდვილეში ხშირად უსასტიკესი სახის სიკვდილით დასჯას უახლოვებს. საკანონმდებლო ხელისუფლება ძალიან ნაკლებად ზრუნავდა იმისათვის, რომ მიყენებული ფიზიკური ტანჯვა დანაშაულებრივი ქმედობის შესაბამისი, მისი თანაზომიერი ყოფილიყო. კანონმდებელი ბრძანებდა დამნაშავეთა „ცემას“; იგი აწესებდა ცემის იარაღებს, ასხვავებდა უბრალო და უღმობელ ცემას (нещадное битье), მაგრამ საკანონმდებლო დადგენილება ამით ამოიწურებოდა; ზომა სხეულის სასჯელისა კანონით განსაზღვრული არ იყო; ასეთი განსაზღვრა დათმობილი ჰქონდა სასამართლოს განაჩენს ან ამსრულებელს<sup>1</sup>.

რუსეთის ისტორიიდან ჩვენ ვიცით, თუ რა უფართოესი გამოყენება ჰქონდა სასჯელთა ზემოთ აღნიშნულ სახეებს და რა უსაზღვრო თვითნებობა იყო გამეფებული ამ მხრივ სისხლის სამართლის დარგში. სხეულის დასჯა სასამართლოსა და ამსრულებლის ხელში გადაიქცა ისეთ ღონისძიებად, რომელიც ფაქტიურად უმაღლეს სასჯელს უდრიდა. საქართველოს ისტორიაში ამ სასჯელს არასდროს არ მიუღია ასეთი ფართო გავრცელება და თანაც მძვინვარე ხასიათი. ვახტანგის სამართლის წიგნი მას ჰეტად იშვიათად იხსენიებს.

ძველი კანონმდებლობისათვის საერთოდ დამახასიათებელია ის, რომ ცალკეულ მუხლებში ზოგჯერ არაა მოცემული რაიმე გარკვეული სანქცია. ამგვარ აბსოლუტურად განუსაზღვრელ სანქციას ხშირად ვხვდებით რუსული სამართლის ძეგლში — Уложение 1649 г.<sup>2</sup>

ვახტანგის სამართლის წიგნიც იცნობს განუსაზღვრელ სანქციებს. მთელი რიგ მუხლებში არაა გარკვეული, თუ რა სახის სასჯელია დადგენილი ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულისათვის. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მუხლს. 34. მუხლი ითვალისწინებს სისხლის ფასს მოკლულის გვარისა და თანამდებობრივი მდგომარეობის მიხედვით და აღგენს: „თუ ხელმწიფემ მკნელს (ე. ი. დამნაშავეს) არა უწყრომა და თუ უწყრომა რამე ის გვარეულობისა და სახელის სისხლს, რაც გაუჩნდის ის იკმარონ“. სიტყვები „თუ ხელმწიფემ

<sup>1</sup> Сергеевский, დასახელ. ნაშრ. 147, 148.

<sup>2</sup> მაგალითის სახით მოვიყვანთ აქ ამ დებულების რამდენიმე მუხლს, სადაც განუსაზღვრელი სანქცია არის დადგენილი; ასეთია პირველი თავის 9. მუხლის დადგენილება: „...вкн-нуги в тюрьму, насколько государь укажет“; მეორე თავის 22. მუხლისა: „...За то чинити жестокое наказание, что государь укажет; მეშვიდე თავი, 6., 7. მუხლები: „и тем людем наказание чинити смотря по вине“ „по тому же наказание чинити“; ოცდახუთი თავი 2. მუხლი: „Сажати в ткрьму до государева указу“.

მქნელს არა უწყრომა რამე“ რუსულად თარგმნილია „буде царь не подвергнет виновника и другому еще наказанию“. კარსტი თარგმნის ამ ადგილს სიტყვა-სიტყვით: „si toutefois le souverain ne s'avise pas d'exercer sa colère contre l'auteur [du crime]“.


სიტყვა „უწყრომა“ გადმოცემულია „exercer sa colère“. თარგმანი, რასაკვირველია, ზუსტია, მაგრამ უნდა ვივლისხმოთ, რომ ხელმწიფის რისხვა, „გაწყრომა“, დამნაშავისათვის რაღაც კონკრეტული სასჯელის შეფარდებას მოასწავებდა, ოღონდ გაურკვეველია, თუ რომლისას. 64. მუხლის თანახმად, თუ ვინმე „ცოლს სტანჯვიდეს, უბათიურად ეპყრობოდეს და ურიგოს უმგრებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს და ავად მოეპყრას“; ასევე უნდა მოეპყრას დამნაშავე ქმარს კათალიკოზიც. როგორც ვხედავთ, აქაც გამოურკვეველი ხასიათის სანქციასთან ვეაქვს საქმე, ვინაიდან კანონი „ავად მოპყრობაზე“ ლაპარაკობს. 78. მუხლიც ითვალისწინებს ოჯახურ ურთიერთობათა სფეროს და ადგენს „თუ შვილმან მამა ან ვალახა ან უკადრისი რამე ჰკადრა, იმას ავად მოპყრობა უნდა“. თუ დედ-მამაში სხვარამ უმართებულო მოხდეს, „კათალიკოზმან და მეფემ გარდახდევინონ“ (79 მუხლი); 155. მუხლიც ამბობს „... როგორც ხელმწიფესა და კათალიკოზს ეპრიანებოდეს ისრე გარდახდევინონ“<sup>1</sup>.

გაურკვეველ ხასიათს ატარებს აგრეთვე 89. მუხლის სანქცია, რომელიც ამბობს: „თუ ყაზახმან კაცი მოკლას მზირობით და გამოჩნდეს, თუ მეფემ არა უკითხა რა სამ-წილად სისხლი მისცეს, და თუ მზირი მოიკლას მისი სისხლი არ არის“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, კანონი ადგენს ალტერნატიულად საჯარო ხასიათის სასჯელს („თუ მეფემ არა უკითხა რა“) და ქონებრივ საზღაურს, მაგრამ საჯარო სანქცია განსაზღვრული არაა. ასევე გაურკვეველია 238. მუხლის სანქცია, რომელიც ამბობს: ტყუილად დამფიცებელს „მისმა მერჯულემ დიდად გარდახდევინოსო“. იმავე ხასიათისაა 240. მუხლი: სიგელის წართმევის, დახვევისა ან დაწვის შემთხვევაში საქმის გარჩევა და მსჯავრის გამოტანა ეკუენის მხოლოდ ხელმწიფეს — „ხელმწიფის მეტს ამისი სამართალი არ შეუძლიან“; კანონი აღნიშნავს, რომ ამ კატეგორიის საქმეები, სამეფო იურისდიქციას ექვემდებარე-

<sup>1</sup> „გარდახდევინონ“, „დიდად გარდახდევინონ“ — ამ სიტყვებს კარსტი თარგმნის: „faire effectuer la compensation, condamner à une haute amende“. მაგრამ საფიქრებელია, რომ კანონი აქ ქონებრივ საზღაურს არ გულისხმობს. გარდახდევინება ნიშნავს „დანაშაულის ზღვევინებას, ვალის ზღვევინებას“ (საბა ორბელიანი); მაშასადამე, იგი ნიშნავს არა მარტო ვალის გადახდას, არამედ სასჯელსაც, ანალოგიურად რუსული სიტყვისა „выскаание“, რომელიც იხმარება როგორც სამოქალაქო, ქონებრივი ურთიერთობის, ისე სისხლის სამართლის სანქციის აღსანიშნავად.

<sup>2</sup> რუსულად ეს მუხლი თარგმნილია: „Разбойник за смертоубийство подлежит тройному высканию за кровь, если царь не подвергнет его особому наказанию...“ კარსტს გადმოცემული აქვს შემდგენიარად: „si un cosaque commet un meurtre en embuscade <razzia> et que l'acte soit devenu notoire <démontré manifestement>, il aura, à moins que le roi ne l'assujettisse à la peine criminelle, à effectuer le triple montant du prix du sang“.



ბიან, მათთვის უდაოდ საჯარო ხასიათის სასჯელი იქნებოდა დანიშნული. მაგალითად კანონის შინაარსიდან არა ჩანს, სახელდობრ თუ რომელია სასჯელი<sup>1</sup>.

დასასრულ, მოვიყვანოთ კიდევ ერთი მუხლი, სადაც ცხადად ჩანს სანქციის გაურკვევლობა; ესაა ვახტანგის სამართლის წიგნის 267. მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც საქმის სასამართლო წესით განხილვის დროს ერთი მხარე სცემს მეორეს; სხეულის დაზიანებისათვის კანონი მიუთითებს იმ სისხლის ფასს, რაც დაწესებულია სამართლის წიგნით, მაგრამ მეტად საყურადღებოა, რომ კანონი ამით არ კმაყოფილდება; დანაშაულის მოქმედებით მართკერძო ინტერესები კი არაა დარღვეული, არაჲდ შეურაცხყოფილია მოსამართლეც, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი; ეს სრული შეგნება საჯარო ინტერესების შელახვისა შესანიშნავად არის გამოხატული სიტყვებში: „იმ მოსამართლეს რატომ ჰკადრა, ბატონის მაგიერ ის გაგზავნილი ყოფილა“. ამგვარი დანაშაულისათვის კანონმდებელი აღგენს: „ბატონს როგორც ეპრიანების ისრე მოჰკითხოს და გარდაახდევინოს“. აღნიშნული მუხლის თანახმად ბატონს (რუსულ თარგმანში „губа“, კარტის მიხედვით „suzerain“) შეუძლია შეუფარდოს დანაშაულებს ის სასჯელი, რომელსაც კი მოისურვებს („როგორც ეპრიანების“, à son gré — კარტი); აქ უცილობელად საჯარო ხასიათის სასჯელია ნაგულისხმევი და ვფიქრობ, რომ კარსტს, რომელიც ამ ადგილს თარგმნის — „la sanction pénale judiciaire“, სწორად აქვს გაგებული კანონის აზრი.

ვახტანგის კრებულში შემაჯავლი ჩვენი ეროვნული ძეგლები ძლიერ მკრთალად, სუსტად იხსენიებენ თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელთა ერთ-ერთ დამოუკიდებელ სახეს. ეს მოვლენა გასაკვირიც არაა, რადგან თავისუფლების აღკვეთის ორგანიზაციის საკითხის დაყენება და ამ საქმის გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბება ახალ დროს ეკუთვნის. რომ გადავხედოთ საპატიმრო საქმის ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ საპატიმროს დიდი ხნის განმავლობაში უფარდებდნენ, რომაელ იურისტის ულპიანეს გამოთქმა რომ ვინმართ, „non ad puniendos, sed ad continendos homines“; იგი გამოიყენებოდა უმთავრესად როგორც პრევენციული ღონისძიება<sup>2</sup>. ზემოთ არაერთხელ დასახელებულ ნაშრომში სერგეევსკი შავი ფერებით აღწერს საპატიმროთა მდგომარეობას მოსკოვის სახელმწიფოში. იმ ეპოქის დასავლეთ ევროპის საპატიმრობის მოუწყობელი იყო და პატიმრები მძიმე პირობებში იხდიდნენ თავისუფლების აღკვეთას<sup>3</sup>.

<sup>1</sup> კარსტის ვარიანტის მიხედვით აქ თითქოს ჯარიმა უნდა იყოს გათვალისწინებული — „...le suzerain a l'obligation... de punir d'amende l'enleveur“.

<sup>2</sup> საქართველოშიც თავისუფლების აღკვეთა, ისე როგორც გაქვება, გამოყენებული იყო უმთავრესად პრევენციული ღონისძიების სახით. იხ. კარსტი, დასახ. ნაშრ. ტ. I, 2, 196: „Bon nombre de peines, ressortissant ordinairement du code criminel, telles que prison, arrestation, exil ou bannissement, avaient en réalité dans la coutume et législation géorgienne plutôt le caractère et les fonctions de mesures préventives, garanties processuelles ou peines policières“.

<sup>3</sup> Сергеевский, Наказание в русском праве XVII века; Фойницкий Учение о наказании в связи с тюремоведением.

ვახტანგის სამართლის წიგნი იხსენიებს თავისუფლების აღკვეთას 177. მუხლებში; 64. მუხლი ადგენს, რომ მეფემ უნდა „დააბას“, დაატუსაღოს ქმარი, რომელიც ცოლს სტანჯავს, უპატიურად ეპყრობა და ურიგოს უშვრება მას; 177. მუხლი კი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც ხელმწიფე ან მებატონე ჯარს მიუსევს „თავის საბატონოში მოსარბევლად, ან კაცი კაცის დასაჭერად მიუსიოს“.

ბეჟა-ალბულას კანონების დანართი ლაპარაკობს თავისუფლების აღკვეთაზე 102, 103, 104, 105 მუხლებში<sup>1</sup>; ამ მუხლებით კანონმდებელი კრძალავს ებისკოპოსის, მოძღვრის, მღვდლის და ბერის დაპატიმრებას.

თავის-თავად ცხადია, რომ ვახტანგის კრებულში შემავალი ნორმები თავისუფლების აღკვეთის შესახებ ვერ მოგვცემენ ნამდვილ და სწორ წარმოდგენას ამ ღონისძიების ორგანიზაციაზე იმდროინდელ საქართველოში. სასამართლოთა და საერთოდ სათანადო სახელმწიფო ორგანოთა პრაქტიკა ამ მხრივ თითქმის სრულიად არაა გამოსახული კანონმდებლობაში. ამ საკითხს ჯერ კიდევ საფუძვლიანი გამოკვლევა სჭირდება.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ სასჯელთა სისტემაში ეგრეთწოდებულ გამაწბილებელ სასჯელებს საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა; ამ მხრივ განსაკუთრებით ღამორჩევიან ფეოდალური პერიოდის იურიდიული ძეგლები, რომლებიც გამაწბილებელ სასჯელებს<sup>2</sup> ხშირად ითვალისწინებენ, როგორც დამოუკიდებელი, ისე დამატებითი ღონისძიების სახით. მათ აქვთ სიმბოლური ხასიათი, მათი მიზანია დამნაშავეს პიროვნების დამცირება და მისთვის მძიმე ზნეობრივი ტანჯვის მიყენება<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ფრენკელის გამოცემის მიხედვით, ხოლო ჩუბინიშვილის გამოცემით — 101, 102, 103, 104 მუხლები.

<sup>2</sup> les peines infamantes, позорящие наказания.

<sup>3</sup> გ რ ი მ ს მოჰყავს ამ სასჯელთა სხვადასხვა სახეები, მათ შორის დავასახელოთ შემდეგი: Widerruf და Abbitte — ბრალის საჯაროდ აღიარება და პატიების გამოთხოვნა დაზარალებულის წინაშე; schimpfliche Tracht — დამამცირებელი სამოსელი; სიმბოლური პროცესია, როდესაც მღალღი წოდების და თავისუფალ პირს მიჰქონდა შიშველი ხმალი, ხოლო არათავისუფალ პირს — თოკი კისერზე იმის საჩვენებლად, რომ ღირსნი არიან თავის მოკვეთისა და ჩამოხრჩობისა, დამნაშავე მდიოდა ფეხშიშველი და სხვ.; სამარცხვინო ბოძთან დაყენება (Pranger) და სხვ. Jacob Grimm, op. cit. 711—728 (Ehrenstrafen).

ძველმა ფრანგულმა სამართალმაც ბევრი ასეთი სასჯელი იცოდა, მათ შორის ეგრეთწოდებული „amende honorable“ — საჯაროდ მონანიება თავისი დანაშაულისა, 1810 წ. სისხლის სამ. კოდექსმაც შეითვისა გამაწბილებელ სასჯელთა ზოგიერთი ნაწილი.

ძველი რუსული სამართალი იცნობს დამნაშავეს გადაცემას დაზარალებულისათვის — „выдача обиженному головой“. Таганцев, Русское угол. право, II, 1902, 1257.

Сергеевский, Русское угол. право, 1910, 175, 176.

Сергеевич, Лекции и исследования, 1903, 125: „Это не была выдача головы в настоящем смысле слова, т. е. отдача человека в заработки для удовлетворения долга... Здесь не было поступления на службу, а выдача головой состояла в том, что виновный в государевым послом должен был придти в дом обиженного и просить у него извинения“.



ვახტანგის კანონმდებლობაში მოთავსებული ეროვნული ძეგლები ასევე სასჯელს თითქმის არ იხსენიებენ. მხოლოდ 69. მუხლი ვახტანგის სამ. წიგნისა შეიცავს ისეთი შინაარსის სანქციას, რაც აშკარად გამაწილებელ ხასიათს ატარებს. 69. მუხლი მაქანკლობისათვის აწესებს სისხლის ნახევარს ქალის პატრონის სასარგებლოდ, ხოლო თუ დამნაშავემ ეს საზღაური ვერ გადაიხადა, მას ყელზე საბელი უნდა მოაბან და ტიტველი, ყელ-საბლიანი სოფელში გამოატარონ. თვითონ კანონი დასძინს — „დიდი აუგი არს ესეო“ (იხ. აგრეთვე ბექას კანონები, 13 მუხლი).

ამ საკითხთან დაკავშირებით მოვიყვანთ უფრო აღრინდელი ეპოქიდან ერთ მაგალითს, რომელიც მოწმობს, რომ ქართული სამართლისათვის გამაწილებელი სასჯელი სრულიად უცხო რამ არ ყოფილა. დავით VI იმდენად შეავიწროვა შალვა ქვენიფნეველი, რომ მან მეფეს დანაშაულის შენდობა სთხოვა; მეფემ „მხოლოდ ასეთი ძველი ხალხური სასჯელის დადებით დაქმაცოფილდა: მან მოსთხოვა, რომ ქვენიფნეველს საჯაროდ თავზე ნაცარი დაეყარა და თავისი დანაშაულობა აღიარებინა. ისიც დათანხმდა თურმე და, ქამთაღმწერელის სიტყვით, შალვა ქვენიფნეველმა „გარდაიყარა თავსა ნაცარი და იტყოდა: ესე არს მისაგებელი ორგულთა მეფეთასა“-ო (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1941, გვ. 136).

ქონებრივი სასჯელიც მისი ორი სახით — ჯარიმით და კონფისკაციით გათვალისწინებულია ვახტანგის კანონმდებლობით. ჯარიმას — აქ, რასაკვირველია, ნაგულისხმევია საჯარო ხასიათის გადასახადი — აწესებენ 73. და 236. მუხლები ვახტანგის სამართლის წიგნისა. 173. მუხლი ადგენს თვითნებობისათვის სასჯელის სახით ჯარიმას ექვსი თუმნის ოდენობით. 236. მუხლი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როცა ვინმე მეორე პირს წაუყენებს ბრალდებას ქურდობაში; კანონის სიტყვით, თუ მიხრობელი (დამსმენი) გამტყუნდა, მას უნდა სცემონ და გადაახდევინონ ჯარიმა; არის კიდევ ერთი მუხლი, რომელიც აწესებს ჯარიმის გადახდას; ესაა 242. მუხლი, რომლის ძალით საზღვრის მოშლელმა უნდა გადაიხადოს „თავის ხელის სისხლის ფასი ჯურუმი“, იმიტომ, რომ „სამნის მომგლეჯელი ხელ-მოსაჭრელი არის“; მაგრამ, როგორც თავის აღგილას უკვე იყო აღნიშნული, 242. მუხლში დადგენილ ჯარიმას უფრო კერძო საზღაურის ხასიათი აქვს, რადგან ეს მუხლი ლაპარაკობს „ხელის სისხლის ფასზე“.

რაც შეეხება ქონებრივი სასჯელის მეორე, უფრო მძიმე ფორმას, კონფისკაციას, ამ მხრივ დიდ ინტერესს წარმოადგენს ვახტანგის სამართლის წიგნის 177. მუხლის შინაარსი. 177. მუხლს მხედველობაში აქვს ის შემთხვევა, როდესაც ხელმწიფე ან მებატონე ჯარს მიუშვებს თავის ტერიტორიაზე „მოსარბეველად“. რუსული თარგმანი ამ აღგილისა ამოიხსნის: Если царь или владетель пошлет войско... для наказания кого либо из поданных своих отнятием имущества... მაშასადამე, „მოსარბეველად“ აქ გაგებულია როგორც „отнятие имущества“. კარსტიც თარგმნის: „...pour l'exécution d'une saisie ou séquestration de biens“. მაგრამ კარსტი იქვე იძლევა შემდეგ ვარიანტს: „pour représailles à exercer moyennant „pillage“ ou incursion (dévasta-

tion). კარსტის აზრით, ორივე განმარტება შესაძლოა. აქ ლაპარაკია დამსჯელი რაზმის ექსპედიციებზე, რომელსაც სენიორი აწყობს თავის ვასალის წინააღმდეგ ლალატისა ან სხვა რაიმე მანევი მოქმედებისათვის; ეს ღონისძიება შეიძლება ჩატარებული ყოფილიყო როგორც ქონების ჩამორთმევის, სეკვესტრაციის, ისე მოლაღატის მამულში შესვლის გზით მისი განადგურების, დარბევის მიზნით; ამგვარი დამსჯელი ექსპედიციები მიღებული იყო სომხეთშიც, სადაც მათ „aršavan“, „ēšav“, „yišav“ (შესევა—incursion, ყაზალური თავდასხმა—razzia) ეწოდებოდა; მათ ენახულობთ მხითარ გოშის, სემბადის კოდექსებში და შუა საუკუნეების ქართველში<sup>1</sup>. კარსტის ინტერპრეტაცია არსებითად სწორია; თუმცა ქართულ ტექსტში ნახმარი სიტყვა „მოსარბეველად“ თავისი პირდაპირი და ზუსტი აზრით „დარბევას“ (ქონების განადგურებას—devastation) გულისხმობს, მაგრამ იგი შეიძლება გავიგოთ უფრო ფართო მნიშვნელობით, ე. ი. როგორც ქონების წართმევაც.

იმდროინდელ საქართველოში რომ ქონების ჩამორთმევა მიღებული ყოფილა, როგორც სასჯელთა ერთ-ერთი სახე, ჩანს იქიდანაც, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის 220. მუხლი, ადგენს რა ლალატისათვის ფეხის მოჭრას, იმავე დროს კრძალავს ქონებრივი სასჯელის შეფარდებას — „გალარბება და განებრება ორივე არ არისო“, ამბობს კანონი; „გალარბება“ უნდა ნიშნავდეს ქონების ჩამორთმევას და იმავე დროს „პროსკრიპციას“, სამშობლოდან გაძევებას, როგორც ამას სამართლიანად ფიქრობს კარსტი.

ქონების კონფისკაცია ყველაზე უფრო ხშირად გიორგი V „ძეგლის დადებით“ არის გათვალისწინებული. უკანასკნელ ძეგლში იგი, ჩვეულებრივ, ქვეყნიდან გაძევებას უკავშირდება; საყურადღებოა ის, რომ ძეგლის დადებაში კონფისკაციას აქვს ორი სახე: მუდმივი და დროებითი. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს. ერისთვის მკვლელობისათვის ძეგლი ადგენს „გარდახუეწას, მამულის წაღებას“ და სისხლის დაურებას „გვარსა ზედა“, ხოლო მამულის ჩამორთმევის ხანგრძლივობა განსაზღვრული არაა — „მამულისა რაზო წლამდის დაიჭირვის, ამად არ გავაჩინეთ, რომე უსახომო იყო და არაოდეს ქმნილიყო“ (1 მ.). განმგებელის საფათერაკოდ მოკვლისათვის დაწესებულია „მამულისაგან ვაძეგება“ და „შეუნდობლად მამულის სასეფეოდ დადება“ (3 მუხლი)?; „თუ ხევის ბერმან მოკლას გამგებელი, სამს წლამდის მამულისაგან გაიძიოს და ციხე და მამული სასეფეოდ დაიდვას“ (5 მ.); ხევის ბერი თუ მოკლას ხევის ბერმა, სამი წლით უნდა გაიძიოს, ერისთავმა და განმგებელმა მისი სახლი აიღონ, მამული სამი წლით სასეფეოდ დაეჭიროს (6 მ.). თუ ხევის ბერის გვარისკაცი მოკლას ვინმემ, „ორს წელიწადს განეგოს და მამული სასეფეოდ დაედვას“; ორი წლის შემდეგ მას შეუძლია იშუამდგომლოს ერისთვის და გამგებლის მეშვეობით „წესითა დარბაზისათა, მაშინდა მამული ებოძოს“ (9 მ.). თუ ჰეროვანი კაცი?; მოკლავს ჰეროვანს, „სამს წლამდის გარდაიხვეწოს და სისხლი ორასი დრაჰკანი

<sup>1</sup> Karst, დასახ. ნაშრომი, I, 1, 217.

<sup>2</sup> უ ო რ დ რ ო პ ი თარგმნის ამ ადგილს: „is to be punished by expulsion from his estate and confiscation thereof for ever by the Crown“.

<sup>3</sup> უ ო რ დ რ ო პ ი თარგმნის „notable“.



დაეურვოს, ათას ორასი თეთრი და მამული სასეფეოდ დაედვას“ (11 მ. კ. 111) უკეთეს ძმამ მოკლას ძმა, მკვლელი ათი წლით მამულიდან უნდა განიძეოს და „მამული საგამგებელს შემოეხვეწოს“ (17 მ.)<sup>1</sup>. 19. მუხლი ეხება სამხედრო საქმეს და ადგენს, რომ, თუ ვინმე დროულად არ გამოცხადდა სალაშქრო მოვალეობის შესასრულებლად, დამნაშავეს „ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფეოდ“.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქონების კონფისკაცია საერთო წესით გიორგი V „ძეგლის დადების“ ნორმების თანახმად ქვეყნიდან გაძევებას უკავშირდება, მასთან ერთად არის გათვალისწინებული. ორივე ეს ღონისძიება შეიძლება დადებულ იქნას სამუდამოდ და განსაზღვრული ვადით; მეტწილად მათ, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, დროებითი ხასიათი აქვთ: ათი წლით, სამი წლით, ორი და ერთი წლითაც; ამ დროის განმავლობაში მამული „სასეფეოდ დაიდება“, რის შემდეგ სათანადო შუამდგომლობის გზით უბრუნდება პირვანდელ პატრონს. ბექა-აღბულას კოდექსიც აწესებს დამნაშავეს გაძევებას („გარდახვეწა“ — ძმის მკვლელობის შემთხვევაში, 22. მუხლი).

მაგრამ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როგორცაა განმგებელის და ერისთვის მკვლელობა, კანონი გაძევებასა და ქონების კონფისკაციას სამუდამო ხასიათს ანიჭებს (1 და 3 მმ.). უძიმეს დანაშაულთა ჯგუფიდან კანონმდებელი განსაკუთრებულ ადგილს აკუთნებს დედ-მამის მკვლელობას. კანონი ამბობს: „დედმამათა სიკუდილი შვილისაგან უწესო არის და ღმერთმან ნუ აყოფინოს ამის კადრება და თუ ვის ღმერთი შერისხდეს და დაემართოს რაც უარესია, ყველას დამართება და ყოფა, პირიანი გაპატიჟება, გაძევება შეუნდობლად, შემოუშვებლობა, აღმოფხვრა და აღმოწყვეტა“. ასეთი დანაშაულისათვის სისხლი არ დაგვიწესებია, ამბობს კანონი, ვინაიდან „უსახო და უმსგავსო“ „უწესო“ იქნებოდა საზღაურის დადგენა (15 მ.). მაშასადამე, გიორგი V კანონი დედ-მამის მკვლელს ემუქრება შემდეგი სასჯელით: პირიანი გაპატიჟებით, შეუნდობლად გაძევებით, აღმოფხვრით და აღმოწყვეტით<sup>2</sup>.

მაშასადამე, აქ ერთად არის თავმოყრილი რამდენიმე სახის სასჯელი: ერთისა და იმავე დანაშაულისათვის გათვალისწინებულია ქონებრივი სასჯელი, სიკვდილით დასჯა, სამუდამოდ გაძევება, „აღმოფხვრა და აღმოწყვეტა“. ამგვარად, დედ-მამის მკვლელობა იწვევს როგორც პირადი, ისე ქონებრივი ხასიათის სასჯელს.

<sup>1</sup> უ ო რ დ რ ო პ ი : „let that murderer be banished for ten years from his patrimony and let the estate be seized by the Crown“.

<sup>2</sup> უ ო რ დ რ ო პ ი ს თარგმანში ნათქვამია: „capital punishment, eternal banishment, uprooting and destruction“.

კ ა რ ს ტ ი ამ ადგილს გადმოგვეცემს შემდეგნაირად: „proscription, peine criminelle, expulsion perpetuelle, sans possibilité de recours en grace, exclusion du retour [en la patrie], extermination et destruction“ კარსტი თარგმნის: daqop'a upiriani-mise hors-loi, état de proscription; მაგრამ, მისი აზრით, შესაძლოა სხვა ინტერპრეტაციაც: daqop'a, piriani gapatizeba, რაც ნიშნავს „séparation“ (daqop'a) [i. e. saisie et expropriation ou séquestration], „peine capitale“.



გიორგი V „ძველის დადების“ 15. მუხლის სანქცია საოცრად ენათესავება ფეოდალური პერიოდის იმ ინსტიტუტს, რომელსაც „Friedlosigkeit“ ეწოდებოდა. „Friedlosigkeit“ ფეოდალური ევროპის სამართლის თანახმად ნიშნავდა დამნაშავეისათვის მშვიდობიანობის აღკვეთას, მის გაძევებას მშვიდობიანი საზოგადოების წრიდან; იმავე მდგომარეობას გამოხატავდა სიტყვა „Acht“ — დევნა (áhta). მშვიდობიანობას აღვეთილი ადამიანი სასიკვდილოდ განწირულად ითვლებოდა, აქედან ანგილ-აქსურა სიტყვა „faege“ (moribundus — მომაკვდავი); იგი მეფისა და მთელი ხალხის მტრად იყო მიჩნეული, მისი დევნა და მოკლა, როგორც ხალხის მტრისა, ყოველივე პირის არა თუ უფლებას, მოვალეობასაც კი შეადგენდა<sup>1</sup>. ყველას აკრძალული ჰქონდა მისთვის რაიმე სახით დახმარების აღმოჩენა<sup>2</sup>, და ეს აკრძალვა მის უახლოეს ნათესაებზე, ცოლზედაც კი ვრცელდებოდა. სიკვდილს რომ გადაურჩეს, იგი იძულებულია გაიქცეს და ტყეში იცხოვროს; შუა საუკუნეების ერთ-ერთი კანონი მასზე ამბობს „homo qui per silvas vadit“, გერმანული ენა საერთოდ მას უწოდებს „warg“, „wargus“, „wolf“. ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი ეხება არა მარტო პიროვნებას, არამედ ქონებასაც; პირვანდელი წყაროები სარგებლობენ ფორმულით „friedlos an Leib und Gut“ და ლაპარაკობენ მშვიდობიანობის აღკვეთაზე, როგორც პიროვნების, ისე ქონების მიმართ. დამნაშავეის ქონება მის მემკვიდრეებზე კი არ გადადის, მას ან არბევდნენ, ანადგურებდნენ, ანდა იგი თემის ან მეფის სასარგებლოდ ჩამოირთმეოდა; ამ ორ გზას წყაროები გამოხატავენ შემდეგი სიტყვებით; Wüstung და Fronung.

გერმანულ ტომთა სამართალი იცნობს უძველეს ჩვეულებას, რომელიც დამყარებულია რელიგიურ იდეაზე და მოითხოვს „მშვიდობიანობა-აღკვეთილის“ მოგონებისაც კი აღმოფხვრას, მოსპობას, თემი მას სდევნის და სწვავს მის სახლსა და ეზოს; ზოგიერთი სამართლის მიხედვით ხეებსა და მინდვრის ნაყოფსაც კი ანადგურებდნენ; მონაწილეობა ამ დარბევაში საერთო მოვალეობას შეადგენდა, გინც მას დააკლდებოდა, მას სასჯელი მოელოდა. საქსების 798 წლის ერთ-ერთი კაპიტულარი მოწმობს, რომ „Brandrecht“ (დაწვის, ცეცხლის წაქიდების უფლება) ძველის-ძველი ინსტიტუტია. ასეთი იყო ის წესი, რასაც Wüstung ეწოდებოდა და რამაც შემდეგ ჰოლანდიის საქალაქო სამართალში მხოლოდ სიმბოლური ხასიათი მიიღო, უბრალო ფორმალურ მოქმედებად გადაიქცა (მოსამართლე მშვიდობიანობის აღკვეთის ფორმულის წარმოთქმისას სამჯერ დააქნევდა ანთებულ ჩირადანს). მეორე წესი, ის, რომელსაც წყაროები Fronung-ს უწოდებენ, ქონების კონფისკაციას წარმოადგენდა, როგორც ვთქვით, აქ ქონება

<sup>1</sup> „Der Friedlose kann nicht bloss, sondern er soll, weil er der Feind des Volkes ist, von jedermann verfolgt und getötet werden“. Brunner, Deutsche Rechtsgeschichte, B. I, 1906, § 23.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად. „საქსონიის სარკე“, II, 72. საშუალო საუკუნეების ერთ-ერთი ძველი (Codex Dunensis ადგენს; „ne quis eorum sub poena excommunicationis sic excommunicatis — in cibo potu colloquio hospito — scienter communicare praesumat“. ვინც გაძევებულთან რაიმე სახის ურთიერთობას იქონიებდა, მას იგივე სასჯელი მოელოდა). Kohler, Schakespeare von dem Forum der Jurisprudenz, 1883, S. 247.



უკვე თემის ან მეფის საკუთრებაში გადადიოდა; რასაკვირველია, ამ ქონებიდან დაზარალებულიც თავის წილს ღებულობდა. მეტად საყურადღებოა, რომ, ბრუნერის სიტყვით, „მშვიდობიანობის აღკვეთა“ უძველეს ხანაში მოიცავდა სიკვდილით დასჯას, გაძევებას, სისხლის სამართლის მონობას, ქონების კონფისკაციას და დარბევას, ე. ი. ყველა ის სასჯელი, რაც შემდეგ გამოიყო დამოუკიდებელი სახით გვხვდება, პირველად მასში იყო განურჩევლად შეერთებული, თავმოყრილი<sup>1</sup>. მაშასადამე, „Friedlosigkeit“ თავისი ბუნებით ძალიან რთული შემადგენლობის ინსტიტუტი ყოფილა.

სწორედ ამ სირთულით, თუ შეიძლება ითქვას, თავისი შერეული ბუნებით, უახლოვდება იგი გიორგი V „ძეგლის დადებაში“ აღნიშნულ სასჯელს, რომელიც 15. მუხლით არის გათვალისწინებული. 15. მუხლის სანქცია თავისი შემადგენლობით მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავეს პიროვნების, არამედ მისი ქონების წინააღმდეგაც; კანონი აწესებს, როგორც სიკვდილით დასჯას, ისე ქონების განადგურებას, ეს დანაშაული მას გამოუსყიდელ ქმედებად მიიჩნია, მისი აზრით, დამნაშავე ყოველგვარი სასჯელის ღირსია — „თუ ვის ღმერთი შერისხდეს და დაემართოს რაც უარესია, ყველას დამართება...“ კანონმდებლის სიტყვები „აღმოფხვრა და აღმოწყვეტა“ იმ წესს მოგვაგონებს, რომელსაც ჩვენ ზემოთ „Wüstung“-ის სახელწოდებით ვავეცანით. როგორც ვნახეთ, ეს წესი თავის მიზნად ისახავდა სწორედ დამნაშავეს აღმოფხვრას, თვით მისი სახელის, ხსოვნის ძირ-ფესვიანად მოსპობას<sup>2</sup>. რასაკვირველია, ჩვენ ამით არ გვინდა გავატაროთ სრული ანალოგია ამ ორ ინსტიტუტს შორის, ჩვენ მხოლოდ ვფიქრობთ, რომ გიორგი V „ძეგლის დადების“ 15. მუხლის სანქცია თავისი შინაარსით და ბუნებით ენათესავება იმ ინსტიტუტს, რომელსაც ფეოდალური ევროპის სამართალი „მშვიდობიანობის აღკვეთას“ უწოდებდა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Brunner, დასახვლ. ნაშრომი, ტ. I, 1906, § 23, აგრეთვე II, 1892, § 132. კანონს გარეშე გამოცხადება (la mise hors la loi) უმძიმესი იყო იმ სასჯელთან, რომელსაც გერმანული სასამართლოები, უფრო კი პირველი მათ შორის, სახალხო კრება (შემდეგში — მეფე) უნიშნავდნენ. ეს იყო ერთგვარი ექსკომუნიკაცია, რომელსაც ჰქონდა უფრო საერო, ვიდრე რელიგიური ხასიათი და რომელიც ერთსა და იმავე დროს სიკვდილს, გაძევებას, ქონების ჩამორთმევას და სახლის დაწვას გულისხმობდა („C'est une sorte d'excommunication sécularisée, plus laïque que religieuse, emportant à la fois la mort, le bannissement, la confiscation de biens, l'incendie de la maison“). კანონს გარეშე გამოცხადებული პირი (exlex, outlaw) საზოგადოების მტერია, იგი იძულებულია გაიქცეს და ტყვეში იცხოვროს, ანდა უცხოეთში გარდაიხვეწოს (Brissaud, დასახ. ნაშრომი, 481). იხ. აგრეთვე Schröder, Lehrbuch d. d. RG. I Teil, 1919, § 12. საინტერესო მასალა არის მოყვანილი კოლერის ნაშრომში „Studien aus dem Strafrecht“, II, 56—80: Friedlosigkeit, Wüstung, Konfiscation.

<sup>2</sup> უორდროპის თარგმანი uprooting მშვენივრად გადმოგვცემს ამ სიტყვის მნიშვნელობას.

<sup>3</sup> ძველი რუსული სამართალი იცნობდა თავისებურ სასჯელს, რომელიც აგრეთვე ერთდროულად დამნაშავეს პირადი და ქონებრივი უფლებების წინააღმდეგ იყო მიმართული და რომელსაც „поток и разграбление“ ეწოდებოდა. ამ სასჯელის შესახებ ვლადიმირ სკიტოვი დაწვრილი ამბობს შემდეგს: „Потоком называется лишение личных прав, а разграблением — лишение прав имущественных; и то и другое составляет одно наказание, а не два вида наказания... Поток и разграбление не только заменили виру за преступления“.

ბოლოს უნდა მოვიხსენიოთ კანონიკური ხასიათის სასჯელი, რომელსაც ვხვდებით ვახტანგის კრებულის სხვადასხვა ნაწილებში; საეკლესიო ხასიათის სანქცია უცილობელად ძველი ებრაული სამართლის ზეგავლენით აიხსნება, აქ უნდა ვეძიოთ მისი უკანასკნელი წყარო. მოსეს კანონების დადგენილებები შეთვისებული ჰქონდა ქრისტიანულ ეკლესიას და საეკლესიო სამართლის მეშვეობით ეს დადგენილებანი შეტანილ იქნა სხვადასხვა ხალხთა იურიდიულ ცხოვრებაში. ეს მტკიცდება რუსეთის სამართლის ისტორიის ფაქტებით: ძველი რუსული სამართლის კრებულები ბევრ ნორმას ებრაულ კანონებიდან სესხულობენ; იგივე ითქმის ქართულ სამართალზეც: ჩვენი ეროვნული იურიდიული ძეგლებიც იმავე წყაროთი სარგებლობენ.

მოსეს „მეორე შჯულში“ დადგენილია თავისებური სახის სანქცია: კანონმდებელი ღვთაების რისხვით, წყევლა-კრულვით ემუქრება სხვადასხვა დანაშაულის ჩამდენთ (XXVII თავი); დაკრულვა თავისი დროისათვის მეტად სასტიკი სასჯელი იყო და მიიმე შედეგებს იწვევდა დამნაშავისათვის.

ვახტანგის კრებულში მოთავსებული მოსეს კანონების 52. მუხლი გადმოგვცემს „მეორე შჯულის“ დებულებებს და მის მიერ გათვალისწინებულ რელიგიური ხასიათის სანქციას.

ქართულ ეროვნულ ძეგლებს შორის სასჯელის ეს ფორმა ნასესხები აქვს კათალიკოზთა სამართალს, რომელიც მას აწესებს რამდენიმე მუხლში (9, 10, 12, 13, 14, 20, 21 მმ.), მასვე ვხვდებით ბექა-ალბულას კოდექსის დანართში, სადაც მთელი რიგი დანაშაული თავის შედეგად ქონებრივი ანაზღაურების გარდა რელიგიურ სანქციას — კრულვა-შეჩვენებას იწვევს<sup>1</sup>.

ное убийство, но и распространены на конокрадство и поджог, а практика распространяла это наказание и на политические преступления... Первоначально поток и разграбление имели неопределенное значение: с лишенным прав и его семьей можно было сделать что угодно.. Разграбленное имущество иногда делили, „по всему городу по 3 гривны“, в княжествах оно поступало князю... Из этой неопределенной сущности потока развились уже в эпоху Рус. Правды все виды уголовных кар. ასეთი იყო: გაძევება, გადასახლება, დამწყვდევა, სხულის სასჯელები და სიკვდილით დასჯა (Обзор истории русского права, 1900, 317—319. იხ აგრეთვე Сегеевич, დასახ. ნაშ. 394, 395). შეადარე ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“ (წიგნი მესამე, 1941, გვ. 64). მოყვანილი ცნობა დავით ულუს მეფობაში ჯიქურის დასჯის შესახებ; მეფემ „წარავლინა მსწრაფლ წინაშე მდგომელნი და ბრძანა მოყუანებად მისი და სახლისა მისისა იავარყოფად“. თვით ჯიქური კი მტკვარში დაახრჩვეს — განუკითხავად ბრძანა შთადგებად მტკვარს“.

<sup>1</sup> ამ სანქციის შესახებ იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამ. ისტ. II, 2, 356: ჩვეულებრივ განდევნილს კრულვა-შეჩვენება სდევდა თან, რასაც „კრულობითა და შეჩვენებითა საშინელითა განკანონებამ ერქვა“. აგრეთვე წიგნი I, გვ. 113, და მისივე „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მესამე, 1941, გვ. 81, შეჩვენებისა და შერისხვის შესახებ: „ამ (საეკლესიო) სასჯელთა შორის ყველაზე ძლიერი შეჩვენება იყო. ვისაც ეს სასჯელი თავს დაატყდებოდა, მას ზიარების, ქორწინების და გვირგვინთა კურთხევის უფლება არ ჰქონდა. ხოლო თუ გარდაიცვლებოდა, ქრისტიანული წესით არც ანდროძის აგება და არც მისი დასაფლავება არ შეიძლებოდა. მაგრამ ეს შეჩვენების მხოლოდ საეკლესიო სფეროთი შემოფარგლული ზავდენა იყო. მაშინდელი წესით შეჩვენებულზე თავისი სასჯელი სახელმწიფო ხელისუფლებასაც უნდა დაედო და დაკრულვილი უნდა აუცილებლად შეჩვენებულიც ყოფილიყო. შე-



ზემოთ ჩვენ მოკლედ დავახსიათეთ სასჯელთა ცალკეული სახეები ვახტანგის კანონმდებლობის მიხედვით. ამ მოკლე, ზოგადი გადმოცემიდან ჩანს, რომ ვახტანგის კრებულში შენგავალი ქართული ეროვნული ძეგლები იცნობენ სასჯელთა იმ ფორმებს, რაც საერთოდ მიღებული იყო ფეოდალური პერიოდის კანონმდებლობაში; კრებულში გათვალისწინებულია, როგორც პიროვნების, ისე ქონებრივი ხასიათის სასჯელები; ქონებრივი სასჯელი დადგენილია ორი სახით: ჯარიმის და კონფისკაციის. თავის-თავად ცხადია, რომ სისხლის სამართლის სანქციას ზოგჯერ განუსაზღვრელობა ახასიათებს: არის შემთხვევა, როდესაც კანონმდებელი ასახელებს დანაშაულს, მაგრამ სანქციას სრულიად არ აწესებს, ზოგჯერ იგი აღნიშნავს ამა თუ იმ ქმედობის დასჯადობას, მაგრამ არაფერს ამბობს სასჯელის კონკრეტულ სახეზე, ზოგ მუხლში კი კმაყოფილდება მითითებით, რომ მოცემული დანაშაული სასულიერო სასამართლოს ექვემდებარებაო; ყველა ასეთ შემთხვევაში სანქცია, რა თქმა უნდა, გაურკვეველი ბუნებისაა, მაგრამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ამ მხრივ ვახტანგის კანონები არაფითარ გამოჩაჩის არ წარმოადგენენ: იგივე გაურკვეველობა სანქციისა შეიძლება ჩაითვალოს ძველი კანონმდებლობის საერთო თვისებად.

ვახტანგის კანონები, შედარებით ფეოდალური პერიოდის სხვა ძეგლებთან, თავისი ლმობიერებით განირჩევიან<sup>1</sup>; ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია გადავხედოთ იმ სასჯელთა სისტემას, რომლებიც დაწესებულია ფეოდალური პერიოდის სხვადასხვა კოდექსებით და რომლებიც უზომო, არაჩვეულებრივი სიმკაცრით არიან გამსჭვალული; სასჯელთა ამგვარ სახეებს ვახტანგის კანონები, რასაკვირველია, არ იცნობენ.

ვახტანგის კანონებში სამოქალაქო სამართლის ნორმები უფრო განვითარებული სახით გვევლინება, მაგრამ ასეთი თვისება მარტო ჩვენს ეროვნულ სამართალს როდი ახასიათებს. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის დარგში ძველის-ძველი ადათები და შორეული თაობებისაგან გადმოცემული ზნე-ჩვეულებები, ტრადიციული წესები უფრო ფესვგადგმულია, მეტწინააღმდეგობას უწევენ ახალი იდეების გავლენას, ნაკლებად ემორჩილებიან

რისხვა-კი იმას ნიშნავდა, რომ იმ პირს უნდა მამული ჩამორთმეოდა და „ლაშქართა შიგა“ ყოფნის უფლება აღარ ჰქონოდა, ის უნდა სამშობლოთგან განედევნათ. ასეთი სასჯელი, გაზბილების გარდა, ადამიანის სამოქალაქო სიკვდილსაც უდრიდა და ცხადია, რომ ამაზე მძიმე სასჯელის გამოძებნა ეკლესიის მესვეურთ არ შეეძლოთ“. აქ საინტერესოა ის, რომ საეკლესიო სასჯელს საერო სასჯელიც ემატება და უკანასკნელი მოიცავს როგორც პირადი, ისე ქონებრივი ხასიათის შიდგებს (ქონების ჩამორთმევას, გაძევებას, „ლაშქართა შიგა“ ყოფნის უფლების ჩამორთმევას). ეს ღონისძიება მართლაც სამოქალაქო სიკვდილს უდრიდა.

<sup>1</sup> ვახტანგის კანონები ლმობიერებას იჩენენ როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის სფეროში, ვალდებულებითი ურთიერთობის დარგში. ჩვენ ვიცით, თუ რა სასტიკი იყო ამ მხრივ საერთოდ ძველი კანონმდებლობა. ვახტანგის სამართლის წიგნი კი აწესებს მთელ რიგ შეღავათებს ხელმოკლე მოვლის სასარგებლოდ (132, 133, 134 მუხლები). გარდა ამისა, საკუროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ კიდევ იმავე სამართლის წიგნის 201. მუხლი, რომელიც მებატონეთა ეგოისტურ ინტერესების გაღვიძების გზით ცდილობს აიძულოს ისინი ადამიანურად მოეპყრან ყმა გლეხებს — „თორემ წაეა, ექვს წელიწადს სხვაგან დაყოფს, მოვალეწიფეს ეყობა და ყმა დაგეკარგებათო“, ამბობს კანონმდებელი.

მათ; ასეთია, მაგალითად, ჰამურაბის კოდექსში მოცემული სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმების ურთიერთ მდგომარეობა. ყველაზე უკეთეს მაგალითს ამ მხრივ იძლევა რომის სამართალი. რომის სახელმწიფოში, როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის ინსტიტუტების შემუშავება ვერ მიდიოდა იმავე ნაბიჯით, როგორც სამოქალაქო სამართლისა.

## VI

ამ ნარკვევის დასაწყისში გაკვრით მოყვანილი იყო კარსტის შეხედულება ქართული სისხლის სამართლის ევოლუციის შესახებ. აქ უფრო მეტი ყურადღებით უნდა გავეცნოთ მის მოსაზრებებსა და დასკვნებს, ვინაიდან იგი იძლევა იმ მიზეზების ახსნის ცდას, რომლებიც მისი აზრით, აფერხებდნენ ამ დარგის ინსტიტუტების განვითარებას საქართველოში.

კარსტი გამოთქვამს აზრს, რომ ქართულ სამართალში მოცემული იყო თავიდანვე სისხლის სამართლის სისტემის შექმნის მიდრეკილება, მაგრამ სისხლის სამართლის კანონმდებლობას მაინც არ მიუღია განვითარებული სახე და „ემბრიონულ“ მდგომარეობაში დარჩა; ის ღონიერი ჩანასახი, რომელიც დიდ მეფეთა ხანაში ნამდვილად არსებობდა, შემდეგ პერიოდში დამუშავებული არ ყოფილა და მონღოლთა შემოსევის და უცხოელთა ბატონობის დროს ეს ჩანასახი დაიღუპა და „ჩაფარდა ქაოსურ მდგომარეობაში“, რადგან სამეფო ხელისუფლება, რომელიც მოწესრიგებული იურისდიქციის და სისხლის სამართლის აუცილებელ პირობას შეადგენს, უძლური, დასუსტებული იყო. ამით ხსნის კარსტი არეულ, განუვითარებელ მდგომარეობას, რომლითაც, მისი აზრით, ხასიათდება სისხლის სამართლის დარგი ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით<sup>1</sup>.

ამგვარად, კარსტს რომ დაუუჯეროთ, ქართული სისხლის სამართალი თითქოს თავისი არსებობის საუკეთესო, ყველაზე უფრო ნაყოფიერ და ხელსაყრელ პირობებშიც კი „ჩანასახის“ მდგომარეობას არ გასცილებია, „რუდიმენტულ“, „ემბრიონულ“ ფორმაზე უფრო მაღლა არ აწეულა, ვახტანგის საკუთარი კოდექსი სისხლის სამართლის დარგში „ქაოსურ“ სურათს წარმოადგენს; მაგრამ როგორ შეიძლება დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ დიდ მეფეთა ხანაში ქართული სისხლის სამართალი ვითომდა მხოლოდ „ჩანასახის“ ფორმით არსებობს და ჯერ კიდევ „დაწყებითს“ ნაბიჯებს აკეთებს. ამ ხანაში რომ ნამდვილად არსებობდა ნაწილობრივად მაინც საჯარო პრინციპზე აგებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა — ეს სრულიად დასაშვები და მოსალოდნელია, ვინაიდან ძლიერ ხელისუფლებას შესაფერი კანონმდებლობა დასჭირდებოდა, თვით სახელმწიფო ცხოვრების მოთხოვნილებები აიძულებდნენ მას შეექმნა ამგვარი კანონმდებლობა; მაშასადამე, უკანასკნელი „ჩანასახის“ ფორმით კი არ იქნებოდა მოცემული, არამედ, როგორც საფიქრებელია, საკმაოდ განვითარებული და შედარებით უფრო მდიდარი შინაარსისა იქნებოდა. გართულებული, განვითარებული საზო-

<sup>1</sup> „De là s'explique, à notre avis, l'état quelque peu chaotique et rudimentaire de la matière criminelle — pénale dans le Code de Vakhtang proprement dit“. დასახ. ნაშრომი, ტ. 1, 2, გვ. 194.



გადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობანი, რასაკვირველაა, შესატყვისად იურიდიულ ნორმებსაც მოითხოვდნენ, მათ ძველის-ძველი ადათობრივი სამართლის პრიმიტიული ნორმები უკვე ვეღარ დააკმაყოფილებდნენ. შეიძლება თქვან, რომ ეს არის მხოლოდ ჰიპოთეზი, ვინაიდან ამ პერიოდის საკანონმდებლო ძეგლებს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია, მაგრამ ჩვენ გვაქვს საფუძველი ვუპასუხოთ, რომ ამ ჰიპოთეზს ამაგრებს იმდროინდელი საქართველოს მთელი სოციალურ-პოლიტიკური და საერთო კულტურული ვითარების გათვალისწინება და შეფასება.

შემდგომ საუკუნეებშიც სამართლის ცხოვრება, თუმცა დაქვეითდა, მაგრამ, რასაკვირველია, არ შეწყვეტილა. თვითონ კარსტი ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მაინც „სამართლის და მართლმსაჯულების საქმეებში მუდამ არსებობდა მოწესრიგებული და განწყვეტილი მმართველობა“<sup>1</sup>; სწორედ ამაში ხედავს კარსტი, მისი საკუთარი სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ, „ერთადერთ ნათელ პუნქტს, რომელიც მუდმივ ინახებოდა მონგოლთა ბატონობის პერიოდში, რაც საქართველოს ყველაზე უფრო ღრმა დაქვეითების დონეს წარმოადგენს“<sup>2</sup>.

ქართულ იურიდიულ ძეგლებში ქონებრივ საზღაურთა სისტემა, ცხადია, სჭარბობს, მას გაბატონებული მდგომარეობა უკავია, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც არ შეიძლება იპის მტკიცება, რომ ქართულ სისხლის სამართალში საჯარო ელემენტი ვითომც თითქმის სრულიად გამქრალი, ამოკვეთილი იყო; ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჰოლდაკი მეტისმეტად ამცირებს საჯარო საწყისის მნიშვნელობას ქართულ სამართალში, როდესაც ამბობს, რომ ქართულ სამართალში კომპოზიციების სისტემის გვერდით არსებობდა მხოლოდ ზოგიერთი, ისიც ნაწილობრივად ბუნდოვანი, დადგენილება, რომელშიაც საჯარო სისხლის სამართლის სიცოცხლე გამოისახებოდაო. ჰოლდაკის აზრი უდაოდ ვადაქარბებულად უნდა იქნას მიჩნეული, ვინაიდან ზემოთ მოცემული დახასიათებიდან ნათლად ჩანს, რომ სასჯელთა სისტემა, მათი ცალკეული სახეები ჩვენს სამართალში არც ისე სუსტად იყო გათვალისწინებული, როგორც ეს ზოგიერთს ეჩვენება, და, თუ ზოგჯერ ვხვდებით გაურკვეველობას და ბუნდოვანობას, ეს ნაკლი ფეოდალური პერიოდის იურიდიული ძეგლების საერთო თვისებას შეადგენდა.

კარსტი იკვლევს ქართული სისხლის სამართლის ჩამორჩენილობის მიზეზებს და ასახელებს შემდეგს:

1. კომპოზიციების სისტემის ფართო გავრცელება, რამაც ბუნებრივად თანდათანობით შეზღუდა და შეავიწროვა საჯარო სისხლის სამართლის სფერო და საბოლოოდ ჩაახშო კიდევ უკანასკნელის დაწყებითი ინსტიტუტები<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „... la Karthvélie orientale a... toujours entretenu une administration suivie et ordonnée dans les affaires de droit et de justice“.

<sup>2</sup> დასახ. ნაშრომი, ტ. I, 1, გვ. 10.

<sup>3</sup> „a étouffé à la longue les diverses ramifications primitives de ce dernier“. რაც შეეხება კომპოზიციების წყაროს ქართულ სამართალში, კარსტი გამოთქვამს თავისებურ აზრს: „c'est juste en ce domaine si intrigant et si contesté de la composition du sang, du wer-geld, que l'Ossetie nous paraît avoir joué le rôle de membre de liaison entre le monde germano-slave et la Transcaucasie“. დასახელ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 197. ამგვარად კომპოზი-

2. საქართველოს ხანგრძლივი ვასალური დამოკიდებულება მეზობელი ქვეყნების მხედრობებთან (ირანთან, თურქეთთან).

3. ფეოდალური სისტემა ბატონყმური რეჟიმით, როდესაც ფეოდალებმა მიიკუთვნეს სასამართლო იურისდიქცია, რომელსაც წინათ სამეფო ხელისუფლება ახორციელებდა.

4. ორი უმაღლესი ხელისუფლების — საეკლესიო და საეროს — არსებობა და ამის შესაბამისად უმაღლესი იურისდიქციის დაყოფა ორ დარგად: სასულიეროდ, რომელიც ეკუთვნოდა კათალიკოზს, და საეროდ, რომელიც მეფის ხელთ იყო. ორი იურისდიქციის არსებობას კარსტი დიდ როლს მიაწერს; ამ ფაქტს, მისი სიტყვით, თანამედროვე იურისტებმა არ მიაჩიეს სათანადო ყურადღება. რაში ხედავს კარსტი ამ ფაქტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას? სამოქალაქო იურისდიქცია, ანბოზს იგი, გარდა იმ საქმეებისა, რაც საოჯახო და საქორწინო სამართალს ეხებოდა, ეკუთვნოდა მეფეს, ხოლო სისხლის სამართლის დარგი საერთოდ, პრინციპიალურად, კათალიკოზის საეკლესიო კომპეტენციაში შედიოდა<sup>1</sup>. ამით ხსნის კარსტი იმ გარემოებას, რომ სამეფო კანონი იჩენს მერყეობას სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას და ჩვეულებრივ აკუთვნებს მათ კათალიკოზის კომპეტენციას; ამავე ფაქტში ეძებს იგი იმის ახსნას, რომ კათალიკოზთა კანონები არსებითად სისხლის სამართლის დარგს ეკუთვნიან და სიკვდილით დასჯას და გაძევებას აწესებენ. პოლიტიკური მოსაზრების გამო კათალიკოზი „ნებაყოფლობით უთმობს“ სისხლის სამართლის იურისდიქციის ნაწილს მეფეს, განსაკუთრებით განაჩენთა აღსრულების სფეროში და იმ დარგს, რაც სხიულის სასჯელებთან არის დაკავშირებული (დასახიჩრება, ასოთმილება, თვალების დათხრა)<sup>2</sup>.

ციების სისტემა (Wergeld) თითქოს ოსების მეშვეობით შემოსულა საქართველოში ჩრდილოეთიდან. მაგრამ იგივე სისტემა სხვა მრავალმა ხალხმა იცოდა, იგი სხვადასხვა ხალხთა სამართლის ინსტიტუტია, რომელიც განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ჩნდება.

<sup>1</sup> „Tandis que la juridiction civile relève — abstraction faite des affaires concernant droit matrimonial et de famille — du roi, le domaine criminel ou de la pénalité en général est, en principe, abandonné au ressort ecclésiastique du catholicos“. იქვე, გვ. 195.

<sup>2</sup> იქვე. ამასთან დაკავშირებით მოგვყავს კარსტის აზრი საქართველოს და სპარსეთის ისტორიის პარალელიზმის შესახებ სამართლის და მართლმსაჯულების დარგში. ირანში, ამბობს კარსტი, სასანიდების დროს მართლმსაჯულების განხორციელების საქმე ეკუთვნოდა სამეფო ხელისუფლებას და სამღვდლოებებს მაღალ ფენას (le haut clergé); უკანასკნელს, რომელსაც მობედები (mobeds) წარმოადგენდნენ, ჰქონდა მეტად ფართო სასამართლო ფუნქციები. იბერიის კათალიკოზი ამ მხრივ მხოლოდ ზორთასტრის მაგების მთავარი ქურუმის — დიდი მობედის (le grand mbed) — შემკვიდრე იყო. საერთოდ, განაგრძობს კარსტი, ქართული და ირანული ხალხის სისხლის სამართალს პარალელური ევოლუცია ემჩნევია: შურისძიების და კერძო გასამართლების გაუქმება დარიუს პირველის მიერ და მათი შეცვლა სახელმწიფო ხასიათის სანქციებით, სისხლის სამართლის სასჯელთა (დასახიჩრება, თვალთა დათხრა) თანდათანობითი შემსუბუქება ან შეცვლა ჯარიმებით (უკვე ხოსრო I მეფობაში). I, 2, 194. ავტორი ამ აზრს არ ავითარებს, იგი მას მხოლოდ გაკვრით გამოთქვამს.

ჩვენ ვიცით, რომ საერთოდ ძველ სპარსეთში სასჯელთა მეტად მკაცრი სისტემა არსებობდა; იგი იცნობდა სიკვდილით დასჯის სხვადასხვა კვალიფიციურ ფორმებს, როგორცაა, ჯვარცმა, ცოცხლად დამარხვა, თავის გაქცევა ორ ქვას შუა, განხრება, სარზე ჩამოცმა



როგორც ვხედავთ, კარსტს შედგენილი აქვს მეტად თავისებური მოდგენა საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ სისხლის სამართლის საკითხებში.

კარსტი ამტკიცებს, რომ სისხლის სამართლის საქმეები ექვემდებარებოდა კათალიკოზს, ხოლო სამოქალაქო სამართლისა ზოგიერთი გამონაკლისით — მეფეს; კათალიკოზმა თითქოს საერო ხელისუფლებას „ნებაყოფლობით“ დაუთმო ნაწილი თავისი იურისდიქციისა და აგრეთვე მართლმსაჯულების ის დარგი, რომელიც განაჩენთა აღსრულებას ეხება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დასკვნა ფაქტებს, საქმის ნამდვილ ისტორიულ ვითარებას არ შეესაბამება. ვახტანგის კანონების დაკვირვებით შესწავლა გვარწმუნებს, რომ იურისდიქციას სისხლის სამართლის დარგში ჰქონდა აშკარად შერეული ხასიათი: ორივე ხელისუფლება (როგორც სასულიერო, ისე საერო) იღებდა მონაწილეობას მართლმსაჯულების

ისტორიკოსი იუსტი ასახელებს კიდევ სხვა ფორმებს: Braten in glühender Asche, Schinden bei lebendigem Leib და სხვ. (F. Iusti, Geschichte des alten Persiens, 1879, 61—63). იუსტი იქვე აღნიშნავს ასოთმიმღებ სასჯელებს ძველი სპარსული სამართლის მიხედვით.

ძველი სპარსული სამართალი იცნობს ოჯახის წევრთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის საქმეებში, რაც აღნიშნული აქვს ამიანე მარცელინეს (XXIII, 6): Leges apud eos, ამბობს მარცელინე სპარსელთა შესახებ, impendio formidatae, et abominatae aliae, per quas ob noxam unius omnis propinquitas perit.

ზორასტრის კოდექსი Vendidad რამოფენიმე ფარგარდში (Fargard — თავი) ითვალისწინებს სამართლის ნორმებს, მათ შორის სისხლის სამართლის ნორმებსაც. ყოველი დანაშაული, ვენდიდადის თანახმად, იწვევს ორგვარ შედეგს: ფიზიკურ სასჯელს და ზნეობრივ მონანიებას. ფიზიკური სასჯელი მდგომარეობს მათრახის დარტყმაში (სასჯელის იარაღს ეწოდება Aspahê ashtrê ან Sraoshê — carana; პირველი ნიშნავს, დარმსტეტერის აზრით, მათრახს — le fouet, ხოლო მეორე — ღვედს, ტყავის თასმას — les lanières de cuir. მოგვები ხშირად ცდილობდნენ ერეტიკოსების გამოსწორებას „à coups de lanière“).

ვენდიდადი სხვადასხვა დანაშაულისთვის აწესებს ტყავის თასმით დარტყმას — Fargard IV, V, VI, VIII, XIII, XVI, XVIII და სხვ.

ყველა ფიზიკური სასჯელი შეიძლება შეცვლილი ყოფილიყო ჯარიმით; თუმცა ჯარიმას ვენდიდადი სასჯელთა შორის არ იხსენიებს, მაგრამ არის ერთი ფორმულა, რომელიც, როგორც ჩანს, ფულადი და ფიზიკური სასჯელის ეკვივალენტობას გულისხმობს; ეს ფორმულა ამბობს: „როგორია გადახდა, როგორია გამოსყიდვა, როგორია გაწმენდა?“ (citha, âpereti, yaozhdâhrem). კომენტარიის თანახმად, პირველი ნიშნავს ფულის გადახდას, მეორე — დასჯას Ashtra ან Sraoshêcarana-ს საშუალებით, მესამე — სულის გაწმენდას, გასპეტაკებას (Zend — Avesta par Darmesteter, 1897, T II, introduction, XXI). ამგვარად, ჯარიმა ზენდ-ავესტაში არსად არაა გარკვეულად გამოთქმული, იგი იგულისხმება, როგორც შესაძლო ეკვივალენტი ფიზიკური სასჯელისა.

მაგრამ არის დანაშაულთა გარკვეული რაოდენობა, რომელთა გამოსყიდვა ზენდ-ავესტას შეუძლებლად მიაჩნია (anâperetha — გამოუსყიდელი, ayaozhdya — გაუწმენდავი) და, მაშასადამე, მათთვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული. დანაშაულთა ამ ჯგუფს ეკუთვნიან: მკვდრის დაწვა, ლეშის ჭამა, სოდომია, ქურდობა შარა-გზახე; ამ შემთხვევაში ყველას შეეძლო დამნაშავის მოკვლა სასამართლოს განაჩენის გარეშეც, უკეთეს იგი დანაშაულზე იყო მისწრებული.

ზენდ-ავესტას მთარგმნელი ფრანგი მეცნიერი დარმსტეტერი აყენებს კითხვას: ვენდიდადის კანონმდებლობას ჰქონდა პრაქტიკული ძალა, თუ იგი მხოლოდ თეორიას წარმო-



განხორციელების საქმეში<sup>1</sup>. რასაკვირველია, იყო დანაშაულთა სპეციალური სფერო, რომელიც მხოლოდ ეკლესიის იურიდიისკციის საგანს შეადგენდა, როგორცაა, მაგალითად, სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და ოჯახური ურთიერთობის ნიადაგზე წარმოშობილი დანაშაული; მაგრამ ამავე დროს ეკლესია თავისი დადგენილებებით და სანქციებით ითვალისწინებს და სჯის წმინდა საერო ხასიათის დანაშაულს, მაგალითად, მკვლელობასა და ქურდობას (საუკეთესო მაგალითს აღბუღას კანონების დანართი წარმოადგენს). არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საქართველოში ეკლესია მხარს უჭერს ხელისუფლებას და თანამშრომლობს მასთან სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა დევნასა და დასჯაში, რაც მტკიცდება თუნდაც კათალიკოზთა სამართლის 17. მუხლით, რომელიც მეფის მოღალატისათვის სიკვდილით დასჯას აწესებს. ძალიან საეჭვოა, რომ კათალიკოზს თითქოს თავისი კომპეტენციის ნაწილი საერო ხელისუფლებისათვის დაეთმო; კარსტი არაფრით არ ასაბუთებს თავის აზრს, დასაშვებია, ისიც, რომ, პირიქით, სწორედ მეფე უთმობდა სისხლის სამართლის საქმეების განხილვის უფლებას სასულიერო სასამართლოს.

სასულიერო იურისდიქციის არსებობა საერთო ხასიათის დანაშაულთა დარგში აიხსნება სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის გავლენით, რის გამოც ჯერ კიდევ მკვეთრად არაა გატარებული განსხვავება ცოდვასა და დანაშაულს

ადგენდა და უპასუხებს, რომ რელიგიური კანონმდებლობის დარგში ყოველთვის ძნელი იმის თქმა, თუ სად თავდება ფაქტი და იწყება თეორია. რომ შევიჩრდეთ, ავბობს დარმსტეტერი, მხოლოდ სასანიდების პერიოდზე, ერთად ერთ პერიოდზე, როცა ზოროასტრიზმი სახელმწიფოებრივ რელიგიას წარმოადგენდა და ავესტას შეეძლო ჰქონოდა ზუსტი კანონის ძალა, მაშინაც კი მასდღური კოდექსის ყველა მუხლი მოსამართლის მიერ გამოყენებული არ იქნებოდა; მაგრამ, თუ საჭიროება მოითხოვდა, მათი გამოყენება შესაძლო იყო, მათ საფუძველზე შესაძლო იქნებოდა დევნის აღძვრა (იქვე, XXIII).

ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ რამე დანამდვილებით სპარსული და ქართული სამართლის პარალელიზმის შესახებ უძველეს ხანაში, ვინაიდან სათანადო მასალები არა გვაქვს, მაგრამ უდავოა, რომ სპარსული სამართალი ღრმა გავლენას მოახდენდა საქართველოს სამართალსა და მართლმსაჯულებასზე; ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან იბერია სპარსეთის საერთო კულტურის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ზოროასტრის კულტი, ცეცხლთაყვანიშნელობა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საერთოდ ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში, თვით ქრისტიანობის მიღების შემდეგაც მას ჰყოლია მიმდევრები (პიტანში ვარსკენი — შუშანიკის წამება). სასანიდების მეფობაში ადგილი ჰქონდა ქრისტიანების დევნას და სპარსეთის მეფეები ცდილობდნენ იძულებით შემოეღოთ მასდღეზმი სამხეთში (Justi, დასახ. ნაშრომი, 197 შუ.).

საფიქრებელია, რომ ვენდიდადის იურიდიული ნორმებიც გავლენას მოახდენდნენ ქართულ სამართალზე თუნდაც იმ მხრივ, რომ ფართოდ იქნებოდა გამოყენებული მტკიცეული სასჯელები. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, გვემითი სასჯელები „ვითარცა უმარტივესი საშუალება, ამავე დროს ერთი უძველესთაგანიც იყო“ (ქართ. სამ. ისტორია, II, 2, 507 — იხ. „ტაჯგანაგის კვრა“). ჩვენ ვიცით, რომ ზენდ-ავესტაში მათრახით და ღვედით ცემას დიდი ადგილი უკავია.

<sup>1</sup> იხ. მაგალითად 79, 82, 95, 155 მუხლები ვანტანგის სამ. წიგნისა, სადაც ერთად არის მოხსენებული მეფისა და კათალიკოზის იურისდიქცია.

ვანტანგის სამ. წიგნის 61. მუხლიც კათალიკოზის იურისდიქციაზე ლაპარაკობს: „...სატანჯველის სიკუდილში და რჯულის გარდამავალს საქმეში კათალიკოზს აქვს ხელი“ — იხ. კარსტი, I, 1, 108, შენიშვნა.



შორის; ეს ორი დარგი ერთმანეთში აღრეულია, სამართალი ჯერჯერობით დანაშაულს უყურებს როგორც ღვთაებრივი ნორმის, ზებუნებრივი ძალით დადგენილი წესის დარღვევას. ვახტანგის კანონები სწორედ ამ თვალსაზრისის იზიარებენ. ვახტანგის სამართლის წიგნის 25. მუხლი ამგვარ შეხედულებას გამოხატავს; მკვლელობის შესახებ იგი ამბობს: „ნუმცავინ იკადრებს და ნუმცა ვის შეემთხვევის ესე ვითარი, რომელი ავნებს ხორცსა და უმეტესად სულსა...“

ქარსტი საეკლესიო სამართლის გავლენას თვლის ქართული სისხლის სამართლის განვითარების შემფერხებელ მიზეზად. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ კანონიკური სამართალი დააბრკოლებდა საერო სამართლის ინსტიტუტების შემუშავებას, მაგრამ საეკლესიო სამართალი სხვა გზებით და მიმართულებითაც მოქმედებდა, მის გავლენას სხვა შედეგებიც ჰქონდა. რომ შევადაროთ ერთმანეთს, ერთი მხრით, ქართულ სამართალში მიღებული და ტრადიციის ძალით დამკვიდრებული ქონებრივ საზღაურთა სისტემა და, მეორე მხრით, კანონიკური სამართლის ინსტიტუტები, რა თქმა უნდა, უპირატესობა უკანასკნელთ უნდა მივანიჭოთ, თუნდაც იმ უბრალო მოსაზრებით, რომ კანონიკური სამართალი განვითარებული ბიზანტიური სამართლის წარმომადგენელი იყო, სწორედ მისი მეშვეობით შემოდიოდა ეროვნულ ცხოვრებაში უფრო მაღალი საფეხურის გამომხატველი იურიდიული ცნებები და ინსტიტუტები. აქედან ჩვენთვის საყვებით გასაგებია, რომ საეკლესიო სამართალი, როგორც საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში ბიზანტიის გავლენის შემომტანი და გამომსახველი, სისხლის სამართლის დარგში უეჭველად საჯარო საწყისებს იცავდა. იმავე მოვლენას რუსეთის ისტორიაშიც ჰქონდა ადგილი; რუსული სამართლის ისტორიკოსის სერგეევიჩის სიტყვით, უძველესი დროიდან, მთავარ ვლადიმირიდან, რომელმაც შემოიღო ქრისტიანობა რუსეთში, იწყება სასჯელთა ბიზანტიური სისტემის შეთვისება; ამასთან ერთად რუსეთში შემოდის იდეა სასჯელთა საჯარო ბუნების შესახებ, რომლის თანახმად დამნაშავე უნდა დაისაჯოს არა დაზარალებული პირის, არამედ სახელმწიფოს ინტერესების დასაკმაყოფილებლად<sup>1</sup>.

მართალია, ამ გზით რუსეთში სასჯელთა სისტემა უფრო სასტიკი ხდებოდა, მაგრამ, მეორე მხრით, სახელმწიფო ორგანოთა პრაქტიკაში და საზოგადოების შეგნებაში თანდათანობით ინერგებოდა და ფესვებს იღებდა ახალი შეხედულება სასჯელის შინაარსის, მისი ბუნებისა და დანიშნულების შესახებ.

საქართველოს ისტორიაში ბიზანტიური სამართლის გავლენა აღნიშნული მნიშვნელობით შედარებით სხვა ძეგლებთან ყველაზე უფრო კათალიკოზთა სამართალს ემჩნევა; ამ ძეგლში სასჯელი სწორედ საჯარო საფუძველზეა აგებული; კანონმდებელი აქ სრულიად უყურადღებოდ სტოვებს კერძო ინტერესთა

<sup>1</sup> „...с очень глубокой древности, с князя Владимира, крестившего русскую землю, начинается у нас заимствование византийской системы наказаний. Вместе с тем проникает к нам и идея о публичном характере уголовных наказаний. Преступник должен быть наказан не для удовлетворения пострадавшего, а для удовлетворения интересов государства“. Сергеевич, Лекции и исследования, 396.

ანაზღაურების საკითხს, წინააღმდეგ იმისა, რასაც სხვა იურიდიულ ძველებში ვხვდებით. მისი მასალა ნომოკანონიდან არის ნასესხები<sup>1</sup>.

უმთავრესი მიზეზი ქართული სისხლის სამართლის ინსტიტუტების განუვითარებლობისა უცილობლად ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებაში უნდა ვეძიოთ. კულტურის საერთო აღორძინების და სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერის ხანა პოლიტიკური ცხოვრების დასუსტების ხანამ შეცვალა, საქართველოს ერთიანი პოლიტიკური სხეული დაიშალა; ამგვარ პირობებში, ცხადია, სამართლის დარგიც საერთო ბედს გაიზიარებდა და დაკნინების გზაზე უნდა დამდგარიყო. სამეფო ხელისუფლების და მებატონე-ფეოდალთა ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყდა; ამიერიდან ფეოდალურმა ძალებმა თავისუფალი მოქმედების და კერძო ინტერესების დაკმაყოფილების სრული შესაძლებლობა მოიპოვეს, ვინაიდან გაერთიანებული საქართველოს ძლიერი სამეფო ხელისუფლება მათ უკვე აღარ აკავებდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას კერძო საწყისის ბატონობა ქართულ სისხლის სამართალში, ესაა მთავარი წყარო იმ მოვლენისა, რომ ქართულ სამართალში მისი არსებობის სხვადასხვა საფეხურზე XIX საუკუნის დამდეგამდე ქონებრივ საზღაურთა სისტემა ფართო მოცულობით არსებობდა.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ერთი მოსაზრება, რომელსაც, ჩვენი შეხედულებით, ზოგიერთი მეკლევარი სათანადო ყურადღებას არ აქცევს. როცა ვახსიათებთ ქართულ სისხლის სამართალს, უნდა გავითვალისწინოთ მისი საერთო მდგომარეობა, უნდა აღვნიშნოთ როგორც მისი ნაკლი, ასე მისი წარმატებაც. სასჯელთა სისტემის მხრივ ჩვენს ეროვნულ სამართალს, რასაკვირველია, ერთგვარი განუვითარებლობა ემჩნევა, რამდენადაც გებატონებულ ადგილს იგი ქონებრივ საზღაურებს აკუთვნებს და ხელმძღვანელობს უძველესი ადათობრივი სამართლის ნორმებით; მაგრამ ისტორიკოსი, რომელიც ცდილობს აღადგინოს ამ დარგის მთლიანი სურათი, რა თქმა უნდა, მართლმსაჯულთა დახასიათებით ვერ დაკმაყოფილდება. სისხლის სამართალი იცნობს კიდევ სხვა მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა შორის პირველი ადგილი უეჭველად დანაშაულის სუბიექტური ელემენტების საკითხს უკავია. ამიტომ მეკლევარი მოვალეა მიაქციოს ყურადღება ამ უკანასკნელ საკითხსაც, შეისწავლოს, თუ როგორ არის დაყენებული იგი ქართული სამართლის ძველებში, თუ ჩვენი ეროვნული სამართლის ისტორიის მეკლევარი ამ საგანს შეისწავლის ჯეროვანი დაკვირვებით, იგი დარწმუნდება, რომ ქართულმა სამართალმა დანაშაულის სუბიექტური მხარის დამუშავების დარგში განვითარების საქმაოდ მალა დონეს მიაღწია. იმ მასალის საფუძველზე, რომელსაც ისტორია იძლევა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული სამართალი მეტად თავისებურ სურათს წარმოადგენს; ერთი მხრით, იგი განიცდის უძველესი ადათობრივი წესების მოქმედებას, ხოლო მეორე მხრით, მას შეთვისებული და დამუშავებული აქვს ისეთი რთული და შინაარსით მდიდარი ცნებები, როგორცაა განზრახვა და გაუფრთ-

<sup>1</sup> კათალიკოზთა სამართლის და სასულიერო სასამართლოთა იურისდიქციის შესახებ იხ. ბ ა ქ რ ა დ ი ს შენიშვნები — Френкель, 129, 130.



ზილებლობა; ამ ცნებების დამუშავება კი უდაოდ მაღალი კულტურის მაჩვენებელია. აქედან ცხადი ხდება, რომ ვისაც სურს იმსჯელოს ქართულ სამართალზე, მის ბუნებასა და განვითარების დონეზე, მან უნდა გაითვალისწინოს საგნის სხვადასხვა მხარეები და მხოლოდ მათი საერთო გამოკვლევის და შეფასების საფუძველზე გამოიტანოს თავისი დასკვნა; ამის გარეშე მისი მსჯელობა აუცილებლივ ცალმხრივი იქნება და საქმის ნამდვილ ვითარებას ვერ გამოხატავს.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სისხლის სამართლის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1944. III. 5)

6. ღვევაჟაჟი

საწარმოს ეკონომიკის ანალიზის ერთი მეთოდის შესახებ

სოციალისტური საწარმოს ეკონომიკის, მისი წარმოებრივ-საფინანსო საქმიანობის ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, გავრცელებულსა და ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს სხვადასხვა ფაქტორის მნიშვნელობის თანმიმდევრობითი გამოთიშვის ანუ ელიმინირების მეთოდი, ხოლო ამ მეთოდის გამოყენების სხვადასხვა ხერხებს შორის — ყველაზე გავრცელებულია ჯაჭვური ჩასმის ხერხი. ამ ხერხის გამოყენების თავისებურებისა და მნიშვნელობის ნათელსაყოფად ავიღოთ შემდეგი მონაცემები საწარმოს მუშაობის ერთ-ერთ უბნის შესახებ (ცნობები აღებულია ნებისმიერად — მაგალითისათვის):

ცხრილი № 1

მაჩვენებლები	გვეგით	ფაქტიურად	გვეგმის შესრულების %
ა	1	2	3
1. საერთო პროდუქცია უცვლელ ფასებში (ათას მან.) . . . . .	9.600	10.340	107,7
2. მუშების საშუალო-წლიური სიობრივი რიცხვი . . . . .	1.200	1.100	91,7
3. ყველა მუშის მიერ წლის განმავლ. ნამუშევარი კაცდღე (ათასობით) . . . . .	350	312	89,1
4. 1 მუშის საშუალო-დღიური გამომუშავება უცვლელ ფასებში მანეთობით . . . . .	27.43	33.14	120,8
5. 1 მუშის მიერ წლის განმავლობაში ნამუშევარი დღეები	292	284	97,2

ამ მონაცემებში გამოსავალი მაჩვენებლებია პირველი, მეორე და მესამე. ამ გამოსავალ მონაცემთა საფუძველზე მიიღება მაჩვენებლები მეოთხე და მეხუთე როგორც აბსოლუტურ რიცხვებში, ისე გვეგმის შესრულების პროცენტებშიაც. მართლაც 1 მუშის საშუალო-დღიური შრომის ნაყოფიერების გასაგებად საკმარისია საერთო პროდუქცია გაიყოს ყველა მუშის მიერ ნამუშევარ კაცდღეებზე, რაც მოგვცემს: გვეგით  $\frac{9600}{350} = 27.43$  მან. ფაქტიურად  $\frac{10.340}{312} = 33.14$  მან., ხოლო საშ.-დღიური გამომუშავების გვეგმის შესრულების % იმავე ზემომოყვანილი ორი გვეგმის შესრულების %-ის მიხედვით იქნება  $\frac{107,7}{89,1} = 120,8\%$ . ერთ-

თი მუშის მიერ წლის განმავლობაში ნამუშევარი დღეების გამოსარკვევად საქმარისია ყველა მუშის მიერ წლის განმავლობაში ნამუშევარ კაცდღეთა რაოდენობა გაიყოს მუშების საშუალო-წლიურ რიცხვზე, რაც ჩვენს მაგალითში გვაძლევს: გეგმით  $\frac{350\ 000}{1\ 200} = 292$  დღე, ფაქტიურად:  $\frac{312\ 000}{1\ 100} = 284$  დღე, ხოლო 1 მუშის ნამუშ. დღეების გეგმის შესრულების %-ის ზისაღებად საქმარისია ერთი-მეორეს შეფუთარდოთ აქ აღებული ორი მაჩვენებლის ხაზით გეგმის შესრულების შესაბამისი პროცენტები, რის შედეგადაც მივიღებთ  $\frac{89,1}{91,7} = 97,2\%$ -ს. ე. ი. იმ %/0-ს, რაც მოყვახილია № 1 ცხრილის მე-3 სვეტში.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი № 1 ცხრილიდან პირდაპირ შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ საწარმომ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 107,7%-ით. ამავე მონაცემების თანახმად პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებაზე გავლენა მოახდინა ცვლილებამ ისეთი სამი ძირითადი ფაქტორისა, როგორც არის: 1) მუშების რაოდენობა, 2) 1 მუშის საშუალო-დღიური შრომის ნაყოფიერება (გამომუშავება) და 3) 1 მუშის მიერ წლის განმავლობაში ნამუშევარი დღეები ან მოკლედ სამუშაო დროის გამოყენება. რამდენადაც ყველა აღნიშნული ფაქტორი პირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოო პროგრამის შესრულებაზე, ამ ფაქტორების ხაზით გეგმის შესრულების %/0-ის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორმა ფაქტორმა — მუშათა რაოდენობისა და ერთი მუშის მიერ სამუშაო დროის გამოყენების შეცვლამ — გამოიწვია გეგმასთან შედარებით საწარმოო პროგრამის შემცირება, სამაგიეროდ მესამე ფაქტორმა — 1 მუშის საშუალო დღიური გამომუშავების ანუ შრომის ნაყოფიერების ზრდამ გადაფარა პირველი ორი ფაქტორის უარყოფითი შედეგი და უზრუნველყო პროდუქციის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულება 1,7%-ით.

მაგრამ ანალიზის მიზნებისათვის ეს დასკვნა საქმარისი არ არის. საჭიროა უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, სახელდობრ, თითოეული ფაქტორის გავლენის რიცხობრივი გამოსახვა ან გაზომვა. აი სწორედ ამ მიზნისათვის გამოიყენება შემოხსენებული ჯაჭვური ჩასმის ხერხი. ამ ხერხის თავისებურება ამაში მდგომარეობს: ჯერ აიღება ყველა ფაქტორის საგეგმო მნიშვნელობა, ხოლო შემდეგ სათითოოდ და თანმიმდევრობით თითოეული ფაქტორის ეს საგეგმო მნიშვნელობა იცვლება ფაქტიური მნიშვნელობით, ე. ი. ხდება საგეგმო მონაცემთა ჯაჭვში თანმიმდევრობით ფაქტიური რგოლების ჩასმა, რის შედეგად საბოლოოდ საგეგმო ჯაჭვი მთლიანად იქცევა ფაქტიური რგოლების ჯაჭვად. გარდა ამისა ჩვენ მიერ მოყვანილ კონკრეტულ მაგალითში ყველა ზემოთ დასახელებული სამი ფაქტორის მნიშვნელობის ნამრავლი გვაძლევს საერთო პროდუქციას.

ფაქტორების მნიშვნელობის გაზომვის ამ ხერხის თავისებურებათა ნათესაყოფად ქვემოთ მოგვყავს ცხრილი № 2, რომელშიაც გაანგარიშების ტექნიკის ცხადსაყოფად ჩასმულია ჩვენ მიერ ზემოთ № 1 ცხრილში ნაჩვენები 4 ძირითადი მაჩვენებელი; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმოკლისათვის საგეგმო მაჩვენებელი

ნებლები აღნიშნულია ნიშნით „გ“, ფაქტიური — ნიშნით „ფ“. გარდა ამისა ცხრილში მოყვანილია რამდენიმე სხვა მაჩვენებელიც, რომელთა მნიშვნელობა ქვემოთ იქნება გარჩეული.

## I ნაწილი

## ცხრილი № 2

№ სტ. რიცხვი	მაჩვენებლები (ფაქტორები)	I რიგი	II რიგი	III რიგი	IV რიგი	ფაქტ. გეგმას.	შესრ. შედარ.
		გეგმით	(I შუალედ. მაჩვენებ.)	(II შუალედ. მაჩვენებ.)	(III შუალედ. მაჩვენებ.)	ფაქტურად	აბსოლ. რიცხვ.
	ა	1	2	3	4	5	6
1	მუშების საშუალო—წლ. სიობრ. რიცხვი . . . . .	გ. 1200	ფ. 1100	ფ. 1.100	ფ. 1.100	-100,0	91,7
2	1 მუშის საშუალო—დღიური გამომუშავება უცვლელ ფასებში მანეთობით . . . . .	გ. 27.43	გ. 27.43	ფ. 33.14	ფ. 33.14	+5,71	120,8
3	1 მუშის ნამუშევარი დღეები წელიწადში . . . . .	გ. 292	გ. 292	გ. 292	ფ. 284	-8,0	97,2
4	საერთო პროდუქცია უცვლელ ფასებში ათას მანეთობით . . . . .	გ. 9.600	8.810	10.645	ფ. 10.340	+740,0	107,7
5	საერთო პროდუქციის მოცულობა ნიშნებით გამოსახული	B	C	D	A		
II ნაწილი							
6	საერთო პროდუქციის გეგმის შესრულება 0/00-ად, ე. ი. ყოველ სვეტში მოცემული პროდუქციის 0/00-ული შეფარდება პროდუქციის საგეგმო მოცულობასთან . . . . .	100,0	91,7	110,8	107,7		
7	საერთო პროდუქციის მოცულობა 0/00-ად წინა სვეტის მოცულობის მიმართ . . . . .	—	91,7	120,8	97,2		
8	მე-6 მაჩვენებლის მიღების ზერზი	—	100×91,7	91,7×120,8	110,8×97,2		
9	შესრულების 0/00-ის სხვაობა მე-6 მაჩვენებლის საფუძველზე	—	91,7—100=-8,3	110,8—91,7=+19,1	107,7—110,8=-3,1		

გავარჩიოთ ჯერ მოყვანილი ცხრილის I ნაწილი. ცხრილის პირველი და მეოთხე სვეტების შედგენების დაპირისპირებიდან ირკვევა, რომ საერთო გადახრა, ე. ი. ფაქტიურად გამოშვებული პროდუქციის ცვლილება გეგმასთან შედარებით შეადგენს +740 ათ. მანეთს, რაც პირდაპირ გამოყვანილია კიდევ მეხუთე სვეტში. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვარკვიოთ რომელმა ფაქტორმა რა ოდენობით გამოიწვია ეს გეგმისაგან გადახრა. დავიწყოთ პირველი და მეორე სვეტების დაპირისპირებით. აქ მოცემულია ორი სხვადასხვა მოცულობის საერთო პროდუქცია — ჯერ ყველა საგეგმო პირობებში (პირველი სვეტი), ხოლო შემდეგ მუშათა რაოდენობის ფაქტიური სიდიდის, ხოლო და-



ნარჩენი ორი ფაქტორის ისევე საგეგმო მნიშვნელობის პირობებში. პირველ და მეორე სექტებში მოყვანილი მაჩვენებლების შედარება ცხადად გვიჩვენებს, რომ პროდუქციის სხვადასხვა მოცულობა (№ 2 ცხრილის მეოთხე მაჩვენებელი) პირველად 9.600 ათ. მან., ხოლო მეორე სექტში 8.810 ათ. მან. გამოწვეულია მხოლოდ მუშათა რაოდენობის შეცვლით, რადგან ყველა დანარჩენი ფაქტორის მნიშვნელობა ერთნაირია, მაშასადამე ამით ხდება მათი გავლენის გამოთიშვა ან ელიმინირება. ამგვარი მსჯელობის თანმიმდევრობით გამოყენების საფუძველზე და იმ სიმბოლოების დახმარებით, რომლებითაც ცხრილში საერთო პროდუქციის სხვადასხვა მოცულობა არის აღნიშნული (№ 2 ცხრილის მეხუთე მაჩვენებელი), ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ ყველა ფაქტორის გავლენა საწარმოო პროგრამის შესრულებაზე. ჩვენს კონკრეტულ მაგალითში მივიღებთ ასეთ შედეგს:

საერთო გადახრა  $A - B = 10.340 - 9.600 = + 740$  ათ. მან. ცალკეული ფაქტორების გავლენა:

1. მუშათა რაოდენობის შეცვლის (შემცირების) გავლენა:  $C - B = 8.810 - 9.600 = - 790$  ათ. მან.

2. 1 მუშის საშუალო—დღიური შრომის ნაყოფიერების შეცვლის (ზრდის) გავლენა:  $D - C = 10.645 - 8.810 = + 1.835$  ათ. მან.

3. 1 მუშის მიერ სამუშაო დროის გამოყენების შეცვლის (შემცირების) გავლენა:  $A - D = 10.340 - 10.645 = - 305$  ათ. მან.

ყველა ფაქტორის გავლენის ჯამი გვაძლევს საერთო გადახრას, მართლაც  $(- 790) + (+ 1.835) + (- 305) = + 740$  ათ. მანეთს. ამრიგად, ამ გაანგარიშებათა შედეგად უნაშთოდ (თუმცა არსებითად ძალზე დიდი მიახლოებით) არის გაზომილი ცალკეული ფაქტორების გავლენა საწარმოო პროგრამის გადაჭარბებით შესრულებაზე.

ჯაკვური ჩასმის ეს ხერხი შესაძლებლობას გვაძლევს მოვხდინოთ ამგვარი გაანგარიშება მაშინაც, როდესაც ფაქტორების რიცხვი მეტია, რამდენადაც აქ გარკვეულ სისტემაშია მოყვანილი მაჩვენებელთა ურთიერთობა და ნათელია თანმიმდევრობა ცალკეული ფაქტორების გავლენისა. საქმე მხოლოდ ის არის, რომ, როგორც ჩვენი ცხრილიდანაც დაგრწმუნდით, ამ ხერხის გამოყენება მოითხოვს მთელ რიგ დამატებით გაანგარიშებებს; ჯერ ყველა ისიც ხშირად ბევრ-ნიშნისანი მაჩვენებლის ერთი-მეორეზე გამრავლებას, შემდეგ ერთი ნამრავლიდან მეორის გამოკლებას და სხვ.

ჩვენს მიზანს შეადგენს ვაჩვენოთ ცალკეული ფაქტორების გავლენის გაზომვის შედეგებით უფრო მარტივი ხერხის შესაძლებლობა და არსებობა. ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ცალკეულ საჭირო მაჩვენებელთა ხაზით გეგმის შესრულების  $\%/\circ$ -ის სხვაობა. ამ გზის გამოყენების შესაძლებლობისა და ეფექტურობის დასასაბუთებლად კი მივმართოთ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი № 2 ცხრილის II ნაწილში მოთავსებულ მაჩვენებლებს.

რამდენადაც, როგორც წინათაც აღვნიშნეთ, ყველა ჩვენ მიერ დასახელებული 3 ფაქტორი პირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოო პროგრამის შესრულებაზე, პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება  $\%/\circ$ -ად ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამ სახით:



$$\frac{91,7 \times 127,8 \times 97,2}{100 \times 100 \times 100} = 107,7\%, \text{ რაც სავესტით ნათლად ჩანს № 2 ცხრილის I ნაწილის მე-6 სვეტიდან. ხოლო ცალკეული ფაქტორების გავლენით პროდუქციის მოცულობის შეცვლა და ამ შეცვლილი მოცულობის შეფარდება პროდუქციის საგვემო მოცულობასთან წარმოგვიდგება, როგორც გვემის შესრულების } \%$$

ლემბა:  $107,7\% = \frac{91,7}{100} \times \frac{120,8}{100} \times \frac{97,2}{100}$ ; ამის შესაბამისად მივიღებთ, რომ პირველი ფაქტორის გავლენით, ე. ი. მუშების რაოდენობის შეცვლის შედეგად პროდუქციის მოცულობა უნდა შეადგენდეს გვემის  $\frac{100 \times 91,7}{100 \times 100} = 91,7\%$ -ს.

მეორე ფაქტორის, ე. ი. შრომის ნაყოფიერების შეცვლის შედეგად მიღებული მოცულობა პროდუქციის საგვემო მოცულობის მიმართ შეადგენს  $\frac{91,7 \times 120,8}{100 \times 100} = 110,8\%$ -ს, ხოლო მესამე ფაქტორის — სამუშაო დროის გამოყენების შეცვლის შედეგად მიღებული პროდუქციის მოცულობა საგვემო მოცულობის მიმართ იქნება  $\frac{110,8 \times 97,2}{100 \times 100} = 107,7\%$ .

ყველა აქ გამოყვანილი შედეგი ნათლად ჩანს და დადასტურებულია № 2 ცხრილის II ნაწილის მე-6, 7 და 8 მიჩვენებლებში. მაგრამ ჩვენი ამოცანა მხოლოდ  $\%$ -ულ შეფარდებათა და მნიშვნელობათა მიღებით არ ამოიწურება. ჩვენი ძირითადი ამოცანა სწორედ ის არის, რომ გამოვიანგარიშოთ გვემისაგან გადახრა ამა თუ იმ ფაქტორის გავლენით აბსოლუტურ რიცხვებში. ჩვენ მიერ მოყვანილი რიცხვები და შეფარდებანი გვაძლევენ ამის საშუალებასაც. ჯერ გავივით რა  $\%$ -ს შეადგენს თითოეული ფაქტორის გავლენის შედეგად ჩვენ მიერ ზემოთ (იხ. გვ. 66) მიღებული გადახრა პროდუქციის საგვემო მოცულობისაგან:

1) მუშათა რაოდენობის შეცვლის ფაქტორის გავლენა უდრის 790 ათ. მანეთს, რაც პროდუქციის საგვემო მოცულობის მიმართ შეადგენს  $\frac{790 \times 100}{9.600} = 8,3\%$ .

2) მუშების შრომის ნაყოფიერების შეცვლის შედეგად პროდუქცია გადიდა 1.835 ათ. მანეთით, რაც პროდუქციის იმავე საგვემო მოცულობის მიმართ შეადგენს  $\frac{1.835 \times 100}{9.600} = 19,1\%$ -ს.

3) მუშების მიერ სამუშაო დროის უარესად გამოყენების შედეგად პროდუქცია შემცირდა 305 ათ. მანეთით, რაც პროდუქციის იმავე საგვემო მოცულობის მიმართ შეადგენს  $\frac{305 \times 100}{9.600} = 3,1\%$ .

ამრიგად, ყველა 3 ფაქტორის გავლენის რიცხობრივი მნიშვნელობა, შეფარდებული პროდუქციის საგვემო მოცულობასთან, გვაძლევს ასეთ  $\%$ -ულ რიცხვებს: 1) 8,3%; 2) 19,1 და 3) 3,1. მათი საერთო ჯამი კი — 8,3 — 3,1 + 19,1 = +7,7.



ძნელი არ არის დავრწმუნდეთ იმაში, რომ ამავე  $\%/\%$ -ის მიხედვით შეგვიძლია სხვა გზითაც, სახელდობრ, გეგმის შესრულების  $\%/\%$ -ის სხვაობით (ან შესრულების  $\%/\%$ -ის გამოკლებით). მართლაც, ფაქტორების იმ თანმიმდევრობის დაცვის პირობებში, რაც ჩვენ გვაქვს მიღებული,  $\%/\%$ -ის სხვაობის მეთოდის გამოყენების დროს გამოდის, რომ საერთო პროდუქციის საგვემო მოცულობის მიმართ:

1) მუშათა რაოდენობის შეცვლის გავლენა უდრის  $91,7 - 100 = -8,3\%$ -ს.

2) მუშების შრომის ნაყოფიერების შეცვლის გავლენა  $= 110,8 - 91,7 = +19,1\%$ -ს.

3) მუშების სამუშაო დროის გამოყენების შეცვლის გავლენა  $= 107,7 - 110,8 = -3,1\%$ -ს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ეს  $\%/\%$  სავსებით ემთხვევა ზემოთ ხსენებულს.

მაგრამ ამ ნარკვევში გადმოცემული და დასაბუთებული მეთოდის ყველაზე არსებითი მომენტი ის არის, რომ მისი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ შრომის ცალკეული ფაქტორების გავლენა საწარმოო პროგრამის შესრულებაზე უშუალოდ გეგმის შესრულების იმ პროცენტიდან, რომელიც ყოველთვის არის მოცემული საწარმოს წლიური და პერიოდული ანგარიშის ცხრილებში, კერძოდ, ჩვენი კონკრეტული მაგალითისათვის, შრომის გეგმის შესრულების საანგარიშო ცხრილში.

მართლაც, თუ საწარმოს საანგარიშო მონაცემებიდან ვხედავთ, რომ გეგმის შესრულების  $\%$  მუშათა რაოდენობის მხრივ არის  $91,7$ , ყველა მუშის მიერ ნამუშევარი კაც-დღეების მხრივ  $89,1$ , ხოლო საერთო პროდუქციის მხრივ  $107,7$ , მაშინ ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე ადვილია იმის გაპოყვანა, რომ ერთი და იმავე ბაზის, სახელდობრ საგვემო პროდუქციის, მიმართ ცალკეული ფაქტორების გავლენა შეადგენს:

### 1. მუშათა რაოდენობის შეცვლის გავლენა

რადგან გამოსავალი ბაზა — საერთო პროდუქციის საგვემო მოცულობა  $100\%$ -ად უნდა მივიღოთ, მუშათა რაოდენობის გეგმის  $91,7\%$ -ით შესრულების გამო საგვემო პროდუქციის დააკლდება (რამდენადაც სხვა ფაქტორის გავლენა გამოირიცხულია):

ა) პროცენტებად:  $91,7 - 100 = -8,3$ .

ბ) აბსოლ. რიცხვებში:  $9600 \cdot 8,3 = -796$  ათ. მან.

### 2. ნამუშევარი კაც-დღეების შეცვლის გავლენა

რამდენადაც ნამუშევარ კაც-დღეებში უკვე ნაგულისხმევია მუშათა რაოდენობის შეცვლის გავლენა, ამიტომ ნამუშევარი დღეების წმინდა გავლენა შეადგენს:

ა) პროცენტებად:  $89,1 - 91,7 = -2,6\%$ .

ბ) აბსოლ. რიცხვებში  $9600 \cdot 2,6 = -249$  ათ. მან.

### 3. დღიური შრომის ნაყოფიერების შეცვლის გავლენა

ფაქტიური საერთო პროდუქტია გვემასთან შედარებით 107,7% შეადგენს. ეს შედეგია სამივე ფაქტორის გავლენისა — მუშათა რაოდენობის, ნამუშევარი დღეებისა და დღიური შრომის ნაყოფიერების შეცვლისა. მაგრამ პირველი ორი ფაქტორის გავლენა ზემო გაანგარიშებაში უკვე მხედველობაშია მიღებული, ამიტომ უშუალოდ დღიური შრომის ნაყოფიერების შეცვლის გავლენა წარმოგვიდგება, როგორც სხვაობა საერთო პროდუქტის გვემის შესრულების %-სა და ნამუშევარი დღეების გვემის შესრულების %-ს შორის. აქედან შრომის ნაყოფ. შეცვლის გავლენა უდრის:

ა) პროცენტებად:  $107,7 - 89,1 = +18,6$ .

ბ) აბსოლუტურ რიცხვებში:  $9600 \cdot 18,6 = +1785$  ათ. მან.

ჟველა ფაქტორის გავლენის ჯამი უდრის გვემისაგან საერთო გადახრას:

ა) პროცენტებად:  $-8,3 - 2,6 + 18,6 = +7,7\%$ .

ბ) აბსოლუტ. რიცხვებში:  $-796 - 249 + 1785 = +740$ .

ერთგვარი განსხვავება წინაგანგარიშებათა შედეგებიდან აქ გამოწვეულია ფაქტორების გადაადგილებით. ჩვენ ჯაჭვური ჩასმის ხერხით გაკეთებულ გაანგარიშებაში მოყვანილი გვაქვს მუშათა რაოდენობის გავლენა, შემდეგ შრომის ნაყოფ. გავლენა და ბოლოს ნამუშევარი დღეების გავლენა, ამ უკანასკნელ გაანგარიშებაში კი ჯერ გამორკვეულია მუშათა რაოდენობის გავლენა, შემდეგ ნამუშევარი დღეების გავლენა და, დასაბრუნებულ, შრომის ნაყოფიერების შეცვლის გავლენა. თუ პირველ გაანგარიშებას მოვახდენთ ამ უკანასკნელი გაანგარიშების თანმიმდევრობით, მაშინ მივიღებთ სავსებით ერთსა და იმავე შედეგს, რაც სპეციალური გაანგარიშებით არის დადასტურებული.

ახლა ჩვენს ამოცანას შეადგენს ვაჩვენოთ დროის რა ეკონომიას იძლევა ჩვენ მიერ წარმოდგენილი მეთოდი. ამისთვის მოვიყვანოთ ასეთი დაპირისპირება (იხ. ცხრილი შემდეგ გვერდზე).

როგორც აქ მოყვანილი დაპირისპირებიდან ვხედავთ, ჯაჭვური ჩასმის ხერხი მოითხოვს მინიმუმ 14 ცალკე მოქმედებას, პროცენტების სხვაობის ხერხი კი მხოლოდ 7-ს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თავისდათავად პირველი ხერხით მოქმედებები სრულდება ბევრად უფრო დიდ (მრავალნიშნიან) რიცხვებზე, პროცენტების სხვაობის ხერხისათვის კი გვემის შესრულების %/0 ყოველთვის წინასწარ არის მზად მოცემული საწარმოს წლიური და პერიოდული ანგარიშების ცხრილში.

ამრიგად, %/0-ის სხვაობის ხერხი, როგორც ფაქტორების გავლენის ვაზომვის საშუალება, ბევრად უფრო მარტივია და ადვილი, შედეგი კი მიიღება ისეთივე, როგორც სხვა ხერხის გამოყენების ღროს. მაშასადამე, აქ წარმოდგენილი ხერხი შეიძლება უფრო ეფექტურად ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდის ეფექტურობა მატულობს იმის კვალობაზე, რაც იზრდება რიცხვი იმ ფაქტორებისა, რომელთა გავლენაც უნდა იქნეს გაზომილი.

ჩვენ რიგზე	ფაქტორები	განმარტ. რაოდენობა	ცალკეული ფაქტორების გავლენის გაზომვის საფეხურები	
			ჯამური ჩასმის ხერხით	გვეგვის შესრულების $\%/\circ$ -ის სხვაობის ხერხით
1	მუშათა რაოდენობის შეცვლის გავლენა . . . . .	1	ანალიზური ცხრილის დახაზვა და შევსება . . . .	1. მუშ. რაოდ. გვეგვის შესრულების $\%/\circ$ -ის გამოყვანა. 2. მიღებული $\%/\circ$ -დან 100-ის გამოკლება. 3. საბაზისო მონაცემის (საერთო პროდუქციის გამრაველება $\%/\circ$ -ის სხვაობაზე).
		2	1 მუშის საგვეგმო ნაშუშეგვარი დღეების გამოყვანა	
		3	1 მუშის საგვეგმო დღიური შრომის ნაყოფიერების გამოყვანა . . . . .	
		4—5	სამი საგვეგმო მაჩვენებლის ერთიმეორეზე გადამრავლება.	
		6	ორი საგვეგმო მაჩვენებლის ნამრავლის გამრაველება ფაქტიური მაჩვენებლებზე.	
		7	მიღებული ნამრავლიდან საბაზისო მაჩვენებლის გამოკლება.	
		7		
2	მუშების ნამუშეგვარი კაცდღეების შეცვლის გავლენა . . . . .	1	1 მუშის ფაქტიური ნამუშეგვარი დღეების გამოყვანა . . . . .	1. ნამუშეგვარი დღეებისა და მუშათა რაოდენობის გვეგვის შესრულების $\%/\circ$ -ის სხვაობის გამოყვანა. 2. საბაზისო მონაცემის გამრაველება ამ $\%/\circ$ -ის სხვაობაზე.
		2—3	2 ფაქტიური და 1 საგვეგმო მაჩვენებლის ერთიმეორეზე გადამრავლება.	
		4	მიღებული ნამრავლიდან წინა სვეტის მაჩვენებლის გამოკლება . . . . .	
		4		
3	მუშების დღიური შრომის ნაყოფ ერების შეცვლის გავლენა . . . . .	1	1 მუშის ფაქტიური დღიური შრომის ნაყოფიერების გამოყვანა . . . . .	1. საერთო პროდუქციის გვეგვის შესრულების $\%/\circ$ -ისა და წინა $\%/\circ$ -ის სხვაობის გამოყვანა. 2. საბაზისო მონაცემის გამრაველება ამ $\%/\circ$ -ის სხვაობაზე.
		2	ორი ფაქტ მაჩვენებლის ნამრავლის მესამეზე გადამრავლება . . . . .	
		3	მიღებული ნამრავლიდან წინა მაჩვენებლის გამოკლება.	
		3		2
		14		7

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საბუღალტრო აღრიცხვის კათედრა

Н. Дгебуაдзе

## Об одном методе анализа экономики предприятия

(Резюме)

При измерении влияния отдельных факторов на то или иное явление в производственно-финансовой деятельности предприятия чаще всего, как наиболее эффективный, применяется метод элиминирования, а из его способов — способ цепной подстановки, заключающийся в последовательной замене плановых значений фактическими (отчетными) и, следовательно, исключении влияния всех остальных факторов, кроме одного, влияние которого и подлежит численному выражению. Этот способ при наличии 3-х и более факторов требует построения специальной аналитической таблицы и выполнения ряда действий над несколькими многозначными числами. Автор статьи предлагает другой способ, который можно назвать способом разниц в  $\%/\%$ -ах выполнения плана, суть которого можно уяснить на следующем конкретном примере: предположим производственная программа по выпуску продукции в неизм. ценах 1926/27 г. в тыс. руб. составляет: по плану 9.600, по отчету 10.340;  $\%$  выполнения плана 107,7, перевыполнение программы в абсолютных числах 740 т. р.  $\%$  выполнения плана по основным факторам, повлиявшим на выполнение производственной программы:

1) по количеству рабочих 91,7; 2) по среднедневной выработке 1 рабочего в рублях в неизм. ценах 120,8 и 3) по количеству дней, отработанных 1 рабочим в году 97,2.

На основе этих данных выполнение производственной программы может быть представлено так: 
$$\frac{100 \times 91,7 \times 120,8 \times 97,2}{100 \times 100 \times 100 \times 100} = 107,7\%.$$

В результате последовательного совершения этих действий получим следующий ряд  $\%/\%$ -ов: 1)  $\frac{100 \times 91,7}{100 \times 100} = 91,7$ ; 2)  $\frac{91,7 \times 120,8}{100 \times 100} = 110,8$ ;

3)  $\frac{110,8 \times 97,2}{100 \times 100} = 107,7$ . Эти проценты выражают собою уровень объема продукции по отношению к плану, взятому за  $100\%$ ; изменения планового объема продукции под влиянием первого фактора составляет  $100 - 91,7 = 8,3\%$ , второго  $110,8 - 91,7 = 19,1\%$  и третьего  $110,8 - 107,7 = 3,1\%$ . Применяя последовательно эти  $\%/\%$  к плановому объему продукции, получим численное выражение влияния каждого фактора в отдельности: 1) влияние сокращения против плана количества

рабочих  $\frac{9.600 \times 8,3}{100} = -796$  тыс. руб., 2) влияние роста производительности труда  $\frac{9.600 \times 19,1}{100} = +1.835$  т. р. и 3) влияние ухудшения против плана использования рабочего времени  $\frac{9.600 \times 3,1}{100} = -299$  т. р.

Сумма влияния всех факторов равняется общему отклонению от плана. в самом деле:  $-796 + 1.835 - 299 = +740$  т. р.

Преимуществом предлагаемого способа расчета перед способом цепной подстановки является то, что при применении способа  $\%/\%$ -ных разниц совершенно излишне строить довольно сложную аналитическую таблицу, требуется меньшее количество действий (операций), при чем эти действия совершаются здесь над более простыми  $\%/\%$ -ными числами, и, наконец, достаточно выведение лишь одного промежуточного показателя, в то время как при способе цепной подстановки при наличии 3-х факторов требуется выведение 2-х промежуточных показателей.

Но самым существенным моментом предлагаемого автором настоящей статьи способа является то, что с его помощью влияние отдельных факторов труда на выполнение производственной программы можно прямо и непосредственно рассчитать на основании  $\%/\%$  выполнения плана, приведенных в таблицах годового отчета.

В самом деле, если из этих данных видно, что  $\%$  выполнения плана по колич. рабочих составляет 91,7, по количеству отработанных всеми рабочими человеко-дней 89,1, и по валовой продукции 107,7, то на основе приведенных выше рассуждений, сводя расчеты к одной и той же базе, именно к плановому объему продукции, легко вывести, что влияние отдельных факторов составит:

1) влияние изменения колич. рабочих: а) в процентах:  $91,7 - 100 = -8,3$ ; б) в абсолютных числах:  $9600 \times 8,3 = -796$  т. р. (т. к. влияние всех остальных факторов элиминируется).

2) влияние отработанных человеко-дней: а) в процентах:  $89,1 - 91,7 = -2,6$  (поскольку влияние изм. колич. рабочих надо исключить); б) в абсол. числах:  $9600 \times 2,6 = -249$  т. р.

3) влияние изменения дневной производительности труда рабочих: а) в процентах:  $107,7 - 89,1 = 18,6$  (поскольку влияние двух предыдущих факторов нужно исключить); б) в абс. числах:  $9600 \times 18,6 = 1785$  т. р.

Сумма влияния отдельных факторов равняется общему отклонению от плана как в  $\%/\%$ -ах, так и в абсолютн. числах, в самом деле: а)  $-8,3 - 2,6 + 18,6 = +7,7 \%$  и б)  $-796 - 249 + 1785 = +740$  м/г.

Некоторые отступления от полученных выше значений влияния отдельных факторов вызвано перемещением факторов, что доказано

специальными расчетами. Экономия во времени расчета и эффективность предлагаемого метода возрастает по мере роста количества факторов, влияние которых подлежит измерению.

Основное возражение против предлагаемого способа может заключаться именно в том, что численные значения влияния отдельных факторов здесь зависят от места каждого из них в последовательном ряду отдельных факторов, однако это обстоятельство характерно и для способа цепных подстановок, также как и для всего метода индексов, что делает необходимым подбор решающих и ведущих факторов.

---



6. ძოიავა

საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში\*

1. XVIII საუკუნეში საქართველოს ჰქონდა ვერცხლის მონომეტალიზმის სისტემა. საერთო ეკვივალენტი და გადახდის კანონიერი საშუალება ვერცხლის ფული იყო; ყველას უფლება ჰქონდა მოეთხოვა გადახდა ვერცხლის ფულით და ყველა ვალდებული იყო გადაეხადა ვერცხლის ფულით. XVIII საუკუნის იმ საკანონმდებლო აქტებში, რომელთაც მოაღწიეს ჩვენამდე, ჩვენ ვერ ვპოულობთ ამ დებულების პირდაპირ ფორმულირებას, მაგრამ ამ აქტებში ჩვენ ვპოულობთ არაპირდაპირ და ჩვენის აზრით უდავო შითითებას იმაზე, რომ საქართველოს ფულად სისტემას შეადგენდა ვერცხლის მონომე ჯალიზმი.

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 15. და 16. მუხლები წარმოადგენენ ქვეყნის თავისებურ სამონეტო წესდებას. ამ მუხლებს ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვაკუთვნებთ და მთლიანად მოგვყავს მათი შინაარსი:

კარი თეთრის გარიგებისა

«15. ეს თეთრის გარიგება ამისთვის დავსწერეთ, რომელ, თუ კაცმან ეს არ იცის ან შაური, ან უზალთუნი, ან აბაზი, ან ასლანი, ან მისხალი, ან ფლური, ან ხუთი აბაზი, ან თუმანი რა ერთი არის. სისხლის მიცემაში ვერას გაიგებს, რომ იმდენი სისხლად გაუჩინონ. პირველს ჟაჟურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ, ის თურმე საქმობდა სისხლშიაც და ის გიორგაული, რა ერთისაც წონა ყოფილა იმ ძველს წიგნებში სწერია და იმით იცნობთ, კიდევ ერთი რიგი სხვა თეთრიც ყოფილა კირმენაულს ეძახდნენ».

«16. ახლა ჩვენი ჟამის თეთრი ეს არის და ასრე ინგვარიშების, ოთხი ხაშხაშის მარცხალი ერთი ფეტვის მარცხლის წონა არის, ოთხი ფეტვის მარცხალი ერთი ქერის მარცხლის წონა არის, ოთხი ქერის მარცხალი ერთი ცერცვის მარცხლის წონა არის, ოთხი ცერცვის მარცხალი ერთი დანგი არის, ერთს ცერცვის მარცხალს ყირათიც ჰქვიან, ექვსი დანგი გინა ოცდა ოთხი ყირათი ერთი მისხალი იქნება. ერთი მისხალი ორშაურ ნახევარს წონა არის,

\* ამ შრომის ძირითადი დებულებები წარდგენილი იყო მოხსენების სახით სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე 1943 წლის აპრილში.



კიზილბაშნი უზალთუნს ეძახიან, ურუმნი და ფრანგნი გინგირს. ოთხს შაურს აბაზი ჰქვიან, ფრანგნი თულთს ეძახიან. ხუთი აბაზი ერთი მინალთუნი არის, ათი მინალთუნი ერთი თუმანი არის. და ეს ერთი თუმანი თექვსმეტი მარჩილი და ორი აბაზი იქნების. ოც-და-ათ თუმანს ურუმნი ერთს ქინას ეძახიან. ფრანგულის თეთრის სახელები სხვა არის; მაგრამ აქ ამ თეთრზედ, როგორც ეფასების ისე იქნების. სამშაურს ფრანგნი რუბს ეძახიან. ორი შაურის წონა ოქროს, რომ მისი დალი აჯდეს ერთი ფლური არის, ამ ფლურის ფასი დრო არის შვიდაბაზად ფასობდეს, დრო არის შვიდაბაზ უზალთუნად, ხან ერთშაურ ნაკლებადცა იქნების» (სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა: დ. ჩუბინოვი, ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან, СПб, 1846).

„კარი თეთრის გარიგებისა“ შეადგენს სათაურს საერთოს ორივე მუხლისათვის. ისტორიულსა და ნუმისმატიკურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ სიტყვა „თეთრი“ იხმარებოდა არამხოლოდ ვერის აღსანიშნავად, არამედ ვერცხლის ფულის და შემდეგ კი საერთოდ ფულის აღსანიშნავადც (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III, ნაკვეთი მესამე: ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფილისი, 1925, გვ. 11—14 და აგრეთვე სხვა წიგნებიც, რომლებიც აღნიშნულია ამ ნარკვევის ბოლოში). აღსანიშნავია, რომ საქართველო ამ მხრივ გამოჩაქლის არ შეადგენდა, ასე მაგ. რუსეთში ვერცხლის ფულს ერქვა „беляки“ (белый = თეთრი) და ოქროს ფულს „червонцы“ (червонный = წითელი).

15. და 16. მუხლები ამბობენ მხოლოდ ვერცხლის ფულის ღირსების შესახებ და, ამრიგად, ამ მუხლებში მოცემულია წესდება ვერცხლის ფულის შესახებ. კანონმდებელი იძლევა გარიგებას ვერცხლის და არა სხვა რომელიმე ფულის შესახებ და ეს შემთხვევითი არ არის, რადგანაც იგი ამ განრიგებით საერთო ეკვივალენტად და გადახდის კანონიერ საშუალებად აცხადებს ვერცხლის ფულს, კიდევ მეტი, 16. მუხლში იგი ამბობს სხვადასხვა ვერცხლის და არა სხვაგვარი მონეტების შესახებ და ესეც შემთხვევითი არ არის; ეს გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ საერთო ეკვივალენტად და გადახდის კანონიერ საშუალებად ცხადდება ვერცხლის ფული. ის, რომ კანონმდებელი აწესებს ვერცხლის მონომეტალიზმის სისტემას, ჩანს სამართლის წიგნის შემდეგი მუხლებიდანაც:

«18. გლეხის კაცის სისხლში ძროხა იყო გაჩენილი, რომე ერთის გლეხის სიჭაღილისათვის სამოცი ძროხა იყო გაჩენილი, მაგრამ ჩვენ თეთრად დაგვიწერია, ქართლში მაგდენი თეთრი არ არის და ისრევ გლეხის კაცისა და მსახურისა სისხლში ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარაღი და სახლის სახმარი: რკინა, რვალი ყველა დაიჭირვის».

«19. აზნაურიშვილისათვის მესამედი თეთრი არის, თუ ოქრო, ვეცხლი დაიჭირვის და იმ ორს წილში ფარჩა, იარაღი, ცხენი, სპილენძი, ძროხა, ცხვარი და ტყვეც დაიჭირვის».

«20. შეათანას და მის ქვემოთმან თავადმან სისხლის ნახევარში თეთრად ოქროდ, ვეცხლად და ფარხად დაუჭირონ და ნახევარში ცხენი, იარაღი და სპილენძი დაუჭირონ».

«21. ამის უმაღლესმან თავადმან და იმ ერთს დიდებულს თავს კაცს ვარდაის მისის სახლის შვილმა ამათ უნდა დაუჭირონ, თეთრი, ოქრო, ვეცხლი, ყმა, მამული, ტყვე, იარაღი და რვალი».

«22. სულ დიდებული თავადი რომ დაგვიწერია, იმისთვის ოქრო, ვეცხლი, თვალი, მარგალიტი მისის ფასით დაეჭირვინების, იქნების თავისი ხდომით და რჩევით იარაღი, პირუტყვი და რვალი დაეჭირვოს» (იქვე).

როგორც ჩანს, სისხლის ანაზღაურება მის ფულად ნაწილში დაწესებული იყო „თეთრში“, ე. ი. ვერცხლის ფულში, როგორც გადახდის კანონიერ საშუალებაში. ჩვენს დებულებას სრულებით ან ეწინაღმდეგება ის გარემოება, რომ ამ მუხლებში საუბარია ოქროზედაც; მათში საუბარია არა მხოლოდ ოქროზე, არამედ ვერცხლზედაც და მასთან თეთრის, ე. ი. ვერცხლის ფულის გვერდით; ცხადია, რომ საუბარია ოქროსა და ვერცხლზე არა სამონეტო ფორმაში, არამედ ზოდების და ნივთების ფორმაში. ასეთი დებულების სისწორეს ადასტურებს 22. მუხლი, რომელშიც ნათქვამია: «სულ დიდებული თავადი რომ დაგვიწერია, იმისთვის ოქრო, ვეცხლი, თვალი, მარგალიტი მისის ფასით დაეჭირვინების...». ცხადია, რომ შეფასება უნდა მოხდეს ფულში და ფულსკი, როგორც გადახდის კანონიერ საშუალებას, ვერცხლის სხეული აქვს.

ამ მუხლებში თეთრის, ე. ი. ვერცხლის ფულის, ოქროს და ვერცხლის გვერდით საუბარია სპილენძზე და სპილენძის ნივთებზედაც, მაგრამ სპილენძი ისევე ნივთების და არა მონეტების სახით გამოდის. XVIII საუკუნის საქართველოში სპილენძის ფული იჭრებოდა, მაგრამ სამართლის წიგნში, რომელიც შეიცავს ფულის მიმოქცევის მომწესრიგებელ მუხლებსაც, მასზე არაფერია ნათქვამი; აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სპილენძის ფული არ იყო გადახდის კანონიერი საშუალება და იჭრებოდა როგორც ხურდა ფული.

ჩვენი დებულების ფრიად მნიშვნელოვან დასტურს ვპოულობთ „დასტურლამალში“, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საფინანსო ჩუქურნეობის მომწესრიგებელ დებულებათა კრებულს. ამ კრებულის და მუხლში, რომელიც მიძღვნილია მონეტის მოჭრისადმი, საუბარია მხოლოდ ვერცხლზე და მასთან ვერცხლზე, როგორც ფულად მასალაზე (დასტურლამალი მეფის ვახტანგის მეექვსისა, რედაქტორობით პეტრე უმიკაშვილისა, ტფილისი, 1886, გვ. 33—34).

ჩვენი დებულების დასტურს ვპოულობთ XVIII საუკუნის ნუმისმატიკურ ძეგლებშიც; ყველა ქართული მონეტები, რომლებზედაც საუბარია სამართლის წიგნის ზემოთ იოყვანილ მუხლებში, ვერცხლისაა.

ვერცხლის მონომეტალიზმი საქართველოში არსებობდა XVIII საუკუნემდეც. სამართლის წიგნი და დასტურლამალი მხოლოდ ფიქსაციას უკეთებენ იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა XVIII საუკუნისათვის. ჯერჯერობით ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას ზუსტად განვსაზღვროთ ის საუკუნეები, რომლებშიც არსებობს ვერცხლის მონომეტალიზმი, მაგრამ უკვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მეფე გიორგის (XIV საუკ.) კანონები და ბექას (XIV საუკ.) კანონები, შეესებული მისი



შვილიშვილის აღბუღას მიერ (XV საუკ.), ემყარებიან „თეთრს“, ეპიტაფიკოსის ფულს, როგორც საერთო ეკვივალენტს და გადახდის კანონიერ საშუალებას. სამართლის წიგნი 15. მუხლში ნათლად აღნიშნავს იმას, რომ ვერცხლის მონომეტალიზმი საქართველოში არსებობდა XVIII საუკუნემდეც. მასში, როგორც დაინახეთ, სწერია: «პირველს ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ, ის თურმე საქმობდა სისხლშიდაც... კი ავც ერთი რივი სხვა თეთრიც ყოფილა კირმენაულს ეძახდნენ». იმ ხანებში ტერმინი „თეთრი“ იხმარებოდა მხოლოდ ვერცხლის ფულის აღსანიშნავად; და, ბოლოს, იგივე ნუმისმატიკური ძეგლები ამტკიცებენ, რომ გიორგაული და კირმენაული ვერცხლის მონეტები ყოფილა.

XVIII საუკუნეში ვეროპაში გაბატონებული იყო ბიმეტალიზმი — ორმაგი ან პარალელური მიმოქცევა; საერთოდ ბიმეტალიზმი იყო ფეოდალურ-ბატონყმური საზოგადოების დამახასიათებელი ფულადი სისტემა. განსაკუთრებული გზით მიდიოდა რუსეთი; XIX საუკუნემდე მას ჰქონდა, ფორმალურად მაინც, სპილენძის მონომეტალიზმი, მაგრამ ვერცხლის და ოქროს ფულის მოჭრით.

2. ფულადი სისტემის საკითხის გვერდით იჭრება საკითხი საქონეტო სისტემის შესახებ, რამდენადაც ერთი და იგივე ფულადი სისტემა შეიძლება შეთავსებულ იქნეს სხვადასხვა სამონეტო სისტემასთან, ე. ი. მონეტების მოჭრის სხვადასხვა წესებთან. მარქსი წერს: „ოქროს ნაჭერი, რომლის დამლა და ნაკეთი უჩვენებს, რომ იგი ფულის საანგარიშო სახელწოდებაში წარმოდგენილი ოქროს წონის ნაწილებს იცავს, წარმოდგენს მონეტას“<sup>1</sup>.

მარქსი გაშარტივებისათვის ამბობს ოქროზე, მაგრამ მხედველობაში აქვს ყოველგვარი ლითონი, რომლისაგანაც იჭრება მონეტები. ცხადია, რომ ლითონის ნაჭერი, რომლის დამლა და ნაკეთი არ გვიჩვენებს უშუალოდ ფულის საანგარიშო სახელწოდებაში წარმოდგენილი ლითონის წონის ნაწილებს, მაინც მონეტაა, თუ მას მონეტის სხვა ნიშნები აქვს, თუ მისი წონა დაწესებულია სახელმწიფოს მიერ, თუ მისი მიღება წარმოებს თვლით.

მონეტას განსაზღვრული წონა აქვს და ამიტომ სახელმწიფომ მონეტის მოჭრის დროს უნდა აირჩიოს წონის საზომი — ან ჩვეულებრივი სავაჭრო, ან სპეციალური, დაწესებული ძვირფასი ლითონებისათვის. როგორც ირკვევა, XVIII საუკუნის საქართველოში არ არსებობდა წონის სპეციალური საზომი ძვირფასი ლითონებისათვის. ძვირფასი ლითონის აწონის დროს სარგებლობდნენ წონის ჩვეულებრივი საზომით მის უდაბლეს ქვედაყოფებში. ვახტანგ VI სამართლის წიგნი აწესებს წონის საზომს. ჯერ კიდევ უძველეს ხანაში წონის საზომის საფუძველს შეადგენდა ესა თუ ის მარცვალი, რომელიც მტკიცე და უცვლელ ს. ფუძვლად ითვლებოდა. სამართლის წიგნიც ემყარება მარცვალს. წონის საზომის სკალა ამ წიგნში შემდგენილია:

- 1 ლიტრი — 4 ჩარეჭი
- 1 ჩარეჭი — 5 სტილი
- 1 სტილი — 28 მისხალი

<sup>1</sup> პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თარგმნილი გერმანულიდან ფ. ვოგელინის მიერ, ტფილისი, 1932 წ., გვ. 140.

- 1 მისხალი — 6 დანგი
- 1 დანგი — 4 ყირათი ან 4 ცერცვის მარცვალი
- 1 ცერცვის მარცვალი — 4 ქერის მარცვალი
- 1 ქერის მარცვალი — 4 ფეტვის მარცვალი
- 1 ფეტვის მარცვალი — 4 ხაზახის მარცვალი.

იმ მუხლებში, რომლებიც თეთრს ეხება (15. და 16.), საუბარია ქვედანაყოფზე მისხლამდე. უმაღლეს ქვედანაყოფზე საუბარია სპეციალურ მუხლში (124.), და აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „სტილის“ წონითი შინაარსის დასადგენად კანონმდებელი ემყარება თეთრის, ე. ი. ვერცხლის ფულის წონას და აცხადებს, რომ 3,5 მინალთუნის წონა უდრის ერთ სტილსო. ამრიგად, კანონმდებელი წონის საზომის საფუძვლად მისხლამდე იღებს მარცვალს, ხოლო დაწყებული სტილიდან საფუძვლად იღებს ფულის წონას. ი. კაუფმანმა დაადგინა, რომ რუსეთში XVII და XVIII საუკუნეებში წონითი ერთეულების განსაზღვრა ხდებოდა ფულადი ერთეულების საშუალებით. ამასთან დაკავშირებით ი. კაუფმანი წერს:

„Выражение веса в денежных единицах не составляет древне-русской особенности, а встречается у всех народов в ранние периоды их истории... Но в XVI и XVII ст. едва ли где либо кроме древней России, выражение веса в денежных единицах в Европе еще было в употреблении“<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, საქართველოში, ევროპის კარებთან, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ადგილი ჰქონდა წონის გამოსახვას ფულის ერთეულის საშუალებით. ცხადია, რომ XVIII საუკუნის საქართველოში ძვირფასი ლითონებისათვის წონის სპეციალური საზომი არ არსებობდა და ძვირფასი ლითონების ასაწონავად ხმარობდნენ წონის ჩვეულებრივ საზომს მისი უდაბლესი ქვედანაყოფებით.

ჩვენი მიზნისათვის საჭიროა წონის საზომი, მოცემული სამართლის წიგნში, გადავიყვანოთ წონის მეტრულ საზომში, დაწყებული ლიტრით და დამთავრებული მისხლით. ამასთან ჩვენ ვემყარებით იმ დებულებას, რომ ვახტანგის დროის მისხალი უდრის 4,436 გრამს (ივ. ჯავახიშვილი, ხსენებული შრომა, გვ. 99). ამასთან შეფარდებით ჩვენ ვღებულობთ შემდეგ სკალას:

- 1 მისხალი — 4,436 გრ.
- 1 სტილი — 124,208 გრ.
- 1 ჩარეჭი — 621,040 გრ.
- 1 ლიტრი — 2484,160 გრ.

ერთი მისხალი სამართლის წიგნის მიხედვით შეიცავს 24 ცერცვის მარცვალს. ქართველმა ნუმისმატმა დ. კაპანაძემ ჩვენი თხოვნით დაადგინა, რომ 24 ძლიერ მშრალი ცერცვის მარცვალი იწონის 4,02 გრ. როგორც ჩანს, მათი წონა თითქმის მთლიანად ემთხვევა მისხლის ზემოთმოყვანილ წონითს შინაარსს — 4,436 გრ.

<sup>1</sup> И. Кауфман, Русский вес, его развитие и происхождение в связи с историей русских денежных систем с древнейших времен, СПб, 1906, гл. 8.



3. ესლა საქიროა შეეჩერდეთ სამონეტო ოზმის საკითხზე. სამონეტო ოზმა არის ძვირფასი ლითონის წონის ერთეულის და ფულის ერთეულში წმინდა ლითონის წონითი რაოდენობის შეფარდება. სამონეტო ოზმა გვიჩვენებს, თუ ფულის რამდენი ერთეული იჭრება ძვირფასი ლითონის წონითი ერთეულისაგან. არსებობს სამონეტო ოზმის დადგენის სხვადასხვა წესები: 1) სახელმწიფო ადგენს ფულის ერთეულში მყოფი ძვირფასი ლითონის წონას და სინჯს. ასე, მაგ., რუსეთის იმპერიის უკანასკნელი სამონეტო წესდება აცხადებდა: 1 მანეთი შეიცავს წმინდა ოქროს 17,424 დოლს სინჯი — 900/1000; 2) განისაზღვრება ფულის ერთეულების ის რაოდენობა, რომელიც იჭრება ძვირფასი ლითონის წონითი ერთეულისაგან; მაგ., გერმანიაში წმინდა ოქროს ერთი კილოგრამიდან იჭრებოდა 900/1000 სინჯის 2790 მარკა (139 $\frac{1}{2}$  ოცმარკიანი, 279 ათმარკიანი); 3) განისაზღვრება ფულადი ერთეულების ის რაოდენობა, რომელიც იჭრება ძვირფასი ლითონის წონითი ერთეულისაგან და მასთან ამ ლითონის სინჯი ცნობილია; მაგ., საფრანგეთში 900/1000 სინჯის ერთი კილოგრამი ოქროდან იჭრებოდა 3100 ფრანკი.

სამართლის წიგნის 16. მუხლში ნათქვამია, რომ მისხლის წონა უდრის 2,5 შაურის წონას. ამავე მუხლში ნათქვამია, რომ ორი შაური უდრის უხალთუნს, ოთხი შაური — აბაზს, სამი აბაზი — მარჩილს, ხუთი აბაზი — მინალთუნს, ათი მინალთუნი — თუმანს. მისხლის წონითი შინაარსი ზუსტად იყო განსაზღვრული კანონმდებლის მიერ ამ მუხლის დასაწყისში და ამიტომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კანონმდებელს იმის განცხადებით, რომ მისხლის წონა უდრის 2,5 შაურის წონას, უნდა გვიჩვენოს მისხლის წონითი შინაარსი, იგი ხომ უკვე ცნობილია. ეს მუხლი ხომ ლაპარაკობს თეთრის, ე. ი. ვერცხლის ფულის, ღირსების შესახებ და, მაშასადამე, საჭიროა ნაჩვენები იქნეს, თუ რამდენს იწონის ვერცხლის მონეტები. კანონმდებელი 15. მუხლის დასაწყისში თვითონ აცხადებს, რომ, თუ არ არის ცნობილი თეთრის ღირსება, მოსამართლეს არ ეკოდინება რამდენი უნდა მიუსაჯოს ადამიანის სისხლში; კანონმდებელს საჭიროდ მიაჩნია ისიც აღნიშნოს, რომ მის დროს თეთრს სხვა შინაარსი აქვს, ვიდრე წინათ. მისხლის წონის აღნიშვნას მისი შეფარდებით 2,5 შაურთან მიზნად აქვს ფულის ღირსების დადგენა. ცხადია, რომ 16. მუხლის ამ სიტყვებში ჩვენ ვპოულობთ ოზმის დადგენას. ამ სიტყვებზე დამყარებით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძვირფასი ლითონის წონით ერთეულად აქ აღებულია მისხალი და რომ ერთი მისხლიდან იჭრება 2,5 შაური. შემდეგში ჩვენ დავრწმუნდებით, რომ XVIII ს. საქართველოში ვერცხლის მონეტები იჭრებოდა ნარევი ვერცხლისაგან; მაშასადამე, ეს სიტყვები გვარწმუნებს, რომ ნარევი ვერცხლის ერთი მისხლიდან იჭრებოდა 2,5 შაური. ლაპარაკია უქველად ნარევი ვერცხლზე; ეს ჩანს იქიდან, რომ კანონმდებელს უნდა აღნიშნოს ის, რომ მიმოქცევაში მყოფი, ე. ი. ნარევი ვერცხლისაგან მოჭრილი 2,5 შაური უდრის ერთ მისხალს; არ შეიძლება მას მხედველობაში ჰქონდეს წმინდა ვერცხლის შაურები, რადგანაც მოსამართლეს საქმე აქვს რეალურ მიმოქცევაში მყოფ ნარევი ვერცხლის შაურებთან. ამრიგად, ერთი მისხალი ნარევი ვერცხლიდან იჭრება 2,5 შაური. როგორც ჩანს, XVIII ს. საქართველოში არსებობს

სამონეტო ოზმა, დადგენილი საქანონმდებლო წესით; ამასთან სამონეტო ოზმა დაწესებულია იმ მესამე ხერხის მიხედვით, რომელიც მოყვანილია ზევით, ე. ი. დადგენილია, თუ რამდენი ფულის ერთეული იჭრება განსაზღვრული სინჯის ვერცხლის წონითი ერთეულისაგან. მაგრამ აქ ჩვენ უკვე ვუახლოვდებით XVIII ს. საქართველოს ფულის ტრიალის „სფინქსს“ — ფულის ერთეულის საკითხს.

4. რა არის საქართველოს ფულის ერთეული იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ. ორნახევარი შაური, რომელზედაც ამბობს კანონმდებელი, არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს ფულის ერთეულს, ისე როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში 193,5 ოცმარკიანი არ შეადგენს ფულის ერთეულს. თვით სახელწოდება „ერთეული“ იმას გულისხმობს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მთელ რიცხვთან, ნაწილადი გამოსახვა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ფულის ერთეულის ნაწილებს. ხომ არ არის შაური ფულის ერთეული? ასეთი პასუხი მისაღები იქნებოდა, რომ არ არსებობდეს ერთი გარემოება, რომელიც სასგებით გამორიცხავს შაურის, როგორც ფულადი ერთეულის აღიარებას.

XVIII ს. საქართველოს ფულადი ერთეულის დადგენა ძლიერ გაადვილებული იქნებოდა, კანონმდებელს რომ სამონეტო ოზმის დადგენის დროს აღენიშნა, თუ რა არის ფულადი ერთეული, ან რომ მონეტაზე აღბეჭდილი ყოფილიყო მისი ღირსება, ესე იგი რამდენ ფულად ერთეულს შეიცავს თითოეული მათგანი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მონეტები მოჭრილი საქართველოში, ისე როგორც მონეტები მოჭრილი ირანში, არ ატარებენ მათი ღირსების მაჩვენებელ ნიშნებს. მაგრამ სახელმწიფომ და მასთან ერთად მთელმა მოსახლეობამ მშვენიერად იცის ყოველი მონეტის ღირსება და სახელწოდება. არსებობდა საერთოდ შიღებული ნიშნები მონეტის ღირსების აღსანიშნავად და არა მხოლოდ მონეტის, არამედ ფულადი თანხის ყოველგვარი ჯამისა. ამ ნიშნებით სარგებლობდა, როგორც სახელმწიფო ისე მოსახლეობაც, ყოველგვარი ისეთი ანგარიშსწორების დროს, რომელიც მოითხოვდა ფულად გამოსახვას.

ყველაზე უფრო მცირე ღირსების სპილენძის მონეტას ერქვა „ერთი ფული“ და ნიშნად ქონდა „შ“. სპილენძის მონეტას, რომელიც ორჯერ მეტს იწონიდა, ერქვა „ორი ფული“ და მის ნიშნად იხმარებოდა „ი“; სპილენძის მონეტას, რომელიც პირველ მონეტაზე ოთხჯერ მეტს იწონიდა, ერქვა „ბისტი“ და მის ნიშნად იხმარებოდა „ბ“. ვერცხლის შაურის ნიშანი იყო „ნ“, უხალთუნისა — „რ“, აბაზისა — „ს“, მარჩილისა — „შ“, მინალთუნისა — „ჩ“. ყველა ვერცხლია მონეტას ერქვა „თეთრი“, ხოლო სპილენძისას — „ფული“. ჩვენ ვთქვით, რომ ნიშნები იხმარებოდა არა მხოლოდ მონეტებისათვის, არამედ ფულადი თანხის ყოველგვარი ჯამისათვის და ამისათვის იხმარებოდა ქართული ანბანის სხვა ასოები: მაგ., „ნიმ“ ნიშნავდა ერთ შაურს და სამ ფულს; „რნ“ — სამ შაურს; „ბ“ — ექვს შაურს; „უნ“ — ცხრა შაურს; „შ“ — ოთხ აბაზს; „ჩტნი“ — ერთ მინალთუნს, შვიდ შაურს და ორ ფულს და ა. შ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ილუსტრაციისათვის იხ. ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი I, ხელფასი, ქირა, ფასები; თბილისი, 1938 წ.



მონეტების დანიშვნის ეს წესი იმდენად გავრცელებული იყო საქართველოში, რომ, როდესაც რუსეთის მთავრობა შეუდგა 1804 წ. მონეტების მოჭრას საქართველოსათვის, სერიოზული ანგარიში გაუწია მას და მონეტებზე დასვა ეს ნიშნები, რომლებიც სინამდვილეში ფართოდ იხმარებოდა, მაგრამ მონეტებზე კი არ იყო მოთავსებული. რუსეთის მთავრობამ მოჭრა შემდეგი ლირების მონეტები: „ე ქართული ფული“, „ი ქართული ფული“, „კ ქართული ფული“, „რ ქართული თეთრი“, „ს ქართული თეთრი“, „უ ქართული თეთრი“<sup>1</sup> (აქ ასოები აღნიშნავენ რიცხვებს: ა=1, ი=10, კ=20 და ა. შ.).

რას გვიჩვენებს მონეტების და ფულადი თანხების ეს ნიშნები? ჩვენის აზრით ეს ნიშნები გვიჩვენებს ფულადი ერთეულების იმ რაოდენობას, რომელიც იმყოფება ამა თუ იმ მონეტაში ან ფულად თანხაში. მაგრამ რატომ არ იყო აღნიშნული ქართულ მონეტებზე ფულის ერთეულთა ის რაოდენობა, რომელსაც წარმოადგენდა მონეტა? საქმე ისაა, რომ XVI, II ს. ქართული მონეტები არ ატარებენ სამონეტო ოზმის, ფულადი ერთეულის, უკანასკნელის შინაარსის, მონეტის ლირების მაჩვენებელ ნიშნებს; მაგრამ როგორც სახელმწიფო, ისე მოსახლეობაც საჭიროებენ ფულადი ერთეულების თვლას და კიდევაც აწარმოებენ ამ თვლას ზუსტად.

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ერთი მისხლის წონა უდრის 2,5 შაურის წონას; აქედან გამომდინარეობს, რომ ვერცხლის შაური იწონის 0,4 მისხალს ანუ ნარევი ვერცხლის 1,174 გრ. შაურის სახელწოდების მონეტას ნიშნად აქვს „ნ“ — 50. შაურს რომ ეს ნიშანი არ ჰქონდეს, ჩვენ მას აღვიარებდით ფულის ერთეულად, მაგრამ ეს ნიშანი იმას გვიჩვენებს, რომ შაური შეიცავს 50 ფულად ერთეულს. აქედან შეგვიძლია დავადგინოთ ფულის ერთეულის ლითონური შინაარსი. საქართველოს ფულის ერთეული XVI, II ს. შეიცავს 0,4: 50, ე. ი. 0,008 მისხალს, ანუ ცოტათი მეტს, ვიდრე ფეტვის სამი მარცვალი; წონა ძალიან მცირეა, მაგრამ ისეთია, რომ მისი აღრიცხვა თავისუფლად შეიძლება; მისი აღრიცხვა საჭიროებს წონის საზომის არა უდაბლეს ქვედანაყოფს, ხაზნაშის მარცვალს, არამედ ფეტვის მარცვალს. გრამზე გადაყვანის შემდეგ ჩვენ ვღებულობთ ფულადი ერთეულის შემდეგ წონას:  $1,774 : 50 = 0,035$  გრ., როგორც ჩანს, ფულადი ერთეული შეიცავს ნარევი ვერცხლის ძლიერ მცირე რაოდენობას. ასეთი მცირე წონის მონეტის მოჭრა არ არის მიზანშეწონილი და ამიტომ ვერცხლის უმცირესი მონეტის სახით იჭრება შაური, რომელიც შეიცავს ფულის 50 ერთეულს და იწონის 1,774 გრ.; ასეთი მონეტა თუმცა პატარაა მოცულობით, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ გაუწიოს მომსახურება მიმოქცევას. მაგრამ რატომ იყო არჩეული ერთეული ვერცხლის ასეთი მცირე შინაარსით? იგი არ იყო არჩეული, იგი თავმოხვეული იყო ისტორიის მთელი მსვლელობით, იგი იყო მონეტის იმ სისტემატური გაფუჭების შედეგი, რომელიც წარმოებდა მონეტის წონის შემცირებით, მისი სინჯის დაწვევით, ვერცხლის სპილენძად შეცვლის გზით, იგი იყო შედეგი იმ „Kipper und Wipperzeit“-ისა, რომელიც გაიარა საშუალო საუკუნეების ყველა ქვეყანამ და მათ

<sup>1</sup> ე. ი. 1/2 კაპ., 1 კაპ., 2 კაპ., 10 კაპ., 20 კაპ., 40 კაპ.

შორის საქართველომაც. ჩვენ მოგვებოვება თვალსაჩინო მაგალითები არა მხოლოდ ფულის ერთეულის სიჭირისა, არამედ იმ მონეტებისაც, რომელიც რეალურად იჭრებოდა და მონაწილებას ლეზულობდა მიმოქცევაში. საკმარისია მოვიყვანოთ მაგალითი საქართველოს ძველამოსილი მეზობლის, რუსეთის, ფულის ტრიალის ისტორიიდან.

კლუჩევსკი, აღწერს რა რუსეთის ფულის ტრიალს XVII საუკუნეში, აღნიშნავს:

„Московский рынок был уже приучен к денежным знакам номинальной стоимости: порча монеты была вспомогательной доходной статьей, которой пользовалась казна, в случае нужды... рубль и полтина были счетные единицы. Ходячей монетой служили маленькие копейки, деньги — полукопейки и полушки — полуденьги, весом от 6 до 4 долей и менее. На рынке покупатели, остерегаясь карманщиков, обыкновенно держали мелкие неуклюжей чеканки... монеты во рту за щеками“<sup>1</sup>.

ოთხი დოლი შეადგენს 0,172 გრ. კლუჩევსკი ვვაუწყებს, რომ იჭრებოდა ამაზე უფრო დაბალი წონის მონეტებიც და, ამრიგად, XVII ს. რუსეთში ჩვენ გვქონდა ძლიერ მცირე წონის რეალური მონეტა. გ. ზიმელი წერდა: „რამდენიმე საუკუნის წინ რუსეთში ისეთი მცირე მოცულობის მონეტები არსებობდა, რომ საერთოდ მათი აღება მაგიდიდან ხელით არ შეიძლებოდა. მათ გადმოჰყრიდნენ ხოლმე ქისიდან მაგიდაზე, განაცალკევებდნენ გადასახდელად დანიშნულ თანხას, რის შემდეგ ორივე პარტია აიღებდა ერთ თავის წილს და ჩაყრიდა ისევ ქისაში“<sup>2</sup>. მეოცე საუკუნეშიც კი ჩვენ ვხვდებით ისეთ ფულად ერთეულს, რომელიც შეიცავს ძვირფასი ლითონის ძლიერ მცირე რაოდენობას, ასე რომ ერთი ფულადი ერთეულის გამომსახველი მონეტის მოჭრა შეუძლებელიც არის, საჭიროა მონეტა შეიცავდეს მრავალ ერთეულს, რათა იგი გამოდგეს მიმოქცევაში. საფრანგეთის ფულადი ერთეული, ფრანკი, პირველ მსოფლიო ომამდე შეიცავდა მხოლოდ 0,29 გრ. ოქროს; ომმა გამოიწვია ქალაქის ფულის გაფასება და 1928 წ. დეველვაციის შედეგად ფრანკის ოქროს შინაარსი დაწესებული იყო 0,065 გრამამდე; 1936 წ. კი 0,045 გრამამდე და შემდეგ კი ფრანკი გამოცხადებული იყო თავისუფალ ვალუტად, ე. ი. ვალუტად, რომელიც არ შეიცავს ოქროს გარკვეულ რაოდენობას. ფულადი ერთეულის ასეთი სიმცირის დროს, სულ მცირე რეალური ოქროს მონეტა უნდა შეიცავდეს რამდენიმე ათეულსა და ასეულ ფულად ერთეულს.

ძვირფასი ლითონის საგრძნობი შემცირება ფულად ერთეულში ყოველთვის შედეგია იმ მძლავრი ეკონომიური და პოლიტიკური ძრვისა, რომელიც იწვევს ხარჯების დიდ ზრდას, საბიუჯეტო დეფიციტის ზრდას და მის დაფარვას საშუალო საუკუნეებში მონეტის გაფუჭებით, ხოლო ახალ დროში კი ქალაქის ფულის გამოშვებით.

<sup>1</sup> В. Ключевский, Курс русской истории, часть III, М., 1937, стр. 240, подчеркнуто автором.

<sup>2</sup> G. Simmel, Philosophie des Geldes, 2 Aufl. Leipzig, 1907, гл. 109.





ამრიგად, საქართველოს ფულადი ერთეული XVIII საუკუნეში — შეიცავს ნარევი ვერცხლის 0,035 გრამს. ფულად ერთეულს „თეთრი“ უნდა ერქვას, რამდენადაც XVII ს. საქართველოში მოქმედებს ვერცხლის მონომეტალიზმის სისტემა; ეს იმას ნიშნავს, რომ ვერცხლის შაური შეიცავს 50 თეთრს, აბაზი — 200 და ასე შემდეგ.

მონეტის გაფუჭებას დიდი მასშტაბით ჰქონდა ადგილი საქართველოში ჯერ კიდევ XI—XII საუკუნეებში. საქართველოს ოქროს ხანას სპილენძის ფულის მიმოქცევა ჰქონდა<sup>1</sup>. ნუმიზმატმა დ. კაპანაძემ დაადგინა, რომ XIV—XV საუკუნეებში თბილისში მოჭრილი ღირებულების წონა ორი საუკუნის მანძილზე შემცირდა 2,35 გრამიდან 0,35 გრამამდე<sup>2</sup>.

დ. კაპანაძე გვაუწყებს, რომ XV საუკუნის მონეტებს აქვს არა მხოლოდ მცირე წონა, ისინი იჭრებიან ძლიერ დაბალი სინჯის ვერცხლისაგან, თითქმის სპილენძისაგან.

საქართველოს წინა საუკუნეების ფულის ტრიალის შესწავლამ უნდა გვიჩვენოს, არის ასეთი ფულადი ერთეული იმ კონკრეტულ გარემოებათა შედეგი, რომლებიც ჩამოყალიბდა თვით საქართველოში, თუ მას, როგორც ვასალურ ფულად ერთეულს, აქვს პროტოტიპი ირანული დინარის სახით; ჯერჯერობით ბროსესთან ერთად უნდა ვიფიქროთ უკანასკნელი. მართლაც, რიგი: 5 თეთრი (ხუთი ფულადი ერთეული) = 1 ფულს, 4 ფული = 1 ბისტს (20 თეთრს), 10 ბისტის = 1 აბაზს (200 თეთრს) მსგავსია ირანული რიგისა: 5 დინარი (ხუთი ფულის ერთეული) = 1 ყასბექს, 4 ყასბეკი = 1 ბისტს (20 დინარს), 10 ბისტის = 1 აბაზს (200 დინარს)<sup>3</sup>.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა ის, რომ ეს მცირე ფულადი ერთეული, მიღებული სამართლის წიგნში, განიცდის შემდეგ ცვლილებას ვერცხლის წონის შემდგომი შემცირების სახით — ამაზედ საუბარი ქვემოთ გვექნება.

5. ფასი არის ღირებულების ფულადი გამოსახვა. „ამნაირად საქონელთა ღირებულებანი გადაიქცნენ სხვადასხვა სიდიდის მქონე ოქროს წარმოდგენილ რაოდენობად, ე. ი. მიუხედავად საქონლის სხეულთა აქრულებული სხვადასხვაობისა, გადაიქცნენ ერთნაირი სახელწოდების სიდიდედ — ოქროს სიდიდედ. როგორც ოქროს ასეთი სხვადასხვა რაოდენობა, ისინი ერთმანეთს ედარებიან და ერთი მეორით განიზომებიან, და ასე ვითარდება ტექნიკურად აუცილებლობა ოქროს განსაზღვრულ რაოდენობასთან მათი შეფარდებისა, როგორც საზომის ერთეულთან. თვით ეს საზომის ერთეული ჯერად ნაწილებად შემდგომში ხდება მასშტაბად. ოქრო, ვერცხლი და სპილენძი, ვიდრე ფულად იქცეოდეს, უკვე შეიცავს ასეთ მასშტაბს წონის ერთეულების სახით, ასე რომ,

<sup>1</sup> იხ. ნ. ქოიავა, ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, ცალკე ამონაბეჭდი, თბილისი, 1938 წ.

<sup>2</sup> იხ. დ. კაპანაძე, XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი: საქ. საზ. მუზეუმის მოამბე, X—B, გვ. 302.

<sup>3</sup> იხ. M. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'antiquité Jusqu' au XIX siècle, Introduction, SPB, 1858, გვ. CLXXXIV—CXC; Е. Пахомов, Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII—XVIII вв., Баку, 1928, стр. 106.

შეგალითად, გირვანქა წარმოადგენს საზომის ერთეულს და იყოფა, ერთის მხრივ, უნცებად და სხვ., ხოლო, მეორე მხრივ, ერთდება ცენტნერებად და სხვ. ამიტომ ყოველი ლითონური მიმოქცევის დროს წონის მასშტაბის უკვე არსებული სახელწოდებანი ფულის მასშტაბის\* თავდაპირველ სახელწოდებასაც შეადგენენ“<sup>1</sup>.

ამრიგად, ფულადი ერთეული ნაწილებად დაყოფის საფუძველზე გაიშლება ფასების მასშტაბად. ისტორია იცნობს ფულადი ერთეულის დაყოფის სხვადასხვა სისტემებს, თვლის სხვადასხვა სისტემებს: კვარტალურს (1:2:4:8:16), დუოდეციმალურს (1:3:6:12:24) და დეციმალურს (1:10:100:1000). დასავლეთ ევროპაში VIII—XIII საუკუნეებში თითქმის ყველგან ხმარებაში იყო კვარტალური სისტემა. შემდეგ, XIX საუკუნემდე, ხმარებაში იყო ძირითადად დუოდეციმალური სისტემა და მხოლოდ XIX საუკუნიდან გაბატონდა დეციმალური სისტემა. საქართველოს უახლოესა მეზობლები ძველი დროიდან ხმარობდნენ დეციმალურ სისტემას. როგორ სისტემას ხმარობდა საქართველო XVIII საუკუნეში? თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მონეტებს და ნიშნებს, რომლებზედაც საუბარი გვქონდა ზევით, ჩვენ მივიღებთ შემდეგ რიგს: 5, 10, 20, 50, 100, 200, 600, 1000, 10000; სავსებით ნათელია, რომ საქართველო ხმარობდა თვლის ყველაზე უფრო ხელსაყრელსა და სრულქმნილ სისტემას — დეციმალურს.

საანგარიშო მონეტა ეწოდება ისეთ მონეტას, რომელიც იხმარება მხოლოდ ანგარიშისათვის, რეალური მონეტა კი ისეთს, რომელიც იჭრება. იმ მონეტას, რომელიც წარმოადგენს ფულად ერთეულს, ეწოდება ძირითადი მონეტა; მონეტას, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე ფულად ერთეულს, ეწოდება შენაერთი მონეტა; ხოლო მონეტა, რომელიც წარმოადგენს ფულადი ერთეულის ნაწილს, ეწოდება ნაწილად მონეტად. როგორი მონეტები იჭრებოდა საქართველოში XVIII საუკუნეში ამ დეციმალური სისტემის მიხედვით? სამართლის წიგნის ზემოთ მოყვანილ 16. მუხლს დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასაგებად, თუ რა მონეტები იჭრებოდა იმ დროის საქართველოში, როგორი იყო მათი ღირსება, წონა, შეფარდება; მაგრამ იგი არ არის საკმარისი ამ კითხვაზე სრული პასუხის მისაღებად. უპირველეს ყოვლისა სამართლის წიგნი არაფერს ამბობს სპილენძისა და ოქროს მონეტებზე, ასეთები კი იჭრებოდა XVIII საუკუნეში; სამონეტო ოზმა საუკუნის განმავლობაში შეიცვალა; სამართლის წიგნი არ გვაძლევს შესაძლებლობას დავადგინოთ, თუ მასში მოხსენებული მონეტები რომელია რეალური და რომელი საანგარიშო. ამ მოსაზრებათა გამო საჭიროა უშუალოდ მივმართოთ რეალიებს. რეალიების და სამართლის წიგნის შესწავლის მონაცემთა შედარებას მივყავართ იმ დასკვნაზე, რომ ვახტანგის დროს, სამართლის წიგნის შედგენის პერიოდში და ამ წიგნის შედგენის შემდგომ პირველ წლებში (1715 წლამდე), რეალურად იჭრებოდა შემდეგი ღირსებისა და წონის მონეტები:

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბილისი, 1930, გვ. 62.



ნომინალი		წონა სამართლის წიგნის მიხედვით	რეალიების წონა და მიჯრის წელი
სპი- ლენი	ფული	—	4,24 — 4,50 (1708/09)
	ორი ფული	—	7,90 — 9,15 (1708/09)
ვერცხლი	შაური	1,77	1,68 (1707/08)
	უხალთუნი	3,55	3,20 (1715)
	აბახი	7,10	7,38 (1707/08)
	ექვსი შაური	10,64	8,67 (1714)
	მარჩილი	21,29	რეალიები არაა დაცული.

როგორც ჩანს, ვერცხლის მონეტების წონა, დადგენილი სამართლის წიგნით, და ვერცხლის რეალიების წონა თითქმის ემთხვევიან ერთმანეთს; ეს გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ სამონეტო წესდება დაცული იყო და ამ დროს მონეტის გაფუჭებას ჯერ კიდევ ადგილი არ ჰქონდა. ყურადღებას იპყრობს მხოლოდ ის გარემოება, რომ ექვსი შაურის ნომინალის კანონიერი და ფაქტიური წონა სცილდება ერთმანეთს.

რეალური მონეტების გარდა არსებობდა საანგარიშო მონეტებიც: ბისტრი (4 ფული), მინალთუნი (35,40 გრ.) და თუმანი (354,80 გრ.).

ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ კიდევ სხვა დასკვნაც. ძირითადი მონეტა, როგორც ვერცხლის მცირე რაოდენობის შემცველი, არ იჭრებოდა; არ იჭრებოდა, რასაკვირველია, ნაწილადი მონეტებიც. XVIII ს. საქართველოში ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ შენაკრებ მონეტებთან — რეალურ და საანგარიშოსთან.

ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება, რომელმაც არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. ფული წარმოადგენს ხუთი ფულადი ერთეულის გროვას — ამიტომ უზის მას ნიშანი „მ“ — 5. მაგრამ ზებირ და წერილობით სიტყვაში, როდესაც მონეტის ღირსება აღინიშნება არა ციფრით და რიცხვით, არამედ სიტყვით, ამ მონეტას ეწოდება „ერთი ფული“, რამდენადაც ხუთი ფულადი ერთეული რეალურად, ნივთიერად წარმოდგენილია ერთი მონეტით. შემდეგი მონეტა, რომელიც წარმოადგენს 10 ფულად ერთეულს, უკვე ატარებს „ორი ფულის“ სახელწოდებას, რამდენადაც იგი წარმოადგენს ორ თითო-ფულიან მონეტას. თუ განვაგრძობთ ანგარიშს „ფულში“, დავინახავთ, რომ თითოეული რეალური და საანგარიშო მონეტა შეიცავს „ფულის“ ხუთჯერ ნაკლებ რაოდენობას, ვიდრე ფულადი ერთეულებისა; ეს შემოკლება გამოწვეულია პირველადი შემოკლებით: ხუთი ფულადი ერთეულის მაგიერ იხმარება „ერთი ფული“, მაგ., ბისტრი შეიცავს 20 ფულად ერთეულს, მაგრამ 4 ფულს, უხალთუნი — 100 ფულად ერთეულს, მაგრამ 20 ფულს, მინალთუნი 1000 ფულად ერთეულს, მაგრამ 200 ფულს და ასე შემდეგ. ფულადი მიმოქცევის განვითარების პროცესში მოხდა თავისებური დენომინაცია, რომლის დროს, ჩვეულებრივ, ანგარიშის გაადვილებისათვის, რამდენიმე ფულადი ერთეული ეწოდება ერთ ერთეულს. ეს თავისებური დენომინაცია, ჩვენის აზრით, ჩატარდა არა კანონმდებლობის გზით, არამედ სტიქიურად, და მას საფუძვლად აქვს ის გარემოება, რომ ხუთი ფულადი ერთეული რეალურად წარმოდგენილია ერთი მონეტით.

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბისტი სანაგარიზო მონეტადან გადაიქცა რეალურ მონეტად, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ძლიერ საინტერესო და მნიშვნელოვანი დასკვნა. სპილენძის მონეტები იჭრებოდა შემდეგი შეფარდებით: 1:2:4 (ერთი ფული, ორი ფული, ოთხი ფული); მაგრამ ამ შეფარდებით იჭრებოდა ვერცხლის მონეტაც: ერთი შაური, ორი შაური (უზალთუნი), ოთხი შაური (აბაზი). ფაქტიურად ფულად ერთეულს შეადგენდა აბაზი, საუკუნის ყველაზე გავრცელებული მონეტა, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია დიდი რაოდენობით. აბაზზე უფრო მცირე ღირსების მონეტები შეადგენენ ნაწილად მონეტებს, ხოლო უფრო მსხვილი ღირსებისა — შენაკრებს. ეს მონაცემები იმას გვეუბნება, რომ მონეტები იჭრებოდა კვარტალური სისტემის მიხედვით. აქედან დასკვნა: ფულადი ერთეულების თვლა მიმდინარეობდა დეციმალური სისტემის მიხედვით, მონეტების მოჭრა კი — კვარტალური სისტემის მიხედვით. XVIII ს. საქართველოში ჩვენ გვაქვს დეციმალური და კვარტალური სისტემების შეერთება. ამასთან დაკავშირებით გვაგონდება ძველი გროტეს სიტყვები, რომელიც თავის დროზე იკვლევდა ფულის სისტემის საკითხებს. იგი წერდა: „როდესაც მათემატიკოსებს და ფინანსისტებს შემოაქვთ თვლის სისტემა, ისინი ყოველთვის ირჩევენ დეციმალურს. მაგრამ არჩევენ რომ დიასახლისები აწარმოებდნენ, იგი დუოდეციმალურს თუ არა, კვარტალურს მაინც შეხვდებოდა“ (ხაზგასმულია ავტორის მიერ). და შემდეგ: „დეციმალური სისტემა მეცნიერული ბერკეტია მომატებისათვის; გაყოფისათვის ასეთია კვარტალური სისტემა“<sup>1</sup>. გროტე გვიჩვენებს დეციმალური და დუოდეციმალური ან კვარტალური სისტემების კომბინაციას. როგორც ჩანს, საქართველოს ფულადი სისტემა შეადგენდა დეციმალური და კვარტალური სისტემების კომბინაციას. ასეთი მოვლენა ასახავდა იმ მდგომარეობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ირანში. დეციმალური და კვარტალური სისტემების კომბინაციას ადგილი ჰქონდა რუსეთშიც: 1:10:100 (მანეთი, გრივენიკი, კაპეიკი), 1:2:4 (მანეთი, პოლტინა, ჩეტვერტაკი). გროტე კიდევაც სთვლიდა თვლის რუსულ სისტემას ყველაზე უფრო სრულქმნილ სისტემად.

მაგრამ როგორია სპილენძის მონეტების როლი XVIII საუკუნის საქართველოს ფულად სისტემაში? რამდენადაც ჩვენ დავადგინეთ, რომ XVIII საუკუნის საქართველოში მოქმედებდა ვერცხლის მონომეტალიზმის სისტემა, ისინი ასრულებდნენ ბილონური, ხურდა, არასრულფასიანი მონეტის როლს, მონეტისას, რომელიც ემსახურებოდა სრულ წვრილ ბრუნვას. ის, რომ სპილენძის მონეტები მართლაც ხურდა ფულია, ჩანს არა მხოლოდ მონეტების ნომინალიდან, არამედ იქიდანაც, რომ კანონმდებელს საჭიროდაც არ მოაჩნია თქვას რაიმე სპილენძის მონეტების ღირსების შესახებ სამართლის წიგნში. მაგრამ ჩვენი დებულების მთავარ დამამტკიცებელ საბუთს ჩვენ ვპოულობთ იმ შეფარდებაში, რომელშიც იჭრებოდა სპილენძის და ვერცხლის მონეტები. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები სპილენძის ფასის შესახებ XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისისათვის, ცნობები ვერცხლის და სპილენძის ფასების შეფარდების შესახებ. ჩვენ გამოვალთ იმ დებულებებიდან, რომ ვერცხლის და სპილენ-

<sup>1</sup> H. Grote, Die Geldlehre. Leipzig 1865, S. 74.



ძის ფასების შეფარდება საქართველოში და რუსეთში დაახლოვებით ერთნაირი იყო, რომ ამ შეფარდებამ XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისს არ განიცხდა საგრძნობი ცვლილება და რომ რუსეთში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ვერცხლი 62,5-ჯერ უფრო ძვირი იყო, ვიდრე სპილენძი.

ერთი ფული წარმოადგენს ხუთ ფულად ერთეულს; ფულადი ერთეული შეიცავდა 0,035 გრ. ნარეგ ვერცხლს ანუ 0,034 გრ. წმინდა ვერცხლს (ამაში ჩვენ შემდეგ დავრწმუნდებით). ამრიგად, სპილენძის ფული წარმოადგენდა წმინდა ვერცხლის 0,170 გრ., სპილენძი ვერცხლზე 62,5-ჯერ იაფი იყო, მაშასადამე, ფული უნდა იწონიდეს  $0,170 \times 62,5$ , ე. ი. 10,625 გრ.; იგი კი იწონიდა 4,24 — 4,51 გრ. ასეთია შეფარდება შემდეგ სპილენძის მონეტაშიაც — ორ ფულში. ცხადია, რომ იჭრება არასრულფასიანი სპილენძის მონეტა, რომ იგი იჭრება როგორც ხურდა მონეტა. დაფუშვით, რომ სპილენძი საქართველოში უფრო ძვირი იყო ვიდრე რუსეთში, რომ ვერცხლის და სპილენძის ფასების შეფარდება საქართველოში გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო სპილენძისათვის, ვიდრე რუსეთში; დაფუშვით, რომ ეს შეფარდება იყო 1:50, ამ შემთხვევაშიაც სპილენძის ქართული მონეტების არასრულფასიანობა უდავოა. ცხადია, რომ სპილენძის ფულის მოჭრა ხაზინისათვის წარმოადგენდა შემოსავლის ხელსაყრელ წყაროს.

ამრიგად, სპილენძის ფული ღირებულების მხოლოდ ნიშანია, სიმბოლოა; ის მხოლოდ ბილონური, ხურდა ფულია და, მაშასადამე, არ არის გადახდის კანონიერი საშუალება განუსაზღვრელი რაოდენობით.

6. სამართლის წიგნის შედგენის შემდეგ საქართველოს ფულად მიმოქცევაში მოხდა ზოგიერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ძვრები. 1721/22 წლისთვის აბაზის წონა დაეცა 5,38 გრ. ოსმალთა ოკუპაციის დროს (1723—1736 წ.წ.) თბილისში მოქმედებდა ოსმალური ზარათხანა, რომელიც ჰრიდა ოქროს და ვერცხლის მონეტებს; სპილენძის მონეტები ჯერ არ არის აღმოჩენილი. ამ პერიოდში ჩვენ საქმე გვაქვს ოსმალური საოკუპაციო მონეტების მოჭრასთან. ირანის სახელმწიფოს აღმდგენმა ნადირ-შაჰმა (1736—1747) შემოიღო ახალი ნომინალი „ნადირი“, რომელიც უდრიდა 2,5 აბაზს. ეს ნომინალი იჭრებოდა საქართველოში XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ბოლომდე, შემდეგ კი მისი მოჭრა შეწყდა. აბაზის წონა მცირდებოდა; 1748—1749 წ.წ. აბაზი უკვე იწონიდა მხოლოდ 4,60 გრამს. სპილენძის მონეტის მოჭრაში არავითარ მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონდა.

თეიმურაზ II სიკვდილისა და ქართლის და კახეთის სამეფოთა გაერთიანების შემდეგ (1762 წ.), მისი შვილი ერეკლე II მონეტის მოჭრის დარგში ახორციელებს მთელ რიგ ახალ ღონისძიებებს. ამ ღონისძიებათა შესწავლა გვაძლევს სრულ უფლებას ვილაპარაკოთ მეფე ერეკლეს სამონეტო რეფორმის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა მეფე ერეკლე ამცირებს ვერცხლის აბაზის წონას და მისი მეფობისას (გარდაიცვალა 1798 წ.) აბაზი უკვე იწონიდა 2,65—3,07 გრ. შეფარდებით მცირდება სხვა ვერცხლის მონეტების წონაც. ვერცხლის მონეტის წონის შემცირებას გვიჩვენებს არა მხოლოდ რეალიები, არამედ თანამედროვეთა

ენობებიც. გვილდენშტედტი წერდა: „2. შაური არის ვერცხლის მონეტა... წონით 12,5 გრანი... 3. უზალთუნი ვერცხლის მონეტაა წონით 25 გრანი. 4. აბაზი ან აბას — ვერცხლის მონეტაა წონით 50 გრანი“<sup>1</sup>. ამრიგად, ჩვენი მოგზაურის ცნობით აბაზი იწონიდა 3,13 გრამს. სოლომონ მელიქიშვილი, რომელიც უკანასკნელი მეფეების სამსახურში იყო, წერდა 29/V—1801 წ. კრონინგს, რომ ერთი ლიტრა (დაახლოებით 9 გირვანქა) ვერცხლიდან ქართველი მეფეები ჭრიდენ 211 მინალთუნს და ერთ აბაზსაო<sup>2</sup>. თუ გამოვალთ იქიდან, რომ 9 გირვანქა შეადგენდა 3686 გრამს და 211 მინალთუნი და ერთი აბაზი 1056 აბაზს, მაშინ მივიღებთ აბაზის წონას — 3,49 გრ. უნდა ვიფიქროთ, რომ მელიქიშვილმა დაამრგვალა ლიტრის წონა მისი გადიდებისაკენ (გვილდენშტედტის ცნობით ლიტრა შეიცავდა 8 3/4 გირვანქას)<sup>3</sup>. ყოველ შემთხვევაში აბაზის წონა, მოცემული მელიქიშვილის მიერ, არ სცალდება საგრძნობლად რეალიების წონას — როგორც ჩანს ლიტერატურული მონაცემებიც და თვით რეალიებიც გვიჩვენებენ აბაზის და სხვა ვერცხლის მონეტების წონის შემცირებას XVIII საუკუნეში. XVIII საუკუნის ბოლოს ქართული ფულადი ერთეული შეიცავდა ნარევი ვერცხლის მხოლოდ 0,015 გრ.

1765/66 წ. ერეკლე მეორეს შეაქვს ცვლილებები სპილენძის მონეტების მოჭრაშიც: აღნიშნულ წელში იგი შეუდგა ახალი ნომინალების მოჭრას — ნახევარი ფული, ბისტი (4 ფული) და შაური. ამრიგად, ერეკლე II-მდე იჭრებოდა სპილენძის მონეტების ორი ნომინალი — ფული და ორი ფული (ნახევარი ბისტი), მის დროს კი ხუთი ნომინალი — ნახევარი ფული, ფული, ნახევარი ბისტი, ბისტი და შაური. მაგრამ საუკუნის ბოლომდე მაინც მხოლოდ სამი ნომინალის მოჭრა წარმოებდა — ფული, ნახევარი ბისტი, ბისტი. ალბათ, სპილენძის ძლიერ მცირე მონეტებისა და სპილენძის შაურის მოჭრა ვერცხლის შაურის არსებობის პირობებში არ იყო გამართლებული მიმოქცევით.

ერეკლე II შემდეგი ღონისძიება ტარდებოდა 1776/77 წ., როდესაც მან ამაოდ სცადა შეემცირებინა ერთი-ორად სპილენძის მონეტების წონა; იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ ღონისძიებაზე და დაუბრუნდა სპილენძის მონეტების ძველ წონით შინაარსს.

გვილდენშტედტი, რომელიც საქართველოში 1772 წ. იმყოფებოდა, გვაუწყებს: „1. ფული სპილენძის ხურდა მონეტაა, ზოგი მრგვალი, ზოგიც კუთხოვანი, წონით 2 1/2 ღრახმა<sup>4</sup>. მოგზაურმა სწორად აღნიშნა, რომ ფული ხურდა ფულია, მაგრამ დაუშვა უხეში შეცლომა მონეტის წონის ჩვენებაში. მრავალრიცხოვანი რეალიების აწონამ გვიჩვენა, რომ მისი ცნობა აშკარად მცდარია, რომ მან გვიჩვენა არა ფულის, არამედ ორი ფულის წონა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> G. A. G. üldenstädt, Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, I, SPB, 1787, გვ. 357 (ხაზგასმულია ავტორის მიერ).

<sup>2</sup> АКАК. т. I, № 623. Рапорт Лазарева Кнорингу, примечание.

<sup>3</sup> იხ. ხს. შრომა, გვ. 359

<sup>4</sup> G. üldenstädt, ხს. შრ. გვ. 357.

<sup>5</sup> იხ. ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფ. 1924; ს. კაკაბაძე, საფასის ისტორიისათვის საქართველოში, საისტორიო მოამბე, წიგნი I, ტფ. 1925, გვ. 23; Е. А. Пахомов, ხს. შრ. გვ. 107.

ყველაფერი ზემოთ ნათქვამი გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: 1) საუკუნის განმავლობაში სამონეტო ოზმა შეიცვალა — საუკუნის დასაწყისის აბაზი იწონიდა 7,38 გრ. საუკუნის ბოლოს კი უკეთეს შემთხვევაში — 3,07 გრ., ე. ი. 2,4 ჯერ უფრო ნაკლებს; 2) სამონეტო ოზმის დადგენის წესი იგივე დარჩა — აღინიშნება თუ რამდენი ფულადი ერთეული იჭრება ნარევი ვერცხლის წონითი ერთეულისაგან (შეად. სამართლის წიგნი და ს. მელიქიშვილის მოყვანილი ცნობა); 3) მიმოქცევაში შეყვანილია სპილენძის მონეტების ახალი ნომინალები; 4) XVIII საუკუნეში ხორციელდება მონეტის გაფუჭება; XVIII საუკ. მღელვარე ამბებმა და მათ მიერ გამოწვეულმა ხარჯებმა, სახელმწიფოს საერთო ეკონომიური სისუსტის დროს აიძულა ქვეყნის მმართველები შემოსავლის გადიდების მიზნით მიემართათ ამ ღონისძიებისათვის. მოსახლეობა კარგად არჩევდა ვერცხლის მონეტების წონას, შემთხვევითი არ არის ის გამოთქმები, რომელთაც ჩვენ ვბოულობთ მაშინდელ საბუთებში: „ახალი თეთრი“, „ძველი მარჩილი“<sup>1</sup>; 5) სამონეტო შეფარდება შეიცავდა სპილენძის სასარგებლოდ. ერეკლე II სცადა მოესპო ის უპირატესობა, რომელიც შეიქმნა სპილენძის მონეტების სასარგებლოდ ვერცხლის მონეტების გაფუჭების საფუძველზე, სპილენძის მონეტების წონის შემცირებით, მაგრამ როგორც დავინახეთ, ეს მან ვერ შესძლო. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისს საქართველოში ერთი ფუთი სპილენძი ღირდა 11 მანეთი ვერცხლით და ერთი მანეთი კი — შეიცავდა წმინდა ვერცხლის 4 მისხალს და 21 დოლიას<sup>2</sup>. ვერცხლის და სპილენძის ღირებულებათა შეფარდება შეადგენდა: 1:83, სპილენძის ფულს, რომელიც შეიცავდა ხუთ ფულად ერთეულს, უნდა ჰქონოდა ხუთი ვერცხლის ფულადი ერთეულის ღირებულება; მისი წონა უნდა ყოფილიყო 0,015 გრ.  $X \times 5 \times 83$ , ე. ი. 6,23 გრ. ფული კი ამ დროს იწონიდა 3,25—4,83 გრამამდე; როგორც ჩანს, სპილენძის ფული განაგრძობდა თავის არსებობას, როგორც ხერდა, არასრულფასიანი ფული, მაგრამ მისი მოჭრა არ იძლეოდა უკვე იმ ეფექტს, როგორც წინათ. დაუშვათ, რომ სპილენძის ფასი არ არის ნაჩვენები ზუსტად, რომ სინამდვილეში იგი რამდენიმედ უფრო იაფი, ან უფრო ძვირი იყო — ასეთ შემთხვევაშიც ამ დროსაც სპილენძის მონეტების არასრულფასიანობა უდავოა.

საუკუნის ბოლოს რეალური ვერცხლის მონეტების წონა (სულ უმნიშვნელო დარგვლებით) შეადგენდა:

შაური — 0,75 გრ.  
უხალთუნი — 1,50 გრ.  
აბაზი — 3,00 გრ.  
მარჩილი — 9,00 გრ.

<sup>1</sup> იხ. Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты, Тифлис, 1882, стр. 160; საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფილისი, 1909, გვ. 367, № 323.

<sup>2</sup> იხ. П. Винклер, Из истории монетного дела в России. Чеканка монеты для Грузии, 1804—1833, გვ. 6.

ექვსშაურიანი ნომინალი 1715 წ. შემდეგ არ გვხვდება, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი მოჭრა შეწყდა; ამის დასტური შეიძლება ვიპოვოთ გვილდენშტედთან, რომელიც, დაწვრილებით ჩამოთვლის რა ქართულ მონეტებს, ამ ნომინალზე არაფერს ამბობს. XVIII საუკუნიდან დარჩენილ მონეტებში ჩვენ არ ვხვდებით შარჩილს, მაგრამ ჩვენ ამ მონეტას ვთვლით რეალურ მონეტად და აი რატომ: გვილდენშტედტი, ჩამოთვლის რა ქართულ მონეტებს, წერს: „სამი აბაზი არის ვერცხლის მონეტა 2 1/2 დრახმის წონით... წარწერა ისეთივეა, როგორც № 4 აბაზზე“<sup>1</sup>. იმ აბაზზე კი, რომელზედაც ამბობს გვილდენშტედტი, აწერია: „მოჭრილია თბილისში 1770 წ.“<sup>2</sup>.

აბაზის წონაზე დამყარებით (3 გრ.) უნდა ვიგულისხმოთ, რომ საანგარიშო მონეტების წონა იყო — მინალთუნისა 15 გრ. და თუმნისა — 150 გრ.

XVIII საუკუნის დასაწყისის და ბოლოს სპილენძის მონეტების წონაში არავითარ არსებით განსხვავებას აღვივლი არ აქვს.

ბოლოს, ვიძლევიტ ყველა ჩვენ მიერ ნახსენები ნომინალების შეფარდებას და თითოეული ნომინალის შინაარსს ფულად ერთეულებში:

ერთი თუმანი — 50 აბაზი, 100 უზალთუნი, 200 შაური, 500 ბისტი, 2000 ფული, 10,000 ფულადი ერთეული.

ერთი მინალთუნი: 5 აბაზი, 10 უზალთუნი, 20 შაური, 50 ბისტი, 200 ფული, 1000 ფულადი ერთეული.

ერთი მარჩილი: 3 აბაზი, 6 უზალთუნი, 12 შაური, 30 ბისტი, 120 ფული, 600 ფულადი ერთეული.

ერთი აბაზი: 2 უზალთუნი, 4 შაური, 10 ბისტი, 40 ფული, 200 ფულადი ერთეული.

ერთი უზალთუნი: 2 შაური, 5 ბისტი, 20 ფული, 100 ფულადი ერთეული.

ერთი შაური: 2,5 ბისტი, 10 ფული, 50 ფულადი ერთეული.

ერთი ბისტი: 4 ფული, 20 ფულადი ერთეული.

ერთი ფული: 5 ფულადი ერთეული.

ნომინალების შეფარდება შაურიდან ზევით მოცემულია სამართლის წიგნის ხსენებულ 16. მუხლში და ის გა-ემოება კი, რომ ერთი შაური შეიცავს ათ ფულს — დასტურდება თანამედროვეების მიერაც და ნომინალების იმ ნიშნებით, რომელთაც მოაღწიეს ჩვენამდე სხვადასხვა საბუთებში და რომლებზედაც საუბარი გვქონდა ზევით. ტურნეფორის ცნობით (1700 წ.) „ერთ შაურს ჰქონდა ათი სპილენძის. ასპროს მნიშვნელობა, რომლის ორმოცი შეადგენდა აბაზს“, ნათქვამია, რასაკვირველია, ფულზე და აბაზზე<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Reisen... გვ. 357 (ზაზგასმულია ავტორის მიერ).

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> P. Tournefort, Beschreibung einer auf Königlichem Befehle unternommenen Reise nach der Levante. Aus dem französischen übersetzt, III B. Nürnberg, 1777, გვ. 277.



კიდევ უფრო მკაფიოდ ამბობს ამაზედ გვილდენშტედტი: „შაური არის ვერცხლის მონეტა 10 ქართული ფულის ღირებულებით“<sup>1</sup>. დაბოლოს, სულხან-საბა ორბელიანი წერს: „შაური — ათის ფოლის ვეცხლი“<sup>2</sup>.

7. როგორც ცნობილია, ვერცხლის მონომეტალიზმის დროს ოქროს მონეტების მოჭრა არ არის გამოორაცხული, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ ძირითად ფულს, გადახდის კანონიერ საშუალებას. ვახტანგ VI კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ოქროს მონეტების მოჭრას. თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა ბროსეს: „რაც ოქრო საქართველოს მადნებიდამ შემოდიოდა, იმას ჩვენი მეფეები არ აჭრეინებდნენ, ამისათვის რომ რაც დასჭირდებოდათ, თავიანთთვის იარაღად ქალისა თუ კაცისას აკეთებინებდნენ თავიანთ სახლუღლებსაც ახმარებდნენ და ვინც წყალობის ღირსნი იყვნენ, იმათაც უბოძებდნენ. ეკლესიის ნივთებსაც აკეთებდნენ და უფროსს ნაწილს კი ჰყიდდნენ. უფრო წმინდა და კარგი ოქრო რომ იყო, ვაჭრები ძვირად ყიდულობდნენ, ზოგი ვეროპის მხარესა და ზოგს აზიის მხარეს ივაჭრებდნენ და თითონაც სარგებლობა ჰქონდათ და მეფეთა ჩვენთა და მათს ხაზინას უფრო სარგებლობა ჰქონდათ ამითი, ვინემ რომ მოეჭრათ და ისე გაეყიდათ“<sup>3</sup>.

არც ერთი საქართველოში ნამყოფი მოგზაური არ აღნიშნავს ოქროს მონეტების მოჭრას. ლაზარევი თავის პატაკში, რომელიც მიძღვნილი იყო ქართული მონეტების მოჭრის საკითხისადმი, წერდა: „Золотых монет здесь нет, а существуют серебряные и медные“<sup>4</sup>.

ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს ცნობები XVIII საუკუნის საქართველოში ოქროს მონეტების მოჭრის შესახებ. პაპუნა ორბელიანი წერს: „გამოიტანეს მეფეთა ჩვენთა თავისისა საღაროთი ოქროსა და ვეცხლისა იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრეინეს ფლური და თეთრი და აძლევდენ ჯარსა, ცდილობდენ კიდევ შეყრასა ჯარისასა“<sup>5</sup>. ლაპარაკია მეფე თეიმურაზის და ერეკლეს ღონისძიებათა შესახებ 1751 წელში.

პ. გუგუშვილის იმ ნაშრომში, რომელიც ეხება XIX საუკუნის საქართველოს ფულად მიმოქცევას, გამოქვეყნებულია ორი შემდეგი საბუთი, რომლიდანაც პირველი, სამწუხაროდ, არ არის დათარიღებული და მეორე კი ეკუთვნის 1783 წელს. პირველ საბუთში ვინმე თუმანიშვილი წერს: „ნასყიდა თავდადარს ასლანას აწონილი შვიდი მისხალი ოქრო გაუგზავნე ხალასი ოქროს შაურების მოსაჭრელად: ოცდათვრამეტი შაური გამოგზავნა; ესეც ასლანის ავაწონინე: შვიდს მისხალს აკლდა ნახევარი მისხალი და ხუთი მუხუდო“. მეორე საბუთში ვკითხულობთ: „სურგუნაშვილო სააკ! ჩვენთვის ექვსი ოქროს შაური გამოგზავნე,

<sup>1</sup> Reisen... გვ. 357 (ხაზასუღია ავტორის მიერ).

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928, გვ. 390.

<sup>3</sup> საისტორიო მოამბე, 1925, წ. I, გვ. 34.

<sup>4</sup> АКАК, т. I, № 623, Рапорт Лазарева Кворингу.

<sup>5</sup> ორბელიანი პაპუნა, ამბავნი ქართლისანი: საქართველოს ცხოვრება, 2 გამოცემა, ხ. ჭიჭინაძის მიერ, თბ. 1913, გვ. 195.

რომ ექვსივე ერთი მისხალით მოვიდეს და ამ ბარათს ბატონის მონაგარიშეები ანგარიშში ჩაგივლებენ“<sup>1</sup>.

მაგრამ XVIII საუკუნემ ჩვენ დაგვიტოვა არა მარტო წერილობითი საბუთები, რომლებიც მოწმობენ ოქროს მონეტების მოჭრას, არამედ უშუალოდ ნუმიზმატიკური ფაქტები, — ოქროს მონეტაც, რომელიც ინახება ლენინგრადის ერმიტაჟში.

დ. ფურცელაძე ერთი საბუთის გარჩევის დროს, რომელი საბუთიც მისი აზრით ამტკიცებდა XVIII საუკუნის საქართველოში ოქროს ფულის მოჭრას, ჯერ კიდევ 1882 წ. წერდა: „Таким образом, мнение нумизматов, которые утверждали, да и теперь утверждают, что в Грузии не было золотой монеты грузинского чекана, само собою падает... Есть на это и другое фактическое доказательство. В Петербурге, в коллекции русских монет и монет подведомственных России народов, принадлежащей графам Толстым, имеется золотая монета царя Ираклия“<sup>2</sup>. საკვირველია, რომ ამ მონეტის არსებობა უცნობი დარჩა შემდგომ მკვლევართათვის, რომელნიც ათასნაირად ცდილობდნენ XVIII საუკუნის საქართველოში ოქროს ფულის მოჭრის დამტკიცებას, და ამ მთავარ საბუთს არ იყენებენ თავის შრომებში.

ოქროს მონეტა იწონის 7,14 გრ. მონეტაზე გამოყვანილია ერთთავიანი არწივი და თარიღი 1796 წ. და მისი საწინააღმდეგო თარიღი ჰიჯრის 1203 (1788—1789). მეფის სახელი არ არის მოთავსებული მონეტაზე. მონეტას აქვს წარწერა იმის შესახებ, რომ იგი მოჭრილია თბილისში.

XVIII საუკუნეს არ დაუტოვებია ჩვენთვის არც ერთი საბუთი, რომელიც იმას გვეუბნებოდეს, რომ საქართველოში შემოღებული იყო ევროპაში ფეოდალიზმის დროს გაბატონებული სისტემა — ბიმეტალიზმი. ძლიერ საეჭვოა, რომ საქართველომ მისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობისას, ირანში ვერცხლის მონომეტალიზმისა და რუსეთში სპილენძის მონომეტალიზმის ბატონობის დროს შესძლო ბიმეტალიზმზე გადასვლა. ყველაფერი იმას გვეუბნება, რომ საქართველოში მოქმედებდა ვერცხლის მონომეტალიზმი, რომ ოქროს მონეტები, რამდენადაც ის იჭრებოდა, არ წარმოადგენდა გადახდის კანონიერ საშუალებას.

ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ XVIII საუკუნემ არ დაგვიტოვა არც ერთი საბუთი, რომელიც გვაუწყებდეს ოქროს მონეტების მოჭრის წესებს, სამონეტო ოზმას ოქროს მონეტებისათვის და სხვ. დაპირისპირება თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მოყვანილი სიტყვებისა, რომელიც უარყოფს ქართველი მეფეების მიერ ოქროს მონეტების მოჭრას, და საბუთებისა, რომელნიც ამოწმებენ ასეთების მოჭრას, და აგრეთვე რეალიების არსებობა გვაიძულებს ვთქვათ, რომ ოქროს მონეტების მოჭრა დაიწყო მხოლოდ საუკუნის ბოლოში, იგი იჭრებოდა,

<sup>1</sup> კ. გუგუშვილი, ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოს და აკაკასიაში მე-19 საუკუნეში; თბ. 1937, გვ. 33.

<sup>2</sup> Грузинские крест. грамоты, стр. 59.



საქართველოს  
ხელნაწილების  
სამეცნიერო ცენტრი

გამონაკლისის სახით, დაქირავებული ჯარის გასასტუმრებლად<sup>1</sup>, განსაკუთრებით მაღალი მნიშვნელობის სამსახურის ასანაზღაურებლად (პირველ რიგში უცხოელებისა) და როგორც მეფის დიდი წყალობის მაჩვენებელი საჩუქარი. ყოველ შემთხვევაში ოქროს მონეტების მოჭრას ცდის ხასიათი ჰქონდა. ოქროს მონეტები იჭრებოდა ან როგორც წაბაძვა უცხო მონეტებისა (პ. ორბელიანი ამბობს ფლურის, ფლორინის, მოჭრის შესახებ) ან დამოუკიდებელი სახისა (ხსენებული რეალია). აქედან დასკვნა, — ოქროს მონეტები არ იჭრებოდა მიმოქცევისათვის, ისინი ძირითადად ასრულებდნენ განძის ფუნქციას. მაგრამ რა ვუყოთ იმ ორ საბუთს, რომლებიც მოვიყვანეთ ზევით, და იმ დასკვნას, რომელსაც აკეთებს პ. გუგუშვილი: „...ირკვევა ისიც, რომ ეს ოქროს შაურები მიმოქცევაშიც არ ყოფილა იშვიათი“<sup>2</sup>. ეს საბუთები არ ამბობენ იმას, რომ ოქროს შაურები „მიმოქცევაშიც არ ყოფილა იშვიათი“, ისინი იმასაც არ ამბობენ, რომ ოქროს მონეტები ემსახურებოდა მიმოქცევას. ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული და ზემოთ მოხსენებული მასალები სრულებით არ მოწმობენ იმას, რომ ოქროს მონეტები იმყოფებოდნენ მიმოქცევაში. იმ საბუთებში, რომლებიც ეკუთვნის 1742—1801 წ. წ. (57 ვრცელი დოკუმენტი, 5—6 ათასი საგასაგლო მუხლის შემცველი), ოქროს მონეტები მოხსენებულია მხოლოდ რამდენიმეჯერ და მასთან ნათქვამია ოქროს უცხო მონეტებზე, მათ დახურდავებაზე, კურსზე, საკურსო დანაკარგზე. იმ მრავალრიცხოვან დოკუმენტებში კი, რომლებიც ეკუთვნის 1787—1800 წ., ოქროს მონეტები საერთოდ არ არის მოხსენებული. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ ამ ორ საბუთს. ორივე საბუთში ნათქვამია ოქროს შაურზე. ამავე დოკუმენტების მიხედვით შეიძლება ამ ოქროს შაურიანების წონის დადგენა. დავადგინოთ შაურის წონა პირველი საბუთის მიხედვით. ერთი მისხალი უდრის 24 მუხედოს, ამრიგად 4 მუხედო უდრის  $\frac{1}{6}$  მისხალს. 33 შაურის წონა უდრიდა  $6\frac{1}{2}$  მისხალს +  $\frac{1}{6}$  მისხალი, ანუ  $6\frac{2}{3}$  მისხალს; ჩვენ გამოვდივართ იმ დებულებიდან, რომ ერთი მისხალი უდრიდა 4,436 გრ., მაშასადამე, 38 შაური იწონიდა 29,543 გრ. და ერთი შაური კი 0,777 გრამს. მეორე შემთხვევაში ოქროს შაურის წონა უდრის 4,436 : 6, ე. ი. 0,739 გრ. ჩვენ ვხედავთ, რომ ორივე საბუთის ოქროს შაურიანების წონა ემთხვევა ერთმანეთს. იმ დროის ვერცხლის რეალური შაური იწონიდა 0,75 გრ. და, მაშასადამე, ოქროს შაურიანის წონა ასახავდა ვერცხლის შაურიანის წონას, ცხადია სამონეტო ოზმა ოქროსათვის არ არსებობდა. როგორც ჩანს, ჩვენ საქმე გვაქვს ძლიერ მტკიცე წონის ოქროს მონეტასთან: მიმოქცევისათვის ასეთი მცირე წონის და მასთან წმინდა (ხალასი) ოქროს მონეტები არასდროს არსად არ იჭრებოდა და არ იჭრება; ასეთ მონეტებს შეუძლია მხოლოდ წვრილი ბრუნვის მომსახურება. წვრილ ბრუნვაში კი ისინი სწრაფად ცვდებან და კარგავენ წონას; ოქროს მონეტების

<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით ინტერესს არ არის მოკლებული მოვიყვანოთ ერთი ადგილი მიტროპოლიტ მაქიმეს მოხსენებიდან: „Кроме природных имеретинцев доставать можно всегда за деньги военных людей... (А. Цагарели, Грамоты... т. I, стр. 30).

<sup>2</sup> პ. გუგუშვილი, დასახ. შრ., გვ. 33 (ნახვასმულია ავტორის მიერ).



შოჭრა რომ მიმოქცევისათვის მომხდარიყო, მათ უფრო მსხვილი ღირებულებისა მოსჭრიდნენ. მაგრამ, როგორც ჩვენ ვთქვით, ქართული ოქროს მონეტები იმ დროის მიმოქცევაში საერთოდ არა ჩანს. მაშ რისთვის იჭრებოდა ეს წვრილი ოქროს მონეტები? თეიმურაზ ბატონიშვილი ხსენებულ წერილში წერს: „სპარსელებს რომ ნოვრუზოს დღე მოჟათ ესე იგი ახალი წელიწადი მათი, მაშინ ყეენები თითოს დანგის წონას ფულებს მოაჭრევენბდნენ ვერცხლისა და ოქროსასა და თავიანთ ხალხს დაურეგებდნენ მათის დღესასწაულის მისალოცავათ“. შემდეგ თეიმურაზი გვაუწყებს, რომ ამ წონის მონეტებს საქართველოში ერქვა „შაჰური“ და რომ მათ თავისი სახელწოდება მიიღეს ირანული სახელწოდებიდან „შაჰი“. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ერთი მისხალი შეიცავს ექვს დანგს, რომ მისხალი უდრის 4,436 გრ. მაშასადამე, ოქროს და ვერცხლის ის მონეტები, რომელზედაც ამბობს თეიმურაზი, იწონიდნენ  $\frac{1}{6}$  მისხალს, ანუ 4,436 : 6 = 0,739 გრ.

დღესასწაულის მილოცვის დროს მონეტების დარიგების ჩვეულება არსებობდა საქართველოშიც (შესაძლებელია ირანის გავლენით). ამის უდავო დამტკიცებას ჩვენ ვპოულობთ იმ მონეტებში, რომლებიც დარჩა XVIII საუკუნიდან. ნუმიზმატ დ. კაპანაძის კოლექციაში დაცულია ვერცხლის ბისტის (ბისტის კი იჭრებოდა მხოლოდ სპილენძისა), მოჭრილი 1717/1718 წ. და დანიშნული ხალხზე დასარიგებლად ნოვრუზ-ბაირამის დროს. მონეტა იწონის 0,42 გრ. და მოჭრილია ძლიერ განმარტივებული წესით; ლეგენდა მოჩანს მეორე მხარეზედაც და მონეტა ძალიან ჰვავს იმ თანამედროვე ნომრის ნიშანს, რომელსაც იძლევიან ტანისამოსის გასახდელეებში.

ესლა შევადართო თეიმურაზის სიტყვები ვერცხლის იმ ბისტის არსებობაზე, რომელიც იჭრებოდა ხალხზე დასარიგებლად, და ხსენებული ორი საბუთის მონაცემები. ამ საბუთების მიხედვით ოქროს შაურის მფლობელნი არიან წარჩინებულნი, ყოველ შემთხვევაში შეძლებული პირები. ამ შაურების წონა, ემთხვევა ოქროს იმ შაურიანების წონას, რომელზედაც ლაპარაკობს თეიმურაზი. როგორც თეიმურაზის, ისე ხსენებული საბუთების მონაცემებიდან ჩანს, რომ ოქროს ერთი მისხალიდან, ე. ი. 6 დანგიდან, იჭრებოდა ექვსი შაური, თეიმურაზის ცნობის მიხედვით ოქროს შაურიანი იწონიდა 0,739 გრ. ხსენებული ორი საბუთის მიხედვით კი 0,739 გრ. (სრული დამთხვევა) და 0,777 (თითქმის სრული დამთხვევა).

ექვს გარეშეა, ოქროს შაურები, ისე როგორც ვერცხლის ბისტის, იჭრებოდა ხალხზე (უფრო სწორად რომ ვთქვათ მახლობელ პირებზე) დასარიგებლად დიდი დღესასწაულის დროს (შემთხვევითი არაა ის, რომ საჩუქრად სპილენძის ბისტის მაგიერ იჭრებოდა ვერცხლის ბისტის და ვერცხლის შაურის მაგიერ ოქროს შაური). ისინი იჭრებოდა, როგორც გასაჩუქებლად ისე საკუთარი საჭიროებისათვისაც, და გამოიყენებოდა, უმთავრესად; როგორც განძი ესთეტურ ფორმაში (ფარლული, თავსაკრავი და სხვ.).

8. გვილდენშტედტი, რომელიც საქართველოში 1772 წ. იმყოფებოდა, ამბობს, არც ირანელებმა და არც ქართველებმა არ იციან სათანადო წესით ძვირფასი ლითონების ლეგირება (შეწევა სხვა ლითონთან) და რომ ისინი მონეტებს წმინდა ლითონიდან სჭრიანო (გვ. 359). ჩამოსთვლის რა ვერცხლის



ქართულ მონეტებს, დასძენს: „ყველა ნახსენებ ვერცხლის მონეტებს შეფუკვლავ აჭრევენებს ძალიან კარგ, მორჩილული ვერცხლიდან“<sup>1</sup>.

ასეთივე ცნობას იძლევა ბურნაშევი: „Мастерства из золота и серебра плохи и без искусства не умеют смешать оное с другими металлами“<sup>2</sup>.

თეიმურაზ ბატონიშვილი ხსენებულ წერილში წერდა: „ასეთს თეთრსა სჭრიდენ ჩვენშია, რომ ყოველს ევროპისა და აზიის ვერცხლზედ ჩენი ვერცხლი უფრო წმინდა იყო“<sup>3</sup>.

ამ ცნობებთან დაკავშირებით იბადება ორი კითხვა: 1) იცოდენ თუ არა ქართველებმა ძვირფასი ლითონების ლეგირება და 2) რაგვარი ვერცხლისაგან, ნარევი თუ წმინდა ვერცხლისაგან, იჭრებოდა მონეტები.

ოქრო იყო პირველი ლითონი, რომელიც აღმოაჩინა ადამიანმა, ვინაიდან ბუნება იძლევა მას წმინდა სახით ან თვითონ ასრულებს მისი გამოყოფის რთულ ტექნოლოგიურ პროცესს. ვერცხლის გამოყოფა გულისხმობს რთულ სამუშაოს, ტექნიკის შედარებით მაღალ განვითარებას. „ამიტომ მისი ნაკლები აბსოლუტური იშვიათობის მიუხედავად, ვერცხლის თავდაპირველი ღირებულება შედარებით უფრო დიდია, ვიდრე ოქროსი“<sup>4</sup>.

ქართველები ვერცხლს საკუთარ ქვეყანაში პოულობდნენ, ისინი ასრულებდნენ რთულ ტექნოლოგიურ სამუშაოს, რომელიც გულისხმობს შედარებით მაღალ ტექნიკას. დაუჯერებელია, რომ ქართველებმა იცოდნენ ვერცხლის გამოყოფა და არ იცოდნენ მისი ლეგირება, შერევა სხვა ლითონთან. საქართველო არ იყო იზოლირებული ევროპის და აზიის იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც მონეტებისა და ნივთებისათვის იმარებოდა ლეგირებული ვერცხლი; საქართველოს, რომელმაც ათვისა რთული ხელოვნებანი, შეეძლო აეთვისა ვერცხლის ლეგირების შედარებით უფრო მარტივი ხერხიც. ამისათვის არ იყო საჭირო ადამიანების გაზზავნა შორ ქვეყნებში — მასთან ახლოს მდებარეობდნენ რუსეთი და ოსმალეთი და კიდევ უფრო ახლოს მდებარეობდნენ ის საყაენოები, რომლებიც სჭრიდნენ მონეტებს ლეგირებული და ხშირად ძალიან დაბალსინჯიანი ვერცხლისაგან<sup>5</sup>.

ქართველებს არც სჭირდებოდათ ამ საქმის შესწავლა ვინმესთან. ნუმიზმატიკა კაპანაძის შრომა ამტკიცებს, რომ ქართველები ჯერ კიდევ XV საუკუნეში სჭრიდნენ მონეტებს ძლიერ დაბალსინჯიანი ვერცხლისაგან. ქართველ მეფეებს ხშირად ავიწყდებოდათ ისტორიის მწარე გაკვეთილები, მაგრამ იმათ არ ავიწყდებოდათ მონეტის გაფუჭების „ტკბილი“ ნაყოფი. დავემყაროთ ტავერნიეს, რომელმაც საქართველო ინახულა XVII საუკ. და რომელიც წერდა, რომ იმერული მონეტების სინჯი 2% უფრო დაბალია, ვიდრე ქართლის და ირანის

<sup>1</sup> Reisen... გვ. 357.

<sup>2</sup> Бурнашев, Картина Грузии, или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, Тифлис, 1896 г. стр. 2.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>4</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 198.

<sup>5</sup> П. Винклер, Из истории монетного дела в России. Чеканка монеты для Грузии (1804—1833). СПб., 1898, стр. 3.

მონეტებისაო (ამაზე კიდევ ქვეყნება საუბარი ქვევით). ამრიგად, არ შეიძლება ექვი შევიტანოთ იმაში, რომ XVIII საუკუნის ქართველებმა იცოდნენ ვერცხლის ლეგირება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ სწყვეტს საკითხს, წმინდა თუ ლეგირებული ვერცხლისაგან იჭრებოდა XVIII საუკ. ქართული მონეტები.

დასტურლამალის შესწავლას ჩვენ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ XVIII საუკუნის საქართველოში მონეტები ლეგირებული ვერცხლისაგან იჭრებოდა, დასტურლამალის იმ მუხლში, რომელიც მიძღვნილია ვერცხლის მონეტის მოჭრისადმი, ნათქვამია: „ოთხასი სიკილა ერთს ყურსად უნდა ჩავიდეს ცეცხლში; ამისგან გამოვა ცეცხლიდამ თამამ აიარი ვერცხლი ორი ათას სამასი“ (გვ. 33). აიარი ნიშნავს კანონიერ შენადნობს, 2300, ე. ი. 2300 მისხალი. ამავე მუხლში ნათქვამია, რომ სიკილას წონა უდრის 14 შაურს; იმ დროის შაური იწონიდა 0,4 მისხალს, მაშასადამე, სიკილას წონა შეადგენს 5,6 მისხალს, და მთელი იმ ზოდის წონა კი, რომელიც ჩადის ცეცხლში, 2240 მისხალია; ამრიგად ლეგატურა შეადგენს 2300 მინუსი 2240, ე. ი. 60 მისხალს; აქედან ადვილად დაიდგინება ზოდის და მონეტების სინჯი — იგი შეადგენს 97,4% ანუ 974/1000. ზოგიერთი წყაროების მიხედვით ვერცხლის მონეტების სინჯი XVIII საუკუნის ბოლოს შეადგენდა 92—94 (სინჯი დადგენილია მისხალში)<sup>1</sup>, რაც მეტრული წესით გამოხატული ნიშნავს 960/1000—984/1000 სინჯის მონეტებს, ე. ი. საუკუნის ბოლოს მონეტის სინჯი თითქმის უდრიდა საუკუნის დასაწყისის მონეტის სინჯს.

ქართული მონეტების სინჯის გამოკვლევის დროს ჩვენ ვერ დავკმაყოფილდით მოყვანილი წყაროების შესწავლით და ზემოთ მოცემული მსჯელობით; საკითხის საბოლოოდ გარკვევის მიზნით ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეწყო მონეტების გასინჯვა სსრკ ფინ. სახ. კომისარიატის თბილისის სასინჯო სამმართველოში. მონეტები ამ მიზნისათვის გაიღო თავისი პირადი კოლექციიდან ქართველმა ნუმიზმატმა დ. კაპანაძემ, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ ვერ დაინახა შესაძლებლად გაეღო ამ მიზნისათვის თავისი მრავალრიცხოვანი დუბლეტებიდან ერთი ცალიც კი. გასინჯვა მოახდინა სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც შეადგინა საგანგებო აქტი. ყველა მასალები, რომლებიც ეხება მონეტების ამ პირველად ჩატარებულ გასინჯვას, გამოქვეყნებულია კომისიის წევრ დ. კაპანაძის მიერ<sup>2</sup>.

მთელი რიგი მონეტების გასინჯვამ გვჩვენა, რომ მონეტების სინჯი 1719—1793 წლებში მერყეობდა 960/1000-დან 984/1000-დე, მისხალში კი 92-დან 94-დე, მხოლოდ 1778/79 წ. აბაზმა მოგვცა დაბალი სინჯი — 720/1000 ან მისხალში 69 — ამ წელში უქველად ჰქონდა ადგილი მონეტის გაფუჭებას მისი სინჯის დაწვევის გზით. მონეტების გასინჯვამ დაადასტურა ჩვენი მსჯელობის სისწორე; მან გვიჩვენა: 1) რომ XVIII საუკუნის ქართველებმა იცოდნენ ვერცხლის ლეგირება, 2) რომ მონეტები იჭრებოდა ლეგირებული ნარევი ვერცხლისაგან და როგორც წესი მაღალი სინჯიანი ვერცხლისაგან.

<sup>1</sup> იხ. Горный журнал, 1832, ч. I, кн. I, გვ. 110—122; Винклер, ხს. შრომა, стр. 2; Пахомов, Вес и достоинство... გვ. 105, შენიშვნა 31.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 6, 1943, გვ. 573—576.



სპეციალურად უნდა აღვნიშნოთ, რომ XVIII საუკუნის ქართული მოხატების სინჯი, დადგენილი მათი გასინჯვით, ემთხვევა იმ სინჯს, რომელიც ნაჩვენებია დასტურლამალში და „Горный журнал“-ში. მცირე გადახრები შეიძლება მიეწეროს მოჭრის ტექნიკას, ასეთი გადახრები დღესაც არ არის გამოირიცხული.

გასინჯული იყო არა მხოლოდ XVIII საუკუნის, არამედ XV საუკუნის მონეტებიც. ამ საუკუნის მონეტების გასინჯვამ გვიჩვენა, რომ ისინი იჭრებოდა სპილენძისაგან და მხოლოდ მოვერცხლილი იყო; ამასთან დაკავშირებით მათი ვერცხლის შინაარსი ძლიერ მცირე გამოდგა, მათ გვიჩვენეს ძლიერ დაბალი სინჯი, თუ შეიძლება აქ ვილაპარაკოთ სინჯზე, 50/1000-დან 163/1000-მდე. როგორც ჩანს, XV საუკუნეში აღვიღო ჰქონდა მონეტის გაფუჭებას სპილენძის მოვერცხლვის გზით. ჩვენ მხოლოდ ვისენიებთ აქ ამ ფაქტს იმ იმედით, რომ ოდესმე XV საუკუნის ფულის მიმოქცევაც გახდება ჩვენი შესწავლის სპეციალურ საგანად.

როგორც ჩანს გვილდენშტედტისა და ბურნაშევის ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს, აშკარად მცდარია. მაგრამ რა არის საფუძველი იმ შთაბეჭდილებისა, რომელიც მიიღო გვილდენშტედტმა? საქირთა აღვნიშნოთ, რომ საქართველო სჭრიდა მონეტებს მაღალხარისხოვანი ვერცხლისაგან, უფრო მაღალსინჯიანისაგან, ვიდრე ის ქვეყნები, რომელთაც იცნობდა ჩვენი მოგზაური — რუსეთი და გერმანიის სახელმწიფოები. ქართველი მონეტების გარეგნულობას, შედარებულს ამ ქვეყნების მონეტასთან, შეეძლო დაეტოვებინა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ისინი იჭრებიან წმინდა ვერცხლისაგან. მონეტის გარეგნულობამ თავის დროზე პოსოშკოვიც შეიყვანა შეცდომაში, უკანასკნელი ფიქრობდა, რომ იოანე მრისხანის დროს მონეტები იჭრებოდა წმინდა ვერცხლისაგან, სინამდვილეში კი ისინი იჭრებოდა მაღალსინჯიანი ვერცხლისაგან, 92,2 სინჯისა<sup>1</sup>.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ფინანსებისა და კრედიტის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1944. V. 19).

<sup>1</sup> იხ. И. Посошков, Книга о скудости и богатстве, М., 1937, стр. 347.

3. ბახტაძე

სამოციანი წლები

ნიკო ნიკოლაძე — რუსოფილური ინტელიგენციის  
წარმომადგენელი

იდეური გავლენები

სამი ძირითადი იდეური წყარო ჰქვებავდა ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობას საერთოდ და მის ეკონომიურ შეხედულებას კერძოდ: 1) პოზიტივისტური ფილოსოფია (სენ-სიმონი და ო. კონტი); 2) ჩერნიშევსკის პოლიტიკური ეკონომია და 3) ევროპის უტოპიური სოციალიზმი. თითოეული აღნიშნული იდეური გავლენა და წყარო თავისებურად არის გადამუშავებული მის მსოფლმხედველობაში და ამ საერთო მსოფლმხედველობაში თითოეულს მათგანს თავისებური ადგილი უკავია.

პოზიტივიზმიდან მან აიღო იდეალიზმი<sup>1</sup>, განების პრიმატი საზოგადოებრივ განვითარებაში, ჩერნიშევსკიდან მოძღვრება ძირითად ეკონომიურ კატეგორიებზე, ევროპის უტოპიურ სოციალიზმიდან მოძღვრება ჰარმონიული საზოგადოების ორგანიზაციის შესახებ.

<sup>1</sup> ქართული მოღვაწეები ვერ ასცდნენ კონტის იდეურ გავლენებს. ნ. ნიკოლაძე წერს: „ბუნებისმეტყველებაში ბეკონის შემდეგ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ეგრედწოდებული დადებითი, პოზიტიური მეთოდი, რომელსაც ნაწილობრივ კონტიც იზიარებდა. ეს მეთოდი ახლა ოგუსტ კონტის დამახარებლად მიაჩნიათ, თუმცა ამ მოახროვანემ, როგორც თითონაც აღიარებს, მხოლოდ ჩამოაყალიბა ის აზრი, რომელიც ძალიან დიდი ხანია მეცნიერების საკუთრებად გადაიქცა. ეს მეთოდი დამყარებულია იმ შეხედულებაზე, რომ ჩვენი გაგებისათვის ზელმისაწვდენია არა იმ ფაქტების რაობა, რომელთაც ჩვენ ვხედავთ, არა მათი ურთიერთობის მიხედვით, არამედ მხოლოდ ის მოვლენები, რომლებიც წარმოიშვებიან თვით ამ ფაქტებს შორის არსებული ურთიერთობის შეცვლის დროს. ამ ფაქტებში ჩვენ ძალგვიძს მივწვდეთ არა მათ მიხედვებს ან ბუნებას, არამედ მხოლოდ გარეგან თანმიმდევრობას ან მემკვიდრეობას, ე. ი. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ერთგვარი გარემოებების დროს წარმოიშვებიან ერთგვარი მოვლენები. მოვლენების თანმიმდევარი რიგი, რომელიც შეესაბამება ამ მოვლენების წარმომშობ გარემოებათა რიგს, გვაძლევს წარმოდგენას მოვლენათა კანონების შესახებ. სწორედ ეს თანმიმდევრობა უნდა გამოსძებნოს მეცნიერებამ და არ შეუდგეს იგი უნაყოფო კამათს თვით მოვლენათა და ფაქტთა რაობის ან ბუნების შესახებ“ (ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 299; ს. ხუნდაძე, იქვე, გვ. 44).

ჩვენ შორს ვართ იმ აზრის მტკიცებიდან, რომ კონტის ფილოსოფიურმა შეხედულებებმა არსებითი გავლენები მოახდინეს ნ. ნიკოლაძეზე 1877 წ. 10 დეკემბერს კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილ წერილში იგი ახსენებს კონტს. ჩანს, კონტის მსოფლმხედველობა აინტერესებდა ნ. ნიკოლაძეს. ქვევით მცირედად დავინახავთ ამ ინტერესით გამოწვეულ გავლენებს.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ო. კონტის ფილოსოფიური და სოციოლოგიური მოძღვრებიდან, რომელიც თავისთავად სენ-სიმონის გავლენის ქვეშ იმყოფება, ნ. ნიკოლაძემ აიღო მხოლოდ ერთი მხარე: გონების პრიმატი საზოგადოებრივ განვითარებაში. „იდეები განაგებენ მსოფლიოს და მას აბრუნებენ“ — წერდა კონტი. კონტს ეკუთვნის თეორია აზროვნების სამი სტადიის შესახებ — თეოლოგიურ, მეტაფიზიკურსა და პოზიტიურ სტადიაზე. ნ. ნიკოლაძე შორს არის აღნიშნული თეორიისაგან სამი სტადიის შესახებ, მაგრამ იგი იქ, სადაც ეხება საზოგადოებრივ განვითარების საფეხურებს, გადამწყვეტ როლს „აზრის შეცვლას“ ანიჭებს: კაცობრიობის განვითარების ისტორია მას შემდეგი წესით აქვს განხილული: პირვანდელი ადამიანის ყოფა-ცხოვრება და მისი შემდგომი ევოლუცია, ტანსაცმლის ევოლუცია, იარაღების გაუმჯობესება, ურთიერთ-კავშირის საშუალებათა გაუმჯობესება, სულიერი კულტურის ევოლუცია. მართალია, თითოეული ამ პრობლემის გარშემო მას მეტად პრივიტიული აზრები აქვს გამოთქმული, მაგრამ ის არსად არ დაღატობს ისტორიზმს. იგი ყოველთვის ცდილობს აჩვენოს, რომ კაცობრიობის განვითარება განსხვავდება ცხოველთა განვითარებისაგან, რომ კაცობრიობის პროგრესულ განვითარებას მიეყავართ მისი ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ. ო. კონტის ფორმულა, დებულება იმის შესახებ, რომ „это развитие (человеческое развитие. ვ. ბ.) в существенных чертах состоит в том, что все более и более выделяются характерные способности человечества по сравнению с таковыми же способностями животного мира, являющимися для нас общими со всем органическим царством, хотя последние по необходимости продолжают составлять первоначальную основу человеческого существования, как и всякой иной животной жизни“<sup>1</sup>, მისთვის სავსებით მისაღებია. განვიხილოთ როგორ აქვს ადამიანთა ამ საზოგადოების განვითარების სურათი წარმოდგენილი. პირვანდელი კაცის ცხოვრება: „წარმოიდგინეთ ახლა, რომ ამისთანა ორმოში და ქვაბში სცხოვრობს კაცი, თავის ოჯახით. წარმოიდგინეთ, რომ ეს კაცი სრულიად ტიტველია, აგრეთვე როგორც მისი ცოლშვილი, რომ ის მხოლოდ იშვიათათ, ხანდისხან თავს მეხით ცეცხლ-მოკიდებულ ხეებზე ითბობს და ნედლი ხორციით და ნაყოფებით ირჩენს თავს. წარმოიდგინეთ, ამ მხიარული სურათის დასავიროვნებლათ, რომ იმას ქვების და ჯოხის მეტი არაფერი იარაღი არა აქვს, და მხეცებიდან თავის დასაფარავათ მხოლოდ მარდათ ხეზე შეხტომა შეუძლია. დაუმატოთ ამას, რომ ხშირათ მის გვერდით ქვაბში ტურა და სხვადასხვა ცხოველები ბუდიან, — და, ჩვენ გვეცოდინება რა რიგათ სცხოვრობდნენ პირველი კაცები“. შემდეგ ადამიანები ტივებზე სახლებს აგებენ. „მაგრამ კაცს ტივებიც მალე მოსწყინდა, და მისმა „ახლის სურვილმა“ ამას უკეთესი სადგომები გამოაგონებინა. ჯერ გაკეთდა კარავი დამალულ ადგილებში, მერე, კარვის მაგიერათ ხის შენობები მოიგონეს, და მათ გადასადგამათ ამაღლებული, მთიული ადგილები არჩიეს; შემდგომ მოიღეს ქვის შენობა, ამას კირის და სილის ხმარება მოყვა და ბოლოს ჩვენ ისეთ ქვიტკირის შენობაებს ვხედავთ, რომელნიც ჩვენებურ სახლებს ემსგავსებიან“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ციტატა მოგვყავს წიგნით „Социология“ გვ. 15. ქრესტომათია.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები. ტ. II, გვ. 21.

ასევე ხდებოდა ტანსაცმელის ევოლუცია. „ჯერ კაცის სხეული ტიტველა იყო, და ზედ ბალნის მეტი არა მოიძებნებოდა რა. — შემდგომში, როცა მონადირე კაცმა, მოკლული ნადირის მხარზე გადების დროს, ნადირს ტყავის სითფო გაიცნო, — შემოიღეს სხვადასხვა ცხოველების ტყავის მოსხმა და ჩაცმა... მაგრამ, რადგანაც უბრალოთ მოსხმული ტყავი ქარს მაინც ვერ აკავებდა და სიციფეს მაინც ვერ აცილებდა კაცს, შემოიღეს ტყავების შეკერვა ისე, რომ ტყავს ყვილა მხრიდან კაცის სხეული დაეფარა. ამ გამოგონებას მოყვა ნაბდის და შალის კეთება, მოყვა ტილო, ბამბის ნაქსოვები და სხვა. და ახლა საქმემ იქნამდი მიაწია, რომ აბრეშუმით და ძაფით ობობას ნაქსელის გაკეთებაც კი შეუძლია“<sup>1</sup>. იარაღის ევოლუცია: „თავდაპირველათ კაცს ქვისა და კეტის მეტი იარაღი არა ჰქონია რა. მაგრამ შემდგომში, როცა ქვის ხმარების დროს იმან შენიშნა, რომ თხელი და პირბასრი ქვა მრგვალზე უფრო გამოსადეგი იყო ზოგიერთი საგნების ქრაში და პობაში, იმან თვითონაც ქვას განგებ გაღესვა და გათლა დაუწყო, რომ შკრელი, ბასრი ქვა გაეკეთებინა. მერმე, რაკი ქვა ძლიერ ადვილათ ტყდებოდა და ფუჭდებოდა, გამოძებნეს სპილენძი, და დიდხანს, მთელი საუკუნეების განმავლობაში, კაცს მეტი იარაღი არა ჰქონია“. შემდეგ მოთხრობილია იარაღების გაუმჯობესება და რკინის იარაღების შემოღება. ურთიერთკავშირის საშუალებათა განვითარება: „ჯერ მოიგონეს გზებზე, ხეებზე და ქვებზე უხვირო ნიშნების სმა; ...მერმე მოიღეს ფიცარზე, ცხვრის ტყავზე, ან ბეჭზე, ანდა ერთნაირ მცენარის ფოთოლზე ნიშნების სმა და მოსამსახურის ან მგზავრის ხელით გზაზე, დანიშნული პირისათვის გადასაცემლად. ... თანდათან გამოიგონეს ასოები, ანბანი, გამოიგონეს წიგნის წერა, მოსამსახურის გზაზე და ბოლოს ეგეც მოახერხეს, რომ როცა რომელიმე ქალაქიდან მეორეში ბევრ პირს ექნებოდა გასაგზავნი წიგნები, მრავალი მოსამსახურის მაგიერათ ერთს რომელსამე გზაენიდნენ და ყველას წიგნებს მარტო იმას ატანდნენ“<sup>2</sup>. ასეთივე ევოლუცია ჩანს ყველა სხვა გამოგონებათა მხრივაც. „რა საგანიც უნდა ავილოთ, ჩვენ ყველგან ამგვარსავე პირვანდელ უგუნურებას და იმის შემდეგ გაუმჯობესებას დავინახავთ“<sup>3</sup>.

ევოლუცია ხდება ადამიანის შეგნებისაც, აზრისა. მაგრამ „აზრის შეცვლა, რასაკვირველია, კაცის ცხოვრების წესსაც შეცვლიდა და ვააუმჯობესებდა“<sup>4</sup>.

ასე წარმოიდგინეთ, საკუთრების ინსტიტუტიც ვერ ასცილებია ამ განვითარებას და გაუმჯობესებას. „პირვანდელი კაცი ყველაფერს, რისიც ადება და დაკავება შეეძლო, თავის საკუთრებათ თვლიდა. ცოლი და შვილი რომ მისი საკუთრება იყო, ამას რა თქმა უნდა. აქ შესანიშნავი ის არის, რომ თავდაპირველათ კაცს, თავის აზრში, კაცის არსება თავის საკუთრებათ ჩაეწერა და მისი სიცოცხლე თავის სრულ უფლებაში დაეტოვებინა. „საკუთრების“ უფლებით იმას მონის მოკვლა შეეძლო, და კანონი იმას ხმასაც ვერ გასცემდა. მერმე მონის სიცოცხლეზე უფლება პატრონს ჩამოაკლდა, და მის საკუთრებათ დარჩა მხოლოდ გლეხკაცის შრომა. მაგრამ, რამდენიმე ხნის შემდეგ ძალდატანებითი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 25.

შრომის ვალდებულებაც მოისპო, ისე რომ კაცს ნება არა აქვს სხვა ძალდატანებით ამუშაოს. როგორც უწინ, კაცის სიცოცხლეზე უფლება გამოირიცხა კაცის საკუთრებისაგან, ისე გამოირიცხა შემდეგში კაცის შრომაზედ უფლებაც. ესე იგი, მონების შემდეგ მოდის გლეხობა, და გლეხობას მოჯამაგვირობა, მოქირობა მოსდევს...<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე ამ პროგრესული განვითარების ფაქტორად თვით ადამიანს, მის აზრსა და შრომას თვლის. ამდენად კაცობრიობის პროგრესული განვითარების ორი ფაქტორი იქნა აღმოჩენილი: აზრი და შრომა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ იგი შორს დგას კაცობრიობის სტადიალური განვითარების არა თუ მარქსისტულ, არამედ ბურჟუაზიულ თეორიებისაგანაც კი. მისი ნააზრევი მეტად ელემენტარულია და ბევრ შემთხვევაში არა სწორიც. მაგრამ განსხვავებით სხვა მკვლევარებისაგან იგი კარგად ხედავს, რომ „საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაფერი ხდება უეცრათ და უმიზეზოთ, ისე რომ საზოგადოებრივ ცხოვრების ნიადაგ და შეუცვლელ კანონებს არ ემონებოდეს. და როგორც ბუნებაში ერთ მოვლენას ათასნაირ სხვა მოვლენასთან კავშირი და დამოკიდებულება აქვს, ისე საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენებები ერთმანეთში ჩართული და ერთი მეორეზე დამოკიდებული არიან“<sup>2</sup>. „საზოგადოების ცხოვრების კანონები იმრიგათვე აუცილებელი და შეურყეველი არიან, როგორც თვით ბუნების კანონები“<sup>3</sup>.

თავისებური ეკონომიური დეტერმინიზმია მოცემული ნ. ნიკოლაძის მტკიცებაში იმის შესახებ, რომ ეკონომიური მოვლენები განსაზღვრავენ სხვა მოვლენებს, რომ თვით პიროვნებაც კი, რაგინდ მამაცი არ იყოს იგი, უნდა დაემორჩილოს არსებულ პირობებს, არსებული მდგომარეობის გარდაქმნის გარეშე შეუძლებელია რამე მასობრივი მოძრაობის გამოწვევა. „ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მივხედეთ, რომ ცალკე პიროვნებათა ვერავითარი თავადებულობა, ვერავითარი მათი სიმამაცე და ვერც ვერავითარი მათი მოხერხებულობა, თუ ეშმაკობა, ვერ გამოიწვევს ხალხის მოძრაობას, თუ ხალხის მასაში, ან, ყოველ შემთხვევაში, მის უმრავლესობაში, არ სუფევს იმ უკმაყოფილების ელემენტები, რომელსაც უკვე აღუვსია ხალხის სახელგანთქმული მოთმინების ფიალა. ცალკე პიროვნებათა და კასტების ყოველი მოქმედება, ყოველი მათი აზრები, რაგინდ კეთილშობილი და წმინდა იყოს ეს აზრები — მასებისათვის სრულიად უცხო რჩება; იგი მომაკვდინებელი გულგრილობით ხედება მათ, ვიდრე არ იგრძნობს, რომ მის უკმაყოფილებისა და ზემოხსენებულ ადამიანთა მეკადინეობას შორის ძირეული და განუყრელი კავშირი არსებობს. ამნაირ შემთხვევაში (უნდა ითქვას კი, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათია) მასა ერევა საქმეში და ცალკე პიროვნებათა ცდას თავის საკუთარ საქმედ მიიჩნევს, თავის საკუთარ ხასიათსა და სახეს მისცემს ხოლმე მას“<sup>4</sup>. მაშასადამე, პიროვნების როლი დაპირობებულია თვით მასების მოძრაობით, რომ პიროვნების როლის გათიშვა მასების მოძრაობისაგან შეუძლებელია, რომ თვით მასებზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა პიროვნების მოღვაწეობას თავისთვის სასარგებლოდ.

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, 88-45.

<sup>3</sup> იქვე, 88-269-270.


<sup>4</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 83. 215-216.

80-იან წლებში მარქსის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გაცნობისას, ერთი ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა ეკონომიურ ფაქტორს საფუძვლად დაუდებს საზოგადოებრივი მოვლენების ახსნას. ნ. ნიკოლაძის აზრით დეკაბრისტების ამბოხება რუსეთში თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ მარცხდება ყოველი მოძრაობა, თუ მისთვის მასებში ნიადაგი არ მოიპოვება, თუ ეს ნიადაგი მომზადებული არ არის. „ინდივიდუალურ თუ წვრილკოლექტიურ ცდებისადმი ხალხის მასების მხრით დამოკიდებულების შესახებ ნათქვამს ძალიან კარგად ადასტურებს 14 დეკემბრის ამბოხება. თითქოს არაფერი აკლდა ამ ამბოხებას. მას მხარს უჭერდა ყველა ის, ვინც კი რისამე უნარის მქონე იყო რუსის განათლებულ საზოგადოებაში; მისი პროგრამა დაფუძნებული იყო ფრიად ჰუმანიტარულ, თავისუფალ საწყისებზე: იგი, სხვა მუხლთა გარდა, შეიცავდა გლახთა განთავისუფლებას მიწით; ესეც ცოტაა. მას მხარს უჭერდა პეტერბურგში მყოფი ჯარის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. მიუხედავად ამისა, საკმარისი იყო რამდენიმე გასროლა, რომ არა თუ გაეფანტათ „მეამბოხეთა“ ბრბო, არამედ ეს ამბავი ხალხის მეხსიერებიდანაც ამოეშალათ. მართლაც და, შერჩა თუ არა ხალხს 1825 წლის შეთქმულების ისეთივე ხსოვნა, როგორც, ვთქვათ, სტენკა რაზინის ამბოხებისა? 1825 წლის შესახებ ხსოვნა სოციალურ და კვლავ დიდხანს იცოცხლებს, მაგრამ არა ხალხის მეხსიერებაში, არამედ განათლებული საზოგადოების მცირეოდენ ჯგუფში: ამის მიზეზი ისაა, რომ ხალხს ხსენებული შეთქმულების საქმე საკუთარ საქმედ არ მიუჩნევია“<sup>1</sup>.

დეკაბრისტების მოძრაობის დამარცხების მიზეზი სწორად შეაფასა ნ. ნიკოლაძემ, მაგრამ აქ საყურადღებოა არა ეს მხარე, არამედ ის, რომ რაგინდ გულწრფელი და უანგარო არ უნდა იყოს ცალკე ადამიანებისა და კოლექტივის პროგრამა და სურვილები, თუ ისინი არ არიან დაყვანილი მასების ცნობიერებამდე და მასებს იგი თავის პროგრამად არ გაუხდია, მანამ მოძრაობის გამარჯვება შეუძლებელია. ეს ფრიად საღი და სწორი დებულება უდევს საფუძვლად ნ. ნიკოლაძის მთელ სამოღვაწეო პროგრამას.

ნ. გ. ჩერნიშევსკის ეკონომიურმა და სოციალოგიურმა მოძღვრებამ უქველად დიდი როლი ითამაშა ნ. ნიკოლაძის ეკონომიურ შეხედულებათა განვითარებაში. მაგრამ არ არის სწორი შეხედულება, რომელიც აიგივეებს ჩერნიშევსკისა და ნიკოლაძის ეკონომიურ შეხედულებებს. დიდ გავლენებთან ერთად ნიკოლაძეს აქვს თავისებური შეხედულებანი, რომლებიც განსხვავდებიან ჩერნიშევსკის შეხედულებათაგან. ნიკოლაძის მრავალი შენიშვნები ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის შესახებ გახდა ზემოთ მოყვანილ არა სწორ დებულების საფუძველი. განსვენებული ცნობილი მკვლევარი ქართული საზოგადოებრივი აზრისა ს. ხუნდაძე წერდა: „60-იანი წლების რუსეთის სოციალისტური აზროვნება, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი, — ნაროდნიკული შინაარსისა იყო; მართალია; მათ აზროვნებაში უხვად იყო გაბნეული მეცნიერული სოციალიზმის ელემენტები, მაგრამ ეს მაშინდელი ახალი თაობისთვის სრულიად შეუმჩნეველი იყო. მათ უმთავრესად და

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 217.



ძირეულად ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნაწერებში ნაროდნიკული პიურ სოციალიზმის თეორია დაინახეს და მისი მიმდევრები გახდნენ. ამ მხრივ ნ. ნიკოლაძის 60—70-იან წლების ნაწერებში აუცილებლად არის ჩერნიშევსკისა და საერთოდ ნაროდნიკული სოციალიზმის გავლენა<sup>1</sup>. ორი რამ არის აქ გასარკვევი: 1) ჩერნიშევსკი არ შეიძლება ჩაითვალოს ნაროდნიკული მოძრაობის დამწყებად რუსეთში, 2) ნ. ნიკოლაძეზე არ ჩანს ნაროდნიკული იდეების ის გავლენები, რომელთაც მას მიაწერენ.

ნ. გ. ჩერნიშევსკი არასოდეს არ ყოფილა ნაროდნიკი. ნაროდნიკებმა თვით გაბერეს მისი ცალკეული არა თანმიმდევრობანი და შეცდომები და ამაზე აშენებდნენ თავიანთ რეაქციონერულ იდეოლოგიას. 50-იან და 60-იან წლების მოღვაწეთა პლეადაში იგი ყველაზე უფრო ახლო დგას მარქსიზმთან. მარქსისაგან მან დაიმსახურა სახელწოდება „რუსეთის დიდი მეცნიერისა და კრიტიკოსისა“. ამ აზრს იზიარებდნენ არა მარტო მარქსის მიმდევრები, არამედ თვით ნაროდნიკების წარმომადგენლებიც კი. ცნობილი ნაროდნიკი ნ. თ. ანენსკი წერდა: „Демократическая струя шестидесятых годов особенно яркое, полное и глубокое выражение нашла в журналистике того времени. На первом плане здесь стоял „Современник“. В первую половину эпохи 60-х годов этот журнал был властителем дум поколения. Здесь, главным образом в статьях Чернышевского (являвшегося, быть может, наиболее типичною фигурою для передовой мысли шестидесятых годов), развивалась целая стройная система общественных воззрений, построенных на демократическом начале. Я характеризую эту систему названием „демократической“, избегая позднейшего термина „народничество“, так как, во-первых, так называл ее сам Чернышевский, а, во-вторых, и потому, что воззрениям Чернышевского совершенно чужды были некоторые типические черты народничества позднейшего времени. В центре его общественного мировоззрения лежали интересы народа—и прежде всего интересы крестьянской массы, составлявшей главную часть народа; около этих интересов в перспективе располагались все остальные общественные вопросы; но Чернышевский, рационалист до мозга костей, совершенно не склонен был к идеализации тех или иных бытовых форм народной жизни, отличавшей позднейших народников“<sup>2</sup>. რომ თავი დაეანებოთ პაეტნიოვს, სტეკლოვს, პლენანოვს, რომელნიც ამავე შეხედულებას იზიარებენ, უახლეს შრომებშიაც ასეთივე აზრებია გატარებული<sup>3</sup>. რაც შეეხება მარქსს, იგი არსად არ უწოდებს ჩერნიშევსკის ნაროდნიკს, ლენინი ჩერნიშევსკის „რევოლუციონერ დემოკრატად“ თვლიდა. ამას ხაზი უნდა გაესვას იმისათვისაც, რომ თუ ჩერნიშევსკი არ იყო ნაროდნიკული იდეოლოგიის მამა-

<sup>1</sup> ს. ხუნდაძე, ნარკვევები, გვ. 249. გამომც. „ფედერაცია“, თბილისი, 1941 წ.

<sup>2</sup> Н. Ф. Анненский, Сорок лет назад: крѣбულში „На славном посту“, СПб, 1906 г., стр. 449.

<sup>3</sup> Полянский В. (П. И. Лебедев), Три великих русских демократа, 1936 г.


მთავარი და მისი პროპაგანდისტი, საეჭვოა, რომ ჩერნიშევსკის გავლენით ნაროდნიკულ შეხედულებათა მატარებელი გამხდარიყო ნ. ნიკოლაძე.

ქართველი ინტელიგენციის საკმაოდ ფართო წრე იცნობდა ნ. გ. ჩერნიშევსკის. მათ შორის იყო ნ. ნიკოლაძეც. ი. ი. ისარლიშვილის ცნობით კავკასიელთაგან, რომლებიც ჩერნიშევსკის ბინაზე დაიარებოდნენ იყვნენ: ნ. ი. ნიკოლაძე, ვ. ე. წერეთელი, ნ. ბ. ლოლობერიძე, ბ. ლ. ლოლობერიძე, კ. ბ. ლორთქიფანიძე; გ. თუმანიშვილის ცნობით თვით ი. ი. ისარლიშვილი არ თამაშობდა მის მიერ ნახსენებ წრეში გამოჩენილ როლს. იგი, როგორც სხვები, თავის დროის მოძრაობას მისდევდა. თავის ცნობილ მოგონებაში 60-იან წლების პესახებ ნ. ნიკოლაძე არაერთხელ იხსენიებს ჩერნიშევსკის. ამ მასალებიდან ჩანს, რომ ქართველ ინტელიგენციას აინტერესებდა ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობიდან: ა) თავისუფლების მქადაგებელი მეცნიერება, ბ) თანამედროვე სოციალიზმის დებულებები, გ) პედაგოგიური იდეები, დ) გლეხთა განთავისუფლების საკითხი, ე) ახალთაობის მოღვაწეობის პროგრამა, ვ) ახალი საზოგადოებრივი წყობის საკითხი და, რაც მთავარია ჩვენი კლევისათვის, ზ) პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საკითხებზე.

ქართველ ინტელიგენციას ხიბლავდა, ახლისაკენ მისწრაფებებს უღვიძებდა ჩერნიშევსკის მოწოდება: „მომავალი მშენიერი და ბრწყინვალეა. შეიყვარე იგი, ესწრაფეთ მას, იმუშავეთ მისთვის, მოახლოვეთ იგი, გადმოიტანეთ იგი აწმყოში, რამდენადაც გადმოტანა შეგიძლიათ: თქვენი ცხოვრება იმდენად იქნება ნათელი და კეთილი, სიხარულითა და სიამით აღსავსე, რამდენადაც შესძლებთ მასში მომავლიდან გადმოღებას. ესწრაფეთ მას, იმუშავეთ მისთვის, მოახლოვეთ იგი, გადმოიტანეთ აწმყოში მისგან ყველაფერი, რის გადმოღებაც შეგიძლიათ“. და 60-ანი წლების ქართველთა საუკეთესო წარმომადგენელი ჩერნიშევსკის ზოგიერთ იდეებზე დაყრდნობით ცდილობს აწმყოში გადმოიტანოს მომავლიდან ყველაფერი, რისი გადმოტანაც მას შეუძლია. ამ ნიადაგზე მუშაუდებოდა ანალიზი პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებისა ერთი მხრივ და სოციალისტური იდეები მეორე მხრივ.

### პოლიტიკური ეკონომია

პოლიტიკური ეკონომიის საგანი. 60-იან და 80-იან წლებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიური მეცნიერებისადმი ყურადღება. ორი ძირითადი გარემოებით აიხსნება ეს ყურადღება: 1) ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება შომწიფდა იმდენად, რომ ეკონომიური საკითხები მოწინავე ინტელიგენციის ყურადღების ცენტრშია. 2) ევროპული ეკონომიური აზრი, რუსეთიდან გადმოტანილი, ძირითადად ხელს უწყობს ეკონომიურ საკითხებზე მსჯელობას. ეკონომიურ განვითარებაში ეს ის პერიოდია, როდესაც ირდევია ძველი ნატურალური ურთიერთობა და მის ადგილს თანდათანობით კაპიტალისტული მესარწევობა იჭერს. აზროვნების მხრივ ეს არის პერიოდი ახალ საზოგადოებრივ წყობაზე ოცნებისა, რომელიც ბატონყმობის გაუქმებამ გამოიწვია საზოგადოების მოწინავე ნაწილში. ერთი მხრივ ხდება ეკონომისტთა აზრების გადმონერგვა, მათი



ფალსაზრით ჩვენი საზოგადოებრივი მოვლენების განხილვა, მეორე მხრივ სოციალისტური იდეების ჩამოყალიბება.

ქართულ ქურნალ-გაზეთებში წარმოებს დასავლეთ ევროპის ეკონომისტების აზრებზე მსჯელობა, მათი მიღება თუ არ მიღება. ყურადღების ცენტრში ექცევიან: მერკანტილისტები, ფიზიოკრატები, ვ. პეტი, ა. სმიტი, დ. რიკარდო, ჯ. ს. მილი, მალტუსი, ბასტია, სეი, პრუდონი, სენ-სიმონი, ფურიე, მარქსი, ენგელსი და სხვ. მათ შეხედულებათა განხილვას ეპიზოდური ხასიათი აქვს, მაგრამ მეტად საყურადღებო პრობლემებთან არიან ისინი დაკავშირებულნი.

ქართველ 60-ნეთა ნაწერებში ხშირად მოიხსენება მეცნიერება პოლიტიკური ეკონომია. ნ. ნიკოლაძე ვერ აცდა ამ საერთო მიმდინარეობას. კიდევ მეტს ვიტყვი, იგი პირველ თავის შრომას მეცნიერული ხასიათისას ეკონომიურ მიმართულებას აძლევს. ასეთია მისი სადისერტაციო შრომა: „განაჩინება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები“, დაწერილი 1868 წელს<sup>1</sup>.

პოლიტიკური ეკონომიის საგნის გაგებაში იგი კლასიკური სკოლის მიმდევარია. ისე როგორც ა. სმიტი, ნ. ნიკოლაძე პოლიტიკური ეკონომიის სახით გულისხმობს ისეთ მეცნიერებას „რომელიც აკლავს თუ რა რიგად გროვდება ხალხის სიმდიდრე და რა მიზეზებზეა დამოკიდებული ხალხის კარგი ან ავი მდგომარეობა. ამ მეცნიერებას „საზოგადო“ (სოციალური, პოლიტიკური) ეკონომია ჰქვია“<sup>2</sup>. ამ კონტექსტში იგი არსად არ ასახელებს ა. სმიტს. მაგრამ უდაოა, იგი კლასიკური სკოლის მოძღვრებას კარგად იცნობს და იცნობს მას უმჭევლად. ნ. ვ. ჩერნიშევსკის მეშვეობით. ჯონ სტიუარტ მილის „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“ დაიბეჭდა რუსულად ჩერნიშევსკის თარგმანში და მისივე შენიშვნებით 1860—61 წელს. ნ. ნიკოლაძის წერილი „ამხანაგობის ძალა“ 1870 წელს. ჯ. სტ. მილის თხზულების რუსულად გამოცემას რასაკვირველია დიდი რეზონანსი ჰქონდა იმდროინდელ რუსულ ინტელიგენციაში, მით უმეტეს, რომ იგი გამოიცა ჩერნიშევსკის კომენტარებით, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ. ამ თარგმანში წინასწარ შენიშვნებში ავტორის ასეთი განმარტებაა პოლიტიკური ეკონომიის საგანისა: „Политическая экономия, как отрасль науки, возникла очень недавно. Но предмет ее исследований необходимо был во все века одним из главных практических интересов человечества, иногда чрезмерно заслонявшим собою все другие интересы. Этот предмет—богатство. Экономисты поставляют целью своей науки исследования о сущности богатства, законах его производства и распределения. Прямо или косвенно в этот круг входит изложение всех причин, от которых зависит хорошее или дурное состояние человечества вообще или известного человеческого общества по отношению к предмету всеобщего желания людей, богатству. Трактат о политической экономии не может ни разобрать подробно, ни даже

<sup>1</sup> ს. ხუნდაძე: „რამდენადაც ვიცით ეს წიგნი პირველი სადისერტაციო შრომა იყო, რომელიც ქართველის მიერ იყო წარდგენილი ევროპის უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხის მისაღებად“: ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 448.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 200.

перечислить всех этих причин; но он должен изложить наши сведения о законах и принципах, по которым они действуют<sup>1</sup>.

ჩერნიშევსკიმ თავის კომენტარებში „სიმდიდრე“ განსაზღვრა როგორც „ჯამი საგნებისა, რომლებიც სასარგებლონი ან სასიამოვნონი არიან, რომელთაც აქვთ საცვლელი ღირებულება“<sup>2</sup>. ჩერნიშევსკის განმარტებით მეცნიერების ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ეძებოს საშუალება ადამიანთა შორის განსხვავებათა გაზრდისათვის, არამედ იმაში, რომ მონახოს პირობები, რომელთა საფუძველზე მრავლდება სასარგებლო საგნების რაოდენობა, რაც ადამიანებს ეკუთვნით. ამისათვის მას უკეთესად მიაჩნია პოლიტიკური ეკონომიკის განმარტებულ იქნას როგორც მეცნიერება ადამიანის მატერიალურ კეთილდღეობის შესახებ, რამდენადაც იგი დამოკიდებულია საგნებსა და მდგომარეობაზე, რასაც შრომა ქმნის“<sup>3</sup>. ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის ამ განმარტების საფუძველზე დგას. მისი აზრით საზოგადოების კეთილდღეობას სასარგებლო საგნების წარმოება წარმოადგენს. საგნების წარმოების საფუძველს კი ადამიანის შრომა წარმოადგენს. „...საზოგადოებრივი კეთილდღეობა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ერთდროულ და მრავალმხრივ განვითარებით ყველა იმ ელემენტებისა, რომელთაგანაც შესდგება ხალხის ცხოვრება. საზოგადოების ყველა ფენებს, ყველა წრებს და ყველა ძალებს ესაჭიროებათ გაქანება და განვითარება. ამისათვის საკმარისი არაა მაგარი ფრაზები; საჭიროა ცოდნა. საჭიროა ნებისყოფა და ბეჯითი, გამუდმებული შრომა ბევრისაგან-ბევრ ცალკე პიროვნებათა. სანამ ეს პიროვნებები არ ამოღდებიან მრავალმხრივი მოღვაწეობის აუცილებლობის შეგნებამდე, სანამ ისინი ვერ ისწავლიან შეაჯგუფონ თავიანთი ღონისძიებანი და ეკონომიურად გამოიყენონ თავისი ძალები, სანამ ისინი არ შეიარაღდებიან მეცნიერებითა და ენერჯით, მათი ღონისძიება იქნება ფუჭი და უნაყოფო, ყველა მათი ძალები და ყველა მათი კეთილი ნება-სურვილები მოიქანცებიან ცალკე პიროვნებათა სიზიფის შრომით, და გაისრისებიან ან მასების განუვითარებლობით ან მტრულ მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ ძალთა ზეგავლენით“<sup>4</sup>. შრომისათვის, როგორც საზოგადოების კეთილდღეობის ფაქტორისათვის, ხაზგასმა საერთოდ დამახასიათებელია სამოციანელთა ეკონომიურ შეხედულებათათვის.

ასევე კლასიკოსების გავლენის ქვეშ იმყოფება ნ. ნიკოლაძე, როდესაც პოლიტიკური ეკონომიისა და საზოგადოების ცხოვრების კანონები ბუნებრივი კანონების რანგამდე აჰყავს. „პოლიტიკური ეკონომიის და საზოგადოების ცხოვრების კანონები იმრიგათვე აუცილებელი და შეურყეველი არიან, როგორც თვით ბუნების კანონები. როგორც ამ ბუნების კანონების ძალით კაცი რამდენიმე წამის მეტს ვერ გასძლებს, წყალში რომ თავიანთ ჩაიყურყუმალოს, აგრეთვე ვერც საზოგადოება და ვერც კერძო პირი ვერ იცხოვრებს დიდხანს ვალის აღებით, თუ მისი შრომის ან მამულის შემოსავლიდან, ვალის სარგებლის

<sup>1</sup> Полн. собр. соч. Н. Г. Чернышевского, т. VII, 1905. Основания политической экономии Д. С. Милля, стр. 5.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>4</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 118.



გადახდის გარდა, იმოდენა კიდევ არ დარჩა, რომ თავის საკვებათ ჰყოფნიდეს. ყოველთვის, როცა აღებული ვალი, ვალის ამღების მიმუღს არ აღმჯობესებს, ესე იგი, იმის შემოსავალს არ აღიდეგს, ვალი კაცის დამღუპველია, ადრე თუ გვიან ის ანგარიშს შეუშლის კაცს, დაუბურდავს მის საქმეს და მესხავით დაეცემა თავზე გადახდის ვადაზე. ეს პოლიტიკური ეკონომიის კანონები შეუცვლელი არიან, და ვალის აღება და ვალის საქმე ნიდავ და ყოველგან ემორჩილება იმათ<sup>1</sup>. კიდევ მეტი: მას პოლიტიკური ეკონომია საზოგადოების წყულულების მკურნალად მიაჩნია. იგი ფიქრობს, რომ პოლიტიკური ეკონომიის რჩევა-დარიგებანი ერთერთი საშუალებათაგანია, რომელიც ჩვენი საზოგადოების გაქირვებულ მდგომროებას მოუხდება. „ეს ექიპია ის მეცნიერება, რომელსაც მიზნათ საზოგადოების განწყობილება და კანონების გამოკვლევა აქვს, და სახელათ „პოლიტიკური (ანუ სოციალური) ეკონომია“ ჰქვია. ეს მეცნიერება გაუგებარია და ძნელი საგანი არ არის, ისეთი, რომ მისი დარგების გაგება ყველას არ შეეძლოს და მისი რჩევა აუსრულებელი იყოს. მაშ კუდი როდი იქნება, ჩვენი საზოგადოება ხეირიანათ ყურადღებას რომ მიაქცევდეს ამ საგანს და გულდაგულ მოინდომებდეს ამ სწავლისაგან გამოძებნილი საშუალების ხმარებას. რასაკვირველია, რომ ეს სწავლა ვრცელია, და ჩვენ მდგომარეობას მარტო ერთი საშუალება კი არ ეყოფა, მაგრამ ყველას ხომ კაცი ერთად ვერ მოედება“<sup>2</sup>. მთელი ეს დებულება სხვაგვარი სიტყვებით და სხვაგვარი გარემოებისათვის ამოღებულია ჯ. სტ. მილის დასახელებული თხზულებიდან.

„განაწილების კანონები აუცილებლად არ არის გამორიცხული თვითნებობისაგან: ისინი ნაწილობრივ თვით ადამიანის მიერ იქმნებიან, ვინაიდან სიმდიდრის განაწილების წესი მოცემულ საზოგადოებაში დამოკიდებულია მასში გაბატონებულ დადგენილებებსა და ჩვეულებებზე. მაგრამ თუ მთავრობებს ან ნაციებს აქვთ ხელისუფლება განსაზღვრონ, თუ რა დაწესებულებანი უნდა არსებობდნენ, მათ თვითნებურად არ შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რა მიმართულებით იმოქმედებენ ეს დაწესებულებანი. პირობები, რომლებზედაც დამოკიდებულია მთავრობების ან ნაციების ხელისუფლება სიმდიდრის განაწილებაზე, და გავლენა, რომელსაც იგი ახდენს მის განაწილებაზე მოქმედების სხვადასხვა სისტემებით, რასაც საზოგადოება მიმართავს, წარმოადგენს სწორედ ისეთივე ხუსტი მეცნიერული ანალიზის საგანს, როგორც ბუნების ფიზიკური კანონები“<sup>3</sup>.

რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძემ იცის, რომ თანამედროვე საზოგადოება კლასებად არის დანაწილებული, რომ ამ კლასებს შორის არის ბრძოლა, მაგრამ იგი ყოველთვის გაურბის პოლიტიკური ეკონომიის საგნის განხილვას კლასობრივი ურთიერთობის თვალსაზრისით. ამ მხრივაც იგი ჯ. სტ. მილისა და საერთოდ კლასიკური სკოლის გავლენის ქვეშ იმყოფება და ის საყვედური, რომელიც ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ესროლა მილს, მაშლიანად მიუდგება ნ. ნიკოლაძესაც. ჩერნიშევსკი წერდა თავის კომენტარებში: „Сказав, что состояние

<sup>1</sup> იქვე, გვ. 270.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 271.

<sup>3</sup> Полное собр. соч. Н. Г. Чернышевского, т. VII, 1905 г. Основания полит. экономии Д. С. Милля, стр. 23.

данного общества, не имеющего ни жилищ, ни запасов пищи, есть состояние величайшей бедности, какая только известна нам по истории, Миаль прибавляет: но „в обществах гораздо богатейших, есть классы, находящиеся в состоянии столь же незавидном, как эти дикари“, несравненно беднейшие всяких эскимосов, якутов, и готтентотов. Что же это такое? С чем это сообразно? Как это возможно? Не знаем; по-видимому, это ни с чем несообразно, по-видимому, это должно бы было брать невозможно. Но это действительно так.

Этими двумя строками портится все дело. История экономического развития портится фактом, о котором они говорят. А еще хуже для теории, предисловие к которой мы видели, то, что из двадцати страниц она посвятила этому факту ровно две с половиною строки. Больше этого не стоит, видно, говорить о нем: видно, что он не важен, не занимателен, да и больше сказать о нем нечего, как мимоходом упомянуто о нем: нет, видно, никаких особенных средств помочь ему; довольно в двух строках сказать, что есть вот такой факт, выразить сожаление о нем и заняться другими предметами, более важными<sup>1</sup>.

ბ. გ. ჩერნიშევსკისათვის პოლიტიკური ეკონომია კლასობრივი მეცნიერება. მისთვის კლასობრივი ურთიერთობის საკითხი, რომელიც „ისტორიის მთავარი მომძრავებელია“, წარმოადგენს ძირითადს ეკონომიურ მოძღვრებაში. არსებული ურთიერთობის გარდაქმნა, ამ გარდაქმნის ახალი გზების გამონახვა ჩერნიშევსკის ეკონომიურ შეხედულებათა ცენტრშია. ნ. ნიკოლაძე შემდეგში შეეცდება განავითაროს შეხედულებანი ახალი საზოგადოებრივი წყობის შესახებ, მაგრამ ძალიან მალე ამ შეხედულებებს დასტოვებს, რომ ლიბერალური ბურჟუაზიის იდეების გამომხატველი გახდეს.

შრომის განაწილება, სხვაქონლო ურთიერთობა, საქონლის ღირებულება და ფასი. საზოგადოებაში შრომის განაწილების საკითხს ნ. ნიკოლაძემ ყურადღება მიაქცია მოსე ქიქოძის წერილის „საქართველოს მომავლის“ დაბეჭდვის შემდეგ. მოსე ქიქოძემ რამდენიმე წერილი დაბეჭდა ჟურნ. „მნათობში“ (1870 და 1871 წ.). ამათგან ყველაზე მეტად საინტერესოა ჩვენი საკითხისათვის „საქართველოს მომავალი“, „გზებისა და ბოგირების მნიშვნელობა“, „სუსტი კეუის ამჟობა“. ისე როგორც ნ. ნიკოლაძე, მოსე ქიქოძე ჯ. სტ. მილის შეხედულებების გავლენას განიცდის. იგი კარგად ხედავს, რომ საქართველოს მომავალი ახალი გზებით მიიმართება, ეს გზა - კაპიტალისტური განვითარების გზაა. კაპიტალისტურ განვითარებისათვის კი დამახასიათებელია შრომის საზოგადოებრივი განაწილება და შრომის განაწილება მანუფაქტურის შიგნით. მ. ქიქოძისათვის შემთხვევითი არ არის შრომის განაწილების საკითხებზე მსჯელობა, ვინაიდან იგი კაპიტალიზმის განვითარების მომხრეა, იგი მომხრეა საკუთარი, ნაციონალური კაპიტალის გაძლიერებისა, იგი მომხრეა იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა გამდიდრდეს. გამდიდრების საფუძველი კი ფაბრიკა-ქარხნების აშენებაა.

ვაჭრობის განვითარება, ხენა-თესვის გაძლიერებაა. „პოლიტიკურ ეკონომიაში“ ჩვენ თითქმის ვერ შევხვდებით ამ გვარს ჭეშმარიტს წინადადებას, როგორც შემდეგია: ის მხარე, საიდანაც გააქვს მასალები და მაგივრად შემოაქვს შემზადებული (საქონელი), ის მხარე ლარიბდება, და რომელსაც შემოაქვს შეუმზადებელი და გააქვს შემზადებული — მდიდრდება; პირველი მონათ ხდება და მეორე ბატონათ. ამის დასამტკიცებელს ფაქტებს ვხედავთ კალიფორნიაში, ჩილში, სათათრეთში, ავსტრალიაში, სადაც არავითარი ხელოვნება (წარმოება) არ არის, საცა მარტო ხენისა და თესვის მეტი არა იციან რა. ჩვენშიც ხომ ასე არის, ჩვენ არაფრის შემზადება არ შეგვიძლიან, არ გვაბადია არავითარი ფაბრიკები და ქარხნები, არა გვაქვს არავითარი ტექნიკური (ხელოვნური) ცოდნა“<sup>1</sup>. ამ მსჯელობაში უეჭველად ჩანს გვიანი მერკანტილიზმის იდეების ნაწილობრივი გამოსახულება. სამართლიანად შენიშნავს პროფ. ს. ხუნდაძე, რომ მ. ქიქოძის ამდროინდელი ეკონომიური პროგრამა „ბურჟუაზიული შინაარსისაა“<sup>2</sup>.

მ. ქიქოძეს, ისე როგორც ნ. ნიკოლაძეს, შრომის განაწილების საკითხში ერთი და იგივე წყარო აქვთ — ეს არის ჯ. ს. მილის შრომა. მაგრამ საყურადღებოა, რომ ორივე მკვლევარი ერთი მეორეში ურევს ორ სხვადასხვა სახეს შრომის განაწილებისას: შრომის საზოგადოებრივ განაწილებას და შრომის განაწილებას საწარმოს შიგნით. მ. ქიქოძე, რასაკვირველია, კარგად იცნობს ჯ. ს. მილის წიგნის იმ ნაწილს, სადაც მილი ასხვავებს შრომის განაწილების ორ სახეს: მარტივ თანამშრომლობას და რთულ თანამშრომლობას. მოვიყვანოთ ეს ადგილი ჯ. ს. მილის შრომიდან: „მარტივი თანამშრომლობა — რამოდენიმე მუშაკის შეერთებაა ერთი მეორის დასახმარებლად ერთგვარ საქმეში; რთული თანამშრომლობა — რამოდენიმე მუშაკის შეერთება ერთი მეორის დასახმარებლად მათ შორის ოპერაციების განაწილებით“<sup>3</sup>. მოსე ქიქოძე ამავე აზრით წერს მარტივი და რთული შრომის განაწილების შესახებ. „რაში მდგომარეობს შრომის განაწილება? შრომის განაწილება მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა პირი არჩევს სხვადასხვანაირ საქმეს; ან როდესაც რამდენიმე პირი ერთსა და იმავე საქმეს იყოფს... ერთს მეცნიერ ინგლისელს, რომელსაც ეძახიან პოლიტიკური ეკონომიის მამას, ადამ სმიტს, როცა ლაპარაკობს ამ შრომის განაწილებაზედ, მოჰყავს მაგალითად ნემსების კეთება და ნათლად აჩვენებს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ასეთნაირ შრომის განაწილებას“<sup>4</sup>. ეს ის ადგილია ა. სმიტის „ხალხთა სიმდიდრიდან“, რომელიც მოყვანილი აქვს ჯ. ს. მილსაც ზემოთ დასახელებულ თხზულებებში<sup>5</sup>.

მ. ქიქოძეს ეს დებულება შრომის განაწილებისა, საწარმოში რომ არის მოცემული, მთელ სახალხო მეურნეობაზე გადააქვს. იგი წერს: „ხალხშიც შეიძ-

<sup>1</sup> მ. ქიქოძე, გზების და ბოვირების მნიშვნელობა: „მნათობი“ (აპრილი), გვ. 56—57, 1870 წ.

<sup>2</sup> ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I, გვ. 171.

<sup>3</sup> ჯ. სტ. მილის დასახ. თხზ., გვ. 169.

<sup>4</sup> მ. ქიქოძე, საქართველოს მომავალი: „მნათობი“ 1870 წ. იანვარი, გვ. 53—54.

<sup>5</sup> А. Смит, Исследование о природе и причинах богатства народов, т. I, стр. 12. ГИЗ 1931 г. ჯ. ს. მილის დასახელებულ შრომაში, გვ. 173.

ლება ესეთი შრომის განაწილება. ხალხს აქვს თავისი სხვადასხვანაირი მოთხოვნა, და, რამდენადაც ხალხი უფრო განათლებული არის, იმდენი უფრო უმრავლდება მოთხოვნილება. თუ რომ ხალხს ჰსურს კეთილდღეობა, ის უნდა ეცადოს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რამდენადაც ეს შესაძლებელია იმის მხრით. ჩვენ ხალხს შეუძლია დააკმაყოფილოს თავისი თავი ბევრის მხრით. როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენში ყოველგვარი შრომა შეიძლება და უხვად დააჯილდოებს მშრომელს. ჩვენში ვაპრობა კარგი მოხერხებული არის, მით უფრო, რომ რკინის გზაც კეთდება, მეურნეობა, ღვინის-კეთება, პირუტყვების გაშენება და სხვადასხვა. მაშასადამე, ძალიან კარგი იქნება, რომ ზოგმა ვაპრობას მოჰკიდოს ხელი, ზოგმა მეურნეობას, რომელიც მიუცილებელ შედეგს შეადგენს სხვადასხვაგვარი შრომის გაცხოველებისას ჩვენში<sup>1</sup>. მ. ქიქოძემ იცის შრომის განაწილების ეკონომიური მნიშვნელობა და მას მხოლოდ ეს მხარე საკითხისა აინტერესებს, იგი აწუხებს. მან იცის, რომ შრომის განაწილება ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რაც თავის მხრივ ამცირებს საქონლის ფასს. შრომის ნაყოფიერების ზრდა კი დამოკიდებულია დახელოვნებაზე, ვარჯიშობაზე, იგი დამოკიდებულია მასზე, რომ ამცირებს დროის მონაკვეთს, წარმოებისთვის რომ არის საჭირო, ხელს უწყობს სამუშაო ინსტრუმენტების დიფერენციას, უფრო მარჯვედ გამოყენებას წარმოების ამა თუ იმ დარგში<sup>2</sup>. მაგრამ ყველაფერი ეს ეხება ხალხის ეკონომიური განვითარების საკითხებს და არა თვით მწარმოებლის მდგომარეობას. მ. ქიქოძეს დაავიწყდა უარყოფითი მხარეები, რომლებიც თან ახლავს შრომის განაწილებას მის კაპიტალისტურ გამოყენებაში. ქიქოძისათვის ეს შემთხვევითი არ არის, ვინაიდან იგი ჯ. ს. მილის საფუძველზე დგას და მას კი სწორედ ეს პრობლემა სამუშაო ძალის მდგომარეობის შესახებ, შრომის კაპიტალისტური განაწილების პირობებში რომ იქნება, არ აინტერესებს ან ნაკლებ აინტერესებს.

სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა ამავე საკითხს ნ. ნიკოლაძე. მისთვის საინტერესოა არა მხოლოდ ეკონომიური წინმსვლელობა ქვეყნისა, მისთვის საჭიროა იცოდეს თვით უშუალო მწარმოებელს რა ემართება შრომის განაწილების პირობებში. აქ იგი მთლიანად ნ. გ. ჩერნიშევსკის შეხედულებების საფუძველზე დგას. ნ. ნიკოლაძე წერს: ... უფ. ქიქოძე ძლიერ წინდაუხედველათ ამტკიცებს, რომ შრომის განაწილება მეტათ სასარგებლო არის ხალხისათვის. უფ. ქიქოძე სახელგანთქმული ეკონომისტების სიტყვებს იმეორებს, მაგრამ „მნათობს“ უნდა სცოდნოდა, რომ შრომის ნამეტან განაწილებას იმოდენა სარგებლობა არ მოუტანია, რაც ვნება მიუცია ხალხის გონებისათვის. შრომის განაწილება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ერთმა წალები ჰკეროს, მეორემ ივაკროს, მესამემ-სთესოს და სხვა. ამნაირათ შრომის განაწილება მართა უფ. ქიქოძეს ესმის. სხვები კი შრომის განაწილებას იმას უძაიან, რომ ერთი წადის შესაკერათ, მაგალითად, ერთი ძაფს გრებს, მეორე ფისს უსვამს, მესამე ტყავს ალბობს, მეოთხე სჭიმავს, მეხუთე სჭრის, მეექვსე გვირიშტს უყოლებს და სხვა.

<sup>1</sup> მ. ქიქოძე, იქვე, გვ. 57.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 58—59.



და სხვ. ახლა წარმოიდგინეთ იმ მუშის მდგომარეობა, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ტყავის წყალში ჩადების და ამოღების მეტს არას შერებარას, და იფიქრეთ, რა მდგომარეობაში უნდა იყოს მისი გონება, ქეჟა, ტანი და სხეული, ხელების გარდა? დამტკიცებულია, რომ ამნაირ მდგომარეობაში კაცი ძრიელ მალე სრულიად სულელდება და უფრო მანქანათ იქცევა. ამას გარდა „მნათობს“ ის ბუნების კანონიც უნდა გახსენებოდა, რომ როცა კაცმა ორი-სამი ხელობა იცის და ხან ერთს ჰკიდებს ხელს, ხან მეორეს, მაშინ მისი შრომა უფრო ხალისიანია და ნაყოფიერი, და მშრომელს უფრო ნაკლები დროც ვაკარგება, ამიტომ რომ შრომის გამოცვლა დასვენებას ედრება, როგორც დაამტკიცა ერთმა სწავლულმა (ამ დამტკიცებას უფ. ქიქოძე თუნდ მილის რუსულ თარგმანშიაც იბოვის, მაგრამ მარტო პირველ გამოცემაში 1860 წ.“)<sup>1</sup>. ეს „ერთი სწავლული“, რომელზედაც ნ. ნიკოლაძე ლაპარაკობს, ნ. გ. ჩერნიშევსკია. აქ შედეგობაშია მისი კომენტარები ჯ. ს. მილის შრომისადმი.

ნ. ნიკოლაძის ამ კრიტიკულ მსჯელობაში ორი რამ არის საყურადღებო: იგი არ არის წინააღმდეგი შრომის განაწილებისა, მაგრამ შრომის განაწილების საკითხს არ აქცევს იმ ყურადღებას, როგორც მ. ქიქოძე. ნ. ნიკოლაძე იქვე წერს: „ამ საგანს ჩვენ გაკვრით შევხებით, იმიტომ რომ მას ჩვენში ჯერ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“. „მნათობს“ იმას უსაყვედურებს, რომ მის პუბლიცისტს პუბლიცისტური ცოდნა „მოძველებული წიგნებიდან შეუძენია“. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი შრომის განაწილების შეფასებაში მთლიანად ჩერნიშევსკის პოზიციებზე დგას და ის, რაც შენიშნა ნ. ნიკოლაძემ მ. ქიქოძეს, შენიშნა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ჯ. ს. მილს. ჩერნიშევსკი თავის კომენტარებში წერდა: „Все, что говорит Милль о сочетании труда, совершенно справедливо; но каждый из читателей видит, что он забыл рассмотреть ту сторону последствий этого закона, которая относится прямым образом не к производству, а к производящему работнику, очень сильно отражаясь, впрочем, и на самом производстве, на его зависимости от качеств работника“<sup>2</sup>. ამრიგად, მ. ქიქოძე მილის შეხედულებათა საფუძველზე დგას, მაშინ როდესაც ნ. ნიკოლაძე — ჩერნიშევსკის საფუძველზე. ერთი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მოძღვრებას იზიარებს, მეორე დემოკრატიულ იდეებს რუსეთის განმანათლებლებისას.

მთელ ამ მსჯელობაში საყურადღებოა მეორე მხარე. ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია არა არსებით საკითხად შრომის განაწილების საკითხი. საფუძველი ასეთი ნაკლები ყურადღებისა თვით ჩვენი ეკონომიური განვითარების იმდროინდელი დონეა. ფაბრიკა-ქარხნების განვითარება არ წარმოადგენს ფართო ზოლს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ევოლუციაში. მაგრამ არის მეორე მხარეც: ჩერნიშევსკის მიმდევარი ნ. ნიკოლაძე, რომელიც რუსეთის სამოციანელთა იდეებს იზიარებდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების არა სასურველობის შესახებ, რასაკვირველია საფაბრიკო მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემას

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, „მნათობი“: რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 83—84.

<sup>2</sup> Н. Г. Чернышевский, Собр. соч. т. VII, 1905 г., стр. 180.

ასე ნაკლები ყურადღებით მოექცა. სამაგიეროდ შურომელთა მდგომარეობის საკითხი, რაც სოციალისტური ჰუმანიზმის ძირითადი საკითხია, მან ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ერთად წინ წამოსწია.

მოსალოდნელი იყო, რომ პოლიტიკური ეკონომიის სხვა ძირითად საკითხებსაც იგი ამ თვალსაზრისით განიხილავდა. და მართლაც ჩვენ ვნახულობთ, რომ ღირებულებისა და ფასის პრობლემა შრომის პრინციპით არის განხილული. ნ. ნიკოლაძესთან ჩვენ ვერ ვნახულობთ ღირებულებისა და ფასის ჩამოყალიბებულ თეორიას. მაგრამ მის შრომებში გაბნეული დებულებანი საფუძველს გვაძლევს ამ მხრივაც მის ეკონომიურ შეხედულებათა ერთგვარი რეკონსტრუირება მოვახდინოთ.

სამოციანელთა შრომებში ხშირად ვნახულობთ შრომის აპოლოგიას. საზოგადოებრივი განვითარების კანონების ახსნა-განმარტებას ისინი ადამიანთა შრომით ხსნიან. ეხებოდა რა თანამედროვე საზოგადოების განვითარების დონეს, ნ. ნიკოლაძე წერდა: „შეადარეთ აგრეთვე დღევანდელი დანები, იარაღი, თოფ-ზარბაზანი, დღევანდელი საექიმო გაწყობილება და ყოველგვარი ჩარხები იმ უბედურ გალესილ ქვას, რომელიც პირველ კაცებს საუკუნეების განმავლობაში ყოველნაირ მუშაობაში უნდა გამოეყენებინათ, შეადარეთ მისი სიმარღე და მუშაობის ცოდნა უკანასკნელი ეხლანდელი მოსწავლე ქარგლის მდგომარეობას და ცოდნას, და თქვით, ცოტა გზა გამოუვლია კაცს, და რა ძალა, რა სურვილი დასჭირდებოდა იმას ამ გზის გასაგვლეათ“<sup>1</sup>. შრომას შეუძლია უდაბნო ადგილების წალკოტად გადაქცევა, ქალაქების გაშენება, ტბების ამოშრობა და მრავალი სხვა. „კაცის ბედზე ძლიერ დიდი გავლენა აქვს თვითონ კაცს, ისეთი გავლენა აქვს, რომ იმას შეუძლია მთელი მხარესი შეცვლა, მისი ბუნებითი მდგომარეობის გადასხვაფერება და თავის სასარგებლოთ მოწყობა“<sup>2</sup>. სამოციანი წლების მეორე მოღვაწე გ. წერეთელიც ამავე აზრს იზიარებს. მისთვის შრომა ყველაფრის განმსაზღვრელია. „თუ კაცს უნდა ხალხის კეთილდღეობა და თავის გაბედნიერება, იმან ბეჯითად და დაუდგრომლად უნდა იშრომოს. სიზარმაცე თავის დღეში კაცს ვერ აამალლებს. დიდი კაცის შვილებმა და მდიდრებმაც უნდა ენერგიულად იმუშაონ, რომ მტკიცე რეპუტაცია და სახელი მოიპოვონ, რადგანაც ისინი მემკვიდრეობით მიიღებენ მარტო სიმდიდრეს და არა ცოდნას და კეთილს. მდიდარ კაცს შეუძლია სხვა ვინმე იქირაოს თავის საქმის წასამართავათ, მაგრამ კეთილსა და ცოდნას კი ვერაფრით ვერ იყიდი. ის მხოლოდ შრომით მოიპოვება და არა ფულებით. ამის გამო ღარიბმა და მდიდარმაც ერთგვარათ უნდა იშრომონ, რომ წარმატებაში შევიდნენ“<sup>3</sup>. შრომის ეს აპოლოგია როდია შემთხვევითი ნ. ნიკოლაძისა და სამოციანელთა აზროვნებისათვის. იგი კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიის მოძღვრების გავლენით უნდა აიხსნას. შემდგომ პერიოდში (70-ანი წლები) ეს გავლენა ქართველ მოაზროვნეებზე იმდენად ნათლად ჩანს, რომ შესაძლებელი ხდება ციტატების შედარებით იგივეობის დანახვაც კი. მაგალითისათვის მოვიყვანთ გ. თარხან-

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 27.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 34—35.

<sup>3</sup> გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 149.



მოურავის წერილს: „ჩვენი სიღარიბის მიზეზი“. იგი კ. პეტის შეხედულებას იზიარებს. იმდენად ნათელია ეს გავლენა, თითქოს ვ. თარხან მოურავს ვ. პეტის თხზულება წინ ედო და მისგან გადმოიწერა ადგილებით. ჯერ-ჯერობით მავალითისთვის საკმარისია შემდეგი:

„სიმდიდრე, როგორც კერძო კაცისა, ისე საზოგადოებისა მდგომარეობს ორს გამამდიდრებელ ელემენტებში: პირველს ეკუთვნის მიწა და მასში მწოლარე ნივთიულობა, მეორეს — შრომა. თუ ამ ელემენტებს კაცი ანუ საზოგადოება მოკლებული იქნება, მაშინ იმის ცხოვრებაც შეუძლებელი იქნება. — ბუნება მუქთად გვაძლევს ჩვენ პირველ ელემენტს — მიწას. ჩვენი სიცოცხლე მოითხოვს, რომ ამ ელემენტიდამ შევადგინოთ იმისთანა ნივთი, რომელიც საჭიროა ჩვენი ცხოვრების გასაგრძელებლათ: საკმელი, სასმელი და სხვა საჭირო ნივთი. ამის გამო ბუნება გვაძლევს ჩვენ საშუალებას, რომლის წარმომადგენელი არის შრომა. — ამის გამო კაცი თავის სასარგებლოთ მიიღებს შრომას, ეძებს თავის სასარგებლო ნივთებს, რომელნიც იპოვებიან მიწაში, ანუ მიწაზე, იწყობს შემუშავებას და ამგვარათ შეიძენს პირველ საჭიროებითს ნივთს, როგორც სადგომი, ტანთსამცელი. — აქედან ჩანს, რომ კაცის ცხოვრებისათვის საჭიროა შეერთება ორის გამამდიდრებელ ელემენტისა: მიწისა და მასში ნაყოფის ნივთებისა და შრომისა“<sup>1</sup>. შეადარეთ ეს ადგილი ვ. პეტის განცხადებას იმის შესახებ, რომ „შრომა სიმდიდრის მამაა, ბუნება კი — მისი დედა“. ვ. პეტი ღირებულების ორ საზომს იძლევა — შრომასა და ბუნებას. იგი წერს: „მე მინდა ვთქვა აი რა: ყველა საგნების შეფასება ორ ბუნებრივ მნიშვნელამდე უნდა იქნას მიყვანილი — მიწასა და შრომამდე; ე. ი. ჩვენ უნდა ვთქვათ: ხომალდის ან სერთუკის ღირებულება უდრის ამა და ამ რაოდენობის მიწის ღირებულებას, შრომის ამა და ამ რაოდენობას, ვინაიდან ორივე — ხომალდს და სერთუკს მიწის მიერ და ადამიანის შრომის მიერ არიან ნაწარმოებნი“<sup>2</sup>. რააკვირველია, ვ. პეტის შეხედულებათა თუ გინდ პრიმიტიულ ფორმაში გადმოცემა შემთხვევითი არ არის. საქონლის ღირებულების შრომით განსაზღვრასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური ეკონომიის სხვა კატეგორიებიც.

**საქონლის ფასი და სამუშაო ძალის ღირებულება.** ნ. ნიკოლაძე იმ შეხედულებისაა, რომ „მუშა — საქონლის შემქმნელია“. საქონლის ფასი მიწოდებასა და მოთხოვნაზე დამოკიდებული. იგი ასხვავებს „საქონლის თვითღირებულებას“ და „საქონლის გაყიდვის ფასს“. პირველის შესახებ იგი წერს: „ხოლო რაიცა შეეხება თვითღირებულებას, აი როგორ წარმოსდგება: სარგებელი წარმოებაში დაბანდებულ კაპიტალისა და მისი ამორტიზაცია, + შენახვა ფაბრიკისა, ფერმისა, ქარხნისა ან სახელოსნოსი, + ნედლი მასალის ფასი, + ხელფასი წარმოების მუშებისა და მოსამსახურეთა“. „ამა თუ იმ საქონლის გაყიდვის ფასი ... ამნაირადაა შედგენილი: თვითღირებულების ფასი, + სარგებელი ვაჭრობაში ჩადებულ კაპიტალისა, + ხარჯები გადატანისა, საწყობში შენახვისა, საქონლის ღირსების დაკარგვისა, გადასახადებისა, + შუამავალთა გასამრ-

<sup>1</sup> ვ. თარხან-მოურავი, ჩვენი სიღარიბის მიზეზი: „დროება“, 1870 წ., № 6.

<sup>2</sup> Вильям Петти, Экономические и статистические работы, გვ. 35, Москва, 1940. იხ. აგრეთვე: Маркс, Теория прибавочной стоимости, т. I, გვ. 14.

ჯელო, ასეა თუ ისე აუცილებელი, + ერთგვარი თანხა, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია ბაზრის მდგომარეობაზე, ე. ი. წინადადებისა და მოთხოვნის რაოდენობაზე“<sup>1</sup>. ნ. ნიკოლაძემ ძირითადად სწორად გაიგო კაპიტალისტურ საზოგადოებაში ფასის ჩამოყალიბების მექანიზმი. საქონლის ფასი საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატულებაა. მაგრამ, ისევე როგორც ნ. ჩერნიშევსკიც, ნ. ნიკოლაძე ერთი-მეორეში ურევს საქონლის ღირებულებას და ფასს, ღირებულებას წარმოების ხარჯებთან<sup>2</sup>.

რთული საკითხი „შრომის ღირებულების“ შესახებ მეტად აინტერესებდა ნ. ნიკოლაძეს. ცნობილია, რომ კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ აღნიშნული პრობლემა ვერ გადასჭრა. პრობლემა კი იდგა ასე: თუ შრომა ყველა საქონლის ღირებულების საზომია, რით განისაზღვრება თვით შრომის ღირებულება? თუ პროდუქტის საცვლელი ღირებულება უდრის სამუშაო დროს, რომელიც მასშია მოთავსებული, მაშინ საცვლელი ღირებულება სამუშაო დროისა უდრის მის პროდუქტს; სხვაგვარად: სამუშაო ხელფასი უნდა უდრიდეს შრომის პროდუქტის ღირებულებას. სინამდვილეში საწინააღმდეგო მდგომარეობას აქვს ადგილი. როგორ არის, რომ შრომის საცვლელი ღირებულება იმაზე ნაკლებია, რაც ამავე შრომის პროდუქტი?

როგორც ცნობილია, ამ საკითხს კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ თავი ვერ გაართვა. კლასიკური სკოლის წარმომადგენლები მსჯელობდნენ ასე: შრომის ღირებულება, ისე როგორც ყველა სხვა საქონლისა, განისაზღვრება მისი წარმოების ხარჯებით, ე. ი. იმ საგნების წარმოებით, რაც საჭიროა მუშის არსებობისა და გამრავლებისათვის. მაგრამ თუ მუშა იღებს შრომის მთელ ღირებულებას, მაშინ როგორ უნდა აიხსნას შესაძლებლობა ზედმეტი ღირებულების წარმოშობისა? ეს დილემა ვერ გადასჭრა სმიტმა.

ნ. გ. ჩერნიშევსკი ძალიან ახლოს მივიდა ამ საკითხის გადაჭრასთან, თუმცა საერთო წინააღმდეგობანი რაც ახასიათებდა კლასიკურ სკოლას და რამაც თავისებური გამოსახულება ჰპოვა ჩერნიშევსკის ეკონომიურ შეხედულებებში, შეუძლებელს ხდიან ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას. ძირითადი პრობლემა შისთვის აქ შემდეგია: არის თუ არა შრომა საქონელი, აქვს თუ არა მას საცვლელი ღირებულება? საქონელი ეს ისეთი რამ არის, რაც ადამიანის გარეთ არის, შრომა კი ადამიანის ორგანიზმის ფუნქციაა. შრომას არ აქვს საცვლელი ღირებულება. შეიძლება ერთი-მეორეს შეუფარდდეს შრომის პროდუქტები, მაგრამ არ შეიძლება შრომის პროდუქტის შრომასთან შედარება. „დაუფუგათ, რომ შრომა გადაიქცევა პროდუქტად, მაგრამ მაინც მათი ერთი-მეორესთან შედარება ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება ფორტეპიანოს ღირება შედარებულ იქნას იმ ხესა და რკინასთან, რომელთაგან ეს ღირება წარმოიშობა“<sup>3</sup>. მაგრამ თუ შრომა ღირებულების საერთო საზომია; მაშინ როგორ

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 329—330.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე წერს: „საგნის ფასი მისი შემოსავლით განიმარტება, იმ შემოსავლით, რომელიც ამ საგანს ან ეხლა მოაქვს, ან შემდეგ მოტანა შეუძლია“ (ტ. II, გვ. 350).

<sup>3</sup> Н. Г. Чернышевский, Полное собр. соч., т. VII. Основания политической экономии Д. С. Милля, გვ. 439.



არის, რომ შრომას არ უნდა ჰქონდეს საცვლელი ღირებულება? ამაზე ნ. ჩერნიშევსკიმ უპასუხა შემდეგი სახით: „ძალიან ადვილად შეიძლება დარწმუნება, რომ ეს ორი ცნება შრომის შესახებ, როგორც მოქმედებისა, რაც ღირებულებათ საზომს ემსახურება და ამავე დროს თვით არ უნდა იყოს ღირებულება — ეს ორი ცნება არა თუ არ ეწინააღმდეგება ერთი-მეორეს, პირიქით, აუცილებლობით ერთმეორისაგან გამომდინარეობს. საგნის ან ცნების საზომად, რასაკვირველია, არ შეიძლება იყოს თვით საგანი ან ცნება — ამისათვის საჭიროა სხვა საგანი, სხვა ცნება, რომელიც მჭიდრო კავშირში იქნება გასაზომთან, როგორც მისი წყარო, მიზეზები ანდა რეზულტატები, მაგრამ მათგან სრულიად განსხვავებულნი. მაგალითად, მდინარის ხომალდების წყალშიდის ნორმის წარმოადგენს არა სიღრმე რომელიმე სამდინარეო ხომალდისა, არამედ მდინარის სიღრმე; მდინარის სიღრმე და მდინარეში მოცურავე ხომალდი — ორი სხვადასხვა რამ არის, სრულიად განსხვავებულნი. ტანსაცმელის ნორმას წარმოადგენს არა თვით ტანსაცმელი, არამედ ადამიანის ფიგურის მოყვანილობა და ჰავა. კანონის ნორმას შეადგენს საზოგადოებრივი კეთილდღეობა; საკვების ნორმას — ადამიანის კუჭი და ენა; პომადის ან სუნამოსი — ადამიანის ყნოსვა. ერთი სიტყვით, საგნის ნორმა ყოველთვის რაღაც სხვაა, ვიდრე თვით საგანი. ამრიგად, თუ ღირებულებას უნდა ჰქონდეს თავისი ნორმა (ისე როგორც ყველაფერს ნორმა აქვს ადამიანთა ცხოვრებაში), თვით ეს ნორმა არ შეიძლება იყოს ღირებულება. გაბატონებულმა თეორიამ სწორედ იმიტომ ვერ გაიგო ღირებულების ნორმა, რომ შრომა ღირებულებას მიაკუთვნა. — მოვიგონოთ აფორიზმი, რომელსაც თვით გაბატონებული თეორია თვლის უმაღლეს პრინციპად მოძღვრებისა ღირებულებისა და გაცვლის შესახებ: «პროდუქტები პროდუქტებზე იცვლებიან». შრომა არის პროდუქტი. იგი ჯერ კიდევ მხოლოდ მწარმოებელი ძალაა, იგი მხოლოდ პროდუქტის წყაროა. იგი პროდუქტისაგან განსხვავდება, როგორც კუნთი იმ სიმძიმისაგან, რომელსაც იგი წვეს, როგორც ადამიანი მაულისაგან ან პურისაგან“<sup>1</sup>.

ნ. ჩერნიშევსკიმ იცის, რომ შრომა და შრომის პროდუქტი არ არის ერთი და იგივე. შრომის პროდუქტს აქვს საცვლელი ღირებულება, შრომას არა აქვს საცვლელი ღირებულება. შრომა პროდუქტის წყაროა, იგი საწარმოო ძალაა. მიუხედავად ამისა მან ბოლომდე მაინც ვერ გაატარა განსხვავება შრომასა და სამუშაო ძალას შორის. ბოლომდე ვერ გახსნა ის კვანძი, რომელშიაც გაიხლართა კლასიკური პოლიტიკური ეკონომია.

ნ. ნიკოლაძე არ ასულა თეორიული ანალიზის ამ სიმაღლემდე. მისი შეხედულებები ერთობ პრიმიტიულია ამ ძნელსა და რთულ ეკონომიურ საკითხებში. მისი სადოქტორო შრომა წარედგინა ციურხის უნივერსიტეტს 1868 წ., ნ. ჩერნიშევსკის თარგმანი ჯ. ს. მილის შრომისა დაიბეჭდა „Современник“-ში 1860—61 წ. წ. თქმა არ უნდა, ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის ამ თარგმანს და მის შენიშვნებს იცნობდა. იგი არ მუშაობდა მხოლოდ ეკონომიურ საკითხებზე. დისერტაცია დაწერილია სპეციალურ თემაზე, მაინც იძლევა წარმოდგენას იმ

გავლენებზე, რომელიც მასზე ნ. გ. ჩერნიშევსკის მოუხდენია. კლასიკური სკოლისა და ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენით არის ჩამოყალიბებული მისი შეხედულებები სამუშაო ძალისა და სამუშაო ხელფასის შესახებ.

სამუშაო ხელფასი უდრის აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ ღირებულებათა ჯამს. იგი მერყეობს მუშების მიწოდებისა და მოთხოვნილების საფუძველზე. თუ სამუშაოს მოთხოვნილი მეტი იქნება, მაშინ სამუშაო ხელფასი იქნება ნაკლები და პირიქით. „მართლაც და, ცხადია, რაკი სამუშაოს მოთხოვნილები აუარებელნი იქნება, ხოლო სამუშაოს მიმწოდებელნი თითქმის არც კი იქნება, მუშათა ხელფასი საშინლათ დაეცემა, იქამდე დაეცემა, რომ უფრო დაბლა იქნება იმაზე, რაც საჭიროა აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ასეთი გახლავსთ აღვირახსნილ კონკურენციის ერთი ყველაზე ელემენტარული კანონთაგანი“<sup>1</sup>. „როცა მრეწველობაში მილიონობით შემოვლენ მუშები, რომელნიც აქამდე სხვადასხვა სამხედრო სამსახურში იყვნენ, უეჭველათ შემცირდებათ ხელფასი სამრეწველო დაწესებულებათა ახლანდელ მუშა-მოსამსახურეებს. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ხელფასის შემცირება უდრის მოხმარების შემცირებას, რადგან ცხადზე უცხადესია, რომ ის, ვისაც იმის ნახევარი აქვს, რასაც აქამდე ხარჯავდა, იძულებული შეიქნება შეამციროს ხარჯები და იმაზე იფიქროს, თუ როგორ დააძვრინოს გაკირვებას თავი“<sup>2</sup>. ნ. ნიკოლაძემ ამ შრომაში არ განაწილათ თეორია კარბი წარმოების კრიზისების შესახებ, თუმცა კი მიაგნო ძირითად მიზეზს — მუშების გალატაკებას.

სტალინის სახელობის  
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 პოლიტიკური ეკონომიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1945. II. 16)

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 325.

<sup>2</sup> იქვე.

0. მხანიშვილი

ადიშის ოთხთავი რედაქციულად\*

I. წინასწარი ცნობა

წინასწარი შესწავლა ჩვენთვის ხელმისაწვდომ უძველეს ქართულ ოთხ-თავთა ხელნაწერებისა, რომელნიც გიორგი მთაწმიდლის წინა ხანას ეკუთვნის, ამჟღავნებს, რომ მოგვეპოვება სახარებათა სამი რედაქცია, რომლებიც აღინიშნება **ტ**, **ჟ**, **ღ** ლიტერებით. **ტ** რედაქცია წარმოდგენილია 6 ხელნაწერში, რომლებიც ცნობილი არიან შემდეგი სახელებით: ოპიზისა (913 წ.)<sup>1</sup>, ჯრუჭისა (936 წ.)<sup>2</sup>, პარხლისა (973 წ.)<sup>3</sup>, თევდორესი (X ს.)<sup>4</sup>, გაბრიელ პატარაისა (X ს.)<sup>5</sup> და „ანბანდიდი“ (X ს.)<sup>6</sup>; **ჟ** რედაქცია, რომელიც წარმოადგენს **ტ** რედაქციის მსუბუქ გადაკეთებას, გვაქვს სამ ნუსხაში: ურბნულში (X ს.)<sup>7</sup>, ტბეთისა (995 წ.)<sup>8</sup> და პალესტინურში (1048 წ.)<sup>9</sup>; **ღ** რედაქცია კი წარმოდგენილია ადიშის ოთხთავში<sup>10</sup>, მაგრამ არა მთელ ხელნაწერში, არამედ

\* წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 21 აპრილს, 1943 წ.

<sup>1</sup> რამდენადაც ორი გამოცემული თავის (მათესა და მარკოზის) მიხედვით შეგვიძლია გიმსჯელოთ (იხ. ბენეშევიჩის გამოცემა: პეტ., 1909, 1911 წ.წ.).

<sup>2</sup> საქ. მუხ. ხელნ. № 1660 H.

<sup>3</sup> საქ. მუხ. ხელნ. № 1453 A. პ. ინგოროყვა მას შატბერდულს უწოდებს („ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“: მნათობი, 1939, № 4, გვ. 128). მაგრამ ეს ტერმინი არ გამოდგება, რადგანაც შატბერდში გადაწერილთაგან კიდევ ორი სხვა ოთხთავია ჩვენამდე მოღწეული: ადიშისა (897 წ.) და ჯრუჭისა (936 წ.).

<sup>4</sup> საქ. მუხ. ხელნ. № 98 A. პ. ინგოროყვა მას უწოდებს „მარიამის სავანისა“ და მე-9—10 საუკუნისად თვლის (იქვე).

<sup>5</sup> საქ. მუხ. ხელნ. № 4927 S. პ. ინგოროყვა მას ეძახის პარხალურს (იქვე). მაგრამ სახელწოდება „პარხალური“ უკვე კარგა ხანია დაუშვებელია სხვა ოთხთავს (973 წლისას) და ამ მეორე ხელნაწერისათვის აღარ გამოდგება.

<sup>6</sup> საქ. ცენტრ. არქ. ხელნაწ. ფონდი 233, № 107; მოღწეულია მხოლოდ ორი თავი: ლუკასი (უმეტესი ნაწილი) და იოვანესი (მთლიანად).

<sup>7</sup> საქ. მუხ. ხელნ. № 28 A. რადგან ეს ნუსხა ხელთ არ გვქონდა, ჩვენ ვსარგებლობდით მ. ჯანაშვილის მიერ გადმოღებული პირით (საქ. მუხ. ხელნ. № 1732 A).

<sup>8</sup> აქაც მათესა და მარკოზის თავების მიხედვით ვმსჯელობთ (ბენეშევიჩის გამოცემა: პეტ., 1909, 1911 წ.წ.).

<sup>9</sup> საქ. მუხ. ხელნ. № 1741 A.

<sup>10</sup> ხელნაწერი სვანეთში ინახება. ფოტოტიპები გამოსცა ე. თაყაიშვილმა (MAK, XIV, Москва, 1916 г.).

ერთ მის ნაწილში. ამ რედაქციებს პირობით შეიძლება შემდეგი სახელები ვუწოდოთ: პირველს (C) — ოპიზური, მეორეს (D) — ურბნული, ხოლო მესამეს (E) — ადიშური.

N.B. რედაქციათა სახელები და ქართული ლიტერებით აღნიშვნა აკად. ა. შანიძის წინადადებით არის შემოღებული.

ლათინური ასოებით აღინიშნება ცალკეული ხელნაწერები: A—არის ოპიზისა, B—ტბეთისა, C—ადიშისა, D—ჯრუჭისა, E—პარხლისა, F—თედორესი, G—გაბრიელ პატარაისა, H—„ანბანდილი“, I—პალესტინური, K—ურბნული.

## II. ლიტერატურის მიმოხილვა

სპეციალურ ლიტერატურაში ადიშის ოთხთავის პირველი ხსენება 1904 წელს ეკუთვნის. ამ წელს დაიბეჭდა ჟურნ. „მომბეში“ მლდ. ბესარიონ ნიჟარაძის ვრცელი წერილი „სვანეთის ხელნაწერები“<sup>1</sup>, რომლის კარგა მოზრდილი ნაწილიც სწორედ ადიშის სახარებას ეხებოდა<sup>2</sup>. ბეს. ნიჟარაძის წერილმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა სპეციალურ ლიტერატურაში. ჯერ კიდევ 1906 წელს მას ცალკე რეცენზია უძღვნა ივ. ჯავახიშვილმა<sup>3</sup>. იმავე წელს გამოაქვეყნა ა. ხახანაშვილმა სვანეთში ნაპოვნ ხელნაწერთა მოკლე ისტორიულ-ფილოლოგიური მიმოხილვა<sup>4</sup>. ხოლო თვით ძეგლის ფოტოტიპიური ტაბულების გამოცემა მხოლოდ 1916 წელს მოხერხდა<sup>5</sup>; ამ გამოცემას დაერთო ე. თაყაიშვილის ვრცელი წინასიტყვაობა<sup>6</sup>. არა ერთხელ შეჰხებია ამ იშვიათ ძეგლს ნ. მარი. აღსანიშნავია მისი ორიგინალური შეხედულება ამ ხელნაწერის ენის ერთი ნაწილის სიახლესა და, ამასთან დაკავშირებით, გადაწერის თარიღზე<sup>7</sup> (= 1001 წ.). 1923 წ. გამოქვეყნდა ამ ძეგლის შესახებ ორი გამოკვლევა: ერთი კ. კეკელიძისა — „როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება“<sup>8</sup>, ხოლო მეორე ა. შანიძისა — „ჰანემატობა ადიშის სახარებაში“<sup>9</sup>. ივ. ჯავახიშვილი გაკვრით ორჯერ შეეხო ამ ხელნაწერს: პირველად 1923 წელს თავის ცნობილ გამოკვლევაში: „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (წინასწარი მოხსენება ნიმუშების დართვით)“<sup>10</sup>, და მეორედ 1926 წ. გამოსულს შრომაში „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“<sup>11</sup>. 1924 წ.

<sup>1</sup> მოამბე, 1904, № 9, გვ. 1—18; № 10, გვ. 49—66.

<sup>2</sup> მოამბე, 1904, № 9, 3—13.

<sup>3</sup> Византийский Временник, XII (1906 წ.), გვ. 438—439.

<sup>4</sup> Материалы по Археологии Кавказа, вып. X, Приложение, გვ. 1—9.

<sup>5</sup> Материалы по Археологии Кавказа, вып. XIV, Москва, 1916 წ.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 8—20.

<sup>7</sup> Из поездок в Сванию: Христ. Восток, т. II, вып. I, 1913 წ., გვ. 32; Заметки по текстам св. писания в древних переводах армяны и грузины: Христ. Восток, т. II, вып. 1, გვ. 26; вып. 2, გვ. 172—174.

<sup>8</sup> თფ. უნივ. მოამბე, II, გვ. 392—397.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 417—424.

<sup>10</sup> თფ. უნივ. მოამბე, II, გვ. 349—352.

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, 1926, გვ. 171.

დაიბეჭდა ს. კაკაბაძის გამოკვლევა, სადაც მეტად საინტერესო ცნობები მოიპოვება ადიშის ოთხთავის რედაქციული შედგენილობის შესახებ<sup>1</sup>. ჩვენს ძეგლს ყურადღება მიაქცია ამერიკელმა მეცნიერმა R. P. Blake-მაც, რომელმაც გამოსცა კიდევ ამ სახარების ორი თავი: მარკოზი<sup>2</sup> და მათე<sup>3</sup> და, როგორც ა. შანიძისაგან ვაგვიგონია, გამოსაცემად ამზადებდა იოვანეს თავს. არსებობს ამ ძეგლის შესახებ თ. გონიაშვილის სპეციალური მონოგრაფიაც, რომელიც ითვალისწინებს ძეგლის ენის მრავალ თავისებურებას, განსაკუთრებით — დიალექტიზმებს<sup>4</sup>. 1939 წ. გაკვირით შეეხო ამ ძეგლს აგრეთვე პ. ინგოროყვა<sup>5</sup>. უკანასკნელად ამ ძეგლს მიეძღვნა ს. ყაუხჩიშვილის სპეციალური ნაშრომი „ადიშის ხელნაწერის ბერძნისებები“<sup>6</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ძეგლის შესახებ ასე მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, საკითხი ადიშის ოთხთავის რედაქციული შედგენილობის შესახებ მაინც გაურკვეველია დღემდე. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მეცნიერთა უმეტესობას ესა თუ ის სპეციალური საკითხი აინტერესებდა ამ ძეგლში, ხოლო თვით ძეგლს, ალბათ, ან ერთი რედაქციული შედგენილობისად თვლიდნენ a priori, ანდა ასეთ საკითხს საერთოდ არ ეხებოდნენ (კ. კეკელიძე, ა. შანიძე და სხვ.).

ჩვენს ძეგლს ერთი რედაქციის შემცველ ტექსტად გულისხმობდნენ: ბ. ნიჟარაძე, ალ. ხახანაშვილი, ე. თაყაიშვილი, თ. გონიაშვილი, ხოლო სხვადასხვა რედაქციული ფენისაგან შედგენილობას ვარაუდობდნენ ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე და პ. ინგოროყვა.

ბ. ნიჟარაძე ჯერ კიდევ 1904 წ. შენიშნავდა, რომ „ადიშის სახარების ტექსტი ენის, ორთოგრაფიისა და აქა-იქ აზრის მხრივაც რამოდენსამე განსხვავებას წარმოადგენს თანამედროვე სახარების ტექსტთან“<sup>7</sup>. ამ დებულების დასამტკიცებლად მას მოჰყავდა ამ ძეგლიდან შემდეგი ადგილები: ი. 1,1; ლ. 23,47 და სხ. ადიშის ოთხთავის ხსენებულ ადგილებს ავტორი უდარებდა მოსკოვში 1893 წ. დაბეჭდილი სახარების სათანადო ადგილებს. ამგვარად, ადიშის ოთხთავის რედაქციული განცალკევებულობის აზრი პირველად ბ. ნიჟარაძემ წამოაყენა, მაგრამ თვით ამ ძეგლის შიგნითს რედაქციულ სხვაობაზე ავტორს არაფერი უთქვამს.

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე, ისტორიული ძიებანი, 1924, გვ. 1—35.

<sup>2</sup> The Old Georgian Version of the Gospel Mark from the Adysh Gospels with the Variants of the Opiza and Tbet' Gospels. Edited with a Latin Translation by R. P. Blake (Patrologia Orientalis; t. XX, fasc. 3, pp. 439—574), Paris, 1928.

<sup>3</sup> Patr. Or., t. XXIV.

<sup>4</sup> თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში: ენიმკის „მოამბე“ IV, 115—162. თბ. 1938.

<sup>5</sup> ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: მნათობი, 1939, № 4, გვ. 127—128.

<sup>6</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ადიშის ხელნაწერის ბერძნისებები: „ენიმკის მოამბე“ ტ. XIV, 93—116, თბ. 1944.

<sup>7</sup> მოამბე, 1904, № 9, გვ. 10.

ა. ხახანაშვილის აზრითაც აღიშის სახარება წარმოადგენს სრულგბით დამოუკიდებელ რედაქციას, რომელსაც არაერთი კავშირი არა აქვს სახარების სხვა აქამდე ცნობილ რედაქციებთან. ის ამბობს: „Списки Грузинского евангелия могут быть распределены по нескольким группам; из них Адишское евангелие составляет самостоятельную редакцию, не имеющую сходства с другими списками“<sup>1</sup> (კურსივი ჩემია). ამავ შემდეგლებას იზიარებენ ე. თაყაიშვილი და თ. გონიაშვილი.

ბ. მარი კარგად შენიშნავდა ამ ძეგლში ქართული ენის ძველსა და შედარებით ახალ ფორმებს და დასძენდა: „Но действительно в рукописи рядом с весьма новыми чертами наблюдаются поразительные архаизмы. Как объяснить наличие этих двух противоположных чтений в одной рукописи, вопрос будущего“<sup>2</sup>. მაგრამ ამაზე უფრო კონკრეტულად შემდეგშიც არა მოუცია რა.

ივ. ჯავახიშვილი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც წამოაყენა დებულება, რომ აღიშის ოთხთავის ტექსტი ორი რედაქციისაგან შედგება. ის წერდა ამის შესახებ: „რადგან ჩვეულებრივ ხანმეტი რედაქციის მიმდევარი შატბერდის სახარების (=აღიშის სახ. ი. ი.) ტექსტი, ზოგჯერ მაინც, განსხვავდება და ასეთ შემთხვევაში იქნებ იგი, როგორც აღნიშნული ვეკონდა, საბაწმიდური რედაქციის ტექსტს იმეორებდეს, ამიტომ ცხადი ხდება, რომ შატბერდ-აღიშის სახარების ტექსტი ორი რედაქციის შერეულ შენაერთებს ტექსტს უნდა წარმოადგენდეს“<sup>3</sup> (ხაზი ჩვენია — ი. ი.).

ს. კაკაბაძის დაკვირვებითაც აღიშის ოთხთავი არ წარმოადგენს თავიდან ბოლომდე ერთი რედაქციის ხელნაწერს. ის ამბობს ამის შესახებ: „აღიშის ხელნაწერი თავისთავად მარტოოდენ და თავიდან ბოლომდის ერთი ტიპის რედაქციის შემცველად არ არის წარმოდგენილი“<sup>4</sup>.

ავტორი ქვევით იმასაც კი უჩვენებს, თუ რომელი ადგილი შეიცავს სხვა რედაქციის ტექსტს და, რაც მთავარია, რომელია ეს სხვა რედაქცია.

ავტორი განაგრძობს: „საინტერესოა, რომ აღიშის სახარება ზოგიერთ ადგილას გადადის მეორე რედაქციის ტექსტზე. სახელდობრ, ასეთ მაგალითთან გვაქვს საქმე, რამდენადაც მე შევნიშნე, მათე 9, 34-ზე: „და დაკოვრებულ იყო ერთი იგი და იტყოდეს ვ'დ არასადავინ ესრეთ იქლსა შორის გამონდა ხ'ფარისეველნი იგი იტყოდეს მთავრითა ეშმაკთაათა განასხამს ეშმაკთა“.

აქ ტექსტი, დამოკიდებული სომხური თარგმანისაგან, წყდება და იწყება ტექსტი დაკავშირებული ბერძნულ დედანთან, როგორც ეს წარმოდგენილია ჯრუჭ. და პარხ. სახარებებში, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მუხლის სიგრძეზე, შემდეგ გრძელდება ისევ სომხურისაგან დამოკიდებული ტექსტი.

<sup>1</sup> Древности. Труды И. Московского Археологического общества, т. XXXIII, вып. 2, გვ. 394.

<sup>2</sup> Записки по текстам св. писания в древних переводах армян и грузин: Хр. Вост., т. II, вып. 1, გვ. 172.

<sup>3</sup> ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები: თფ. უნივ. მოამბე, II, გვ. 352.

<sup>4</sup> ისტორიული ძიებანი, გვ. 7.

სხვა ადგილას კიდევ ლუკ. 17,25—23,2 თავებს შუა ადიშის სახარებაში ტექსტი ტყდება და იწყებს მიყოლას ჯრუჟის და პარხ. სახარებაში წარმოდგენილ ტექსტთან. აქ, მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს მეორე — ბერძნულთან შეთანხმებით გადაკეთებულ რედაქციიდან ტექსტის სესხებასთან<sup>1</sup>.

ს. კაკაბაძის აქ მოტანილი ამონაწერებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები: 1. ადიშის ოთხთავი შედგება ორი რედაქციის შემცველი ტექსტისაგან; 2. ერთი რედაქციისაა თვით ადიშის ოთხთავის ძირითადი ტექსტი, მეორისა — ჯრუჟ-პარხლის ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტი; 3. ამ უკმანასკნელ რედაქციას ეკუთვნის ადიშის სახარებაში ადგილები: მთ. 9,34 (რამდენიმე მუხლი), ლკ. 17,25—23,2.

ასეთია ს. კაკაბაძის შეხედულება ამ საკითხის შესახებ. თუმცა ავტორს ამ აზრის დასაბუთება აღნიშნულ შრომაში (და არც სხვაგან) არ უცდია და წამოყენებული დებულებები ზეპირად გამოთქმულ მოსაზრებებს უფრო ჰგავს, ვიდრე ფაქტებით შეჯერებულ მეცნიერულ დასკვნებს, მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ ავტორის შეხედულება ძირითადად სწორ საფუძველზეა დამყარებული: სახელდობრ, ავტორის პირველი დებულება უდავოა და მასში ექვის შეტანა არ შეიძლება; მეორე დებულება ნაწილობრივ არის მიახლოებული ჭეშმარიტებას (რამდენადაც ჯრუჟ-პარხლის ხელნაწერებში წარმოდგენილი რედაქცია უახლოვდება იმ რედაქციას, რომელიც ადიშის ოთხთავის არაძირითადს ნაწილშია მოკემული), მესამე დებულებასაც ესაჭიროება დაზუსტება და, განსაკუთრებით, ვაერცობა.

ადიშის ძეგლში ორი რედაქციის არსებობის შესახებ, როგორც ვთქვით, გაკვრით გამოთქვა აზრი პ. ინგოროყვამაც. თავის „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვაში“ ის შენიშნავს: „ჰადიშური ხელნაწერი შეიცავს ამ მეორე რედაქციის ტექსტს თავის ძირითად ნაწილში (ამას გარდა ჰადიშურში არის ნაწილი, რომელიც ახლო უდგება საბაწმიდურს და ამ უკმანასკნელიდან მომდინარეობს)“<sup>2</sup>.

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით სათანადო მასალების ჩვენებათა საფუძველზე უფრო მეტი ნათელი მოვჭფინოთ ამ საკითხს და მეტი სიზუსტე, დამაჯერებლობა და საბუთიანობა შევიტანოთ მასში.

### III. ორი რედაქცია ადიშის ძეგლში

ადიშის რედაქცია მართლაც შედგება ორი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული რედაქციისაგან. ერთია ძირითადი, ადიშური რედაქცია (წ), რომელიც ოთხთავის უმეტეს ნაწილს მოიცავს; ესენია: მათე, მარკოზი და იოვანე მთლიანად, ნაწილი ლუკასი, სახელდობრ: 1,1—3,8; 15,7—17,24 და 23,3—24,53; ხოლო მეორე წარმოადგენს სხვა რედაქციას, განსხვავებულს ამ ძირითადი ადიშური რედაქციისაგან; ამ მეორე (არა-ძირითადს) რედაქციას

<sup>1</sup> იქვე, გვ. 19—20.

<sup>2</sup> იხ. დასახელებული შრომა, გვ. 127, შენიშვნა 1.

ეკუთენის ოთხთავის უმცირესი ნაწილი, დაახლოებით მისი მეხუთედი, სახელდობრ: ლ. 3,9—15,6 და 17,25—23,2<sup>1</sup>.

ადიშური რედაქცია წარმოადგენს მეტად თაღისებურ ტექსტს, რომელიც ძალიან ბევრ რამეში განსხვავდება ოთხთავების სხვა ყველა აქამდე ცნობილი რედაქციებისაგან [მხოლოდ რამდენიმედ და ისიც ზოგ ნაწილში უახლოვდება მას (თუ ის უახლოვდება მას) ხანმეტი პალიმფსესტების ზოგიერთი ადგილი, უმთავრესად მათეს თავიდან]<sup>2</sup>. მისი ეს განსხვავებულობა თავს იჩენს, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკაში, წინადადებათა კონსტრუქციაში, მთელი რიგი ტექნიკური გამოთქმების თავისებურად თარგმნაში და ბევრ სხვა რამეშიც, რაზედაც ქვემოთ ვრცლად გვექნება საუბარი.

მაგრამ აქ ერთი საკითხი წამოიჭრება და მას უნდა გავცეთ პასუხი. ადიშური რედაქცია თავისებურია, ვაშობთ ჩვენ, მაგრამ რასთან შედარებით არის თავისებური? რას უნდა შევუფარდოთ ის? ოთხთავის რომელი რედაქცია (თუ ძეგლი) უნდა დაედოს საფუძვლად ამ შედარებას? საყოველთაოდ გავრცელებულ დაბეჭდილ ოთხთავზე (გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაზე) ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი, რადგანაც გარდა იმისა, რომ არ მოგვეპოვება მეცნიერული გამოცემა, ჩვეულებრივი გამოცემები კი სავსეა ორთოგრაფიული და ზოგჯერ შინაარსობლივი შეცთომებითაც, — ის თვით საჭიროებს შესწავლას და იმის გამორკვევას, თუ რა დამოკიდებულება მასა და სხვა რედაქციებს შორის და არის თუ არა იგი ნამდვილად სხვა რედაქცია, განსხვავებული იმისგან, რომელიც მას საფუძვლად უძევს. ოთხთავის სხვა, მეცნიერული გამოცემა მთლიანად არ მოგვეპოვება<sup>3</sup>.

ამგვარად, ჩვენი არჩევანი ფრიად შეზღუდული აღმოჩნდა: ძალაუნებურად ასეთ შედარებას საფუძვლად უნდა დასდებოდა რომელიმე სანდო ხელნაწერი. ასეთად ჩვენ მივიჩინეთ ჯრუჭისა და პარზლის ხელნაწერები, რომელნიც, როგორც გამოირკვა, ერთი და იმავე დედნიდან მომდინარეობენ და ე. წ. ოპიზური (C) რედაქციას წარმოავლიდგენენ<sup>4</sup>. ჩვენი არჩევანი, გვგონია, გამართლებული უნდა იყოს, რადგანაც ეს ოპიზური რედაქცია, როგორც ჩანს, ძალზე

<sup>1</sup> რომ ეს უკანასკნელი ადგილი (ლ. 17,25—23,2) არ ეკუთვნის ძირითადს რედაქციას, ს. კაკაბაძესაც კარგად ჰქონდა შენიშნული, მაგრამ მას ეს ოპიზური რედაქციის (ჯრუჭ-პარზლის ხელნაწერთა) ტექსტად მიაჩნდა, სამწუხაროდ, ავტორი არაფერი ამბობს ამ რედაქციის სხვა, უმეტესი ნაწილის შესახებ (ლ. 3,9—15,6).

სხვა სახარებათაგან ამ რედაქციის კვალი რამდენადმე აჩნია მათეს სახარების XIV თავს, ნაწილობრივ აგრეთვე მარკოზის XII და XIII თავებს და კანტიკუნტად ზოგ სხვასაც, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში ეს ნაწილი ისეა გათქეფილი ძირითადს ტექსტში, რომ ძნელია გადპირით თქმა იმისა, თუ რომელ რედაქციას მიეკუთვნოს იგი: **ღ**-სა თუ **ღ**-ს.

<sup>2</sup> № 999 ხელნაწერიდან მ. 6,31—33; 7,1—15; № 844 ხელნაწერიდან მ. 7,4—16.

უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე სხვაგან გვაქვს მსჯელობა.

<sup>3</sup> ვლ. ბენეშევიჩის გამოცემა მხოლოდ ორ თავს (მათესა და მარკოზს) შეიცავს და ყოველთვის ისიც არაა დაზღვეული ზოგიერთი ნაკლისაგან.

<sup>4</sup> ეს გარკვეული გვაქვს გამოკვლევაში: ჯრუჭ-პარზლის ოთხთავთა რედაქციული ურთიერთობისათვის“ (დაუბეჭდავია).



**გავრცელებული** რედაქცია იყო ძველად ჩვენში<sup>1</sup>; იგი უშუალო კავშირშია ხანმეტი და ჰამეტი ტექსტების რედაქციასთან. ამდენად ის აგრეთვე უძველესი რედაქციაა.

ჩვენი არჩევანის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ოთხთავების სხვა ყველა რედაქცია, რომელიც უსწრებს მას თუ მოსდევს, ძირითადად ამ ოპიზურ რედაქციასთანაა დაკავშირებული, მის რამდენადმე ცვლილსახეს წარმოადგენს (გარდა, რასაკვირველია, თვით ადიშურისა). ასეთია, მაგალითად, ე. წ. ურბნული რედაქცია (წ), რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ურბნისის (მე-10 საუკ.), ტბეთისა (995 წ.) და პალესტინური ოთხთავები განეკუთვნებიან.

ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებათა გამო ჩვენ ქვემოთ ადიშურ რედაქციას შევუდარებთ ოპიზურისა და ურბნული რედაქციების ტექსტებს; პირველს უმთავრესად ჯრუჟ-პარხლის ხელნაწერების მიხედვით, მეორეს — ურბნისისა და პალესტინური ხელნაწერების საფუძველზე.

#### IV. ლექსიკური განსხვავებანი

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ოპიზური (წ) და ადიშური (წ) რედაქციის ხელნაწერები ერთმანეთისაგან განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკით: სხვანაირად თარგმნის სათანადო დედნის სიტყვას ერთი რედაქცია, და სულ სხვანაირად — მეორე. ზოგჯერ ასეთი განსხვავებული წაკითხვა ორივე ტიპის ხელნაწერებს ბოლომდე გასდევს, როგორც წესი, როგორც სისტემა. მაგალითად, ბერძნული λειπρδ-ის (სომხ. *լիპր*) შესატყვისად ოპიზური რედაქციის (წ) ხელნაწერებში „კეთროვანი“ გვხვდება, ადიშურ რედაქციაში (წ) კი — „განბოკლებული“ (მ. 8,2 და სხ.), და ეს შეფარდება ასე ტარდება ბოლომდე. მაგრამ ამ ტიპის ლექსიკურ სხვაობებზე ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი. ახლა პირველ რიგში ცალკეული სიტყვების განსხვავებულ წაკითხვებს უნდა შევხებით. აი ეს ლექსიკური განსხვავებანი<sup>2</sup>:

ა

აზნაური: მზა-უყო პური მთავართა მისთა და ასისთავთა მისთა და აზნაურთა გალილეაჲსათა — ტაძრობას ჰყოფდა მდიდართა თანა და ათასისთავთა თანა და მთავართა თანა გალილეაჲსათა, მრ. 6, 21.

ათეული: მოიღებთ ათეულსა პიტნაკისასა — მოიათევისით პიტნაკისაჲ მ. 23, 23.

<sup>1</sup> პ. ინგოროყვა ამ რედაქციას საბაწმიდღურს უწოდებს და ჩამოთვლის კიდევ ძირითადს ნუსხებს, რიცხვით ოცს (იხ. მისი ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: მნათობი, 1931, გვ. 128). მაგრამ ყველა აქ ჩამოთვლილი ნუსხის ერთ რედაქციად მიღება შეუძლებელია.

<sup>2</sup> პირველ ადგილას ოპიზური რედაქციის (წ) სიტყვები გვაქვს მოცემული, მეორეზე — ადიშურისა (წ). ამას გარდა, ოპიზური რედაქციის მასალები ჯრუჟისა და პარხლის ხელნაწერების მიხედვითაა წარმოდგენილი, თუ, რასაკვირველია, სპეციალურად არაა მითითებული ამ რედაქციის რომელიმე სხვა იეგლის (F, G, H) საინტერესო ჩვენება.

ყველა ლექსიკური განსხვავება აქ არაა აღნუსხული.

- ალაბასტრი — შიში, მ. 26, 7; ალაბასტრიტა — შიშიტა, მრ. 14, 3.
- ამაოდ — ცუდად, მ. 15, 9; მრ. 7, 7.
- ამბორის-ყოფა: ამბორს-უყო მას — მოიკითხა იგი, მრ. 14, 45; რომელსა მე  
 ამბორს-უყო — რ'ლ მე მოვიკითხო, მრ. 14, 44.
- ამენ: ამენ გეტყვ თქუნ — მართლიად გეტყვ თქ'ნ, მ. 5, 18, 26; 6, 16; ამენ  
 ამენ გეტყვ თქ'ნ — მართლიად მართალსა გეტყვ თქ'ნ, ი. 1, 51;  
 მ, 3, 5, 11 (იხ. სხვა მაგალითები ქვემოთ).
- ამრენაკი — არდავი, მრ. 15, 46; ამრენაკსა — არდაგსა, მ. 27, 59.
- არ: ვა არს ჩუეულეზაჲ ჰურიათაჲ — ვა ჩუეულეზაჲ აქუნდა ჰური-  
 ათა, ი. 19, 40; საქმე არს მის თანა — საქმე უქმნიეს მაგას,  
 ლ. 23, 15; რაჲ არს ჩ'ნი და შენი — რაჲ ძეს ჩ'ნი და შენი,  
 მრ. 1, 24; 5, 7; ი. 2, 4; საცნაურ არს — საცნაურ იქმნის,  
 მ. 12, 33; მოწაფენი ხართ — მოწაფენი იყვნეთ, ი. 8, 31; თქ'ნ  
 თანა არს — თქ'ნ თანა დამკვდრებულ არს, ი. 14, 17.
- არაწმიდებანი — ბილწებანი, მრ. 7, 22.
- არდაგი — მჩუარი, ი. 13, 4; არდაგითა — მჩუართა, ი. 13, 5.
- არს — იხ. არ.
- არსობისაჲ — სამარადისოჲ, მ. 6, 11.
- ასისტავისა — მტარვალისა, მრ. 15, 45; ასისტავისა — მტარვალსა, მრ. 15, 44.
- აღდგინება: აღადგინეს — განაღვიძეს, მ. 8, 25; აღადგინო — აღვჰმართო,  
 ი. 2, 19; აღადგინო — აღვჰმართო, ი. 2, 20; აღდგინებად — აღმარ-  
 თებად, ლ. 2, 34.
- აღდგომა: აღდგა — განაღვიძა, მრ. 4, 39; აღდგეთ — გამოედით, მ. 25, 6;  
 აღდგეს მდინარენი — წარმოეცნეს მდინარენი, მ. 7, 25.
- აღდგომილი: ეშმაკი თავსა თვისსა ზა აღდგომილ არს და განყოფილ არს —  
 ეშმაკი ეშმაკსა განჰკდის და გავთულ არს თავსა ზა თვისსა,  
 მრ. 3, 26.
- აღმაღლება: აღმაღლდეს — აღიღოს, მრ. 2, 20; აღმაღლდეს — წარვიდეს,  
 მ. 9, 15.
- აღმოვსება: აღმოავსეთ (წყალი) — აღმოიღეთ, ი. 2, 8.
- აღმოქუმა: აღმოიქუას — აღადგინოს (ცხოვარი), მ. 12, 11.
- აღმოღება: აღმოიღე — აღმოიჭადე (თული შენი), მ. 18, 9; მრ. 9, 47.
- აღმოცენება: ვინაჲ აღ მოსცენდა ლუარძლი — აწ ვინაჲ ჰრთავს ლუარძლი  
 ესე, მ. 13, 27.
- აღმოვლომა: ვა მზე აღმოჰვდა — აღმობრწყინებასა მზისასა, მრ. 4, 6; (მლო-  
 ვსა მარცუალი) აღმოვდის — აღმოსცენდის, მრ. 4, 32.
- აღნთება: აღინთეს — მოიხუწეს (სანთელი) მ. 25, 1; აღ-ნუენ-ანთის —  
 მო-ნუენ-იღის (სანთელი), მრ. 4, 21.
- აღრეული — შეზავებული, ი. 19, 39.
- აღსაარება: აღუვარებდა — ჰმაღლობდა, ლ. 2, 38; აღიარეს — გამოაცხადიან,  
 ი. 12, 42.

- აღსლება: აღვიდა — აღჯდა, მ. 8, 23; მრ. 6, 51; ი. 6, 3; აღვიდეს ზეცად  
აღმიადღეს ცად, ლ. 2, 15.
- აღსრულება: აღესრულნეს — აღივსნეს (დღენი), ლ. 1, 23; აღესრულა — მო-  
კულა, მ. 9, 18.
- აღსრულებულ — აღესებულ, ი. 7, 8.
- აღფხურა: აღიფხურ — აღდეგ (მთაო), მ. 21, 21.
- აღლება: ვინ-ძი რაჲ აღილოს — ვისმცა რაჲ ხუდა, მრ. 15, 24; აღილოს — აღიკი-  
ლოს (ჯუარი), მ. 27, 32; აღილოს (რტოჲ) — მოჰკუეთოს, ი. 15, 2;  
(არა ჯერ-არს) აღებად (ცხედარი) — აღკიდებად, ი. 5, 10.
- აღშენება: აღაშენა გოდოლი — ქმნა გოდოლი, მ. 21, 33; მრ. 12, 1.
- აღშფოთება: აღაშფოთებს ერსა — აღძრავს ერსა, ლ. 23, 5.
- აღძარცუა: აღძარცუეს — გარდაარღვეს (სართული), მრ. 2, 4.
- აღძრვა: აღიძრვოდა — აღირღოდა (ზღუაჲ), ი. 6, 18; აღძრვასა — (წყლისა)  
აღმმღუევისა, ი. 5, 3.
- აღხილვა: აღვიხილენ — ვხედავ, ი. 9, 11; ვრ აღვიხილენ — ვრ ხედავ, ი. 9, 15;  
აღვიხილნეს — აღვიხუნეს (თუაღნი), მ. 9, 30.
- აღხუმა: რნ აღვიხუნეს (ცოდვანი) — რნ აღვოცნეს, ი. 1, 29.
- აღჯდომი: აღჯდა (ნავსა) — აღვიდოდა, მრ. 5, 18.
- აწ: უკუეთუ აწ ვე მოკულა — ვითარ ადრე მოკულა, მრ. 15, 44.
- აჰა: და აჰა — მეყსეულად, მ. 3, 16; აჰა — იხილეთ ეგერა (ადგილი), მრ. 16, 6;  
აჰა ესერა — მუნქუეს ოდენ, მ. 28, 11.

ბ

- ბადე — სათხევლნი, მ. 4, 20; ბადჷ — სათრომელი, ი. 21, 6; ბადესა — სათრო-  
მელსა, ი. 21, 11; ბადეთა — სათრომელთა, მრ. 1, 19.
- ბასრობა: ჰბასრობდეს — ეკიცხევდეს, მრ. 5, 40.
- ბერსა — ...მოხუცებულისა, ი. 3, 4.
- ბისონითა — ზეეზითა, ლ. 16, 19.
- ბორბალი: და იყო მეყსეულად ბორბალი ქარისაჲ დიდი — და იყო ნიავ-  
ქარი ქარისა დიდისაჲ, მრ. 4, 37.
- ბოროტ — უკეთურ, მ. 20, 15; ბოროტი — უკეთური, მ. 12, 39; ბოროტო — უკე-  
თურო, მ. 18, 32; ბოროტნი — უკეთურნი, მ. 21, 41; ბოროტმან —  
უკეთურმან, მ. 24, 48; ბოროტი — ძვრი, მ. 27, 23; მრ. 7, 23;  
ლ. 16, 25; 23, 22; ბოროტისა საქმჷ — ძვრის საქმჷ, მრ. 3, 4;  
ბოროტსა — ძვრსა, მ. 9, 4; ბოროტი თქს — ძვრსა იტყოდის, 15, 4;  
მრ. 7, 10; ბოროტად იგუემების — ძვრ-ძვრად იგუემების, მ. 17, 15;  
ბოროტნი — საზარელნი, მ. 8, 28; ბოროტის მოქმედ — ძვრის მოქ-  
მედ, ი. 18, 30; ბოროტის მოქმედნი — ძვრისა მოქმედნი, ი. 5, 29.
- ბრალება: მე მაბრალებთა — ჩემდა გული გიწყრების, ი. 7, 28.
- ბრალი: ყოველისათჳს ბრალისა — ყოვლითა მიზეზითა, მ. 19, 3.
- ბრალობად — ლალეად, მ. 16, 22; მრ. 8, 32.



- ბრძანება: ბრძანე — თქუ, მ. 8, 8; ბრძანა — ჰრქუა, მრ. 10, 49; ბრძანე  
ჩნ — მიგუაელინენ ჩნ, მრ. 5, 12.
- ბრძენი — გონიერი, მ. 24, 45.
- ბრძოლა: ჰამბავნი ბრძოლათანი — ვმაჲ წყობათაჲ, მ. 24, 6; (ვმაჲ  
წყობისაჲ, მრ. 13, 7).
- ბრწყინვა: ბრწყინევედინ — ნათობდინ (ნათელი), მ. 5, 16.
- ბრწყინვალჲ — სპეტაკი, ლ. 23, 11.
- ბრჭალის აღღება: აღღლო ჩემ ზა ბრჭალი მისი — მან დაასრულა ჩემ თანა-  
ტყუვილი, ი. 13, 18.

## გ

- გამო: ამის გამო — ამის თვის, ი. 19, 12.
- გამოთარგმანება: გამომითარგმანებდა ჩნ — განგვმარტებდა, ლ. 24, 32; გამო-  
უთარგმანის ყი იგი — განუმარტებნ ყოველსა, მრ. 4, 34.
- გამოთრევა: გამოთრევედ — გამოზიდვად, ი. 21, 6; გამოითრევედა — გამოზიდ-  
ვიდა ბადესა, ი. 21, 11.
- გამორჩევა: გამოვარჩიით — მოვჰმარგლოთ, მ. 13, 28.
- გამოსლვა: ფურცელი გამოვალნ — ფურცელი გამობუტკოინ, მ. 24, 32; გამოვალნ  
ფურცელი — გამოაქუნ ფურცელი, მრ. 13, 28; გამოვიდეს იგინი — გა-  
მოვლდ იგი; მრ. 5, 2; გამოვედ გარე — აღდეგ და გამოგუალე, ი. 11, 43.
- გამოტყუენვა: ჭურჭერი მისი გამოტყუენვად — ჭურჭელი მისი იავარ-ყვის,  
მრ. 3, 27.
- გამოღება: (ნაყოფი) ვერ გამოიღო — არა გამოჰცა, მრ. 4, 7; გამოიღეთ სამო-  
სელი — გამოართუთ მაგას კუართი, ლ. 15, 22; ჭურჭელი მისი  
გამოღებად — ჭურჭრისა მისისა იავარის-ყოფად, მ. 12, 29.
- გამოყვანება: გამოიყვანო — გამოგუარო, ი. 19, 4; გამოიყვანა — გამოჰგუარა,  
ი. 19, 13; გამოიყვანის (ცხოვარნი) — გამოისხნის, ი. 10, 3.
- გამოჩინება: ვა ელვაჲ რაჲ გამოჩინდის... — ვა ელვაჲ რაჲ გამობრწყინ-  
ნებულ ცათა შინა..., ლ. 17, 24; გამოჩინებად — გამოცხადებად,  
ლ. 1, 79; გამოჩინებაჲცა — ხილვაჲ, ლ. 24, 23; გამოგაჩინებს — საც-  
ნაურ გყოფს, მ. 26, 73.
- გამოცდად — ცნობად, მ. 16, 3.
- გამოცხადება: გამოეცხადნეს — ეჩუენნეს, მ. 27, 53.
- გამოძიება: რასა გამოეძიებთ — რასა ჰვლებით, მრ. 9, 16.
- გამოვდომჲ: გამოვდეს — გამოვიდეს, ი. 21, 9.
- განგება: გან-რაჲ-აგებდეს — განჰკერვიდეს (ბადესა), მ. 4, 21; იხ. კიდევ სიტ-  
ყუსა ვანგებაჲ.
- განგოზილთა — განგლორწნილთა, მ. 23, 27.
- განვთობა: რი განვეთის — განყოფილი, მ. 12, 25; განვეთა — განიყოს, მრ. 3,  
24, 25.
- განზრახვა: განიზრახა თავსა თვისსა — მრღვა გონებასა თვისსა, ლ. 15, 17; გან-  
ზრახვასა — დაკვრეებასა, ლ. 24, 4; განვიზრახავს — შე-რაჲ-ვირაც-  
ხის, ი. 11, 50.

განზრდა: განზარდნეს — აწოეს (ძუძუთა), ლ. 23, 29.

განთიად: და ვა თანა-წარჰვიდოდეს განთიად, იხილეს... — და ვრ თანა-წარჰვიდოდეს დილითი, იხილეს, მრ. 11, 20.

განთესულთა — მიმოგანბნეულთა, ი. 7, 35.

განთქუმა: განითქუა (ჰამბავი) — განჯღა, მ. 4, 24.

განთხევა: გარე განსთხიან — გარე განაბნიან, მ. 13, 48.

განკეთრებული — განბოკლებული, მრ. 1, 40.

განკითხვა: განიკითხეთ — დასაჯეთ, ი. 18, 31; მრავალი მაქუს თქნდა სიტყუად და განკითხვად — მრავალი მაქუს თქნავს სიტყუად და სასჯელი, ი. 8, 26.

განკიცხვა: განკიცხეს — განბასრა, ლ. 23, 11; განკიცხეს — დაასრულეს ბას-რობაჲ იგი მის ზა, მრ. 15, 20.

განკროთმა: განჰკროთეს — დაუკვრდა, მრ. 16, 5; განკროთმილ არს — განცთა მრ. 3, 21.

განკურნება: არა ათნივე განიკურნენით (განიკურნესა E) — არა ესენი ათნი განწმიდნეს, ლ. 17, 17; რაჲსათჳს ჩნ ვერ შეუძლეთ განკურნებად მას — ჩუენ რად ვერ უძლეთ განჯღად მისა, მ. 17, 19.

განკვრევა: განუკვრდა — დასულბიან, ლ. 2, 48; განუკვრდებოდა — ჰმალდა, მრ. 6, 2.

განმარტებულ იყოს (თჳალი) — ნათელ იყოს, მ. 6, 22.

განმზადება: რა ნავი განუმზადონ მას — რა ნავი მცირე დაალოდონ მას, მრ. 3, 9.

განმსყიდელი — მოფარდული, მ. 21, 12.

განმტკიცება: განმტკიცებოდა — განძლიერდებოდა, ლ. 1, 80; 2, 40.

განძება: განაბის — განხეთქილ იქმნის (სამოსელი), მრ. 2, 21.

განრიებად — უკუეთუ ვისმე უნდეს თავი თჳსი განრიებად — რომელსა უნდეს თავისა თჳსისა ცხორებაჲ, მ. 16, 25; მრ. 8, 35.

განრისხება: განრისხნეს — გული განიწყეს, მ. 20, 24; 21, 16; განრისხნეს — გული განუწყრა, მ. 26, 8.

განრღუეული — დაჯსნილი, მ. 8, 6; 9, 2; განრღუეულსა — დაჯსნილსა, მ. 9, 2, 6.

განრცხაჲ — განბანაჲ, მრ. 7, 4.

განსლვა: განვიდა — გამოჯღა, მრ. 5, 13; შენ გეტყვ უტყუსა და ყრუსა სულსა... განსლვად — ... განჯედ მაგისგან, მრ. 9, 25; პირველ განვიდეს — წარმოუძღუეს, ლ. 1, 17; რა განვიდეს ამიერ სოფლით — რა იცვალოს ამიერ სოფლით, ი. 13, 1.

განსპეტაკებად — განთეთრებად, მ. 5, 36.

განსრულ არს — გამოჯღა, მრ. 7, 29.

განსხმა: რა არა კრებულისაგან განასხნენ — რა არა განვარდენ ერისა მისგან, ი. 12, 42; განასხნეს — მიავლინნეს, მრ. 5, 10; განასხიან (E) — განაბნიან, მ. 13, 48; განასხამს — განჰჯღის, მ. 12, 24, 26; მრ. 3, 22; განვასხამ — განვჰჯღი, მ. 12, 27, 28; განასხნა — გან-

- ჯაღნა, მრ. 1, 34; განასხმიდა — განჰკდიდა, მრ. 1, 39; ეშმაკისა  
 განსხმაჲ — ეშმაკისა განჯღად, მრ. 3, 23; განასხნეს — განჰკდიდეს,  
 მრ. 6, 13; განგასხნენ — განგჯადნენ, ი. 16, 2.
- განტევება: განუტევე სული — აღმოებრა სული, მრ. 15, 37.
- განტეხა: განუტეხნეს — დაუმუსრნეს (წვენი), ი. 19, 32, 33; განუტეხნენ —  
 დამუსრნენ, ი. 19, 31; განტეხოს — შემუსროს (ლერწამი), მ. 12, 20.
- განქარება: განქარდეს — დაჰვნდების (შჯული), ი. 7, 23.
- განქორწინება: არცა განჰქორწინებდენ — არცა ცოლს ისხმიდენ, მ. 22, 30.
- განქრევა: განაქრიოს — განაბნიოს, მ. 21, 44.
- განღება: გან-ვინმე-ილოს — განაქუნ (კურკერი), მრ. 11, 16.
- განყვანება: გან-რე-იყვანა — გან-რე-იღვინა, მრ. 8, 32.
- განყოფილ — გავთულ, მრ. 3, 26.
- განყრა: განიყარა მისგან (კეთროვნებაჲ) — განეშორა მას, მრ. 1, 42.
- განშორება: განეშორა — მიჰრიდა, ი. 6, 15; განაშორნენ — განარჩინენ, მ. 13,  
- შეკრება: ხარკსა შეკრებდეს — დიდრავმასა მოჰყდიდეს, მ. 17, 24; ნუჟკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი — მო-ნუ-ისთულიან ეკალთაგან ყურძენი, მ. 7, 16; შეკრბეს ყოველნი მღვდელთ მოძღუარნი — მოვიდეს მის თანა..., მრ. 14, 53; შეკრებოდა კუალად მისა ერი — თანა-უვიდოდა მას ერი, მრ. 10, 1; შეკრებასა მას ლუარძლისასა — მომარჯლასა მას ლუარძლისასა, მ. 13, 29.
- შემასმენელი: არს შემასმენელი თქნი მოსე — არს, რი ძვრის მეტყუელ არს თქნთვს მოსე, ი. 5, 45.
- შემდგომად ჩემსა — კუალსა ჩემსა, მრ. 8, 34; შემდგომად ამისა, მერმე — უკუა-ნაასკნელ, მ. 25, 11; შემდგომად აღდგომისა ჩემისა — რქს აღვდგე, მ. 26, 32; მიაქუნდა შემდგომად იჯსა — მიღებად კუალსა იესუსა, ლ. 23, 26.
- შემდგომითი-შემდგომად — განწესებულად, ლ. 1, 3.
- შემთხუევა: შემთხვნეს მას ორნი კაცი — მოეგებვოდეს, მ. 8, 28; გამოვიდა შემთხუევად იესუსა — გამოეგებვოდა იესუს, მ. 8, 34; ნუ შრომასა შეამთხუევთ — ნუ დააშრობთ, მ. 14, 6.
- შემკობა: შეამკობთ — განაშუენებთ, მ. 23, 29.
- შემოდგომა: შემომიდგეს — მომდევდეს, ი. 8, 12; შემომიდგინ — მომდევდინ, ი. 12, 26.

- შემოსა: შემოსის — შეამკვის, მ. 6, 30; შეიმოსოთ ძალი — შთაიტუათ ძალი, ლ. 24, 49; შეჰმოსეთ — შთააცუთ, ლ. 15, 22; შეჰმოსა გუამსა არდაგი — წარგრაგნა არდაგსა, ლ. 23, 53.
- შემოსილისა — ჩჩვლითა სამოსლითა შემეტლისა, მ. 11, 8.
- შემურგილსა ღვნოსა — სუმუროვანი ღვნოდ, მრ. 15, 23.
- შენდობა იყავნ შენდა — ლხინებამცა არს შენდა, მ. 16, 72.
- შენებული: უჩუენებდეს მას შენებულსა მას ტაძრისასა — ... ნაქმნევისა მის ტაძრისაჲსა, მ. 24, 1.
- შერთვა: შეერთოს ცოლი მისი ძმამან მისმან — ესიძენ მას ძმაჲ მისი, მ. 22, 24; შეერთოს სხუაჲ — ცოლ-იყოს სხუაჲ, მ. 19, 9; მრ. 10, 11; შეერთო — ცოლ-იყო, მრ. 6, 17; შეერთოს სხუასა — ცოლ-იყოს სხუასა, მრ. 10, 12.
- შერიჟუნება: შე-ოდენ-რიჟუნებოდა — დაბნელდა, ი. 6, 17.
- შერყეული: ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა — ... რონინებულისა, მ. 11, 7.
- შესავალი: გარეშე შესავალსა — უბანსა ზა, მრ. 11, 4.
- შესაკრებელი: შესაკრებელსა — ურაკპარაკთა, მ. 10, 17.
- შესამოსელი — საბრადნელი, ი. 21, 7.
- შესაძლებელ არსა — ეგების-მე, ი. 1, 46; მ. 4, 9; შესაძლებელ იყო განსყიდად — ღირდა განსყიდად, მ. 26, 9; უკუეთუ შესაძლებელ არს — მარჯუეთუ არს, მ. 26, 39.
- შესაწირავი — მსხუებლი, მ. 5, 24; მიცემად შესაწირავი — მიცემად მსხუერბლისა, ლ. 2, 24; შესაწირავთა — მრგულიად დასაწუველთა, მრ. 12, 33.
- შესლვა: შევიდა ნავსა — აღვდა ნავსა, მ. 9, 1; მრ. 8, 10; შევალს ეზოსა — შთა-ვდეს, ი. 10, 1; სულბი... შევიდეს ღორებსა — შვკდა, მრ. 5, 13; შევიდეს ნავსა — შესხდეს, ი. 6, 17; შევიდეს ნავსა — აღვდეს, ი. 21, 3.
- შესმენა: შეასმენდეს მას — ძვრსა იტყოდეს მისთვის, ლ. 23, 10; რასა — იგი შეასმენთ მას — რლსა თქნ ძვრსა იტყუთ მაგისთვის, ლ. 23, 14; მე შეგასმინე თქნ მამასა — მე ძვრის მეტყუელ რაჲმე ვყავ თქნთვის წე ღთისა, ი. 5, 45; რასა შესმენასა მოი-ღებთ კაცსა ამს ზა — რას ძვრის საქმესა შესწამებთ კაცსა მაგას, ი. 18, 29.
- შესწავებული — წარჩინებული, მ. 27, 16.
- შეუგუანებელ არს — არა ეგების, ლ. 17, 1.
- შეურაცხი: არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ — არა არს წინაწარმეტყუ-ელი უპატო, მრ. 6, 4.
- შეურაცხ-ყოფა: შეურაცხ-ჰყოფთ მცნებასა ღმრთისასა — ეცრუებით, მრ. 7, 9; შეურაცხ-ჰყოფდეს მას — განაიციხეს იგი, ლ. 16, 14; შეურაცხ-ჰყოფ-დეს — ხეკიცხევდეს, ლ. 23, 35.
- შეურეება: შეაურეებდეს — შეაიწრებდეს, მრ. 5, 24.
- შეშინ: ხ შათ შეეშინა — შეძრწუნდეს დიდად, ი. 6, 19.
- შეჩუენება: იწყო პეტრე შეჩუენებად — იწყო წყევად, მ. 26, 74; მრ. 14, 71.

- შეცუმა: შეაცუთ ბეჭედი — მიეცით ბეჭედი, ლ. 15, 22.
- შედრწუნება: ნუ შესძრწუნდებით — ნუ აღტყდებით, მ. 24, 6; მრ. 13, 7; ნუ შესძრწუნდით — ნუ გულ-მედგარ ხართ, მ. 8, 26; შეძრწუნდა სულითა — აღიძრა სულითა, ი. 11, 33; 13, 21.
- შედრწუნებულ არს — აღძრულ არს, ი. 12, 27; შეძრწუნებულ იყვნეს — შეშინებულ იყვნეს, მრ. 16, 8.
- შეწამება: შეგწამებენ — გასმენენ, მ. 26, 62.
- შეწირვა: შეწირეს მისა ძლეუნი — შოართუეს მას ძლეუნი, მ. 2, 11.
- შეწუხება: შეწუხნეს ფრიად — შეზრუნდეს ფრიად, მ. 17, 23; 18, 31.
- შეწუხებულ არს სული ჩემი — შეტუვენებულ არს სული ჩემი, მ. 26, 38.
- შეჭირვება: შეგაჭირვებენ — შეგაიწირებენ, მრ. 5, 31.
- შეხუევა: შეხვა (ყრმაჲ) სახუეველითა — შეგრაგნა, ლ. 2, 7.
- შეხუეული (ყრმაჲ) — წარგრაგნილი სახუეველითა, ლ. 2, 12.
- შეგდრძმა: საცთური სიმდიდრისაჲ შეუტდის — საცთურმან სიმდიდრისამან, რომელ შეეკრინიან ..., მრ. 4, 19.
- შეჰხადა — იბ. ხად.
- შვილ — ნაშობ, ი. 1, 12; შვილთაგან — ნაშობთაგან, მ. 11, 19; შვილთა ნაშობთა, მ. 23, 37; ლ. 23, 28; შვილი — მკვდრი, მრ. 12, 20, 21, 22; შვილი — ყრმაჲ, მრ. 7, 28.
- შთაგდება: შთაიგდო თავი თვისი ზლუად — შთავარდა ზლუასა, ი. 21, 7.
- შთაგზნება: თივაჲ... თორენსა შთაგზნის — თივაჲ თორენსა შთაგდიან, მ. 6, 30.
- შთაგრდობა: აღიფხუერ და შთავარდი ზლუად — აღფხურად და შთაგდებად ზლუასა, მრ. 11, 23.
- შთასლვა: შთავიდეს ზლუად — გარდამოკდეს ზღვს კიდესა მას, ი. 6, 16.
- შინა — შორის: ეკალთა შინა — ეკალთა შორის, მრ. 4, 18.
- შინა-გაცემა: შინა-განსცემდენ — არდაბაგებდენ, მ. 24, 10.
- შინ: ნუცა გეშინინ (E) — ნუცა დაჰმედგრდებათ, ი. 14, 27; ნუ გეშინინ — გიხა-როდენ, ი. 12, 15.
- შობილ ვარ — ვიშვე, ი. 18, 36.
- შორის — საშოვალ, მრ. 7, 31; შორის — შუვა, მრ. 3, 3; ლ. 21, 21; განიპოკრეტსაბმელი... შ-ს — განიპო ეხოჲ... ორგან, ლ. 23, 45.
- შუენიერი მზრახვალი — პატიოსანი მზრახვალი, მრ. 15, 43.
- შფოთი — ამბოხი, მ. 27, 24; შფოთი — ამბოხება, მ. 26, 5; მრ. 14, 2; შფოთი — ჟღავილი, მრ. 5, 38; შფოთისა ყოფა — აღძრვა, ლ. 23, 19.
- შჯული — აღტქუმაჲ, ლ. 1, 72.

## ჩ

- ჩენა: ელვაჲ ჩანნ — ელვაჲ ბრწყინავნ, მ. 24, 27; ნათელი ჩას — ნათელი ნათობნ, ი. 1, 5.
- ჩუენება: ეჩუენა ანგელოზი — ანგელოზი... გამოეცხადა ჩუენებით, მ. 2, 19; ეჩუენა მას ანგელოზი — გამოეცხადა მას ანგელოზი, ლ. 1, 11; გუე-ჩუენა ჩნ მზ (E) — მოგუძინეს ჩნ მზემან, ლ. 1, 78; ვინ გიჩუენა



თქუენ სივლტოლაჲ — ვინ გასწავა თქუენ სივლტოლაჲ, ლ. 5, 7;  
 ჩუენებაჲ იხილა — ხილვაჲ იხილა, ლ. 1, 22.

ჩჩუ: რტონი მისნი დაჩჩვან — რტონი მისნი მოლბიან, მრ. 13, 28.

## 3

ცალიერი — ცუდი, მრ. 12, 3.

ცბის — იხ. სიციბილი.

ცდა: აცადენ მკუდარნი დაფლვად თვსთა მკუდართა — უტევე მკუდართა  
 მათ დაფლვად მკუდართა თვსთა, მ. 8, 22.

1. ცემა: მეც მე წყალი — მასუ მე, ი. 4, 10.

2. ცემა: ივს შოლტითა ჰსცა — იესუ გუმეა, მ. 27, 26; ქეთთა იცემნ თავსა  
 თვსთა — ქეთთა დაიტუნვინ, მრ. 5, 5; ცემა ყურიმლისა — იხ. ყურიმ-  
 ლის ცემა.

ცეცხლსა — მგზებელსა, მრ. 14, 54.

ცვა: ჰსცვიდა ჰეროდე იოვანეს — ეკრძალებოდა, მრ. 6, 20.

ცვლა: იცვალა სხუად ხატად — სხუაფერ იქმნა, მრ. 9, 2.

ცილობა: იცილობთ ურთიერთას სიტყუათა — ჰვდებით..., ლ. 24, 17; რასა-იგი  
 იცილობდეს ურთიერთას — იტყოდეს ურთიერთას, მრ. 9, 33; ცილო-  
 ბაჲ იყო მათ შორის — წვალეზა, ი. 9, 16.

ცისად-ცისად ბოროტად იგუემების — ახლის პიროვან არს და ძვრ-ძვრად იგუე-  
 მების, მ. 17, 15.

ცისკარსა — განთიადსა, ლ. 24, 22; ცისკარსა — განთიად, ლ. 24, 1.

ცნობა: ცნეს — გულისვმა-ყვეს, მ. 21, 45; მრ. 12, 12; ლ. 1, 22; ი. 8, 27;  
 ჰსცნათ — გულისვმა-ჰყოთ, ი. 8, 28; 19, 4; გიცნობიეს — გულისვმა-  
 გიყოფიეს, მ. 16, 9; მრ. 7, 18; გიცნობიეს — გულისვმა-ჰყავთ,  
 მ. 16, 11; ჰსცნობდინ — გულისვმა-ჰყოფდინ, მრ. 13, 14; ცნას —  
 გულისვმა-ყავნ, ი. 7, 17; ცნას — გულისვმა-ყონ, ი. 7, 51; ცნა —  
 გულისვმა-ყო, ი. 13, 28; ჰსცნათ და უწყოდით — უწყოდით და  
 გულისვმა-ჰყოთ, ი. 10, 38; ჰსცნა — უწყოდი, ი. 13, 7; ჰსცნათ —  
 უწყოდით, ი. 14, 20; ვითარ შემძლებელ ვართ გზისა მის ცნო-  
 ბად — და ვითარ-მე გზაჲ იგი უწყოდით, ი. 14, 5; ცნან — უწყ-  
 ყოდიან, ი. 13, 35; უცნობიეს — უწყიან, ი. 17, 7; ცნეს — უწყოდეს,  
 მ. 24, 39; რაჲთა ვცნა ესე — რაჲთა უწყოდი, ლ. 1, 18; გვცნო-  
 ბიეს — უწყით, ი. 8, 52; ცნა — ეგონა, მრ. 5, 29; ნუ სცნობნ მარ-  
 ცხენე — ნუ აგრძნობნ მარცხენე, მ. 6, 3.

ცოდვა: ვინ ცოდა — ვისი ბრალი არს, ი. 9, 2; არცა მაგან ცოდა — არცა  
 მაგისი ბრალი არს, ი. 9, 3; ცოდვამცა არა აქუნდა — არამცა ბრალ-  
 გება, ი. 9, 41; ცოდვაჲ — ბრალი, ი. 19, 11.

ცოდვილთა — მეძავთა, მ. 21, 32.

ცოდნა: იცოდა — გულისვმა-ყო, ი. 6, 61; ერთი მამაჲ ვიცით — ერთი არს  
 მამაჲ ჩნი, ი. 8, 41; არა იცოდეს — არა ცნეს, ი. 12, 16; ვიცით —  
 გურწამს, ი. 16, 30; ვერ იცოდეს — შეზრუნდეს, ი. 13, 22; იცნით —



გულსკმა-ჰყვენიო, ი. 8, 43; ვიცი — უწყი, ი. 4, 25; 8, 14; 11, 24; 12, 50; მ. 26, 70; ვიცით — უწყით, ი. 3, 11; 9, 20; 14, 5; 16, 18; 21, 24; მ. 22, 16; იცი — უწყი, ი. 13, 7; არა იცია — არა უწყი, ი. 19, 10; იცით — უწყით, მ. 20, 22; 24, 42; 25, 13; ი. 7, 28; 14, 4; იცინ — უწყინ, ი. 12, 35; 15, 15; იცის — უწყის, მ. 24, 36; ი. 19, 35; იცნის — უწყნის, ლ. 16, 15; იციან — უწყიან, ი. 18, 21; იცოდა — უწყოდა, ი. 2, 9; 5, 13; 6, 64; 13, 1, 3, 11; მრ. 6, 20; 12, 15; არა იცოდეს — არაა მეცნიერ იყო, ი. 20, 9; იცოდეს — უწყოდეს, ი. 2, 24; 21, 12; იცოდის — უწყოდის, ი. 11, 57; იცოდა — იხილა, მრ. 12, 28; ი. 18, 4.

ცომისაგან — თბისა მისგან, მრ. 8, 15.

ცოცხალ იქმენ — განკურნებულ ხარ, ი. 5, 14.

ცხება: ჰსცხო მან თიჯაა იგი თუღათა — ჰგოზა, ი. 9, 6; თიჯაა შექმნა და მცხო — მომგოზა, ი. 9, 11.

ცხოვნება: ვაცხოვნო — ვიჯსნე (სოფელი), ი. 12, 47; ცხოვნდა — განერა, მრ. 13, 20; აცხოვნოს — განარინოს (თავი თვისი), მრ. 8, 35; სხუანი აცხოვნნა, იცხოვნენ თავი თვისი — სხუანი განარინნა, განარინენ თავიცა თვისი, ლ. 23, 35; ჰსცხოვნდეთ — განერნეთ, ი. 5, 34.

ცხოვრება — ქსნაა, ი. 4, 22; მე ვარ პური ცხოვრებისაა — მე ვარ პური ცხოველი, ი. 6, 51.

d

ძალ-დება: ძალ-მიც — შემძლებელ ვარ, მ. 9, 28; 26, 53, 61; ძალ-ვიც — შემძლებელ ხარ, მ. 5, 36; 8, 2; ძალ-ჟც — შემძლებელ არს, ლ. 3, 8; ძალ-მიც — მიძლავს, ლ. 16, 3; ძალ-გვც — გვძლავს, მ. 20, 22; მრ. 10, 39; ძალ-ვიც(ა) — ვიძლავს, მ. 20, 22; მრ. 9, 22, 23; 10, 38; ვერ ძალ-ვიც — ვერ უძლეთ, მ. 2, 40; ი. 15, 5; 16, 12; ძალ-ვიც — ველმწიფე ხარ, მრ. 14, 7; ვერ ძალ-ჟც — ვერ უძლოს, მ. 27, 41; ვინაა ძალ-გვც — ვინაა შეუძლო შენ (sic), მრ. 8, 4.

ძე — ნაშობ, ი. 12, 36; ძქ — შვილი, ი. 17, 17; ლ. 15, 19; ძენი — შვილნი, ლ. 16, 8; ძეთა — შვილთა, მ. 9, 15; ძეთა სიძისათა — ნაშობნი ქორწილისანი, მრ. 2, 19.

ძიება: ეძიებდით — ითხოვდით, მ. 6, 33; ეძიებდეს მას შეპყრობად — ეგულვა მისი შეპყრობაა, ი. 7, 30.

ძმარი — ღვნოა, მ. 27, 34.

ძნიად იგუემების — ძვრ-ძვრად, მ. 8, 6.

ძურომა: დავრდომილ იყო... და ქუე ძუტრებოდა — დავრდომილი იღვა... დამდიერებული, ლ. 16, 20.

## ფ

- წამება: ვწამებ მისთვის — ვამხილებ მას, ი. 7, 7.
- წამის-ყოფა: წამ-უყენა — თულ-უყენა, ი. 13, 24; წამს-უყოფდა მათ — მოასწავებდა მათ, ლ. 1, 22.
- წარდგომა: წარდგა, რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო — მოვიდა..., მ. 25, 20.
- წარვედ — იხ. წარსლვა.
- წარბქუმა: ვალობაჲ წარბქუეს — ჰმადლობდეს, მრ. 14, 25.
- წარმართი: წარმართა — ნათესავთა, მ. 24, 9, 14; მრ. 11, 17; 13, 9; ლ. 24, 47; ვა-იგი წარმართთაგანი — ვა ორგულნი, მ. 6, 7.
- წარმართება: წარჰმართენით გზანი — წრფელ-ყავთ გზაჲ, ი. 1, 23.
- წარმატება: წარემატებოდა — აღორძინდებოდა, ლ. 4, 52.
- წარმოდგენა: ყნ კაცმან კეთილი ღვთაჲ პირველად წამოადგის — ...პირველ ამსახურის, ი. 2, 10.
- წარმოდგომა: წარმოუდგა მას გამომცდელი — მოვიდა მისა გამომცდელი, მ. 4, 3.
- წარსლვა: წარვიდეს — წარავლინნეს, მ. 14, 35; წარვიდა ვალილეათ — აღიძრა ვალილეათ, მ. 19, 1; წარვედ მართლუკუნ ჩემგან — უკუნჩქეც ჩემგან, მრ. 8, 33; წარვედ — გუალე, მრ. 10, 21; წარვიდა — იქცეოდა, ი. 5, 9; წარვიდეს კულად თვსაგან — შეკრბეს ერთად მერმე, ი. 20, 10; წარვიდა სახიდ თვსა — მიიქცა სახიდ თვსა, ლ. 1, 56; წარვედ ჩემგან — მართლუკუნ იქეც ჩემგან, მ. 16, 23.
- წარტაცება: წარიტაცოს — წარიყვანონ, მ. 24, 41.
- წარტყევა: რომელი წარგიქცევდეს შენ მძლუარად — წარგიმძლუანებდეს, მ. 5, 41.
- წარცემა: არა წარჰსცეს ფერჯი — არა უბრკუმეს, ი. 11, 9.
- წარძლომა: წარგიძლუე თქუენ ვალილეად — წინადასწარ თქნსა მივიდე ვალილეად, მრ. 14, 28.
- წარწყმედა: სული თვისი წარიწყმიდოს — განიქუას სული თვისი, მრ. 8, 36.
- წელი: მრავალი წელი აქუს — მრავალი ჟამი დაეყო, ი. 5, 6.
- წერილი: არღა იცოდეს წერილისაჲ — რ არღა მეცნიერ იყო წიგნთა, ი. 20, 9. იხ. კიდევ ჯელით წერილი.
- წილი: წილთა თანა იჯდსთა — რღსა ინაჯ-ედვა იესუს თანა, ი. 13, 23.
- წილცდომა: წილცდა — წარვიდა, ი. 6, 1.
- წიგნი (D) — წერილი, მრ. 12, 10.
- წიღოვნება: აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელსა დაეყო წიღოვნებასა შინა ათორმეტი წელი — ...სისხლისა დინებასა, მ. 9, 20; წყაროჲ წიღოვნებისა მისისაჲ — წყაროჲ იგი სისხლისა მის მისისაჲ, მრ. 5, 29.
- წინა-რბიობა — იხ. სრბა.
- წინამძღუარი: ვაჲ თქნდა, წინამძღუარნო ბრმანო — ვაჲ თქნდა, მწიგნობართა ბრმათა, მ. 23, 16.



წინაშე — პირსპირ, მ. 21, 2; მრ. 11, 2; წინაშე კართა — კართა გარეშე, მრ. 2, 2; წინაშე მდგომარე — რ დგა მახლობელად, ი. 19, 26; წინაშე მდგომელმან — მის თანა მდგომარემან, მრ. 14, 47.

წოდება: ეწოდა — ერქუა, მ. 27, 8; ეწოდოს — ერქუას, ლ. 1, 32; ეწოდენ — ერქუნ, ლ. 1, 60; გეწოდოს — გერქუას, ი. 1, 42; უწოდეს — პრქუეს, ლ. 2, 21; წოდებად — ჩინებად, მ. 9, 13; მრ. 2, 17.

წუევა: აწუევედა მოწაფეთა შესლვად ნავსა — აძულა..., მრ. 6, 45.

წუელი — თივაჲ, მრ. 4, 28.

წყალსა ითხოვ — სუმად ითხოვ, ი. 4, 9.

წყეულ არიან — შეჩუენებულ არიან, ი. 7, 49.

წყლულებასა — ზუზღასა, ლ. 16, 21

## ჰ

ჰაბუკ — ყრმა, ი. 21, 18.

ჰამადი — პური: უბრძანა მათ, რა მისცენ მას ჰამადი — უბრძანა მათ ცემად მისა პური, მრ. 5, 43.

ჰამებული — უსხი: დაკლა ზუარაკი იგი ჰამებული — დაკლა ჯარი იგი უსხი, ლ. 15, 27, 30.

ჰემმარიტი: ეგე ჰემმარიტად ჰსთქუ — ეგე მართალი სთქუ, ი. 4, 18; ჰემმარიტად — ნანდვლვე, ლ. 23, 47.

ჰირი — მწუხარებაჲ, ი. 16, 21; ჰირი გაქუს — მწუხარე ხართ, ი. 16, 22; ჰირი გაქუს — იწროებით იყვნეთ, ი. 16, 33.

ჰურჰირთა — საზეთითა (მიიღეს ზეთი), მ. 25, 4.

## ხ

ხად: ელიას ჰხადის — ელიას უწმობს, მრ. 15, 35; უფლით ჰხადის მას — უფლით ეტყვს მას, მრ. 12, 37; ნუგის ჰხადით მოძღურით — ნუ ჰირქუამთ თავთა თქუენთა მოძღუარს, მ. 23, 8; შეჰხადა — მიუწოდა, ი. 18, 33.

ხარკის მომვდელი — წარმართთაგანი, მ. 18, 17.

ხატი — ელვაჲ: არცა ელვაჲ მისი გიხილავს, ი. 5, 37.

ხედვა: არა ჰხედავ — არა თუალთ-აღებ, მრ. 12, 14; ვხედავ — ვჰგონებ, ი. 4, 19; ჰხედვიდეს მას — იხილიან იგი, მრ. 3, 11; იხედვიდეს ურთიერთას მოწაფენი — შეიხილნეს..., ი. 13, 22; ჰხედვიდეს ძესჲ — იხილოს ძე, ი. 6, 40; არა ჰხედავს — არა იხილოს, ი. 14, 17; მხედვიდეთ — მიხილოთ, ი. 16, 16.

ხენეშ — ჯერკუალ, მ. 12, 33; ხენეში — ჰერკუალი, მ. 7, 17; ხენეშმან — ჯერკუალმან, მ. 7, 17; ხენეშსა — ჯერკუალსა, მ. 7, 18; ხენეშისა — ჯერკუალისა, მ. 17, 18.

ხესა — ძელსა, ლ. 23, 31.

ხეალისაგან — განთიად, მ. 21, 18.

**ხილვა:** იხილე, ნუვის უთხრობ — ეკრძა ლე..., მ. 8, 4; იხილეთ მსაჯულნი...  
 ლენით, მ. 24, 6; მრ. 3, 23; იხილეთ ნუმცა ვინ უწყის — იგულეთ...,  
 მ. 9, 30; 16, 6; 27, 24; მრ. 4, 24; რლთა-იგი ეხილვა — რნი-იგი  
 ხედვიდეს, მრ. 5, 16; იხილეთ — ხედვედით, მრ. 13, 33; იხილონ —  
 ჰხედვიდენ, ი. 19, 37; იხილეს — ჰხედვენ, ი. 21, 9; იხილეს — ხედვიდეს,  
 ლ. 23, 55; ი. 6, 19; იხილა — ხედვიდა, ი. 1, 29; ვიხილე — ვხედვედ,  
 ი. 1, 2; საუცარ რაამე იხილეს — საუცარ რაამე ეჩუენა,  
 ლ. 24, 37; ხილვით — ჩუენებით, მ. 2, 17.

**ხუცეს:** მოძღურებასა მას ხუცესთასა — სწავლასა მას მღვდელთასა, მ. 15, 2; მოძ-  
 ლურებისებრ ხუცესთასა — მსგავსად მოძღურებისა მის მღვდელ-  
 თასა, მრ. 7, 5.

### ჯ

**ჯელით წერილი** — წიგნი, ლ. 16, 6, 7.

**ჯელმწიფება:** ვის ჯელ-ეწიფების — ვინ უძღოს, მ. 12, 29; ჯელ-ეწიფების — შეუძ-  
 ლოს, მ. 19, 25; არცა ჯელ-ვის-ეწიფების — არცა უძღოს ვინ, მრ. 3, 27;  
 (ვერ) ჯელ-ეწიფების — (ვერ) უძღოს, მრ. 3, 24; 9, 3; 10, 26; ი. 6, 60;  
 ჯელ-ეწიფების — შეუძღოს, ლ. 16, 13; ჯელ-გეწიფების — შეუძღოთ,  
 ი. 5, 44; ვერ ჯელ-ეწიფების — ვერ შემძლებელ ხართ, მ. 6, 24; ვერ-  
 ვის ჯელ-ეწიფებოდა — ვერვინ შემძლებელ იყო, მ. 8, 24; ვერ ჯელ-  
 ეწიფების — ვერ შემძლებელ იყვნენ, მ. 10, 28; ვის ჯელ-ეწიფების —  
 ვინ შემძლებელ არს, მრ. 2, 7; ი. 3, 27; 6, 52; 9, 16; 10, 21; ვერ  
 ჯელ-ეწიფების — შემძლებელ არიან-მე, მრ. 2, 19; ჯელ-მე-ეწიფებისა —  
 ნუთუ ეგების, მ. 9, 15; ვითარ ჯელ ეწიფების — ვითარ ეგების, ი. 3, 4;  
 მათ ვერცაღა პურისა ჭამად ჯელ-ეწიფა — ვერ სცაღნ პურის ჭა-  
 მადცა, მრ. 3, 20.

**ჯელმწიფებაჲ** — ფლობაჲ, მრ. 3, 15; ი. 19, 10; მიჰსცემდა მათ ჯელმწიფებასა —  
 მისცა მათ ფლობაჲ, მრ. 6, 7; ჯელმწიფებისაგან ჰეროდესისა — საბ-  
 რძანებელისაგან ჰეროდესი, ლ. 23, 7.

**ჯმა:** ქათმისა ჯმასა — ქათმის ყივილს, მრ. 13, 35.

**ჯმის-ყოფა:** ჯმა ყო — ლაღატ-ყო, მრ. 1, 26; 9, 24; ლ. 1, 42; ჯმა-ყო —  
 აღუტევა ჯმაჲ, მრ. 15, 37.

**ჯმობა:** ჯმობდეს ჯმითა დიდითა — ლაღადებდეს, მ. 20, 30; ვიდრე ქათმისა ჯმო-  
 ბადმდე — ვიდრე ქათმის ყივიდმდე, მ. 26, 34; მრ. 14, 30;  
 ვიდრე ფილიპესა ჯმობადმდე, — ვიდრე ფილიპეს მიწოდებადმდე,  
 ი. 1, 49.

**ჯსნა:** მიჯსნენ ჩუენ — განმარინენ ჩუენ, მ. 8, 25; მიჯსნენ მე — განმარინე მე, ი. 12, 27;  
 იჯსენ თავი თვისი — განირინე თავი შენი, მ. 27, 40; მრ. 15, 30.

### ჯ

**ჯღომა:** ჯღა რაჲ — რაჲემს ინაჲედგა, მ. 9, 10; ვრ ჯღა — ინაჲით დგმა[სა]  
 მისსა, მრ. 2, 15.



ჯერ-ყოფა: ესრე ჯერ-არს ჩემდა — ესრე ზუენის ჩუენდა, მ. 3, 15; არა-ჯერ-არს — არა-მე ღირდა, მ. 18, 33; არა ჯერ-არს ესე დადებად სიწმიდესა — არა ღირს..., მ. 27, 6; ანუ არა ჯერ-არს ჩემდა — ანუ ვერ ვეღმეწიფების, მ. 20, 15; ჯერ-არსა — წეს-არს, მ. 22, 17; მრ. 3, 4; ი. 18, 31; არა ჯერ-არს — არა წეს-ყო, ი. 5, 10; ჯერ-არს ძისა კაცისა მიცემად — თანა-აც ძესა კაცისასა მიცემად, ლ, 24, 7.

ჯურღუმულსა — ჯნარცულსა, მ. 12, 11.

## ჰ

ჰამბავი: ჰამბავნი ბრძოლათანი — ჰამაჲ წყობათაჲ, მ. 24, 6; (ჰამაჲ წყობისაჲ, მ. 13, 7).

ჰასაკი აქუს — გასრულებულ არს, ი. 9, 21, 23.

ჰრომელეზრ — ფრომინებრ, ი. 19, 20; (წიგნითა) ჰრომელეზრითა — ფრომინებრითა, ლ. 23, 38.

ჰრომნი — ბერძენნი, ი. 11, 48.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 17. VII. 1944)

ლ. კიკნაძე

## ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში \*

### I

#### -ან | -ან, -უნ, -ოლ, -ომ სუფიქსებიანი გარდაუვალი ზმნები

გარდაუვალ ზმნათა ერთ რიგს მესამე პირის მრავლობითობის სუფიქსის წინ -ან ფორმანტი გამოაჩნდება: მყავს — მყევანან (← მ-ყავ-ან-ან), დგას — დგანან, წევს — წევანან... იგივე ფორმანტი ჩანს ზოგი ზმნის მხოლოდობითის ფორმაშიც უწყვეტელსა და I კავშირებითში: მაქვს — მქონდა (← მ-ქვ-ან-დ-ა ← მ-ა-ქუ-ან-დ-ა), მქონდეს; მყავს — მყევანდა, მყევანდეს...

ა. შ ა ნ ი ძ ე ს აღნიშნულ ზმნათა შესახებ ნათქვამი აქვს: „... ზოგიერთი ზმნა (საშუალო გვარისა), რომლებიც მას (მრავლობითობის -ან სუფიქსს) დაირთავს, კიდევ სხვა თავისებურებასაც გვიჩვენებს: -ან დაბოლოების წინ თავს იჩენს ხოლმე ინფიქსი -ნ ან -ან, რაც ნათლად ჩანს მხოლოდობითისა და მრავლობითი ფორმების დაპირისპირებიდან; მაგ.: დგა-ს: დგა-ნ-ან, წევ-ს: წევ-ან-ან, ჰგავ-ს: ჰგვ-ან-ან“<sup>1</sup>. „ნამყო უწყვეტელსა და I კავშირებითში შეიძლება -ან სუფიქსი ჩაირთოს რამდენიმე ზმნამ: ჰ-გავ-ს: ჰ-გავ-და და ჰ-გვ-ან-და; ჰ-ყავ-ს: ჰ-ყავ-და და ჰ-ყვ-ან-და; აქვს ზმნაში აუცილებელია -ან ელემენტის ჩართვა, მაგრამ წინამავალ უბრჯგუსთან შერწყმის წყალობით ეს უბრჯგუ (რომელიც ამჟამად ვინის სახით იწერება) მომდევნო ხმოვანს სცვლის, ან<sup>2</sup>ის ნაცვლად ონ გვაქვს: \*ჰ-ქვ-ან-და → ჰ-ქონ-და. უკანასკნელ ზმნას, ამის გარდა, ქცევის ნიშანიც ეცვლება: (ჰ)ა-ქვ-ს: ჰ-ქონ-და. ქონ გამოყენებულია ნაზმნარ სახელებში...“<sup>2</sup>.

ამ -ან სუფიქსის ფუნქცია ა. შ ა ნ ი ძ ე ს აზრით მრავლობითობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო: „გყევანან“ ზმნას „და რამოდენსავე კიდევ სხვას მრჩობლი დაბოლოება აქვს მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში (ან + ან) და, ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს (შდრ. სძულ-ან)“<sup>3</sup>. „ჰქონან“ ზმნასაც „დაბოლოება მრჩობლი აქვს: ჰქონან ← ჰქუნან“<sup>4</sup>.

\* აქ მოთავსებული ნარკვევი წარმოადგენს ერთ ნაწილს (§§ 1, 3) სადისერტაციო ნაშრომისას, რომელიც 31. V. 1942. არის დამთავრებული.

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე ს, მორფოლოგია, გვ. 87.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 180.

<sup>3</sup> მ ი ს ი ვ ე ს, პრეფიქსები, გვ. 72.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 73.



არის სხვაგვარი მოსაზრებაც: ა. ჩიქობავა ამგვარ ზმნებში მესამე პირის მრავლობითობის -ან სუფიქსის წინ ფორმანტად მხოლოდ ნ'ს გამოყოფს და მას მესამე პირის სუბიექტის „უძველეს ნიშნად“ მიიჩნევს: „ძველ ქართულში არის აშკარა ნიშნები იმისა, რომ ან წინად მხოლოდ მრავლობითობას აღნიშნავდა, პირის ფორმანტი კი ცალკე იყო: დგა-ნ-ან: -ნ მესამე პირის სუფიქსი, -ან მრავლობითობის მაჩვენებელი; ვ-დგა-თ, რომელშიაც პირის მაჩვენებელიც არის (ოღონდ პრეფიქსი) და რიცხვისაც. ესე იგი, მესამე პირი მრავლობითისა იმავე პრინციპის მიხედვით იყო აგებული, როგორითაც მეორე და პირველი“<sup>1</sup>. „მრავლობითობის -ან სუფიქსს... წინ უსწრებს -ნ, მესამე პირის სუბიექტური სუფიქსი: მხოლ.: დგ-ა-ს || დგ-ა-ნ. მრავლ.: დგ-ა-ნ-ან || დგ-ა-ნ-ედ... სალიტერატურო ენაში ახალი ფორმაციის -ს- სუფიქსის გამოყენების შემდეგ მრავლობითაში შეგვენახა -ნ. დგა-ნ-ან-ის რიგისა უნდა იყოს სხე-ნ-ან, ჰყე-ა-ნ-ან, ჰ-ქო-ნ-ან (\* ჰ-ქუ-ა-ნ-ან), წე-ა-ნ-ან...“<sup>2</sup>.

მესამე პირის სუბიექტის ნიშნად მიაჩნია -ნ აღნიშნულ ზმნებში აგრეთვე ვ. თოფურია: (გამოჩნ-დ-ა ზმნა) „საინტერესოა იმ მხრივ, რომ მესამე პირის ნიშანი -ნ (ე-ჩა, შ-ჩა, ჩა-ნ) ფუძეს შეუხორცდა და მისგან მივიღეთ ჩნ-დ-ების — გამო-ჩნ-დ-ა...“<sup>3</sup>. (მესამე პირის ნიშანი) „-ნ ახალმა ქართულმა არ იცის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დგანან, ჩანან შემთხვევებს“<sup>4</sup>.

ქართული ავლუტინაციური ტიპის ენაა; მასში თითოეული მორფოლოგიური ნიშანი გარკვეული ფუნქციის მქონეა; ერთ აფიქსს კი ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება ერთზე მეტი დანიშნულება ჰქონდეს. ზმნაში (პირველი და მეორე პირისათვის) სუბ. პირის ნიშანი ცალკეა წარმოდგენილი, რიცხვის ნიშანი — ცალკე (ვ-წერ-თ, ს-წერ-თ). მრავლ. მესამე პირის ფორმაში კი სუბიექტისა მხოლოდ რიცხვია გამოხატული (წერ-ენ). სავარაუდებელია, რომ მესამე პირის ფორმაშიც უნდა ყოფილიყო პირის ნიშანი მრავლობითი რიცხვის ნიშანთან ერთად. და შეიძლებოდა დგანან, წვანან, მყვანანის ტიპის ზმნებში მრავლობითობის -ან სუფიქსის წინ -ნ მართლაც მესამე პირის სუბიექტის ნიშნად მიგვეჩნია, რამდენიმე დაბრკოლება რომ არ გვქვდებოდეს:

1. ეს -ნ-ან დაბოლოება მხოლოდ საშუალო გვარის გარკვეული რიგის ზმნებს აქვთ; სუბიექტის პირისა და რიცხვის გამოხატვაში კი გვარის მიხედვით არ არის სხვაობა;

2. მესამე პირის სუბ. ნიშანი -ნ ისევე შეეფარდება -ს ნიშანს, როგორც ამავე პირის მრავლობითობის სუფიქსი -ედ — ენ | -ან სუფიქსს (მდრ. წერ-ნ — წერ-ედ, არ-ნ — არი-ედ: წერ-ს — წერ-ენ, არ-ს — არი-ან). ამდენად მოსალოდნელი იყო, რომ, -ნ-ან კი არა, -ნ-ედ დაბოლოება ექნებოდათ ამ ზმნებს. არის კი უპირატესად -ნ-ან დაბოლოება (იშვიათად არის -ნ-ედ იც: „არამედ შიშით დგანედ, ვითარცა ზეცას, წინაშე ღმრთისა“. ხანძთ., იხ., ა);

<sup>1</sup> ა. ჩიქობავა, მარტივ წინადადების პრობლემა, გვ. 209.

<sup>2</sup> ა. ჩიქობავა, მესამე პირის სუბ. უძველესი ნიშანი: ენიმკის მოამბე V—VI, გვ. 41.

<sup>3</sup> ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: ენიმკის მოამბე V—VI,

II, გვ. 534.

<sup>4</sup> ვ. თოფურია, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში: საქ. მეცნ. აკ. მოამბე, 1941, გვ. 191.



3. მხოლოდ აწმყოში ან აწმყოს ჯგუფში არის წარმოდგენილი პირის ნიშნის გამოხატვა კი ზმნის მწკრივზე არ არის დამოკიდებული;

4. -6 გვხვდება მესამე პირის მხოლოდობის ფორმაში უწყვეტელსა და 1 კავშირებითში უწყვეტელობის ნიშნის -ღ'ს წინ (ჩანდა — ჩანდეს, მყვანდა — მყვანდეს), როცა მესამე პირის სუბ. ნიშანი თავის ადგილასაა წარმოდგენილი (მყვანდა — მყვანდეს). სუბიექტური სუფიქსი კი მწკრივის ნიშნის წინ არასოდეს არ დგას.

5. თვით ამ -5'ს გვერდითაც არის მესამე პირის სუბ. ნიშანი -ს | -5 (ჩანს || ჩანს: „ოდესმე მეტოვანი ჩანს და ოდესმე ქაბუკი“. კიმენი, 129,34; აქუს ← აქუნს || აქუნს: „რ'ლთა არა აქუნს მწყემსი“. მათე, 9,36);

6. -5 არის პირველი და მეორე პირის ფორმებშიც: ს-ჩან (ხარ), დიალექტ. ვ-დვან-ვარ... ვპყვანდი: „მეცა, ხუტედი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვპყვანდი ეპისკოპოსსა მას“. მარტ. შუშანიკისი, 8,4; მოპყვანდი: „ამა ზანგთა სით მოპყვანდი შენ, პატრონი ცისა კომთა“. ვეფხისტყაოსანი ვახტ., ჩრკთ,2;

7. აუხსნელი დარჩება -ა'ს არსებობა -5'ს წინ (მღრ. წევს—წვანან, დვას—დვანან, მყავს—მყვანან). ა. ჩიქობავა ამგვარ ზმნებში -ა'ს ვნებიითი გვარის ნიშნად თვლის: (მეგრულის ვნებითის) „უ- ტიპი ვარაუდობს ქართულში -ა- ტიპის არსებობას, მაგრამ ასეთი ვნებითი ქართულში ნაშთების სახით თუა შემონახული, ისიც ფუნქციის ცვლით: ვულისხმობ დვ-ა-ს ზმნას და ზოგ სხვას, რომელსაც -ა- მრავლობითში უჩნდება: წვ-ა-ნან, გვ-ა-ნან...“<sup>1</sup>. ეს ვარაუდი სწორი იქნებოდა, რომ გვარის ნიშნის ქონა-არქონა ზმნაში მწკრივისა და რიცხვის ცვლაზე იყოს დამოკიდებული: -ა- აწმყოში არის, წყვეტილში არაა (ს-დვა-ხარ, [ძვ. ქარ. ხ-დვა—ხ-დვ: „შიშით და ძოლით ხ დევ ეკლესიასა შინა“. ხანმ. მრავალთავი, 125,20); მხოლ. რიცხვში არ არის, მრავლობითში არის (წევს—წვანან);

8. გაურკვეველი იქნება -ა'ს ფუნქცია -5'ს შემდეგ დიალექტურ ფორმებში (ჩან-ა, დვანა...);

9. -5- არის მასდარულ ფორმებში (ჩენა, ქონა...), სადაც პირის ნიშანი წარმოუდგენელია;

10. -5- გვხვდება ამ რიგის ზმნათა შესაბამის მოქმედებითისა და ვნებითი გვარის, აგრეთვე მასდარულ ფორმებში (აჩენს | აჩინებს, ადგენს | ადგინებს; გამოჩნდა, დადგინდა; გამოჩენა | გამოჩინება, დადგენა | დადგინება).

დვანან, მყვანან 'ის ტიპის ზმნებში მესამე პირის სუბიექტის მრავლობითობის -ან სუფიქსის წინ -ან ფორმანტს მრავლობითი რიცხვის ნიშნად ვერ მივიჩნევთ. უმართებულო იქნება აგრეთვე -ან'ის დაშლა და ა'ს ვნებითი გვარის მაწარმოებლად და ნ'ს მესამე პირის სუბ. ნიშნად გამოცხადება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 115.

<sup>2</sup> აღნიშნულ ზმნებში -5'ს პირის ნიშნად გამოყოფა არადაამჯერებლად მიაჩნია შ. ძიგურსაც (იხ. მისი К характеристике нижеимерского говора, გვ. 131).



ამ -ან<sup>1</sup>ის დანიშნულება სულ სხვაა: იგი საშუალო გვირის ზნებასა და კვეთის I სერიის ფუძის საწარმოებელია ისევე, როგორც -ავ, -ამ, -ებ... სუფიქსები სხვა ზმნებში. II სერიის ფორმებში -ან სუფიქსი ისევე, როგორც -ავ, -ამ, -ებ... სუფიქსები, არ გვხვდება (იხ. ქვევით).

-ან ახალ სალიტერატურო ქართულში მხოლ. რიცხვის ფორმაში არ ჩანს<sup>1</sup>, მრავლობითში კი გამოჩნდება მრავლ. -ან სუფიქსის წინ. ასეთი მდგომარეობაა თითქმის ძველ ქართულშიც:

ა-ქუ-ს || ა-ქუ-ნ (მას || მათ — იგი): ... დედათა სახც აქუნ ... სახის-მეტყ., 27<sup>20</sup>.

მ-ქონ-ან ← მ-ქუ-ან-ან (მე || ჩუენ — იგინი): ... მქონან ჩემ ქუეშე ერი-საკაცნი... მათე, 8<sub>9</sub>.

ახალ ქართულში „მქონან“ ფორმა აღარ არის: ე. წ. ინვერსიულ ზმნებში იშვიათად მოჩანს მორფოლოგიური სუბიექტის (მესამე პირის) მრავლობითობა (მძულს ის — მძულს | მძულან ისინი; მიყვარს ის — მიყვარს | მიყვარან ისინი...); ძველ ქართულშიც კი მხოლოდ ნაშთიანი მრავლობითი სუბიექტი ითანხმებდა ზმნას რიცხვში. ამასთან ახალ ქართულში უფრო მეტად ჩანს ცოცხალ და არაცოცხალ არსებთა განსხვავება ზმნაში: „ქონა“ მხოლოდ ნივთებს გულისხმობს, „ყოლა“ — ცოცხალ არსებებს (მაქვს წიგნი, მყავს ძმა). ნივთის მრავლობითობა კი არაინვერსიულ ზმნებშიც არ ჩანს (დამეკარგა წიგნები...). დღეს ცოცხალ არსებაზე იტყვიან — „მყავს“, „მყვანან“ და არა „მაქვს“, „მქონან“.

გუყავს (ჩუენ იგი) — გუყვანან (ჩუენ იგინი): ... ხოლო ვლთოღვილნი ესერა გუყვანან ... ზღაპრობანი ელენთანი, 37.

დგას (იგი) — დგანან (იგინი): ... რომლისა წინაზე დგანან ათასნი ...

Архиерат., 23<sub>4</sub>.

ჰბრძვენ (მას || მათ იგი): ... და ჰბრძვენ პრაკთა მათ... სახისმეტყ., 3<sub>17</sub>. — ჰბრძვანან (მას || მათ იგინი): ... იგინი ჰბრძვანან მტერთა ჩუენთა და ვეედრებიან უფალსა... წარტყუენ., კთ<sub>21</sub>.

ზოგ (დასავლურ) დიალექტში „ყოლა“ ზმნას -ან არ გამოაჩნდება არც უწყვეტისა და I კავშირებითის ფორმებში, არც მრავლ. რიცხვში: მყავს — მყავდა — მყავდეს; მყავს — მყავან... ძველსა და საშუალო ქართულშიც არის შემთხვევები, როცა -ან არ არის წარმოდგენილი მესამე პირის სუბიექტის მრავლობითობის ნიშნის წინ:

... შეხუეულ და შებრატნილ არიან და დგან...<sup>2</sup> სახისმეტყ., 3<sub>25</sub>.

... არ ლარნი გვაქვან ნაჭარნი... ვეფხისტყაოსანი აბულ., 898<sub>4</sub>.

ზემოიმერულში მრავლ. -ან სუფიქსის წინ რ ბგერს. ეს რ -ან სუფიქსის ნ<sup>3</sup>ს ბადალი უნდა იყოს, დისიმილაციის ნიადაგზე მიღებული. ამრიგად, ზემოიმერული ფორმები — დგარან, წევრან, მყავრან — ოდინდელი „დგანან, წევ-

<sup>1</sup> მოგვაგონდება „მოიყვან-ებ-ენ“, „მოიტან-ებ-ენ“ ზმნათა აწმყოს -ებ სუფიქსი, რომელიც მხოლოდობითის ფორმებში აღარ ჩანს: „მოიტან-ს“, „მოიყვან-ს“.

<sup>2</sup> ასეთი ფორმა ზევსურულშიც არის: ... კაცის სულნ რაში დგან?... ზევსურული 124<sub>13</sub>.

ნან (← წევ-ან-ან), მყანან (← მყავ-ან-ან)“-ის ვარიანტები უნდა იყოს სუნნელი → სურნელი ...<sup>1</sup>).

ეს -ან სუფიქსი მხოლოდ მრავლობითის ფორმებში კი არ არის მოსალოდნელი, იგი მხოლოდობითშიც უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს სალიტ. ქართულის „ჩანს“, „მქონდა“ ფორმები და დიალექტური (გურული, ქვემო-იმერული) „დგანა“, „წვანა“, აგრეთვე (აღმოსავლური) „მყანდა“... ახალი ქართულის „აქეს“ ფორმაში -ს'ს წინ დაკარგულია ნ (← ან), რომელიც უწყვეტელსა და I კავშირებითში შენახულა.

ძველ ქართულშიც დაკარგულია ნ პირის ნიშნის -ს'ს წინ, მაგრამ, როცა პირის ნიშნად -ნ გვევლინება, ეს ნ (← ან) ჩანს მხოლ. რიცხვის აწმყოს ფორმაშიც: ... ცხოვარნი, რ'ლთა არა აქუნნ მწყემს... მათე, 9<sub>36</sub>. იგივე ნ დაცულია უწყვეტელსა და I კავშირებითში: ... შესაწირავი და გუნდრუკი მოხაქუნ დეს... ი. ჯავახიშვილი, ხანმეტი ტექსტები, გვ. 373.

ანალოგიური მოვლენა უნდა იყოს, როცა ძველ ქართულში „ჩანს“ ფორმის პარალელურად „ჩანნ“ გვხვდება: ... ამისიცა მიზეზი ჩანს ... ქებაჲ ქებათაჲ, 1<sub>172</sub>. ... ოდესმე მჯცოვანი ჩანნ და ოდესმე კაბუკი... კიმენი, 129<sub>34</sub>. „დგას“ ფორმაც „დგანს“-ის გამარტივებული (ნ-დაკარგული) სახე უნდა იყოს (შდრ. დგ-ან-ა გურ. — დგ-ა-ს; ჩ-ან-ა გურ. — ჩ-ა-ს ძვ. ქართ.).

ა. შანიძე სწორად შენიშნავს, რომ „ჩანს (← \*ჩანს: სახიმეტყუელი კთ<sub>14</sub>, ივე ბოლნელი 22<sub>17</sub>) უფრო ვულგარიზმია, ვიდრე არქაიზმი“<sup>2</sup>. როგორც აღვნიშნეთ, „ჩანს“, „გამოჩნდა“ ფორმებში -ნ- ფუძესწებორცებულ პირის ნიშნად მიაჩნია ვ. თოფურიას<sup>3</sup> და, მასასადამე, „ჩანს“ უფრო ძველი უნდა იყოს მისი აზრით. ა. ჩიქობავასაც არქაულ ფორმად მიაჩნია „ჩანს“ და გარეკახური „გაუჩნდაც“ მისი აზრით არქაული ფორმაა „სამწერლობო „გაუჩნდა“ ფორმასთან შედარებით“, რომელშიც „ნარი შემდეგშია განვითარებული“<sup>4</sup>. იგივე ავტორი უფრო გვიანდელ ნაშრომში წერს: ჩ-ა-(ნ)-ს, გა-ჩ-ნ-დ-ა ზმნების „ძირეული ჩ- წარმოდგენილია ჭანურსა და მეგრულში ჩქ-თი: ქ- განვითარებულია ფონეტიკურად. რაც შეეხება ა-ს — ჩ-ა-(ნ)-ს, — მისი კორელატია უ ← ო. ჩქუნ საშუალო გვარისაა, -ჩქ-ინ-დუ — ვნებითისა; ვნებითობას დ- გამოხატავს. -ინ- ჭანურში და მეგრულში, -ნ- ქართულში ერთი და იგივე ოდენობა ჩანს (-ინ- → -ნ-); ფუნქცია ცხადი არაა“<sup>5</sup>.

ჩ-ან-ს (დიალექტ. ჩ-ან-ა) ზმნაში ისეთივე -ან სუფიქსია, როგორიც დგ-ან-ან, მ-ცვ-ან-ან ზმნებში ძირია -ჩ-.

-ან'ის ხმოვანცვლილი ვარიანტი უნდა იყოს -ენ, რაც ჩანს მასდარულ ფორმებში — ჩ-ენ-ა, \* წვ-ენ-ა || წოლ-ა, \* დგ-ენ-ა || დგ-ომ-ა (შდრ. ძვ. ქართ. აღ-დგ-ი-ნ-ებ-ა ← აღ-დგ-ი-ენ-ებ-ა, გამო-ჩ-ი-ნ-ებ-ა ← გამო-ჩ-ი-ენ-ებ-ა; აღად-

<sup>1</sup> ი. ყიფშიძე, ასიმილაცია-დისიმილაციის წესი... თ. ს. უ. მოამბე 1, გვ. 8.

<sup>2</sup> ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 17.

<sup>3</sup> ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: ენიმკის მოამბე V—VI, II, გვ. 534.

<sup>4</sup> ა. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, გვ. 69

<sup>5</sup> ა. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 378.



ქართული  
ენის ინსტიტუტი

ვინებს ← აღადგი-ენ-ებ-ს, გამოაჩინებს ← გამოაჩი-ენ-ებ-ს... ა. შარტი-  
როსოვის დასტურით გარეკახეთში, ქიზიყში, ქართლში ჩვეულებრივია  
„დვენან“, „წვენან“ ფორმები (მეც გამიგონია თბილისში), რომლებშიც -ან'ის  
როლს -ენ ასრულებს. ქართლური ვ-ჩ-ვ-ვარ ← ვ-ჩ-ენ-ვარ (შდრ. ვ-დგ-ვ-ვარ ←  
ვ-დგ-ენ-ვარ, ვ-დგ-ა-ვარ ← ვ-დგ-ან-ვარ); მამასადაძე, მოსალოდნელი იყო  
ჩ-ან-ს, ჩ-ა-ს ფორმათა პარალელურად \*ჩ-ენ-ს, \*ჩ-ე-ს'იც.


ძველ ქართულში მხოლ. ვალ-ს | -ნ ზმნა მრავლობითში ვლ-ენ-ან | -ელ'ის  
სახით წარმოგვიდგებოდა: ...ვალნ იგი გინა თუ ზუაობნ... სახისმეტყ., 212-  
... და სრავალნი ვლენან... მათე, 713. ეს -ენ ვლენან'ში -ან'ის ბადალია.

-ენ სუფიქსი გამოიყოფა აგრეთვე ღრენა, ქშენა, ფრენა, ბრწყენა,  
რბენა-ში.

-ან | -ენ'ის თანაბარი ღირებულებისაა -უნ სუფიქსი, რომელიც მხოლოდ  
შვიდიოდე ზმნაშია შემონახული. გარდაუვალ (საშ. გვარის) ზმნებში მხოლოდ  
ერთგან ჩანს იგი: ხტ-უნ-ავ-ს || ხტ-უნ-ავ-ობ-ს — იხტუნა... გვხვდება გარდა-  
მაველ ზმნებში: არწმ-უნ-ებს — არწმ-უნ-ა, ახტ-უნ-ებს — ახტ-უნ-ა, აცთ-უნ-  
ებს — აცთ-უნ-ა, აჯღ-უნ-ებს — აჯღ-უნ-ა, აჯღ-უნ-ეებს — აჯღ-უნ-ვა.

„აცთუნებს“ ზმნაში წარმოდგენილი -უნ'ის ადგილს ახალ ქართულში  
-ენ იკავებს, რომლის ხმოვნითი ნაწილი რედუქციის გამო ზოგჯერ იკარგება  
და ამ სუფიქსის წინ აღდგენილი -ი-ხმოვანი ნ'სთან ერთად თითქოს -ინ  
სუფიქსს გადალევს: ა-ცთ-ენ-ს (← ა-ცთ-ი-ენ-ს || \* ა-ცთ-ი-(ენ)-ებ-ს) — ა-ცთ-ი-  
ნ-ა (← ა-ცთ-ი-ენ-ა): -ე-ხმოვანს კარგავს აწმყოს -ებ სუფიქსისა და მეორე  
სერიის ფორმებში (წვეტილის) -ე, (II კავშირებითის) -ო და (ხოლმეობითის) -ი  
ხმოვნების დართვა (შდრ. ძვ. ქართ. აღ-ა-დგ-ი-ნ-ებ ← აღ-ა-დგ-ი-ენ-ებ —  
აღ-ა-დგ-ი-ნ-ე ← აღ-ა-დგ-ი-ენ-ე — აღ-ა-დგ-ი-ნ-ო ← აღ-ა-დგ-ი-ენ-ო... მესამე  
პირის ფორმებში თვით ეს მარედუქტირებული -ე'ც იკვეცება, როცა პირის  
ნიშნად -ა ხმოვანი გამოდის: აღადგინა ← აღადგინა...). ძველი ქართულის  
ძეგლებში ამ ზმნასთან მხოლოდ -უნ სუფიქსია გამოყენებული აქტიურ ფორ-  
მებში: ... რ'ნ შე ა ც თ უ ნ ა იწ'ლი... საბა ასური, 2033.

პასიურ ფორმებში მხოლოდ ორგან არის დაცული -უნ (შე-ძრწ-უნ-დ-ა,  
და-რწმ-უნ-და). „დარწმუნების“ აქტიური ფორმა ძველ ქართულში სამ პირს  
ითავსებდა: II სერიის ფორმებში ამ ზმნასთან სუბიექტი, როგორც ჩვეულებ-  
რივ ყველა გარდამავალ ზმნასთან, მოთხრობითს ბრუნვაშია, ობიექტები —  
მიცემითში და სახელობითში:... მან სიმდაბლით და არ წმუნა წმიდასა  
მას თავისა თვისისა სწავლაჲ... ხანძთ., ლდ11. აქვს ამას თავისი მიზეზი:  
რწმუნა (|| \* რწმუნა) მასდარი ორ პირს გულისხმობს (მ-რწამ-ს მე იგი) და,  
როცა ამ მასდარისაგან გარდამავალი ზმნა იწარმოება, ერთი პირით იზრდება  
აქტიურ ზმნასთან შეწყობილ პირთა რიცხვი ისევე, როგორც სახელისაგან  
გარდამავალი ზმნის წარმოებისა და გარდამავალი ზმნის მასდარისაგან კაუზა-  
ტიური ზმნის წარმოების დროს (თეთრი — ვათეთრებ; თეთრება — ვათეთრე-  
ბინებ). ასეთივე მდგომარეობაა ზოგ სხვა ზმნაშიც: წვდომა || \* წვდენ-  
საგან მიღებულ გარდამავალ ზმნას სამი პირი შეეწყობა (მივაწვდინე მე  
მას იგი), წყენა-საგანაც სამპირიანი ზმნა იწარმოება: ვაწყენინე მე მას



იგი. ეს უკანასკნელი ზმნა ახალ ქართულში კაუზატივის ფორმით გვხვდებოდა. ქართულში კი იგი მასდარული წყენა<sup>1</sup> საგან იწარმოება კაუზატივის ნის გარეშე: ... ფრიადითა შრომითა აწყინეს... ხანძთ., ლე<sup>2</sup>.

საგულისხმოა, რომ ახალ ქართულში „დაარწმუნა“ ორპირიანად არის გაგებულნი (ალბათ „ახტუნას“ ანალოგიით): დაკარგულია პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი ქცეულია პირდაპირად (ძე. ქართ. დაარწმუნა მას იგი — ახ. ქართ. დაარწმუნა იგი). გაორპირიანებული „დაარწმუნას“ საპირისპირო, ვნებიანი ფორმაა „დაარწმუნდა“.

—უნს რომ იგივე ფუნქცია აქვს, რაც -ენს, ეს მარტო რწმენა, ცთენა<sup>3</sup> ში (შდრ. ა-ცთ-ი-ენ-ე ← ა-ცთ-ი-ენ-ე — ა-ცთ-უნ-ე ← ა-ცთ-ი-უნ-ე... ძირია ცეთ ← ცედ<sup>1</sup>) კი არ ჩანს: არის კიდევ ორი ზმნა, რომელთაც -ენის პარალელურად -უნიც უნდა ჰქონოდათ: მესხურში „ჯდომა ზმნის გარდა-მავალი ფორმებია დააჯდუნა, შეაჯდუნა“<sup>2</sup>; დაჯდუნების პარალელური ფორმაა მთარაქული დაჯდენა<sup>3</sup> \* დაჯდინება ← და-ჯდ-ი-ენ-ებ-ა: ... ჩაიჯდინა და წაიყვანა... მთარაქული, გვ. 96. (ჩაიჯდინა ← ჩა-ი-ჯდ-ი-ენ-ა); „დაჯდუნება“ არც საბასთვისაა უცხო: „დასმა — ადგილს დაჯდუნება სულიერთა...“ „შეეჯდუნა — ზე შეესვა“ (იხ. საბა).

ახალი ქართული (წახლომა | წახლენა-საგან გარდამავალ ზმნას ასე აწარმოებს: (წა)ახდენს, (წა)ახდინა (← წა-ა-ჯდ-ი-ენ-ა); საშუალო ქართულის ერთ ძეგლში ამ ზმნის -ენს -უნ შეესაბამება: ... ამას ბედითად არ წავა-ტდუნვებ... ვისრამიანი, 294<sup>2</sup>, ... თავისა პატივი მევე წავაჯდუნვე... ვისრამიანი, 195<sup>2</sup>. ამ ზმნის ძირია -ჯედ. -უნის მომდევნო ვ-ავ სუფიქსის ნაშთია (შდრ. ხტომა, ხტუნვა ← ხტ-ი-უნ-ე-ა...).

—უნ სუფიქსი მოჩანს აგრეთვე ცბ-უნ-ებ-აში. საბას განმარტებით „შეცებუნება — გამტერებისაგით“, „შეეცებუნა — გაეშტერებისაგით“. შეცებუნება გარდამავალი ზმნის (ა-ცბ-უნ-ებ-ს) მასდარული ფორმაა; გარდაუ-ვალი (საშ. გვარის) ზმნის მასდარია ცბა, ცბოლა, სიცბილი. საბას ლექსიკონში არის სამივე ეს ფორმა. ცბა ← ცბ-ი-ა, ცბოლა ← ცბ-ი-ოლ-ა, სიცბილი ← სი-ცბ-ი-ილ-ი. მასდარის საწარმოებელი -ა სუფიქსი ზმნის აწმყოს ფუძეს ერთვის: ხატ-ავ → ხატ-(ა)ვ-ა, თლ-ი → თლ-(ი)-ა, აკეთ-ებ → კეთ-ებ-ა; ღელ-ავ → ღელ-(ა)ვ-ა, რბ-ი → \*რბ-(ი)-ა | ს-რბ-(ი)-ა... მასდარული -ა ზოგჯერ კარგავს აწმყოს თემისეულ ხმოვანს. აწმყოს ფუძეს ერთვის აგრეთვე მასდარის საწარმოებელი -ილ, -ულ, სი-, სი- — -ილ, სი- — -ულ აფიქსები.

ცბა, ცბოლა, სიცბილი — ს-რბა, რბოლა || ს-რბოლა, სირბილი ანალოგიურად ნაწარმოები მასდარული ფორმებია. ცბა გვავარაუდებინებს აწმყოში ცბ-ი-(ს) ფორმას (შდრ. ს-რბა — რბ-ი-ს). საბას ლექსიკონში მართლაც არის ცბის: „ცბის — მაცთენლობს“ (ა. ჩიქობავა ალა-დგენს \* ი-ცბ-ი-ს ფორმას<sup>3</sup>).

<sup>1</sup> ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II: თ. ს. უ. მოამბე X, გვ. 304.  
<sup>2</sup> შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი: ენიკის მოამბე X, გვ. 249  
<sup>3</sup> ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში, გვ. 228.



-უნ სუფიქსი გამოიყოფა აგრეთვე ა-ძრწ-უნ-ებ-ს, შე-ძრწ-უნ-ებ-ს ზმნებში-  
-ენ, -უნ სუფიქსებს მკვლევრები (ნ. მარია, ა. შანიძე, გ. დეეტერ-  
სი, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა...) კაუზატივის (გარდაუვალი ზმნის გარ-  
დამავლად მქცევლ) ფორმანტებად თვლიან. კაუზატივის ფორმანტებად ვერ  
ჩაითვლება ეს სუფიქსები, რადგან ისინი გარდაუვალი ზმნის პირიელსა და მას-  
დარულ ფორმებშიც გვხვდებიან ([მო]-ვლ-ენ ან — [მო]-ვლ-ენ-ა, ხტ-უნ ავ-ს —  
ხტ-უნ-(ა)ვ-ა, შე-ძრწ-უნ-დ-ა...). ამ რიგის ზმნათა გარდამავალი ფორმები მას-  
დარისაგან იწარმოება და ბუნებრივია, თუ ეს სუფიქსები გარდამავალ ზმნებ-  
შიც ჩანს, რადგან სათანადო გარდაუვალ ზმნათა მასდარში დატულია აწმყოს  
თემის ნიშანი, რომელიც ზოგ პირიელ ფორმაში არ ჩანს (მო-ვალ-ს, წევ-ს...) ან  
მასდარში იმავე ფუნქციის სხვა ნიშნით არის შეცვლილი (შდრ. დგომა ←  
დ(ე)გ-ი-ომ-ა — ა-დგ-ომ-ებ-ს ← ა-დგ-ი-ომ-ა-ებ-ს || ა-დგინ-ებ-ს ← ა-დგ-ი-ენ-ებ-ს,  
ჯდომა — \* აჯდომებს || აჯდუნებს || აჯდინებს ← აჯდინ(ე)ნებს... ომ || უნ || ენ).

-ან | -ენ, -უნ სუფიქსების მორფოლოგიური ვარიანტებია -ოლ, -ომ.

იმაში, რომ -ან | -ენ, -უნ, -ოლ, -ომ თანაბარი ღირებულების სუფიქსე-  
ბია, ადვილად დავრწმუნდებით, თუ ერთმანეთს შევადარებთ პარალელურ  
ფორმებს, რომლებშიც ერთმანეთის მონაცვლედ გამოდიან ეს სუფიქსები:

-ოლ || -ან || -ენ || -უნ

-ოლ || ან: ბრძოლა (← ბრძავ-ი ოლ-ა) || \* ბრძვანა (← ბრძავ-ი-ან-ა): ჰბრძო-  
ლან-ჰბრძვანან: ...რნი ილუწიდენ და ჰბრძოლან სარწმუნოებისა-თჳს... კი-  
მენი, 23<sub>20</sub>. ... და იგინი ჰბრძვანან მჭერთა ჩუენთა და ევედრებიან უფალსა  
ჩუენ-თჳს... წარტყუენ., კთ<sub>21</sub>. „ბრძოლან“ მხოლოდ აწმყოს მესამე პირის  
მრავლ. ფორმად უნდა გავიგოთ მიუხედავად იმისა, რომ მის წინ სხვა ზმნები  
სხვა მწკრივში (I კავშირებითში) არიან. აწმყოდ (sie kämpfen) აქვს გაგებუ-  
ლი იგი გ. დეეტერსსაც<sup>1</sup>.

ყოლა || ყვანა (ყოლა ← ყავ-ი-ოლ-ა; ყვანა ← ყავ-ი-ან-ა): ვიყოლიოთ || ვიყ-  
ვანიოთ (ხევსურ.): .. ვიყვანიოთ ტყვედ... ხევსურული, 169<sub>20</sub>; ჰყოლია ||  
ხყვანივ (ხევსურ.):... აღუდაურს ერთი ძმის მეტ არვინ ხყვანივ... ხევსურუ-  
ლი, 175<sub>11</sub>; აყოლებს || აყვანებს — (წარმო)აყოლა || (წარმო)აყვანა;... და თანა  
კაცნი წარმოაყვანანა... ხანძთ., თ<sub>16</sub>.

ძლოლა || ძღვანა (ძლოლა ← ძღვ-ი-ოლ-ა; ძღვანა ← ძღვ-ი-ან-ა): გაი-  
ძლოლა || გაიძღვანა. ძირია ძღვ-, რომელიც შეკუმშულად არის წარმოდგენილი  
აწმყოში (მ-ი-ძღვ-ი-ს... -ე-ზმოვანს კარგავს აწმყოს -ი\*სუფიქსის დართვა ორი  
თანზმოვნის შემდეგ!). ძირისეული -ე- აღდგება წყვეტილში I და II პირთან:...  
იერუსალიმად წარმიძღლუ და წმიდათა მათ აღვილთა მოხილვად ღირს მყავ...  
ანტიოქ., 53<sub>21</sub>. ღ'ს შემდეგ გ → უ. ეს გ ხევსურულში გადასმულია: ძღვ →  
ძველ:... გაგვიძველ, ნეფე ერეკლეგ.. ხევსურული, 163<sub>10</sub>. ა. ჩიქობავა  
ძღვან'ს (← ძღვ-ი-ან) ასე შლის: ძღვ-ან<sup>2</sup>.

<sup>1</sup> G Deeters, Das kharthw. Verb., გვ. 218.

<sup>2</sup> ა. ჩიქობავა, შიგნითა და გარეაგნობის სწავლა, გვ. 439.

-**ოლ** || -**ენ**: წოლა || წვენა (წოლა ← წევ-ი-**ოლ**-ა; წვენა ← წვე-ი-**ენ**-ა) || აწოლებს (იმერ.: „ასე ადრე რა დამაწოლებს!“) || აწვენს (\*აწვენებს) || აწვე-ი-ენ-ა-ებ-ს... შდრ. ახ. ქართ. აღადგენს — ძვ. ქართ. აღ-ადგი-ნებს...); რბოლა || რბენა (რბოლა ← რბ-ი-**ოლ**-ა; რბენა ← რბ-ი-**ენ**-ა): არბოლებს || არბინებს (← არ-ბ-ი-**ენ**-ა-ებ-ს): ... რა ამბავივ, იმ ქალს რა მაარბოლებს სავ?... ხევსურული, 180<sub>28</sub>. ... ცხენებს შოვწყყერთ, ვარბინეთყე... ფერეიდნული, 222. (ვარბინეთყე ← ვ-არ-ბ-ი-**ენ**-ა-ე-თყე). საბას განმარტებითაც „**რბოლა** იგივე **რბენა**“. რბენ'ის ვარიანტია რბევა (შდრ. ძენა ← ძი-ენ-ა — ძევა ← ძი-ე-ვა): -ენ = -ე-ვ. საბას სიტყვით „რბევა — რბოდეს, გინაქენება“. „რბევას“ აშკარად „რბენის“ — „სირბილის“ მნიშვნელობა აქვს: ... რბევითა მოვიდოდეს სწრაფით... ვისრამიანი, 311<sub>გ</sub>.

-**ოლ** || -**უნ**: ძრწოლა || ძრწუნვა (ძრწოლა ← ძრწ-ი-**ოლ**-ა, ძრწუნვა ← ძრწ-ი-**უნ**-ავა): აძრწოლებს || აძრწუნებს...

განხილულ ფორმებში -**ოლ**, -**ან**, -**ენ**, -**უნ** სუფიქსთა ადგილი და ფუნქცია ერთი და იგივეა.

-**ომ** || -**ან** || -**ენ** || -**უნ**

-**ომ** || -**ან**. ამ აფიქსთა ერთმანეთისათვის უშუალოდ დასაპირისპირებლად პარალელური ფორმები არ გვხვდება, მაგრამ, თუ მოვიგონებთ, რომ -**ან**'ის ფუნქცია იგივეა, რაც -**ენ**'ისა (შდრ. დიალექტური ფორმები დგ-ენ-ან — დგ-ან-ან), შესაძლებელი იქნება მათი გათანაბრება ფუნქციის მიხედვით: **ომ** = **ენ** = **ან**. შეგვეძლო დგ-ან-ან'ის პარალელურად \*დგ-**ომ**-ან'იც დაგვეშვა (შდრ. ჰბრძენ-ან — ჰბრძ-**ოლ**-ან) ისევე, როგორც ადგ-**ომ**-ებს (|| ადგი-**ენ**-ებს ← ა-დგი-ი-**ენ**-ა-ებ-ს) ზმნის გვერდით ადგ-**ან**-ებს ფორმაც შეგვეძლო გვევარაუდებინა (შდრ. გააყ-**ოლ**-ა — \*გააყ-**ან**-ა: ... წარ-მო-ა-ყ-**ან**-**ან**-ა ... ხანძთ., თ<sub>16</sub>).

-**ომ** || -**ენ**: ცთომა || ცთენა (ცთომა ← ცეთ-ი-**ომ**-ა; ცთენა ← ცეთ-ი-**ენ**-ა): საბას სიტყვით „ცთენა — ცთომასავით“. ფეხი დასცთ-**ომ**-ია || დასცთ-**ენ**-ია... შთომა || შთენა (→ რ-ჩ-**ომ**-ა || რ-ჩ-**ენ**-ა); დამრჩ-**ომ**-ოდა || დამრჩ-**ენ**-ოდა; დაშთ-**ომ**-ილ-ი || დაშთ-**ენ**-ილ-ი... კვლომა || \*კვდენა (მოაკვდინა ← მო-ა-კუ-ე-დ-ი-**ენ**-ა-ე-ა): მოჰკვდ-**ომ**-ია || მოჰკვდ-**ენ**-ია... დგომა || \*დგენა: ადგომებს ← ა-დგი-ი-**ომ**-ა-ებ-ს || ადგინებს ← ა დგი-ი-**ენ**-ა-ებ-ს.

-**ომ** || -**ენ** || -**უნ**: (წა)ჯლომა || (წა)ჯდენა || (წა)ჯდუნვა: \*წაჯდ-**ომ**-ა || წაჯდ-**ი**-**ან** ← წა-ა-ჯდ-ი-**ენ**-ა-ე-ა || წაჯდ-**უნ**-ვა... ჯლომა || \*ჯდენა || \*ჯდუნა: \*აჯდ-**ომ**-ებს || აჯდ-**ი**-**ან**. ← ა-ჯდ-ი-**ენ**-ა-ებ-ს || აჯდ-**უნ**-ებს ს... ცთომა || ცთენა || \*ცთუნა: \*აცთ-**ომ**-ებს || აცთ-**ენ**-ს (|| \*აცთ-**ი**-**ენ**-ებს ← ა-ცეთ-ი-**ენ**-ა-ებ-ს) || აცთ-**უნ**-ებს...

აშკარაა, რომ -**ომ** = -**ან** = -**ენ** = -**უნ**.

-**ან**, -**ენ**, -**უნ** -**ოლ** -**ომ** გარკვეული ტიპის (ძირეულ) ზნათა აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსებია, რომელთაც წინ უსწრებთ ამავე დანიშნულებას მქონე -ი- ხმოვანი. ეს სუფიქსები პირიელ ფორმებში ყოველთვის არ ჩანან, მასდარში კი დატული აიიან. ამ სუფიქსთა წინამორბედი -ი- იკარგება ხმოვნით დაწყებული ფორმანტის წინ, ხოლო აღდგება მაშინ, როცა თვით



ეს ფორმანტი-სეული ხმოვანი იკარგება მომდევნო ხმოვანი აფიქსის გვერდით (შდრ. რბ-(ი)-ენ-ა, რბ-(ი)-ოლ-ა, ვ-ა-რბ-(ი)-ოლ-ა-ებ, რბ-ი-ოლ-ა || რბ-ოლ-ა ← რბ-ი-ოლ-ა — ვ-ა-რბ-ი-(ე)ნ-ე...).

-ენ, -ენის ნს წინ ის აღდგენის შეიძლება მიღებული „-ინ“, აგრეთვე -უნ ჰპეციალურ ლიტერატურაში კაუხატვის სუფიქსებად არიან მიჩნეულნი. სინამდვილეში ამ სუფიქსებს, აგრეთვე -ოლ -ომს, როგორც გამოირკვა, სულ სხვა დანიშნულება აქვთ.

-ოლ, -ომის ფუნქცია დღემდის გარკვეული არ იყო. მკვლევარი გამო-ჰყოფდნენ მათ ცალკე სუფიქსებად, მაგრამ მათს დანიშნულებაზე არაფერს ამ-ზობდნენ. ზოგი ავტორი ამ სუფიქსებიდან -ომს ცალკე გამოჰყოფდა; ამით უფრო ძნელდებოდა მათი ფუნქციის მიკვლევა.

-ოლ, -ომ სუფიქსები დაუშლელად აქვთ წარმოდგენილი ა. შანიძეს, ვ. თოფურიას, ა. დირს, გ. დეეტერსს.

ა. შანიძე ამ სუფიქსების შესახებ წერს: „ზოგიერთ გარდაუვალ ზმნას -ა ფორმანტის წინ -ოლ უჩნდება. ვნებით ზმნებში იგი მარტივ თემას დაერთვის; მაგ. წევს და წევა — წოლ-ა (← წვ-ოლ-ა), ჰყავს — ყოლ-ა (← ყვ-ოლ-ა), უძღვის — (გა)ძღოლ-ა, იბრძვის — ბრძოლ-ა, თრთის — (← ყვ-ოლ-ა), ქრის — ქროლ-ა; გარდამავალთაგან ასეთივეა ი-სკრის (← ი-სრვ-ის, — გადასმულია ვ, რომელიც ი-სრ-ევს ფორმიდან არის გადმოსული) — სროლ-ა და მისთ.“

ზოგიერთ გარდაუვალ ზმნას კი -ომ უჩნდება მასდარის ანის წინ; თუ ზმნა ვნებითია, იგი დაერთვის მარტივ თემას. მაგ. ღვა-ს და ღვა-ბა, ორივეს სა-წყისად ღვა-ომ-ა აქვს; ხტ-ის-ს: ხტ-ომ-ა, კრთ-ის-ს: კრთ-ომ-ა, კვლ-ებ-ა: კვლ-ომ-ა, ჰხელ-ებ-ა: ხელ-ომ-ა, ჯდ-ებ-ა: ჯდ-ომ-ა, შვრ-ებ-ა: შვრ-ომ-ა, წყრ-ებ-ა: წყრ-ომ-ა...<sup>1</sup>.

ვ. თოფურიას სიტყვით „-ომ... ზმნის ორფუძიანობის გამომხატველი არ არის; ჩნდება მასდარსა (სახელზმნასა) და მიმღობებში: ზტის — ზტომა, საზტომი... კრთის — კრთომა, საკრთომი, მკრთომელი... კვდება — კვდომა და სხვა. დამახასიათებელია, რომ -ომ სწორედ იქ გვევლინება, სადაც -ავ, -ებ, -ომ და სხვა გვაქვს: კითხავ — საკითხავი, კითხვა... ცხადია, -ომ ბოლო-სართია“<sup>2</sup>.

ა. დირს, აშკარაა, -ოლ, -ომ სუფიქსები მიაჩნია -ებ, -ომ, -ავ, -ამ და სხვათა ღირებულებისად. საგულისხმოა, რომ იგი ამ სუფიქსებს მასდარულ -ა'სთან ერთად მასდარის დაბოლოებად თვლის: „ინფინტივის“, არაბული გა-გებით მასდარის, ნაზმნარი სახელის (Verbalnomen), დამახასიათებელია და-ბოლოება, როგორცაა ობ-ა, ებ-ა, ვ-ა, მ-ა, ომ-ა, ოლ-ა, ნ-ა, რ-ა, ენ-ა, ემ-ა; ევ-ა, ი, ილ-ი; ოლონდ ესენი ყველანი როდი განეკუთვნებიან მხოლოდ ინფინტივს“<sup>3</sup>. აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ (ხატვა ← ხატ-ავ ა, ღვა ←

<sup>1</sup> ა. შანიძე, მორფოლოგია, გვ. 185.

<sup>2</sup> ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, გვ. 228; თ. ს. უ. შრომები III,

<sup>3</sup> A. Dirr. Einführung..., გვ. 77.



დ(ე)გ-ამ-ა ფორმებში) ავტორი მხოლოდ ვ'სა და მ'ს ვარაუდობს -ა'ს წინადადებას (საგულისხმოა, რომ -ილ-ი (ტირ-ილ-ი) დაბოლოება გათანაბრებულია -ებ-ასთან (კეთ-ებ-ა): აწმყოს თემის ნიშანი (ებ) უტოლდება მასდარულ სუფიქსს (-ილ), ხოლო მასდარული -ა — სახელობითი ბრუნვის ნიშანს -ი'ს!

გ. დეეტერსი ცდილობს გაარკვიოს -ოლ, -ომ'ის წარმოშობა: „აწმყოს ფუძის ფორმანტის -ომ'ის ანალოგიით -ომ შეიძლება -უემამდის დავიყვანოთ და აწმყოს -ემ სუფიქსს დავუკავშიროთ, მაგრამ ბნელი რჩება ამოსავალი პუნქტი... უფრო ნათელია -ოლ სუფიქსის -ომ'თი გახმოვანება: ყოლაჲ — ვყვები, ძოლაჲ — ვუძღვ, წოლაჲ — ვწვები, ბრძოლაჲ — ვბრძავ; აქ ძირეულმა თუ აწმყოს სუფიქსის ვ'მ ო წარმოშვა. შემდეგ არის გადატანილი ეს თრთოლა, ძრწოლა'ხე, რომელთაც აწმყოში -ი აქვთ“<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, გ. დეეტერსი -ოლ, -ომ'ს აწმყოს თემის ნიშნებს უკავშირებს ფუნქციის მიხედვით: მისი აზრით -ომ ← ვ-ემ (-ოლ ← ვ-ელ?).

-ოლ, -ომ სუფიქსებში ნ. მარი და ა. ჩიქობავა -ომ'ს ცალკე გამოყოფენ.

ნ. მარს ვნებითი გვარის ნიშნად მიაჩნია „ზოგიერთი საშუალო ზმნის ო ნაზვნარ განყენებულ სახელებში — ჯღომ-ა-ჲ, დგომ-ა-ჲ, ბრძომ-ა-ჲ“<sup>2</sup>. -ოლ სუფიქსის ლ'ს შესახებ ნ. მარი ამბობს, რომ (ყოლა'ში) „ლ — *заведомо функциональный*“<sup>3</sup>.

ა. ჩიქობავა -ოლ, -ომ'ის შესახებ წერს: „არის გარდაუვალ ერთობრიანი და ორპირიანი ზნნათა წყება, რომელთა მასდარშიც -ლ-ა- || მ-ა- გვაქვს: ილუწ-ი-ს — ლუწ-ო-ლ-ა; ძრწ-ი-ს — ძრწ-ო-ლ-ა; ქრ-ი-ს — ქრ-ო-ლ-ა... დგ-ებ-ი-ს — დგ-ო-მ-ა; კუდ-ებ-ი-ს — კუდ-ო-მ-ა...“

ასეთ მასდარში -ომ განეკუთვნება ზმნის ფუძეს და წუხ-ი-ლ-ის ტიპის -ი-ს უდრის (შდრ. აგრეთვე ქრ-ი-ს — ქრ-ომ-დ-ა... კუდებ-ი-ს — კუდებ-ომ-დ-ა...). ეს -ომ შეიძლება -ომ-დ ქვეუღიყო ზმნის ფუძისეული -გ-ს ზეგავლენით, როგორც ამას დეეტერსი ფიქრობს, ანდა მომდევნო მ-ს ზეგავლენით. გვრჩება -ლ-ა- || მ-ა-; ამათგან -ა- მასდარის საწარმოებელია; -ლ- || მ-მ კიდევ ზმნის ფუძეს უნდა განეკუთვნოს: მართლაცა, დგ-ომ-მ-ა და დგ-მ-ა ← დგ-ამ-ა განსხვავდება -მ-ს წინამავალი ხმოვნით; დგომ-ა-ს მ ისევე არ შეიძლება მასდარის საწარმოებელ აფიქსს განეკუთვნოთ, როგორც დგმ-ა-ს -მ-; ამით წყდება ლუწოლა-ს ლ-ს საკითხიც: ლუწ-ომ-ლ-ა — დგ-ომ-მ-ა: ეს -ლ- ისევე არაა მასდარის საწარმოებელი, როგორც მ.

ამგვარად, -ომ- || -ომ- იშლება და ხსენებულ ტიპში მასდარის საწარმოებლად -ა გამოიყოფა“<sup>4</sup>.


-ოლ, -ომ სუფიქსებში ომ'ს ცალკე გამოყოფა ვერ იქნებოდა მართებული, როცა ამ გამოყოფის შემდეგ ომ'ს ფუნქციაც გაურკვეველი რჩება და ლ, მ'სიც:

<sup>1</sup> G. Deeters. Das kharthw. Verb., გვ. 218.

<sup>2</sup> Н. Марр. Грамм. древ.-лат. груз. яз., გვ. 134—135.

იქვე, გვ. 179.

<sup>4</sup> ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში, გვ. 223.



1. ქრ-ოლ-ა, კვდ-ომ'ის ო არ უდრის წუხ-ილ'ის ის: წუხ-ილ'ის ოლ'სთან ერთად (-ილ) მასდარის საწარმოებელია, ხოლო ქრ-ოლა, კვდ-ომ-ა'ში მასდარული სუფიქსი (-ა) ოს'ზეან დამოუკიდებლად არის;

2. ი არ → ო ქართულში არცერთ შემთხვევაში. ქრ-ოდა ქრიდა'საგან კი არ მიგვიღია, არამედ — ქრი-ოდა'საგან: ი დიკარგა ოს' წინ (შდრ. ძვ. ქართ., იმერული „მირბოდა“). ოლ აწმყოს -ი'ზე დაბოლოებული ფუძის მქონე გარდაუვალ ზმნათა უწყვეტლის საწარმოებელია და მისი დაშლა -ო-დ'დ ისევე არ შეიძლება, როგორც -ოლ, -ომ სუფიქსებისა. აწმყოს ფუძის -ი რომ უწყვეტელში -ო'დ იქცეოდეს, თვლ-ი-ს ზმნის უწყვეტელი იქნებოდა თვლ-ო-დ-ა და არა თვლ-ი-დ-ა. ამდენად ქრ-ოლ-ა'ში ო ქრ-ი-ს ზმნის ის ბადალი არ არის (ქრ-ოლ-ა ← ქრ-ი-ოლ-ა);

3. ვთქვათ, კვდ-ომ-ის ო უდრის წუხ-ილ'ის ტიპის ზმნათა აწმყოს -ი სუფიქსს (ყვირ-ი-ს...). მაშინ დგ-ომ'ის ოს' დაპირისპირება დგ-ამ-ს ზმნის -ამ სუფიქსის ა'სთან უსაფუძვლო იქნებოდა: თუ ო აწმყოს ის ბადალია, -ომ, -ამ სუფიქსთა ხმოვნის მიხედვით განსხვავება ზმნის გარდაუვლობა-გარდამავლობის დამახასიათებელი ვერ იქნება: მჭკრივის კატეგორია გვარის კატეგორიისაგან დამოუკიდებელია. დგ-ამ-ს ზმნისა და დგ-ომ-ის მ'ს დამთხვევა ერთადერთი არაკანონზომიერი მოვლენაა: არცერთ სხვა -ომ სუფიქსიან გარდაუვალ ზმნას არ უპირისპირდება შესატყვისი -ამ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნა; ი ვერ გადაიქცეოდა ო'დ ვერც „ზმნის ფუძისეული -ვ-ს ზეგავლენით“ (მით უმეტეს, როცა ეს ვ- ყოველთვის არ არის -ოლ, -ომ სუფიქსებიან ზმნაში მოსალოდნელი), ვერც „მომდევნო მ-ს ზეგავლენით“ (-ოლ'ში ხომ მ არ არის!).

გ. დეცტერსისა და ა. ჩიქობავას ვარაუდი -ოლ, -ომ'ის ოს' წარმოშობის შესახებ, აგრეთვე ნ. მარისა და ა. ჩიქობავას მიერ მოცემული განსაზღვრა ამ ოს' ფუნქციისა დამაჯერებელი ვერ არის. ბუნდოვანი დარჩებოდა ლ, მს ფუნქციაც, -ოლ, -ომ სუფიქსები რომ დაშლილად წარმოგვედგინა. ამ სუფიქსების დაშლა ისევე არ შეიძლება, როგორც აწმყოს სხვა — ავ, -ამ, -ებ... სუფიქსებისა.

-ოლ, -ომ, -ან, -ენ, -უნ სუფიქსები ძირითადად ძირეულ გარდაუვალ ზმნებში და ამ ზმნათა მასდარისაგან ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებში გვხვდება.

-ოლ შეიმჩნევა აგრეთვე ზოგიერთ ნასახელარ ზმნაში: ქრის — ქრ-ოლ-ავ-ს — აქრ-ოლ-ებ-ს (ძირია ქარ-), სრ-ოლ-ა — გაისრ-ოლ-ა (ძირია სარ- — ისარ-).

-ოლ გამოიყოფა დამჯ-ოლ-ვა'სა, მოსპ-ოლ-ვა'სა და გბ-ოლ-ვა'ში (შდრ. დამჯობა, მოსპობა, გბობა): ... დამჯოლვად მეგულების არა ხოლო თუ აპოლონისი... კიმენი, 141<sub>19</sub>. ... დუღილი ქუეყანისა აუწყებდა მოსპოლვასა მკვდრთა მისთასა... ანტიოქ., 129<sub>3</sub>. საბას განმარტებით „მოსპოლვა — არ-ლარა ყოფა“.

-ომ გამოიყოფა აგრეთვე სხდ-ომ-ა'სა, ვრდ-ომ-ა'სა და ხტ-ომ-ა'ში.

სხდ-ომ-ა'ში სხ- ძირის გვერდით „ედ ვნებთის ფორმანტი“<sup>1</sup> გამოიყოფა

(ვ. თოფურიას ძირად ხ- მიაჩნია). ძველ და საშუალო ქართულში -ედ'ს

<sup>1</sup> ვ. თოფურიას, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II: ენიმკის მოამბე V—VI, გვ. 534—535.

ზშირად -ენ ენაცვლება ამ ზმნაში:... სხ დ ე ს და საკმელსა სკამდეს... სიბრძნის სიციურისა, 18 (სხდეს ← სხ-ელ-ეს):... მსგავს არს ყრმათა, რნი სხენელ... მათე, 11<sup>ა</sup>. ... სახენი მათნი დღესაცვე ზედან სხენან... ახალი ქართ. ცხ., 11<sup>ა</sup>.  
 ა. ჩიქობავას სხენან'ის -ენ'ში -ნ მესამე პირის სუბ. ნიშნად აქვს გამოყოფილი<sup>1</sup> (მაშინ რალა არის -ე-?).

-ენ, -ელ'ის ფონეტიკური მონაცვლეობა შეინიშნება მო-რბ-ედ'-ში (შდრ. რბ-ენ-ა ← რბ-ი ენ-ა). მო-რბ-ედ-ი და მო-რბ-ენ-ალ-ი (← მო-რბ-ენ-არ-ი) ერთი და იგივეა: -ედ = -ენ... მო-რბ-ედ'ში -ედ მიმღეობის საწარმოებელ სუფიქსად მიაჩნია ა. ჩიქობავას<sup>2</sup>. მიმღეობას აქ მხოლოდ მთავრეფიქსი აწარმოებს [შდრ. მ-ხაზ-აგ-ი || მ-ხაზ-ე-ელ-ი — მო-რბ-ედ-ი || (\*მო-რბ-ედ-არ-ი → \*მო-რბ-ედ-ალ-ი) მო-რბ-ენ-ალ-ი ← მო-რბ-ენ-არ-ი]. მო-რბ-ედ'ში -ედ ისევე არ არის მიმღეობის საწარმოებელი, როგორც მ-ხაზ-აგ'ში -აგ. მო-რბ-ედ-ს აქვს წარმოებით მე-ბრძ-ოლ-ი, რომელშიც -ოლ, რა თქმა უნდა, მიმღეობას არ აწარმოებს.

საბაას ლექსიკონში „მოკვდავის“ მნიშვნელობით არის „მოკვდელი“. აქაც -ედ -ენ სუფიქსის ბადალი უნდა იყოს.

მოკმედ'შიც -ედ -ენ'ის მონაცვლეა.

შეიძლებოდა -ოლ სუფიქსის (ან \*-ონ'ის) მონაცვლელ მიგვეჩინა -ოლ ზმნებში — ა-რ-ჩ-ოლ-ებს (← ა-(რ)-ჩი-ოლ-ებ-ს?), უ-წ-ოლ-ებს (← უ-წი-ოლ-ებ-ს?): ... ხუთათასნი იგავნი წართქუნა, ხ' აქა დააარჩოლებს... ქებაჲ ქებათაჲ, 1<sup>122</sup>. ნ. მარს სათანადო აღვილას ეს „დაარჩოლებს“ რუსულად ასე აქვს თარგმნილი: „уменьшает“. ამ კონტექსტში მოგვაგონდება „მორჩილი“ (მო-(რ)-ჩი-ილ-ი?) — მცირე, პატარა, ნაკლები (ასე ესმით ზემოთმხრეთში), აგრეთვე „ჩია“ (ჩი-ა?) — პატარა... „დაარჩოლებს“ ზმნის ძირი უნდა იყოს ჩი-; რ შემდეგაა განვითარებული ჩს წინ; ძირისეული ი მოკვეცილია -ოლ'ის წინ.


„უწოდებს“ ზმნაში ძირად წი- უნდა გამოიყოს. ეს წი- (→ წ-) შინაარსითაც უკავშირდება მეგრულ წ-ს (← წი-?): 'ვ'უწინქ, 'ვ'უწინქ, 'ვ'უწოდენქ — „ვეტყვი“ მას... ი. ყიფშიძეს ამ ზმნებში ძირად წ მიაჩნია<sup>3</sup>. თქმა, დარქმევა (უწოდა — დაარქვა, ძვ. ქართ. უწოდენ — ეძახიან... საბაას განმარტებითაც „წოდება დაძახილია“), დაძახება, მოწოდება შინაარსით ურთიერთკავშირში არიან.

„ვრდომა“ ში -ომ სუფიქსის წინ გამოიყოფა -დ ← -ედ (შდრ. სხ დ ო-მა). ძირია ვარ → ვრ. ძირისეული -ა- აღდგენილია „გადავარდა“, „ჩავვარდი“ ფორმებში. საგულისხმოა, რომ ძველ ქართულში ეს -ა- პირიელ ფორმებშიც არ ჩანს: ... იგინი მოხუტდეს და შეხუვრდეს ფერჯთა მისთა... ხანმ. ლექციონარი, 3. ვარ-ძირის -ა- ხმოვანი დაცულია ვარდნა' ში. აქ სამაგიეროდ დაკარგულია სამი ხმოვანი — ედ, -ენ სუფიქსების -ე- და ენ'ის წინ სავარაუდო -ი- სუფიქსი: ვარდნა ← ვარ-ედ-ი-ენ-ა. ვარდნ'ის ენ → ნ'ს შეესაბამება -ომ ვრდომა' ში: ვრდომა ← ვარ-ედ-ი ომა (შდრ. ვარ-ედ-ი-ენ-ა — ვარ-

<sup>1</sup> ა. ჩიქობავა, მესამე პირის სუბ. უძველესი ნიშანი: ენიმკის მოამბე V—VI, გვ. 41.

<sup>2</sup> ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში, გვ. 98.

<sup>3</sup> И. Кишидзе. Грамм. мингр. яз., лექსიკონი.



ედ-ი-ომ ა). ვარდნაში ძირისეული -ა- იმიტომ არ იკარგება, რომ მისი მასზე მოდის.

ბ ტომ აშიც ნაცნობი -ომ სუფიქსი გვაქვს. ძველ ქართულში „ხტომა“ „ხლდომის“ სახით არის წარმოდგენილი. უფრო ადრინდელი ვითარების გათვალისწინება რთულ სურათს იძლევა: ძირისა და სუფიქსების აღდგენის შემდეგ აშკარა ხდება, რომ ხტ-ომ-ა ← ვალ-ედ-ი-ომ-ა.

ძველ ქართულში ხლდომა-ის გარდა ხტომის მნიშვნელობით გვხვდება ვლდომა-ც: ... ამა დისწულაჲი ვლდომით მოიწია და მოვიდა... ქებაჲ ქებათაჲ, 21<sub>2</sub>. ... გარდამოვლდა ზეცით საშოსა მას ქალწულსასა, აღვლდა ნუცლისაგან წდისა ზა ძელსა მას, ვლდა ძელისა მისგან ჯოჯოხეთა, აღმოვლდა მიერ კაცობრივითა ამით გორცითა ქყნად... იქვე, 21<sub>17-23</sub> აშკარაა, რომ ხტომა ← ხდომა ← ხლდომა ← ხვლდომა ← ვლდომა. ხ განვითარებულია ვს წინ (ხს დართვის შემთხვევები ზოგ სხვა სიტყვაშიც შეინიშნება<sup>1</sup>. შემდეგ დაკარგულა ვ (მდრ. შრომა ← შერომა, ძერომა → ძრომა, ძვ. ქართ. წდომა ← წვდომა, კვდომა → კდომა, სიკვდილი → გურ. სიკტილი, წყდომა ← წყვდომა...). ამგვარად, ხტომაში ძირისეულ ბგერათაგან არცერთი აღარ ჩანს: ხ დანართია, ტ ← ღ ← ეღ, ომ-ა სხვა დანიშნულების აფიქსებია. ხტომ-ის ძირია -ვალ-!

ვრდომ-ის ძირი ვარ- და ვლდომ-ის ვალ- ეგების ერთი და იგივე იყოს წარმოშობით. განსხვავებას ქმნის ის, რომ პირველშია -რ-, მეორეში — -ლ-. ეს ფონეტიკური განსხვავება და მის ნიადაგზე მომხდარი შინაარსობლივი დიფერენციაცია მეორეული მოვლენა უნდა იყოს. „ვრდომა“ და „ვლდომა“ (ვარდნა და ხტომა) შინაარსის მიხედვით არც ისე დაშორებული არიან ერთმანეთისაგან.

შეიძლებოდა ვლდომის (=ხტომის) ვალ- ძირის დაკავშირება შინაარსის მიხედვით სვლ-ის ვალთან. ამ ვარაუდს მხარს დაუჭერდა საბას ჩვენებაც:

„სლვა — სიარული, სიარულიცა მრავალსახე არიან, რამეთუ სლვანი სხვადასხვაობით განიყოფებიან: ნებიერად სლვასა უწმობენ ვიდოდასა და სლვასა... მაღლად კისკასად რეცა შეფრენასა — ხლდომას...“ (ძველი და საშუალო ქართულის ძეგლებში გავრცელებული „სლვა“ მცდარი მწიგნობრული ტენდენციის შედეგი უნდა იყოს: არავითარი გამართლება არა აქვს იმას, რომ ვლს შემდეგ არის. ძირია ვალ-, მასდარული ფორმა იქნებოდა „ვლა“ [-ა სუფიქსი კუმშავს ძირს]. „სვლა“ მივიღეთ ვს წინ ხს განვითარების შედეგად. „სლვა“ ალბათ „კლვა“, „სხლვა“ და სხვა ამგვარი ფორმების ანალოგიით არის გაკეთებული. საგულისხმოა, რომ საბას „სვლა“ „გლვებურ“ ფორმად მიაჩნია).

როგორც ითქვა, -ან | -ენ. -უნ, -ოლ. -ომ სუფიქსები და მათი წინამავალი -ი- I სერიის მწკრივთა დამახასიათებელი ნიშნებია; მაშასადამე, არცერთი მათგანი I სერიის ფორმებში არ უნდა გვხვდებოდეს. და მართლაც არა გვაქვს ეს სუფიქსები II სერიაში აღნიშნული ტიპის ზმნებთან (იგულისხმება საშუალო

ამის შესახებ იხ. ლ. კიკნაძე, ხ-ბგერის განვითარების შემთხვევები ქართულში: თბ. უნ. შრომები XXIV.

გვარის ზმნები, რომელთაც ეს სუფიქსები გააჩნიათ I სერიაში და მას შემდეგ, რაც გან არ არიან ნაწარმოებნი):

აწმყო: ღვას || ღვანა || ღვია || ღვა (← ღვე-ი-ან-ს) — წყვეტილი: ძვ. ქართ. ღვა (← ღვე-ა): ... ღვა კიდესა თანა... ჰემეტი, 382 (ახლა გვაქვს ი-ღ-ა);

(ს)ღვახარ || (ს)ღვანხარ [←(ს)ღვე-ი-ან+ხარ] || (ს)ღვეხარ [←(ს)-ღვე-ი-ენ+ხარ] — ძვ. ქართ. (ს)ღვე: ... ძწოლით ხღვეგ ეკლესიასა შინა... ხანშ. მრავალთავი, 1<sub>20</sub>. [ახ. ქართ. ი-ღვექ(ი)];

ჯღია || ჯღანა (← ჯღე-ი-ან-ა) || ჯღის — ძვ. ქართ. ჯღა (← ჯღე-ა): ... ჯღა იგი სახლსა შინა მისსა... ჰემეტი, 372 (ახ. ქართ. ი-ჯღა);

ვჯღანვარ (← ვ-ჯღე-ი-ან+ვარ) || ვჯღივარ — ძვ. ქართ. ვჯღე: ... ვჯღეღ რაჲ სენაკსა ჩემსა ... კიმენი 28<sub>1</sub>. [ახ. ქართ. ვ-ი-ჯღე(ი), ვ-ი-ჯვექ(ი)];

მყავს (← მ-ყავ-ი-ან-ს) || მყავის — ძვ. ქართ. მყვა (← მ-ყავ-ა): ... მეფის ძე ვიყავ... მტერი მყვა უძლიერესი... სიბრძნე-სიცრუისა, 37. (ახლ ქართულში ეს ზმნა წყვეტილის ფორმით აღარ არის; წყვეტილის მაგნიტობასაც ეწევა უწყვ. „მყვანდა“ || „მყავდა“);

ჰყვანან (← ჰ-ყავ-ი-ან-ან) — ძვ. ქართ. ჰყვეს (← ჰ-ყავ-ეს): ... ამას ჰქონდა ქართლი, სომხითი... და ჰყვეს იმერელნი, ოდიშარნი... ახალი ქართ. ცხ., 35<sub>9</sub>;

ძვ. ქართ. ჰბრძოლან (← ჰ ბრძავ-ი-ოლ ან) || ჰბრძვანან (← ჰ-ბრძავ-ი-ან-ან) — ჰბრძვეს (← ჰ-ბრძავ-ეს): ... მრავალგზის ჰბრძვეს და ვერ ერეოდეს მას... Описание, 17<sub>1</sub> (ახლ ქართულში ამ ზმნის აწმყოა „იბრძვიან“ ← ი-ბრძავ-ი-ან, წყვეტილი აღარა გვაქვს).

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1944: VI. 23).

Л. Кикнадзе

## Коренные и отыменные глаголы в грузинском языке

### I

*Непереходные глаголы с суффиксами აპ | ეპ, იპ, ოქ, ოჟ*

(Резюме)

В грузинском языке в глагольных формах и отглагольных именах выделяются суффиксы **აპ | ეპ, იპ, ოქ, ოჟ**, функции которых неправильно освещаются в специальной литературе.

Выясняется, что перечисленные суффиксы в непереходных глаголах (среднего залога) имеют ту же функцию, что и суффиксы **ავ, ატ, ევ, ოვ, ი, ორ, ეტ**, в переходных глаголах. Они характерны для скрив (рядов) I серии и, подобно суффиксам **ავ, ატ, ევ...**, в скривах II серии не встречаются.

---

მ პრინტაჟი

## ქუთაისის მიდამოების ცარცის შუა ნაწილის სტრატოგრაფია

შესავალი

პირველ ლიტერატურულ ცნობებს ქუთაისის მიდამოების ცარცული ნალექების შესახებ ჩვენ ვხვდებით Dubois de Montpéreux-ს შრომებში (7, 8, 9). მან გამოჰყო ცარცის „ქვედა ფიქლები“ და „მწვანე ქვიშაქვები“. მანვე აღნიშნა მსგავსება კაკასიის, ყირიმისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთის ნეოკომურ ნალექებს შორის. მისი აზრით ქუთაისის ნეოკომის ზოგიერთი ფორმა ძალიან ახლო არის შვეიცარიის და საფრანგეთის ფორმებთან. ნეოკომური ნამარხების გარდა მას ნაპოვნი აქვს აგრეთვე გოლტური ამონიტები—*Ammonites Rhotomagensis* (?), *Am. monile*, *Am. planulatus*, *Am. subdentatus*.

3. აპიხმა (1) გამოჰყო კაპროტინებიანი კირქვები და კაპროტინებიანი კირქვებზე განლაგებული ამონიტებით მდიდარი შრეები. როგორც კაპროტინებიანი კირქვები, ისე ამონიტებიანი შრეებიც მან ნეოკომს მიაკუთვნა.

სიმონოვიჩი, სოროკინი და ბაცევიჩი (35, 36) კაპროტინებიანი კირქვებს ქვედა ნეოკომად ათარიღებენ; ამონიტებით მდიდარ კირქვებს და მერგელებს—ზედა ნეოკომად; მწვანე, გლავკონიტოვანი ქვიშაქვებს—შუა ცარცად და თეთრ კირქვებს—ზედა ცარცად. ეს დაყოფა, რომელიც ძირითადად სწორია, სიმონოვიჩმა, სოროკინმა და ბაცევიჩმა თავის შემდგომ შრომებში გააერთიანეს იმერეთისა და სამეგრელოს სხვა რაიონებზედაც (37, 38).

1875 წ. გამოვიდა E. Favre-ის ცნობილი შრომა (10). ავტორი იზიარებს წინა მკვლევარების სტრატოგრაფიულ სქემას და აზუსტებს მას. ის გამოჰყოფს ქვედა ნეოკომს და ურგონის ფაციესს; ამ წყებაზე განლაგებულ ამონიტებით მდიდარ კირქვიან-მერგელოვან წყებას ფაუნის მიხედვით აპტს მიაკუთვნებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ამ წყების ზედა ნაწილი შესაძლებელია უკვე გოლტი იყოსო. Favre-ის შრომამ დასავლეთ საქართველოს ცარცის სტრატოგრაფიის შესწავლა დიდად წასწია წინ.

1888 წ. გამოვიდა „Объяснительная записка к геологической карте Кутаисской губернии“. ამ შრომაში (39) სიმონოვიჩმა და სორო-



კინმა დიდი შეცდომა დაუშვეს: ცარცის ნალექების მთელი ქვედა ნაწილი გოლტს მიაკუთვნეს და ამრიგად ნეოკომი, რომელიც წინათ ცალკე იყო გამოყოფილი, გოლტთან გააერთიანეს. გოლტი მათ 5 ჰორიზონტად დაჰყვეს:

1. კაპროტინიანი კირქვები; 2. ამონიტებიანი კირქვები; 3. ბელემნიტებიანი მერგელები და კირქვები; 4. გლაუკონიტიანი ქვიშაქვები ფაუნით და 5. გლაუკონიტიანი ქვიშაქვები უფაუნოდ. ფაციალური კომპლექსები და მათი თანამიმდევრობა აქ სწორად არის მოცემული, მაგრამ აბტი და ურგონი სრულიად უმართებულოდ დაკავშირებულია გოლტთან. მეორე მხრით, ამ შრომაში ჩვენ პირველად ვხვდებით ქვედა გლაუკონიტიანი ქვიშაქვების ფაუნის საფუძველზე გოლტად დათარიღებას.

1596 წ. E. Fournier-მ (12) მოგვცა სტრატეგრაფიის უფრო სწორი სქემა. წინა მკვლევარების შრომების საფუძველზე მან გამოჰყო აბტი, ალბი და სენომანი. შუა ცარცის სტრატეგრაფია საერთოდ მის მიერ სწორად არის მოცემული, მაგრამ ფაუნის სიები და ქრილების ზოგიერთი დეტალი ხშირად ექვს იწვევენ. F. Fournier-ის მთავარი დამსახურება ის არის, რომ მან ისევ გამოჰყო ნეოკომი და ამით სიმონოვიჩის შეცდომა გამოსწორა.

1923 წ. ქუთაისის მიდამოებში მუშაობდა ბ. მეფერტი. მისი შრომები (21, 22) ქუთაისის მიდამოების ცარცის სტრატეგრაფიის შესწავლისათვის ერთი უმთავრესთაგანია. ავტორი იძლევა სტრატეგრაფიას, რომელიც მთავარ ხაზებში ეთანხმება წინა მკვლევარების სქემებს. მაგრამ ბ. მეფერტის შეცდომები მდგომარეობს ვულკანოგენური ფაციესის წარმოშობის არასწორ ახსნაში და სენომანური ტრანსგრესიის დაშვებაში, რის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. 1930 წ. მეფერტიმა გუმბრის და წყალტუბოს მიდამოებში გამოჰყო ფლორიდინიანი წყება და დაუპარალელა იგი ორბუღინებიან კირქვებს (24). შემდეგ შრომებში (23, 25, 26) ბ. მეფერტი ამ სტრატეგრაფიულ სქემას იმეორებს.

ქუხნეცოვი (20) სტატილაში გეოლოგიური კონგრესის საგზური-სათვის ბ. მეფერტის სტრატეგრაფიით ხელმძღვანელობს. ვაჩნაძე და თაბაგარი პატარა შრომაში (3) გუმბრის მიდამოების შესახებ მთელ რიგ საინტერესო დეტალებს იძლევიან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. რუხაძის შრომები (31, 32, 33); თუმცა ისინი წმინდა პალეონტოლოგიური ხასიათის არიან, მაგრამ შიგ მოცემული მასალა სტრატეგრაფიისათვისაც საინტერესოა.

ა. ჯანელიძემ (6) მოგვცა სტრატეგრაფიის ახალი სქემა და ჩემს შრომაში მე ძირითადად ამ სქემას ვეყრდნობი.

ქუთაისის-მიდამოებში, როგორც საერთოდ დასავლეთ საქართველოში, ცარცი იყოფა სამ მთავარ ნაწილად: ქვედა—შრეებრივი და მასივი კირქვები, შუა—მერგელები, მერგელოვანი კირქვები, თიხები, ქვიშაქვები და ტუფოგენური ქანები და ზედა—შრეებრივი კირქვები.

ცარცის შუა ნაწილი შეესაბამება დასავლეთ ევროპის აბტს, ალბს, სენომანს და, შესაძლებელია, ქვედა ტურონს.



ქუთაისის მიდამოებში, ჩემი მუშაობის დაწყებამდე, ჩვენ გეკონდა ცარცის შუა ნაწილის შემდეგი სტრატეგრაფია:

ა) აპტი—ნაცრისფერი მერგელები და მერგელოვანი კირქვები, ფაუნით ძალიან მდიდარი; სისქე 20 მ-დე.

ბ) ალბი—მოლურჯო-ნაცრისფერი მერგელოვანი თიხები და მერგელები; ზოგიერთ კრილში ალბის ზედა ნაწილი წარმოდგენილია თიხოვანი გლაუკონიტისანი ქვიშაქვებით.

გ) სენომანი—გლაუკონიტისანი ქვიშაქვები და მათ თავზე განლაგებული ორბულინებიანი კირქვები და ფლორიდინისანი წყება, მაგრამ კრილის ამ ნაწილს ჯერ კიდევ დასაბუთება სჭირდება, რადგან ორბულინებიანი კირქვების ზედა ნაწილი შესაძლებელია უკვე ქვედა ტურონს ეკუთვნოდეს, ან, პირიქით, სენომანი უფრო ზევითაც ადიოდეს.

ზევით განლაგებულია სქელი (500 მ-დე) ვულკანოგენური წყება, ეგრეთწოდებული „მთავრის წყება“. მისი ასაკი დაახლოებით სენომანად და ქვედა ტურონად ისაზღვრებოდა.

ჩემი ამოცანა იყო სართულების საზღვრების დაზუსტება, ზონების გამოყოფა და მათი პარალელიზაცია დასავლეთ ევროპის ზონებთან. მე შევისწავლე აპტი, ალბი და სენომანი. ვულკანოგენური ფაციესის სტრატეგრაფიული საზღვრების დაზუსტებაზე მე არ მიმუშავია, რადგან ეს საკითხი დაკავშირებული იყო რუდისტების და ინოცერამების შესწავლასთან. აღნიშნულ თემებზე მუშაობდნენ გეოლოგიური ინსტიტუტის სხვა წევრები.

ჩემ მიერ შესწავლილია ცარცული ნალექების შუა ნაწილი ქუთაისის მიდამოებში, კურორტ წყალტუბოდან დასავლეთით საბანელაღელის ხეობამდე აღმოსავლეთით.

ამ რაიონის გეოლოგიური აგებულების გაცნობა მკითხველს შეუძლია ა. ჯანელიძის შრომაში „Геологические наблюдения в Окрибе“.

## კრილების აღწერა

### 1. კრილი მდ. წყალწითელის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ.


ქუთაისში ცარცის შუა ნაწილის ნალექები გაშიშვლებულია მდ. წყალწითელის ხეობის მარჯვენა ფერდობის გასწვრივ, ხიდს ქვემოთ. აქ აპტი ძველი შარა გზის გასწვრივ გვხვდება, ხოლო ალბი და სენომანი რიონჰესის ძველი არხის გასწვრივ. ეს კრილი ერთი საუკეთესოთაგანია ქუთაისის მიდამოებში და ამიტომ ის აღწერილი იქნა ჯერ კიდევ სიმონოვიჩის (35) მიერ. ამ ადგილებში მუშაობდნენ სხვა გეოლოგებიც, მათ შორის Fournier (12), ბ. შეფერტი (21), რუხაძე (31, 32) და ჯანელიძე (6).

შარა გზის გასწვრივ, ხიდის მახლობლად ურგონის კირქვებს თავზე ადევს:

1. a) საკმაოდ მკვრივი, მუქი ნაცრისფერი კირქვები, 1,5—2 მ სისქე; ამ შრეებში ნაპოვნია *Ostrea (Exog.) latissima* Lam., *O. (E.) subsinuata* Leym., *Rhynchonella lata* d'Orb.

b) ნაცრისფერი, ოდნავ ქვიშიანი მერგელები, 5,5 m სისქე. შუა ნაწილში ნაპოვნია: *Ostrea (Exog.)* sp. ind., *Arca Raulini* (Leym.) d'Orb., *A. securis* d'Orb., *Neithea atava* Römm., *Plicatula gurgilis* Pictet et Rén., *Panopaea gurgilis* Brongn., Id., var. *Rouchadzei* Tsaq., *Pecten orbicularis* Sow., *Rhynch. lata* d'Orb., *R. depressa* d'Orb., *Terebratula Dutempleana* d'Orb., *T. sella* Sow.

c) მკვრივი, მოყვითალო-მონაცრისფრო კირქვები, —1,5 m.



სურ. 1.—1. ურგონი 2. გარდამავალი შრეები; 3. Colchidites-იანი შრეები; 4. Ancyloceras-იანი შრეები (2, 3, 4—ქვედა აბტი); 5. ზედა აბტი; 6. კლანდური ჰორიზონტი; 7. მერგელოვანი თიხები; 8. თიხოვანი ქვიშაქვები (7 და 8—ალბი); 9. გლაუკონიტიანი ქვიშაქვები—სენომანი; 10. „ორბულინებიანი“ კირქვები; 11. მთავარის წყება; 12. მეოთხეული.

2. მონაცრისფრო მერგელების და მერგელოვანი კირქვების მორიგეობა, 3,8—4 m. ფაუნა ამ შრეებში ძალიან მდიდარია; აქ ნაპოვნია *Phylloceras Moreli* d'Orb., *Deshayesites Deshayesi* Leym., *Costidiscus microcostatus* Sim., *Imerites Favrei* Rouch., *Im. sparcicostatus* Rouch., *Heteroceras ex gr. heliceroides*, *Ancyloceras* sp. ind., *Hibolites longus* Schwetz., *Panopaea gurgilis* Brongn.

3. მკვრივი მონაცრისფრო მერგელები, 1,5 m. ეს ჰორიზონტი ძალიან მდიდარ ფაუნას შეიცავს. სქარბოზენ დიდ ტანის *Ancyloceras*-ები. აქ ნაპოვნია *Douvilleiceras Cornuelli* d'Orb. var. *pygmaea* Nikch., *Deshayesites* n. sp. aff. *furcatus* Sow., *Ancyloceras Abichi* Sim. et Bac., *Anc. Waageni* Anth., *Anc. riennense* Rouch., *An. colchidense* Rouch., *Anc.* sp. ind., *Imerites* n. sp. aff. *densecostatus* Renng., *Colchidites* sp. ind., *Hibolites longus* Schwetz., *Panopaea gurgilis* Brongn.

4. a) მოყვითალო, ფხვიერი, თიხოვანი მერგელები . . . 0,25 m.  
 b) მკვრივი მონაცრისფრო მერგელოვანი კირქვები 0,35 m.  
 c) ფხვიერი მონაცრისფრო მერგელები . . . . . 0,3 m.

ამ ჰორიზონტში, შრეებში a—c ნაპოვნია: *Phylloceras Velledae* Mich., *Ph. Rouyi* d'Orb. var. *elliptica* Renng., *Tetragonites crebrisulcatus* Uhl., *Puzosia Matheroni* d'Orb., *Ancyloceras* aff. *Waageni* Anth., *A. Abichi* Sim. et Bac., *A.* aff. *Anthulai* Rouch., *A.* cf. *phasiense* Rouch., *A.* sp. ind., *Hibolites semicanaliculatus* Blainv.

5. დაახლოებით 2—3 m მანძილზე გაშიშვლება დაფარულია რიონჭქის არხის მშენებლობის შემდეგ დატოვებული ნაყარით.

6. თხელშრეებრივი, მოლურჯო-ნაცრისფერი მერგელოვანი თხები, რომლებთანაც ფხვიერი თიხოვანი ქვიშაქვების თხელი შუა-შრეები მორიგეობენ ქვიშაქვების შუა-შრეების სისქე 5—10 cm უდრის. ამ წყების ქვედა და შუა ნაწილში ნაპოვნია *Aucellina caucasica* v. Buch, *Auc. aptiensis* Pomp., *Auc. sp. ind.*, *Hibolites sp. ind.* წყების სისქე 31—32 m უდრის.

7. საკმაოდ ფხვიერი, სუსტად შრეებრივი, მორუხო-მონაცრისფრო თიხოვანი ქვიშაქვები. ქანის შემადგენლობაში ხშირია გლაუკონიტის მინარევი, ზოგჯერ კი ქანი ძალიან გამდიდრებულია გლაუკონიტით. ჰორიზონტის სისქე უდრის 21—22 m.

ამ ჰორიზონტის ქვედა ნაწილში ნაპოვნია *Leymeriella cf. tardefurcata* Leym., *L. tardefurcata* var. *Jacobi* var. nov., *Leym. tardefurcata* var. *nova*, *Douvilleiceras cf. mammilatum* Schloth., *Phyl. Rouyi d'Orb. var. elliptica* Renng., *Arca cf. carinata* Sow, *Cyprina sp. ind.*, *Thetis major* Sow., *Bellemnites sp. ind.*, *Echinoidea*.

8. ა) პორფირიტული ქანების ნაგორები ქვებისგან შემდგარი მკვრივი, წერილმარცვლოვანი კონგლომერატი, — 0,5 m.

ბ) ფხვიერი მწვანე გლაუკონიტის ქვიშაქვები, — 0,4 m.

გ) კონგლომერატი პორფირიტული ქანების ნაგორები ქვებით, — 0,3 m.

დ) ფხვიერი, გლაუკონიტის ქვიშაქვები, — 0,3 m.

ე) მკვრივი, საშუალო და მსხვილმარცვლოვანი გლაუკონიტის ქვიშაქვები, საკმაოდ სქელ-შრეებრივი, ფხვიერი გლაუკონიტის ქვიშაქვების შუა შრეებით. ამ შრეების სისქე 6,5 m უდრის.

ვ) მოლურჯო-მომწვანო გლაუკონიტის ქვიშაქვები, — 1,8 m.

შრეებში e—f ნაპოვნია *Puzosia sp. ind.* და სხვა, განუსაზღვრელი ამონიტები. ფაუნა ძალიან ცუდათაა დაცული.

9. თეთრი, შაქრისებური, შრეებრივი კირქვები, რომლებსაც ბ. მეფერტმა ორბულინებიანი უწოდა. კირქვების სისქე 8—9 m უდრის. ამ კირილმის შრეები უნამარხოა, მაგრამ სოფ. ოდილაურის მახლობლად ამავე კირქვების ქვედა შრეებში ნაპოვნია *Inoceramus cf. pictus* Sow. და ზედა შრეებში — *In. Lamarcki* Park.

ახლა განვიხილოთ ამ კირილში გამოყოფილი ჰორიზონტების ასაკი.

შრეები 1 წარმოადგენენ ურკონიდან აპტისკენ გარდამავალ შრეებს. მათი ფაუნა უმთავრესად სტრატეგრაფიულად უმნიშვნელო სახეებისაგან შედგება. მხოლოდ ერთი, *Terebratula Dupleana* d'Orb., გვაძლევს საშუალებას ვარდამავალი შრეები აპტს მივაკუთვნოთ.

შრეები 2 წარმოადგენენ *Colchidites*-ებიან ჰორიზონტს, რომელსაც *Colchidites*-ბის და *Imerites*-ბის სიმრავლე ახასიათებს, ხოლო შრეები 3 გამოყოფილია როგორც *Ancylloceras*-ებიანი ჰორიზონტი, რომლის ფაუნაში გაბატონებულია დიდი *Ancylloceras*-ები. ამ ორ ჰორიზონტს შორის მკვეთრი საზღვარი არა ჩანს. *Colchidites*-იან ჰორიზონტში გვხვდება *Ancylloceras*-ებიც და *Ancylloceras*-იან შრეებში — *Colchidites*-ები. ორივე ჰორიზონტი ქვედა აპტს ეკუთვნის.



*Colchidites*-იან ჰორიზონტში ნაპოვნია დასავლეთ ევროპის ბედლულოვი ქვესართლის დამახასიათებელი ფორმა—*Deshayesites Deshayesi*. სხვა ნახული ფორმებისაგან *Costidiscus microcostatus* დასავლეთ ევროპაში გავრცელებულია ბარემში და ქვედა აპტში, *Phylloceras Moreii*—აპტში, *Hibolites longus*—კრიმ-ჰოლციის მიხედვით (19) აფხაზეთში ზედა ბარემში და ჩრდილო კავკასიაში ქვედა აპტში გვხვდება; დანარჩენი ფორმები ახალი არიან. *Ancylloceras*-იან ჰორიზონტში ნაპოვნია ქვედა აპტის დამახასიათებელი ფორმები *Douvilleiceras Cornuelli* var. *pygmaea* და *Hibolites longus*; დანარჩენი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფაუნა შედგება ან სტრატოგრაფიულად უმნიშვნელო ფორმებისაგან ან ახალ სახეებისგან.

შრეები 4 ზედა აპტს ეკუთვნიან. *Hibolites semicanaliculatus* ზონის დამახასიათებელი ნამარხია, *Ph. Velledae* გავრცელებულია ზედა აპტში და ალბში, *Puzosia Matheroni* ქვედა და ზედა აპტში. *Ph. Rouyi* var. *elliptica* და *Tetrag. crebrisulcatus* შედარებით ფართოდ არიან გავრცელებული. *Ancylloceras*-ები მხოლოდ ადგილობრივი ფორმებით არიან წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისში *Ancylloceras*-ები ზედა აპტში ხშირად გვხვდება: დასაშვებია ვიფიქროთ, რომ *Ancylloceras*-ებიანი ჰორიზონტი, რომელიც ქვედა აპტის ზედა ნაწილში იწყება, გრძელდება ზედა აპტშიც.

შრეები 6—მერგელოვანი თიხების წყება—ქვედა ალბს ეკუთვნის. *Aucellina caucasica* გავრცელებულია აპტში და ალბში, *Auc. aptiensis* გვხვდება აპტიდან სენომანამდე. საგულისხმოა, რომ შუა და ზედა ალბის დამახასიათებელი ფორმა—*Auc. gryphaeoides* აქ არ არის ნაპოვნი.

შრეები 7-ს—თიხოვანი ქვიშაქვების—ქვედა ნაწილი ეკუთვნის ალბის მე-2, ეგრეთწოდებული *Leymeriella tardefurcata*-ს ზონას. აქ ნაპოვნია ზონის დამახასიათებელი ნამარხის *L. tardefurcata*-ს რამდენიმე ნიმუში და *Douvilleiceras mammilatum*, გავრცელებული ალბის მე-2 და მე-3 ზონაში. *Phylloceras Rouyi* var. *elliptica* შედარებით ახალი ფორმაა და აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ აპტში, მაგრამ *Phyll. Rouyi* forma typica გავრცელებულია საფრანგეთის ალბშიც. შესაძლებელია, რომ *Ph. Rouyi* var. *elliptica*-ც ასევე აპტშიც და ალბშიც გვხვდებოდეს. დანარჩენი ფორმები სტრატოგრაფიულად უმნიშვნელოა. თიხოვანი ქვიშაქვების ზედა ნაწილი თავისი სტრატოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს შუა და შესაძლებელია ზედა ალბსაც.

შრეები 8—გლაუკონიტის ქვიშაქვები—ძალიან ცუდად დაცულ ფაუნას შეიცავს. ბ. მეფერტმა (21) იპოვა *Acanthoceras* cf. *Rhotomagense* და გლაუკონიტის ქვიშაქვები სენომანს მიაკუთვნა. მისი აზრით სენომანი ტრანსგრესიულადაა განლაგებული. ამის გამო უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, კონგლომერატი წყების ძირში არსებობს, მაგრამ ვადასვლა თიხოვან ქვიშაქვებიდან გლაუკონიტის ქვიშაქვებში თანდათანობით ხდება და ტრანსგრესიის ნიშნები აქ არ ჩანს.


შრეების 9-ს ქვედა ნაწილში ნაპოვნია *Inoceramus* cf. *pictus* და, მაშასადამე, ორბულინებიანი კირქვების ეს ნაწილი უნდა სენომანს მივაკუთვნოთ. ამიტომ შესაძლებელია, რომ ქვეშ მდებარე გლაუკონიტის ქვიშაქვები აგრეთვე სე-

ნომანს ეკუთვნოდეს. ამ ორ წყებას შორის ხარვეზი არ არის და ამავე დროს ორივე წყების სისქე მცირეა.

ორბულინებიანი კირქვების ზედა ნაწილში ჩემ მიერ ნაპოვნია *Inoceramus Lamarcki*, ამიტომ კირქვების ზედა ნაწილი ქვედა ტურონს უნდა მივაკუთვნოთ. *In. labiatus*, რომელიც სულ ქვედა ტურონს ახასიათებს, აქ არ არის ნაპოვნი, მაგრამ *Inoceramus Lamarcki* აღებულია რამდენიმე მეტრით უფრო მაღლა, ვიდრე *Inoc. pictus*; შესაძლებელია, რომ *Inoc. labiatus*-ის ზონა ამ ქრილში წარმოდგენილია რამდენიმე მეტრის სისქე უნამარხო კირქვებით.

## 2. წყალწითელის მარცხენა ნაპირის კრილი.

კრილი გაშიშვლებულია მდ. წყალწითელის მარცხენა ნაპირზე ხიდის მახლობლად, შარა გზის გასწვრივ. ხიდთან ახლოს გაშიშვლებულია აპტი და ალბი; ხიდიდან დაახლოებით 200—300 m მანძილზე, კი წყაროს გვერდით,



ხურ. 2.—1. ურკონი; 2. გარდამავალი შრეები; 3. ამონიტებიანი შრეები (2 და 3)—აპტი; 4. კლანსეფური ჰორიზონტი; 5. მერგელოვანი თიხები; 6. თიხოვანი ქვიშაქვები (5 და 6—ალბი); 7. გლავუკონიტაინი ქვიშაქვები; 8. „ორბულინებიანი“ კირქვები; 9. მთ. ვარის წყება.

სენომანი არის. მართალია, ეს კრილი ძალიან ახლო მდებარეობს წყალწითელის მარჯვენა ნაპირის კრილთან, მაგრამ ფაციალური განსხვავება მაინც ჩანს.

1. a) მოყვითალო-ნაცრისფერი მკვრივი უნამარხო კირქვები—1,5 m.
- b) მონაცრისფრო მერგელოვანი კირქვები, 4,8 m სისქე; ზედა ნაწილში ნაპოვნია *Rhynchonella lata* d'Orb., *Rh. depressa* d'Orb., *Terebratula* sp. ind.
- c) საკმაოდ თხელ შრეებრივი მონაცრისფრო მერგელოვანი კირქვები, 3,5 m. შუა ნაწილში ხშირია *Ostrea*-ები. ამ შრეებში ნაპოვნია *Ostrea (Exogyra) latissima* Lam., *O. (E.)* sp. ind., *Arca* cf. *securis* d'Orb., *Neithea atava* Römer, *Rhynchonella depressa* d'Orb., *Terebratula Moutoni* d'Orb.

2. a) ნაცრისფერი, საკმაოდ მკვრივი მერგელები 0,7 m.
- b) ფხვიერი ნაცრისფერი მერგელები . . . . . 1,2 m.
- c) ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვა . . . . . 0,5 m.
- d) ფხვიერი მერგელები . . . . . 0,6 m.

ამ ჰორიზონტში, შრეებში a—d ნაპოვნია *Ancyloceras* sp. ind., *Costidiscus* cf. *recticostatus* d'Orb., *Colchidites securiformis* Rouch., *Colchidites* sp. ind., *Imerites Katcharavai* Rouch., *Imerites* ex. gr. *Giraudi* Kil., *Panopaea gurgitii* Brongn., Id. var. *Rouchadzei* Tsag.

3. ნაცრისფერი მკვრივი მერგელები, 1,7 m. შეიცავენ ძალიან ცუდად დაცულ ფაუნას.

4. მონაცრისფრო ოდნავ გლაუკონტიანი მერგელები, 3,5 m. ამ ჰორიზონტში ნაპოვნია: *Acanthoplites multispinatus* Anth., *Ac.* cf. *Uhligi* Anth., *Ac.* ex. gr. *aschiltaensis* Anth., *Douvilleiceras aplanatus* Rouch., *Hibolites moderatus* Schwetz., *Hib. brevis* Schwetz.

5. თხელშრეებრივი მოლურჯო ნაცრისფერი მერგელოვანი თიხები. გვხვდება ფხვიერი ყვითელი თიხოვანი ქვიშაქვების შუა შრეებიც. ჰორიზონტის სისქე 17—18 m უდრის. ჰორიზონტის ქვედა და შუა ნაწილში ნაპოვნია *Aucellina caucasica* Buch, *Auc. aptiensis* Pomp., *Auc.* sp. ind., *Hibolites* sp. ind.

6. ცუდად შრეებრივი რუხი თიხოვანი ქვიშაქვები. ჩანს გლაუკონტის მინარევი. სულ ქვედა შრეებში ხშირია ალბის მერგელების დიდი ლოდები და ბორფირიტული ქანების ნაგორები ქვები. ჰორიზონტის სისქე დაახლოებით 15—17 m უდრის. აქ ნაპოვნია იშვიათი ცუდად დაცული გასტროპოდები და ზღარბები.

7. a) მკვრივი და ფხვიერი, საშუალო-და მსხვილმარცვლოვანი გლაუკონტიანი ქვიშაქვების მორიგეობა. ჰორიზონტის ქვედა ნაწილში სჭარბობენ მკვრივი ქვიშაქვები, რომლებთანაც ფხვიერი ქვიშაქვების შუა შრეები მორიგეობენ. ზედა ნაწილი უფრო ფხვიერია. სულ ზედა შრეები კარბონატული, მასივი აგებულებისა და მოლურჯო ფერისა არიან. სისქე—7 m-დე.

b) ბორფირიტულ ქანების ნაგორები ქვებისაგან შემდგარი კონგლომერატი, 0,4 m.

8. დაახლოებით 1—2 m მანძილზე გაშიშვლება არ არის.

9. თეთრი შაქრისებრი ორბულინებიანი კირქვები, 8—10 m.

შრეები 1 ურგონიდან აპტისკენ გარდამავალი შრეებია. დამახასიათებელ ფაუნას არ შეიცავენ. წყალწითელის მარჯვენა ნაპირის ჭრილის მსგავსად, ეს შრეები შეიძლება აპტს მივაკუთვნოთ.

შრეებში 2 ნაპოვნია *Costidiscus recticostatus*, რომელიც დასავლეთ ევროპაში ბარემში და ქვედა აპტში არის გავრცელებული; დანარჩენი ფორმები ახალი არიან ან სტრატეგრაფიულად უმნიშვნელო. ეს შრეები შეიძლება ქვედა აპტს მივაკუთვნოთ.

ამ ჭრილში, ფაუნის სიღარიბის გამო, არ ხერხდება *Colchidites*-იანი და *Ancyloceras*-იანი ჰორიზონტის გამოყოფა.

შრეები 3 მხოლოდ ცუდად დაცულ ფაუნას შეიცავენ; სტრატეგრაფიული მდებარეობის მიხედვით ზედა აპტს უნდა ეკუთვნოდნენ.

შრეები 4 კლანსეურ ჰორიზონტს ეკუთვნიან. აქ ნაპოვნია *Acanthoplites multispinatus*, *Ac. Uhligi*, *Hibolites brevis*, რომლებიც მანგიშლაკის ნახევარკუნ-

ძულზე და ჩრდილო კავკასიაში კლანსეური ჰორიზონტის დამახასიათებელ ფორმებად ითვლებიან.

შრეები 5—მერგელოვანი თიხები—ქვედა ალბს ეკუთვნიან; აქ ნაპოვნია *Aucellina caucasica* და სულ არ არის *Auc. gryphaeoides*.

შრეები 6—თიხოვანი ქვიშაქვები—კარგად დაცულ ფაუნას არ შეიცავენ და თავისი სტრატиграფიული მდებარეობის მიხედვით ალბს უნდა ეკუთვნოდნენ.

შრეები 7—გლაუკონიტის ქვიშაქვები—სტრატиграფიული მდებარეობით და წყალწითელის მარჯვენა ნაპირის კრილთან ანალოგიით სენომანს მიეკუთვნებიან.

შრეები 9—ორბულინებიანი კირქვები—ფაუნას არ შეიცავენ. წყალწითელის მარჯვენა ნაპირთან ანალოგიით ამ კირქვების ქვედა ნაწილი სენომანს უნდა მიეკუთვნოს, ზედა კი ქვედა ტურონს.

თუ შევადარებთ წყალწითელის ორივე ნაპირის კრილებს, დავინახავთ, რომ წყალწითელის მარცხენა ნაპირის კრრლში აპტი ისეთივეა, როგორც მარჯვენა ნაპირზე; მხოლოდ აპტის ზედა ნაწილი, რომელიც შეესაბამება *Ancylloceras*-ებიან ჰორიზონტს და ზედა აპტს, ფაუნით უფრო ღარიბია, რის გამო ამ ჰორიზონტების გამოყოფა არ ხერხდება. კლანსეური ჰორიზონტი მარცხენა ნაპირზე უკეთ არის გაშიშვლებული, ვიდრე მარჯვენაზე, სადაც კლანსეური მერგელების გამოსავალი დაფარულია ნაყარით. ალბის მერგელოვანი თიხების სისქე ამ კრილში ცოტათი ნაკლებია, ვიდრე მარცხენა ნაპირზე. რაც შეეხება თიხოვან ქვიშაქვებს, გლაუკონიტთან ქვიშაქვებსა და ორბულინებიან კირქვებს, ეს წყებები ისეთივეა, როგორც ზემოთ აღწერილ კრილში.

### 3. სოფ. გოდოგნის კრილი

ეს კრილი გაშიშვლებულია გოდოგნის ტაძრის მახლობლად ქაჯი-ხევის ხეობაში, გოდოგან-გელათის გზის გასწვრივ. მის ნაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ტექტონიკური მიზეზების გამო ზედა ნაწილი მთლიანი არ არის. ქვევიდან ზევით ქაჯი-ხევის ხეობაში ასეთი კრილია.

1. ა) ნაცრისფერი შრეებრივი მერგელები, 4 m სისქე; შეიცავენ: *Panopaea gurgitis* Brongn., Id. var. *Prevosti* Leym., *Pecten* sp. ind., *Neithea* cf. *atava* Röm., *Arca* cf. *securis* Sow., *Rhynchonella lata* Sow., *Terebratula* sp. ind.



ბ) მკვრივი ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვების და მერგელების მორიგობა, 10—11 m. ქვედა ნაწილში ნაპოვნია: *Ostrea* (*Exog.*) *latissima* Lam., *O. (E.) subsinuata* Lxym., *Rhynchonella lata* d'Orb., *Terebratula duplemeana* d'Orb., და ზედა ნაწილში—*Panopaea gurgitis* Brongn., Id. var. *Rouchadzei* Tzag., *Pecten* cf. *orbicularis* Sow., *Arca carinata* Sow., *Neithea* sp. ind.

2. ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვები და მერგელები, .5 m. აქ ნაპოვნია: *Lyloceras* cf. *obliquetrangulatum* Kil., *Lyt.* sp. ind., *Douvilleiceras seminodorum* Sinz., *D. Cornuelli* d'Orb. var. *pygmaea* Nikch., *Costidiscus microcostatus* Sim., *Puzosia* sp. ind., *Imerites* aff. *microcostatus* Rouch., *Im.* ex gr. *Giraudi* Kil., *Im.* sp. ind., *Colch.* n. sp. aff. *latecostatus* Rouch. *Col.* cf. *latecostatus* Rouch. *Col.* sp. ind.; *Hibolites longus* Schwetz., *Hib.* sp. ind.



3. ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვები და მერგელები, 1,5 m. აქ ნაპოვნია: *Douvilleic. seminodosum* Sinz., *Ancyloceras Abichi* Sim. et Bac., *Anc. sahariense* Rouch., *Anc. Steinmanni* Sim. et Bac., *Imerites* cf. *semituberculatus*

W



ხურ. 3.—1. ურგონი; 2. გარდამავალი შრეები; 2. *Colchidites*-იანი შრეები; 4. *Ancyloceras*-იანი შრეები (2, 3, 4—ქ.ედა აპტი); 5. ზედა აპტი; 6. კლანსეური ჰორიზონტი; 7. მერგელოვანი თიხები; 8. თიხოვანი ქვიშაქვები (ალბი); 9. გლაუკონტიანი ქვიშაქვები; 10. ქმთავარის წყება.

Rouch., *Heteroceras elegans* Rouch., *Hel. (Argvethites)* n. sp., *Colchidites ellipticus* Rouch., *Panopaea gurgilis* Brongn., *Id. var. Rouchadzei* Tsag.

4. ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვა, 0,3 m. ამ შრეში ნაპოვნია: *Douvilleiceras Cornuelli* d'Orb., *Douv. pachystephanum* Uhl., *Douv. seminodosum* Sinz., *Douv. sp. ind.*, *Puzosia Matheroni* d'Orb., *Ancyloceras* cf. *tskaltshelense* Rouch., *Anc. sp. ind.*, *Ptychoceras minimum* Rouch.


5. გლაუკონტიანი ქვიშაქვა, 0,3 m. ეს შრე შეიცავს ძალიან ცუდად დაცულ *Belemnites*-ებს.

6. ოდნავ გლაუკონტიანი ნაცრისფერი მერგელები, 3—3,5 m. აქ ნაპოვნია: *Phylloceras velleidae* Mich., *Douvilleiceras* cf. *Martini* d'Orb. var. *orientalis* Jacob, *Acanthoplites aschiltiensis* Anth., *Acanth. sp. ind.*, *Ancyloceras* aff. *bzbiense* Rouch., *Anc. ex gr. helicoides* Rouch., *Heteroceras* sp. ind., *Plicatula placunea* d'Orb., *Aucellina caucasica* Buch, *Hibolites moderatus* Schwetz., *Hib. cf. semicanaliculatus* Blainv., *Hib. sp. ind.*

7. ნაცრისფერი მერგელები, რომლებშიაც ხშირად გვხვდება ფხვიერი თიხოვანი გლაუკონტიანი შუა-შრეები. ამ ჰორიზონტის სისქე 5—6 m უდრის. ნაპოვნია: *Acanthoplites* cf. *Nolani* Seun., *Ac. multispinatus* Anth., *Ac. sp. ind.* *Deshayesites* ex gr. *sahoriense* Rouch., *Hibolites brevis* Schwetz., *Hib. moderatus* Schwetz., *Hib. sp. ind.*, *Aucellina caucasica* Buch., *Terebratula prae-longa* Sow.

8. მოლურჯო-ნაცრისფერი, თხელ შრეებრივი მერგელოვანი თიხები. ხშირია ფხვიერი, ყვითელი, თიხოვანი ქვიშაქვების შუაშრეები. ამ წყების სისქე 26—27 m უდრის. ნაპოვნია *Aucellina caucasica* Buch, *Auc. aptiensis* Pomp., *Auc. sp. ind.*, *Hibolites moderatus* Schwetz., *Hib. sp. ind.*





9. ცუდად შრეებრივი რუხი თიხოვან-გლაუკონიტინი ქვიშაქვები 14—15 m სისქე. ეს ქვიშაქვები ამ კრილში უნამარხოა. გაშიშვლება ნიმე m-ს მანძილზე წყდება და შემდეგ მთავრის წყება შიშვლდება.

შრეები 1 ურგონიდან აპტისკენ გარდამავალი შრეებია; შეიცავენ უმთავრესად სტრატოგრაფიულად უმნიშვნელო ფორმებს. მხოლოდ ერთი სახე, *Terebratula dutempleana*, გვაძლევს საშუალებას გარდამავალი შრეები აპტს მივაკუთვნოთ.

შრეები 2 *Colchidites*-იანი ჰორიზონტია. *Colchidites*-ების და *Imerites*-ების სიმრავლის გარდა ამ ჰორიზონტში აღსანიშნავია ქვედა აპტის დამახასიათებელი ფორმები: *Douvilleiceras seminodosum* Sinz., *D. Cornuelli* d'Orb. var. *pygmaea* Nikch., *Costidiscus microcostatus* Sim., *Hibolites longus* Schwetz.

ნაპოვნია აგრეთვე *Lytoceras* cf. *obliquestrangulatum* Kilian, რომელიც დასავლეთ ევროპაში გავრცელებულია ბარემსა და ქვედა აპტში.

შრეები 3 *Ancyloceras*-იანი ჰორიზონტია; ამ ჰორიზონტში ნაპოვნია ერთი ქვედა აპტის დამახასიათებელი ფორმა—*Douvilleiceras seminodosum* Sinzov, ყველა დანარჩენი ფორმა ახალია და მათი სტრატოგრაფიული გავრცელება ჯერჯერობით არ არის ზუსტად შესწავლილი.

შრეები 4 შეიცავს ქვედა აპტის დამახასიათებელ სამ ფორმას: *Douvilleiceras Cornuelli* d'Orb., *Douv. pachystephanum* Uhl., *Douv. seminodosum* Sinz.

აქ ნაპოვნია აგრეთვე *Puzosia Matheroni*, რომელიც გავრცელებულია როგორც ქვედა, ისე ზედა აპტში. შრეები დამახასიათებელ ფაუნას არ შეიცავენ.

შრეები 5 დამახასიათებელ ფაუნას არ შეიცავს.

შრეები 6 ზედა აპტს ეკუთვნის: *Douvilleiceras Martini* d'Orb. var. *orientalis* Jacob, *Acanthoplites aschiltaensis* Anth., *Phylloceras velledae* Mich. გავრცელებულია ზედა აპტში და ალბში. *Hibolites semicanaliculatus* Bl. ზედა აპტის დამახასიათებელი ნამარხია, *Aucellina caucasica* Buch ახასიათებს აპტს და ალბს. ყველა დანარჩენი ფორმა ახალია ან სტრატოგრაფიულად უმნიშვნელო.

შრეები 7 მე მივაკუთვნე კლანსეურ ჰორიზონტს. აქ ნაპოვნია 3 დამახასიათებელი ნამარხი: *Acanthoplites Nolani* Seun., რომელიც დასავლეთ ევროპაში კლანსეურ ჰორიზონტის სახელმძღვანელო ფორმად ითვლება, *Ac. multipinatus* Anth., რომელიც ნაცკის (27) მიხედვით მანგიშლაკის ნახევარკუნძულზე კლანსეურ ჰორიზონტშია გავრცელებული და *Hibolites brevis* Schwetz., რომელიც კრიმჰოლცის (19) და შვეცოვის (41) მიხედვით აფხაზეთში აგრეთვე კლანსეურ ჰორიზონტში გვხვდება.

შრეები 8—მერგელოვანი თიხები—ეკუთვნიან ქვედა ალბს. აქ ნაპოვნია *Aucellina caucasica* Buch. და სულ არ არის *Auc. gryphaeoides* Sow.

შრეები 9—თიხოვანი ქვიშაქვების წყება—თავისი სტრატოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ეკუთვნის შუა და, შესაძლებელია, ზედა ალბს.

ამ კრილში გლაუკონიტინი ქვიშაქვები და ორბულინებიანი კირქვები არ არის, რადგან ისინი დაფარული არიან „მთავრის წყების“ შეცოცებით.


თუ გოდოვანის კრილს ზემოთ აღწერილ კრილებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ის ძალიან წააგავს მათ. მცირე განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ:



- 1) გარდამავალი შრეები უფრო სქელი და კარგად წარმოდგენილია.
- 2) ნაცრისფერი მერგელების ჰორიზონტი აგრეთვე უკეთესად არის წარმოდგენილი. ამ ჰორიზონტის ქვედა ნაწილი ეკუთვნის ზედა აპტს, ზედა კი—კლანსეურ ჰორიზონტს.

#### 4. საბანელა-ღელის ხეობის კრილი

კრილი გაშიშვლებულია საბანელა-ღელის ხეობაში, სოფ. ნოვარევის მახლობლად. სენომანი ხეობაშია გაშიშვლებული, ძველი კოშკის ქვეშ და წისქვილის მახლობლად; აპტი და ალბი განვითარებულია წისქვილის ჩრდილოეთით.



სურ. 4. 1. ურგონი; 2. გარდამავალი შრეები; 3. ამონიტებიანი შრეები (2 და 3—ქვედა აპტი); 4. კლანსეური ჰორიზონტი; 5. მერგელოვანი თიხები; 6. თიხოვანი ქვიშაქვები (5 და 6—ალბი); 7. გლაუკონიტებიანი ქვიშაქვები; 8. „ორბულინებიანი“ კირქვები; 9. მთავაროს წყება.

კრილი შედარებით ცუდად არის გაშიშვლებული; ჰორიზონტების საზღვრები ხშირად არ ჩანს და ამიტომ მთელი კრილის ხასიათი სქემატურია.

ურგონის კირქვებს თავზე ადევს:

1. ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვები და მერგელები, 6 m. ეს ჰორიზონტი შეიცავს შემდეგ ფაუნას:

*Ostrea (Exogyra) latissima* Lam., *Panopaea gurgitis* Brongn., *Id. var. Rouchadzei* Tsag., *Neithea atata* Röm., *Arca* sp. ind., *Rhynchonella depressa* d'Orb., *Terebratula sella* Sow., *Ier.* sp. ind.

2. ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვები, რომლებთანაც უფრო ფხვიერი მერგელების შრეები მორიგეობენ. ამ წყების ქვედა ნაწილში არის 30 cm სისქე შრე, რომელიც ძალიან მდიდარია ბრაქიოპოდებით. ჰორიზონტის სისქე—8—9 m.

აქ ნაპოვნია: *Phylloceras Rouyi* d'Orb. var. *elliptica* Renng., *Lytoceras phetus* Math., *Ancyloceras* cf. *Renauxi* d'Orb., *Argoethites communis* Rouch., *Colchidites* ex gr. *shaoriensis* Djan., *Colchidites* sp. ind., *Ancyloceras* sp. ind., *Panopaea gurgitis* Brongn. var. *Rouchadzei* Tsag.

3. დაახლოებით 5—6 m მანძილზე გაშიშვლებას არ ვხვდებით. უფრო ზემოთ ჩნდება

4. ნაცრისფერი ოდნავ ქვიშიანი გლაუკონიტის მერგელები. მათი სიღრმის სიმაღლე 1—2 m უდრის. აქ ნაპოვნია *Acanthoplites* cf. *Nolani* *ex gr. aschillaensis* Anth., *Deshayesites* sp. ind., *Hibolites moderanus* Schwetz.

5. დაახლოებით 4—5 m მანძილზე ვაშიშვლება არ არის. უფრო ზემოთ შიშვლებიან.

6. მოლურჯო-ნაცრისფერი ოდნავ ქვიშიან-გლაუკონიტის მერგელები და მერგელოვანი თიხები, 20—22 m სისქე. შიგ ნაპოვნია: *Aucellina caucasica* Buch, *Auc.* sp. ind., *Hibolites* sp. ind.

7. თიხოვანი, ზოგჯერ შრეებრივი ქვიშაქვები, გლაუკონიტის მასალა-მინარევი, სისქით 13—15 m, უნამარხო.

8. საკმაოდ მკვრივი მსხვილ და წვრილმარცვლოვანი შრეებრივი ქვიშაქვები, 20—22 m სისქე, უნამარხო.

9. თეთრი, ცუდად შრეებრივი, ეგრეთწოდებული „ორბულინებიანი“ კირქვები, 40—45 m სისქე, უნამარხო.

შრეები 1 ურგონიდან აპტისკენ გარდამივალი შრეებია; დამახასიათებელ ფორმებს არ შეიცავენ.

შრეები 2 ეკუთვნიან ქვედა აპტს; აქ ნაპოვნია 2 დამახასიათებელი სახე: *Ancyloceras Renauxi* d'Orb., რომელიც დასავლეთ ევროპაში მხოლოდ ქვედა აპტში გვხვდება, და *Lytoceras Phesius* Math., რომელიც დასავლეთ ევროპაში ბარემში და ქვედა აპტში არის ცნობილი. დანარჩენი ფაუნა შედგება ახალი, ადგილობრივი ფორმებისაგან.

შრეები 4 ეკუთვნიან კლანსურ ჰორიზონტს. *Acanthoplites Nolani* Seunes ამ ჰორიზონტის დამახასიათებელი ფორმაა.

შრეები 6—მერგელოვანი თიხები—შეიცავენ *Aucellina*-ების ფაუნას და როგორც ზემოთ აღწერილ კრილებში, აქაც ქვედა ალბს ეკუთვნიან.

შრეები 7—თიხოვანი ქვიშაქვები—მათი სტრატოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ეკუთვნიან შუა და, შესაძლებელია, ზედა ალბს, ისევე როგორც ანალოგიური შრეები ქუთაისის კრილში.

შრეები 8—გლაუკონიტის ქვიშაქვები—და შრეები 9—ორბულინებიანი კირქვები—მათი სტრატოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სენომანს ეკუთვნიან. შესაძლებელია, რომ კირქვების ზედა ნაწილი ისევე, როგორც ქუთაისთან, ქვედა ტურონს ეკუთვნოდეს.


საბანელა-ლეღის კრილი, სხვა კრილებისაგან განსხვავდება იმით, რომ 1) თიხოვანი ქვიშაქვები აქ უფრო მკვრივი და შრეებრივი არიან და არ განირჩევიან გლაუკონიტის ქვიშაქვებისაგან ისე მკაფიოდ, როგორც ქუთაისში; 2) გლაუკონიტის ქვიშაქვების სისქე უფრო დიდია, ვიდრე ქუთაისში; 3) ორბულინებიანი კირქვების წყებაც შედარებით სქელია.

##### 5. სოფ. გუმბრის კრილი

კრილის ქვედა ნაწილი ვაშიშვლებულია ქუთაის-წყალტუბოს შოსეს გასწვრივ, გუმბრის აღმასკომის მახლობლად. ზედა ნაწილი ვაკვეთილია გუმბრის

სამთო ნამუშევრებით. საერთოდ კრილი სრულია და ერთი საუკეთესოთაგანი ქუთაისის მიდამოებში.

1. მოყვითალო-ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვები, საკმარისი სიღრმეში, შუა ნაწილში გვხვდება პრობლემატური ნაშთები, ზედა ნაწილში მკვრივ კირქვებთან მორიგეობენ შედარებით უფრო ფხვიერი მერგელოვანი კირქვები. ამ ჰორიზონტის სისქე 14—16 m უდრის. ჰორიზონტის ქვედა და შუა ნაწილში ნაპოვნია: *Rhynchonella lata* d'Orb., *R. depressa* d'Orb., *Terebratula* sp. ind., *Arca* cf. *Raulini* (Leym.) d'Orb., *Neithea* sp. ind., *Pecten* sp. ind., ხოლო ზედა ნაწილში *Panopaea gurgitis* Brongn., ld. var. *Rouchadzei* Tsag., *Arca carinata* Sow., *Arca* cf. *Raulini* (Leym.) d'Orb., *Ostrea (Exogyra) latissima* Lam., *O. (E.) subsinuata* Leym., *O. (E.)* sp. ind.



სურ. 5. 1.—ურგონი; 2. გარდამავალი შრეები; 3. Colchidites-იანი შრეები; 4. Ancyloceras-იანი შრეები (2, 3, 4—ქვედა აბტი); 5. ზედა აბტი; 6. კლანსეური ჰორიზონტი; 7. მერგელოვანი თიხები—ალბი; 8. გლაუკონიტის ქვიშაქვები—ალბ-სენომანი; 9. გუმბრინის ფენა; 10. ქვიშაქვები; 11. კირქვა (9, 10, 11—გუმბრინიანი წყება); 12. მთავარის წყება.

2. მონაცრისფრო და მოთეთრო მერგელოვანი კირქვები და მერგელები, 3,2 m სისქე. აქ ნაპოვნია: *Phylloceras Moreli* d'Orb., *Ph. Rouyi* d'Orb. var. *elliptica* Renng., *Ancyloceras Pavlovi* Vass., *Anc.* cf. *godoganense* Rouch., *Colchidites* sp. ind., *Imerites* ex gr. *Giraudi* Kil., *Im.* sp. ind.

3. მონაცრისფრო და მოთეთრო მერგელოვანი კირქვები და მერგელები, 1,5 m. აქ ნაპოვნია: *Douvilleiceras seminodosum* Sinz., *Ancyloceras Abichi* Sim. et Bac., *Anc. helicoides* Rouch., *Anc.* sp. ind., *Colchidites* sp. ind., *Hibolites longus* Schwetz., *Panopaea gurgitis* Brongn., ld. var. *Rouchadzei* Tsag.

4. ნაცრისფერი, შრეებრივი, ოდნავ გლაუკონიტის მერგელები. გვხვდება მოყვითალო, უფრო მკვრივი მერგელების შუა შრეებიც და ერთი გლაუკონიტის ქვიშაქვის შუა-შრე. სისქე 3—3,5 m. აქ ნაპოვნია: *Douvilleiceras* cf. *Martini* d'Orb. var. *orientalis* Jacob, *Douv. coronatum* Rouch., *Heteroceras elegans* Rouch., *Puzosia* ex gr. *Emerici* Rasp., *Acaniophlites* sp. ind., *Hibolites moderatus* Schwetz., *Hib.* sp. ind.

5. შრეებრივი ნაცრისფერი მერგელები, ძალიან მსგავსი ქვეშ მდებარე ქანების, 4—4,5 m. ზედა ნაწილი უფრო თიხოვანია. აქ ნაპოვნია: *Douvillei-*

*ceras* ex gr. *Martini* d'Orb., *Acanthoplites* cf. *multispinatus* Anth., *Ac. aschiltaensis* Anth., *Deshayesites* ex gr. *sahoriensis* Rouch., *Hibolites moderatus* Schwetz., *Hib. brevis* Schwetz., *Hib. sp. ind.*, *Aucellina caucasica* Buch.

6. მონაცრისფრო და მოცისფრო თხელშრეებრივი მერგელოვანი თიხები და მერგელები, რომლებიც ძალიან გეანან ქვეშ მდებარე ქანებს; ზედა ნაწილში გვხვდება ფხვიერი გლაუკონიტის ქვიშაქვების შუა-შრეებიც. საერთოდ ზედა ნაწილი მდიდარია გლაუკონიტით. ამ ჰორიზონტის სისქე 21—22 m აღწევს. შიგ ნაპოვნია: *Aucellina caucasica* Buch, *Auc. aptiensis* Pomp., *Hibolites* sp. ind.

7. გლაუკონიტის ქვიშაქვები, ქვედა ნაწილში მწვანე ფერისა და საკმაოდ მსხვილმარცლოვანი, ზედა ნაწილი უფრო წვრილმარცლოვანი და მომწვანო-ნაცრისფერი; ზედა ნაწილში აღსანიშნავია ფხვიერი ყვითელი ქვიშაქვების 2 შუა-შრე (10—15 m სისქე). გლაუკონიტის ქვიშაქვების ძირში არის კონგლომერატი, რომელიც უმთავრესად პორფირიტული ქანების ნაგორები ქვებისგან შედგება. უნდა აღინიშნოს, რომ კონგლომერატი ყველგან არ გვხვდება. გლაუკონიტის ქვიშაქვების სისქე დაახლოებით 14—15 m არის და იშვიათად მათში ძლიერ ცუდად დაცული ბელემნიტები გვხვდება.

8. a) გუმზრინის და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობა, 4—5 m. შიგ ნაპოვნია *Inoceramus pictus* Sow.

b) თიხოვან-ტუფოგენური ქვიშაქვები, საკმაოდ ფხვიერი, კარგად შრეებრივი. შრეების სისქე 5—15 cm უდრის. ქვედა ნაწილში ნაპოვნია *Inoceramus pictus* Sow. და ზედა ნაწილში *In. cf. labiatus* Schloth. და *In. cuneiformis* d'Orb.

c) კირქვიანი ქვიშაქვები, სისქით 1 m-დე, უნამარხო.


d) ქვიშიანი კირქვები და მერგელები 6-დე მეტრის სისქე. შიგ *Spondylus striatus* d'Orb., და *Spondylus* sp. ind.

შრეები 1 ურგონიდან აპტისკენ გარდამავალი შრეებია; დამახასიათებელ ფაუნას არ შეიცავენ, პირობითად, ზემოთ აღწერილ კრილებთან ანალოგიით, ამ შრეებს აპტს ვაკუთვნიებ.

შრეები 2 *Colchidites*-იანი ჰორიზონტია. აქ ნაპოვნია *Phylloceras Moreli* d'Orb., რომელიც გავრცელებულია აპტში, *Ph. Rouyi* d'Orb. var. *elliptica* Renng., რომელიც აგრეთვე გავრცელებულია აპტში და ჩემი მასალების მიხედვით ალბშიც (იხ. წყალწითელის მარჯვენა ნაპირის კრილი) და *Colchidites*-ები. რადგან ამ ჰორიზონტს *Ancylloceras*-იანი ჰორიზონტი ადევს თავზე, ხოლო *Ancylloceras*-იანი ჰორიზონტი კი ქვედა აპტს ეკუთვნის, მე *Colchidites*-იან ჰორიზონტსაც აგრეთვე ქვედა აპტს ვაკუთვნიებ.

შრეები 3 *Ancylloceras*-იანი ჰორიზონტი არის. ფაუნაში დიდი ტანის *Ancylloceras*-ები სჭარბობენ. ამ ჰორიზონტში ნაპოვნია ქვედა აპტის დამახასიათებელი ფორმები—*Douvilleiceras seminodosum* Sinz., და *Hibolites longus* Schwetz.

შრეები 4 შეიცავენ *Douvilleiceras* cf. *Martini* d'Orb. var. *orientalis* Jacob-ს, რომელიც გავრცელებულია ზედა აპტში და ქვედა ალბში; დანარჩენი ფორმები ახალი არიან. რადგან ამ შრეებსა და ქვეშემდებარე ქვედა აპტს შორის ხარ-



ვეზი არ არსებობს, ეს შრეები ზედა აბტზე ახალგაზრდანი არ უნდა იყვნენ და მე მათ ზედა აბტს ვაკუთვნებ.

შრეები 5 კლანსეურ ჰორიზონტს ეკუთვნიან; შიგ ნაპოვნია კლანსეური ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი ფორმები: *Acanthoplites cf. multispinatus* და *Hibolites brevis*.

შრეები 6—მერგელოვანი თიხების წყება—ალბს ეკუთვნის; აქ ნაპოვნია *Aucellina caucasica*, რომელიც გავრცელებულია აბტში და ალბში; ვინაიდან ამ წყების ქვეშ მდებარე შრეები (შრეები 5) კლანსეურ ჰორიზონტს ეკუთვნიან, მერგელოვანი თიხების წყება ალბს უნდა მივაკუთვნოთ.

შრეები 7—გლაუკონიტის ქვიშაქვები—ფაუნას არ შეიცავენ და სტრატეგრაფიული მდებარეობის მიხედვით კი ეკუთვნიან სენომანს და, შესაძლებელია, შუა და ზედა ალბს.

შრეები 8 წარმოადგენენ ფლორიდინიან წყებას, რომელიც „ორბულინებიანი“ კირქვების ანალოგი არის. წყების ქვედა ნაწილს ახასიათებს სენომანური *Inoceramus pictus* Sow., ზედა კი შეიცავს *In. cuneiformis* d'Orb. და *In. cf. labiatus* Schloth. და ქვედა ტურონი უნდა იყოს.

გუმბრის კრილი საკმაოდ განსხვავდება ზემოთ აღწერილი კრილებისაგან. გარდამავალი შრეები აქ უფრო სქელია და თავისი შემადგენლობით მკაფიოდ განსხვავდება აბტის დანარჩენი ნაწილისაგან. აბტის კირქვიან—მერგელოვანი წყება და ნაცრისფერი მერგელების ჰორიზონტი ისეთივეა, როგორც აქამდე აღწერილ კრილებში; თიხოვანი ქვიშაქვების წყება ამ კრილში არ არის. რადგან აქ არსად ხარვეზი არ არის, უნდა დავუშვათ, რომ აქ თიხოვანი ქვიშაქვები ფაციალურად შენაცვლებული არიან ან გლაუკონიტის ქვიშაქვებით ან მერგელოვანი თიხებით; ამის შესახებ ქვემოთაც გვექნება ლაპარაკი. „ორბულინებიანი“ კირქვები ამ კრილში არ არის. მათ მაგვირად იმავე სტრატეგრაფიულ დონეზე ფლორიდინიანი წყება არის.

## 6. კურორტ წყალტუბოს მიდამოების კრილი


კრილი გაშიშვლებულია კურორტში და კურორტის მიდამოებში. აბანოების მახლობლად გაშიშვლებულია კრილის ქვედა ნაწილი, ახალ სასტუმროს მახლობლად შუა ნაწილი და რკინის გზის სადგურის მიდამოში ზედა ნაწილი.

1. a) საკმაოდ მკვრივი, ოდნავ გლაუკონიტის მერგელოვანი კირქვები. გვხვდება შედარებით ფხვიერი მერგელების შუა-შრეებიც, 4—5 m. წყება უნამარხოა.

b) მკვრივი, მონაცრისფრო-მოყვითალო მერგელოვანი კირქვები, 6—7 m. შიგ ნაპოვნია: *Ostrea (Exogyra) latissima* Lam., *O. (E.) subsinuata* Leym., *Ponopaea gurgitis* Brongn. Id. var. *Rouchadzei* Tsag., *Pecten* sp. ind. *Arca Raulini* (Leym.) d'Orb., *Rhynchonella lata* d'Orb.

2. a) ნაცრისფერი მერგელები, რომლებთანაც ოდნავ ქვიშიანი, მერგელოვანი კირქვები მორიგეობენ. სისქე 2—2,5 m. აქ ნაპოვნია: *Douvilleiceras* cf. *Cornuelli* d'Orb. var. *pygmaea* Nikh., *Douv.* sp. ind., *Colchidites* sp. ind., *Imerites* cf. *densecostatus* Renng., *Im.* cf. *ladjanuriensis* Rouch., *Im.* sp. ind.

b) იგივე ნაცრისფერი მერგელები შედარებით უფრო ფხვიერი მერგელების შუა შრეებით, 3—3,5 m. შიგ ნაპოვნია: *Douvilleiceras Albrechti* Austriae Hoh., *Douv. cf. Cornuelli* d'Orb., *Douv. cf. seminodosum* Sinz., *Douv. sp. ind.*, *Ancyloceras sp. ind.*, *Colchidites sp. ind.*, *Panopaea gurgitis* Brongn. var. *Rouchadzei* Tsag.



ზურ. 6. 1. ურგონი; 2. გარდამავალი შრეები; 3. ამონიტებიანი შრეები (2 და 3—ქვედა აპტი); 4. ზედა აპტი; 5. კლანსეური ჰორიზონტი; 6. მერგელოვანი თიხები—ალბი; 7. გლაუკონტიანი ქვიშაქვები—ალბ-სენომაჰი; 8. გუმბოინიანი წყება; 9. მთავარის წყება.

3. ნაცრისფერი, ოდნავ ქვიშიანი, გლაუკონტიანი შრეებრივი მერგელები, 3 m. შიგ ნაპოვნია: *Phylloceras cf. velleidae* Mich., *Oppelia nisus* d'Orb., *Acanthoplites subangulicostatus* Kas., *Acanth. sp. ind.*, *Lytoceras sp. ind.*, *Puzosia* s. ind. *Hibolites moderatus* Schwetz., *Hib. sp. ind.*

4. ნაცრისფერი გლაუკონტიანი მერგელები, რომლებთანაც მოლურჯო-მონაცრისფრო მერგელოვანი თიხები მორიგეობენ, 4—5 m. აქ ნაპოვნია: *Acanthoplites cf. Uhligi* Anth., *Ac. cf. aschiltaensis* Anth., *Hibolites brevis* Schwetz., *Hib. sp. ind.*, *Aucallina caucasica* Buch. *Auc. sp. ind.*

5. მოლურჯო-მონაცრისფრო მერგელოვანი თიხების წყება, 23—25 m. შიგ ნაპოვნია: *Auc. caucasica* Buch. *Auc. sp. ind.* და *Hib. sp. ind.*

6. შრეებრივი გლაუკონტიანი ქვიშაქვები უფრო წვრილ მარცვლოვანი ფხვიერი ქვიშაქვების შუაშრეებით. წყების ქვედა ნაწილში გვხვდება მერგელოვანი თიხების შუა შრეებიც. ეს ჰორიზონტი უნამარხოა. მისი სისქე 14—15 m-ს უდრის.

7. ა) „ფლორიდინიანი“ წყება. ცუდად გაშიშვლებულია, შედგება უნამარხო თიხოვან-ტუფოგენური ქვიშაქვებისაგან, სისქე 18—19 m.

b) თეთრი და მონაცრისფრო, ზოგჯერ ქვიშიანი, უნამარხო კირქვები, 5—6 m სისქე.

შრეები 1 ურგონიდან აპტისკენ გარდამავალი შრეებია. შრეები 2 ეკუთვნის ქვედა აპტს. შიგ ნაპოვნია დამახასიათებელი ფორმები—*Douvilleiceras Cornuelli* d'Orb., *Id. var. pygmaea* Mikch. *Douv. Albrechti*-Austriae Hoh. და *Douv. seminodosum* Sinz.; ფაუნის სიღარიბის გამო *Ancyloceras*-იანი და *Colchidites*-იანი ჰორიზონტები აქ არ გამოიყოფიან.



შრეები 3 ზედა აბტს ეკუთვნიან. შიგ ნაპოვნია *Oppelia nesus* d'Orb. და *Phyll. velledae* Mich. და *Acanthoceras subangulicostatus* Kas. ასევე გვაძლევენ საშუალებას ქვედა და ზედა აბტი გავარჩიოთ.

შრეები 4 კლანსეურ ჰორიზონტს წარმოადგენენ. შიგნავე და მახასიათებელ ფორმებს *Acanthoplites Uhligi* Anth. და *Hibolites brevis* Schwetz.

შრეები 5 ალბია (როგორც გუმბრში).

შრეები 6 სენომანს ეკუთვნის.


შრეები 7 გუმბრის ქრილის ანალოგიით სენომანი და ქვედა ტურონი იქნება.

წყალტუბოს ქრილი საერთოდ ძალიან წააგავს გუმბრის ქრილს.

### 7. სოფ. კვახჭირის ქრილი

ქრილი გაშიშვლებულია სოფ. კვახჭირის დასავლეთ ნაწილში, ქუთაისისკენ მიმავალი გზის გასწვრივ, წყალწითელის მარცხენა ნაპირზე. გაშიშვლება შედარებით ცუდია. ფაუნა საკმაოდ მდიდარია, მაგრამ უმთავრესად ნატეხების სახით წარმოდგენილი.

1. ა) საკმაოდ მკვრივი, შრეებრივი, ქვიშიან-მერგელოვანი კირქვები, 3—4 m. შიგნავე *Ostre*-ებს.



ხურ. 7.—1. ურგონი; 2. გარდამავალი შრეები; 3. ამონიტებიანი შრეები (2 და 3 აბტი); 4. მერგელები და მერგელოვანი თიხები—ალბი; 5. გლაუკონიტებიანი ქვიშაქვები—ალბ-სენომანი; 6. „ორბულინებიანი“ კირქვები; 7. მთავარის წყება.

ბ) ფხვიერი და შედარებით უფრო მკვრივი მერგელების მორიგეობა; გვხვდება გლაუკონიტებიანი ქვიშაქვის ერთი შუა-შრე. ამ შრეების სისქე 4,5 m უდრის. აქ ნაპოვნია: *Arca securis* d'Orb., *Panopaea gurgitis* Brongn., *Id. var. Rouchadzei* Tsag., *Neithea atava* d'Orb. *Pecten* sp. ind., *Rhynch. depressa* d'Orb. *Terebratula* sp. ind.

2. ფხვიერი და უფრო მკვრივი მონაცრისფრო მერგელების მორიგეობა, 4—4,5 m. შიგ ნაპოვნია: *Costidiscus* cf. *recticostatus* d'Orb., *Crioceras lakhephaense* Rouch., *Ancyl.* cf. *Abichi* Sim. et Bac., *Anc.* sp. ind., *Arguehites* cf. *minor* Rouch.



3. ნაცრისფერი მერგელები და მერგელოვანი თიხები; ქვედა ნაწილი უფრო კარბონატულია, ვიდრე ზედა. სისქე 8—10 m. ნაპოვნია: *Aucellina caucasica* Buch, *Auc. aptiensis* Pomp., *Auc. sp. ind.*

4. a) თიხოვან-გლაუკონიტური ქვიშაქვები. შეიცავენ პორფირიტული ქანების დიდ ნაგორებ ქვეს, სისქე 2—2,5 m.

b) კონგლომერატი, შემდგარი პორფირიტულ ქანებისაგან, 0,5 m.

c) მწვანე გლაუკონიტური ქვიშაქვები, 7 m.

d) წვრილმარცვლოვანი მოცისფრო მერგელოვან-გლაუკონიტური ფხვიერი ქვიშაქვები, 2 m.

ყველა აღნიშნული შრეები უნამარხო არიან.

ა. „ორბულნებური“ თეთრი, შაქრისებური კირქვები, 10 m, უნამარხო.

შრეები 1 წარმოადგენენ ურგონიდან აპტისკენ გარდამავალ შრეებს.

შრეები 2 ეკუთვნის აპტს. ამ შრეების ქვედა ნაწილში ნაპოვნია *Costidiscus recticostatus*, რომელიც ზედა აპტში არ გადადის და *Ancyloceras Abichi*, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ აპტშია ცნობილი. ზედა ნაწილი არ შეიცავს დამახასიათებელ ფორმებს, მაგრამ თავისი სტრატиграფიული მდებარეობით შესაძლებელია ზედა აპტს მიეკუთვნოს.

შრეები 3, მერგელოვანი თიხები, შეიცავენ *Aucellina caucasica*-ს და *Aucellina aptiensis*-ს; ისინი ქვედა ალბს უნდა ეკუთვნოდნენ.

შრეები 4—გლაუკონიტური ქვიშაქვები—სტრატиграფიული მდებარეობის მიხედვით და სხვა კრიტერიუმთა ანალოგიით ეკუთვნიან სენომანს და, შესაძლებელია. შუა და ზედა ალბს.

შრეები 5—ორბულნებური კირქვები—მდ. წყალწითელის კრილთან ანალოგიით სენომანს და ქვედა ტურონს უნდა მივაკუთვნოთ.

ეს კრილი ზემოთ აღწერილი კრიტერიუმისაგან განსხვავდება მერგელოვანი თიხების წყების მცირე სისქით. შესაძლებელია მათი სისქე შემცირებული იყოს ტექტონიკური მიზეზების გამო.

### სტრატиграფიული დასკვნები და ფაციალური პირობები

თუ გადავხედავთ მდ. წყალწითელის მარჯვენა ნაპირის კრილს, ლითოლოგიური ნიშნების მიხედვით შემდეგი წყებების გამოყოფას შევძლებთ:

1. შრეებრივი ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვების და მერგელების წყება. მისი ქვედა ნაწილი (შრეები 1, სისქით 9 m-დე) შედგება ოდნავ უფრო მკვრივი, მუქი რუხი და ყვითელი კირქვებისაგან და ნაცრისფერი, ოდნავ ქვიშიანი მერგელებისაგან; ეს არის ე. წ. გარდამავალი შრეები. წყების ზედა ნაწილი (შრეები 2—4, სისქით 6—6,5 m) წარმოდგენილია ნაცრისფერი მერგელებით და მერგელოვანი კირქვებით.

2. მოლურჯო-ნაცრისფერი მერგელოვანი თიხების წყება (შრეები 6, სისქით 31—32 m), რომლებშიც ხშირია ფხვიერი ქვიშაქვების შუაშრეები.

3. ფხვიერი, არამკაფიოდ შრეებრივი, რუხ-მომწვანო თიხოვანი გლაუკონიტური ქვიშაქვები (შრეები 7, სისქით 22 m).



4. შრეებრივი გლაუკონიტინი ქვიშაქვები, მსხვილი და საშუალო-მსხვილი ლოვანი (შრეები 8, სისქით 10 m-დე).

5. ორბულინებიანი კირქვები, სისქით 8—10 m.

თუ შევდარებთ კრილებს მდ. წყალწითელის მარცხენა და მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, დავინახავთ, რომ წყალ-წითელის მარჯვენა ნაპირზე გამოყოფილი ყველა წყება, გავრცელებულია აგრეთვე მარცხენაზედაც. მხოლოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვების და მერგელების წყებას თავზე ადევს ნაცრისფერი მერგელების ჰორიზონტი (შრეები 4, სისქით 3—4 m). ეს მერგელები უფრო ფხვიერი და თხელშრეებრივია, ვიდრე მათ ქვეშ მდებარე შრეები, და თავისი ლითოლოგიური ხასიათით გარდამავალი არიან მათ ქვეშ და ზედ მდებარე ჰორიზონტებს შორის. ეს ჰორიზონტი წყალწითელის მარჯვენა ნაპირზე დაფარულია ნაყარით.

გოდოგნის კრილში ნაცრისფერი მერგელების და კირქვების წყების ქვედა ნაწილის, გარდამავალი შრეების სისქე 15 m აღწევს. კირქვიან-მერგელოვანი წყების ზედა ნაწილი, ნაცრისფერი მერგელების ჰორიზონტი, მოლურჯო-ნაცრისფერი მერგელოვანი თიხების და თიხოვანი ქვიშაქვების წყებები ისეთივეა, როგორც ზემოთ აღწერილ წყალწითელის კრილებში. გლაუკონიტინი ქვიშაქვები და ორბულინებიანი კირქვები ამ კრილში არ ჩანან „მთავრის წყების“ შეცოცების გამო.

საბანელა-ლელის ხეობის კრელი იმავე ჰორიზონტებს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ ამ კრილში თიხოვანი ქვიშაქვები უფრო შრეებრივი და გლაუკონიტინია, ვიდრე სხვა ზემოთ აღწერილ კრილებში. საბანელა-ლელის ხეობაში თიხიანი ქვიშაქვების წყება თავისი ლითოლოგიური ხასიათით გლაუკონიტინი ქვიშაქვების წყებას ჰგავს. მეორე საინტერესო გარემოება არის ორბულინებიანი კირქვების დიდი სისქე.

სოფ. გუმბრის და კურორტ წყალტუბოს მიდამოების კრილებში კირქვიან-მერგელოვანი წყების ქვედა ნაწილი, „გარდამავალი შრეები“, საკმაოდ სქელია (15 m-დე აღწევს). ეს შრეები აქ შედარებით მკაფიოდ განსხვავდებიან წყების დანარჩენი ნაწილისაგან. აქ გარდამავალი შრეები წარმოდგენილია უფრო მკვრივი ქანებით; ხშირია გლაუკონიტის მინარევი და პრობლემატური წარმონაქმები. გარდამავალი შრეები ამ კრილებში შეიძლება ცალკე ჰორიზონტად გამოიყოს. უფრო ზევით განლაგებულია კირქვიან-მერგელოვანი წყება, ნაცრისფერი მერგელების ჰორიზონტი და მოლურჯო-ნაცრისფერი მერგელოვანი თიხების წყება. ამ კრილებში თიხოვანი ქვიშაქვების წყება არ გვხვდება და მოლურჯო-ნაცრისფერ თიხებს თავზე ადევს გლაუკონიტინი ქვიშაქვები. გლაუკონიტინი ქვიშაქვებს თავზე ადევს ტუფოგენური ქვიშაქვების და თიხების წყება, ე. წ. ფლორიდინიანი წყება. ფლორიდინიანი წყების ზედა ნაწილში გვხვდება კირქვიანი ქვიშაქვები და კირქვები. ფლორიდინიანი წყება თავისი სტრატиграფიული მდებარეობის მიხედვით (გლაუკონიტინი ქვიშაქვებს და მთავრის წყებას შორის) ორბულინებიანი კირქვების წყებას შეესაბამება.

სოფ. კვახტირის კრილში მოლურჯო-ნაცრისფერი თიხების წყების სისქე მცირეა. თიხოვანი ქვიშაქვების წყება სრულებით არ ჩანს და მოლურჯო თი-

ხების წყებას თავზე ადევს გლაუკონიტური ქვიშაქვები, ხოლო ამ უკანა ქვიშაქვების ორბულენებიანი კირქვები.

ყველა ამ ფაქტის ერთმანეთთან დაკავშირება საშუალებას გვაძლევს ლითოლოგიური ნიშნების მიხედვით გამოვყოთ შემდეგი წყებები და ჰორიზონტები:

1. „გარდამავალი შრეები“, რომლებიც წარმოდგენილი არიან მკრევი ნაცრისფერი მერგელებით და მერგელოვანი კირქვებით. ჰორიზონტში ხშირია პრობლემატური ნაშთები და *Ostre*-ს ბანკები.

2. ნაცრისფერი მერგელების და მერგელოვანი კირქვების წყება—აბტი. ეს ქანები უფრო ფხვიერია, ვიდრე ქვეშ მდებარე.

3. ნაცრისფერი ოდნავ ფხვიერი მერგელების ჰორიზონტი.

4. მოლურჯო-ნაცრისფერი მერგელოვანი თიხების წყება.

5. თიხოვანი ქვიშაქვების წყება, რომელიც მხოლოდ ზოგიერთ კრილში გვხვდება.

6. გლაუკონიტური ქვიშაქვების წყება.

7. ორბულენებიანი კირქვები და მათი სტრატოგრაფიული ეკვივალენტი—ფლორიდინიანი წყება.

განვიხილოთ ამ წყებების ასაკი.

1. აბტის ნაღებების ყველაზე ძველ ნაწილს ქუთაისის მიდამოებში „გარდამავალი შრეები“ წარმოადგენენ. ისინი წარმოდგენილი არიან ნაცრისფერი და ზოგჯერ მოყვითალო-მონაცრისფრო მერგელოვანი კირქვებით და მერგელებით. ქანი ზოგჯერ ქვიშიანია, ზოგჯერ კი გლაუკონიტური. ჰორიზონტის სისქე ცვალებადია. ქუთაისის და კვახჭირის მიდამოებში გარდამავალი შრეების სისქე 9—10 m უდრის, გოდოვანსა და გუმბრში კი 15 m-მდე აღწევს.

გარდამავალი შრეების კრილი და ლითოლოგიური შედგენილობა ყველგან ერთიდაიგივე არ არის. გოდოვანში გარდამავალი შრეები იწყება ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვებით, რომლებიც იშვიათ ორსაგდულიანებს შეიცავენ. ამ კირქვების თავზე განლაგებულია უფრო მკრევი *Ostre*-ებით მდიდარი კირქვები, რომლებიც სხვადასხვა ორსაგდულიანებს და ბრაქიოპოდებს შეიცავენ. გარდამავალი შრეების ამ ნაწილში გვხვდება ნამდვილი *Ostre*-ებიანი ბანკებიც.

ქუთაისის კრილში მდ. წყალწითელის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ სჭარბობს ნაცრისფერი მერგელები, რომლებიც ორსაგდულიანების მდიდარ ფუნას შეიცავენ.

გუმბრსა და წყალტუბოში გარდამავალი შრეების კრილი შემდგენიარია: a) მოყვითალო-მონაცრისფრო გლაუკონიტური კირქვები, შეიცავენ იშვიათ ბრაქიოპოდებს და ორსაგდულიანებს.

b) მოყვითალო-მონაცრისფრო მერგელოვანი, ოდნავ გლაუკონიტური კირქვები, რომლებიც რაღაც პრობლემატური ხასიათის ნაშთებს შეიცავენ. ამ კირქვებში გამოიყოფა ორსაგდულიანებით და ბრაქიოპოდებით მდიდარი შუა-შრეები.

c) *Ostre*-ებით მდიდარი კირქვები.



d) მერგელოვანი კირქვები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ლინებს და ბელმნიტებს.

სხვა ქრილებშიც გარდამავალი შრეები შეიძლება რამდენიმე ჰორიზონტად დავანწილოთ, მაგრამ ეს ჰორიზონტები ადგილობრივი ხასიათის არიან და 50—100 m დაშორებით იცვლებიან. ამიტომ გარდამავალი შრეები შეიძლება გამოიყოს მხოლოდ როგორც ერთი ჰორიზონტი.

*Ostre*-ებიანი ბანკები, რომლებიც გარდამავალ შრეებში გვხვდება, აღნიშნულია ბ. მეფერტის მიერ (21) როგორც „ექზოგირებიანი ჰორიზონტი“. მაგრამ ჩემი აზრით ასეთ ჰორიზონტის ცალკე გამოყოფა შეუძლებელია, რადგან *Ostra*-ებიანი ბანკები გვხვდებიან ხან გარდამავალი შრეების ძირში (მაგ. ქუთაისში), ხან შუა ნაწილში (გოდოვანში), ხან კი ზედა ნაწილის ქვედა შრეებში (გუმბრში, წყალტუბოში).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდამავალი შრეების ფაუნა შეიცავს თითქმის მხოლოდ ისეთ სახეებს, რომლებიც გავრცელებული არიან როგორც აპტში ისე ბარემში და საზღვრის გავლებისათვის არაფერს არ გვაძლევენ. მხოლოდ ერთი ფორმა, *Terebratula dutempleana* d'Orb., რომელიც ნაპოვნია გარდამავალი შრეების შუა ნაწილში მდ. წყალწითელის მარჯვენა ნაპირზე და გოდოვანში, ბარემში არ მოიპოვება და გავრცელებულია აპტში, ალბში და სენომანში. ამიტომ ჩვენ საშუალება გვაქვს, თუმცა არც იმდენად სანდო, რომ გარდამავალი შრეები აპტს მივაკუთვნოთ.

2. გარდამავალ შრეებს თავზე ადევს ამონიტებიანი ქვედა აპტი. მისი სისქე ცვალებადია და საშუალოდ 5—8 m უდრის. აღსანიშნავია, რომ ქვედა აპტის სისქე მატულობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ზოგიერთ ქრილში (ქუთაისის, გოდოვანის, გუმბრის) ქვედა აპტი კარგად ნაწილდება ორ ჰორიზონტად: ქვედად, სადაც სქარბობენ *Colchidites*-ები და ზედათ, სადაც გავრცელებულია *Ancyloceras*-ები.

*Colchidites*-იანი ჰორიზონტი წარმოდგენილია ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვებით, რომლებიც მორიგეობენ შედარებით უფრო ფხვიერ ნაცრისფერ მერგელებთან. ამ ჰორიზონტის სისქე იზრდება 3 m-დან 6 m-მდე აღმოსავლეთის მიმართულებით.

*Colchidites*-იანი ჰორიზონტი უმკველად ქვედა აპტს ეკუთვნის, მხოლოდ ისევეა კითხვა, თუ რამდენად არის შესაძლებელი მისი გამოყოფა, როგორც სტრატეგრაფიული ზონის, და არა როგორც ადგილობრივი, ფაციალური ჰორიზონტისა.

*Colchidites*-იან ჰორიზონტს თავზე ადევს ოდნავ უფრო მკვრივი მერგელოვანი კირქვები, რომლებიც მორიგეობენ შედარებით უფრო ფხვიერ ნაცრისფერ მერგელებთან; მათი სისქე 1,5—2 m-ს უდრის. ამ ჰორიზონტის ფაუნას ახასიათებს სხვადასხვა *Ancyloceras*-ები, რომელთა შორის სქარბობს ადგილობრივი ან ახალი ფორმები, მაგრამ გარდა ამისა გვხვდებიან დასავლეთ ევროპის ქვედა აპტის დამახასიათებელი ფორმებიც.

*Colchidites*-იანი და *Ancyloceras*-იანი ჰორიზონტების, როგორც დამოუკიდებელი ზონების, გამოყოფის საკითხის გადასაწყვეტად პირველ რიგში უნდა

დავაზუსტოთ აღნიშნული ჰორიზონტების სტრატეგრაფიული მდებარეობა მათი ურთიერთშორის დამოკიდებულება. ორივე ჰორიზონტი ეკუთვნის ქვედა აპტს, მაგრამ *Ancyloceras*-იანი ჰორიზონტის ზედა საზღვარი სხვადასხვა კრილში სხვადასხვა სიმაღლეზეა. ქუთაისში *Ancyloceras*-იან ჰორიზონტს თავზე ადევს ნაცრისფერი მერგელები, 0,9 მ სისქე. ამ შრეების ფაუნაში ისევ ხშირად გვხვდება *Ancyloceras*-ები, ასე რომ აღნიშნული შრეები შეიძლება ჩავთვალოდ *Ancyloceras*-იანი ჰორიზონტის გაგრძელებად, მაგრამ აქ უკვე *Ancyloceras*-ებთან ერთად ნაპოვნია ზედა აპტური ფორმები *Phylloceras velledae* და *Hibolites semicanaliculatus*.

გოდოვანში, *Ancyloceras*-იანი ჰორიზონტის ზედა შრეში ნაპოვნია ტიპური ქვედა აპტური ფორმები—*Douv. Cornuelli*, *Douv. pachystephanum*, *Douv. seminodosum*. მაშასადამე გოდოვანში *Ancyloceras*-იანი ჰორიზონტი ქვედა აპტს არ სცილდება.

ამრიგად *Ancyloceras*-იანი ჰორიზონტის ზედა საზღვარი სხვადასხვა კრილში სხვადასხვა სიმაღლეზეა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ორივე ჰორიზონტის ფაუნათა შორის არ არის ძალიან მკვეთრი განსხვავება: *Ancyloceras*-ები ჩვენ გვხვდება როგორც *Colchidites*-იან ჰორიზონტში, ისევე ზედა აპტშიც; აგრეთვე *Colchidites*-ებიც გვხვდება *Ancyloceras*-იან ჰორიზონტში. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ *Ancyloceras*-იანი და *Colchidites*-იანი ჰორიზონტის გამოყოფა, როგორც სტრატეგრაფიული ზონებისა, უმართებულო იქნებოდა.

ქუთაისის მიდამოებში *Colchidites*-ები და *Imerites*-ები მხოლოდ ქვედა აპტში გვხვდება, მაგრამ ი. რუხაძის გამოუქვეყნებელი მასალების მიხედვით რაქასა და მდ. ჩხერიმელის ხეობაში ეს გვარები ზედა აპტშიც გადადიან. მაგრამ ეს საკითხი ჯერჯერობით შესასწავლია.

3. როგორც ზემოთ დავინახეთ, ზედა აპტი წარმოდგენილია ნაცრისფერი მერგელებით და მისი სისქე 3—4 მ უდრის. ქანი ზოგჯერ ოდნავ ქვიშიანია ან გლავუკონტიანი. საერთოდ ქანი უფრო თიხოვანი და თხელშრეებრივია, ვიდრე ქვეშმდებარე ჰორიზონტში. სხვადასხვა კრილებში ზედა აპტის ხასიათი თითქმის ერთნაირია.

ზოგადი ლითოლოგიური ხასიათის მიხედვით, აღნიშნული შრეები გარდამავალი არიან ქვედა აპტის მერგელოვანი კირქვებიდან ალბის მერგელოვანი თიხებისკენ. ფაუნა ნაპოვნია ოთხ კრილში: ქუთაისში, გოდოვანში, გუმბარში და წყალტუბოში. ზედა აპტის ფაუნა შედარებით უფრო ლარიბია, ვიდრე ქვედა აპტისა, მაგრამ მაინც ნაპოვნია დასავლეთ ევროპის ზედა აპტის დამახასიათებელი ფორმები.

4. ალბი იწყება ნაცრისფერი თიხოვანი მერგელებით, რომლებიც ზედა აპტის ქანებს ძალიან ჰგვანან. ამ მერგელებს თავზე ადევს შრეებრივი ნაცრისფერი მერგელოვანი თიხები, რომლებშიც წვრილი და საშუალ-მარცვლოვანი ქვიშაქვების შუაშრეები მორიგეობენ.

ნაცრისფერი მერგელების და მერგელოვანი თიხების წყების სისქე 22—35 მ აღწევს. წყების ქვედა ჰორიზონტში, რომელიც მერგელებითაა წარმოდგენილი; მდ. წყალწითელის მარცხენა ნაპირზე, სოფ. გოდოვანში, საბა-



ქართული  
ენების  
მეცნიერება

ნელა-ლელის ხეობაში, გუმბრის და წყალტუბოს მახლობლად, როგორც ალენიშნე, ნაპოვნია ამონიტების ფაუნა, სამწუხაროდ ცუდად დაცული. ეს ფაუნა, ჩემი განსაზღვრის მიხედვით, შეიცავს კლანსეური ჰორიზონტის დამახასიათებელი ფორმებს. რამოდენიმე კლანსეური ფორმა იმავე შრეებიდან ი. რუხაძემაც აღწერა, როგორც აბტური. მან არ იცოდა ზუსტად თავისი ნიმუშების ადგილმდებარეობა და რადგან ლითოლოგიური მსგავსება ამ ჰორიზონტის ქანებს და ზედა აბტს შორის დიდია, ფაუნა აბტს მიაკუთვნა.

მართალია, კლანსეური ფაუნა მკირერიცხოვნაი და ცუდად დაცული არის, მაგრამ ამ ჰორიზონტის გამოსაყოფად მასალა მაინც საკმარისია. ჰორიზონტი კარგად გამოირჩევა 5 კრილში. თითოეულ კრილში იგი 2—3 დამახასიათებელი ნამარხით დასტურდება. ხოლო დანარჩენი ფაუნა ახალი ან ინდიფერენტული ფორმებისაგან შედგება. ნალექების ლითოლოგიური ხასიათიც ყველგან თითქმის ერთნაირია. ამიტომ კლანსეური ჰორიზონტის გამოყოფა საკმაოდ დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს. ნაცრისფერ მერგელოვან თიხებში ნაპოვნია *Aucellina caucasica*, რომელიც გავრცელებულია აბტში და ალბში და *Aucellina aptiensis*, რომელიც აბტიდან სენომანამდე გვხვდება. აღსანიშნავია, რომ *Aucellina gryphaeoides*, შუა და ზედა ალბის დამახასიათებელი ფორმა, აქ ნაპოვნი არ არის.

წყალწითელის ორივე ნაპირზე, სოფ. გოდოვანის მახლობლად, საბანელა-ლელის ხეობაში, მერგელოვანი თიხების წყებას თავზე ადევს თიხოვანი ქვიშაქვები. მდ. წყალ-წითელის მარჯვენა ნაპირზე თიხოვანი ქვიშაქვების ქვედა შრეებში ნაპოვნია *Leymeriella tardefurcata*—ალბის მე-2 ზონის დამახასიათებელი ნამარხი. შესაძლებელია, რომ მერგელოვანი თიხების წყების ზედა ნაწილიც უკვე *Leymeriella tardefurcata*-ს ზონას ეკუთვნოდეს, მაგრამ საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. პირობითად, რადგან კლანსეური ჰორიზონტის მერგელები თანდათან გადადიან მერგელოვან თიხებში, საზღვარი კი მერგელოვან თიხებს და მათზე განლაგებულ *Leymeriella tardefurcata*-ს ზონის თიხოვან ქვიშაქვებს შორის მკვეთრია, მე მერგელოვანი თიხების წყებას კლანსეურ ჰორიზონტს ვაკუთვნებ.

წყალტუბოს და გუმბრის მიდამოებში თიხოვანი ქვიშაქვები არ არიან და მერგელოვან თიხებს თავზე ადევს გლაუკონიტანი ქვიშაქვები. შესაძლებელია, რომ ამ კრილებში მერგელოვანი თიხების წყების ზედა ნაწილი კლანსეურზე უფრო მაღალ სტრატეგრაფიულ ჰორიზონტებს ეკუთვნოდეს. კერძოდ, შესაძლებელია, რომ აქ შუა ალბი წარმოდგენილი იყოს მერგელოვანი თიხებით. ამ საკითხის შესახებ ქვემოთ კიდევ გვქმნება ლაპარაკი.

5. მდ. წყალწითელის ორივე ნაპირზე, გოდოვანსა და საბანელა-ლელის ხეობაში, როგორც მე უკვე ალენიშნე, ნაცრისფერი მერგელოვანი თიხების წყებას რუხი თიხოვანი ქვიშაქვების წყება ადევს თავზე. ქანი შედარებით სუსტად შრეებრივი და ძლიერ გლაუკონიტანია. წყების სისქე 15—25 მ აღწევს. წყების ძირში მოთავსებულია 3—5 მ სისქე ფენა, რომელიც შეიცავს ქვემდებარე მერგელების და თიხების ლოდების დიდ რაოდენობას. ამ ფენაში ხშირია აგრეთვე პორფირიტული ქანების კენჭები. ქვიშაქვაში ლოდები და ნაგორები ქვები იმდენად ბევრია, რომ ქანი კონგლომერატს წააგავს,

ფაუნა ამ წყებაში შედარებით იშვიათია. წყალწითელის მარჯვენა ნაპირის ქრილის ქვედა ნაწილში ნაპოვნი არის ალბის მე-2 ზონის დამახასიათებელი ნამარხი, ზემოთ ნახსენები *Leymeriella tardefurcata* Leym.

წყალწითელის მარცხენა ნაპირზე, გოდოგანში და საბანელ-აღელის ხეობაში დამახასიათებელი ფაუნა არ არის ნაპოვნი. ვინაიდან ეს ქრილები ახლოს არიან წყალწითელის მარჯვენა ნაპირის ქრილთან, ჩემის აზრით აქაც თიხოვანი ქვიშაქვების წყების ქვედა ნაწილი იმავე სტრატиграფიულ ჰორიზონტს, ე. ი. *Leymeriella tardefurcata*-ს ზონას უნდა ეკუთვნოდეს.

თიხოვანი ქვიშაქვების წყების ზედა ნაწილი ყველგან ცუდად დაცულ ფაუნას შეიცავს. სპარბობენ ორსაგდულიანეში და მუცელთფეხიანები. გვხვდება აგრეთვე ზღარბები და იშვიათი განუსაზღვრელი ამონიტები. წყების ეს ნაწილი თავისი სტრატиграფიული მდებარეობის მიხედვით ეკუთვნის შუა ალბს და შეიძლება ზედასაც.

საინტერესოა ნაცრისფერი მერგელოვანი და თიხოვანი ქვიშაქვების ურთიერთ შორის დამოკიდებულება. თუმცა მათ საზღვარზე გადარეცხვის ნიშნები არსებობს, ძნელია დავუშვათ ხარვეზი ამ ორ ზონას შორის. ამიტომ მე ვიზიარებ ა. ჯანელიძის აზრს, რომელმაც ერთ-ერთ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ შესაძლებელია კონგლომერატი თიხოვანი ქვიშაქვების ძირში წყალქვეშა გადარეცხვის შედეგი იყოს, გამოწვეული იმ ვულკანური მოქმედებით, რომელსაც ძირულის მასივში *Leymeriella tardefurcata*-ს დროს ჰქონდა ადგილი. წყალტუბოს და გუმბრის მიდამოებში, როგორც უკვე აღვნიშნე, თიხოვანი ქვიშაქვების წყება არ არის. თუ გლაუკონიტინი ქვიშაქვების ტრანსგრესიულ განლაგებას უარვყოფთ, მაშინ რჩება მხოლოდ ერთი ახსნა, რომ თიხოვანი ქვიშაქვები ამ ქრილებში არ არსებობენ ფაციესის ცვლილების შედეგად.

6, ალბის ნაცრისფერ თიხოვან ქვიშაქვებს თავზე ადევს გლაუკონიტინი ქვიშაქვების წყება. ქვიშაქვები მომწვანო ნაცრისფერია, მსხვილ და საშუალო მარცვლოვანი, კარგად შრეებრივი. ვაჩხნაძის და თაბაგარის ცნობების მიხედვით (3) ქვიშაქვების მასალა ტუფოგენურია. გლაუკონიტინი ქვიშაქვების ჰორიზონტის სისქე ცვალებადია 9 მ-დან 16 მ-დე და მათ ძირში ზოგჯერ გვხვდება კონგლომერატი, რომელიც პორფირიტული ქანის ნაგორები ქვიშისაგან შედგება. კონგლომერატის არსებობამ ამ წყების ძირში და ქვიშაქვების განლაგებამ ხან თიხოვანი ქვიშაქვების, ხან ნაცრისფერი მერგელოვანი თიხების თავზე, გამოიწვია ბ. მეფერტის შეხედულება ამ შრეების ტრანსგრესიულობის შესახებ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ თანდათანობით გადასვლაც გვხვდება თიხოვან და გლაუკონიტინ ქვიშაქვებს შორის. გარდა ამისა წყალწითელის მარცხენა ნაპირზე კონგლომერატი, თუმცა ცუდად წარმოდგენილი, უკვე გლაუკონიტინი ქვიშაქვების წყების ზედა ნაწილში გვხვდება, ორბულინებიან კირქვებს ქვევით.

ამიტომ მე ვფიქრობ, რომ კონგლომერატი შიგაფორმაციული არის და წყალტუბოს და გუმბრის მიდამოებში თიხოვანი ქვიშაქვების არარსებობა შედეგია არა გლაუკონიტინი ქვიშაქვების ტრანსგრესიის, არამედ ფაციესების ცვლისა.



საბანელა-ღელის ხეობაში ლითოლოგიური განსხვავება თიხოვანი ქვიშაქვების მქონე ქვიშაქვებს შორის ნაკლები არის, ვიდრე სხვა კრილებში. ა. ჯანელიძის მასალების მიხედვით კიდევ უფრო აღმოსავლეთით, სოფ. ცუცხვათის მახლობლად, თიხოვანი და გლაუკონიტიანი ქვიშაქვები ერთ წებად ერთდებიან.

ამიტომ თიხოვანი ქვიშაქვების ცალკე გამოყოფა არ იქნება სწორი, რადგან ეს ფაციესი ძალიან მცირე მანძილზეა გავრცელებული.

ამ თვალსაზრისით ადვილად აიხსნება თიხოვანი ქვიშაქვების არარსებობა გუმბრში, წყალტუბოში და კვანჭირში. უკანასკნელ კრილზე, გარდა ამისა შეიძლება ტექტონიკასაც ჰქონდეს გავლენა: ამ კრილში თითქმის ყველა შრეები გაწვრილებულია ტექტონიკური მიზეზების გამო.

გლაუკონიტიანი ქვიშაქვებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ძალიან ცუდად დაცული ამონიტების შიგა კალაპოტები. ბ. მეფერთს ნახსენები აქვს (21) *Acanthoceras cf. rhotomagense* Desf. და, თუ ეს განსაზღვრა სწორია, მაშინ გლაუკონიტიანი ქვიშაქვები სენომანს ეკუთვნიან.

სტრატეგრაფიული თვალსაზრისითაც ასეთსავე დასკვნამდე მივიღვართ, გლაუკონიტიანი ქვიშაქვებს თავზე ორბულინებიანი კირქვები ან ფლორიდინიანი წყება ადევს. რადგან ამ უკანასკნელი წყებების ქვედა შრეები სენომანურ ფაუნას შეიცავენ, გლაუკონიტიანი ქვიშაქვებსა და ზემოთ მდებარე ქანებს შორის ხარვეზი არ უნდა იყოს; გლაუკონიტიანი ქვიშაქვების და ორბულინებიანი კირქვების სისქე მცირეა, ამიტომ გლაუკონიტიანი ქვიშაქვების ზედა ნაწილი აგრეთვე სენომანს უნდა მივაკუთვნოთ.

ამგვარად, თუ მოვიგონებთ, რომ ჩვენ თიხოვან ქვიშაქვებს არ გამოვყოფთ როგორც დამოუკიდებელ სტრატეგრაფიულ ჰორიზონტს (ზემოთ აღნიშნულ იქნა, რომ ეს ჰორიზონტი ადგილობრივ ფაციესს წარმოადგენს), უნდა ვიფიქროთ, რომ გლაუკონიტიანი ქვიშაქვები შეესაბამება ქვედა ალბის ზედა ნაწილს, შუა და ზედა ალბს და სენომანის ქვედა ნაწილს.

7. გლაუკონიტიანი ქვიშაქვებს თავზე ადევს თეთრი შაქრისებური კირქვების წყება. ამ კირქვებს მეფერთმა (21) ორბულინებიანი უწოდა, მაგრამ სინამდვილეში, როგორც ვასოევიჩმა აღნიშნა ორბულინები ამ ქანში არ არის. ა. ჯანელიძემ (6) ამ კირქვებს „надглауконитивые“ უწოდა.

ამ კირქვების სისქე ცვალებადია: 8—10 m ქუთაისის მიდამოებში და 50 m-დე საბანელა-ღელის ხეობაში. კირქვების სისქე მატულობს აღმოსავლეთისაკენ. წყალტუბოს და გუმბრის მიდამოებში ეს კირქვები არ არის და მათი ადგილი მათ სტრატეგრაფიულ ექვივალენტს, „ფლორიდინიან“ წყებას უჭირავს.

წყალწითელის მარცხენა ნაპირზე სოფ. ოდილაურის მახლობლად, ამ კირქვაში ნაპოვნი არის ინოცერამები და ზლარბები. წყების ქვედა ნაწილი, რომელსაც ახასიათებს *Inoceramus cf. pictus* Sow., სენომანს ეკუთვნის, ზედა ნაწილი კი სადაც ნაპოვნიან *Inoceramus Lamarcki* Park., უკვე ქვედა ტურონს წარმოადგენს.





გუმბრში და წყალტუბოს მიდამოებში გლაუკონიტური ქვიშაქვების ადრეს ფლორიდინიანი წყება, რომელიც წარმოდგენილია შრეებრივი თიხოვანი ტუფოგენური ქვიშაქვებით. წყების ქვედა ნაწილში ფართოდ გავრცელებულია გუმბრინი, რომელიც ქვიშაქვებთან მორიგეობს. წყების ზედა ნაწილი კი წარმოდგენილია კირქვიანი ქვიშაქვებით და ქვიშიანი კირქვებით. ზოგიერთი შრეები საკმაოდ მდიდარია *Inoceramus*-ებით, სხვა შრეებში ფაუნა სულ არ არის. წყების ქვედა ნაწილი, რომელსაც ახასიათებს *Inoceramus pictus* Sow., ეკუთვნის სენომანს, ზედა ნაწილი შეიცავს *In. cuneiformis* d'Orb.-ს და *In. cf. labiatus* Schloth.-ს და ეკუთვნის უკვე ჰვედა ტურონს.

ამრიგად ორბულინებიანი კირქვების და ფლორიდინიანი წყების სტრატოგრაფიული მდებარეობა ერთნაირია, ორივე წყება ერთისა და იმავე სტრატოგრაფიული ჰორიზონტის ორ სხვადასხვა ფაციესს წარმოადგენს.

ლითოლოგიური წყებების საზღვრები ზოგჯერ არ ეთანხმება სტრატოგრაფიული საზღვრებს. ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით ზუსტად საზღვარი ბარემსა და აპტს შორის, მხოლოდ ვიცით რომ გარდამავალი შრეების შუა და ზედა ნაწილი, რომელსაც *Terebratulida dutempleana* ახასიათებს, აპტს ეკუთვნის. აპტის და ალბის საზღვარიც არ ეთანხმება ლითოლოგიურ საზღვარს: კლანსეური ჰორიზონტის შრეები ძალიან ჰგვანან ზედა აპტს, ნაცრისფერი მერგელების ჰორიზონტი წარმოადგენს ალბის შემდეგ ზონებს. გლაუკონიტური ქვიშაქვები ეკუთვნიან ნაწილობრივ ალბს, ნაწილობრივ კი სენომანს, — საზღვარი ალბს და სენომანს შორის პირობითია. სენომანის და ტურონის საზღვარიც აგრეთვე არ ეთანხმება ლითოლოგიურ საზღვარს: ორბულინებიანი კირქვების და ფლორიდინიანი წყების ქვედა ნაწილები ეკუთვნიან სენომანს და ზედა კი ქვედა ტურონს.

ლითოლოგიური წყებების და სტრატოგრაფიული ჰორიზონტების შედარება იხ. სქემაზე (სურ 8).

ახლა განვიხილოთ ფაციესების საკითხი. ბარემი წარმოდგენილია ურგონული კირქვებით, ე. ი. რიფული ფაციესით. აპტი წარმოდგენილია ტიპური ნერიტული, კარბონატული ფაციესით. გარდამავალ შრეებში ხშირად გვხვდება *Ostrea*-ბიანი ბანკები. თანამედროვე *Ostrea*-ებიანი ბანკები ვითარდება დაახლოებით 20—50 m სიღრმეზე. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ცარცულ დროში *Ostrea*-ები იმავე სიღრმეზე ცხოვრობდნენ, როგორც დღეს, მაშინ გარდამავალი შრეების წარმოშობის სიღრმეც აგრეთვე 20—50 m იქნებოდა. აპტის ამონიტური ფაციესი შედარებით უფრო ღრმა ზღვის წარმოშობისაა, ვიდრე გარდამავალი შრეები, მაგრამ ამონიტებიანი ფაციესიც აგრეთვე ნერიტულ ფაციესს წარმოადგენს. ამ მხრივ საინტერესოა ისიც, რომ აპტში გვხვდება გლაუკონიტური ქვიშაქვების შუაშრეები. ფაუნის ხასიათი გვიჩვენებს, რომ ის თბილი ზღვის ზოლს ეკუთვნის. აქ ხშირად გვხვდება *Phylloceras* და *Lytoceras*, ტეთისის ზოლის დამახასიათებელი გვარები. გარდა დასავლეთ ევროპის ფორმებისა, აქ გავრცელებულია ადგილობრივი ფორმებიც, როგორც *Colchidites*, *Imerites* და ზოგიერთი *Ancylloceras* და *Heteroceras*. აპტის ფაუნა საერთო ხასიათით სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის ფაუნას წააგავს, მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ



გვამცნობს. დანამდვილებით ჩვენ არ ვიცით არც *Aucellina*-ების ცხვირების პირობები. მაგრამ ფაუნის შემადგენლობა ზოგ რამეს მაიც არკვევს. ამ ტერიგენული მასალა უფრო ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე აპტი. მეორე მხრივ აქ ხშირია გლაუკონიტი. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მერგელების და მერგელოვანი თიხების წყება აგრეთვე ნერიტულ ფაციეს წარმოადგენს. ფაუნის მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ამონიტები (*Acanthoplites Nolani*) ფართოდ არიან გავრცელებული საფრანგეთსა და გერმანიაში; ზოგიერთი *Acanthoplites* ცნობილია მანგიშლაკის ნახევარკუნძულზე; *Aucellina aptiensis* გვხვდება გერმანიაში; დანარჩენი ფორმები ახალია.

აიხოვანი და გლაუკონიტიანი ქვიშაქვები კიდევ უფრო თხელი ზღვის ნალექებს წარმოადგენენ, ვიდრე მათ ქვეშ მდებარე კარბონატული ფაციესები. მართალია, ამ წყების ზოგიერთ შრეში ამონიტები გვხვდება, მაგრამ ქანების შემადგენლობა, სახელდობრ შიგა-ფორმაციული კონგლომერატები, გლაუკონიტის სიუხვე, ტერიგენული მასალა, რომლის სიმსხო ქვევიდან ზევით მატულობს წყებაში, მაფიქრებინებს, რომ გლაუკონიტიანი და თიხოვანი ქვიშაქვები წარმოადგენენ ნერიტულ ფაციესს, მაგრამ შედარებით უფრო თხელი ზღვისას ვიდრე აპტის და ალბის კარბონატული ფაციესები იყო. ვულკანოგენური მასალა, რომელიც გლაუკონიტიან ქვიშაქვებში გვხვდება, წყალქვეშა ვულკანური მოქმედების შედეგი უნდა იყოს.

ორბულინებიანი კირქვები ტიპიურ ნერიტულ ფაციესს წარმოადგენენ. ფლორიდინიანი წყების წარმოშობა უნდა დაკავშირებული იქნეს სენომანის ვულკანურ მოქმედებასთან, რადგან ეს წყება ტიპიური ტუფოგენური ფაციესი არის.

ფაციესების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქუთაისის მიდამოებში ბარემის და აპტის საზღვარზე დაიწყო ზღვის გაღრმავება, რომელიც აპტში გრძელდება. ქვედა ალბში, ზოგჯერ კი უკვე ზედა აპტში ტერიგენული მასალის რაოდენობა მატულობს. მოვლენა შეიძლება აიხსნას როგორც რეგრესიის ნიშანი. ქვედა ალბის ზედა ნაწილში რეგრესია კარგადაა ჩანს და ეს რეგრესია გრძელდება ალბში და სენომანში. მხოლოდ სენომანის ზედა ნაწილში ზღვის რევიმი შეიცვალა. შესაძლებელია ეს ზღვის გაღრმავება დაკავშირებული იყოს სენომანის ტრანსგრესიასთან, რომლის ნიშნები პ. გამყრელიძემ (4) მდ. ჩხერიმელის ხეობაში აღნიშნა.

თუ ქუთაისის მიდამოების ცარცის შუა ნაწილის კრილს კავკასიის სხვა კუთხეების კრილებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების კრილები (მდ. ჩხერიმელის ხეობის, ტყიბულის, რაჭის, ლეჩხუმის, საზგარელოს, ტყვარჩელის, მდ. გუმისტის ხეობის, გაგარის მიდამოების და სხვა) ეკუთვნიან იმავე ტიპს, რომელსაც ქუთაისის მიდამოების კრილი. ამ ტიპისათვის დამახასიათებელია კარბონატული ფაციესების სიქარბე. მხოლოდ ალბის ნაწილი და სენომანი არიან გლაუკონიტიანი ქვიშაქვებით წარმოდგენილი; ზოგჯერ სენომანიც კარბონატულია (ხარაგოული).

ჩრდილო კავკასიაში და დაღისტანში, პირიქით, ცარცის შუა ნაწილი ტერიგენული ნალექებითაა წარმოდგენილი.

## პალეონტოლოგიური ნაწილი

ჩემს მიერ შესწავლილი დასავლეთ საქართველოს აბტის ფაუნის მთავარი ნაწილი უკვე აღწერილი არის ი. რუხაძის მიერ (31, 32, 33). ამიტომ მე აქ მხოლოდ იმ ფორმებს ავწერ, რომლებიც ი. რუხაძის მიერ აღწერილი არ არის, ან ისეთებს, რომელთა შესახებ დამატებით არის რამ სათქმელი.

### *Lytoceras cf. obliquestrangulatum* Kil.

1842 Ammonites Juilleti d'Orbigny, Pal. Franç., Ter. crét., I, p. 364, pl. CXI, fig. 1, 3, (non p. 156, pl. L. fig. 1—3)

1888 *Lytoceras obliquestrangulatum* Kilian, Montagne de Lure, p. 421.

1913 " " Kilian, Lethaea geognostica, p. 198 et 329.

1920 " " Fallot, Observ. sur diverses esp. du Gar-gasien bathyal alpin, p. 231, pl. I, fig. 1, 2.

D — 50 mm.

ჩემი ნიმუში წარმოადგენს ხვეულის დეფორმებულ ნატებს (დაახლ.  $\frac{1}{4}$  ნაწილს). სკულპტურის ხასიათის მიხედვით იგი ყველაზე უფრო *Lyt obliquestrangulatum*-ს ჰგავს.

სადაურობა: გოდოგანი, ქვედა აბტი, *Colchidites*-იანი ჰორიზონტი.

გავრცელება: სამხ.-დას. საფრანგეთში, ბარემში და აბტში.

### *Douvilleiceras cf. mammilatum* Schloth.

1813 Ammonites mammilaris Schlotheim, Min., Forsch. VII, s. 111.

1840 " " d'Orbigny, Pal. Franç., Ter., Crét. I, p. 249, pl. LXXXII—LXXXIII.

1855 " mammilatus Pictet et Renevier, Description des fossiles du ter. crét., p. 47.

1905 *Douvilleiceras mammilatum* Jacob, Étude sur, les Amm. et l'horizon strat. du gisem. Clansayes, p. 421—422, 430.

ეს სახე წარმოადგენილია ორი ძალიან დეფორმებული და ცუდად და-ცული ნატებით, რომელთა სკულპტურა დამახასიათებელია *Douv. mammilatum*-სათვის. სხვა ფორმებისაგან აღწერილი ნიმუში კოპების 5 რიგით განსხვავდება.

სადაურობა: ქუთაისი, მდ. წყალწითელის მარჯვენა ნაპირი, *Leymeriella tardefurcata*-ს ზონაში.

გავრცელება: ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, კავკასია, ქვედა ალ-ბის ზედა ნაწილში და შუა ალბში.

(ტაბ. I, სურ. 1)

### *Douvilleiceras coronatum* Rouch.

1933 *Douvilleiceras coronatum* Rouchadze, Ammonites aptiennes, p. 195, pl. III, fig. 4.

1938 *Douvilleiceras coronatum* რუხაძე, საქართველოს ზოგიერთი აბტური ცფელო-პოდები, გვ. 140, ტაბ. I, სურ. 7, ტაბ. II, სურ. 1.

D = 27 mm; h = 7 mm (0,26); e = 13,5 mm (0,5)

ჩემი ნიმუში წარმოადგენს შიგა კალაპოტის პატარა ნატებს. ხვეულის გა-ნაკვეთი ელიპსურია, უფრო ფართე, ვიდრე მალალი, კიბი—ღრმა. სკულპტურა

შედგება დაახლოებით 20 მთავარი წიბოსაგან. ყოველ ორ მთავარ წიბოს არის 1—2 ჩანამატი წიბო. მთავარი წიბოები გაყოფილია ოთხ ტოტად. მათ შორის ერთი, შუა ტოტი, უფრო მსხვილია; მთავარ წიბოებზე არის კოპების ერთი, რიგი. მსხვილი კოპები გაყოფილია ორ ნაწილად. კოპების გარე ნაწილი უფრო განვითარებულია ვიდრე შიგა. ეს ფორმა თავისი სკულპტურით და მოხაზულობით შეესაბემა *Douv. coronatum*-ს, მაგრამ ჩემი ნიმუში, რომელიც ახალგაზრდა ხვეულების ნატებს წარმოადგენს, განსხვავდება რუხაძის მიერ აღწერილ ნიმუშებისაგან მით, რომ მთავარი წიბოები გაყოფილი არიან ოთხ ტოტად და არა სამად. მეორე მხრივ ჩემს ნიმუშზე ხვეულების სიმაღლე ცოტა ნაკლებია და კოპებიც ცოტა უფრო სუსტად განვითარებული. რადგან რუხაძე აღნიშნავს, რომ რაც უფრო დიდია ნიმუში, მით უფრო ნაკლებია წიბოების ტოტების რიცხვი, მე ჩემს ნიმუშს *Douv. coronatum*-ის ახალგაზრდა ექვემდებარად ვთვლი: ძლიერი კოპები, წიბოების განტოტება, ჩანამატი წიბოების არსებობა—*Douvilleiceras coronatum*-ის დამახასიათებელი ნიშნებია.

*Douv. Arnoldi* Coqu-საგან, *D. Hambrovi* Poch-ისაგან და *D. Hambrovi* Forb.-ისაგან ჩემი ნიმუში განსხვავდება უფრო ვიწრო განაკვეთით, უფრო ძლიერი კოპებით და ჩანამატი წიბოების არსებობით.

სადაურობა: გუმბრი, ზედა აპტი.

გავრცელება: ღორეშა და ლაშე (დასავლეთი საქართველო). აპტი.

#### *Acanthoplites* cf. *Nolani* Seun.

1887 *Hoplites Nolani* Seunes, *Ammonites du Gault*, p. 564, pl. XIII, fig. 4.

1906 *Papahoplites Nolani* Jacob, *Études sur les Ammonites et l'horizon strat. du gisem. Clansayes*, p. 408.

1907 *Acanthoplites Nolani* Sinzow, *Untersuchungen einiger Ammonitiden*, стр. 503, таб. VIII, рис. 1—13.

ჩემი მასალა შედგება რამოდენიმე ძალზე დეფორმებული შიგა კალაპოტისა და აღნაბეჭდისაგან. ნიმუშები ძალიან ცუდად არის დაცული. თავისი სკულპტურის ხასიათით, წიბოების რიცხვით და ფორმით, ზომებით და საერთო მოხაზულობით ჩემი ნიმუშები ძალიან გვანან *Acanthoplites Nolani* Seun.-ს. სხვა მათი მსგავსი სახეებისაგან (*Acanthop. aplanatus*, *Ac. Trautscholdi*, *Ac. aschiltaensis*) ისინი თავისი მრავალრიცხოვანი წვრილი, ოდნავ წინ წახრილი წიბოებით განსხვავდებიან.

სადაურობა: გოდოვანი, საბანელა-ლეღის ხეობა, კლანსეური პორიზონტი.

გავრცელება: საფრანგეთი, გერმანია, მანგიშლაკი, ჩრდილო კავკასია; ალბის პირველი ზონა.

#### *Deshayesites* n. sp. aff. *furcatus* Sow.

ტაბ. I, სურ. 2.

D = 35 mm, h = 23 mm (0,42)

e = 11 mm (0,2); o = 19 mm (0,36).



ჩემი ნიმუში საკმაოდ დეფორმებულია. ამიტომ უფრო სწორად შეიძლება დაგვეწერა  $h = 0,35$  და  $e = 0,3$ . ფორმა ბრტყელია და დისკოსებური. კიბის კედელი ციცაბოა. სკულპტურა შედგება 20—23 მთავარი წიბოსაგან, რომლებიც უმთავრესად მარტივი არიან; ზოგიერთი წიბო გაყოფილია ორად. კიბის

ტაბულა I



ახლოს წიბოები მსხვილდებიან. 40 mm-იან დიამეტრის სტადიაზე ჩნდება ნამატი, უფრო მოკლე წიბოები. წიბოები სიფონურ მხარესთანაც სქელდებიან, მაგრამ თვით სიფონურ მხარეზე ჩანს სკულპტურის დასუსტება. შიგა ხვეულებზე, რომელთა დიამეტრი 20—25 mm-ს არ აღემატება, ჩანს ძალიან სუსტი უმბონალური კოპები. ტიხრის ხაზი ძალიან ცუდად ჩანს, რის გამოც მისი გადახაზვა შეუძლებელია.

თავისი ფორმით და სკულპტურის ზოგადი ხასიათით ეს ფორმა *Desh. furcatus*-ს წააგავს. მაგრამ არის განსხვავება: 1) უმბონალური კოპების არსებობა ჩვენი ფორმის ახალგაზრდა ხვეულებზე; 2) მისი უფრო დაბალი ხვეულები და ფართე ქიბი; 3) ზოგიერთი მთავარი წიბოს განტოტვა და ჩანამატი წიბოების შედარებით გვიანი გაჩენა.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა : ქუთაისი, მდ. წყალწითელის მარჯვენა ნაპირი, ქვედა აბტი.

### *Leymeriella tartdefurcata* var. nov.

1907 *Leymeriella* sp. intermédiaire entre *L. tardefurcata* et *L. regularis* Jacob. *Ammonites du Crétacé moyen*. p. 52—54, pl. VII, fig. 21—22.

$D = 23 - 25$  mm;  $h = 10$  mm (0,41);  $e = 4,5 - 5$  mm (0,2);

$O = 7 - 8$  mm (0,3).

ჩემი ნიმუში წარმოადგენს პატარა, ძალიან დეფორმებულ შიგა კალაპოტს. თავისი სკულპტურის ხასიათით და წიბოების გასწვრივი ღარის არსებობით შეესაბამება *L. tardefurcata*-ს ნიშნებს, მაგრამ კოპების არსებობა *L. regularis*-ს მოგვაგონებს. ამგვარად ჩემი ნიმუში წარმოადგენს გარდამავალი ფორმას *L. tardefurcata*-ს და *L. regularis*-ს შორის. ასეთივე ფორმა აღნიშნულია *Jacob*-ის შრომაშიც. შესაძლებელია, რომ როგორც *Jacob*-ის, ისე ჩემი ნიმუშები *Leym. tardefurcata*-ს ახალ ვარიეტეტს წარმოადგენდნენ.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა : ქუთაისი, ქვედა ალბის ზედა ნაწალი.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა : სამხ.-დას. საფრანგეთი, ალბის მე-2 ზონა.

### *Leymeriella tardefurcata* *Leym. v. Jacobi* v. n.

1907 *Leymeriella tardefurcata* *Leym. var. Jacobi*, *Ammonites du Crétacé moyen*, p. 54, pl. VII, fig. 13 a—b.

ჩემი ნიმუშები ორი შიგა კალაპოტის ძლიერ დეფორმებულ ნატებს წარმოადგენენ. სკულპტურა კარგად არის დაცული. თავისი სკულპტურით ჩემი ნიმუში *L. tardefurcata* var.-ს ჰგავს, რომელიც *Jacob*-ის მიერ იქნა აღწერილი. ეს ვარიეტეტი განსხვავდება საკუთრივ *Leym. tardefurcata*-სგან უფრო მრავალრიცხოვანი და გალუნული წიბოებით. ახალგაზრდა ხვეულები იმდენად ჰგავს *Leym. Revili*-ს, რომ მათი გარჩევა თითქმის შეუძლებელია. მოზრდილ სტადიაში ეს ვარიეტეტი განსხვავდება *L. Revili*-სგან წიბოების ნაკლები რიცხვით და მათი მეორადი განტოტვის არ არსებობით. ამ ვარიეტეტს მე დავარქვი var. *Jacobi*.



ადგილმდებარეობა: ქუთაისი, მდ. წყალწითელის მარჯვენა ნაპირი, ქვედა ალბის ზედა ნაწილი.

გავრცელება: სამხ.-დას. საფრანგეთი, ალბის მე-2 ზონა.

*Heteroceras* (*Argvethites*) nov. sp.

ტაბ. I, სურ. 5

ნიმუში პატარა, საკმაოდ კარგად დაცული, მაგრამ არა სრულია: ჰელიქსი და ლეროს ნაწილი მოტეხილია. ლეროზე სკულპტურა შედგება ოდნავ წინ წახრილი წიბოებისაგან; ზოგიერთი წიბო მარტივია, ზოგიერთი კი ორად გაყოფილი. სიფონურ მხარეზე ჩანს კოპების ორი რიგი, რომელთა შორის სკულპტურა შესუსტებულია; ამიტომ კოპების რიგებს შორის გადის ბრტყელი ზოლი. კავზე კოპები და მათ შორის მოთავსებული ბრტყელი ზოლი ქრება და წიბოები უწყვეტლად ერთდებიან. კავზედვე, ლეროს მახლობლად, სკულპტურა შედგება ორად გაყოფილი წიბოებისაგან, მაგრამ ლეროს დაშორებით გაყოფილი წიბოები იცვლებიან მარტივი წიბოებით, რომლებიც სიფონურ ნაწილზე ოდნავ წინ იხრებიან. ლერო და კავი ძალიან ახლო მდებარეობენ ერთმანეთთან და თითქმის პარალელური არიან. ტიხრის ხაზი ცუდად არის დაცული. ჩემი ნიმუში *H. (A.) minor*-ისაგან და *H. (A.) lashensis*-ისაგან განსხვავდება უფრო იშვიათი წიბოებით და უფრო ფართო და მაღალი კავით; *Hel. (Argv.) communis*-ისგან ჩემი ნიმუში განსხვავდება ლეროს და კავის ურთიერთ განწყობილებით და სკულპტურით.

სადაურობა: გოდოვანი, ქვედა აპტი, *Colchidites*-იანი ჰორიზონტი.

*Colchidites* nov. sp. aff. *latecostatus* Rouch.

ტაბ. I, სურ. 4.

D = 50—60 mm; h = 24 mm; e = 18 mm; o = ?

ჩემი ნიმუში კარგად დაცულ ნატეხს წარმოადგენს. ხეულების განაკვეთი ელიპსურია. სკულპტურა შედგება 20—25 საკმაოდ მსხვილი წიბოსაგან, რომელთა უმრავლესობა გაყოფილია ორად. სიფონურ მხარეზე წიბოები ოდნავ წინ არის წახრილი. ტიხრის ხაზი მთლიანად არა ჩანს, აკლია სიფონური უბე. პირველი უნაგირა ასიმეტრიულია და გაყოფილი. პირველი გვერდითი უბე სიმეტრიულია და საკმაოდ ღრმა. საერთოდ ტიხრის ხაზი ძლიერ დაყოფილია. მოხაზულობით და სკულპტურით ეს ფორმა *C. latecostatus*-ს წააგავს, მაგრამ განსხვავდება მისგან ტიხრის ხაზით, რომლის ელემენტები უფრო ვიწრო და წაგრძელებულია.

ადგილმდებარეობა. გოდოვანი, ქვედა აპტი, *Colchidites*-იანი შრეები.

*Imerites* nov. sp. aff. *densecostatus* Renng.

ტაბ. I, სურ. 3.

D=55 mm; h=26 mm (0,48); e=12 mm (0,22); o=17 mm (0,31).



ნიმუში დეფორმირებულია. ჰელიქსი ცუდად ჩანს, სპირალი წარმოტეხილია მხოლოდ ერთი ხვეულით. სპირალზე სკულპტურა შედგება 25 მთავარი წიბოსაგან. მთავარი წიბოები სიფონურ მხარეზე ოდნავ წინ არის წახრილი. 30 mm-იანი სტადიაზე ჩანამატი წიბოები იწყება. მთავარი და ჩანამატი წიბოების სისქე ერთნაირია. სიფონური მხრისკენ წიბოები ოდნავ მსხვილდებიან. ახალგაზრდა სტადიაში, მართალია, ცუდად, მაგრამ მაინც ჩანს სიფონური კოპები, რომლებიც უფრო მოზრდილ სტადიაში ქრებიან.

მართალია, ტიხრის ხაზი ძალიან ცუდად არის დაცული, მაგრამ მაინც შესაძლებელია აღინიშნოს, რომ იგი სიმეტრიულია; პირველი უნაგირა გაყოფილია და პირველი გვერდითი უბე ფართო.

თავის ზომებით, სკულპტურით და ტიხრის ხაზის ხასიათით ეს ფორმა *Im. densecostatus*-ს წააგავს, მაგრამ განსხვავდება მისგან ჩანამატი წიბოების არსებობით, მაშინ როდესაც ტიპიურ *Im. densecostatus*-ს მთავარი წიბოების განტოტვა ახასიათებს.

სადაურობა: ქუთაისი, მდ. წყალწითელის მარჯვენა ნაპირი, ქვედა აბტი, *Colchidites*-იანი ჰორიზონტი.

*Panopaea gurgitis* Brongn. v. *Rouchadzei* Tsag. (in litt.)

ტაბ. I, სურ. 6.

1936 *Panopaea gurgitis* Brongn. var. *Rouchadzei* var. nov. ა. ცაგარელი, ტყიბულის ტაფობის აბტური ფაუნა, გვ. 37 (ზელნაწერი).

ეს ფორმა განსხვავდება ტიპიურ *P. gurgitis* Brongn.-საგან უფრო მოკლე წინა ნაწილით და უფრო გრძელი უკანა ნაწილით. ამიტომ ა. ცაგარელმა ფორმა გამოჰყო როგორც ახალი ვარიეტეტი.

სადაურობა: ძალიან ხშირია თითქმის ყველა ქრილის ქვედა აბტში.

## M. Éristhavi

### STRATIGRAPHIE DE LA PARTIE MOYENNE DES TERRAINS CRÉTACÉS DES ENVIRONS DE KOUTHAÏSSI

(Résumé)

La coupe des terrains crétacés des environs de Kouthaïssi est une des meilleures dans la Géorgie Occidentale. elle a été décrite par Dubois de Montpéroux (7, 8, 9), Abich (1), Simonovitch (35, 38, 39), Mefert (21, 22) et Djanelidzé (6). En 1938—39 l'auteur a eu l'occasion d'étudier la partie moyenne des terrains crétacés de Kouthaïssi et de Tskhaltoubou—Aptien, Albien et Cénomaniens. Il s'était donné le but de préciser les limites stratigraphiques des étages et de distinguer les zones. L'auteur décrit sept coupes détaillées du crétacé moyen: sur les deux rives de la rivière



Tskhaltsithéla, près du village Godogani, dans la vallée de la Sabanéli-Ghélé et dans les environs de Goubri, Tskhaltoubo et Kvakhtchiri.

Pour les deux rives de la Tskhaltsithéla, pour Godogani et pour la Sabanéli-Ghélé il donne la succession suivante:

1) Les calcaires urgoniens sont suivis des couches „intermédiaires“ représentées par des calcaires marneux, d'une épaisseur de 9—15 m. L'auteur cite de ces couches la faune suivante: *Exogyra latissima*, *E. subsinuata*, *Neithea atava*, *Arca securis*, *A. Raulini*, *Terebratula sella*, *T. dutempleana*, *Rhynchonella lata*. La présence de *Ter. dutempleana*, qui se trouve dans la partie moyenne de ces couches, fait rapporter cette suite à l'Aptien (inférieur).

2) L'Aptien inférieur est représenté encore par des calcaires marneux et des marnes, d'une épaisseur de 5—6 m, et riches en fossiles. On y trouve des formes propres au Bédoulien de l'Europe occidentale: *Deshaycsites Deshayesi*, *Lytoceras phestus*, *Costidiscus recticostatus*, *C. microcostatus*, *Douvilleiceras Cornuelli*, *D. seminodosum*, *D. pachystephanum*, *Ancyloceras Renauxi*; mais ce sont surtout les formes locales qui prédominent: *Colchidites*, *Imerites*, les espèces nouvelles des *Ancyloceras* et *Heteroceras*. L'auteur a pu distinguer deux horizons locaux: l'inférieur, d'une épaisseur de 3—4 m, est caractérisé par l'abondance des *Colchidites* et le sudérieur (1,5—2 m), où apparaissent les *Ancyloceras*.

3) L'Aptien supérieur est représenté par des marnes moins riches en faune que les couches sousjacentes. Tout de même on y trouve des formes propres au Gargasien: *Hibolites semicanaliculatus*, *Phylloceras Velledae*, *Douvilleiceras Martini*, *Acanthoplites aschiltaensis*.

4) Le niveau de Clansayes est représenté par des marnes grises et partiellement glauconieuses, d'une épaisseur de 4—6 m. L'auteur a recueilli ici de nombreux *Acanthoplites*, malheureusement mal conservés, parmi lesquels il cite des formes caractéristiques de ce niveau: *Acanthoplites Nolani*, *Ac. multispinatus*, *Ac. Uhligi*.

5) Au-dessus vient une série de marnes et d'argiles marneuses bleues-grisâtres, avec des intercalations gréseuses. L'épaisseur de cette suite atteint 20—30 m. Ces couches ont fourni une faune des *Aucellina Caucasica*, *Auc. aptiensis*, *Hibolites* sp. ind. Il est à remarquer que *Aucellina gryphaeoides*, propre à l'Albien moyen et supérieur, ne se trouve pas parmi les espèces citées. Par sa faune et par sa position stratigraphique (entre le Clansayes et les couches à *Leymeriella tardefurcata*) la suite des argiles marneuses se rapporte à l'Albien inférieur.

Cette série d'une part est liée par des passages insensibles aux couches clansayennes, auxquelles elle ressemble lithologiquement aussi; mais d'autre part elle se distingue notamment des couches à *Leymeriella tardefurcata* superposées, dont elle est délimitée par un passage brusque. Cela décide l'auteur à rapporter ces couches aussi au niveau de Clansayes.

6) Les grès argileux-glaucieux à stratification indistincte d'une épaisseur de 15—20 m. À la base de la suite se trouve une couche épaisse de 2—4 m, pleine de fragments de marnes albiennes à peine arrondis et de galets porphyritiques. L'origine de cette couche est liée à l'activité volcanique, qui avait lieu à cette époque dans la vallée de la rivière Tchkhériméla. Cette érosion sousmarine en Okriba peut être considérée comme l'écho des éruptions synchrones. Dans la partie inférieure des grès argileux-glaucieux, sur la rive droite de la rivière Tskhaltzithéla, l'auteur a recueilli la faune suivante: *Leymeriella tardefurcata*, *Douvilleiceras mammilatum* etc., qui sont propres à la zone à *Leymeriella tardefurcata*. La partie supérieure de cette suite se rapporte aux niveaux plus élevés que la zone à *Leym. tardefurcata*.

7) Les grès glaucieux à grain grossier ou moyen et à stratification distincte d'une épaisseur de 8—10 m. C'est d'ici que Meffert (21) cite un *Acanthoceras* cf. *Rhotomagense*; donc, les grès glaucieux se rapportent au Cénomaniens; mais probablement la partie inférieure de ces grès glaucieux se rapporte à l'Albien supérieur. L'avis de Meffert (21) que les grès glaucieux reposent transgressivement sur les suites sous jacentes n'est pas juste; le passage insensible entre les grès argileux et les grès glaucieux, est bien visible; d'autre part le conglomérat signalé sur la rive droite de la Tskaltzithéla et à Goubri, n'est qu'un conglomérat interstratifié, car dans les autres coupes il s'intercale dans les couches supérieures de la suite.

Il faut remarquer, que dans la vallée de la rivière Sabanéla-ghélé, les grès argileux sont plus distinctement stratifiés et plus riches en glaucionie, que les mêmes couches sur les rives de la Tskaltzithéla et près de Godogani; dans la vallée de la Sabanéla-ghélé les suites 6 et 7 ne se distinguent guère lithologiquement l'une de l'autre; on peut les réunir dans une suite unique.

8) Les calcaires à „Orbulines“. Leur nom n'est plus juste, car il n'y a pas d'Orbulines dans ces calcaires; on pourrait mieux les appeler „calcaires supraglaucieux“ (6). L'épaisseur de ces calcaires varie entre 8—10 m sur la rive droite de la Tskaltzithéla, mais elle atteint 50 m dans la vallée de la Sabanéla-ghélé. Sur la rive droite de la Tskaltzithéla, près d'Odilatri, l'auteur a trouvé un *Inoceramus* cf. *pictus* Sow. dans la partie inférieure de ces calcaires et un *In. Lamarcki* Park. dans la partie supérieure. Ainsi la partie inférieure de ces calcaires se rapporte au Cénomaniens et la partie supérieure au Turonien inférieur.

Les coupes dans les environs de Goubri et de Tskaltoubou diffèrent un peu des coupes précédentes:

1. Les calcaires urgoniens sont suivis de couches „intermédiaires“ représentées par des calcaires marneux et quelquefois glaucieux, qui renferment une faune de brachiopodes et de lamellibranchiats; leur épaisseur atteint 15 m.

2. L'Aptien supérieur est représenté par les marnes grises; à Tskaltoubi ces marnes sont plus argileuses et glauconieuses et sont stratifiées en couches plus minces qu'à Goumbri ou sur les rives de la Tskaltzithéla. L'auteur indique la présence des *Oppelia Nisus*, *Phylloceras Velledae*, *Douvilleiceras Martini*, *Acanthoplites subangulicostatus* etc. L'épaisseur de l'aptien supérieur ne dépasse pas 3—4 m.

3. Le niveau de Clansayes présente le même faciès que sur les rives de la Tskaltzithéla. L'auteur a recueilli les *Acanthoplites multispinatus*, *Ac. Uhligi*, *Hibolites Brevis*. L'épaisseur des terrains clansayens atteint 4—5 m.

4. Les marnes et argiles marneuses bleues d'une épaisseur de 20—25 m. elles renferment les *Aucellina Caucasica*, *Auc. aptiensis*, *Hibolites* sp. ind. C'est l'Albien inférieur et probablement l'Albien moyen.

5. Les grès glauconieux d'une épaisseur de 14—16 m. Dans ces coupes les grès argileux sont absents, et les grès glauconieux correspondent à l'Albien supérieur (probablement à l'Albien moyen aussi) et au Cénomaniens inférieur.

6. La suite à goubrine présente la succession suivante:

- a) L'alternance des grès tuffogènes argileux et des couches de goubrine d'une épaisseur de 4—5 m. L'auteur y signale un *In. pictus* Sow
- b) Les grès tuffogènes argileux d'une épaisseur de 15—18 m; dans leur partie inférieure se trouve *In. pictus* et dans la partie supérieure *In. cf. labiatus*.
- c) Les grès calcareux et les calcaires sableux d'une épaisseur de 6—7 m; on y trouve *Spondylus cf. striatus*. La partie inférieure de la suite à goubrine se rapporte au Cénomaniens, la partie supérieure au Turonien inférieur; la suite à goubrine est l'équivalent stratigraphique des calcaires supraglauconieux.

La coupe du Crétacé moyen des environs de Kvakhtchiri diffère des autres coupes; ici les calcaires urgoniens sont suivis des séries suivantes:

1. Les couches intermédiaires, représentées par les calcaires marneux d'une épaisseur de 8 m. Ce sont les analogues des couches intermédiaires de Kouthaïssi.

2. Au-dessus viennent les marnes et calcaires marneux aptiens d'une épaisseur de 4—4,5 m. Ils renferment les ammonites.

3. Les marnes et argiles marneuses bleues d'une épaisseur de 8—10 m qui ont fourni les *Aucellina Caucasica*, *Auc. Aptiensis*, *Hibolites* sp. ind. C'est l'Albien inférieur.

4. Les grès glauconieux, d'une épaisseur de 12 m, qui se rapportent à l'Albien moyen et supérieur et au Cénomaniens inférieur (?).

5. Les calcaires supraglauconieux d'une épaisseur de 10 m. Cénomaniens supérieur et Turonien inférieur.

Les dépôts étudiés manifestent une variabilité assez considérable, — les coupes qui sont éloignées de 50—10 m les unes des autres diffèrent dans

leurs détails. Tous les terrains décrits sont représentés par des faciès lithologiques. À en juger par les bancs à huîtres, les couches intermédiaires se sont déposées à une profondeur de 20—50 m. Mais le faciès récifal urgonien correspond à un fond plus haut encore.

Dans l'Aptien la mer s'approfondit davantage, ne dépassant point toutefois les limites de la région néritique (marnes à ammonites). La faune aptienne indique que la mer communiquait avec la province méditerranéenne.

Dans la partie inférieure des terrains albiens la quantité des matériaux terrigènes augmente, ce qui est lié au commencement d'une régression, qui continue jusque dans le Cénomaniens (grès glauconieux).

Les calcaires supraglauconieux témoignent un certain approfondissement de la mer.

Dans la coupe de la partie moyenne des terrains crétacés des environs de Kouthaïssi, comme dans les autres coupes de la Géorgie occidentale, on voit la prédominance des faciès carbonatés à l'inverse des faciès terrigènes du Crétacé moyen du Caucase du Nord.

### მოსხენებული ლიტერატურის სია

#### Liste des ouvrages cités

1. Abich H., Prodrômus einer Geologie der Kaukasischen Länder, 1858.
2. Anthula O. J., Über die Kreidefossilien des Kaukasus. *Beitr. z. Pal. u. Geol. Österr. Ung. u. d. Orients*, Bd. XII, Hf. 2—3, 1899.
3. Вачнадзе Н. Д. и Табагари В. И., Месторождение гумбринна: *Труды Груз. Отд. Инст. Мин. Сырья*, вып. 2, 1938.
4. გამკრელიძე პ., Геологическое описание части долины рр. Дзирула и Чхеримела. საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის შობაზე, ტ. I. ნაკვ. 2, 1933 წ.
5. ჯანელიძე ა., გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარკვი. ტფილისის სახ. უნ-ტის შობაზე, ტ. VI, 1926.
6. Джанелидзе А., Геологические наблюдения в Окрибе: საქ. გეოლ. ინსტიტუტის შობაზე, ტ. V, 1941.
7. Dubois de Montpéreux F., Lettres sur les principaux phénomènes géologiques du Caucase et de la Crimée: *Bull. Soc. Géol. France*, t. VIII, 1837 (in litt.).
8. Dubois de Montpéreux F., Extraits d'une autre lettre: *Bull. Soc. Géol. France*, t. VIII, 1837 (in litt.).
9. Dubois de Montpéreux F., Voyage autour du Caucase, 1839—45.
10. Favre E., Recherches géologiques dans la partie centrale de la Chaîne du Caucase. 1875.
11. Fallot P., Observations sur diverses espèces du Gargasien bathyal alpin. Contributions à l'étude des cephalopodes paléocrétacées. Paris 1920.
12. Fournier E., Description géologique du Caucase central. 1896.



13. Jacob Ch., Étude sur les Ammonites et l'horizon stratigraphique du gisements Clansayes: *Bull. Soc. Géol. France*, Sér. 4, t. V, fasc. 4, 1905.
14. Jacob Ch., Étude paléontologique et stratigraphique sur la partie moyenne de terrains crétacés dans les Alpes françaises et les régions voisines: *Trav du Lab. de Géol. de l'Université de Grenoble*, t. VIII, 1907.
15. Jacob Ch., Étude sur quelques Ammonites du Crétacé moyen: *Mém. Soc. Géol France*, t. XV, № 38, 1907.
16. Каракаш Н. И., Меловые отложения северного склона Главного Кавказского хребта и их фауна. 1897 г.
17. Kilian N., Description géol. de la Montagne de Lure. Thèse de doctorat: *Annales des Sciences Géol.*, t. 19 et 20, 1888.
18. Kilian W., Paleocretacicum in Frankreich: *Lethaea Geognostica*, Bd. III, 1909.
19. Крымгольц Г. Я., Нижне-меловые белемниты Кавказа. *Монографии по палеонтологии СССР*, т. XVII, вып. 1, 1939 г.
20. Кузнецов И. Г., Геологическое описание маршрута Чиатури-Они-Кутаиси: *Путев. для экск. XVII междун. геолог. конгр. Эвск. по Кавказу*. 1937 г.
21. Мефферт Б. Ф., Геологические исследования в Кутаисском и Ахалцихском уездах: *Изв. Геол. Ком.*, т. XVII, № 7, 1924 г.
22. Мефферт Б. Ф., Геологическое строение марганцового района Чхари-Аджамети: *Изв. Геол. Ком.*, т. XVII, № 7, 1924.
23. Мефферт Б. Ф., Геологическое описание района Гумбри-Баноджа: *Изв. Г. Г. Р. У.* т. XLIX № 7, 1930 г.
24. Мефферт Б. Ф., Геологические исследования в Мингрелии: *Труды Г. Г. Р. У.* вып. 64, 1931 г.
25. Мефферт Б. Ф., Геологическое описание района проектируемых мощных гидроэлектрических станций Западной Грузии: *Труды Г. Г. Р. У.* вып. 349, 1934 г.
26. Нацкий А. Д., Материалы к стратиграфии нижнего мела Мангышлака: *Мат. геол. России*. Том XXVI, вып. 1, 1918 г.
27. d'Orbigny A., Paléontologie Française, Terrains crétacés, vol. I—II, 1840—49.
28. d'Orbigny A., Prodrôme de Paléontologie. Strat. universelle. 1850—1852.
29. Pictet F. J. et Renevier W. Descriptions des fossiles du terrain crétacé des environs de St.—Croix: *Matériaux pour la Paléontologie Suisse*. 1858.
30. Rouchadzé J., Notice sur les Bélemnites et les Nautilus de l'Aptien de Koutaïs: საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1931.
31. Rouchadzé J. Les Ammonites aptiennes de la Géorgie Occidentale: საქ. გეოლ. ინ-ის მოამბე, ტ. I, ნაკვ. 3, 1933.
32. რუხაძე ი., საქართველოს ზოგიერთი ახალი ან ნაკლებ ცნობილი ცეფალოპოდები: საქ. გეოლ. ინ.-ის მოამბე, ტ. III, ნაკვ. 2, 1937.
33. Seunes J., Notes sur quelques Ammonites du Gault: *Bul. Soc. Géol. France*, 3-me sér., t. XI, 1887.
34. Симонович С. Геологическое описание Окрибы: *Мат. Геол. Кавказа*, сер. I, кн. 3, 1873 г.
35. Симонович С., Сорокин А., Вацевич А. Геологическое описание Кутаисского, Лечхумского, Сенакского и Зугдидского уездов: *Мат. Геол. Кавказа*, сер. I, кн. 4, 1874 г.
36. Симонович С. Геологическое описание долины р. Ингур: *Мат. Геол. Кавказа*, сер. I, кн. 7, 1871 г.
37. Симонович С., Сорокин А., Объяснительная записка к геологической карте Кутаисской губернии: *Мат. Геол. Кавказа*. сер. II, кн. 1, 1888 г.




38. Simonovitch S., Les environs de Koutaïssi et la vallée de la rivière  
*Guide des excurs. du VII Congr. géol. intern.* 1897.
39. Sinzow J. Untersuchungen über einige Ammonitiden aus dem Unt. Gault Man-  
gyschlaks und des Kaukasus: *Зап. Петерб. Мин. Общ.* 2-я сер., ч. 45, 1907 г.
40. Швецов М. С., Нижне-меловые белемниты Абхазии: *Геол. и Минер. России*,  
т. XI, вып. VIII, 1911 г.
41. ცაგარელი ა., ტყიბულის ტაფობის გეოლოგია და აპტური ფაუნა. ხელნაწერი საქ.  
მეცნ. აკად. გეოლ. და მინერალ. ინსტიტუტში. 1936.
42. Эристави М. С., Новые данные по стратиграфии средней части меловых  
отложений окрестностей Кутаиси. საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. I.  
№ 4, 1940.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გეოლოგიის კათედრა

(შემოვიდა, რედაქციაში 1943 VIII. 23)

ბიბლიოგრაფია





## ბიბლიოგრაფია

„თბილისის უნივერსიტეტის მოამბისა“ და „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“ მოთავსებული სტატიებისა 1921—1946 წლებში<sup>1</sup>

ილ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან: შრ XXVIb (1944), 225—229.

ილ. აბულაძე, მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათვის“ და მისი ლიტერატურული წყაროები: შრ VII (1938), 97—108.

ილ. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები: შრ III (1936), 253—270.

ილ. აბულაძე, ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი: შრ XVIII (1941), 149—159.

ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდები: შრ VI (1937), 329—347.

იუსტ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის: შრ XXV (1942), 145—146.

იუსტ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ორი უმთავრესი გმირის სახელის „ტარიელი“ და „ავთანდილ“ ეტიმოლოგიისათვის: შრ III (1936), 182—184.

იუსტ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისათვის: შრ I (1936), 141—150.

იუსტ. აბულაძე, როგორ უნდა გავიგოთ საბას განმარტება სარატანის შესახებ?: შრ VI (1938), 358—363.

იუსტ. აბულაძე, სამი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის: შრ X (1939), 279—281.

იუსტ. აბულაძე, სახელის „სასან“-ის ეტიმოლოგიისათვის: შრ V (1936), 265—268.

ნ. ადამაშვილი, „განწყობის ილუზიის ინტერმოდალური ტრანსპოზიცია: შრ XVII (1941), 169—184.

ნ. ადამაშვილი, განწყობის სიმეტრიკე და ირადიაცია: შრ XVII (1941), 185—196.

ს. ავალიანი, ხიზანი: შრ I (1919—1920), 97—104.

<sup>1</sup> ამ წლებში გამოვიდა „მოამბის“ I—X ტომები, ხოლო „შრომების“ I—XXV და XXVIa, XXVIb, XXVIIa. შემოკლებით აღნიშნულია შ (მოამბე), შრ (შრომები).




- ა. ავალიშვილი, განწყობის ტიპის ინტერმოდალური კონსტანტობის სიკაობისათვის: შპ XVII (1941), 155—163.
- ბ. აკინფიევი (N. Akinfiyev), Innendruck und Zustandsgleichung: შ IX (1929), 299—309.
- გ. აკოფოვი და მ. უგულავა (E. Акопов и М. Угулава), О применении электрокапиллярного метода в количественном анализе: შ XX (1941), 209—218.
- ვ. ალექსანდროვი (W. Alexandrov), Über die Zusammenziehung der Blätterfläche der krautigen Pflanzen: შ III (1923), 262—275.
- ვ. ალექსანდროვი და მ. შანიძე (Alexandrov W., Schanidse M.), Über die Änderungen in dem Charakter des Verbandes der lockeren Parenchymzellen des Blattes unter der Einwirkung des ableitenden Ströme: შ V (1925), 20—24.
- ე. ანდრონიკაშვილი, ფაზურ გარდაქმნათა ცენტრების წარმოშობა: შ IV (1936), 212—233.
- ირ. ანდრონიკაშვილი (И. Андроникашвили), К биографии М. Ю. Лермонтова: შ I (1936), 200—214.
